ალბერ

№18 2012

სალიტერატურო
რელიგიურ-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ჟურნალი

„კავკასიური სახლი“
თბილისი
2012

UDC (უაკ) 050 „აფრა“ + (479·22)
ა-923

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ
HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის

Our deep gratitude for financial support to
the European Foundation HORIZON

მთავარი რედაქტორი **ნაირა გელაშვილი**

ნომრის რედაქტორი **შოთა იათაშვილი**

დამკაბადონებელი **ნიკოლოზ გელაშვილი**

ICCN 1987-832X

სარჩევი

პოეზია

ტომას ტრანსტრომერი — ბალტიის ზღვები
თარგმნა ზვიად რატიანმა 5
თანამედროვე ინგლისურენოვანი პოეტი ქალები
ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ 13
ბელა ახმადულინა
რუსულიდან თარგმნა ვასილ გულეურმა 23
ანდრეი ხადანოვიჩი
თარგმნა შოთა იათაშვილმა 27
გაგა ნახუცრიშვილი 31
ლელა სამნიაშვილი 35
დავით რობაქიძე 39

პროზა

ანატოლ ფრანსი — იუდეის პროკურატორი
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ 44
გიორგი ძნელაძე — ზრდილი ქალიშვილიდან ფემინისტურ რევოლუციამდე
განვლილი გზა თავისუფლებისაკენ (სიმონ დე ბოვუარის შესახებ) 52
სიმონ დე ბოვუარი — მანდარინები *(ფრაგმენტი რომანიდან)*
ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ძნელაძემ 59
რაფიკ თაგი — ომი კურორტულ ზონაში
აზერბაიჯანულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა 63
მაკა მიქელაძე — მოთხრობები 71

დრამატურგია

ბექა ქურხული — აჰა, საცაა ხე წაიქცევა 77

ესეისტიკა, დოკუმენტური პროზა

ლულუ დადიანი — „Femme fatale“ ანუ ლუ ანდრეას-სალომე 101
გიორგი ეკიზაშვილი — ლაბირინთი *(ეპიზოდური საუბარი მკითხველთან)* 110
ოსიპ მანდელშტამი — ზოგიერთი რამ ქართული ხელოვნების შესახებ;
დაბრუნება; მენშევიკები საქართველოში; ბათუმი
რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა 115
თამარ კოტრიკაძე — ლორა ბოჩაროვას ერთადერთი სიმღერა 129

რელიგია

კენეტი და გლორია კოუპლენდები — რწმენიდან რწმენაში (გამარჯვების კალენდარი)
თარგმნა ნაირა გელაშვილმა 145

ფილოსოფია

ფრიდრიჰ შელინგი — „გამოცხადების ფილოსოფია“ (შესავალი)
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა 171
ზაზა ფირალიშვილი — წიგნის კითხვა 179
ვლადიმერ კორტავა — სიმბოლოებისა და კონცეპტების დავიწყებისა
და გაქრობის შესახებ 200

კრიტიკა

ლევან ბრეგაძე — ვინ თხზავს ანეგდოტებს? 203
მარსიანი — რუსთაველი, ბიბლია და ფაშიზმი 208

სახვითი ხელოვნება

ვასილ კანდინსკი — სულიერების შესახებ ხელოვნებაში
გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა 213

საზოგადოება და პოლიტიკა

ირაკლი კაკაბაძე
ჰუმანიზმი თუ ლიბერალიზმი?!.. 218
მრავალხმოვანი ხედვა, როგორც გამოსავალი დღევანდელი სიტუაციიდან 224
სამხრეთისა და ჩრდილოეთის დაპირისპირების ჩრდილში 227
აზდაკის აჩრდილი 229
გოგი გვახარია — ხსოვნა 232
ლევან გიგინეიშვილი 234

ტომას ტრანსტრომერი

ბალტიის ზღვები[1]

I

ეს იყო რადიოანძების ერამდე.

ბაბუაჩემი, დამწყები ლოცმანი, თავის ჟურნალში ინიშნავდა გემებს, რომლებზეც ემსახურა — სახელებს, დანიშნულების პუნქტებს, ესკიზებს.
მაგალითები 1884-დან:
თბომავალი ტაიგერი კაპ. როუენი 16 ფუტი ჰალი ევლე ფურუსუნდი
ორანძიანი ოუშენი კაპ. ანდერსონი 8 ფუტი სანდეფორდი ერნესანდი ფურუსუნდი
თბომავალი სანკტ“ პეტერბურგი კაპ. ლიბენბერგი 11 ფუტი შტეტინი ლიბაუ შანდჰამნი[2]

მას გაჰყავდა ეს გემები ბალტიის ზღვაში, წყლებისა და კუნძულების თავბრუდამხვევ
ლაბირინთებში.
და ვინც ერთმანეთს გემზე ხვდებოდა, ვინც ერთ გემბანზე ირწეოდა რამდენიმე დღით
თუ საათით,
თუ ასწრებდნენ ერთმანეთთან დაახლოებას?
საუბრები დამტვრეული ინგლისურით, გასაგებად, გაუგებრად, მაგრამ განზრახ
არვინ ცრუობდა.
თუ ასწრებდნენ ერთმანეთთან დაახლოებას?

მსუყე ნისლში: ნახევარსვლით, ნახევარბრმად. უხილავიდან ერთ ნაბიჯზე
უცაბედად ამოზრდილი რუხი კონცხები.
თითქმის ყოველ წუთს საყვირის ზმუილი. მისი თვალები თარგმნიდნენ უხილავს.
(თავში ჰქონდა ლაბირინთი?)
წუთი წუთს მისდევდა.
მას ახსოვდა ყველა რიფი და მეჩეჩი, როგორც ფსალმუნის საგალობლები.
და ეს განცდა — *ახლა აქ ვართ*, ამას უნდა ჩაეჭიდოს, როგორც პირთამდე სავსე
ვედროს, საიდანაც წვეთის დაღვრის უფლება არ აქვს.

ჩავიხედოთ სამანქანოში.
მრავალწახნაგა რთული ძრავი, ადამიანის გულივით გამძლე, მისი მძლავრი და
მოქნილი, ზამბარული მოძრაობები, ფოლადური აკრობატიკა, და
სუნები იფრქვევა ზემოთ, როგორც სამზარეულოდან.

---

[1] ბალტიის ზღვას შვედურად Östersjön ქვია, რაც სიტყვა-სიტყვით აღმოსავლეთის ზღვას ნიშნავს; პოემის სათაური, Östersjöar, ამ სახელწოდების მრავლობითი ფორმაა — აღმოსავლეთის ზღვები, ანუ — ბალტიის ზღვები, თუმცა ასეთი გეოგრაფიული ცნება არ არსებობს. არც ის უნდა ვივარაუდოთ, რომ პოეტი ზოგადად აღმოსავლეთით მდებარე ზღვებს გულისხმობს, რადგან კომპოზიტი Östersjöar მხოლოდ და კონკრეტულად ბალტიის ზღვებს გულისხმობს, ხოლო განზოგადების შემთხვევაში, ანუ ზოგადად აღმოსავლეთის ზღვების აღსანიშნად, ორ ფუძე-სიტყვად დაიშლებოდა და დაიწერებოდა როგორც Östers jöar. შესაბამისად, სათაური პირდაპირ კავშირშია პოემის შინაარსთან და ბალტიის *ერთი* ზღვის მრავლობითობაზე, უკეთ კი — გახლეჩილობაზე მიუთითებს. ანუ სათაურშივე ხდება ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი შრის, კერძოდ — პოლიტიკური ქვეტექსტის ხაზგასმა. პოემა იწერებოდა გასული საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე, ცივი ომის ფონზე, როცა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის გამყოფი რკინის ფარდა ბალტიის ზღვაზეც გადიოდა.

[2] ჰალი, ევლე, ფურუსუნდი, ჰერსენანდი, შანდჰამნი (შვედეთი), სანდეფორდი (ნორვეგია), შტეტინი (პოლონეთი), ლიბაუ, იგივე ლიეპაია (ლატვია) — პორტები ბალტიის ზღვაში.

II

ქარი დაქრის ფიჭვის ტყეში. გმინავს ხან მძიმედ, ხან მსუბუქად.
ბალტიის ზღვის გმინვაც წვდება შუაგულ კუნძულს. ტყეში შესული, თითქოს ზღვაში ხარ.
დედაბერს სძულდა ზუზუნი ტყეში, იძაბებოდა მისი სახე, როცა ქარი დაუბერავდა:
„უნდა გვახსოვდეს, ვინც ზღვაშია“.
მაგრამ მას რაღაც სხვაც ესმოდა ამ გმინვაში, როგორც მე მესმის — ერთი ჯიშის ვართ.
(ახლაც ერთად მივაბიჯებთ. ის ოცდაათი წლის მკვდარია.)
გმინვაში ისმის ჰო და არა, გასაგები, გაუგებარი.
გმინვაში სამი ჯანმრთელი ბავშვი. დღეს ერთი სანატორიუმში, ორიც მკვდარია.
უზარმაზარი საბერველი ერთ ღუმელში ცეცხლს რომ აქრობს, სხვას აღვივებს. გარემოებები.
გმინვა: მიშველე, ღმერთო, წყალი უკვე მუცელს ამოცდა.
შენ გზას განაგრძობ, აყურადებ, და უახლოვდები ადგილს, სადაც საზღვრები იშლებიან,
ან უარესი —
ყველაფერი იქცევა საზღვრად. ღია მოედანი, წყვდიადში დანთქმული. ხალხი გამოდის
მიმდებარე სხივნაკლული შენობებიდან. ჩურჩული.

ქარის ერთი შემობერვაც — მოედანზე აღარავინ, ისევ სიჩუმე.

ქარის ერთი შემობერვაც, გმინვა გაღმა ნაპირიდან,
ომის ამბები.
ამბები შორი მიწებიდან, სადაც ხალხს თვალყურს ადევნებენ,
სადაც ფიქრები სათადარიგო გასასვლელით სარგებლობენ,
სადაც ყოველი საუბარი მეგობრებს შორის არის გამოცდა მეგობრობის, როგორც ასეთის.
მაგრამ თუ მოხვდი უცნობებში? გარკვეული გულწრფელობა დასაშვებია,
ოღონდ თვალი უნდა გეჭიროს, ხომ არაფერი ილანდება საუბრის კიდეზე: რაღაც
მუქი, მუქი ლაქა.
რაღაც, რასაც შეუძლია შემოიჭრას
და ყველაფერი დაანგრიოს. თვალი გეჭიროს!
რასთან შეგვიძლია მისი შედარება? ნაღმთან? არა,
ეს მეტისმეტად გასაგები იქნებოდა, და მეტისმეტად უწყინარიც — ნაღმებთან
დაკავშირებული ყველა ამბავი ჩვენს ნაპირებზე ბედნიერად მთავრდებოდა, ხანმოკლე შიშით.
როგორც ის შემთხვევა მცურავ შუქურასთან: „არავის გვქონდა მშვიდი ძილი 1915
წლის შემოდგომაზე...“ შეინიშნა მცურავი ნაღმი,
როცა იგი შუქურასკენ მიტივტივებდა, დაყვინთავდა, ამოყვინთავდა, ტალღას
მიეფარებოდა, ისევ ჩნდებოდა, როგორც ჯაშუში ხალხის ნაკადში.
ეკიპაჟი დაიძაბა, ცეცხლი გახსნეს. უშედეგოდ. ბოლოს წყალში ნავი ჩაუშვეს და ნაღმი
თოკით გამოაბეს, დიდხანს და ფრთხილად მიათრევდნენ ნაპირისკენ, გამნაღმველებთან.
შემდეგ ნაღმის რუხი მასრა, როგორც სამკაული, მოათავსეს ქვიშით სავსე
უზარმაზარ საყვავილეში
ვესტ-ინდოეთის გიგანტური სტრომბუსების[3] ნიჟარებს შორის.

და ზღვის ქარი გზას მიიკვლევს ხმელ ფიჭვებში, გადაუქროლებს ტაძრის ეზოს
და დაქანებულ საფლავის ქვებს ლოცმანების სახელებით.
ხმელი გმინვა
კარის, რომელიც იღება და იხურება, იღება და იხურება.

[3] გიგანტური სტრომბუსი — მოლუსკების ნაირსახეობა, გავრცელებული ატლანტიკის ოკეანის დასავლეთ ნაწილში, კარიბის ზღვის არქიპელაგის მიმდებარედ.

III

გოტლანდის[4] ტაძრის ნახევარბნელში, ცვარივით სუსტად მოციმციმე
ქვიშაქვის ტვიფრი — XII საუკუნე — ქვისმთლელის სახელი
ჯერაც იკითხება, ამომჭვირვალე
როგორც საერთო საფლავიდან კბილების რიგი:
HEGWALDR
სახელი შეინახა. მისი ნახატები
აქაცაა, სხვა კედლებზეც, ყველგან ხალხი, ყველა ცდილობს ქვიდან გამოსვლას.
სიკეთით და ბოროტებით დავსებული თვალისკაკლები.
ჰეროდე ვახშმობს: შემწვარი მამალი აფრინდა ყივილით Christus natus est[5] — მსახური ჩაქოლეს.
იქვე ბავშვი იბადება. მას დაჰყურებს თაიგული ისეთივე ღირსეული და უმწეო
სახეების, როგორიც აქვთ ჩვილ მაიმუნებს.
იქვე დრაკონის-ქერცლიანი ქვაფენილები, ხახასავით გაპობილი წყალსადენები
იმეორებენ გაქცეული მლოცველების ფეხისხმის ექოს.
(გახსენებული სურათები ბევრად უფრო მოქმედებენ, ვიდრე მაშინ, როცა ხედავ, და
კიდევ უფრო,
როცა ქოთანი ბრუნვას იწყებს შენს ხსოვნაში, როგორც ნელი, მოხრიგინე კარუსელი.)
არსადაა ქარსაცავი. ყველგან ხიფათი.
როგორც იყო. როგორც არის.
მხოლოდ მასშია სიმშვიდე, ქოთანში, წყალში, რომელსაც ვერავინ ხედავს,
გარედან კი, მის კედლებზე, ბრძოლა მძვინვარებს.
სიმშვიდე მოდის წვეთ-წვეთობით, შესაძლოა, ეს ხდება ღამით,
როცა არ ვიცით არაფერი,
ან როცა ვწევართ პალატაში, წვეთოვანზე მიერთებული.

ხალხი, მხეცები, ორნამენტები.
არავითარი პეიზაჟი. ორნამენტები.

მისტერ B, სასიამოვნო თანამგზავრი, ემიგრანტი,
კუნძულ რობენს ეს-ესაა თავდაღწეული[6], ამბობს:
„როგორ მშურს თქვენი. მე ვერ ვგრძნობ ბუნებას.
მაგრამ ადამიანები ხედის ფონზე — ეს რაღაცას მეუბნება“.

აი ადამიანები ხედის ფონზე.
ფოტოსურათი (1865). თბომავალი სრუტეში, ნაპირთან.
ხუთი ფიგურა. ქალი ნათელ კრინოლინში, როგორც ზარი, როგორც ყვავილი.
კაცები, როგორც სტატისტები პროვინციულ წარმოდგენაში.
ყველა მათგანი ლამაზია, გაუბედავი, სადაცაა წაიშლებიან.
ნაბიჯს წადგამენ ნაპირისკენ. წაიშლებიან.
გემის გადაშენებული სახეობა —
მაღალი მილი, სამზევე ტენტი, ვიწრო იალქანი —

---

[4] გოტლანდი — კუნძული შვედეთში.
[5] Christus natus est nobis, venite adoremus (ლათ.) — „ქრისტე იშვა ჩვენთვის, ვადიდოთ იგი“ — სიტყვები საშობაო საგალობლიდან.
[6] „მისტერ B, სანდომიანი თანამგზავრი, ემიგრანტი, კუნძულ რობენს ეს-ესაა თავდაღწეული“ — იგულისხმება პოეტი იოსიფ ბროდსკი, რომელიც სწორედ იმ წლებში გააძევეს საბჭოთა კავშირიდან, როცა „ბალტიის ზღვები“ იწერებოდა. რაც შეეხება კუნძულ რობენს, მას სიმბოლური დატვირთვა აქვს: ესაა პატარა კუნძული სამხრეთ აფრიკაში, რომელიც ჯერ ჰოლანდიელმა, შემდეგ კი ინგლისელმა კოლონიალისტებმა ღია სატუსაღოდ აქციეს, სადაც განსაკუთრებით საშიშ პოლიტიკურ დამნაშავეებს ათავსებდნენ. კუნძული ციხის ფუნქციას XX საუკუნის მიწურულამდე ითავსებდა. მრავალი ცნობილი ტუსაღის მსგავსად, 1962-დან 1990 წლამდე სწორედ რობენზე იხდიდა სასჯელს ნელსონ მანდელა.

სრულიად უცხო, როგორც წუთის წინ დაშვებული ამოუცნობი ობიექტი.
სხვა ყველაფერი ამ ფოტოზე შოკისმომგვრელად ნაცნობია:
წყლის ტალღოვანი ზედაპირი,
გაღმა ნაპირი —
თითქოს ხელით შეეხები ხორკლიან კონცხებს,
თითქოს გესმის ფიჭვების გმინვა.
ეს ახლოა. ეს
დღესაა.
ტალღები ისევ ძალაშია.

ახლა, ასი წლის შემდეგ. ტალღები მოიგრაგნებიან უცნობი წყლებიდან
და ეხეთქებიან ლოდებს.
მე ვსეირნობ სანაპიროზე. სანაპიროზე სეირნობა ის აღარაა, რაც იყო ადრე,
ბევრ რამეს უნდა ითავსებდე, ერთდროულად წარმართავდე მრავალ საუბარს,
ადამიანის კედლები მყიფეა.
ჩვეულებრივი ჩრდილის გარდა, ყველაფერმა შეიძინა ახალი ჩრდილი,
წყვდიადშიც გესმის მისი ხახუნი.

ღამე.

ბრუნავს ლოკატორი. სტრატეგიული პლანეტარიუმი. ლინზები მიშტერებიან წყვდიადს.
ღამის ცა სავსეა რიცხვებით. ისინი შეისრუტებიან
მოციმციმე დანადგარში,
ნივთში,
სადაც შეკუმშულა ენერგია მილიონობით კალიისა, რომლებიც ნახევარ საათში
გახრავდნენ სომალის ჰექტარებს.

არ ვიცი სად ვართ, გზის დასაწყისში თუ ბოლოში.
შეჯამება ვერ ხერხდება. შეჯამება შეუძლებელია.
შეჯამება მანდრაგორაა
(იხ. ცრურწმენათა ლექსიკონი:
მანდრაგორა
სასწაულმოქმედი მცენარე,
რომელიც, როცა მიწიდან გლეჯენ, ისეთ საზარელ ხმას გამოსცემს,
ადამიანი იქვე კვდება. ამას ძაღლი აკეთებდა[7].)

IV

ქარის მხრიდან.
მსხვილი პლანით.

პარკუჭოვნები. წყალმცენარეების ტყეები ბზინავენ გამჭვირვალე წყალში, სრულიად
ნედლები, გინდა გადასახლდე მათთან, გაწვე საკუთარ ანარეკლზე და
ნელ-ნელა დაიძირო — ღეროებს მაღლა ეწევიან ჰაერით სავსე
პარკუჭები, როგორც ჩვენ ვკიდივართ საკუთარ აზრებზე.

[7] მანდრაგორა — იგივე მანდრეიკი, შხამიანი ბალახოვანი მცენარე ძაღლყურძენასებრთა ოჯახიდან, იყენებენ მედიცინაში, ხასიათდება ნარკოტიკული ზემოქმედებით. ძველ დროში ითვლებოდა უშვილობის წამლად. ასევე სჯეროდათ, რომ მიწიდან მოთხრისას მისი ფესვი მომაკვდინებელი ხმით წიოდა, ამიტომ ასეთ წესს მიმართავდ-ნენ: ადამიანი ფესვის გარშემო ჯერ მიწას მოთხრიდა, შემდეგ მცენარის ღეროს ძაღლს აბამდა ფეხზე თოკით, თავად მოშორებით დგებოდა და ძაღლს უხმონდა.

ხარისთავა. თევზი, რომელმაც მოინდომა პეპლად ქცევა და მხოლოდ ერთი
მესამედით აისრულა საწადელი, იმალებოდა ზღვის ბალახში, მაგრამ
ამოათრიეს ზემოთ, როცა ბადეში გაიხლართა პათეტიკური ულვაშით
და მარწუხებით — თუ მას ბადიდან გამობლანდავ, გაიბრწყინებს
ხელებზე ლორწო.

სიპი ლოდი. ჭიაღუები ფუსფუსებენ მზით გამთბარ ხავსზე, სწრაფად, როგორც
წამმზომი ისარი — საათის დიდი ისარივით ნელა ბრუნავს ფიჭვის
ჩრდილი — ჩემში დრო გუბდება, აურაცხელი დრო გუბდება, სამყოფი,
რათა დავივიწყო ყველა ენა და გამოვიგონო პერპეტუმ-მობილე.

ქარის მხრიდან გაიგონებ, როგორ იზრდება ბალახი: სუსტი გუგუნი მიწიდან, სუსტი
შიშინი უამრავი გაზის ჩირაღდნის, აი, რას ნიშნავს გაიგონო, როგორ
იზრდება ბალახი.

აქ და ახლა: ზღვის მასივები, არსად კარი, ღია საზღვარი,
რომელიც მით უფრო მეტად ღიავდება,
რაც უფრო მეტხანს აკვირდები.

არის დღეები, ბალტიის ზღვა უწყინარი უკიდეო სახურავია.
შენს გულუბრყვილო ოცნებებში მასზე ვიღაც აცოცდება და გამონასკვავს
დროშისტარის აბურდულ თოკებს,
რათა მაღლა აღმართოს
ჩვარი —

დროშა, იმდენად დაძენძილი ქარისაგან, და კვამლისგან გაჭვარტლული, და მზისაგან
გახუნებული, რომ შეიძლება ყველას ეკუთვნოდეს.

მაგრამ შორია ლიეპამდე[8].

V

30 ივლისი. დღეს სრუტე ახირებულია — პირველად მთელი წლის მანძილზე სავსე არის
მედუზებით, რომლებიც ზანტად მიაცურებენ თავისთავს წინ, ყველანი
მიეკუთვნებიან ერთ სახომალდე კომპანიას: *აურელია*[9], — ტივტივებენ,
როგორც წყალზე ყვავილები, როცა ზღვაში ვინმეს მარხავენ; თუ მათ
წყლიდან ამოიყვან, მყისიერად კარგავენ ფორმას, როგორც
გამოუთქმელი ჭეშმარიტება, დუმილიდან გამოსული, ფორმულირდება
უსახო ჟელედ; უთარგმნელები, მათ ესმით მხოლოდ ერთი სტიქია.

2 აგვისტო. რაღაცას უნდა გამოითქვას, მაგრამ სიტყვები გაჯიუტდნენ.
რაღაც, რაც ვერ ითქმის,
აფაზია[10],
არცერთი სიტყვა, თუმცა, შესაძლოა, სტილი...

---

[8] ლიეპა — იგივე ლიეპაია, იგივე ლიბაუ (იხ. ბალტიისპირა პორტების ჩამონათვალი პოემის I თავში), — საპორტო ქალაქი ლატვიაში.
[9] აურელია — Aurelia aurita, მედუზის ნაირსახეობა, ითვლება თავისი ოჯახის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ წარმომადგენლად.
[10] აფაზია — მეტყველების უნარის სრული ან ნაწილობრივი მოშლა, რაც თავის ტვინის დაზიანების შედეგია. ავადმყოფს დაკარგული აქვს სიტყვებისა და ფრაზების საშუალებით აზრის გადმოცემის უნარი.

ხდება, გაგეღვიძება ღამით
და რამდენიმე სიტყვას ჩაიწერ
ქაღალდის ნახევზე, გაზეთის მინდორზე
(სიტყვები აზრებს ასხივებენ!)
მაგრამ დილით: იგივე სიტყვები არაფერს ამბობენ, ბოდვა, აბდაუბდა,
იქნებ ფრაგმენტი ღამეული მაღალი სტილის, რომელმაც გვერდით ჩაგიარა?

მუსიკა მიდის ადამიანთან. ის კომპოზიტორია, მას ასრულებენ, იკეთებს კარიერას,
ხდება კონსერვატორიის დირექტორი.
კონიუნქტურა შეიცვალა, კომპოზიტორს ასამართლებს ხელისუფლება.
მთავარ ბრალმდებლად გვევლინება მისი ყოფილი მოწაფე K.
მუქარა, შევიწროვება, დევნა.
რამდენიმე წელი გადის. ზეწოლამ იკლო, რეაბილიტირდა.
შემდეგ: სისხლის გაჟონვა ტვინში. მარჯვენა გვერდის დამბლა, აფაზია. აღიქვამს
მხოლოდ მოკლე ფრაზებს, ლაპარაკისას სიტყვები ერევა.
ვერც ხოტბა წვდება, ვერც ქილიკი.
მაგრამ მუსიკა არ წასულა, ისევ თხზავს თავის ჩვეულ სტილში.
სამედიცინო სენსაცია — სიცოცხლის ბოლომდე.

თხზავდა მუსიკას ტექსტებისთვის, რომელთა აზრი აღარ ესმოდა.
სწორედ ასე
ჩვენ რაღაცას გამოვხატავთ ჩვენი ცხოვრებით
შეცდომით ნათქვამი სიტყვების ზუზუნში.

სიკვდილის ლექციები რამდენიმე სემესტრს გაგრძელდა. მე მათ ვესწრებოდი
და არავინ გამიცვნია
(ბოდიშით, ვინ ხართ?)
შემდეგ ყველა თავისი გზით მიდიოდა. პროფილები.

მე ავიხედე ცისკენ, დავხედე მიწას, გავიხედე წინ
და მას შემდეგ ვწერ ვრცელ წერილს გარდაცვლილებს
საბეჭდ მანქანაზე ლენტის გარეშე: ჰორიზონტის ხაზის გასწვრივ
მიკაკუნობენ სიტყვები ამაოდ, არაფერი რჩება ქაღალდზე.

ხელი შევაყოვნე კარის სახელურზე, შევამოწმე სახლის პულსი.
კედლები სავსეა სიცოცხლით
(ბავშვებს ეშინიათ პატარა ოთახში მარტო დაძინების — მათ ის აფრთხობთ, რაც მე
მამშვიდებს.)

3 აგვისტო. ნამიან ბალახზე მოცოცავს
მოკითხვა შუასაუკუნეების წიაღიდან: ვაზის ლოკოკინა,
დახვეწილი მონაცრისფრო-მოყვითალო ლოკოკინა მოქანავე სახლით ზურგზე,
მოშენებული ბერების მიერ, რომელთაც უყვარდათ *ესკარგო*[11] — დიახ, აქ იყვნენ
ფრანცისკანელები,
ქვის მტეხავები, კირის მწველები, ვისაც კუნძული გადაეცათ 1288-ში როგორც
წყალობა მეფე მაგნუსის[12]

---

[11]ესკარგო (Escargots) — ლოკოკინას ხორცისაგან დამზადებული კერძი, ფრანგული სამზარეულოს დელიკატესი.
[12]ორიგინალში: Tessa almoso ok andra slika / te möta honom nw i hymmerike (ძვ. შვედური) — სტრიქონები შვედური საეკლესიო ადათების წიგნიდან, კერძოდ — მეფე მაგნუსის ქრონიკებიდან, რომელიც ლექსადაა დაწერილი და დაახლოებით ასე ითარგმნება: "ზეციური წყალობა და ძღვენი დაგვიცავს ცოდვილობისგან".

(მოგვეც ჩვენ, ცოდვილთა, ძღვენი / იყავნ წყალობა შენი).
ტყე იჭრებოდა, ენთო ღუმელი, კირს ხომალდებით აგზავნიდნენ მონასტრების ასაგებად...
ლოკოკინა, ჩემი ტყუპისცალი,
თითქმის გაქვავდა ხშირ ბალახში, მხოლოდ საცეცებს შლის და იწოვს,
შლის და იწოვს, დაძაბული, დაეჭვებული...
და როგორ მგავს ჩემს ძიებებში!

ქარი, მთელი დღე მონდომებით რომ უბერავდა
— მიმდებარე კუნძულებზე დათვლილია ყველა ღერო ყველა ბალახის —
შუაკუნძულზე მიესვენა. გაიმართა ასანთზე ალი.
ტყის ქსოვილი და ზღვის ქსოვილი ერთად მუქდება.
უშავდებათ სართულოვან ხეებს ფოთლები.
„ყველა ზაფხული უკანასკნელია“ — რა ფუჭია ეს სიტყვები
ნებისმიერი სულდგმულისთვის ზაფხულის ღამეში,
სადაც ჭრიჭინები გამეტებით აჟღერებენ საკერავ მანქანებს
და ზღვა ახლოა,
მარტოსული სარწყავი მილი ამოიფრქვა ასკილებს შორის,
როგორც მხედარი. წყალს რკინის გემო აქვს.

VI

ბებიაჩემის ისტორია, ვიდრე დავივიწყებ. მშობლები ადრე დაიხოცნენ,
პირველად მამა. როცა ქვრივს ესმის, რომ სნეულება მასაც წაიყვანს,
ის დაიარება სახლიდან სახლისკენ, კუნძულიდან კუნძულისკენ
გოგოსთან ერთად. „ვის გინდათ მარია?“ უცხო სახლი არხის გადაღმა,
იქ იღება მისთვის კარი. მათ აქვთ ამის შესაძლებლობა.
შესაძლებლობა არ ნიშნავს სიკეთეს. ღვთისნიერების ნიღაბი იმსხვრევა.
მარიას ბავშვობა ვადამდე სრულდება, ის უხელფასო მოახლეა
სრულ სიცივეში. წლები გადის. ზღვის ავადმყოფობა
ყოველდღიურად ნავზე რწევით. საზეიმო ტერორი სუფრასთან,
მზერები, თავის გაქნევები, ქარიყლაპიას ქერქი ჭრიალებდა
კბილებში: უნდა გვიმადლოდე, უნდა გვიმადლოდე.
არასდროს იხედებოდა უკან
და ამიტომაც შეეჩვია ახლის დანახვას
და მთელი ძალით ჩაჭიდებას,
ალყა გაირღვა!

მე ის მახსოვს. მე მას ვეკვროდი
და სიკვდილის წუთს (გადასვლის წუთს?) მან გამოგზავნა ჩემსკენ ფიქრი
და მე, ხუთი წლის, მივხვდი, რაც მოხდა
დარეკვამდე ნახევარი საათით ადრე.
მე ის მახსოვს. მაგრამ შემდეგ ბნელ ფოტოზე
უცნობი კაცი —
ჩაცმულობით თუ ვიმსჯელებთ, ეს გასული საუკუნის შუაწელია.
იქნება სადღაც ოცდაათის: ხშირი წარბები,
სახე, რომელიც დაჟინებით შემომყურებს
და ამბობს: „მე ვარ“.
ვინ „მე“ —
უკვე ვეღარავინ ამოიცნობს. ვეღარავინ.

ჭლექი? გარიყვა?

ერთხელ, ზღვიდან მომავალი,
ის შეჩერდა ალაგ-ალაგ შემწვანებულ ხრიოკ ფერდობზე
და შავი ლენტი იგრძნო თვალებზე.

აი ის ქოხი ბარდების მიღმა, ის კუნძულის უძველესი ნაგებობაა?
ორასწლოვანი დაბალი ქოხი, მეთევზეების თავშესაფარი, ნაგები რუხი, მძიმე მორებით,
რომლებსაც თითქოს ჩამოშლისგან აკავებდეს ახლებური თითბრის ბოქლომი,
მოელვარე, როგორც სალტე მომაკვდავი ხარის ნესტოში,
რომელიც მიწვა და ადგომას აღარ აპირებს.
რამდენი ხეა წაქცეული! მორღვეული სახურავის დაცურებული კრამიტები,
ერთმანეთზე შეცოცებული
(პირვანდელი განლაგება დედამიწის ბრუნვამ არია)
თითქოს რაღაცას მახსენებდეს... ნამყოფი ვარ... ძველისძველი ებრაული სასაფლაო
პრაღის მახლობლად,
სადაც მკვდრები გაცილებით მჭიდროდ ცხოვრობენ, ვიდრე უწევდათ სიცოცხლეში,
და ქვებიც მჭიდროდ, მჭიდროდ, მჭიდროდ.
რამდენი ალყაშემორტყმული სიყვარული! და დამტვრეული კრამიტები ხავსის
ამოუკითხავი მინაწერებით
იგივეა, რაც გეტოში კუნძულელთა საფლავის ქვები, რომლებიც იდგნენ და დაემხნენ,
იდგნენ, დაემხნენ. —
ქოხი უცებ ნათდება მათით,
ვინც რომელიღაც ქარმა მოაგდო, რომელიღაც ტალღამ მორიყა
აქ, საკუთარ ბედისწერამდე.

თარგმნა ***ზვიად რატიანმა***

თანამედროვე ინგლისურენოვანი პოეტი ქალები

ენე კარსონი

კანადელი პოეტი, მთარგმნელი და ესეისტი დაიბადა 1950 წელს. მის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცეს ჰაროლდ ბლუმმა და სუზენ ზონტაგმა. ის არის ფუშქარდის, გრიფინისა და ელიოტის პრემიების ლაურეატი. 2005 წელს მიიღო კანადის ორდენი. ასევე, მიღებული აქვს სხვა მრავალი ლიტერატურული პრემია და ჯილდო.

შუშის ესსე

(ნაწყვეტი)

I

სიზმარში წკაპუნი მესმის.
ღამე ვერცხლის ონკანიდან
ზურგზე წვეთ-წვეთად ჩამომდის.
დილის 4-ზე ვიღვიძებ. ვფიქრობ

კაცზე, რომელმაც
სექტემბერში მიმატოვა.
ლო ერქვა.

ჩემს სახეს აბაზანის სარკეში
თეთრი ზოლები გასდევს.
სახეს ვიბან და საწოლში ვბრუნდები.
ხვალ დედასთან მივდივარ.

ის

ის ცხოვრობს ჭაობზე ჩრდილოეთით.
ის ცხოვრობს მარტო.
იქ გაზაფხული სამართებელივით იშლება.
მთელი დღე მატარებლით ვმგზავრობ და თან ბევრი წიგნი მიმაქვს —
ზოგი დედასთვის, და ზოგი ჩემთვის,
მათ შორის ემილი ბრონტეს *რჩეულიც.*
ისაა ჩემი საყვარელი ავტორი

და ჩემი მთავარი შიშიც,
რომელიც უნდა დავამარცხო.
ყოველთვის, როცა დედასთან ვარ,
ვგრძნობ, რომ ემილი ბრონტე ვხდები,

ჩემს ირგვლივ ჩემი ეული ცხოვრება ჭაობივით,
ჭაობზე ჩემი ტლანქი სხეული შეცვლილი მზერით დააბოტებს,
მზერით, რომელიც კვდება როგორც კი სამზარეულოს კარში ვჩნდები.
ემილი, რა ხორცია ის, ჩვენ რომ გვჭირდება?

სამნი

სამი მდუმარე ქალი სამზარეულოს მაგიდასთან.
დედაჩემის სამზარეულო ბნელია და პატარა, მაგრამ ფანჯრის იქით
ჭაობია, ყინულით დადამბლავებული.
ყველგან ჭაობია, სადაც კი თვალი გაწვდება

ბრტყელი კილომეტრებიდან მყარ, უსინათლო თეთრ ცამდე.
მე და დედა სალათის ფოთლებს გულმოდგინედ ვღეჭავთ.
სამზარეულოს საათი გამოსცემს დაგლეჯილ ზუზუნს, რომელიც

წუთში ერთხელ ახტება თორმეტს.
216-ე გვერდზე გადაშლილი ემილი საშაქრეზე მიდევს
და მალულად დედას ვუყურებ.

შიგნიდან ათასი შეკითხვა მეჯახება თვალებზე.
დედაჩემი თავის სალათის ფოთოლს იკვლევს.
217-ე გვერდზე გადავდივარ.

„სამზარეულოში შევვარდი და შევეჯახე ჰერტონს
რომელიც ლეკვებს კიდებდა
სკამის ზურგზე შესასვლელში...“

ეს ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ჩვენ ყველანი დაგვკიდეს შუშის ატმოსფეროში.
აქა-იქ წარწერა დაჰყვება შუშას.
უკანა ნაწილზე კი ფასები. არაა კარგი ნესვი,

ჯერ ძალიან ადრეა ნესვისთვის.
დალაქმა ქალაქში იპოვა ღმერთი, სალონს ყოველ სამშაბათს კეტავს.
თაგვები ჩაისტილოს უჯრაში ისევ.
პატარა გუნდები. ხელსახოცების

დაღრღნილი კუთხეები, მათ რომ იცოდნენ
რა ღირს დღეს ქაღალდის ხელსახოცი!
ამაღამ წვიმა.

ხვალ წვიმა.
ის ვულკანი ფილიპინებზე ისევ იღვიძებს. იმას რა ქვია
ანდერსონი მოკვდა არა შირლი კი არა

ოპერის მომღერალი. ზანგი ქალი.
კიბო.
რატომ არ ჭამ, არ გიყვარს წიწაკა?

ფანჯრიდან ვხედავ, როგორ დასტრიალებენ მკვდარი ფოთლები მიწას
და ფიჭვის წიწვებში გადაზელილ თოვლის ნარჩენებს.
შუა ჭაობში

სადაც მიწა ღრმად ეფლობა დეპრესიაში,
ყინული უკვე ლღობას იწყებს,
შავად გადახსნილი წყალი

ბრაზივით აჭრილი მოედინება. უცებ დედა ამბობს:
ის ფსიქოთერაპია მგონი ბევრს არას გშველის?
ვერ დაივიწყე.

დედაჩემი ყველაფერს თავისებურად აფასებს.
დიდად არასოდეს ყვარებია ლო,
მაგრამ მოსწონდა თავად ფაქტი, რომ კაცი მყავდა და ცხოვრებასაც ვუმკლავდებოდი.

ის წამლებია, შენ კი გამლები, იმედია, მაინც შეეწყობით,
მხოლოდ ეს იყო, რაც თქვა მისი გაცნობის შემდეგ.
წაღება და გაღება მაშინ მხოლოდ სიტყვები იყო

ჩემთვის. მანამდე არასოდეს მყვარებია.
გორგოლაჭებით მთიდან დაბლა დაშვებას ჰგავდა.
მაგრამ ამ დილით, როცა დედას ეძინა

ხოლო მე კი *ქარიშხლიან უღელტეხილს* ვკითხულობდი,
იმ ადგილს, სადაც ჰიტკლიფი ქარიშხალში გისოსებს ებღაუჭება და მოთქვამს,
შემოდი! შემოდი! ევედრება სატრფოს აჩრდილს,

მუხლებზე დავეშვი და მეც ავქვითინდი.
მან იცის, როგორ დაკიდოს ლეკვები,
ემილიმ იცის.

იცით, ეს არ ჰგავს ასპირინის გადაყლაპვას, ძლივს გასაგონად ვუპასუხე.
დოქტორი ჰაუ ამბობს, რომ გლოვა ხანგრძლივი პროცესია
და იღუშება. *რას მივაღწევთ*

წარსულის ქექვით?
ოჰ — ხელებს ვშლი ფართოდ,
მე ამას დავძლევ! და პირდაპირ თვალებში ვუყურებ.
ის კი იცინის: *შენ ამას დაძლევ.*

მერი რუფლი

ამერიკელი პოეტი და ესეისტი დაიბადა 1952 წელს. არის თერთმეტი პოეტური კრებულის ავტორი. მისმა კრებულებმა მრავალი ლიტერატურული პრემია და ჯილდო დაიმსახურა.

რუფლის შემოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი ნაწარმოებები სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალებში იბეჭდება და შესულია ამერიკული თანამედროვე პოეზიის ანთოლოგიებში. 2011 წელს მერი რუფლის პოეტური კრებული უილიამ კარლოს უილიამსის ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა.

მორევი

კლასში ბნელა, მერხებთან არავინ ზის
და დაფაზე წინადადებას შეეშინდა, როცა მარტო
დარჩა. წინადადებას უნდა, რომ ის ვინმემ
წაიკითხოს, წინადადება ფიქრობს, რომ ის მშვენიერი
წინადადებაა, კეთილშობილი, სრულყოფილი
წინადადება, შეიძლება, მნიშვნელოვანი წინადადებაც კი,
დიახ, შექმნილი ცარცის მტვრისგან, მაგრამ წინადადება,
რომელიც თავის თავში გარკვეულ მორევს შეიცავს,
მაგრამ არა განსხვავებულს უცნობი სამყაროს
ბუნდოვანი გულისგან. თუმცა, თუ მას არავინ წაიკითხავს,
როგორ უნდა დარწმუნდეს ამაში? შეიძლება, ის
მოსაწყენი წინადადებაა და ამიტომ დატოვა
ყველამ და შუქიც ჩააქრეს. ღამე მოვიდა და მასთან
ერთად მოვიდა მთვარეც. წინადადება დაფაზე კაშკაშებს.
მშვენიერი სანახავია, მაგრამ არავინ მას არ კითხულობს.

ბედნიერების ხელოვნება

ისე სუსტად ვარ, ვერ ვლაპარაკობ,
ამიტომ გწერ.
წყალს ვერ მომიტან?
ორ ნაბიჯსაც ვერ ვდგამ ონკანამდე.
ხელს ბედნიერების ხელოვნება მიშლის.
წყალს რომ მომიტან,
დარწმუნდი, რომ ჭიქაში ასხია,
წყალი ჯობია ჭიქაში იყოს, ვიდრე
წყაროში და ოკეანისკენ მიექანებოდეს.
ესაა ბედნიერების ხელოვნება.
ვაი, რომ ერთ დღეს წყალი დატოვებს ჭიქას,
მაგრამ ჯობია წყალი სხეულში იყოს,
ვიდრე წყაროში და ოკეანისკენ მიექანებოდეს.
ვაი, რომ ერთ დღეს ის დატოვებს სხეულს
მაგრამ ამაზე არ იდარდო ახლა.
ესაა ბედნიერების ხელოვნება.
როცა წყალი ჩვენში შემოდის, გემრიელი
ხდება, გზაზე რაც ხვდება, ყველაფერი უნდა წალეკოს,
ის აყალიბებს აზრს და შემდეგ გამოხატავს მას,
ის ხედავს იმას, რაც სხვას არასოდეს უნახავს.

როგორც ხედავ, სიხარულისგან ვკვდები.
გთხოვ, უთხარი ქირურგს, მოვიდეს
და ამომაჭრას ეს დღე —
არ მინდა ბედნიერებისგან სიკვდილი.
რა არის შენთვის ერთი ჭიქა წყალი?
რა არის შენთვის ერთი-ორი სატელეფონო ზარი?

ჯულიანა ბეგოტი

პოპულარული მწერალი, პოეტი და ესეისტი, ფლორიდის შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, 18 წიგნის ავტორი. მისი ერთ-ერთი ნოველის მიხედვით 2000 წელს ფილმი გადაიღეს. ის არის Delaware Division of Arts, Virginia Center for the Creative Arts, Ragsdale Foundation სტიპენდიანტი.

პირველი ორსულობა

ჩემში ბავშვი ვერ წარმოვიდგინე.
ბავშვის ნაცვლად, წარმომედგინა პეიზაჟი,
საკუთარ თავში ჩაკეტილი ოკეანე,
მოძრავი მთა, მინდორი,

რომელიც იშლებოდა და იკეცებოდა,
ერთი სიტყვით, ცოცხალი რუკით დაპყრობილი ჩემი სხეული.
მაშინაც კი ვერ დავიჯერე, რომ
ღმერთმა წყალობა მოიღო ჩემზე,

როცა ქვემოდან მისი ხელი დამეტყო,

ხუთი თითის ანაბეჭდი,
ცხადი, როგორც თაბაშირის პატარა ყალიბი.
ურწმუნო ვარ, თომასავით,

მჭირდება სხეული, აუცილებლად უნდა დავინახო,
როგორ ჭამს ქრისტე თეთრ თევზს,
როგორ იჩიჩქნის კბილებს თევზის ფხით,
ხელები მისი სისხლით უნდა დამესვაროს.

მუცლის მოშლის შემდეგ

ვცდილობ, არ ვიფიქრო, რომ სამოთხე მეხსიერებაა.
ბავშვს არაფერი უნახავს გარდა
მასზე გარშემოტყმული ჩემი სხეულის
ცისა და შავი წყლებისა,
ჩემი სისხლის ყბედობისა და
გულის მოუწესრიგებლობისა,
თავისი გულით მიწოდებული
სისხლის პირველი ნაკადებისა
და საკუთარი უწონო ფუსფუსისა. ამ ყველაფრის ნაცვლად, თვალწინ მიდგას
ყვავილები, რომლებსაც ახლა ბავშვებივით ვეალერსები,
ვხედავ, როგორ იხრებიან ისინი ქარში, ღამითაც კი,
როცა ერთმანეთს ვესიყვარულებით, ვხედავ,
როგორ ირხევიან მკრთალად მოციმციმენი.
ბავშვიც სულ იქაა,
წარმოიდგინე მისი ცერა თითის ზომა, როგორ ცურავს
ახლა უკვე შიგნიდან მოკაშკაშე,

მისი ელვარე სხეული
მბზინვარე კანის ქვეშ,
კვირტი კი არა,
გასაშრობად დადებული, სუსტი და მყიფე,
არამედ ცვალებადი ყვავილი, ზმანება,
ზემოთ მარად მოლივლივე, მარად გაოცებული.

ჯილ ალექსანდერ ეზბაუმი

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოეტია. როგორც თავად აღნიშნავს, ის ძირითადად წერს სამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე: ღმერთზე, სექსსა და სიკვდილზე. ჯილ ალექსანდერ ეზბაუმი რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი და სხვადასხვა ლიტერატურული პრემიის ლაურეატია.

აღდგომა

ჩემი დამარცხების
დროა.

თუმცა ირგვლივ
ყველაფერი ამწვანებულია

და სიკვდილიც
დათრგუნულია,

მე თავს მარტო ვგრძნობ.
თითქოს

საფლავიდან
გადაგორებული ქვა

ჩემი ოთახის კარს
მიაყუდეს,

და ყველა ვინც კი
ოდესმე მყვარებია,

ბედნიერად ცხოვრობს
ოღონდ

ჩემგან შორს.
და ყოველ ჯერზე

იესოს აღდგომა
მახსენებს

ერთ ურყევ
ფაქტს:

ისინი უკან
არ ბრუნდებიან.

ლექსი

სუსხიან კლიმატში
კლემენტინი
დამჟავდება.
კროკუსი
ამტანია,
არ გაიშლება,
როგორც ნიჟარა,
რომელსაც მარგალიტი გამოუმწყვდევია,
ხელშეუხებელი.
გული,
რომელსაც ყველაფერი
ყელში ამოუვიდა,
არასოდეს გაიღება.

ჯეინ ჰიშფილდი

ამერიკელი პოეტი, ესეისტი და მთარგმნელი. დაიბადა 1953 წელს. 2004 წელს ჯეინ ჰიშფილდს მიენიჭა ამერიკელ პოეტთა აკადემიის სპეციალური პრემია, 2006 წელს იყო ელიოტის პრიზის ფინალისტი. 2012 წელს აირჩიეს ამერიკელ პოეტთა აკადემიის მდივნად. ჯეინ ჰიშფილდის ლექსები და თარგმანები იბეჭდება ამერიკისა და ევროპის წამყვან ლიტერატურულ ჟურნალებში.

მისი ლექსები შესულია ამერიკული პოეზიის ანთოლოგიებსა და სხვადასხვა კრებულებში. მის შვიდივე პოეტურ კრებულს მიღებული აქვს სხვადასხვა ლიტერატურული ჯილდო თუ პრიზი.

შემოდგომის სიცხე

განსხვავდება ზაფხულის სიცხისგან.
ვაშლს ერთი ამწიფებს, მეორე ღვინოდ აქცევს.
ერთი ნავსადგურია, რომელსაც ტოვებ,
მეორე კი გამხდარი, მდინარეში მოცურავე ცხენის ხერხემალია
და დღითიდღე სულ უფრო ცივი მდინარე.
კიბოთი დაავადებული კაცი ცოლს საყვარლის გამო ტოვებს,
ვიდრე წავა, კარადაში თავის ქამრებს ასწორებს,
წინდებს და პერანგებს ფერების მიხედვით
აწყობს. აი, ესაა შემოდგომის სიცხე:
ქალის ხელი ვერცხლის ბალთას ვერცხლთან დებს,
ოქროს ბალთას ოქროსთან, თითოეულს კიდებს კაუჭზე,
კარადაში, რომელიც მალე დაცარიელდება,
და ამას სიამოვნებას ეძახის.

მწვანე ზოლიანი ნესვები

ისინი წვანან
ვარსკვლავების ქვეშ მინდორში.
ისინი წვანან წვიმის ქვეშ მინდორში.
მზის ქვეშ.

ზოგიერთი ადამიანიც
ასეთია —
ჰგავს ნახატს,
დამალულს სხვა ნახატის ქვეშ.

უეცარი სიმძიმე
მათი სიმწიფის ნიშანია.

ბელა ახმადულინა

აფხაზური დაკრძალვა

ორი გოგო გეორგინებს ყრიდა გზაზე,
შიგადაშიგ, გამოზოგვით ერთობ,
და ქალები საუბრობდნენ დაბალ ხმაზე:
— ყვავილები რა ძვირია — ღმერთო...

დაძაბული, ძრწოლით, შიშით სავსე ქუჩა
წინ მიმავალ ორ გოგონას უმზერს,
რა საზარლად ფერმკრთალი და თეთრი მოჩანს
ორი ხელი, დაკრეფილი გულზე.

თან მოჰქონდათ გვირგვინები მძიმე ტვირთად,
მოხუცებს კი გამყოლები ახლდათ.
ყველაფერი, აგროვებდნენ რასაც მზითვად,
გვირგვინებად გადაიქცა ახლა.

გაიმართა ქელეხი და მხოლოდ მაშინ
გამოცოცხლდა, ახმაურდა ხალხი,
ხოლო ქალებს ცრემლი ედგათ ისევ თვალში
და ღაწვებზე დაჰფენოდათ თალხი.

მაგრამ სვამდნენ, სვამდნენ ჭიქით, ფინჯნით, თასით —
მწუხარებას იქარვებდნენ ოდნავ,
მერე დიდხანს ჭაჭის სუნი იდგა გზაზე,
სიხალისე ხმებსაც შერეოდა.

ჭირ-ვარამის ჯიბრით უკვე მაღალ ხმაზე
სურდათ სულ სხვა სიმღერები ეთქვათ...
დიდი ხნის წინ, მიაბარეს მიწას ასე
ერთი გოგო, გიული რომ ერქვა.

თხუთმეტი ბიჭი

თხუთმეტი ბიჭი, ან შეიძლება, მეტიც,
ან შეიძლება, ნაკლები, ვიდრე თხუთმეტი,
მეუბნებოდნენ შემკრთალი ხმით:
„წავიდეთ ერთად კინოში ანდა
 სახვითი ხელოვნების მუზეუმში“.
მე ვპასუხობდი დაახლოებით ასე:
„არა მცალია“.
თხუთმეტი ბიჭი მჩუქნიდა თეთრყვავილებს.
თხუთმეტი ბიჭი მეუბნებოდა:
„შენ მეყვარები სამარადჟამოდ“.
მე ვპასუხობდი დაახლოებით ასე:
„ვნახოთ“.
თხუთმეტი ბიჭი ახლა მშვიდად ცხოვრობს.

მათ მოიხადეს მძიმე ბეგარა
თეთრყვავილების, სასოწარკვეთის და წერილების.
შეტრფიან ახლა გოგონები – სხვანაირად ლამაზები,
ვიდრე მე ვარ,
სხვანაირად ულამაზონი.
თხუთმეტი ბიჭი მედიდური თავისუფლებით
და ხანდახან ნიშნის მოგებით
მესალმებიან, როცა მხვდებიან,
ესალმებიან, როცა ხვდებიან
ჩემში საკუთარ თავისუფლებას, მშვიდ ძილს და საკვებს...
ტყუილად მოდიხარ, უკანასკნელო ბიჭო.
ჭიქაში ჩავდებ შენს თეთრყვავილებს
და ფესვგამდგარი მათი ღერები დაიფარება
ვერცხლისფერი ბუშტულებით.
მაგრამ, იცი რა, შენც გულს აიყრი
და, დაძლევ შენს თავს, ქედმაღლურად
გააგრძელებ ჩემთან ლაპარაკს,
თითქოს მე მძლიე,
მე კი ქუჩაში, ქუჩაში გავწევ...

* * *

უკვე მერამდენე წელია, ჩემს ქუჩაზე
ხმა ისმის ნაბიჯების – მტოვებენ მეგობრები.
წყვდიადში ფანჯრებს მიღმა ნელი სვლით მშორდებიან,
აჩრდილად ილანდება სარკმელში მოგონება.

დარჩათ ბევრი საქმე, ახლა მათ სახლებში
არ ისმის მუსიკის ხმა, არ ისმის სიმღერები,
მხოლოდ, ძველებურად, დეგას გოგონები
ცისფერი ბუმბულებით მორთულ ყელს იღერებენ.

რაღა გაეწყობა, ნუღარ შეგაშფოთებთ
ასე უმწეოებს შიში ღამეული.
ჩემო მეგობრებო, უფრო გებინდებათ
მზერა, ღალატით და შიშით არეული.

როგორი სასტიკი და მკაცრი ხარ, მარტოობავ!
ცივად გაიელვებს ლითონის ფარგალი და
წრეს კრავ, ყველაფერი ახლა ამაოა,
შენთან მუდარა და თხოვნა არ გავიდა.

მაშ, შენს ნებიერას, შენგან მოალერსეს,
ჯილდო მარგუნე და რამით მანუგეშე!
დარდებს გავიქარვებ, მკერდს რომ მოგეყრდნობი,
მერე რა, რომ სუსხი მხვდება შენს უბეში.

ნება მომეცი, რომ უხმოდ, ფეხაკრეფით
შენს ტყეში ვიარო და ხმელი ფოთლები
ნელა მოვაგროვო, სახე ჩავმალო და
როგორც ნეტარება, შევიგრძნო ობლობა.

მიბოძე მდუმარება შენი წიგნთსაცავის,
შენი კონცერტების მკაცრი მოტივები
და მე დავივიწყებ ყველას, ვინც კი მოკვდა,
მათაც, ვინც დღემდეა მათზე მოტირლები.

შევიცნობ სიბრძნესა და სევდა-მწუხარებას,
საგნები გამანდობენ აზრებს, რაც მათშია,
ბუნება დამეყრდნობა მხრებზე, ხელებს მომხვევს
და გამიზიარებს საკუთარ ხვაშიადს.

და მაშინ – ცრემლებიდან, წარსულის წყვდიადიდან,
რაღაც უეცარი ელდა მოვარდება.
ჩემი მეგობრების ნაკვთები მშვენიერი
ჩნდება და კვლავ ზავდება, როგორც მოლანდება.

* * *

მე რომ ვფიქრობდი, ხარ ჩემი მტერი,
უბედურების გავიგე ფასი,
გამოდის: ცრუ ხარ, სხვა არაფერი,
შენი თამაშიც — ყალბი და ფარსი.

ერთხელ ააგდე თოვლში მონეტა
სადღაც, მანეჟის მოედნის ახლოს,
და მონეტაზე ჩაუთქვი, ნეტავ,
მიყვარხარ თუ არ მიყვარხარ ახლა.

ფეხებს სათუთად მფუთნიდი შარფში
ალექსანდროვის ბაღში, ხის სკამზე,
ხელებს მითბობდი, ცრუობდი მაშინ,
ფიქრობდი, რომ მეც ვიცრუებ ასე.

ირგვლივ მეხვია ტყუილი, მრუდი,
როგორც ყვავ-ყორნის საზარი გუნდი.

მემშვიდობები ბოლოჯერ, აჰა.
ვერ ვხედავ თვალში რაიმე სურათს.
ო, არ მოიწყენ, იცოცხლებ, ნახავ,
მე კი, მით უფრო, რა მიშავს სულაც.

მაგრამ ყოველი ამაო გახლავს,
უაზრობაა დიდი!
შენი გზა მარჯვნივ წავიდა ახლა,
ჩემი გზა მარცხნივ მიდის.

* * *

იქნება, ვიცი: არქივი, ცხრილიც...
ცხოვრობდა ბელა... და აღესრულა...
ვცხოვრობდი მართლაც! მივფრენდი თბილისს,
მხვდებოდნენ სადაც გია და შურა.

გაცოცხლდეს ისევ წარსული, ნეტავ:
ცამ თაკარა მზე არ დაიშურა,
სარდაფი ერთიც არ იყო, ჩემთან
სადაც არ სვამდნენ გია და შურა.

ძვირფას სახელებს სანთლებად ვანთებ.
ვტირი და პურზე ღვინის წვეთს ვწურავ.
თუმცა, ტიფლისის ძველ ქუჩაბანდებს
გავყვებით ისევ: მე, გია, შურა.

ბედნიერს, ვიცი, დრო როცა გავა
მომიგონებენ კეთილად სხვები.
— ფუჭია: შურას და გიას მსგავსად
არასდროს არვის არ ვეყვარები.

რუსულიდან თარგმა ***ვასილ გულეურმა***

ანდრეი ხადანოვიჩი

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბელორუსი პოეტი. დაიბადა 1973 წელს. არის ბელორუსის პენ-ცენტრის თავმჯდომარე. ავტორია რამდენიმე პოეტური კრებულის. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, პოლონურ, გერმანულ, უკრაინულ, ლიტვურ, ლატვიურ და სლოვაკურ ენებზე. ბელორუსის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის კლასიკურ ფრანგულ ლიტერატურას. თარგმნის ფრანგული, უკრაინული და პოლონური ენებიდან. ნათარგმნი აქვს თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსებიც.

კენტი და ლუწი

გოგონა შედის მაღაზიაში,
ყიდულობს მთელ კოლოფ გვირილის ჩაის,
ერთჯერადი ოცი პაკეტით.
სახლში მიაქვს გოგონას ჩაი და
პაკეტები რიგრიგობით ამოაქვს კოლოფიდან,
თან მკითხაობს: „ვუყვარვარ. არ ვუყვარვარ.
ვუყვარვარ. არ ვუყვარვარ. ვუყვარვარ.“
თუმცა კი იცის ლუწისა და კენტის ამბავი
ამქვეყნიური. მაგრამ რა ქნას, რა გზას ეწიოს?
გვირილის ჩაი ხომ ოცდახუთი ცალი პაკეტით
მაღაზიებიდან კვლავ დაიტაცეს სხვა გოგონებმა.

ჩვენი საცვლების შესახებ

ვინ თქვა, რომ სხვის საცვლებში ქექვა
გასაკიცხია?
სულაც არა!
ქექოს, თუკი ეს ვინმეს მოსწონს!
მაგალითად ჩემი...
ანდა ჩემიც და შენიც, თუ შენ არ ხარ წინააღმდეგი.

მოდი, ვაჩვენოთ ყველა მსურველს ჩვენი საცვლები!
მოდი, მოვუთხროთ
ჩვენი ტრუსების ინტიმური ისტორიები,
რომელთაც ზოგჯერ უერთდება შენი ლიფიც —
როგორც მესამე — ზედმეტი და დამატებითი.

წარმოიდგინე სიყვარულით აღსავსე ღამე,
ჩვენი ტრუსები კი მორცხვად წვანან
ერთმანეთისგან პიონერული დისტანციით
დაშორებულნი,
და ჩვენ მათზე აღარც კი ვფიქრობთ.

მაგრამ მერე, ამ ხანგრძლივი
დაშორების მერე, ისინი
როგორც იქნა კვლავ ხვდებიან ერთიმეორეს,
რათა მხურვალედ გადაეფსკვნან ერთმანეთს და
ამ ჩვენს სარეცხ მანქანაში

ათასნაირი პოზა მიიღონ
და იმოძრაონ დაუსრულებლივ.

ხოლო ბოლოს,
სიყვარულით სულ ბოლომდე გამოწურულნი
დაეკიდონ აბაზანაში, თოკებზე, როგორც
სასკოლო თხზულების პერსონაჟები —
დაღლილები და კმაყოფილები.

პოსტიმპრესიონიზმი

პატარა ვარ,
ვცდილობ ბებოს ქურაზე ავძვრე —
და ხელები სულ ბოლომდე მეძირება
ბებოს მიერ მოხალული
მზესუმზირის
დიდ და შავ ზღვაში.

მზესუმზირა მაშინდელ დროში
საოცრად სწრაფად იხალებოდა,
მეგობარი გოგონები
მის კნატუნს
ჩემს თვალწინ იწყებდნენ
და ჩენჩო
ტუჩებზე ეწებებოდათ,
რაც კოცნის სურვილს
ოდნავაც კი არ სპობდა ჩემში.

და მე ფრთხილად
ვაცილებდი მათ ამ ჩენჩოებს,
რადგან ვგრძნობდი,
თუ არასწორად შევეხებოდი,
მერე აღარც კი გამიკარებდნენ,
არადა, ქურაზე კიდევ რამდენი
მზესუმზირა იხალებოდა!

მას მერეა, რომ
მზესუმზირაში ვან გოგივით
კარგად ვერკვევი,
გოგრის თესლში კი
მასზე უკეთაც.

კოლუმბიური დივერტისმენტი

1. შური

„ო, ღმერთო ჩემო, ეს რა საოცრად ცეკვავს ყოველი კოლუმბიელი!“

ვთქვი, ოდნავ დავფიქრდი და დავამატე:
„ლექსები მინდა ისევე ვწერო,
კოლუმბიელნი როგორც ცეკვავენ!“

კიდევ ცოტა ვიფიქრე და დავძინე ბოლოს:
„და ისიც მინდა,
კოლუმბიელივით ვცეკვავდე მხოლოდ!“

2. საგზაო მოძრაობის წესები

გზაჯვარედინზე ამუხრუჭებს მოტოციკლეტი.
ქალღმერთივით ლამაზ გოგონას
შლემი ახურავს და საჭეს უზის.

უკან ბიჭია შლემის გარეშე.
ზის და
გოგოს არ ეჭიდება
სიცოცხლის ფასად.
კოლუმბიელნი მათ ირგვლივ დგანან
და ფიქრობენ:
„მოვეჭიდებოდი მე ამ გოგოს
სიცოცხლის ფასად!“

3. მშვიდობის სიმბოლო

კოლუმბიის გულისგულში,
El Colombiano-ს ავენიუზე
მტრედი აჯდება სახურავს, ხოლო
მტრედს მტრედი აჯდება — მიჯნური მისი.

აქ თითქოს მორალი იკითხება:
«Make love, not war!»

მაგრამ აქ ისედაც ყველა ყველაფერს სწორად აკეთებს!

ბელორუსი მამაკაცები

ბელორუსი მამაკაცი იბადება მთელ სხეულზე ნაკბენებით კოღოების და ობობების, ამიტომ ზუსტად იცის: მისი სამშობლო იქაა, სადაც ყველაფერია დაჭაობებული.

ბელორუს მამაკაცს აქვს ამ ჭაობებში ღრმად ჩაფლობის კარგი უნარი, ოღონდ ისე, რომ ბოლომდე მაინც არ გახდეს დასაწუნარი.

ბელორუსმა მამაკაცმა იცის მომზადება კარტოფილის ათამდე კერძის,
და ასობით მიზეზი, არ გათალოს კარტოფილი, რადგან წინ დიდი საქმეები ელის.

ბელორუსი მამაკაცი ცხოვრობს ევროპის ცენტრში, და ჩვენ ვხედავთ ასეთ რამეს:
ამ ცენტრში დგას დივანი, რომელზეც ბელორუსი მამაკაცი წევს დღე და ღამე.

ბაბუამისმა გამოიარა კოლმეურნეობა და მელიორაცია.
მამამისმა — შუახნის ასაკის კრიზისი და ჰიპერინფლაცია.
მისმა სახლმა – რემონტი, ხოლო კატამ — კასტრაცია.
ის ამბობს, რომ რაც დრო გავა, მით უფრო დაერხევა მთელ ნაციას!

ბელორუს მამაკაცს უცხოეთიდან მანქანა ჩამოჰყავს, ოცი წლის, ნახმარი,
რომ მერე, გარაჟში, ტკბილად, მასთან ერთად გაატაროს ცხოვრების ნახევარი.

ბელორუსი მამაკაცი ფეხბურთის ფანია. და თუ ვინმემ შემთხვევით არ აახაია,
ჯოჯოხეთურად ყმუის იგი და ეს მთელი კორპუსისთვის გასახარია.

ბელორუსმა მამაკაცმა პოლიტკორექტულობის შესახებ არაფერი იცის.
ის ისე სულელურად ხუმრობს, რომ ჯობს, კაცი ჯერ გამოტყვრეს და მერე მისდგეს სიცილს.

სამი ბელორუსი მამაკაციდან ერთი არაყს სვამს, მეორე — ლუდს წრუპავს,
მესამე კი თვლის, რომ ფულს ქარს ატანს, თუ არაყს ლუდის გარეშე ხუხავს.

ბაბუამისმა გამოიარა კოლმეურნეობა და მელიორაცია.
მამამისმა — შუახნის ასაკის კრიზისი და ჰიპერინფლაცია.
მისმა სახლმა – რემონტი, ხოლო კატამ — კასტრაცია.
ის ამბობს, რომ რაც დრო გავა, მით უფრო დაერხევა მთელ ნაციას!

ბელორუსი მამაკაცი ყვავილების თაიგულს ჩუქნის ქალს და სდებს ხელკავს,
და პირდება, რომ ჭუჭყიანი წინდების ოთახში მოსროლის ჟინს საკუთარ თავში მოკლავს.

ბელორუსი მამაკაცი მხოლოდ ოჯახთან ერთად ატარებს უიკენდებს,
ვახშმის მერე ცოტა ხნით გარეთ გადის და დილამდე ვერ პოულობს სახლის კედლებს.

ის იძინებს ტაქსში, რომლითაც მიდის სახლში და იღვიძებს უცნობ ტრამვაიში,
და არავინ უწყის, რატომ უთმენს ამას ცოლი, რად უნდა ეს ვაი-ვიში.

არადა, ცოლს შეუძლია აპატიოს მას ფეხბურთიც, დივანიც, გარაჟიც, აქეთ-იქით სიარულიც,
იმიტომ, რომ ბელორუსი მამაკაცი ობიექტია ჭეშმარიტი სიყვარულის.

ბაბუამისმა გამოიარა კოლმეურნეობა და მელიორაცია.
მამამისმა — შუახნის ასაკის კრიზისი და ჰიპერინფლაცია.
მისმა სახლმა – რემონტი, ხოლო კატამ — კასტრაცია.
ის ამბობს, რომ რაც დრო გავა, მით უფრო დაერხევა მთელ ნაციას!

თარგმნა ***შოთა იათაშვილმა***

გაგა ნახუცრიშვილი

წიგნიდან „უსათაურო“

* * *

ასე ამბობდა, ჩვენ ვართ მგზავრები,
პორტებს, სადგურებს, ქალაქებს ვიცვლით,
რომ თან ვუყვარვართ, თან ვეჯავრებით,
ვინც უკვე თურმე დაგვტოვა თითქმის.

ასე ამბობდა — ვებრძვით არაფერს,
არც გვეძინება და ვცხოვრობთ სიზმრით,
მერე კი ისევ ვხურავთ დარაბებს,
ცხოვრება რჩება, სადღაც, შორს, იქით.

ასე ამბობდა, ჩვენ ვართ მგზავრები,
თან გვეშინია სიშორის სივრცის,
რომ თან მოვწყინდით, თან ვენატრებით,
ვინც უკვე თურმე დაგვტოვა თითქმის.

* * *

პასუხი შოთა იათაშვილს

„პრობლემა არაა სიკვდილი, მეგობარო!“
შოთა იათაშვილი

პრობლემა გაქრა, მეგობარო და მაინც ვხედავ,
ისევ დამყვება აუტანლად სიზმარშიც, ცხადშიც,
გამოდი ჩემთან და ნაღველსაც ერთად გავხვეტავთ,
ვუყუროთ ფეხბურთს, ვითამაშოთ ჭადრაკი, კარტი...

ცოტა ხნით მაინც მოვიცილოთ ტყუილი ბარგი,
მანძილი უკვე გავიარეთ, სიმჩატის დროა,
არც ვალი დაგვრჩა, აღარც შიში და აღარც ხარკი,
ხომ შეიძლება გავიხაროთ ცოცხლები რომ ვართ?!

პრობლემა გაქრა, მეგობარო და მაინც ვხედავ,
ისევ დამყვება აუტანლად სიზმარშიც, ცხადშიც,
გამოდი ჩემთან და ნაღველსაც ერთად გავხვეტავთ,
გამოდი, თორემ დრო ამჩატდა და სწრაფად გადის.

* * *

მაპატიე, დროს გაჰყვება ბრაზი,
ბოლო-ბოლო ყველაფერი მიდის,
ცხოვრება თუ იყო მხოლოდ ხაზი,
აღარ ვიცი, რა დავარქვა სიკვდილს...

მაპატიე, ხასიათი ხისტი,
მე სიტყვები მჭამდა, როგორც კეთრი,

მაგრამ მგონი, არ ვარ ათეისტი,
თუმც ბოლომდე ვერ ვიგრძენი ღმერთი.

მაპატიე, სულ არ არის ძნელი,
და მზეც უკვე აფერადებს მინას.
შენ შორს ხარ და წელს მიჰყვება წელი,
მესიზმრები, მაგრამ აღარ მძინავს.

* * *

სათაურს ვეძებ და ვერ დავარქვი,
წიგნს... ეს ძალიან დიდხანს მინდოდა...
ვერ დავიბრუნე ჩემი ქალაქი,
ვერ მოვიშორე უამინდობა.

გამოვასწორე თითქოს ხარვეზი,
შეცდომა ძველი, მძიმე, უძირო,
სარკიდან თავი მიმზერს ამრეზით,
პატივმოყვარე, ბრიყვი, უძილო.

გამოვიფიტე, თენდება გარეთ,
მეც გარეთ გავალ, სახლში ვმარცხდები,
და თუ არავინ გამიღებს კარებს,
მიმასპინძლებენ ცა და ცაცხვები.

* * *

მოგონებები ერთმანეთს ცვლიან,
როგორც მონტაჟში კადრები კადრებს,
მე დავიბადე, უდროოდ, გვიან,
ან კიდევ ადრე, ძალიან ადრე.

გარიჟრაჟია, ქუჩას დაგვიან,
და მეეზოვე გამოვა ცოცხით,
ველარ ვიშორებ განცდას ნაგვიანს,
ბოთლებს აგროვებს სათუთად ლოთი.

მერე ქალაქი ხალხით ივსება,
დაეძებს ხსნას და ცხოვრების ნარჩენს,
მე მიჭირს ყოფის გათავისება,
მიჭირს მივაგნო, რაც გადამარჩენს.

* * *

ეს პროტესტია?! თუ ვიღაცა მხოლოდ ხმაურობს?!
სურს ეპატაჟი, გამოჩენა, აურზაური,
უნდა სახელით და დიდებით იმოგზაუროს,
რა ეპოქაა, ბანალური, თან უცნაური.

რა ეპოქაა, ცვლილებებით არაფერს არ ვცვლით,
ჩვენი სამყარო ნელ-ნელა თან სწრაფად ხუნდება,

რა უნდა ვთხოვოთ, ცარიელს და ვნებისგან დაცლილს,
ასე ნელ-ნელა ვხურდავდებით წვრილ-წვრილ ხურდებად.

მეც ვწერ უბრალოდ, არ ვკითხულობ არასდროს მორალს,
არ მომირგია მასწავლებლის თუ მოძღვრის როლი,
მაინც ვინ იცის როგორ უნდა ვიცხოვროთ სწორად,
ანდა რას ჰქვია, ეს ოხერი, ცხოვრება სწორი.

* * *

სიკვდილს ვამთავრებ, ცხოვრებას ვიწყებ,
გავწყვიტე ყველა ზღუდე და თასმა,
გამოვიგონებ სხვანაირ სიტყვებს,
რამდენი რამის მინდოდა ახსნა.

მინდოდა გასვლა და ფანჯრის გახსნა,
რომ მომეპარა სინათლე, ჩრდილი,
რომ სულ გამეცა რაც მაქვს და არ მაქვს,
რომ ყოფილიყო ყოფნა ნამდვილი.

ყოფა ადვილი, უფრო ადვილი,
იქ სადაც ყველა ცხოვრებას იწყებს,
რომ მომეპარა ერთი ადგილი,
სადაც დავწერდი სხვანაირ სიტყვებს.

* * *

მარტივად რთული, რთულად მარტივიც,
შეხვედრა გაყრა — გაყრა შეხვედრა,
თუ ჩაწყობილი კარგი კარტივით,
შემთხვევითობა, ბედი, შემთხვევა.

უფსკრული... მერე ისევ ხიდები,
უკუნეთი და მერე ნათელი,
დაგესიზმრება ქალის თითები,
გიყვარდა ქალი აუტანელი.

სიჩუმე... მერე ისევ ფრაზები,
შორდებიან და ისევ ერთვიან,
ჯერ უაზრობა, მერე აზრები...
ეს სულ ერთია, ეს სულერთია.

* * *

ბოლო გასროლა, ბოლო ძახილი,
ბოლო მგზავრობა, ბოლო საგზალი,
გზა უდაბნოში ფუჭად გავლილი,
და მაინც ვიღაც იყო მართალი.

ბოლო სიტყვები, ბოლო სიჩუმე,
და კოშმარული, მკვეთრი სიცხადე,

ბოლო სიმაძღრე, ბოლო სიუმე,
და ალბათ, სადღაც იყო სიმართლე.

ბოლო დათმობა, ბოლო დუელი,
ბოლო ჭაობი, ბოლო ცვლილება,
ბოლო ჭკვიანი, ბოლო სულელი,
ეჰ, ვერ მივიღეთ გამოცდილება!

* * *

ვდგავარ ნაპირზე, ქრება სიმხდალეც,
მოდის სიმთვრალე, შიში მოისპო,
ზღვის სივრცე ებრძვის მიწის სიმრგვალეს,
ემშვიდობება აფრა ჰორიზონტს.

ტალღებს ნელ-ნელა ცვლიან ტალღები,
და ეს ზღვა იქცა ახლა ჩემს ბინად,
შორს კი მიწაზე სდუმან სახლები,
და ერთ-ერთ სახლში ალბათ შენც გძინავს.

და ვეღარ მხედავ სიზმარშიც ალბათ,
არ მეწყინება ასეც რომ იყოს,
რადგან გავყევი მე სულ სხვა ტალღას,
გავცდი სიმრგვალეს, გავცდი ჰორიზონტს.

ლელა სამნიაშვილი

გადათოვა

უფალო, შენ ხარ ერთადერთი ჭირისუფალი
ჩვენი. რასაც კი აჩენ — გიკვდება.
ცდილობ ბალახით ყვრიმალები გადაუფარო
შენს მკვდრადშობილებს და თავიდან ცდილობ მიგნებას
ჩვენთვის — ნანატრი უკვდავების.
გვაჩენ, გვამრავლებ — ქვირითს, ვარსკვლავებს,
ბღუჯად ჩაყრი სულებს გაყოფილს —
სიცოცხლის ყუთში, ის ხმაურობს. მერე — სამარედ
ამოგყურებს და ყოველ ჯერზე — რაღაც არ ყოფნის
სრულქმნილებისთვის.

ერთადერთი ჭირისუფალი
შენ ხარ, უფალო. ჩვენ — კვდომაშიც მეტი ძალა გვაქვს.
სიკვდილზეც ისე ვლაპარაკობთ, თითქოს ძმა იყოს,
ძილი იყოს და გაყუჩება, თითქოს წამალიც
კი იყოს ზოგჯერ. ვეგუებით. ასე ვაცილებთ
ერთმანეთს, ასე ვემზადებით თვითონ — საძილედ.
მივდევთ შენს ნებას, კვლავ ვმრავლდებით,
კვლავ ვმეორდებით, კვლავ გვითრთის სახე,
რომ ერთმანეთს მივუსამძიმროთ. მოგისამძიმრებ.
ერთადერთი ჭირისუფალი შენ ხარ, უფალო.

თავის ქალა — თავის დაზგებით — ფიქრებს რომ ჭრიან,
ადუღებენ, დღეებს გეგმავენ, ცდილობენ
მწყობრად დაალაგონ და გასაგებად —
მოტივაცია და მიზნები, რადგან ვერავინ
იპოვის ძაფის თავს და ბოლოს — ფიქრის ნაწყვეტებს
ვერ წაიკითხავს, თუ თვალებზე არ ააფარე —
ჭრიალებს, ანუ გაიჭედა, ანუ გაცვეთა დასრულდა,
ანუ აღარ გეტყვის ჩემსას არაფერს.

და მაინც — კიდევ მერამდენედ — საკუთარ ტკივილს
ჩავაშტერდები — ალმასივით რომ აპირკეთებ
ჩვენში — მჭრელი და კაშკაშაა. რაში გჭირდება
ამდენი თვალი — მარგალიტი, ამდენი კირის
გლუვი მარცვალი. თუ საბადოს მეპატრონე ხარ,
თუ შენ არა ხარ ერთადერთი ჭირისუფალი,
უფალო, მაშინ მგლოვიარე რიტუალები —
ცივი და წმინდა — რატომ არის ასე გულწრფელი —
კანის და გულის გასკდომამდე. შენი ეზოა —
რომელსაც ათოვს დავიწყება, თავდავიწყება,
ემბრიონები — სამი კვირის, ოცდაათი წლის,
ოთხმოცდაათის — ყვავილები — თითო სეზონის.

დარჩენისათვის

ჩამოიცილე გემოს გრძნობა — ეს მეხუთედი
სიკვდილი არის — აგევზია —
წლობით ნაგროვებ
ყავის არომატს, ხილის ხაოს, კვერის სიმლაშეს
რკინად დაუხვდეს ენის კოვზი — ვერაფრით ცნობდეს —
იმისი წვეტი — სუნელების, სანელებლების
აბრეშუმის გზით გამოღწეულ მადლსა და ცოდვას.

ჩამოიცილე ყნოსვის გრძნობა — ეს მეხუთედი
სიკვდილი არის — ანოსმია —
სუნამოების, მცენარეების — საცეცები — სუნთქვის წინაშე —
მათი წრიალი, პროწიალი, მჭიდრო ხუფები —
მარინადების, ზღვების სუნი — მოხეტიალე;
ჩამოაცილე შენს წინაშე — ყველა უფლება.

ჩამოიცილე სმენის გრძნობა — ეს მეხუთედი
სიკვდილი არის — დაყრუება —
ნაფეხურების კვალი — უჩქამოდ, ნიჟარები — თავის თავებში —
ჩაყუდებული — შტორმისა და რწევის გარეშე,
სიტყვები — ქაღალდს მილურსმული —
უხმო, უსულო — ჩამოიცილე.
დიდი ხნის წინ უნდა გაგეშვა.

ჩამოიცილე — ხედვის გრძნობა — ეს მეხუთედი
სიკვდილი არის — დაბრმავება — ჯოჯოხეთიან-
სამოთხიანად — ყველაფერი — მხოლოდ ხედია
და წარმოსახვას შეუძლია შუქით გახედნოს.
ეს ოპტიკური ფოკუსია. ჩაქრეს. გახევდეს.

ჩამოიცილე ეს შეგრძნებაც —
ტერფის შეხების, ხელის შეხების —
მიწისქვეშა გადასასვლელი —
პანორამებით — ცის, კენჭების და წუმპეების,
საფეხურების — სხეულებს რომ გადაასვენებს —
დროში, სივრცეში, სიცივეში, პაპანაქება
სიცხეში — ესეც მეხუთედი არის სიცრუე.

გამომწყვდეულმა ამ უცნაურ ათასკლიტულში,
ამ მეორადი ტანსაცმელით — ჩვენი გენების —
რომ გვიფარავს და ვერ გვიფარავს სულის კიდურებს,
სადაც კრიალა მარგალიტიც — მაგალითია —
სიმსივნე როგორ შეეპარა მოლუსკის სხეულს,
სადაც სადაფიც — კაშკაშა და გლუვი კლიტეა —

ჩამოიცილე შეგრძნებები — გაიადვილე
წასვლა, რომელსაც ვერაფრით ვერ გაიადვილებ,

რადგან ეს ბავშვი არის ნამდვილი
რადგან ეს ბავშვი არის ნამდვილი
რადგან ეს ბავშვი არის ნამდვილი

შენთვის და შენი მეგობრისათვის

როგორ მაცდურად დაიწმინდა ჩრდილოეთი
მისი გრძელი ღამეები და ქარბუქებიც მოჩანს შორიდან —
როგორც ფრეიას ლურჯი მანტია — ზედ გადასდის თოვლის გლამური,
ზაფხულობით კი — დღე იზრდება — ოთხივე მხარეს —
სანაპიროზე დასეირნობს ყველა ქერა უძინარი მზეთუნახავი,
ტბების პირები — სავსე ჭრელი პირსახოცებით — არის სიცილად წამომსკდარი,
მუნკის კივილს ეკარგება მთელი ტკივილი —
გალერეაში გაყუჩებულა მორიგ შედევრად,
მოგინდება სამხრეთისკენ გადმოსწიო ეს სიმშვიდე, ეს სისუფთავე,
ეს გრილი და სანდო ზაფხული — შენს ხანძრებიან ტყეებსა და ადამიანებს
გინდა სამოთხედ გადააფარო. ის კი — ისე დაკარგულია —
უიმედოდ, ისე უკანმოუხედავად. დედამიწას შუშა დაადეს.
ეს ილუზიაც უნდა ამოწვას. სახე რომ ახლოს მიიტანო, დაინახავ —
თორის თხები — ხორცშემოჭმული —
ძვლების გროვა — საბალახოდ მზეზე გამოდის.
წყლის ურჩხული მოსრიალებს კუნძულებისკენ.
მისი სამხედრო კამუფლაჟი — ძველი ხორკლია,
ქერქი ვერ იტევს შავი სისხლით სავსე იდეებს —
გასკდომამდეა შავი გულმკერდი გამობერილი.
ის ურჩხულია. წყლის გველია.
მეტს ვერ მოთხოვ, თუნდაც ყელზე შემოიხვიო.
მაგრამ მის მიღმა, შენ, რომელიც წერ ამ ლეგენდებს —
სიცოცხლის და ღმერთის სახელით,
რა უფლებით არ ხარ კეთილი?

ბედნიერება

კლინიკურ სიკვდილს გავს ბედნიერება —
ტკივილები გშორდებიან, შორიახლოს ზღვის ჩიტებივით დაფარფატებენ.
კოლიბრები, თოლიები, ალბატროსები —
ზომა და ფერიც არაფერს ნიშნავს. მათი ხმები მხოლოდ ფონია,
რომ თავი იგრძნო წყალთან ახლოს, წყალობით სავსემ.
მოქცევისას მოაქვს თევზი — პურადაც გყოფნის,
მიქცევისას თან მისდევენ ფხები — ეჭვები.
სარჩოს უყოფ შენი სისხლის ადამიანებს
და შენი ფიქრის ადამიანი — ჭერს გიყოფს სახლის —
კორპუსებით ამოქოლილი ქალაქის გულშიც
დგას თქვენი ქოხი, როგორც ნაპირზე
ყურის მიდებაც არ სჭირდება — ნამდვილად ფეთქავს.
უცხო გემები — სახიფათო კრეისერები,
უდარდელი იახტები და ხომალდები სომალელი მეკობრეების,
მთელი წყალქვეშა ნავიგაცია,
კონტინენტები — ერთმანეთზე უფრო მხურვალე —
შორიახლოს დაცურავენ, ტივტივებენ — ნაწილები —
რაღაც ძალიან რთული მაკეტის.
მათი ხშირ-ხშირი სალუტებიც მხოლოდ ფონია.
როგორ ნელა გვკლავს ბედნიერება —
თავისი ჩუმი, უხილავი იარაღებით —

რბილი ფლოქვებით — დავიწყების ბედაურების,
ვისთვისაც ხსოვნა იალაღია —
გადასაძოვი, გასათელი.
ტკივილები ახლა ბალახის ღერებამდე დაპატარავდნენ.
ხმაც ჩაუწყდათ. ველარ გვკაწრავენ.
მაგრამ მე მაინც მეშინია. მეშინია, რომ ლექსებიც
მათი შავი ბოლქვებისკენ მიიწევენ,
იკუმშებიან, რომ როგორმე ბედნიერება გამოიზამთრონ.

დაგადეგა

ეს იგივეა — ცეცხლმა — მიწა, მიწამ — წყალი შვას,
მხრებზე ჰაერი მოახვიოს თავის ქალიშვილს;
სიტყვა, რომელიც დაბადებას მაინც არ იშლის —
უნდა ამოთქვა, სასულედან უნდა გაუშვა —
საითაც სურდეს.

თუ ქვა დახვდეს, იყოს მარცვალი —
ნაპრალს მიაგნოს, ამოქოლვა აღარ აცალოს;
თუ წყალი დახვდეს, ქვამარილის იყოს კრისტალი,
თუ — თითისტარი — სუნთქვას ძაფი ამოაცალოს —
ფერად-ფერადი შემოეხვეს, თავი დაართოს —
გაართოს — თუ ყავს დამრთველი და თუ ყავს მქსოველი,
იყოს ღიღინი — აღმართების, ხანაც — დაღმართის,
ბროლის ჭიქაში იყოს — ვერცხლის კოვზით მორევა;
იყოს რახუნი — ნიაღვარის — სახურავებზე
უნდა გაუშვა —
დარაბები უნდა დახურო.

თუნდაც ამბობდნენ — მისი ღმერთი ჩვენსას არა გავს —
სახე არ უჩანს, არც სახელი, მაინც ახერხებს
ლაპარაკს. თქვან, რომ მიწაა და უნდა გამარგლონ,
რომ შეშაა და დასჭირდებათ ცეცხლში ნახერხად;
წავიდეს, კვამლად გაიფანტოს, თუკი კვამლია,
თუ სარეველა — შეაჭამოს თავი კალიებს,
თუ ეჭვი — გული დაიხრჩოლოს, თავი დაიხრჩოს,
თუ ალქაჯია, დაიჯეროს — მხოლოდ ქალია —
მხოლოდ სიტყვაა.

ცის უფსკრულში, მიწის აუზში —
საითაც სურდეს —
სასულედან უნდა გაუშვა.

თავისი თავიც დააჯეროს — მწარე ფიჭაა
და ვერ დაატკბობს, თუ თავი არ ამოიჭამა.

დავით რობაქიძე

ეტიუდი

გადავიდა მზე და ქუხს,
წვიმამ დასცხო, ჭექს.
ნაკადული დეკა პურს
გაუფუჭებს გლეხს.
ზვინისთავის მამალი
შეეფარა კრუხს,
გადავიდა მზე და ქუხს,
გლეხის ცოლი სწუხს.
ყველაფერი ღალატობს
კალაპოტს და გლეხს,
ცოლი ქმართან კამათობს,
ყველნაწნავას გრეხს.
სეტყვაა თუ ჯანდაბა —
კაკლის ფოთოლს ხვრეტს,
კრამიტიდან ასხლეტილ
თხილისტოლა ქვებს
ეზო მოუფენია,
აჩხრიალებს ღარს,
ელვაშემოხვეული
ხელით ღრუბლის ზარს
ვიღაც ეთამაშება
და არ იღებს ხმას.
ბნელა, რომც გადაიღოს,
არაფერი ჩანს.

წითელქუდა ყრუ-მუნჯთა დასახლეგის სუპერმარკეტში

წითელპლასტმასისტარიან
რკინის კალათში ალაგებს
ნაზუქებსა და ნამცხვრებს.
სექციებს შორის სეირნობს,
ტელეფონს ალაპარაკებს,
დასცინის ტუჩის საცხებს.
ძაღლებით გამოტენილი
თაროდან ფრთხილად გამოაქვს
მგელი და მარკას აცლის.
კისერში ჩაკერებული
ნაჭერი ხელში უჭირავს,
მგელს ფერი ადევს ნაცრის.
ფერადი საძერწავების
კოლოფზე თარიღს დაჰყურებს,
თითქოს ბიჭებზე ფიქრობს.
მგელს სალაროში ახედებს,
თვალთვალა ბუდეებიდან

რეაგირებას ითხოვს.
იღება შუშის კარები
თითქოს მუცელი ლაზერის
სხივით შუაზე გაჭრეს.
წარწერაჩაწიკწიკებულ
კბილებით თავზე დაცქერის
აბრა მიმომსვლელ ვაჭრებს.
პაკეტს და სათამაშოებს
აქვე ქუჩაში არიგებს,
ხელცარიელი მიდის.
ბილიკს მიჰყვება, ბილიკი
შემადგენელი ნაწილი
არის ნავთობის ხიდის.
ღვთისმშობლის სამწამიანი
გამოცხადება „ბილბორდზე“
შემოწირული თანხით.
სახლია, სადაც ბრუნდება,
მაგრამ ამ გზაზე ვერ დადის
დატოვებული ხალხი.

ძვირადღირებული მასაჟი იაფფასიანი პროვინციული ნატურმორტის წნეხიდან მშვიდობიანი გამოსვლის შემდეგ

გაჩერებაზე ერთად ვიდექით სულ რამდენიმე წუთი,
ყვითელს ველოდი, მწვანე მოვიდა ავტობუსი, თუ ყუთი,
თითქოს „სპეცნაზის“ საგულდაგულოდ მომარჯვებული ფარი,
შიგ აქვს კონსტრუქტორს, ისე იღება ავტობუსების კარი.
როგორც ამბობენ, მიაქვს ბიუჯეტს თითო ბილეთის წვეთი,
რვამარცვლიანის ერთი კუპლეტი კარგად ეტევა, მეტიც,
სიამოვნებით ვიხდი კაპიკებს, გთხოვთ მაპატიოთ, თეთრი
უნდა მეთქვა და სწორად გამიგეთ, არ გაგიწყრებათ ღმერთი.
ნუ დამავიწყებთ, რასაც ვამბობდი, თუ ვაპირებდი წერას,
სიამოვნებით ველი ბილეთი როდის ჩამოყოფს ენას,
რომ მოვახიო... წინააღმდეგი არ ვარ, დაბეჭდონ ბევრი,
სასამართლოში როცა მივდივარ, ნუ ამომძახებს ქვევრი.
ბევრჯერ ვიჩივლე სამეგობროში გაკეთებული ღვინით,
საქმეს ვიფუჭებთ, პოეზიაშიც ტყუილუბრალოდ ვყვირით.
ვინ დაგიჯერა, ჩემი წიგნები ასე არ უნდა ეწყოს,
გრაფომანიის ლეგიონებმა ბეჭით არ მინდა ჭეჭყოს.
თავისუფლება წმინდა გიორგის! — გაჩერებაა ჩემი,
რამდენ გველეშაპს მივუწვდები და უკანკალდება ხელი,
ვეგეტაციის ამ პირობებში დროა დავტოვო ყუთი,
ამჟამად, ალბათ ასე ვიქნები, სადღაც ექვსიოდ ფუთი.

მასწავლებელი

ჩვენი საკლასო ზეცა,
წესრიგდებოდა მაშინ,
მასწავლებელი როცა,
შემოდიოდა კლასში.

თვითმფრინავები ხათრით,
უბრუნდებოდნენ მერხებს,
ხოლო ქაღალდის ბურთის,
ნაგვის ურნასთან შეხლა,

ასე გაგრძელდა ერთხელ...

მოგვესალმა და მსროლელს,
ააღებინა ბურთი,
ჯერ თვითმფრინავი გახსნა,
მერე ქაღალდის ფურცელს

გადაატარა ხელის
ნათელმხილველი გული,
გასუსულია კლასი,
მდუმარებაა სრული.

ისე კითხულობს, თითქოს
იღებს მიწიდან ცხედრებს,
დაუხედნელი ყურიც
ვეღარ გაურბის მხედრებს.

ვიდრე ცხენი ხარ, — ამბობს, —
სხვისი სიტყვები შავი
გეჩვენება და პატრონს
უნდა აუბა მხარი.

როცა მხედარი ხდები,
წელქვეშ ამღვრეულ მერანს
რა მთვარის შუქზეც გასწმენდ,
ის შეეტყობა მელანს

და თუ საკუთარ ნაწერს
შუბით გაუპობ ხახას,
მასში პატარა დიო —
კლეტიანესაც ნახავ.
მერე მიხვდები ვინ და
რა უნდა წეროს კაცმა,
თუ გული გექნა წმინდა,
თუ ხელი საზღვრებს გასცდა.

სთქვა: — ვის ეკუთვნის, ადგეს,
გადაგდებული ლექსი,
ის გაქცევია ჰადესს,
მასთან ყოფილა მწყემსი.

ფეხზე არავინ ადგა,
მასწავლებლიდან ბურთი
ნაგვის ურნაში ჩახტა,
ვით ამოსუნთქვის წუთი.

საუბარი მცხეთის სალობიეში

ჭრიჭინობელის პრემიაზე წარდგენილია
ლაურეატი ჩაზელილი ლობიოს ქოთნით,
სალობიეში შეკრებილი კაცნი სჩივიან
უკმარისობას ნესტოებში უსუპის ორთქლის.

მიმტანი ამბობს, ენის წვერზე ადგას იდეა,
სუფრაზე მწვანილს ალაგებს და ბრუნდება უკან,
მიმღებს ცხოვრება მიმტანივით ფეხზე ჰკიდია,
ამოიცოხნის სადღეგრძელოდ შეკვეთილ ლუკმას.

ჯვრიდან მცხეთამდე ისევ ძველი ბეწვის ხიდია,
უხილავი და უცხო თვალით შეუცნობელი,
ზედ განდობილის მტკიცე ხელით მოდი-მიდიან
ახლადშემდნარი და ჯერ კიდევ შეუდნობელი.

მტკვარში ლიახვის დაფარული გზების სიბრძნეა;
დაკალმახებით აყოლილი შავ-თეთრ არაგვებს,
ვარსკვლავთმრიცხველნი მოსასხამებს ჩამოიხსნიან
კვართის მიწაზე, საიდანაც სვეტი განაგებს.

რეკვიემი გაბილონისა და ეგვიპტისათვის

ვაშლის ჩირების წელიწადში თორმეტი თვეა,
შავი ქლიავის მზებუდობით, მსხლის ბუნიობით,
ბრძენი დრაკონის მიმდევარი ბნელეთის ტყვეა,
ყოველდღე ითხოვს ახალ-ახალ წმინდა გიორგის.
ხელფასის ბორბალს მიჯაჭვული ხალხების ჯოგი
ამაყად გეგმავს მომავალს და მიდიდებს ვალებს,
ვამბობ, რომ სიტყვით საქმოსანთა სიმართლეს ჯობნის,
ვინც ჩემი პირით ლაპარაკობს ჩემსავე სავნებს.
ხორცზე მსუბუქი სიტყვა სულზე მძიმეა, რადგან
სულის შემოსვლით სიტყვებიდან იქმნება ხორცი,
მომაკვდავს სული უმძიმდება, ზედ სიტყვა ადგას,
ილევა ხორცის სიმსუბუქით საფლავის ბორცვი.
სხვა ამბავია, რომაელი, ლურსმული, ჯვარცმა,
ჭეშმარიტების ანბანური ინკვიზიცია,
მშრალი კანონი გამოუშვა დაფაზე ცარცმა,
სწრაფად ვრცელდება, მცდარი აზრით ინფიცირება
ჰქონდა აბრაამს, იაკობი გარიყა რწმენამ
დროებით, რადგან უცნობია განგების ჭკუა,
როცა იწყება ფინანსური ეგვიპტის რყევა,
უნდა მიხვდე რომ ჩემი ხალხის გაშვების დროა!

შენ კი ბაბილონ! მოციქულზე საათს და ვარსკვლავს,
ვეღარ დაამთხვევ, რადგან შხამის მაგიერ ფული
გადმოანთხიე, კიდევ კარგი ცხენების გაწრთვნა
მოვასწარი და გელოდება დღეები რთული.
დარუბანდის და ნიკოფსიის — ცერი და ნეკი,
ჩემი მტკაველით ტამანი და აფშირონია,
მომცა იონამ შენი სუსტი წერტილის ნეკნი,
ღვთის ანაბარმა განათლება და ირონია.
ხელისშემშლელი პირობებით იჩქარებ ლაწანს,
ქრისტესმოძულე ვერ მომიშვერ მეორე მხარეს,
ნურც გოლიათი გეგონები, დახარჯავ ბაწარს,
ცრემლი ვარ, მოვწყდი, მარიამის დახატულ თვალებს.

ლოგორეანელებზე

გზასაცდენილმა კაცმა
გადიდგულება იცის,
ღმერთში ნამყოფი სიტყვით
დაპყრობა უნდა სივრცის.

ხმას ამოიღებს, მახვილს
დაუფიქრებლად იქნევს,
არ ეგუება სამხილს,
თუმცა ხედავს და ისმენს.

თავში ვერ იტევს ზეცას,
თავად გაჭრილა ცაში,
ვარსკვლავს შეგიწვავს კეცზე...
არ გამოგყვება მჭადში.

წადი ბიძიკო, სხვაგან
გააქნიავე ხმალი,
ქერქში ჩატენილ ნაგავს
ჰყრი და მოჰყვება ძვალი.

ანატოლ ფრანსი

იუდეის პროკურატორი

ელიუს ლამია, წარმოშობით იტალიური წარჩინებული ოჯახიდან, ჯერაც პრეტექსტას[1] ატარებდა, როდესაც ათენის სკოლაში გაემგზავრა ფილოსოფიის შესასწავლად. რომში დაბრუნების შემდგომ ელიუსი ესკვილიას ბორცვზე დასახლდა და თავისნაირ ახალგაზრდა დარდიმანდებთან ერთად ცხოვრების სიამტკბილობებს ეძლეოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ყოფილი კონსულის, სულპიციუს კვირინიუსის მეუღლესთან, ლეპიდასთან მრუშობაში ამხილეს, კეისარმა ტიბერიუსმა ის რომიდან განდევნა. ლამია მაშინ ოცდაოთხი წლისა იყო. დევნილობაში ყოფნის თვრამეტი წლის მანძილზე შემოიარა სირია, პალესტინა, კაპადოკია, სომხეთი, დიდი ხანი დაჰყო ანტიოქიაში, კესარიასა და იერუსალიმში. როცა ტიბერიუსის სიკვდილის შემდეგ ტახტზე კაიუსი ავიდა, ლამია მარადიულ ქალაქს დაუბრუნდა და თავისი ქონების ნაწილიც კი აღიდგინა. გადატანილმა გასაჭირმა სიბრძნე და სიდინჯე შეჰმატა.

მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს ერიდებოდა, აღიარებასა და მაღალ თანამდებობას არ მიელტვოდა, განმარტოვებით ცხოვრობდა თავის სახლში ესკვილინის ბორცვზე და მემუარებში გულმოდგინედ აღწერდა ხეტიალისას ნანახ-განცდილს; ასე, თავისავე განმარტებით, წარსულის ჭირ-ვარამით ილამაზებდა ახლანდელ ცხოვრებას. ამ მშვიდ საქმიანობასა და ეპიკურეს თხზულებათა კითხვაში წასული, გაოცებითა და მშვიდი სევდით შეეგება მოახლოებულ სიბერეს. სამოცდამეორე წელიწადს მიტანებულმა, რევმატიზმით შეწუხებულმა ლამიამ ბაიას სამკურნალო წყლებს მიაშურა. ოდესღაც ზღვის მერცხლების საყვარელი ადგილი გახლდათ ეს სანაპირო, იმხანად ცხოვრების სიამეებს დახარბებულ მდიდარ რომაელთა შეკრების ადგილად რომ ქცეულიყო. ამ ბრწყინვალე საზოგადოებიდან ლამია არავის იცნობდა, ამიტომ პირველი კვირა სრულიად მარტომ გაატარა. ერთ დღეს, სადილის შემდეგ თავი იმდენად მხნედ იგრძნო, რომ გადაწყვტა, ზღვის პირას, ბაკქი ქალებივით ვაზის ყლორტებშემოხვეულ ბორცვებს შორის გაესეირნა.

ერთ-ერთი ბორცვი რომ აიარა, ბილიკიდან გადაუხვია, ტერპენტინის ხის ჩრდილში ჩამოჯდა და მიდამოს თვალიერებას შეუდგა. მარცხნივ, კუმის ნანგრევებამდე ფლეგრეის ტყვიისფერი უნაყოფო ტრამალი გაწოლილიყო. მარჯვნივ მიზენის კონცხი ტირენის წყლებს დეზივით ჩასობოდა. ქვევით, დასავლეთისკენ, სანაპიროს ნატიფ რკალად მიუყვებოდა მდიდარი ბაია, — ქანდაკებებით შემკული აგარაკები, ბაღნარები, მოაჯირები, ზღვამდე ჩამავალი მარმარილოს საფეხურები, რომელთა ძირშიც ლურჯ ტალღებში დელფინები ნავარდობდნენ. ლამიას თვალწინ, ყურის გადაღმა ჩამავალი მზის სხივებით ოქროსფრად აელვარებული კამპანიის ნაპირებზე, ლაპლაპებდა ტაძრების გუმბათები, მათ ზევით ფერდობზე პაუზილიპონის[2] დაფნის ბუჩქები შეფენილიყო, შორს კი, ჰორიზონტზე, თავმომწონედ აღმართულიყო ვეზუვი.

ლამიამ ტოგის ნაკეცებიდან გრაგნილი ამოაძვრინა, რომელზედაც გადაწერილი იყო „ტრაქტატი ბუნების შესახებ“,[3] და კითხვას შეუდგა. მაგრამ მალევე შეძახილი მოესმა და ბილიკიდან ვაზის ჩრდილში გადაინაცვლა, რათა მსუბუქი ეტლი გამოეტარებინა, რომელსაც აღმართში მონები ეზიდებოდნენ. გადაწეულ ფარდებს მიღმა ლამიამ ტანსრული მოხუცი შენიშნა, ნიკაპით ხელზე დაყრდნობილი, ამაყად და პირქუშად რომ გაჰყურებდა მიდამოს. კეხიანი ცხვირი არწივის ნისკარტს მიუგავდა, ქვედა ყბა მძლავრი და წინ გამოწეული ჰქონდა.

ლამიას ეს ადამიანი მაშინვე ეცნო. წამით ეჭვმა აიტანა, შეყოვნდა, მერე კი ეტლთან მივარდა გახარებული.

— პონტიუს პილატე! — შეჰყვირა გაოცებით, — დიდება ღმერთებს, კიდევ ერთხელ რომ შეგვახვედრეს!

მოხუცმა მონებს ხელით ანიშნა, შეჩერებულიყვნენ, და გულდასმით ჩააკვირდა უცნობს.

---

[1] მეწამულარშიიანი თეთრი ტოგა, რომელსაც რომში ატარებდნენ ყმაწვილები თექვსმეტ წლამდე, აგრეთვე ზოგიერთი ჩინოვნიკი და ქურუმები.

[2] ბერძნულად: „უდარდელი“. სააგარაკო დასახლება ნეაპოლის ახლოს, დღევანდელი პოზილიპო.

[3] ძველი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნის ფილოსოფოსის, ტიტუს ლუკრეციუს კარუსის თხზულება.

— პონტიუს, ჩემო გულუხვო მასპინძელო! წლებმა ისე შემივერცხლა თმა და ყვრიმალებიც ისე ჩამიცვივდა, რომ, ვხედავ, ველარ ცნობ შენს ერთგულ ელიუს ლამიას!

ამ სახელის გაგონებაზე პილატე, ასაკისა და ტანის სისრულის მიუხედავად, ეტლიდან სწრაფად ჩამოქვეითდა და ორჯერ ეამბორა ლამიას.

— გულით მახარებს ჩვენი შეხვედრა, ლამია, — წამოიძახა მან, — ვაგლახ! ის დრო მომაგონე, როდესაც სირიის პროვინციაში იუდეის პროკურატორის თანამდებობა მეკავა. ოცდაათმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც გაგიცანი. ეს მოხდა კესარიაში, სადაც სამშობლოს მონატრებისა და სევდის გასაქარვებლად ჩახვედი. ამაში გარკვეულწილად მეც დაგეხმარე, რის შემდეგაც ჩვენი მეგობრობის ხათრით გამყევი იერუსალიმში, იქ კი იუდეველებმა გული სიმწრითა და ზიზღით ამივსეს. ათ წელიწადზე მეტხანს იყავი ჩემი სტუმარი და მეგობარი; მარადიული ქალაქის შესახებ საუბრები გვავიწყებდა ჩვენ-ჩვენ გასაჭირს, შენ — დევნილობას, მე კი — ჩემს მაღალ თანამდებობას.

ლამია კვლავ გადაეხვია:

— ეს ყველაფერი არ არის, პონტიუს. იმას რატომღა არ იხსენებ, რომ ჩემს სასარგებლოდ გამოიყენე შენი გავლენა ჰეროდე ანტიპაზე და, ამასთან ერთად, შენი ქისაც ასე გულუხვად გამიხსენი?

— ეგ რა გასახსენებელია, — ხელი აუქნია პილატემ, — განა რომში დაბრუნებისთანავე არ გამოატანე გათავისუფლებულ მონას იმაზე ბევრად უფრო დიდი თანხა ჩემთან, ვიდრე ის, რასაც მესესხე?

— პონტიუს, მე ვთვლი, რომ ამაგს ვერანაირი თანხით ვერ აგინაზღაურებ. მაგრამ ახლა ის მითხარი, ღმერთებმა თუ ინებეს შენი ოცნებების ასრულება? ტკბები თუ არა ეგზომ დამსახურებული ბედნიერებით? მიამბე შენი ასავალ-დასავალი, შენი ოჯახისა და შენი ჯანმრთელობის ამბავი.

— თანამდებობა როცა მივატოვე, მოსასვენებლად სირიაში გავემგზავრე, იქ ჩემს მიწაზე მომყავს ხორბალი, რომელსაც ვყიდი. ჩემი უფროსი ქალიშვილი, ჩემი ძვირფასი პონტია, მას შემდეგ, რაც დაქვრივდა, ჩემთან ცხოვრობს და დიასახლისობას მიწევს. ღმერთებს მადლს ვწირავ, რაკიღა გონება ჯერ კიდევ მიჭრის და არც მეხსიერება მღალატობს, მაგრამ სიბერეს თან მუდამ ათასგვარი ვაება და სენი მოსდევს. ნიკრისის ქარი მტანჯავს უმოწყალოდ და აქ იმიტომაც შეგხვდი, რომ მის სამკურნალოდ ვარ ჩამოსული. აქ ფლეგრეას გავარვარებულ მინდვრებზე ღამღამობით მიწა ცეცხლსა და გოგირდის ისეთ ოხშივარს უშვებს, რომელიც, თუ მკურნალთ დავუჯერებთ, სახსრებში ტკივილს აყუჩებს და მათ ძველებურად მოქნილს ხდის.

— დაე, ღმერთებმა მოგანიჭონ ამის უტყუარი დასტური შენივე გაჯანსაღების სახით, პონტიუს! მაგრამ ნიკრისის გესლიანი ნესტრის მიუხედავად, გარეგნულად ჩემს თანატოლს ჰგავხარ, არადა, სინამდვილეში ხომ ჩემზე ათი წლით უფროსი ხარ! ცხოვრების საუკეთესო წლებშიც კი არ ვყოფილვარ ისე მხნედ, როგორც შენ ახლა. მოხარული ვარ, ჯან-ღონით სავსეს რომ გხედავ. მაშ, ამიხსენი, გეთაყვა, დროზე ადრე რად გაერიდე სახელმწიფო სამსახურს? იუდეაში მმართველობის ვადის დასრულებისთანავე რად მიაშურე სიცილიას და ნებაყოფლობით აირჩიე რომთან განშორება? მიამბე, რა გადაგხდა თავს ჩვენი დაცალკევების შემდეგ. სწორედ იმხანად, როცა კაპადოკიაში გავემგზავრე და იქ ჩემი მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად ცხენებისა და ჯორების გამრავლება ვცადე, შენ სამარიელთა აჯანყების ჩახშობას აპირებდი. მას შემდეგ არ მინახიხარ. თუ შეძელი მეამბოხეთა მორჯულება? მიამბე, გთხოვ, შენს შესახებ ყველაფერი მაინტერესებს.

პონტიუსმა თავი სევდიანად გააქნია:

— საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვისა და მოვალეობის გრძნობა მაიძულებდა, გულმოდგინედ და სიყვარულით მივდგომოდი საქმეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, სიძულვილს ვერსად გავექეცი. ქვემძრომთა გესლმა და ცილისწამებამ მომიწამლა სიცოცხლე და მისი სიუხვით ტკბობა არ მაცალა. შენ სამარიელთა ამბოხის ამბავს მეკითხები. მოდი აგერ, ამ ბორცვზე ჩამოვსხდეთ. თავს არ შეგაწყენ. ეს მოვლენები ისე მკაფიოდ მიდგას თვალწინ, თითქოს გუშინ მომხდარიყოს.

მჭევრმეტყველების უნარით დაჯილდოვებულმა ერთმა მდაბიომ (ასეთს კი სირიაში ხშირად შეხვდები), სამარიელნი დაიყოლია, იარაღით ხელში შეკრებილიყვნენ გაზიმის მთაზე, რომელსაც

ადგილობრივები სიწმინდედ მიიჩნევენ, მანამდე აღუთქვა, რომ უჩვენებდა მათ ევანდროსის თუ ჩვენი ენეასის დროს იუდეველთა გმირის, უფრო სწორედ, ღმერთკაცის, მოსეს მიერ იქ გადამალულ წმინდა ჭურჭლებს. მისი დაპირებებით გათამამებული სამარიელნი აჯანყდნენ. მაგრამ მე ყველაფერი წინასწარ მომახსენეს, ამიტომაც ფეხოსან რაზმებს ვუბრძანე, დაეკავებინათ მთის კალთები, მხედრებს კი — მასთან მისადგომები.

სიფრთხილის ეს ზომები მართლაც დროული აღმოჩნდა. მეამბოხეებს უკვე შემოერტყათ ალყა მთის ძირას მდებარე ქალაქ ტირათაბასათვის. მათი გაფანტვა არ გამჭირვებია და, ამგვარად, ჯანყი ჩანასახშივე ჩავახშე. ამის შემდეგ, რაკი არ მსურდა მოტყუებით შეცდენილთა სისხლის დაღვრა, მაგრამ, ამასთან, მინდოდა, მეამბოხეთათვის ჭკუა მესწავლებინა, მხოლოდ მათი მეთაურები დავსაჯე სიკვდილით. მაგრამ შენ ხომ კარგად მოგეხსენება, ლამია, რაოდენ დიდ გავლენას ფლობდა ჩემზე პროკონსული ვიტელიუსი, ვინც სირიას რომის სასარგებლოდ კი არა, მის საზიანოდ განაგებდა და თვლიდა, რომ ტეტრარქებს თავიანთ პროვინციაში ისეთივე სრული ბატონ-პატრონობის უფლება აქვთ, როგორც საკუთარ მამულში. სამარიელთა ბელადებმა მის წინაშე დაიჩოქეს და ჩემდამი მთელი სიძულვილი გადმოანთხიეს. მათთვის რომ გესმინა, აზრადაც არ მოსვლიათ კეისრის ღალატი. თურმე, ყველაფერი ჩემი ბრალი ყოფილა და ტირათაბასათვის მხოლოდ იმიტომ შემოურტყამთ ალყა, ჩემთვის რომ გაეწიათ წინააღმდეგობა. ვიტელიუსმა მათი საჩივარი შეისმინა, იუდეის საქმეები თავის მეგობარ მარცელუსს გადააბარა, მე კი რომში გამგზავრება და იმპერატორის წინაშე თავის მართლება მიბრძანა. გულამღვრეული და სასოწარკვეთილი ჩავედი რომში. სწორედ მაშინ, როცა მე ილატიის ნაპირს მივადექი, წლებითა და ძალაუფლებით დამძიმებული ტიბერიუსი გარდაიცვალა მიზენის კონცხზე, რომლის რქასავით წაგრძელებულ წვერს ვხედავთ ახლა საღამოს ბინდში ამ ჩვენი ბორცვიდან. სამართლიანობის აღსადგენად მის მემკვიდრეს, კაიუსს მივმართე, ის გამჭრიახი გონების პატრონი გახლდა და სირიის გარემოებებსაც კარგად იცნობდა. მაგრამ, ჩემო ლამია, ბედისწერა მართლაც გასაოცარი დაჟინებით მემუქრებოდა. იმხანად კაიუსს ყველგან განუყრელად თან ახლდა იუდეველი აგრიპა, მისი ბავშვობის მეგობარი, ვისაც დიდად აფასებდა და ხელის გულზე დაატარებდა. აგრიპა კი ვიტელიუსს მფარველობდა, რაკიღა ეს უკანასკნელი აგრიპას მოძულეს, ჰეროდე ანტიპას მტრობდა. იმპერატორი მისთვის ეგზომ ძვირფასი აზიელის ინტრიგებს დაჰყვა და მე კი ყურიც არ მათხოვა. რაღას გავაწყობდი? დაუმსახურებლად მოძულებული, ბედს შევეგუე. ქვითინი შევიკავე და ჩემს სირიულ მამულში განვმარტოვდი, სადაც ალბათ დარდი მომკლავდა, ჩემი თვინიერი პონტია საჩქაროდ რომ არ ჩამოსულიყო მამის ნუგეშსაცემად. იქ ხორბალს ვთესავ და მთელ პროვინციაში საუკეთესო ჭირნახულს ვიღებ. ჩემი ცხოვრება იწურება. დაე, შთამომავლებმა გაარჩიონ მტყუან-მართალი.

— პონტიუს, — მიმართა ლამიამ, — მწამს, რომ სამარიელების მიმართ შენი ჩვეული პირდაპირობა გამოიჩინე და მხოლოდ და მხოლოდ რომის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდი. მაგრამ, ამასთან, ხომ არ დაჰყოლიხარ მაშინაც იმ უეცარ მრისხანებას, რომლის დაოკებაც მუდამ გიჭირდა? თუმცა შენზე უმცროსი ვარ და, მაშასადამე, იმხანად სისხლი შენზე მეტად მიდუღდა ძარღვებში, მაინც გეხსომება, რომ არაერთგზის გირჩიე, იუდეველებისადმი მეტი მოწყალება და თვინიერება გამოგეჩინა.

— იუდეველებისადმი მოწყალება?! — გაფიცხდა პონტიუს პილატე, — მაშ, ცუდად გაგიცნია კაცთა მოდგმის ეს დუშმანები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქვეყანაში არაერთი წელი გაატარე. ამპარტავანნი და მლიქვნელნი, ამაზრზენ სილაჩრეს ჩლუნგ სიჯიუტეს უთავსებენ და არც სიყვარულის, არც სიძულვილის ღირსნი არ არიან! ლამია, ხომ გესმის, რომ აზროვნება ღვთაებრივი ავგუსტუსის პრინციპების გავლენით ჩამომიყალიბდა. იმ დროისათვის, როცა იუდეის პროკურატორად დავინიშნე, რომის ძლევამოსილებას უკვე მოედრიკა ხალხები. ჩვენი შიდა ქიშპობის დრო დასრულებულიყო და პროკონსულები პროვინციების ყვლეფას ძველებურად ვეღარ ბედავდნენ. ჩემი მოვალეობა კარგად მესმოდა. მხოლოდ ბრძნული დარწმუნება მამოძრავებდა. ღმერთები დამემოწმებიან, რომ სიჯიუტე მხოლოდ თვინიერებაში გამოვიჩინე. მაგრამ რით დაჯილდოვდა ჩემი კეთილი ზრახვები? ხომ მნახე მაშინ, ლამია, ჩემი მმართველობის დასაწყისში, როდესაც პირველი ამბოხი ატყდა? უსათუოდ კარგად გემახსოვრება მაშინდელი გარემოებები. კესარიის გარნიზონი იერუსალიმში გადასაზამთრებლად ემზადებოდა. ლეგიონთა დროშებს კეისრის გამოსახულება ამშვენებდა. იერუსალიმელნი ამ სანახაობამ შეურაცხყო,

რადგან კეისარს ღვთაებად არ ცნობდნენ. თუმცაღა, თუკი მაინც ხარ იძულებული, ვინმეს დაჰმორჩილდე, განა არა სჯობს, ეს ვინმე ღმერთი იყოს და არა ადამიანი? მათი მღვდელმთავრები ჩემს სასამართლოში გამოცხადდნენ და გამომწვევი თავმდაბლობით ითხოვეს, დროშები წმინდა ქალაქის საზღვრებს გარეთ გატანილიყო. ღვთაებრივი კეისრის პიროვნებისა და იმპერიის დიდების წინაშე მოწიწებამ მაიძულა, მათთვის უარით მეპასუხა. მაშინ ბრბო შეუერთდა სამღვდელოებას პრეტორიუმის წინ და იქაურობა მუქარის შეძახილებით აიკლო. მეომრებს ბრძანება მივეცი, ანტონიუსის კოშკთან შუბებისაგან პირამიდა შეეკრათ და, ლიქტორთა[4] მსგავსად, ნაჯახებითა და წკეპლების შეკვრებით შეიარაღებულებს, გაეყარათ იქ შეკრებილი ნაძირლები. მაგრამ იუდეველებს ჩემსკენ მომართული შეძახილები წკეპლების შხუილშიც კი არ შეუწყვეტიათ, ბევრი კი შუა ქუჩაში განერთხა და ჯარისკაცთა დარტყმების ქვეშ დალია სული. მაშინ შენც ხომ გახდი ჩემი დამცირების მოწმე, ლამია. ვიტელიუსის განკარგულების თანახმად, მომიწია დროშების ისევ კესარიაში გადაგზავნა. რა თქმა უნდა, ასეთი სირცხვილი არ დამიმსახურებია. უკვდავ ღმერთებს ვფიცავ, ჩემი მმართველობის მანძილზე კანონი და სამართალი არასოდეს დამირღვევია. ახლა კი დავბერდი. ჩემი მტრები და ცილისმწამებლები დაიხოცნენ და ვეღარასოდეს ვიძიებ შურს. ვინ დამიბრუნებს პატიოსან სახელს? — პილატემ ამოიგმინა და დადუმდა.

— სიბრძნე გვიბრძანებს, ბუნდოვანი მომავლისა არ გვეშინოდეს, მაგრამ მასზე არც იმედები დავამყაროთ, — მიუგო ლამიამ, — რად გადარდებს ის, თუ რას იტყვის შენზე ხალხი? ჩვენი ქმედებების ერთადერთ მსაჯულებად ჩვენვე უნდა დავრჩეთ. დაე, საკუთარი პატიოსნების შეგრძნებამ განუგეშოს, პონტიუს პილატევ. იკმარე ის, რომ მეგობრები პატივს გცემენ და ასევე თვითონაც სცემ პატივს საკუთარ თავს. თანაც, თვინიერების ამარა მაინც ვერავინ შეძლებს ხალხების მართვას. იმ კაცთმოყვარეობას, რასაც ფილოსოფია გვიქადაგებს, ხელმწიფეთა საქმიანობასთან ცოტა რამ თუ აკავშირებს.

— გთხოვ, გადავდოთ ჩვენი საუბარი. ფლეგრეის მინდვრებიდან ამოსული გოგირდის ორთქლი მეტ მკურნალ ძალას იძენს მაშინ, როდესაც მიწას მზის სხივები ათბობს. უნდა ვიჩქარო, მშვიდობით. მაგრამ, რაკიღა ბედმა გამიღიმა და აქ მეგობარს გადავეყარე, არ მსურს ამ იღბლის ხელიდან გაშვება. ელიუს ლამია, გთხოვ პატივი დამდო და ხვალ ჩემთან ერთად ივახშმო. ჩემი სახლი ქალაქის განაპირას, მიზენის კონცხის მიმართულებით, ზღვის პირას დგას. მას პარმაღით ამოიცნობ, რომლის თავზეც მხატვარს ორფევსი გამოუსახავს, ლომებსა და ვეფხვებს ქნარის ჰანგებით რომ არჯულებს.

— მაშ, ხვალამდე, ლამია, — უკვე ეტლიდან დაემშვიდობა მეგობარს პილატე, — ხვალ დავუბრუნდეთ იუდეაზე საუბარს.

მეორე დღეს, ვახშმის დრო რომ მოახლოვდა, ლამიამ პონტიუს პილატეს სახლისაკენ გასწია. ტრიკლინიუმში ორად-ორი სარეცელი გაემზადებინათ. კოხტად, მაგრამ ფუფუნების გარეშე გაწყობილ სუფრაზე იდგა ვერცხლის სინები თაფლში ჩაწყობილი ტყის ტოროლებით, მგალობელი შაშვებით, ლუკრინული ხამანწკებითა და სიცილიური მინოგებით. სადილობისას პილატემ და ლამიამ ერთურთს თავიანთი სნეულებებისა და მათი თავისებურებების შესახებ უამბეს და მათი მკურნალობის საშუალებებიც მიმოიხილეს. შემდგომ ამისა, ერთურთს ბაიაში შემთხვევითი შეხვედრის გამო სიხარული გამოუთქვეს და სანაპიროს კამკამა ჰაერისა და უმშვენიერესი ბუნების ქება-დიდებას მოჰყვნენ. ლამიამ აღფრთოვანებით მოიხსენია სანაპიროზე მოსეირნე კურტიზანები, ამაყად რომ ამზეურებდნენ ოქროს სამკაულებსა და ბარბაროსთა ქვეყნებიდან ჩამოტანილ გრძელ, მოქარგულ რიდეებს. მაგრამ მხცოვანმა პროკურატორმა გულისტკენით გაიცხა ის გამფლანგველნი, ყოვლად უსარგებლო ქვებსა და ობობას ქსელისმაგვარ ქსოვილებს — თუმცა კი ისინი ადამიანების მოქსოვილია — რომაულ ფულს რომ ახარჯავენ და ამით უცხო, ხშირად მტრულად განწყობილ ხალხებს ამდიდრებენ. შემდეგ საუბარი იმ მიდამოში ჩატარებულ დიდებულ მშენებლობებსა და იმ გასაოცარ ხიდს შეეხო, რომლითაც კაიუსმა პუტეოლა ბაიას დაუკავშირა, და ავგუსტუსის მიერ გათხრილ არხებს, ავერნისა და ლუკრინის ტბებს ზღვის წყლით რომ ამარაგებს.

— მეც დიდ სამუშაოებს ვგეგმავდი, ისეთს, მოსახლეობას სარგებლობას რომ მოუტანდა, — ამოიოხრა პილატემ, — როდესაც, ჩემდა სავალალოდ, იუდეის პროკურატორად დამნიშნეს,

[4] ლიქტორი — მეომარი, რომელსაც თანამდებობის პირის დაცვა ევალებოდა.

ორასი სტადიის სიგრძის აკვედუკის გაყვანა გადავწყვიტე, რათა იერუსალიმი სუფთა წყლით უხვად მომემარაგებინა. გულმოდგინედ შევისწავლე ყოველივე, რაც ეხებოდა ნიადაგის შრეების დონეს, რეზერვუარების მოცულობასა და ბრინჯაოს ავზების კედლების დახრილობას, სადაც წყალი გამანაწილებელი მილებით ჩაედინება, და, მექანიკოსთა რჩევების გათვალისწინებით, გეგმა თავადვე შევიმუშავე. მოვამზადე განაწესი მდინარის დამცველი გარნიზონისთვის, რომლის მოვალეობებშიც შედიოდა თვალყურის დევნება, რათა არც ერთმა კერძო პირმა დაუკითხავად არ ისარგებლოს სარწყავი სისტემით. მოვიწვიე ხუროთმოძღვრები, შევკრიბე საჭირო რაოდენობის მონები და უკვე მზად ვიყავი სამუშაოების დასაწყებად. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ სიხარულით მიეპყროთ მზერა მძლავრ თაღებზე დაყრდნობილი აკვედუკისთვის, რომელსაც წყალთან ერთად იერუსალიმში სიჯანსაღე უნდა შემოეტანა, იუდეველებმა უნუგეშო გოდება ატეხეს.[5] უწესრიგო, ველური ბრბო საძირკველს შეესია და მთლიანად დაანგრია, თან ყველა, როგორც ერთი, მკრეხელობისა და სიწმიდის შებღალვაზე გაჰკიოდა. ლამია, ოდესმე თუ გინახავს მსგავსი ბარბაროსობა? ვიტელიუსმა კი მათ ჩივილს ყური ათხოვა და მშენებლობა შემაწყვეტინა.

— დიდად რთული საკითხია, გვმართებს თუ არა ადამიანებს სიკეთე ვუყოთ, თუკი ეს მათ სურვილს ეწინააღმდეგება, — შენიშნა ლამიამ. პილატეს ეს არც გაუგია, თავისას განაგრძობდა:

— აკვედუკზე უარის თქმა ხომ სრული სიგიჟე იყო! მაგრამ იუდეველებს სძულთ ყოველივე, რაც რომაელთა ხელიდან გამოდის. უწმინდურებად გვთვლიან და თავისთავად იერუსალიმში ჩვენი ყოფნაც კი მკრეხელობად მიაჩნიათ. ხომ მოგეხსენება, რომ წაბილწვის შიშით პრეტორიაში შესვლას ერიდებოდნენ და ამგვარად იძულებული ვიყავი, ღია ცის ქვეშ, იმ მარმარილოს ფილებზე წარმემართა სამსჯავრო, სადაც თვითონაც ასე ხშირად დაგიდგამს ფეხი.

იუდეველებში შიშსა და სიძულვილს აღვძრავთ. არადა, განა რომის იმპერია მფარველ და შემწყნარებელ დედად არ მოევლინა ყველა იმ ხალხს, მის მკერდზე ღიმილით რომ განისვენებენ? ჩვენმა არწივებმა[6] ქვეყნიერების ყველაზე გადაკარგულ კუნჭულებამდეც კი მიაწვდინეს მშვიდობა და თავისუფლება. ჩვენ დამარცხებულთ მეგობრებად მივიჩნევთ და ყველა საშუალებას ვაძლევთ, თავიანთი ძირძველი წეს-ჩვეულებებით იცხოვრონ. განა მოქიშპე ხელმწიფეთა შუღლით დაქანცულმა სირიამ მხოლოდ პომპეუსის დაპყრობის შემდეგ არ იგემა მოსვენება და კეთილდღეობა? განა რომი იმ განძეულობას დახარბდა, რითაც სავსეა ბარბაროსთა სალოცავები, თუმცა შეეძლო, წყალობის სანაცვლოდ სიმდიდრე მოეთხოვა. რომს არც პესინუნტის დიადი დედა გაუძარცვავს, არც მერიმენისა და კილიკიის იუპიტერი და არც იერუსალიმის იუდეველთა ღმერთი. ანტიოქია, პალმირა, აპამეა მშვიდობით ტკბებიან, უდაბნოს ბინადარ არაბებს აღარ უფრთხიან და მადლიერებით უგებენ ტაძრებს რომის მფარველ გენიასა და ღვთაებრივ იმპერატორს. ამდენ ხალხში მხოლოდ იუდეველები ბედავენ ჩვენდამი ზიზღის გამოხატვას და ჩვენ გამოწვევას. ხარკს მხოლოდ იძულებით გვიხდიან და სამხედრო სამსახურზე უარს აცხადებენ.

— იუდეველნი, — მიუგო ლამიამ, — განსაკუთრებული სისათუთით ეპყრობიან თავიანთ ძირძველ ადათებს. მუდამ ეჭვობდნენ, რომ შენ მათი კანონების გაუქმება და მათი ზნეობის შეცვლა გეწადა. თანახმა ვარ, ეს ეჭვები სრულიად უსაფუძვლო იყო, და მაინც, ნება მიბოძე, გითხრა, პონტიუს: შენი ქმედება ამ ცდომილების გაქარწყლებას მუდამ როდი უწყობდა ხელს. ხშირად თითქოსდა განგებ და სიამოვნებითაც იწვევდი მათ რისხვას და მათი სარწმუნოებისა და ღვთისმსახურებისადმი ზიზღი არასოდეს დაგიმალავს. განსაკუთრებით კი მაშინ გაცხარდნენ, როდესაც ლეგიონერთა დაცვა მიუჩინე ანტონიუსის კოშკს, სადაც იუდეველთა მღვდელმთავრის სატაძრო შესამოსელი და სამკაული ინახებოდა. მართალია, ჩვენგან განსხვავებით, იუდეველებმა ჭეშმარიტი რწმენა ვერ გაითავისეს, მაგრამ მათი სარწმუნოება და ღვთისმსახურება მაინც იმსახურებს მოწიწებას თუნდაც თავისი სიძველის გამო.

პონტიუს პილატემ მხრები აიჩეჩა.

— მათ ღმერთების არსი არ ესმით. იუპიტერს ეთაყვანებიან, მაგრამ არც სახელს ანიჭებენ, არც სახებას. თუნდაც უხეში ლოდის სახითაც კი არ ძალუძთ მისი წარმოდგენა, როგორც ამას ზოგიერთი აზიელი ხალხი სჩადის. არ სცნობენ არც აპოლონს, არც ნეპტუნს, არც მარსს, არც

[5] იოსებ ფლავიუსის თანახმად, აკვედუკის მშენებლობისათვის აუცილებელი თანხა პილატემ იერუსალიმის ტაძრის ფონდიდან აიღო. სამღვდელოებამ მოსახლეობა აამხედრა და პილატემ ამბოხი უსასტიკესად ჩაახშო.
[6] არწივი რომაული ლეგიონის სიმბოლო იყო.

პლუტონს, არც რომელიმე ქალღმერთს. თუმცა, ვგონებ, ოდესღაც ვენერას სცემდნენ თაყვანს, რადგან იუდეველი დედაკაცები დღესაც სწირავენ საკურთხეველზე მტრედებს, შენ კი ჩემზე უკეთ მოგეხსენება, რომ ტაძრის წინ მდგარი მოვაჭრეები ამ ფრინველებს წყვილ-წყვილად სწორედ სამსხვერპლოდ ყიდიან. ერთხელ კიდეც მომახსენეს, ვიღაც შეშლილმა ეს ვაჭრები ტაძრიდან გაყარაო. სამღვდელოებამ მასზე სიწმინდის წაბილწვის გამო შემოიტანა საჩივარი. ჩემი აზრით, დედალი მტრედების მსხვერპლად შეწირვა ვენერას კულტის გადმონაშთი უნდა იყოს. რატომ გეცინება, ლამია?

— იმიტომ გამეცინა, — მიუგო ლამიამ, — რომ თავში მოულოდნელად ძალზე სახალისო აზრმა გამიელვა. რა იქნება, ერთხელაც იუდეველთა იუპიტერი რომ მოვიდეს რომში და თავისი რისხვა თავს დაგატეხოს. რატომაც არა? აზიამ და აფრიკამ უკვე მრავალი ღვთაებით დაგვასაჩუქრა. რომში აღმართულია ისიდასა და ძაღლისთავა ანუბისის ტაძრები. გზაჯვარედინებსა და საასპარეზო მოედნებზეც კი ვხედავთ სირიელთა ვირზე ამხედრებული კეთილი ქალღმერთის ქანდაკებას. ისიც უთუოდ გსმენია, რომ ტიბერიუსის პრინციპატის ხანაში მავანმა ახალგაზრდა მხედარმა თავი ეგვიპტელთა რქიან იუპიტერად გაასაღა და ამ გზით მოიპოვა ერთი დიდგვაროვანი მატრონას წყალობა, რომელიც იმდენად მორწმუნე იყო, ღმერთს უარით ვერ გაისტუმრებდა. გაფრთხილდი, პილატე, ვაითუ იუდეველთა უხილავი იუპიტერი ოსტიას ნავსადგურში შემოვიდეს და რომში დამკვიდრდეს.

იუდეის ღმერთის რომში მობრძანების ამბავმა პირქუშ პროკურატორს მოწყალე ღიმილი მოჰგვარა. შემდეგ მან უკვე სერიოზულად წარმოთქვა:

— როგორ შეძლებენ იუდეველები თავიანთი სარწმუნოების სხვა ქვეყნებში გავრცელებას, თუკი მის თაობაზე ერთურთშიც კი ვერ შეთანხმებულან? მათი რელიგია გამუდმებით მოკამათე სექტების აურაცხელი სიმრავლით იხლიჩება. შენც ხომ იხილე ისინი, ლამია, მოედნებზე შეკრებილნი, ქოქოლას როგორ აყრიდნენ და წვერებით ათრევდნენ ერთურთს ისე, რომ გრაგნილებს ხელიდან არ უშვებდნენ. იხილე ტაძრის სვეტების ძირში მავანი ვითომდა ღვთით შეპყრობილი ბორგნეულის გარს შეკრებილნი, მწუხარების ნიშნად როგორ იგლეჯდნენ მკერდზე გაქონილ სამოსს. იუდეველებს რწმენის საკითხების დინჯად და გაწონასწორებულად განსჯის შესაძლებლობა აზრადაც კი არ მოსდით, მით უმეტეს, რომ ეს საკითხები ბინდით მოცული და გაუგებარია, რადგან უკვდავი ღმერთების არსი ჩვენთვის მოუხელთებელია და მისი წვდომა არ ძალგვიძს. და მაინც, ვფიქრობ, უფრო ბრძნული იქნება, ვიწამოთ ის, რომ ღმერთები მფარველობას გვიწევენ. მაგრამ იუდეველებს არ ესმით ფილოსოფია და თვალსაზრისთა განსხვავებულობას ვერ ეგუებიან. ყველაზე სასტიკი სასჯელის ღირსად მიაჩნიათ ის, ვინც მათ რელიგიურ შეხედულებებს არ იზიარებს. და, რაკიღა მას შემდეგ, რაც მათი ქვეყანა რომმა დაიპყრო, იუდეველთა სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი მხოლოდ პროკონსულის ან პროკურატორის თანხმობით აღესრულება, ისინი გამუდმებით გვაწუხებენ და თავიანთი სასტიკი გადაწყვეტილებების დამოწმებას ითხოვენ მმართველებისგან, ასე რომ, პრეტორია მუდამ მათი სისხლსმოწყურებული შეძახილებისაგან გუგუნებს. ათასჯერ მაინც ყოფილა ისე, რომ მღვდლებთან ერთად შეძლებული ებრაელები მათხოვრების გვერდიგვერდ მოსწყდომიან ჩემს სპილოსძვლის ეტლს, ჩემი ტოგის კალთები და სანდლის თასმები ჩამოუგლეჯიათ და გულისგამაწვრილებლად მოუთხოვიათ, განაჩენი გამომეტანა რომელიმე საცოდავისათვის, ვისაც, ჩემი აზრით, არანაირი დანაშაული არ მიუძღოდა და უბრალოდ შეშლილი იყო, — ისეთივე შეშლილი, როგორც მისი ბრალმდებლები. თუმცა რას ვამბობ! — ეს სანახაობა ათასჯერ კი არა, ყოველდღიურად, ყოველწუთიერად მეორდებოდა. თურმე ნუ იტყვით და, ვალდებული ვიყავი მათი კანონები ისევე აღმესრულებინა, როგორც ჩვენი, რადგან რომმა იქ მათი ადათების დასამხობად კი არა, მათ დასაცავად მიმავლინა; ისე გამოდიოდა, თითქოს მე მათ თავზე აღმართული წკეპლების ასხმა და ნაჯახი ვყოფილიყავი. თავიდან მათ მოვუწოდებდი გონებისთვის მოეხმოთ და მსხვერპლის გადარჩენას ვცდილობდი. მაგრამ ჩემი გულმოწყალება ებრაელთა სიძულვილს კიდევ უფრო მეტად აღანთებდა: თავს სვავებივით დამტრიალებდნენ, ფრთებს აფახულებდნენ, ნისკარტებს მაბჯენდნენ და საკბილოს ითხოვდნენ ჩემგან. მღვდელმთავრები სწერდნენ კეისარს, თითქოს მე მათ კანონებს ფეხით ვქელავ, და ვიტელიუსის მიერ დამოწმებული ეს ბრალდებები სასტიკი გმობითა და რისხვით მიბრუნდებოდა. ო, რამდენჯერ გამჩენია მხურვალე სურვილი, მსჯავრდებულებიც და მოსამართლენიც ერთ გროვად შემეყარა და, ბერძნები როგორც იტყვიან, მათი ლეშით ყორნები დამენაყრებინა!

ნუ გაიფიქრებ, ლამიავ, რომ ამ ხალხის მიმართ უმწეო ბოღმასა და ბერიკაცულ ბრაზს შევუპყრივარ, რაკიღა მან ჩემი სახით რომი და მშვიდობიანობა დაამარცხა. არა, უბრალოდ ვგრძნობ, იუდეველნი ადრე თუ გვიან თავს მძიმე განსაცდელს დაგვატეხენ. თუკი მათი მართვა შეუძლებელია, მათი განადგურება მოგვიწევს. ეჭვი ნუ გექნება: თავიანთი ბობოქარი გულების სიღრმეში მუდამ ამბოხს დაატარებენ და როდისმე ჩვენ წინააღმდეგ ისეთ მძლავრ აჯანყებას აამხედრებენ, რომლის გვერდით ნუმიდიელთა თარეში და პართელთა მუქარა ბავშვურ სიცელქედ მოგვეჩვენება. ყველასაგან საიდუმლოდ ინახავენ თავიანთ თავხედურ იმედებს, მაგრამ ვიცი, ეს ჭკუასუსტები ჩვენს დამხობასა და ნაცარტუტად ქცევაზე ოცნებობენ. ან კი სხვაგვარად როგორ შეიძლება იყოს, თუკი, რაღაც გიჟურ წინასწარმეტყველებას აყოლილები, თავიანთი მოდგმიდან ხელმწიფის მოვლინებას მოელიან, მთელი მსოფლიოს მბრძანებელი რომ უნდა გახდეს? ამ ხალხის მორჯულება შეუძლებელია. მხოლოდ მისი ამოწყვეტა მოგვიტანს საშველს. იერუსალიმი უნდა აღვგავოთ პირისაგან მიწისა. სიბერის მიუხედავად მაინც ვიმედოვნებ, მოვესწრო იმ დღეს, როდესაც ამ ქალაქის გალავნები დაემხობა, სახლები აალდება, მოსახლენი შუბებზე აცმულნი დალევენ სულს, ხოლო ნატაძრალს გადაასწორებენ და მარილს მოაყრიან.

ლამია საუბრის კილოს მოლბობას შეეცადა.

— პონტიუს, — მიმართა მეგობარს, — წარსულის გამო შენი წყენაც და სამომავლო წუხილიც კარგად მესმის. ცხადია, იუდეველთა ის თვისებები, რომელსაც შეეჩეხე, მათ სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებს. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ იერუსალიმში კარგა ხანს ვიცხოვრე და გარეშე დამკვირვებლის თვალით ამ ადამიანებში მრავლად შევნიშნე ისეთი მოკრძალებული ღირსება, შენს თვალს რომ გამოეპარა. ვიცნობდი თვინიერებით გამსჭვალულ არაერთ იუდეველს, თავისი უმწიკვლო ზნითა და მართალი გულით ჩვენი პოეტების მიერ ხოტბაშესხმულ ებალიელ მოხუცს[7] რომ მაგონებდნენ. შენც ხომ გინახავს, პონტიუს, შენი ლეგიონერების ხელით როგორ იხოცებოდნენ უბრალო ადამიანები, უსახელოდ როგორ სწირავდნენ თავს იმ საქმეს, რომელიც თვითონ მართებულად მიაჩნდათ. ასეთი ადამიანები ჩვენ ზიზღს როდი იმსახურებენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მუდამ გვმართებს მიუკერძოებლობა და სამართლიანობა. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიარო, რომ იუდეველთა მიმართ განსაკუთრებული კეთილგანწყობა არასოდეს განმიცდია. აი, მათი ქალები კი მეტად მხიბლავდნენ. იმხანად ახალგაზრდა ვიყავი და სირიელი ქალები მხურვალე გრძნობებს აღმიძრავდნენ. მათი მეწამული ტუჩები, მათი მიმქრალი თვალების ნამიანი გაელვება, მათი გაბმული მზერა თრთოლვას ჰგვრიდა მთელ ჩემ არსებას. ეს ქალები, ფერუმარილითა და ნელსაცხებლით, მურისა და ნარდის სურნელით დამშვენებულნი, იშვიათ და დაუვიწყარ ნეტარებას მჩუქნიდნენ.

პონტიუსი მოუთმენლად უგდებდა ყურს ლამიას აღფრთოვანებულ აღიარებებს.

— მე ისეთი კაცი არ ვყოფილვარ, იუდეველი ქალების ანკესზე რომ წამოვგებულიყავი, — შენიშნა მან ბოლოს, — და, რაკიღა ამის შესახებ ჩამოაგდე სიტყვა, უნდა გითხრა, ლამია, რომ შენს აღვირახსნილობას არასოდეს მივსალმებივარ. ყოფილი პროკონსულის მეუღლე რომ შეაცდინე, ამით ჩემ თვალში მძიმე დანაშაული ჩაიდინე და მაშინ მხოლოდ იმის გამო არ გისაყვედურე, რომ ისედაც საკმაოდ დაისაჯე. პატრიციუსის ვალია, ქორწინება წმინდად შეინახოს, რადგან სწორედ ქორწინებაზე დგას რომის დიდება. რაც შეეხება მონა ქალებსა და უცხოელებთან კავშირს, ის მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუკი ხორციელი ვნება სამარცხვინო სისუსტეს არ ჩაგვისახავს. ნება მიბოძე, იმაზე მიგითითო, რომ მუდამ მეტისმეტად დიდ მსხვერპლს სწირავდი ქუჩის ვენერას. განსაკუთრებით კი იმის გამო გამტყუნებ, ლამია, რომ არ იქორწინე და რესპუბლიკას მოქალაქენი არ შეჰმატე, რითაც ყველა ჩვენგანისათვის წმინდა კანონი დაარღვიე.

მაგრამ ტიბერიუსის მიერ განდევნილი მექალთანე პილატეს სიტყვებს ყურს აღარ უგდებდა. მან ფალერნული ღვინის თასი გამოცალა და რაღაც უხილავ ზმანებას შეჰღიმა.

ხანმოკლე დუმილის შემდგომ კვლავ ალაპარაკდა, ჯერ ჩურჩულით, შემდეგ კი — სულ უფრო ხმამაღლა:

— რამდენი განცხრომაა სირიელ ქალთა ცეკვაში! იერუსალიმში ვიცნობდი ერთ იუდეველ ქალს: დაირას მაღლა აღაპყრობდა, ტანს მშვილდივით მორკალავდა, უხვი წითური თმით თითქოს დამძიმებულ თავს უკან გადააგდებდა, ვნებით დაბინდულ თვალებს ოდნავ მოხუჭავდა

[7] მშრომელი და კეთილგანწყობილი მოხუცის იდილიური სახე, რომელიც ვირგილიუსმა გამოიყვანა თავის „გეორგიკებში“ („პოემა მიწათმოქმედების შესახებ“).

და ცეკვავდა, ისე ცეკვავდა! უბადრუკ სოროში, გაცვეთილ ხალიჩაზე, ჭვარტლიანი პატრუქის შუქით განათებული, ისე მხურვალედ, აღტკინებითა და მოხდენილად ირხეოდა, — მის შემყურეს თვით კლეოპატრასაც კი შური აიტანდა. როგორ მიყვარდა მისი ბარბაროსული ცეკვა, მისი ხორხისმიერი და მაინც ლბილად მაამებელი სიმღერა, მისგან დაფქვეული საკმევლის სურნელი, თვლემის ის ნეტარება, რომლითაც, თითქოს ყოველწუთიერად სუნთქავდა. ჯარისკაცების, ჯამბაზების, მევახშეების გუნდთან ერთად მეც სულ ფეხდაფეხ დავყვებოდი. შემდეგ სრულიად მოულოდნელად გაუჩინარდა და მას მერე აღარასოდეს მინახავს. დიდხანს დავეძებდი ბინძურ ქუჩაბანდებსა და ტავერნებში. მას უფრო ძნელად შეელეოდი, ვიდრე ბერძნულ ღვინოს. გავიდა რამდენიმე თვე და სულ შემთხვევით შევიტყე, რომ ვინმე ახალგაზრდა გალილეველი ჯადოქრის მიმდევართა ჯგუფს შეუერთდა, რომელსაც მამაკაცებთან ერთად ქალებიც ეკუთვნოდნენ. ამ ადამიანს იესო ნაზარეველი ერქვა, მოგვიანებით რაღაც დანაშაულისათვის სიკვდილით დასაჯეს. პონტიუს, თუ გახსოვს ეს კაცი?

პონტიუს პილატემ შუბლი შეკრა და თვალებზე ხელი აიფარა, თითქოს გახსენებას შეეცადა. რამდენიმეწუთიანი დუმილის შემდეგ მძიმედ წარმოთქვა:

— იესო? იესო ნაზარეველი? არა, ასეთი არ მახსოვს.

*თარგმნა **თამარ კოტრიკაძემ***

გიორგი ძნელაძე

ზრდილი ქალიშვილიდან ფემინისტურ რევოლუციამდე განვლილი გზა თავისუფლებისაკენ

(სიმონ დე ბოვუარის შესახებ)

სიმონ დე ბოვუარი 1908 წლის 9 იანვარს, ტრადიციულ, ბურჟუაზიულ, კათოლიკურ ოჯახში დაიბადა. მამამისი, ჟორჟ დე ბოვუარი, მოყვარული კომედიანტი იყო, დედა, ფრანსუაზ ბრასერი კი დიასახლისი. ჰყავდა უმცროსი და — ელენი. ბავშვობიდანვე განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა. თანატოლებთან თამაშის ნაცვლად, სახლში რჩებოდა, ფიქრებში იძირებოდა და ბუნებაში დაეხეტებოდა. ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ზრდილი ქალიშვილის მოგონებები“ გასაოცარი სიცხადით იხსენებს იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ოთხი-ხუთი წლის იყო. თავიდან მამას აღმერთებდა და უდიდეს პატივს სცემდა. სრულიად გამორჩეულ, დიდებულ მამაკაცსაც კი უწოდებდა. როცა წამოიზარდა, მისი დამოკიდებულება მის მიმართ რადიკალურად შეიცვალა. ჟორჟ დე ბოვუარი მუდამ დარდობდა, რომ ორი ქალიშვილის მამა იყო. ყოველთვის სურდა, ვაჟიშვილი ჰყოლოდა, რათა მას პოლიტექნიკური სასწავლებელი დაემთავრებინა. გოგონას ერთადერთ დანიშნულებად გათხოვებასა და შვილების გაჩენას მიიჩნევდა. მისი აზრით, ინტელექტუალური განვითარება გოგონას ტრადიციულ მოვალეობას ჩამოაშორებდა. სიმონ დე ბოვუარი ხვდებოდა, რომ მამის ამ მოთხოვნას ვერასოდეს შეასრულებდა:

„მამაჩემი მგზნებარე ანტიფემინისტი იყო... თვლიდა, რომ ცოლი ქმარს უნდა დამორჩილებოდა. სუფრაჟისტი ქალების წინააღმდეგ ილაშქრებდა და აცხადებდა, რომ სწორედ ის ქალი იმსახურებდა პატივისცემას, ვინც ქმრისა და შვილების გამო კარიერას დასთმობდა“.

„ბავშვის საფენები, საწოვარები და სხვა ნივთები მეზარებოდა...“

„დედა ყოველდღე სადილსა და ვახშამს ამზადებდა, ჭურჭელს რეცხავდა. ეს უსასრულო, ამაო საათები იყო. „ნუთუ, მეც ასე ვიცხოვრებ?“ — გავიფიქრე და უეცრად, ისე თვალნათლივ დავინახე რუხ დღეთა წყება, რომ გული მეტკინა. ერთნაირი, უფერული დღეები, კვირები, თვეები, წლები... საკუთარ თავს დავპირდი, რომ ამას არასოდეს დავუშვებდი...“

იგი ბავშვობიდანვე ამჩნევდა ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებებს, ქალის დაჩაგრულ, მეორეხარისხოვან მდგომარეობასა და საყოველთაო ანტიფემინისტურ განწყობას. რელიგიური მორალით გაჟღენთილ გარემოში სუნთქვა უჭირდა. მალე თავშესაფარი რომანების კითხვაში ჰპოვა. საათობით იკეტებოდა ოთახში და გატაცებით ეწაფებოდა ლიტერატურას. წაიკითხა „აკრძალული“ წიგნებიც: მარკიზ დე სადი, ჯორჯ ელიოტი, ჟორჟ სანდი, როზამონ ლეჰმანი, ანდრე ჟიდი, არტურ რემბო, კოლეტ ივერი და სხვები.

„ხარბად ვეწაფებოდი წიგნებს. საღამოობით, როცა ჩემი მშობლები სახლიდან გავიდოდნენ და ჩემი და დაიძინებდა, საწოლში ჩავწვებოდი და ვკითხულობდი. შუქს მხოლოდ მაშინ ვაქრობდი, როცა კარის საკეტში გასაღების გადატრიალების ხმას გავიგონებდი.“

„უარვყოფდი იერარქიას, ნორმებს, იმ ცერემონიებს, რომლებითაც ელიტა გამოირჩეოდა. ნორმებს არ ვცნობდი. წესებს ვარღვევდი და არაფერს ვემორჩილებოდი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ აჯანყება მსიამოვნებდა.“

„ახალი თაობის მწერალთა მგზნებარებასა და სულისკვეთებას ვიზიარებდი. მათ ესეებს გატაცებით ვკითხულობდი. ბუნებრივია, მათში საკუთარ თავს ვხედავდი. ძალიან მგავდნენ. ისინიც ცუდად გრძნობდნენ თავს სულისშემხუთავ ბურჟუაზიულ გარემოში. მსოფლიო ომმა მათ სიმშვიდე დაუკარგა, მაგრამ მათი გარემოცვა მაინც არ შეიცვალა... ისინი ოჯახსა და ტრადიციებს ებრძოდნენ...“

„ლიტერატურა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი გახდა. წიგნებმა ჩემი ცხოვრება მთლიანად შთანთქა და შეცვალა. მან ის ადგილი დაიკავა, რომელიც ადრე რელიგიას ეჭირა. საყვარელი წიგნები ჩემს ბიბლიად იქცა და მათში ვპოულობდი თავშესაფარსა და უამრავ რჩევას.“

„დავიწყე კეკლუცობა. მჭირდებოდა რაღაც გამაღიზიანებელი. ძალიან მიყვარდა ცეკვა. ცეკვისას თვალებს ვხუჭავდი, რათა სიამოვნება მთელი სიმძაფრით შემეგრძნო. ამ დროს ერთგვარ ექსჰიბიციონიზმს განვიცდიდი. ჩემი სიმორცხვე უკვალოდ ქრებოდა და უსაზღვრო მგრძნობელობით ვივსებოდი. მიყვარდა ძილი“.

„უსაზღვრო ბედნიერება მეუფლებოდა, როცა განთიადისას წიგნს ავიღებდი და მდუმარე, მძინარე სახლიდან გამოვიდოდი... ვუცქერდი, როგორ იღვიძებდნენ მდელოები. მიხაროდა, რომ ამ მშვენიერი წუთების მომსწრე ვიყავი. ვგრძნობდი, როგორ მელამუნებოდა გრილი ნიავი. ყინულის თხელი ფენა, რომელიც მიწას ფარავდა, ნელ-ნელა დნებოდა... როცა ფუტკრები ბზუილს იწყებდნენ, დარაბებს ვაღებდით და სახლში გლიცინიებისა და მზის სურნელი იჭრებოდა... სხვებისათვის დღე მხოლოდ ახლა იწყებოდა, მე კი ალიონს შევეგებე... მე და ამ დღეს გვქონდა საიდუმლო, საერთო წარსული, რომელსაც ვერავინ ჩაწვდებიდა. საუზმის შემდეგ რკინის მაგიდასთან დავჯდებოდი, წინ რვეულებსა და წიგნებს დავიდებდი და ჩემი ოჯახის წევრებს თავს ვაჩვენებდი, რომ თითქოს ვმეცადინეობდი. მიყვარდა ეს წუთები. ყურს ვუგდებდი ზაფხულის ხმაურს. ვუცქერდი მფრინავ ბზიკებს, ვუსმენდი ციცრების კაკანს, ირმების შიშნარევ ყვირილს, ფოთოლთა ჩურჩულს. ფლოქსის სურნელი ერწყმოდა კარამელისა და შოკოლადის სუნს, რომელიც სამზარეულოდან ამოდიოდა. ჩემს რვეულს მზის სხივები დასთამაშებდა. ვფიქრობდი: „ყველა საგანს, მეც, საკუთარი ადგილი გვაქვს... აქ, ახლა და სამუდამოდ...“

„სანამ საწოლში ჩავწვებოდი, ფანჯარასთან დიდხანს ვჩერდებოდი, ფეხის წვერებზე ავიწეოდი და ვცდილობდი, ღამის მშვიდი სუნთქვა შემეგრძნო. ფანჯრიდან გადავიწეოდი და დეკას გრილ ფოთლებში თითებს შევაცურებდი. შადრევნის წყალი დუდუნით ეცემოდა მომწვანო ქვას. ძროხა, დროდადრო, ჩლიქს სცემდა თავლის კარს... ვგრძნობდი თივის სურნელს. კუტკალიის გულისცემასავით ჯიუტი, გაბმული ჭრიჭინი ისმოდა. უსასრულო მდუმარებაში ვიყავი ჩაძირული. უძირო ზეცის ბინდმოსილ ნათელში გახვეულს მეჩვენებოდა, რომ მიწა ეხმიანებოდა ჩემს შინაგან ხმას, რომელიც დაუღალავად ჩურჩულებდა: „აქა ვარ...“. ჩემი გული სასიცოცხლო სითბოთი ფეთქავდა ვარსკვლავების ყინულოვან შუქზე. ნიავი მეალერსებოდა, ღამეული სურნელი თავბრუს მახვევდა, ჩემი სისხლის ჩუხჩუხი მესმოდა. მთელი ჩემი არსება ზეიმობდა. მარადისობას ვერწყმოდი“...

ასე გაუჩნდა ზრდილ ქალიშვილს განსხვავებულად ცხოვრების სურვილი. მისთვის ნაცნობი გახდა წესის დარღვევა, დაუმორჩილებლობა, შეურიგებლობა, აჯანყება, არჩევანი, თავისუფლება, კრიტიკა, აზროვნება, აქტიურობა, კითხვა, წერა, შემოქმედება, ბრძოლა. სულისშემხუთავმა ბურჟუაზიულმა გარემომ გათავისუფლების სურვილი კიდევ უფრო გაუმძაფრა. სურდა, საკუთარი ნებით ეცხოვრა, თავად გამხდარიყო საკუთარი არსებობის შემოქმედი, ყოველწამიერად აზრი შეეძინა მისთვის. მალე დაუმეგობრდა ელისაბედ მაბილს, რომელსაც მოფერებით ზაზას ეძახდა. ისინი კითხულობდნენ წიგნებს, ფილოსოფიურ ნაშრომებს, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ, სეირნობდნენ ბუნებაში, საუბრობდნენ ქალთა მდგომარეობაზე. მკაცრი რელიგიურობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მათ ყველა დაუღალავად უმეორებდა, რომ თუ ქალი დედისა და მეუღლის ტრადიციულად დაკანონებულ როლებს უარყოფდა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, როგორ იერარქიის პრინციპზე დამყარებულ სისტემას, საფუძველი გამოეცლებოდა. ბოვუარის საუკეთესო მეგობარს მალევე გამოუძებნეს საქმრო. ზაზა იტანჯებოდა, იბრძოდა, მაგრამ მშობლებს მაინც ვერ ეწინააღმდეგებოდა. სიმონი ყველანაირად ცდილობდა, მისთვის მხნეობა შეემატებინა და მიეხვედრებინა, რომ ადამიანის ნება-სურვილი ყოველგვარ საზოგადოებრივ მორალზე მაღლა იდგა, მაგრამ ვერ მოასწრო: ოცდაერთი წლის ზაზა მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი გადარჩენა ვერც საყვარელმა მამაკაცმა შეძლო. სიმონ დე ბოვუარს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გოგონა მოკლეს. ის შეიწირა მჩაგვრელმა საზოგადოებამ, ოჯახის წევრების მკაცრმა მოპყრობამ, ფარისევლურმა მორალმა, იმ სულიერებისა და რელიგიის ზეობამ, რომელიც ადამიანს აზროვნების, თავისუფლებისა და საკუთარი ნებით ცხოვრების საშუალებას არ აძლევს. სასიკვდილო სარეცელზე მწოლმა ზაზამ დედას უთხრა: „ნუ მიდარდებთ, დედა. ყველა ოჯახს ჰყავს ხორცმეტი. ჩვენი ოჯახის ხორცმეტი კი მე აღმოვჩნდი.“ სიმონ დე ბოვუარი მისმა სიკვდილმა ააჯანყა და ქალის მჩაგვრელ ტრადიციებთან ბრძოლა მისი ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ მიზნად აქცია. მის შემოქმედებას სევდიან რეფრენად გასდევს ნაადრევად გარდაცვლილი მეგობრის მონატრება და სინანული იმის გამო, რომ მისი ხსნა

ვერ შეძლო. „ზრდილი ქალიშვილის მოგონებებს“ ასე ასრულებს: „ზაზა ხშირად მესიზმრებოდა. ჩემ წინ იდგა თავისი ყვითელი ქუდით და მიცქერდა. თითქოს, რაღაცას მსაყვედურობდა. ჩვენ ერთად ვებრძოდით იმ საშინელ ხვედრს, რომელიც წინ გველოდა. ხშირად ვფიქრობდი, რომ თავისუფლების მოპოვება მისი სიკვდილის ფასად დამიჯდა...“ ფემინისტ ბოვუარს არასოდეს დავიწყებია საუკეთესო მეგობარი. მას მიუძღვნა რომანი „ანა, ანუ როდესაც ზეობს სულიერება“, რომელშიც მისი ცხოვრება და ტრაგიკული აღსასრული აღწერა.

თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვის წყალობით, ოცდაორი წლის ზრდილმა ქალიშვილმა ფინანსური დამოუკიდებლობა მოიპოვა, სორბონას უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა და ლექტორი გახდა. მალე დაუახლოვდა ფრანგ ინტელექტუალებს: ჟან-პოლ სარტრს, კამიუს, ნიზანს, ბორის ვიანს, მორის მერლიუ პონტის, ჟაკ ლორენ ბოსტს, კლოდ ლანზმანსა და სხვებს. მალევე ყველაზე ახლობელი და საყვარელი ფილოსოფიური მიმდინარეობის, ეგზისტენციალიზმის უმნიშვნელოვანეს ფიგურად იქცა. როგორც შემდგომ ფემინისტებმა აღნიშნეს, ბოვუარი იყო ქალი ფილოსოფოსი მამაკაცთა სამყაროში.

„შეუჩერებლად ვწერდი წიგნებს. ერთ ნაწარმოებს მეორე მოჰყვებოდა. ქვეყნიერებას საბურველი შემოეძარცვა და ნათლად დავინახე, რომ ის აღსავსე იყო ყოველივე იმით, რისი შეგრძნება, გაგება და თქმაც მსურდა“. — წერს ავტორი, რომელმაც პარიზის ბოჰემური, მხურვალე ცხოვრების სიტკბო შეიგრძნო.

მეორე სქესის ეპოქა

მეოცე საუკუნის ორმოციანი წლების მიწურულს მთელი მსოფლიო ომის ჭრილობებს იშუშებდა. საფრანგეთში, ისევე, როგორც მთელ ევროპაში, „ბეიბი-ბუმი“ იყო. დემოგრაფიული კრიზისით შეწუხებული ევროპული ქვეყნების პირველი პირები დაუღალავად იმეორებდნენ, რომ ქალის უმთავრესი მოვალეობა სამშობლოსათვის გმირების აღზრდა იყო. ჰიტლერის ფრაზას, „ბავშვები, ეკლესია, სამზარეულო“, მრავალი მიმდევარი ჰყავდა. მრავალ ქვეყანაში ქალებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობისა და უმაღლესი განათლების მიღების უფლება. აბორტისა და კონტრაცეფციის ლეგალიზებასა და გენდერული თანასწორობის სამართლებრივ აღიარებაზე კი მხოლოდ ოცნება შეეძლოთ. ასეთ გარემოში, სიმონ დე ბოვუარმა, თავისი „მეორე სქესით“, ნამდვილი რევოლუცია დაიწყო. 1949 წელს გამოქვეყნებული მისი წიგნი ნამდვილი ბომბი აღმოჩნდა ფრანგული და არა მხოლოდ ფრანგული საზოგადოებისათვის. აღშფოთებულმა ვატიკანმა „მეორე სქესი“ აკრძალულ წიგნთა სიაში შეიტანა. უამრავი მამაკაცი გამოხატავდა ზიზღს იმ ქალის მიმართ, რომელმაც გაბედა და საუკუნეობრივი ჩაგვრის შემდეგ, ეჭვქვეშ დააყენა მამაკაცური მითები ქალებისა და ქალურობის შესახებ. მას ფრანსუა მორიაკი, პიერ დე ბუადეფრი, როჟე ნიმიე და ჟან გიტონი აქტიურად ებძოდნენ. „უკვე ყველაფერი ვიცით სიმონ დე ბოვუარის ვაგინის შესახებ.“, „პატარა, ნევროზიანი გოგონა“, „უზნეო დედა“, „დაჩაგრული ცოლი“ — აი, ასე მოიხსენიებდნენ ფემინისტ ბოვუარს ისინი. ბოვუარს მარგინალს, ლესბოსელს, ფრიგიდულს, ამორალურ ქალს უწოდებდნენ (თან ჟან-პოლ სარტრთან ერთად სასტუმროში ცხოვრობდა და რაც მთავარია, მასზე დაქორწინებული არ იყო). რატომღაც, მის მტრებს არ გახსენებიათ, რომ მას შვილი არ ჰყავდა, არც გათხოვილი იყო და შესაბამისად, ვერც ქმარი დაჩაგრავდა და ვერც შვილი იქნებოდა მისი ტვირთი.

ავტორმა საფუძველი გამოაცალა ქალის მჩაგვრელ პატრიარქალურ წყობას და გაბედულად ისაუბრა ქალთა უსამართლო ხვედრზე, მათ აღზრდაზე, დეფლორაციაზე, სექსუალობაზე, გათხოვებაზე, დედობასა და სხვა მრავალ საკითხზე. წიგნი საყოველთაო განხილვის, კრიტიკისა თუ აღფრთოვანების საგნად იქცა. სიმონ დე ბოვუარმა უარი თქვა **მითებზე** და მხოლოდ ***რეალური*** ქალების (სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები მწერლების, მეგობრების, ნაცნობებისა თუ ზოგადად, მთელი მსოფლიოს ქალების) გამოცდილება და მდგომარეობა აღწერა და არა საკუთარი ცხოვრება.

„მსაყვედურობდნენ, „მეორე სქესი“ უხამსიაო. განაცხადეს, რომ დაუკმაყოფილებელი, ცივი, მუდმივად აღგზნებული, ნიმფომანი, ლესბოსელი ვიყავი, აბორტი ათასჯერ მქონდა გაკეთებული და თურმე, შვილი საიდუმლოდაც კი გამიჩენია. უამრავმა მამაკაცმა მითხრა, რომ მე

არ მქონდა ქალებზე საუბრის უფლება, რადგან არ მიმშობიარია.“ — იხსენებს ავტორი. ურდენმა განაცხადა: „ეს წიგნი არაჩვეულებრივი, ბრწყინვალე, შესანიშნავი, უხეში, უხამსი, გამაღიზიანებელი და აუცილებელია. ის არაფერს მალავს: ყველაფერს იკვლევს და იძიებს. ყველაფერი დღის სინათლეზე გამოაქვს. ის ამბობს ყველაფერს, რაც აქამდე ვიცოდით, მაგრამ აღიარებას ვერ ვბედავდით. როცა ამ წიგნს კითხულობ, ღიზიანდები, მაგრამ იძულებული ხდები, გააღმერთო“.

მტრებთან ერთად, ფრანგ ფილოსოფოსს დამცველებიც გამოუჩნდნენ. მათ შორის იყვნენ მორის ნადო, სარტრი, კლოდ ლევი-სტროსი და სხვა ინტელექტუალები. „სიმონ დე ბოვუარი — ქალი, რომელიც ქალებს თავისუფლების გზას უჩვენებს!“ — წერდა ფრანგული პრესა. ავტორი ათასობით ქალისაგან სამადლობელ წერილებს იღებდა. „დიდი მადლობა. თქვენ შეცვალეთ ჩემი ცხოვრება. ნათლად დამანახეთ ის, რასაც აქამდე თითქოს დაორთქლილი მინის მიღმა ვხედავდი... ხმამაღლა თქვით ის, რის გაფიქრებასაც კი ვერ ბედავენ... დიდი მადლობა ამისათვის“ — ეუბნებოდნენ ქალები მას. საყოველთაო სკანდალის მიუხედავად, 1949 წლის ივნისში, „მეორე სქესის“ პირველი ტომის 22 000 ეგზემპლარი სულ რაღაც ერთ კვირაში დახლებიდან გაქრა. ყველა გატაცებით კითხულობდა. წიგნი თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. ძალზე ცოტა ნაწარმოებმა თუ გამოიწვია ასეთი სკანდალი.

ნაწარმოების პირველი ტომი მითების დამსხვრევას ეძღვნება: ბიოლოგია, ფსიქოანალიზი, აღზრდა, სექსუალური ტაბუ, მითები, რელიგია, ისტორია. თავები: „მითები“ და „ისტორია“ პრეისტორიულ, ანტიკურ, თუ თანამედროვე კულტურებში ქალის მდგომარეობის მკვლევართათვის სერიოზული ანთროპოლოგიური მასალაა. ავტორი აანალიზებს ისტორიას და გვიჩვენებს, თუ რატომ ჩამოყალიბდა ქალი „მეორე“ სქესად. პრეისტორიულ ხანაში, მამაკაცი ბუნებას ქალთან აიგივებდა და სიკვდილს მხოლოდ მას უკავშირებდა. ეს გამოვლინდა დიადი დედის, ძლევამოსილი ქალღმერთის კულტში. ქალი მიჩნეული იყო სიცოცხლის მიმნიჭებლად და სიკვდილის წყაროდაც. ისტორიის გარკვეულ ეტაპზე მამაკაცი „ამხედრდა“ და ბუნების „დამორჩილება“ გადაწყვიტა. ამას დიადი ქალის კულტის დამხობა და ფემინურობაზე (მატრილინეალურ ხაზზე) მასკულინურობის (პატრილინეალური ხაზის) გამარჯვება მოჰყვა. მამაკაცებმა სახელმწიფოს მართვის სხვადასხვა სისტემები (მათ შორის რელიგია) ქალთა წინააღმდეგ მიმართეს. ქალის არასრულფასოვან, დაქვემდებარებულ არსებად ქცევა მათი ეკონომიკური და სოციალური უპირატესობის წინაპირობა იყო (აღსანიშნავია, რომ მსგავს აკრძალვებს ქალთა სქესი ყველა ეპოქაში აწყდებოდა). ქალის სექსუალობა, სხეული, მთლიანად დაემორჩილა პატრიარქალურ ნორმებს, რომლებშიც შეჩვენებული და დაგმობილია ქალი, როგორც მაცდური, სისხლმდინარე არსება. მენსტრუალური ციკლის დროს ქალი განსაკუთრებით მკაცრ აკრძალვებს დაექვემდებარა. მათ ქალებისა და ქალურობის შესახებ შეთხზეს სხვადასხვა მითები, რომლებშიც ძლევამოსილი ქალები ნელ-ნელა „ჩაანაცვლეს“ მასკულინურ ძალაუფლებას დამორჩილებულმა, მეორეხარისხოვანმა მდედრებმა. ერთ-ერთი მითი „ნამდვილი ქალის“ შესახებ ასეთია: სუსტი, მორჩილი, პასიური ქალი, რომელიც დიდი გონიერებით არ გამოირჩევა. სამაგიეროდ, შვილებსა და ქმარზე დღედაღამ ზრუნავს, არის ოჯახის ბურჯი, საკუთარი სიამოვნებისათვის ფულს არასოდეს ხარჯავს, არ იცის, როგორ უნდა თქვას: „მე მინდა“. მხოლოდ ის იცის, რა სურთ ქმარსა და შვილებს. მისი სანთელი ღამით არ ქრება. ქსოვს, კერავს, სახლს ალაგებს, რეცხს, ხვეტს, წმენდს, მუდმივად მჭმუნვარე იერით დააბიჯებს, ქუჩაში მხოლოდ მაშინ გადის, როდესაც ოჯახს რაღაც სჭირდება. რაც მთავარია, თმასა და სახეს საბურველით იფარავს. მომთმენი და დამთმობია, ქმრის სიტყვა მისთვის კანონია, არის ოჯახის, სკის „დედოფალი“, მოფუსფუსე, საქმიანი „ფუტკარი“. სურვილებისაგან დაცლილი, ვნებებჩამკვდარი, ხელშეუხებელი და სპეტაკი. პატრიარქალური გონისათვის ასეთია ნამდვილი ქალი: იგი უყოყმანოდ უნდა იღებდეს მამაკაცის ბატონობას. „ნამდვილი ქალის“ მითის გვერდით, პატრიარქალურმა წყობამ კიდევ ერთი მითი შეთითხნა: „ზნედაცემული ქალი.“ იგი „ნამდვილის“ სრული ანტიპოდია. არის მომთხოვნი, ახირებული, ხარბი, უზნეო, სულსწრაფი, ფულსა და სიმდიდრეზე შეყვარებული, ამპარტავანი, ვნებიანი, ავხორცი, ბიწიერი ქალი, რომელიც მამაკაცით ვერ „ნაყრდება“ და გამუდმებული მოთხოვნებით სასიცოცხლო ძალას აცლის მას. ეს მითი, ცხადია, მეძავებსა და ჰეტერებს ეხებოდა. ფალოცენტრულ საზოგადოებას, წმინდა, ხელშეუხებელ, „ნამდვილ“ ქალთან ერთად „ბინძურიც“ სჭირდებოდა. საუკუნეების მანძილზე ამ მითების მიხედვით ზრდიდნენ გოგონებს და ბავშვობიდანვე უნერგავდნენ, რომ ისინი სუსტები, დაუცველები და უუნარონი

იყვნენ. ისინიც იძულებულნი ხდებოდნენ, ამ ორი ურთიერთსაპირისპირო არქეტიპიდან ერთ-ერთს „მორგებოდნენ“. ქალი, როგორც მეორეხარისხოვანი არსება, ფრანგი ეგზისტენციალ-ისტი ფილოსოფოსისათვის პატრიარქალური კულტურის მიერ შეთითხნილი მითია და არა ბი-ოლოგიური უცვლელობა.

სწორედ ამ ფრაზით იწყებს სიმონ დე ბოვუარი თავისი განუმეორებელი ფემინისტური ნაშ-რომის მეორე ტომს: „ქალებად კი არ იბადებიან, არამედ — ხდებიან. არც ბიოლოგიური, არც ფიზიკური და არც ეკონომიკური ხვედრი არ განსაზღვრავს იმ ხატს, რომელსაც ქალი საზოგა-დოებაში იძენს. მხოლოდ პატრიარქალური ცივილიზაცია აყალიბებს ქალს, როგორც მამრსა და კასტრატს შორის გარდამავალ არსებას.“

ოჯახი და საზოგადოება ბავშვებს რადიკალურად გამიჯნული გენდერული როლების შე-თავსებას აიძულებს. გოგონას გენდერული როლი ბიჭის როლის ანტიპოდია. იგი უნდა იყოს მშ-ვიდი, ირაციონალური, თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცზე მეოცნებე, მომავალი იდეალური დედა და ცოლი, პასიური და მორჩილი. ბიჭი კი უხეში, ჭკვიანი, რაციონალური, კეთილისა და ბოროტის შემცნობი, მწვერვალების დამპყრობი, სამყაროს აღმოსაჩენად სახიფათო მოგზაუ-რობაში წამსვლელი, მეცნიერი, მწერალი, ფილოსოფოსი, მხატვარი, კომპოზიტორი და სხვა. რეპროდუქციულ უნარს ბიჭისათვის მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავს, გოგონას კი ყველა ასწავლის, რომ გათხოვება და შვილის ყოლა მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი უნდა იყოს.

„გოგონა მომავალს ისე უყურებს, როგორც გაურკვეველი მწვერვალისაკენ დაუსრულებელ სვლას... თუმცა ხედავს, რომ დედა სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავს და უეცრად აღმოაჩენს, რომ წლების წინაც დედის ხელები ცხიამიან წყალში ეფლობოდა და თეფშებს უხეში სახეხით რეცხდა... ყოველთვის ასე იყო და მუდამ ასე გაგრძელდება... ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს. ეს ერთგვარი მუდმივი, უიმედო და ამაო აწმყოა...“

„ის, რასაც ბიჭები აკეთებენ, მამაკაცურ ტრანსცენდენციად გარდაიქმნება. კაცები მხატ-ვრები, შემოქმედები არიან, რისკზე მიდიან, გეგმებს აწყობენ, ქალს კი დელიკატურად ასწავ-ლიან „ყოფნას.“ გოგონას ბუნებრივი მისწრაფებაც „ქმნადობაა“, მაგრამ მას ასწავლიან, რო-გორ იქცეს ობიექტად და როგორ შემოიფარგლოს მის უცვლელ არსად მიჩნეული სფეროთი. ქალის ხვედრი, მისი დანიშნულება, წინასწარ, მრავალგზის არის განსაზღვრული საზოგადოე-ბაში. კაცებს კი აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ საკუთარი მომავალი. ბიჭს ყველა ასწავლის, რომ გაურკვეველ, ღია მომავალს უნდა დაუპირისპირდეს, მეზღვაური ან ინჟინერი გახდეს, ფერმაში დარჩეს, ან ქალაქში წავიდეს და „ცხოვრება ნახოს“, მსოფლიო შემოიაროს და გამდიდრდეს. იგი სრულიად თავისუფალია და შეუძლია, მოულოდნელობებით აღსავსე მომავალს დაუპირისპ-ირდეს. გოგონა კი გახდება ცოლი, დედა და ბებია. ისევე როგორც დედამისი, ისიც მოუვლის სახლს, იზრუნებს ბავშვებზე... იგი მხოლოდ თოთხმეტი წლისაა და მისი ცხოვრების ისტორია, თითქოს, ზეცაშია დაწერილი. ის თანდათან, დღითი დღე აღმოაჩენს ამ ისტორიას, ყოველგვარი „ქმნადობის“ გარეშე.“... „გულნატკენი, დარცხვენილი, შეშფოთებული, მწუხარე, დანაშაულის შეგრძნებით აღსავსე მიემართება გოგონა მომავლისაკენ. ის ამჩნევს, რომ სამყარო ფალოცენ-ტრულია, მას მამაკაცები მართავენ“.

ამგვარი საზოგადოებრივი წნეხი და იმედგაცრუება გოგონას აიძულებს, საკუთარ დაქვემ-დებარებულ ხვედრს შეეგუოს. ხან ნარცისიზმს აფარებს თავს, ხანაც — მაზოხიზმს. ასე ნებ-დება და თანხმდება, იქცეს ობიექტად და აღასრულოს საზოგადოების მოთხოვნა: გახდეს ცოლი და დედა. ფრანგი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსისათვის ქორწინება ამაზრზენი პატრიარ-ქალური ინსტიტუციაა, რომელიც ქალს ქმრის დომინაციის ქვეშ აყენებს და მის თავისუფლე-ბას, მისწრაფებებსა და სურვილებს ახშობს. ქორწინება და დედობა არის არა ქალის მიერ გაც-ნიბიერებულად გადადგმული ნაბიჯი, არამედ ტრადიციების ძალით თავს მოხვეული.

„ქალი არ არის დამნაშავე ოჯახის დანგრევაში... თავად ქორწინების პატრიარქალური სისტე-მაა საფუძველშივე გახრწნილი და დომინაციის პრინციპზე დამყარებული“... „პატრიარქალური ცივილიზაცია ქალს ქალწულობასა და უბიწოებას აძალებს. საზოგადოებაში გაბატონებული აზრის თანახმად, მამაკაცს აქვს სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალე-ბა. ქალს კი ამის უფლება მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც ქორწინება ეკლესიისა და სახელმწი-ფოს მიერაა დაკანონებული. მას სურვილის გამომჟღავნება დაცემად, შეცოდებად, შეცდომად და სისუსტედ ეთვლება.“

„ქალს ოდითგანვე ნივთივით, ავეჯივით ათხოვებდნენ. ქალი, რომელიც გათხოვებაზე უარს ამბობს, პარაზიტად და გადახრილად აღიქმება... შეიძლება, შემომეკამათონ, რომ ქალს დღეს არავინ აძალებს გათხოვებას და თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს. მაგრამ მათ საპასუხოდ ვიტყვი, რომ დღესაც კი, მამაკაცთა ეკონომიკური უპირატესობის გამო, უამრავი ქალი უარს ამბობს მუშაობაზე და გათხოვებას ამჯობინებს. ისევ მამაკაცებს უპყრიათ ხელთ ეკონომიკური სადავეები.“

„ქალი საზოგადოების არასრულფასოვან წევრად აღიქმება მაშინაც კი, როდესაც სამსახური აქვს და თავს ირჩენს. აუცილებლად ქორწინების ბეჭედი უნდა ეკეთოს, რათა სრულყოფილ, ღირსეულ პიროვნებად ჩათვალონ.“

„ნამდვილი ფარისევლობაა იმის მტკიცება, რომ საზოგადოებაში გაბატონებულ ნორმებზე დამყარებულ ქორწინებაში, ყოველდღიური საჭიროებებით, საზოგადოებრივი და მორალური ვალდებულებებით დაკავშირებულ ცოლ-ქმარს ერთმანეთი ეყვარება“.

ბოვუარი ფსიქიატრი სტეკელის ნაშრომს, „ფრიგიდულ ქალს“, რომანების პასაჟებსა და ნაცნობი ქალების მონათხრობებს მიჰყვება და ქალის ფრიგიდულობას უკავშირებს ქორწინების პირველ ღამეს განცდილ იმედგაცრუებასა და ტკივილს, ქმრის სიუხეშესა და მოურიდებლობას.

„ქორწინების ღამეს დეფლორაცია დაკანონებული გაუპატიურებაა“.

„სტეკელის სტატისტიკის მიხედვით, ქალთა მხოლოდ ოთხმა პროცენტმა მიიღო სიამოვნება „პირველი ღამისას“. ორმოცდაათი პროცენტი სიამოვნებას ვერ განიცდის დღეების, კვირების, თვეებისა და წლების განმავლობაშიც კი. ორმოცდაექვსი პროცენტი სამუდამოდ ფრიგიდული დარჩა. კინსის სტატისტიკის მიხედვით კი მილიონობით ქალი ისე ხდება დედა და ბებია, რომ სიამოვნება არასოდეს განუცდია.“

„მეორე სქესის“ თავში „დედობა“, ბოვუარმა კიდევ ერთ პატრიარქალურ ***მითს***, „დედურ ინსტინქტს“ დაუპირისპირა უამრავი ***რეალური*** ქალის მონათხრობი და მოსაზრება დედობის შესახებ. იგი ფსიქოლოგების (ელენ დოიჩის, სტეკელის და სხვ.) ნაშრომებსა და ქალების მონათხრობებს გულდასმით სწავლობს და ასკვნის, რომ დედობისა და გათხოვების სურვილი ქალს ბუნებრივად კი არ უჩნდება, არამედ აღზრდისას უნერგავენ.

ეგზისტენციალისტი ფემინისტის თანახმად, პატრიარქალურ საზოგადოებაში მცხოვრები ქალი სიბერეში მწვავე კრიზისს განიცდის, აქვს უფუნქციობის, მიუსაფრობისა და განწირულობის განცდა, რადგან ხვდება, რომ ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწია, პატრიარქალურმა კულტურამ მონობის უღელი დაადგა და ვერაფერი ღირებული ვერ შექმნა.

„ქალიშვილი ოცნებობს, თუ როგორი იქნება მისი მომავალი, ასაკოვანი ქალი კი სინანულით ფიქრობს, თუ როგორი ***უნდა ყოფილიყო*** მისი ცხოვრება. განუწყვეტლივ იხსენებს, რისი საშუალება არ მიეცა... ის სასოწარკვეთის მორევში დღითი დღე ეფლობა“.

ქალი ყველანაირად ცდილობს დაკარგული ცხოვრების ანაზღაურებას, მაგრამ სულ ამაოდ: დრო შეუჩერებლად მიაქანებს სიკვდილისაკენ. იგი ცდილობს, სიკვდილიც უარყოს და ათასგვარ წარმოსახვით სამყაროს აფარებს თავს. „ის არის თავზარდაცემული მსხვერპლი იმ ცხოვრებისა, რომელიც ***არ აურჩევია.***“

„მეორე სქესის“ ბოლო თავი ქალის გათავისუფლების პრობლემას ეხება. ავტორი აცხადებს, რომ სანამ არსებული აღზრდის სისტემა (გოგონების მორჩილ დედებად და დიასახლისებად, პასიურ, დამყოლ, სუსტ, სულელ, კომფორტულ ნახევარფაბრიკატებად ჩამოყალიბება) არ დასამარდება, ქალი თავისუფლებას ვერ მოიპოვებს. ფალოცენტრიზმის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი სწორედ აღზრდის სისტემაა. არც არჩევნებში ხმის მიცემის უფლებას და არც სექსუალურ თავისუფლებას არ შეუძლია, ქალს სრული ემანსიპაცია მოუტანოს. მას მყარი ეკონომიკური დასაყრდენი უნდა ჰქონდეს, უნდა მოისპოს ქალთა და მამაკაცთა ხელფასებს შორის უთანასწორობა (ეს მოთხოვნა დღემდე ვერ შესრულდა. შუაგულ ევროპაში, ქალები, მამაკაცებთან შედარებით, თხუთმეტიდან ოცდახუთ პროცენტამდე ნაკლებ ხელფასს იღებენ). ლეგალიზებული უნდა გახდეს აბორტი, კონტრაცეფცია, თავის დაცვის სხვადასხვა საშუალებები, ქალებს მიეცეთ უფლება, ***ნამდვილ*** პროფესიებს დაეუფლონ და სხვა.

„როგორ შექმნიდნენ ქალები რაიმე გენიალურს, როცა საუკუნეების განმავლობაში მცირეტანიანი ნაწარმოების დაწერის საშუალებაც კი არ ჰქონდათ?...“

„გენიოსად კი არ იბადებიან, არამედ — ხდებიან. პატრიარქალურმა წყობამ კი ქალს დღემდე არ მისცა საშუალება, რომ გენიოსი გამხდარიყო.“

ბოვუარის მეთაურობით, 1971 წელს, სამას ორმოცდასამმა ქალმა შექმნა მანიფესტი „მე გავიკეთე აბორტი“. „მხოლოდ საფრანგეთში, ყოველწლიურად, მილიონობით ქალი იკეთებს აბორტს საშინელ სამედიცინო პირობებში. სწორედ ამიტომ იღუპებიან ისინი, თუმცა მათზე არავინ არაფერს ამბობს. ჩვენ მოვითხოვთ აბორტის ლეგალიზებას, რათა ბოლო მოეღოს ქალთა ტანჯვას. ვაცხადებ, რომ მე გავიკეთე აბორტი.“ ეს არის ამონარიდი ზემოხსენებული მანიფესტიდან. ფემინისტებმა საწადელს მალევე მიაღწიეს: სიმონ ვეილის მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის დაშვების შესახებ დიდი დავიდარაბის შემდეგ დაამტკიცეს.

* * *

სიმონ დე ბოვუარის შემოქმედება მოიცავს რომანებს, ფილოსოფიურ ესეებსა და მემუარებს. მისი სადებიუტო რომანი იყო „სტუმარი“, რომელშიც თავისი, ჟან-პოლ სარტრისა და ოლგა კოსაკევიჩის სიყვარულის ისტორია აღწერა. ამ რომანში „ბეწვის ხიდზე“ გავლის ისტორიაა გააზრებული და ის საფრთხე, რომელიც მისი და ჟან-პოლ სარტრის კავშირს იმ სახიფათო სტუმარმა, ოლგამ შეუქმნა. ის ავტორია ნაწარმოებებისა: „სხვათა სისხლი“, „ყველა ადამიანი მოკვდავია“, „მანდარინები“, „მშვენიერი სურათები“, „ანა, ანუ როდესაც ზეობს სულიერება“, „სასოწარკვეთილი ქალი“, „ზედმეტი პირნი“. მემუარებისა: „ზრდილი ქალიშვილის მოგონებები“, „ასაკის ძალა“, „გარემოებათა ძალა“, „დიდი მარში“, „ამერიკა დღითი დღე“, „მშვიდი სიკვდილი“, „სიბერე“, „შეჯამება“, „დამშვიდობება“. ჟან-პოლ სარტრისათვის, ჟაკ-ლორენ ბოსტისათვის და ნელსონ ალგრენისათვის მიწერილი წერილები მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

იგი იყო მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი ფილოსოფოსი, მწერალი და ფემინისტი. მისი ეგზისტენციალისტური ნაწარმოებების უდიდესი მნიშვნელობა საყოველთაოდ აღიარებულია. იგი იყო სისხლსავსე ცხოვრების მქონე ქალი, რომელსაც საკუთარი თავისა და ძალების სჯეროდა და მილიონობით ქალის ცხოვრება სასიკეთოდ შეცვალა. ხმამაღლა საუბრის, ეკლიან გზაზე სიარულისა და მითების დამსხვრევის არ შეეშინდა და დაგვანახა ის თვალისმომჭრელი სიმართლე, რომლის აღიარებასაც ვერავინ ბედავდა. მან დიდი გავლენა მოახდინა ისეთ ფემინისტებზე, როგორებიც იყვნენ/არიან: ჯუდით ბატლერი, ბეტი ფრიდანი, მონიკ ვიტიგი, ქეით მილეტი, იულია კრისტევა, სულამით ფაიერსტოუნი, ჟერმენ გრირი და სხვები. ფემინიზმის დედა 1986 წლის 14 აპრილს, ეგზისტენციურ მარტოობაში, პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა. 19 აპრილს, დაკრძალვაზე, მთელი მსოფლიოდან ჩამოსულმა ქალებმა მიაგეს პატივი ემანსიპაციის სიმბოლოს.

ფილოსოფოსმა ელისაბედ ბადინტერმა მას ახალი მიწების აღმომჩენი უწოდა და განაცხადა: „ქალებო, თქვენ მასთან ვალში ხართ! ყველაფერი მისი წყალობით მოიპოვეთ“.

სიმონ დე ბოვუარი

მანდარინები

(ფრაგმენტი რომანიდან)

ნუთუ, ვგრძნობდი, რომ ეს მოხდებოდა? როცა ეს საწამლავიანი შუშა პოლს ჩანთიდან ამოვაცალე, მის გადაგდებას ვაპირებდი, თუმცა გადავიფიქრე და ხელთათმანების ყუთში შევინახე.

საკმარისია, ჩემს ოთახში ავიდე და ხელის ერთი მოძრაობით ყველაფერი სამუდამოდ დასრულდება. ეს ფიქრი მამშვიდებს. ჩამავალი მზის სხივებით გამთბარ ბალახს სახეს ვადებ და ჩურჩულით ვამბობ: „სიკვდილი მინდა“.

ყელში მოწოლილი ბურთი ქრება, თავისუფლად ვსუნთქავ და უეცარი სიმშვიდე მეუფლება.

თუმცა იმიტომ არ ვარ ასეთ მდგომარეობაში, რომ ლუისს დავშორდი. ორი კვირის წინ დაჭკნა და გადავაგდე მისი ნაჩუქარი დიდი ორქიდეა. ყველაფერი დასრულდა. როცა ჩიკაგოში ვიყავი, თავს უკეთ ვგრძნობდი. უეჭველად გადავლახავ ამ მძიმე პერიოდს. სხვაგვარად არ ძალმიძს.

იმიტომ არ ვარ ასე, რომ ადამიანებს თითქმის ყველგან ხოცავენ. არც იმიტომ რომ კიდევ ერთი მსოფლიო ომის დაწყების საფრთხე არსებობს... დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მოგკლავენ, თუ მოკვდები. ყველა თითქმის ერთსა და იმავე ასაკში კვდება, სადღაც, ორმოცი წლის, ან ცოტათი გვიან. არა. ეს ყველაფერი მე არ მეხება. ასე რომ არ იყოს, თავს ცოცხალ ადამიანად ვიგრძნობდი და სიკვდილს არ ვისურვებდი.

მახსენდება ის დღე, როცა თხუთმეტი წლის ვიყავი და სიკვდილზე ფიქრისას, შიშისაგან შევკივლე.... დღემდე ვგრძნობ, რომ სიკვდილი ფეხდაფეხ მომდევს.

თხუთმეტი წლის აღარ ვარ. გაქცევაც კი არ შემიძლია. სიკვდილმისჯილი საკანში თავს იხრჩობს, რათა კიდევ რამდენიმე დღე არ ელოდოს განაჩენის აღსრულებას. *მათ* კი უნდათ, რომ კიდევ მრავალი წელი მშვიდად ველოდო სიკვდილს! რისთვის? რატომ? დავიღლე. სიკვდილი ნაკლებად საშინლად და თავზარდამცემად გეჩვენება, როდესაც დაღლილი ხარ. თუკი შეიძლება, რომ მხოლოდ სიკვდილის ნატვრამ მომკლას, მაშ, ვისურვებ სიკვდილს.

ყველაფრი ორი კვირის წინ დაიწყო, იმ წუთიდან, როცა პარიზში დავბრუნდი. რობერი ინვალიდების სასახლესთან მელოდებოდა. მაშინვე ვერ დამინახა. ტროტუარზე ნელა, ბერიკაცივით პატარა ნაბიჯებით სცემდა ბოლთას. უეცრად გამიელვა: „ის მოხუცია!“. რობერმა გამიღიმა. ძველებურად ახალგაზრდული მზერა ჰქონდა, თუმცა სახე მოუბერდა. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ საბოლოოდ არ გაიხრწნება. იმ დღის შემდეგ ერთი ფიქრი არ მშორდება: ალბათ, ათი, თხუთმეტი, ან ოცი წელი იცოცხლებს. რა ცოტაა ოცი წელი! შემდეგ კი მოკვდება. ჩემზე ადრე გარდაიცვლება. ღამით შემკრთალი ვიღვიძებ და საკუთარ თავს ვეუბნები: „რობერი ჩემზე ადრე გარდაიცვლება.“

ამ დილით ანრის ესაუბრებოდა. ამბობდნენ, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ, ყოველთვის ასე ხდება, სხვაგვარად შეუძლებელიაო. გეგმებს აწყობდნენ, კამათობდნენ. მე კი რობერის კბილებს ვუცქერდი. მხოლოდ კბილები რჩება ჩონჩხისაგან. რობერის ჩონჩხადქცეულ სხეულს ვუყურებდი და ვფიქრობდი: „მისი აღსასრული მოახლოებულია...“ მართლაც ასე მოხდება. უსასრულოდ გვტანჯავენ, თუმცა შეწყალებას ვერასოდეს ვეღირსებით. დავაცქერდები საწოლზე მწოლ რობერს, სახე სანთლისფერი ექნება, ტუჩებზე ყალბი ღიმილი შეეყინება... მის ცხედართან სრულიად მარტო ვიდგები. რამხელა სიცრუეა მიცვალებულების გამოსახულებები აკლდამებზე, გარდაცვლილ ცოლ-ქმართა ფერფლით სავსე ურნები! შეუძლიათ, ჩვენი ფერფლი ერთმანეთს შეურიონ, თუმცა სიკვდილში ვერ შეგვაერთებენ. მე და რობერი ცალ-ცალკე, სრულიად მარტონი ვიქნებით სიკვდილთან.

მეგონა, ოცი წელი ერთად ვიცხოვრეთ, მაგრამ ვცდებოდი. ყველა ადამიანი მარტოა, საკუთარ სხეულში გამომწყვდეული, თავისი არტერიებით, რომლებიც ნელ-ნელა მაგრდება. კანი შრება, იფიტება, ღვიძლი, თირკმლები იშლება, სისხლი ფერმკრთალდება... ყველა მარტოა სიკვდილთან, რომელიც მალულად, უჩუმრად მწიფდება მასში და ადამიანს სხვებისაგან უსასრულოდ აშორებს.

ვიცი, რასაც მეტყოდა რობერი ახლა. ადრეც მიხრა: „სიკვდილმისჯილი კი არა, ცოცხალი ვარ“.

მაშინ დამარწმუნა, რომ მართალი იყო, მაგრამ როცა ამას მეუბნებოდა, ცოცხალი ვიყავი. სიცოცხლე კი ცოცხალთა ჭეშმარიტებაა.

სიკვდილზე ფიქრს ვეთამაშებოდი. მხოლოდ ფიქრს... მაშინ ისევ ცოცხალი ვიყავი. დღეს კი ყველაფერი შეიცვალა: აღარ ვთამაშობ. სიკვდილი აქაა, ჩემში. ცისფერ ზეცას აბნელებს. შთანთქა წარსული და მომავალი. მიწა გაყინა და არარაში ჩაეფლო. მარადისობაში ისევ ფარფატებს შემზარავი ზმანება, რომელიც ბუშტს ჰგავს. უნდა მოვაშთო!

იდაყვს ვეყრდნობი. სახლს, ცაცხვის ხესა და იმ აკვანს ვაკვირდები, რომელშიც მარიას ძინავს. ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული დღეა. ცა ლურჯი ჩანს... მაგრამ რა უსახური სიცარიელე სუფევს ირგვლივ! არარა! ყოველივე დუმს. ალბათ, ეს მხოლოდ ჩემი გულის მდუმარებაა. აღარავინ და აღარაფერი მიყვარს. ოდესღაც ვფიქრობდი, რომ სამყარო დიდებული და უკიდეგანო იყო და ცხოვრება კი იმდენად ხანმოკლე იყო, რომ არასოდეს მომბეზრდებოდა, მაგრამ ახლა სრულიად გულგრილად შევცქერი მას. ცხოვრება აღარ მაინტერესებს. ყველგან მხოლოდ მიუსაფრობის შეგრძნება სუფევს. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის უშორეს გალაქტიკასა და მილიონობით ადამიანს, რომელიც არ მიცნობდა და ვერც ველაროდეს გამიცნობს?

მე მხოლოდ ჩემი ცხოვრება მაქვს. მხოლოდ ის უნდა იყოს ჩემთვის მნიშვნელოვანი, თუმცა, ასე არაა. ამქვეყნად აღარაფერი მესაქმება. ჩემი პროფესია? რა სასაცილოა! როგორ დავუშალო ქალს ტირილი, ან მამაკაცს როგორ ვაიძულო დაძინება? ნადინს ანრი უყვარს. მისთვის მეორეხარისხოვანი გავხდი. აღარ ვჭირდები. რობერი ჩემთან ბედნიერი იყო, თუმცა ნებისმიერ სხვა ქალთან, ან სრულიად მარტოც ასეთივე ბედნიერი იქნებოდა. მიეცი მას ფურცელი, თავისუფალი დრო და აღარაფერი მოუნდება... რა თქმა უნდა, დავენანები, მოვენატრები, შევებრალები, თუმცა ჭეშმარიტი სინანულის განცდის უნარი არ გააჩნია. ისიც მალე გარდაიცვლება. ლუისს ვჭირდებოდი, თუმცა ძალიან გვიანია ყველაფრის თავიდან დაწყება...

ადრე ათას რამეს ვიმიზეზებდი და მის საქციელს ვამართლებდი. ახლა ყოველგვარი მიზეზი გაქრა და ვხვდები, რომ ლუისს აღარ ვჭირდები. სმენას ვძაბავ: არავინ მეძახის, არავინ მიხმობს. არსაიდან. ირგვლივ სამარისებური მდუმარება გამეფებულა. არაფერი მიცავს ამ პატარა, საწამლავიანი შუშისაგან, რომელიც კარგა ხანია, ხელთათმანების ყუთში მელოდება.

წამოვდექი. აკვანში მწოლ მარიას დავხედე. მის პატარა, უშფოთველ, შეუვალ სახეზე ჩემი სიკვდილის აჩრდილს ვხედავ. ადრე, თუ გვიან ჩემს ასაკს მიაღწევს, თუმცა მე ამქვეყნად აღარ ვიქნები. მას ძინავს, სუნთქავს, აქაა. რეალობაა. ის მომავლის, სიცოცხლის, დავიწყებისა და სიკვდილის განსახიერებაა. ალბათ, როცა შემოდგომა დადგება, ამ ბაღში ისეირნებს, ან სადმე, სხვაგან. თუკი შემთხვევით ჩემს სახელს წარმოთქვამს, ხმას არავინ გასცემს და ჩემი სიჩუმე ყოვლისმომცველ მდუმარებას შეერწყმება. თუმცა, მარია არც დამიძახებს. ჩემს არყოფნას ვერავინ შეამჩნევს, ამქვეყნად ჩემი კვალი არ დარჩება. ისე გარდავიცვლები, რომ თითქოს არ არასოდეს მიარსებია. ეს უკიდეგანო სიცარიელე და არარა თავბრუს მახვევს.

მაინც მახსენდება, რომ ლამაზი ცხოვრება განვვლე. გაოში, სასტუმროს ტერასებზე გვეძინა. გარიჟრაჟზე ქარი კოლოებისაგან დამცავ ბადეში იჭრებოდა და საწოლი ნავივით ირხეოდა. გუდრონის სურნელით გაჟღენთილი გემბანიდან ვუცქერდით, როგორ ამოდიოდა კუძულ ეგინას თავზე დიდი, ნარინჯისფერი მთვარე. მდინარე მისისპიში არეკლილი ზეცა და დედამიწა ერთმანეთს ერწყმოდა. ჰამაკში ვიწექით, ბაყაყების ყიყინი გვესმოდა და თანავარსკვლავედებს შევცქეროდი.

მეძინა ზღვისპირა ქვიშის ბორცვებზე, ბეღელში, თივაზე, ხავსზე, ნაძვის წიწვებზე, კარვებში, დელფოსის ტაძრის მოედანზე, ეპიდავრის უძველეს თეატრში, ღია ცის ქვეშ, მოსაცდელ დარბაზებში, ხის მაგარ სკამებზე, ძველებურ ბალდახინებზე, სოფლურ საწოლებში, ბუმბულით გამოტენილ ლეიბებზე, აივნებზე, სკამებსა და სახურავებზე... სხვების მკლავებშიც მეძინა...

კმარა! ყოველ მოგონებას აგონია მოჰყვება. რამდენ ცხედარს დავატარებ თან! მოკვდა ის გოგონა, რომელსაც სამოთხის სწამდა. მოკვდა გოგონა, რომელსაც სჯეროდა, რომ წიგნებს, დიადი აზრებსა და საყვარელ მამაკაცს სიკვდილი არ ეწერა. მიიცვალა ის სისხლსავსე, სრულყოფილების შეგრძნებით აღავსე ქალი, რომელსაც სწამდა, რომ ბედნიერების მოპოვება შესაძლებელი იყო. მოკვდა ის შეყვარებული ქალი, რომელიც დილით ლუისის მკლავებში იღვიძებდა. ისინი მოკვდნენ ისე, როგორც დიეგო და ლუისის სიყვარული. ჩვენი გრძნობა დასამარდა. არც მათ აქვთ საფლავი: ამიტომაც არ ვაძლევ მათ ჯოჯოხეთში მშვიდად განსვენების საშუ-

ალებას. სუსტად, კვნესით ესწრაფვიან საუკუნო სიმშვიდეს. შევიბრალებ და ყველას ერთად დავასამარებ.

სახლისაკენ წავედი. უხმაუროდ ჩავუარე რობერის ოთახის ფანჯარას. ალბათ, თავის მაგიდასთან ზის და მუშაობს. რა ახლოს და ამავე დროს, რა შორსაა ის! საკმარისია, ერთხელ დავუძახო. გამიღიმებს... მაგრამ შემდეგ? შორიდან გამიღიმებს. ჩვენ შორის გადაულახავი მანძილი იქნება. მისი სიცოცხლიდან ჩემს სიკვდილამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

ჩემს ოთახში ავედი. ხელთათამანების ყუთი გავხსენი და საწამლავიანი შუშა ამოვიღე. ხელში ჩემი სიკვდილი მიჭირავს: მხოლოდ პატარა, მოყავისფრო შუშა.

ის აღარ მემუქრება. სიკვდილი ჩემზეა დამოკიდებული. საწოლზე დავწექი, თვალები დავხუჭე და შუშას ხელი მაგრად მოვუჭრე.

სიცივისაგან ვკანკალებდი, მაგრამ ამავე დროს, ოფლად ვიღვრებოდი. მეშინოდა. ვიღაც ჩემს მოწამვლას აპირებდა. მე... არა, ეს მე არ ვიყავი... ბნელი ღამე იყო. ყველაფერი უსაზღვროდ შორს იყო. შუშას ხელი მოვუჭირე... მეშინია, თუმცა მთელი არსებით მსურს, შიში დავამარცხო. შევძლებ. მე გავიმარჯვებ. საწამლავს დავლევ, თორემ ყველაფერი თავიდან დაიწყება. არ მინდა, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ვგრძნობ, რომ დავმშვიდდები, ასეთი აზრები უკვალოდ გაქრება და წესრიგი დამყარდება. ისევ ჩვეულ სახეს მიიღებს საგნები, ხალხი, აკვანში მწოლი მარია, არარაში შთანთქმული დიეგო, სიკვდილისაკენ მშვიდად მიმავალი რობერი, დავიწყების გზაზე შემდგარი ლუისი... მე ისევ დავმშვიდდები. ისევ მოვიკრებ გონებას. ჩვეული წესრიგი დამყარდება: უკან წარსული, წინ- უჩინარი, ბუნდოვანი მომავალი. წყვდიადს სინათლე გაფანტავს. სამყარო დიდებულად აღმობრწყინდება არარადან. ჩემი გული ახლა ფეთქავს არა ჩიკაგოში, არა- რობერის ცხედრის გვერდით, არამედ აქ, ჩემს მკერდში.

ყველაფერი თავიდან დაიწყება. გავიფიქრებ: „დეპრესია მქონდა“. ნერვულ დაძაბულობას ვუწოდებ იმ თვალისმომჭრელ სიცხადეს, რომელმაც საწოლს მიმაჯაჭვა და ადგომის საშუალებას არ მაძლევს.

არა! ეს არ მოხდება! ბევრჯერ ვთქვი უარი ყველაფერზე, დავივიწყე, გავიქეცი, ვიცრუე... მინდა, ერთადერთხელ და სამუდამოდ გაიმარჯვოს ჭეშმარიტებამ. სიკვდილმა ყოველივეს სძლია. ახლა სწორედ ისაა ჭეშმარიტება. ერთი მოძრაობა და ის სამუდამო ჭეშმარიტებად იქცევა.

თვალები გავახილე. დღე იყო, თუმცა დღე და ღამე ჩემთვის ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებოდა. სიჩუმის მორევში შთანთქმული ვიყავი. ისეთი ზეციური სიმშვიდე დამეულფა, როგორიც ბავშვობაში, როცა ჩემი ბუმბულის ლეიბზე ვიწექი და ველოდი, რომ ანგელოზი მოვიდოდა და წამიყვანდა.

ბაღსა და ოთახში მდუმარება გამეფებულა. მეც ჩუმად ვარ. აღარ მეშინია. თითქოს, ყოველივე თანახმა იყო, რომ მოვმკვდარიყავი. არაფერი მიცავდა სიკვდილისაგან. მეც ეს მსურდა. ჩემი გული აღარავისთვის ფეთქავს. თითქოს, საერთოდ შეწყვიტა ფეთქვა და ყველა ადამიანი არარად იქცა, სამარადისოდ დასამრდა და პირისაგან მიწისა აღიგავა.

ბაღში ნაბიჯების ხმა და საუბარი გაისმა. თუმცა ჩემი მდუმარება არ დარღვეულა. ვხედავდი და ბრმა ვიყავი, მესმოდა და სმენა დახშული მქონდა. გაღიზიანებულმა ნადინმა ძალიან ხმამაღლა თქვა:

„დედას მარია მარტო არ უნდა დაეტოვებინა“. მისმა სიტყვებმა ახლოს ჩამიქროლა, თუმცა არ შემხებია. ვერავის სიტყვა ვეღარ მომწვდებოდა. უეცრად ჩემში სუსტი ექო გაისმა: „ნუთუ, რამე მოხდა?“ მარია მარტო იყო ეზოში, გაზონზე. შეიძლება, კატამ დაკაწრა, ან ძაღლმა უკბინა... ბაღიდან სიცილი მოისმოდა... ესე იგი, არაფერი მომხდარა...

სიჩუმემ აღარ დაისადგურა. ჩემში ექო ისევ გაისმა: „რაღაც *არ უნდა* გამეკეთებინა.“ წარმოვიდგინე ნადინის აღშფოთებული ხმა: „ეს არ უნდა გაგეკეთებინა! უფლება არ გქონდა!“. სახეზე სისხლი მომაწვა და სასიცოცხლო ძალით აღსავსე რაღაც შეუცნობელმა გული დამიდაღა: „უფლება არა მაქვს!“. დავიდაღე და გამოვფხიზლდი. წამოვდექი და კედლებს გაოცებულმა მოვავლე თვალი. საწამლავიანი შუშა ისევ ხელში მეჭირა. ოთახი ცარიელი იყო, მაგრამ მარტო აღარ ვიყავი. ოთახში მალე შემოვლენ. მე ვეღარაფერს დავინახავ, მაგრამ ისინი დამინახავენ.

როგორ არ ვიფიქრე ამაზე? არ შემიძლია, ისინი ასე დავსაჯო და თავი მოვიკლა. ჩემი ცხედარი მძიმე ტვირთად დააწვებათ. ვიცი, რა მოჰყვება ჩემს სიკვდილს. როგორ ძალიან დაიტანჯებიან... წარმოვიდგინე ჩემი ცხედრისაკენ დახრილი, საწოლზე დაყრდნობილი რობერი,

პარკერის სახლის წინ მდგარი ლუისი, რომელსაც თვალებში სიტყვები მხიარულად დაუხტის, ნადინის გაცოფებული, ბრაზნარევი ტირილი... არა... არ შემიძლია....

ავდექი, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და მოწყვეტით დავეშვი მაგიდასთან მდგარ სკამზე. უცნაურია. სრულიად მარტო მოვკვდები. ჩემს სიკვდილს სხვები განიცდიან. მე ვერაფერს ვიგრძნობ.... ვიჯექი და დიდხანს ვუცქერდი სარკეში სიკვდილს გადარჩენილი ქალის სახეს. რომ მოვმკვდარიყავი, ტუჩები გამილურჯდებოდა, ცხვირი უფრო დამიწვრილდებოდა. მაგრამ მე ვერაფერს დავინახავდი. ყოველივეს მხოლოდ ისინი იგრძნობდნენ... ჩემი სიკვდილი მე არ მეკუთვნის. შუშა ისევ აქაა. ხელის ერთი მოძრაობა და... ვგრძნობ, სიკვდილი ისევ აქაა, მაგრამ სიცოცხლე და ცოცხალი ადამიანები კიდევ უფრო ახლოს არიან.

რობერი იცოცხლებს. მათ თავს ვერ დავაღწევ. შუშა შევინახე. სიკვდილმისჯილი ვარ... თუმცა, სიცოცხლემისჯილიც... რამდენი ხნით? ათი, ოცი წლით?... ადრე ვამბობდი, რომ ოცი წელი ძალიან ცოტა იყო. ახლა კი ათი წელიც კი უსასრულობად, გრძელ, ბნელ გვირაბად მეჩვენება.

— ქვემოთ არ ჩამოხვალ?

ნადინმა დააკაკუნა. შემოვიდა. ჩემ წინ დადგა. ვგრძნობ, როგორ ვფითრდები. მან დამინახა, როგორ ვიწექი საწოლზე კრუნჩხვამოძალებული. რა საშინელებაა!

— რა გჭირს? ავად ხარ?-მეკითხება აღელვებული ხმით ნადინი.

— თავი მტკიოდა და ასპირინის დასალევად შემოვედი.

სიტყვები ძალდაუტანებლად წყდება ჩემს ბაგეს. მეჩვენება, რომ მშვიდი ხმა მაქვს და ნორმალურად ვლაპარაკობ.

— და მარია მარტო დატოვე. — მითხრა ნადინმა ბრაზიანად.

— მაშინვე ჩამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ შენი ხმა გავიგონე და გადავწყვიტე, წუთით დამესვენა. — ვუპასუხე მე და დავძინე: — უკეთ ვარ.

ნადინი ეჭვიანი სახით მიყურებს, მაგრამ მას მხოლოდ ის ჰგონია, რომ გული მაწუხებს.

— ნამდვილად უკეთ ხარ?

— კი... ასპირინი მომიხდა...

ვდგები, რათა მის გამომცდელ, მტანჯველ მზერას გავექცე და ვეუბნები:

— ქვემოთ ჩავიდეთ.

ანრიმ ჭიქა ვისკი გამომიწოდა. რობერთან ერთად ქაღალდებს დაჰყურებდა. რობერი მხიარული სახით მიხსნიდა რაღაცას. გაოცებული ვეკითხები საკუთარ თავს: „როგორ მოვიქეცი ასე წინდაუხედავად? ასეთი აზრი თავში როგორ მომივიდა? როგორ ვერ მივხვდი, რომ თუ თავს მოვიკლავდი, რობერს სიკვდილამდე სინანული და სინდისის ქენჯნა დატანჯავდა?“

არა. ეს წინდაუხედავი საქციელი არ იყო. ცოტა ხნით ნამდვილად ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, რომ ყველაფერმა აზრი დაკარგა... თითქოს, ისეთ სამყაროში აღმოვჩნდი, სადაც ყოველივე ამაო იყო.

— მისმენ? აქ ხარ? სად დაქრის შენი გონება? — ღიმილით მეკითხება რობერი.

— აქ. — ვპასუხობ მე.

აქ ვარ. ისინი ცოცხლები არიან. მელაპარაკებიან. მეც ცოცხალი ვარ. ისევ თავდავიწყებით გადავეშვი ცხოვრების მდინარებაში. სიტყვები ჩემს ყურთასმენას სწვდება და ნელ-ნელა აზრს იძენს.

აი, მათ წინ უდევთ ყოველკვირეული გამოცემის ხარჯთაღრიცხვა და ანრისგან შემოთავაზებული მაკეტი. გაზეთის სახელწოდებას ხომ ვერ მოვიფიქრებდი? ბევრი იფიქრეს, თუმცა არც ერთი არ შეეფერეებოდა.

სახელწოდებაზე ვფიქრობ. ისინი საკმაოდ ძლიერები არიან, რადგან სიკვდილის კლანჭებიდან მიხსნეს. ალბათ, დამეხმარებიან, რომ ცხოვრება თავიდან დავიწყო. რა თქმა უნდა, დამეხმარებიან. ან გულგრილები ვხდებით, ან სამყარო ხელახლა შეიქმნება და დედამიწა ისევ აივსება ადამიანებით. მე გულგრილი არ გავხდი. ჩემი გული ისევ ფეთქავს. აუცილებლად, აუცილებლად დადგება დღე, როცა ის ვიღაცისა და რაღაცისათვის იფეთქებს. სმენა დახშული არა მაქვს და გავიგონებ, როგორ დამიძახებენ. ვინ იცის? იქნებ, ოდესმე ბედნიერიც კი ვიყო?... ვინ იცის?...

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ძნელაძემ

რაფიკ თაგი

რაფიკ თაგი (თაგიევი რაფიკ ნაზირის ძე) — დაიბადა 1950 წლის 5 აგვისტოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მასალის რაიონის სოფელ ხოჩობანლიში. 1972 წელს დაამთავრა ნარიმან ნარიმანოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო-პროფილაქტიკური ფაკულტეტი.

რაფიკ თაგიმ ლიტერატურულ საქმიანობას ახალგაზრდობიდანვე მოკიდა ხელი. 1968 წელს მასალის რაიონულ გაზეთში მისი პირველი ლექსი „ძახილი“ დაიბეჭდა, ხოლო პირველი მოთხრობა სათაურით „ფერგანე“ 1977 წელს ჟურნალ „ულდუზ“-ში. მისი მრავალი ლექსი, მოთხრობა, ესე, სტატია და ლიტერატურული პორტრეტი როგორც აზერბაიჯანში, ასევე საზღვარგარეთ პერიოდულ გამოცემებშია გამოქვეყნებული. მისი ნაწერები ყოველთვის იძენდა ფართო რეზონანს და სერიოზული პოლემიკის საბაბი ხდებოდა.

იგი ძირითადად ირანს აკრიტიკებდა („ირანი და გლობალიზაციის გარდაუვალობა“), რის გამოც ამ ქვეყნისგან არაერთხელ ყოფილა მისდამი მუქარა. ის კი არა და, აიათოლა ფაზილ ლენქორანელმა მისი მოკვლის ფეტვაც კი გასცა. ხოლო სტატიისთვის „ევროპა და ჩვენ“ 3 წელი ციხე მიუსაჯეს, თუმცა პრეზიდენტის შეწყალებით დაახლოებით წელიწადნახევარში გაათავისუფლეს.

დაჭრეს ბაქოში, 2011 წლის 19 ნოემბერს, სახლთან ახლოს. გარდაიცვალა მეორე დღეს საავადმყოფოში.

მიუხედავად ირანის ფაქტორისა, აზერბაიჯანული მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ რაფიკ თაგი უფრო შორს გამიზნული შიდა პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი გახდა.

წინამდებარე მოთხრობის თარგმნა ბაქოში მეგობრებთან ერთად სემინარზე მყოფს თავად მთხოვა და თავადვე გამომიგზავნა კიდევაც. თუმცა მაშინ ვერ მოვახერხე და მხოლოდ ახლაღა ვასრულებ მიცემულ პირობას.

ომი კურორტულ ზონაში

საქართველოში შეჭრისთანავე რუსების კოლონების ნაკვალევზე ქალაქები აალდნენ. თითქოს სამხედროები ასანთის ღერები, ხოლო ქალაქები ნავთობი და ნავთობპროდუქტები ყოფილიყვნენ. ცისფერ ეკრანებზე აის-დაისის მუქ-წითელი ფერების გარჩევა ხანძრების გამო უკვე შეუძლებელი შეიქნა. მზეს მარტო ჩასვლისას თუ გაარჩევდი. თუმცა მეხანძრეებს ერთხელ შეეშალათ და შეცდომით მზის ჩაქრობაც მოინდომეს.

ექიმი ჯაფარ ოსმანოვი ორი დღე იყო, რაც აფრთიანებულიყო; უძილობა დასჩემებოდა. სამსახურში „მზადყოფნა“ განუცხადეს: რა იცი რა ხდება, შეიძლება საომარ ზონაში მოგიწიოს წასვლამო. ეს ომები ხომ ქირურგების სათავცემოა. თუმცა კაცმა რომ თქვას, ქირურგი სწორედაც რომ ომისთვისაა განკუთვნილი. აბა ამ გაწამაწიაში ვინ უნდა გაგზავნონ — დერმატოლოგი თუ ექიმი-კოსმეტოლოგი?

მოკლედ იმ დღიდან მოყოლებული საინფორმაციო გამოშვებებს გაფაციცებული ადევნებს თვალყურს. ტვინს ასრესს, ჭკუას ძალას ატანს: ნეტა ტელევიზიების მიერ ამოუსუნთქავად, მიჯრით ნაჩვენები ქალაქებიდან რომელში მოხვდება? გულისყური ძირითადად სახლების არქიტექტურისთვის მიუმართავს. აფსუს, რომ ტელერეპორტიორების კამერები არქიტექტურულ ორნამენტებზე დიდხანს არ ჩერდებიან. არ ესმით და იმიტომ, ვირმა რა იცის ხურმა რა ხილია? რა იციან თუ რომელ არქიტექტურულ შედევრს, სასწაულებრივ ორნამენტს უქცევენ გვერდს. ჭეშმარიტად, რომ ვირს თავისი ყროყინი ურჩევნიაო.

თუ უსულო ტელეკამერები ყველაფერს ხედავენ, სულიერი, თან მხარბეჭიანი რეპორტიორები თითქოს ბრმადმზირალნი არიან. მათი საქმე ცეცხლი და ხანძარია, დაქცეული კერებია; ამაში ხედავენ თანამედროვეობას. უნდა ითქვას, რომ ეს ტელემაყურებლებიც მაგათი ზნისანი არიან: როცა მსოფლიო ხელოვნების ნიმუშს აჩვენებენ, სარეკლამო ჭრა ჰგონიათ, დგებიან და ჩაის ისხამენ. აბა ყველა ჯაფარი ხომ არ იქნება? ის იმ ქალაქების ქუჩებს, სადაც ახლა ომი და-

ნავარდობს, ძველი ბაქოს ქუჩებს უდარებდა. საკვირველია ღმერთმანი, ათა-ბაბას დროიდან სააზროვნო თარგი დაახლოებით ერთნაირი ყოფილა. ყველანი ადამ და ევას დებილი შთამომავლების ნაგრამების გაკეთებულები ანუ ნაყარ-ნუყარნი არიან. ჭკუა მხოლოდ იმისთვის ჰქონიათ სამყოფი, რომ აქა-იქ ვიწრო და უსწორმასწორო ქუჩები გამოეგონათ. ძველი ბაქოს ქუჩებში მსუქანი და სქელმუცელა, განსაკუთრებით კი ღიპიანი ხალხი მოგვერდოდ დადის. ნამეტანი ფერხორციანი და პუტკუნა ხალხი ამ ქუჩებს დიაგონალზე ვერც გადაკვეთს, წრე უნდა მოავლოს. ქვეყნის სქელი ხალხი ძველ ბაქოში ექსკურსიას მოკლებულია, ამიტომაც ამის გათვალისწინებით, მანდ თავიანთ შვილებს პატარაობისას, ჯერ კიდევ ტანწვრილობაში უშვებენ. დაბრუნებისას კი ჰკითხავენ: რა ნახე? მოხუცებულობამდე ჰგონიათ, რომ ვინც ძველ ბაქოს მოიარს, იგი კულტურული და ზრდილი ადამიანი იქნება.

ჰო, ექიმი ჯაფარი ერთმანეთთან პირწანაკიდი ორი მეზობელი ქვეყნის ხარჯზე უფასო ექსკურსიის ნეტარებაში იყო. თუკი ნებისმიერ ომს ყელამდე უარყოფითი მხარეები გააჩნია, ასეთი დადებითიც საკმაოდ მოეპოვება. ომები მაყურებელს ცითჩამოვარდნილ პოეტურ-ესთეტიკურ სიურპრიზებს უძღვნის.

ორი დღის და ერთი ღამის, მერე კი ორი ღამისა და სამი დღის განმავლობაში მან ომწარმოებული ქართული ქალაქები ნახა ეკრანზე.

მაგრამ ამ ომმა იმავდროულად ხსენებულ ქალაქებს მსოფლიო მასშტაბის რეკლამა გაუკეთა. მთელმა მსოფლიომ საქართველოს კურორტები დაუსწრებლად გაიცნო. ტურიზმის მოყვარულებმა ერთი რამ ჩაიწერეს და ერთი რამ დაიმახსოვრეს, რომ როცა კი ომი წავა და მშვიდობა მოვა, იქ გაედინებიან. ბუნების მშვენიერებას კაცობრიობის მიერ თანდართული ახალთახალი აოხრებული ადგილებიც მიემატა, ასე რომ ტურისტული ობიექტების რიცხვმა იმრავლა. აწი რომელ სახლზეც ნატყვიარს აღმოაჩენენ, უმალ ექსპონატად გამოაცხადებენ. არადა რა მნიშვნელობა აქვს რიცხოვნობას; ათას ნატყვიარს მხოლოდ ერთი საზრისი გააჩნია — ნახვრეტი, სინონიმი კი ნასვრეტია.

ქარები ამ ნახვრეტებით ტკბილ საომარ ჰანგებზე ისტვენენ.

კავკასიაში მშვიდობამ სწორ ქაღალდზე ორი-სამი მატრაკვეცას მოგრეხილი ხელით უნდა დაისადგუროს.

აჰ, ნეტავი საომარ-საკურორტო ზონაში საღ-სალამათმა ჩააღწიოს, ფიქრობს ჯაფარი. იქ ყველაფერს ლაივში ნახავდა. ყველას მიერ მშვიდობიანობისას მომთავრებულ ექსკურსიებს იგი შუაგულ ომში მოაწყობდა. მომავლის საშინელი ტურისტული ობიექტებიც, ვითარცა ბუნებაზე დანამატი, მის თვალწინ ცოცხლად, მფეთქავად ჩამოყალიბდება. ადამიანების ნაჭრები ახალ ხორცად გამოჩნდება. სამხედროების გამოკლებით, იგი ისტორიულ ნანგრევთა გაჩენის იშვიათ მონაწილეთაგანი იქნება.

უცებ გაჰკრა, რომ არავინაა მის შავ თვალ-წარბთა მოტრფიალე, რომ ის სინამდვილეში სამუშაოდ ჩაჰყავთ და ამის გაფიქრებაზე სისხლი დაულეკერტდა. შეიძლება ტელევიზორში თავისუფლად ნაყურები პეიზაჟებისთვის თვალის შევლებაც არ დასცალდეს. დროც კი არ ჰქონდეს საამისოდ. ანდა გამოუცხადონ, რომ გასამრჯელოში ბუნების პეიზაჟებით ტკბობა არა შედისო და გარეთ გასვლა აუკრძალონ. ალბათ რაც მოიექსკურსიავა, ტელევიზორით მოიექსკურსიავა. რა გაეწყობა, მაშინ მშვიდობიანობისას ვერნანახს, საზარლად დასახიჩრებულ თავ-ტანზე და ხელ-ფეხზე აიხდენს. რა მნიშვნელობა აქვს, გინდ ჩამოქცეული ქალაქებისთვის გიცქერია, გინდ გამოფატრული მუცლებისთვის, გაგლეჯილი ძუძუებისთვის. თუ გული გულობს, უკაცრაული პასუხია და, ტუალეტშიც კი შეიძლება კაცმა ექსკურსია მოიწყოს. ყველაფერი — ქლიბი იქნება თუ ალიზის აგური, მშიერის ქცევები, მუცელში გვრემაშემდგარი ძროხა თუ ქვამარილის მლოკავი კამეჩი — საექსკურსიო მასალაა. 0,5-1,0 გრამი წონის არმქონე პეპლებიც და ა.შ. ყველანი ვენაცვალოთ ღმერთს, ვინმემ მანდალოშკას მკბენარს მიკროსკოპში რომ ჩახედოს, ელეთ-მელეთები მოუვა მისი ფერადოვნების გამო. ამ მკბენარის მიკროსკოპში გამოდიდებული შესახედაობა ნებისმიერი იმპრესიონისტი მხატვრის ტილოზე აღმატებულია.

საქართველოს კურორტები შეგიძლია ჩვენს გრილაბანოიან, თავისთავად კი ცხელ ბაქოში რომელიმე მწვანეფოთლებიანი ხის ტოტებში თავშეყოფილმაც კი წარმოიდგინო.

ცხოვრება დანაკარგთა კომპენსაციითა მიმზიდველი.

საქართველოში მიმდინარე ომი მსოფლიოს სხვა მხარეებში წარმოებული ომებისაგან განსხვავდება: იქ მეწამული ალები ხან მწვანე ხეების, ხან კი ულურჯესი ზღვის ფონზე მოჩანს.

ექიმმა ჯაფარმა სიამაყისგან არ იცის რა ქნას: აზერბაიჯანის მიერ გადასადგმელი ჰუმანისტური ნაბიჯის შემადგენელი ნაწილია. ერთხელ სიხარულის საკუთარ თავთან გასაზიარებლად მთელი სხეულის ამრეკლავი სარკის წინ ახტა და ფეხი ფეხზეც შემოჰკრა. დაკვირვებია, სულიერი სიძაბუნის დროს ფეხის ფეხზე შემოკვრა არ გამოსდის. მაგრამ საქართველოში ადამიანების ერთმანეთის მიყოლებით დახოცვის მიუხედავად ზემდგომნი დაგეგმილი ნაბიჯის გადადგმას მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ. ერთი გასროლა დენთი გაუსვრიათ და გაჩერებულან. ჰუმანისტური აქციისთვის ყველა ერთმანეთის განკარგულებას უცდიდა. ეს სართულ-საფეხურიანი განკარგულებები ბრძანების სახით ჯაფარის სახელს დაუკავშირდება. პირადად მას მიეძღვნება ბლანკი, რომელიც ქვეყნის ყველა ადამიანისათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი არ არის. ამის აღსანიშნავად იგი ამჯერად ლეიბზე გადავიდა ყირამალა.

ნებისმიერ ქვეყანაში ასეა — საერთოსაკაცობრიო ჰუმანისტური აქციები მხოლოდ მათემატიკურად ზუსტი ბიუროკრატიული პროცედურების აღსრულებით ხერხდება. ბიუროკრატია ჰუმანიზმის ღვიძლი დედაა.

ექიმი ჯაფარისთვის ეს მობილიზაცია უმთავრესად კურორტზე წასვლის შანსივით იყო ღირებული. ამიტომ ის უკვე საქართველოს „საომარ ზონას“ კი არა, „კურორტულ ზონას“ ეძახის. თავის სიცოცხლეში კურორტზე არ ყოფილა. ღმერთი ამას როგორ აიტანს? საუბედუროდ არც კი დაავადებულა, რომ მკურნალობის შემდეგ სანატორიუმში გაეგზავნათ. სანატორიუმი და კურორტი — ტყუპი დებივით არიან. აი, ახლა კი, რომ იტყვიან, პირდაპირ მისწრებაა, თუკი მანდ დაიჭრება. საქართველოს საკურორტო ეფექტი თავისთავად, მაგრამ სანატორიუმებში მოხვედრის შესაძლებლობაც ერთი ასად მოიმატებს. სხვა კი არა, თვითონ სახელმწიფო ეტყვის: ე, მიდი იქ, მოდი აქ.

ადამიანი დაჭრისთანავე იხვეჭს პატივ-დიდებას — რაღაცნაირად, არაფრის გამო.

ვაშა, აწი კვლავდაკვლავ მისასვლელ სამშვიდობო კურორტულ ცენტრებში ჩამოსულ გოგონებს მუცელში ბავშვს ჩაუტოვებს და სამშობლოში გაამგზავრებს. რატომღაც ბავშვის გაკეთება მას წყლის სმასავით ადვილი ეჩვენება.

ადამიანის სიცოცხლე სულ ცოტა ორ-სამ ომთან იკვეთება და სწორედ ომითაც იძენს თავის მნიშვნელობას. ამ ხედვით კეთილად ცხოვრების ლიბო მშვიდობა კი არა, ომებია. მშვიდობიანობისას ხორცზე მეოცნებენი ომში, სულ ცოტა ინვალიდობას ირტყამენ. ინვალიდობა კი სიცოცხლის ბოლომდე ხელფასის ერთი რამ სახეობაა. გარდა ამისა, ომის ცალფეხიანი ადამიანი მშვიდობის წყვილფეხიან ადამიანზე ავტორიტეტულია. მშვიდობის მონაწილე ომში მონაწილესთან ვერ ენამზეობს, პირშავადაა. საერთოდაც, მშვიდობა ომთან შედარებით მეორეხარისხოვანი ღირებულებაა. ომის მნახავი ომისუნახველს სილასაც გააწნის, ნამუსი რომ არ ჰქონდეს, წიხლქვეშაც გაიგდებს. უშვილოდ დარჩენილი ომში მყოფი, ომუნახავის ღვიძლ შვილზეც კი აცხადებს პრეტენზიას. ისეთი რამეები ხდება, რომ... ერთხელ ომის წყვილყავარჯნიანმა ინვალიდმა ვეტერანმა თავისი ეზოს მცხოვრებთაგან ჯანმრთელ, თავმდაბალ მშვიდობიან მეზობელს სასამართლოში უჩივლა: აქაოდა, როცა მე სანგრებში თირკმელებს ვიფუჭებდი, ეს ამ დროს თავის ცქრიალა ცოლთან დაგორაობდაო. თავმდაბალი ჯანმრთელი კი იფიცებოდა, შე კაი დედმამიშვილო, ღმერთს ვფიცავ, ყურანს გეფიცები ომის დროს არავითარი მსგავსი არ მდომებიაო. ვერც ენდომებოდა. როგორ შეიძლებოდა? მას ჯერ ზნეობა არ დაუკარგავს! კარგად არ იცნობთ, ეგეთი კაცი არ არის. თანაც ქალებმა ნახონ, რომ მისი ცოლი ცქრიალა სულაც არ არის. მინჯღრეულ-მონჯღრეულის ერთია და სულ ახლახან მკერდში ძუძუს კიბო აღმოაჩნდა.

„აბა ბავშვები საიდან გყავს?“

„ღმერთმა მომცა“.

„წადი თავი დაიბრიყვე“.

„დამბრიყვებელი შენს ყოფაში ჩავარდნილიყოს!“ — ბოლოს და ბოლოს თავმდაბალი ჯანმრთელიც მოსულა გონს.

„ყურანზე დაიფიცე, რომ ცოლთან არ წოლილხარ!“.

„შვილოსან, ცოლთან წოლას დროსტარებასთან რა საერთო აქვს?“

„აქვს“.

„ცოლთან დროსტარებისთვის კი არა, დარდისგან წვებიან“.

„მოვრჩეთ უაზრო ლაპარაკს, სამი ბავშვიდან ყველაზე პატარა ჩემია!“.

„სხვა არაფერი გინდა?“ — ჯანმრთელს მისთვის სამი თითის კომბინაცია უჩვენებია და წასულა.

პროცესი ჯერ არ დასრულებულა. რამდენიმე გაზეთი დაპირებულია, რომ საქმეს ბოლომდე გააშუქებს.

ინვალიდის ყავარჯნებში მითიური შიშის სისასტიკე სუფევს.

ექიმ ჯაფარ ოსმანოვს ხელთ შემთხვევა ჩავარდნია. მთელი სიცოცხლე ნაქირავებში გატარებული ადამიანისთვის მეზობელ ქვეყანაში მოგზაურობაზე საინტერესო რა უნდა იყოს. მშობლიურ რაიონშიც კი დღესასწაულებზე ჩასვლას ხან ახერხებს, ხან ვერა. ჭირს და ლხინს მოკლებულს ნოვრუზ ბაირამობისას გუნება-განწყობა ეთალხება. როცა ყური უწივის, გული მაშინვე რეჩხს უშვრება: ვიღაც მასზე ავს ლაპარაკობს და ზურგსუკან პირსავსედ აფურთხებს. სინამდვილეში სახეში აფურთხებენ, უბრალოდ ნაფურთხი ზურგამდე სწვდება და ზურგი სალვადორ დალის ნახატების დონეზე სიურეალისტური ხდება.

გრძელი ამბავია.

...ომიდან ხეირს გამოელის. კვერცხს ბურდღას ჰპარსავს. თხას თავი ედარდება, ყასაბი კი ქონს დაეძებსო. რატომ მოხდა ასე, რატომ იქცევა ასე? შეიძლება დაიბნეს და ომში მძარცველად იქცეს.

ღმერთს წყალობის თვალით გადმოუხედია: აქამდე ომები მხოლოდ მაყურებლის რანგში ჩაუცილებია.

ომში გაბობოლების ძირითადი გზა მაროდიორობაა. ცას ერთი ტყვია ააჭირე და სოფლები დაიცლებიან. არაფრისგან მდიდრდები. წლების მანძილზე თავში ცოდნის დაგროვების მაგიერ, კუნთები უნდა „ეკაჩავებინა“. სპორტი მძარცველობის საუკეთესო აკადემიაა. თუ კუნთი კუნთობს, თავი რაღად გჭირდება, თუ ძალა გერჩის, ჭკუა რად გარგია. მძარცველობა ომში სირცხვილი კი არა, ძალოვანებაა. ახლა ომის მხიარულ მხარეებზე გადავიდეთ. მშვიდობიანობისას ქალებთან მორიდებული ტიპები ომის ალილუიას გაუპატიურებებით იწყებენ. თანაც არა აქვს მნიშვნელობა ობიექტი ხნიერია თუ ახალგაზრდა, ასე ვთქვათ ხავსმოკიდებული თუ წიწკვი, დიდი თუ პატარა — ოცნების სებისკვერისთვის ასეთ რამეებს მნიშვნელობა არ ენიჭება. მტრისიანი თუ შენიანი, ცოცხალი თუ მკვდარი — სადაც წაასწრებ, სადაც მისწვდები ქვეშ უნდა ამოიდო. ეროვნული ეთიკის მქონე ადამიანებმა სექსის მხოლოდ ქვეშ ამოსადებელი პოზა იციან. მარტოობაში შენი მამულის ქალი იქნება თუ დუშმანის, მაშა თუ დაშა, სარინგული თუ სირანუში — ყველა თანაბარხარისხიანი საქონლის რანგში გადის. თანაც ამ ყველაფრის დასადგენად ან დრო ან სურვილი სად არის რო. სიბნელეში მოხუცი ახალგაზრდაზე მეტად უნდა ჩაბღუჯო. თუ ძარცვა-გლეჯაა, შენც ძარცვე და წაგლიჯე. ომში უკანონობაა თავად კანონი. ისე, სხვათაშორის, გაუპატიურებები ადათ-წესებით დასაქორწინებელი ვაჟებისთვის მაგარი სკოლაა. მეჯვარის რჩევები არაფერში დაგჭირდება, მდადეს კი იქით ჩაუტარებ გაკვეთილს.

ლოგინში საკუთარ ცოლთან ღვიძლი და-ძმასავით მწოლარე და სწორედ ამ საბაბით ცოლთან ერთად ექიმთან გასასინჯად ნატარები კაცები ომის დროს ძერებად იქცევიან ხოლმე. „იუბკის“ დანახვაზე გიჟდებიან. ქალს თუ სძინავს, სანამ თვალების ფშვნეტით გამოიღვიძებს, საქმე უკვე მომთავრებულია. როცა ხვდება რაც მოხდა, ვინმეს ნანახი არ ჰქონდესო, ეგრევე პატარაზე ნამუსზე აჭიკჭიკდება და წამოიტირებს. ხანგრძლივი ზრუნვის საჭიროება არ დგას. რა ვქნათ დაიკო, ომია ეს. კაცმა რომ თქვას, ასწლეულების მანძილზე ქალებისთვის დამართულ უბედურებათაგან ყველაზე მსუბუქიცაა. ღრმად რომ ჩაუფიქრდე, ალბათ ეს უბედურებადაც არ ჩაითვლება.

ომში ნებისმიერი გაუპატიურება სიყვარულით სავსე სცენებითაა მდიდარი.

ომში მთავარია ჯანი გქონდეს მრთელი.

ექიმი ჯაფარი ტელეკამერასთან უნდა დასვა და სახელმწიფო მეთაურებზე აღადავო. ყველას თავის სახელს გამოუძებნის, ცხოველებიდან — „დათვს“, „ბუღას“, უმთავრესად კი „სახედარს“, ფრთოსანთაგან კი — „ინდაურს“, „მამალს“ შეურჩევს. როგორ პოულობს ამ სახელებს? „დიდთავაც“ და „დოყლაპიაც“ ამ რიგისაა. რატომ და იმიტომ რომ ომი სწორად ვერ წარუმართავთ. იგი გამარჯვებულ მხარეს ომის სწორად წარმმართავად მიიჩნევდა, მაგრამ მათ სახელმწიფო

მეთაურებსაც გარკვეულ იაღლიშებს ვერ პატიობდა. ამის გამამართლებელი მტკიცებულებებიც რომ ჰქონოდათ, მაინც. გაგონებაც არ უნდოდა, რომ ნებისმიერი სახელმწიფო მეთაურისთვის ომი პირველი ცხოვრებისეული გამოცდილებაა. ომში ადამიანთა დახოცვას ჯაფარი გამოუცდელობად კი მიიჩნევდა, მაგრამ ყოველი სახელმწიფო მეთაურისთვის ეს ჩვეულებრივი რამაა. დახოცილები ისე კი არ ყრიან — მოწამის ხარისხში მაღლდებიან და ქალაქის თავიანთივე სახელობის გორებზე სამაროვნდებიან[1]. მათ პოლიცია იცავს. სახელმწიფო მეთაურები პატარაობიდანვე „გამარჯვება ადამიანებზე უმთავრესია“ პრინციპით იზრდებიან. კაცობრიობა სახელმწიფო მეთაურების გამარჯვებებისთვის არსებობს და თუ საჭიროა, უნდა ამოწყდეს კიდევაც.

ადამიანებს არა აქვთ უფლება, რომ არ ამოწყდნენ. მათი მოსპობის ნებართვას თავად კონსტიტუცია იძლევა.

უმეცარი ადამიანის მიერ სამომავლო ბედნიერებისთვის მოხაზული გეგმები ამაოა.

ცოლი ჯაფარს ხშირად საყვედურობს:

— კაცო შენ მაგათთან რა გესაქმება... წაიკისრე და ბავშვები არჩინე.

— შენ სულ რჩენაზე ლაპარაკობ.

— აბა მთავრობას ხელისუფლებლობანას ხომ არ გაეთამაშები?

— ... მთავრობა კურდღელს ურმით დასდევს!

— ახლა მიწასაც კი ყურები ასხია.

— და ცხვირი არა აქვს?

— დაეტიე შენს ადგილას!

— აბა მაგ დასაბრმავებელი თვალებით ვერ ხედავ რომ ხალხი ბუზივით იხოცება?

— ბუზი მოსაკლავია, აბა რა.

— შენც ბუზის სახეობათაგანი ხარ, მა რა ხარ!

ექიმმა ენციკლოპედიაში საქართველოს პოლიტიკური რუკა მოძებნა და წერტილისოდენა კურორტული ზონების გამოკვლევას შეუდგა. ბორჯომი, ბათუმი, გაგრა... — ყველა საკავშირო ადგილია. ტელეეკრანზე ფოთიც კურორტად მოჩანდა, სოხუმიც. ვაჰ, ცხინვალი, წყალტუბო, ბიჭვინთა. მერე — ქობულეთი. ზუგდიდი. თვითონ სახელებშიც კი კურორტი იმზირება. მსმენელი ცვილივით იღვენთება. საბჭოთა დროს მანდ ჩასვლა არ ეღირსა, სულ გადადო და გადადო. ეს გადადებაც უკუღმართი გამოდგა — საკურორტო ზონებში ხან სამოქალაქო ომი ატყდა, ხან რევოლუცია, ახლა კი ომია. წასვლით კი მიდის, მაგრამ წამდაუწუმ კითხვებიც უხროვდება — ამ კურორტებიდან რომელში მოხვდება? რატომ არ ყოფილა რომელიმე მათგანში აქამდე? თავის დროზე ყინულმჭრელი გემივით რევოლუციები, სამოქალაქო ომები უნდა გაერღვია. სახიფათო იქნებოდა, მაგრამ ხიფათში დასვენებასაც თავისი მუღამი ექნებოდა. გარშემო დახოცილები, ყირამალა გადამსვლელები, გაქცეულ-გამოქცეულები, მოკლედ თეთრო ჩიტო, თეთრო გვრიტო — ეს ყველაფერი დასვენებას საგანგებო ელფერს შესძენდა.

ეშმაკეული სიამოვნებანი ქვეყანაზე უტკბესია.

წასვლით კი მიდის, მაგრამ კურორტთაგან მხოლოდ ერთში, ჰა, მაქსიმუმ ორში მოხვდება. ყველაფერი ომის მსვლელობაზე, ბომბების სად ჩამოვარდნაზეა დამოკიდებული. მსხვერპლი და დაჭრილი სადაც ბევრი იქნება, ის კურორტიც შეხვდება. ჭამა-სმისთვის ხომ არ მიჰყავთ. რა თქმა უნდა ქირურგებს კარგ კურორტებზე, ჰოსპიტლებად გადაკეთებულ ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში მოხვედრის შანსი სხვებზე მეტი აქვთ. მტერი შეეცდება, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს, ამიტომ კურორტებიდანაც ყველაზე გამორჩეულს ააფეთქებს.

ბედი არ გაუცინებს და კვლავაც ტუჩები აუთრთოლდება. ისევ წეღანდელი ეჭვები უღრღნის გულ-გვამს: ადამიანი პანაშვიდებზეც კი ვერ მიდის დროულად. რჩევა-გადარჩევას იწყებ — ვის პანაშვიდზე მისვლა უფრო საჭიროა? ვისთან უფრო ადრე მიხვიდე და ვისთან გვიან? თუ არ წავა, რომლისაზე არ წავიდეს? უფულობის გამო ნათესავებსაც კატეგორიებად ჰყოფს. რომ არ წახვიდე, საბაბად გარდასულ წყენას იმიზეზებ. თუმცა ეგ არის, რომ ახლა პანაშვიდზე კი არა, კურორტზე მიდის. ნაბრანსა და ისთისუში კი არა, პირდაპირ საქართველოს საერთაშორისო კურორტებზე! მხოლოდ ერთი პრობლემაა: მანდ მოსახვედრად ღმერთს ლოცვა აღუვლინოს თუ

[1] იგულისხმება ბაქოს „მოწამეთა პანთეონი“, სადაც 1990 წლის 20 იანვარს და ყარაბაღის ომში დაღუპულები განისვენებენ (მთარგ).

არა? ეგება ბორჯომში მასობრივ ხოცვა-ჟლეტაზე ილოცოს? თუ ბიჭვინთა ემჯობინება? მაგრამ უკვე რა მნიშვნელობა აქვს, დაე ლატარეის მოგებასავით იყოს. ისედაც ყველა კურორტი ერთმანეთზე მშვენიერია: ერთში თუ მოხვდი, მეორე გამოგეცლება ხელიდან.

ნახე რა, ამწუთას ოკუპანტები კურორტებს არიან მოდებულები. დედააფეთქებულები ახლა შეიძლება ვიღაცას გემოზე აუპატიურებენ კიდევაც. ოკუპანტისთვის გაუპატიურება იდილიური ცხოვრების ატრიბუტთაგანია. ისინი ამისთანა კურორტზე ყოფნას წესიერად ვერც აცნობიერებენ. კურორტის ესთეტიკისა არაფერი იციან. წყაროს წყალს შეხვრეპენ და ავტომატურად კურორტის სტიქიაში გადაეშვებიან. ეგრევე გამოჯანსაღდებიან. რუსეთში სამხედრო წვრთნების დროს კუჭ-ნაწლავის დაავადებააკიდებულები აქ გამოჯანმრთელდებიან. ღაწვები პომიდვრებივით დაუწითლდებათ. დაბრუნებისას მათი მოტრფიალე გოგონების რიცხვი მოიმატებს. როგორც ხედავთ, ომი ადრე თუ გვიან სიყვარულსაც ბადებს; უამისოდ არ შეიძლება. ალბათ დედიკოები თავიანთ სამხედრო შვილებს მოსწერენ, რომ სამკურნალო წყლები მუცლების გამობერვამდე სვან, რათა ხუთ-ათწლიანი გეგმა ერთიანად შეასრულონ. აბა რა, დედების რჩევები ძირითადად გამოჯანსაღებისკენ იქნება მიმართული. შეიძლება დედებს შორის ისეთიც იყოს, თავისი სამხედრო შვილი მშვიდობიანობის ჟამს, ამ კურორტთაგან ერთ-ერთში რომ ჩასახვია. იყო დრო, როცა ზოგიერთი ნაშა საქართველოში სწორედ ამისთვის ჩადიოდა და თავისი ქმრის ოქროს გულს კავკასიელების რკინისებურ „პალოზე“ დიდი მონდომებით ცვლიდა.

ჰო, დაუმბომბავი ადგილები ისევ კურორტებად დარჩება. ისედაც ომში, ექიმებს სტრატეგიულად უმნიშვნელო, ბაღშემორტყმულ ალაგას აბინავებენ, რათა საქმე შეიძლონ. ბომბდანასეტყვ ადგილებზე ლაზარეთს ხომ არ წამოჭიმავენ. თანაც დაჭრილებისთვის კურორტის ჰაერი ხომ ყველაზე მეტადაა მისწრება. სხეულდაფლეთილებისთვის სიმწვანეებია აუცილებელი. თავიანთი უბედურების გამოისობით დაჭრილებს სწორედ საქართველოს კურორტებში მოუწევთ გამოჯანსაღება. საქართველოს ციხეებშიც კი ვარდი ყვავის. ქვეყანა ყვავილებით მორთულა. ბატალიონებიც კი დასასვენებელ კუთხეებად მოჩანს. მოხროვილ დაჭრილებს ცოტა დროს მოპარავს და ეზოში გავა, თან გაიფიქრებს რომ სულ რაღაც ხუთი ნაბიჯის გადადგმაა კურორტზე მოსახვედრად საჭირო. იქ, ხეების ტოტებქვეშ მოუსვენარი სიო იქროლებს. სახლში დაბრუნებისას ვეღარ იცნობენ. ფერ-ხორცზე მოვა. ცოლი შეხედავს და ახითხითება: „მკვდარს ველოდით და საღ-სალამათი კი ჩამოვიდა“. მართლაც შეიძლებოდა კუბოთი ჩამოესვენებინათ, ეს კი მოსუქებული ჩამოვიდა. ეგრევე სასწორზე აწონიან. სირცხვილი რომ არ იყოს, ბავშვების ჩაყვანის ნებართვასაც ითხოვდა კაცი. ვაჟიც და ასულიც გამხდრები არიან. გოგოს საჩქმეტი ხორცი ხომ უნდა ეტყობოდეს სახეზე, რომ მომავალში შეიყვარონ? სიყვარული მხოლოდ ბედზე არ არის დამოკიდებული, მას რთული მექანიზმები გააჩნია.

„ბედი“ წყლის ნაყვაა.

საცურაო კოსტუმი ჩანთაში ჩადო: იქ ზღვაში შევა. ახლა საქართველოში „მაკაროვითაც“ ვერავის წაიყვან ზღვაზე, მაგრამ ის ცეკვა-თამაშით წავა. პლაჟზე მარტოხესავით აიწოწება, მაღალ ტალღებს ხიშტივით ჩაესობა. სანაპიროზე აქეთ-იქით გიჟივით ირბენს. როგორც კატა თავის კუდთან, ისე ითამაშებს ფეხბურთს თავისთავთან. ჰო, კიდევ კარგი გაახსენდა, ბურთსაც წაიღებს. ჯერჯერობით შვილის წითელ-ლურჯ ბურთს იკმარებს. დაცვის ქვედანაყოფის ჯარისკაცები დურბინდით შეხედავენ და „უდარდელ ექიმად“ მონათლავენ. საიდან ეცოდინებათ რომ ხალხი ზღვაზე დროის სატარებლად დადის, ეს კი დარდისგან, აწ გაფრენილი ახალგაზრდობის უკმარისობების შესავსებად. სხვები ყოველწლიურად მიდიან კურორტებზე, ეს კი მისი პირველი და ალბათ უკანასკნელია. მალი-მალ ზღვაში იბანავებს. მართალია იქ მის გარდა არავინ იქნება, მაგრამ არაუშავს, ადგილობრივებს მოუგებს ნიშნს. როცა ისინი დროს ატარებდნენ, ჯაფარი იძულებითი დანიშნულებით მალარიის ზონაში ეწამებოდა. როცა მათ ფოთლის ჩრდილი ეცემოდათ, ჯაფარის დამსკდარ კანს „ანოფელესები“ ამშვენებდა.

მისი ჰუმანიზმი თურმე გულუბრყვილობა ყოფილა. ახალი დევიზი: ისიამოვნე ადამიანური ტანჯვებით. კურორტული ზონის ომში აქამდე მისთვის არაფრისმომცემ და ამის მერეც ვერაფერში გამოსადეგ ადამიანებთან ანგარიში უნდა გაასწოროს.

ყოველდღე, რაც გაახსენდება, ჩანთაში იყრის ყველაფერს. საქმეს ციოლებს. პირსაპარსი, ოდეკოლონი და დეზადორიც კი არ დავიწყებია. ცოლმა საცვლები ჩაუდო. ჯაფარი თავის პირველ დანაშაულს ჩაიდენდა. ოკუპანტთა მსგავსი იქნება; მათი უმცროსი ძმა. ვინ იცის, ეგება

ომის გამომგონებლებიც თავდაპირველად მასავით ჰუმანისტები იყვნენ, და მერე გამოეცვალათ ფირფიტა. ომი კაცობრიობის წინააღმდეგ სამართლიანი შურისსაძიებო აქტია.

... ჩანთაში, სულ ქვემოთ, სასწრაფოდ მჭრელი ცული შემალა. საზღვარზე იტყვის რომ ხის გამოსაჩორკნად სჭირდება. შეიძლება არც შეამოწმონ, ის ხომ ექიმია. მაგრამ რომ არ ეძახიან, რაშია საქმე? მხოლოდ ერთხელ უთხრეს და მორჩა. არადა, მას დანაშაული ეჩქარება, ამათ კი არაფერი ანაღვლებთ: არც ფორმალური ჰუმანიზმი და არც მისი დანაშაულისკენ მისწრაფება.

გულში სიტყვას იძლევა, რომ დაჭრილებს მუცელში აგურს ჩაუდებს და ამოუკერავს.

ცულიდან დანებზე გადავიდა... არა, დანები საკუთარ ადგილზევე დააბრუნა. ეს უკვე ნამეტანი იქნება. ლანცეტები ისედაც დანის მაგივრობას უწევენ. ისე, პინცეტები პატარაზე თუ გალესე, ისინიც ლანცეტებად გადაიქცევიან.

ოდესღაც მისთვის ნაჩუქარი დეკორატიული ხანჯალიც აიღო — მუცელში გასაყრელად გამოდგებაო.

ავტორის შენიშვნები

აქ იძულებული ვარ თხრობა შევწყვიტო.

ეს ჩემი იმ იშვიათ ნაწერთაგანია, რომელიც ცხოვრებასავით უსასრულოდ, თავმოუბმელად მიედინება. თანაც ვხედავ რომ ნაწარმოებისთვის ხინჯისმომგვრელი ჟურნალისტური ეფექტი მძლავრობს მასში. თუმცა ეს ჩემი ნაწარმოების ღირსებადაც უნდა ჩაითვალოს. ჟურნალისტური ეფექტი მოთხრობის ცხოვრებაზე მილურსმვნის სურვილით იყო გამოწვეული. ცხოვრებისეული ჭეშმარიტებების გულისთვის მხატვრული ღირსებების ჟურნალისტურზე გაცვლა მისაღებია. გამოტეხილად რომ ვთქვა, შიგადაშიგ ჩემი ფანტაზია თავის ნებაზე მივუშვი, მეთვალყურეობა შევასუსტე და შედეგად მხატვრულმა სახემ, ჯაფარ ოსმანოვმა აიშვა. მისი ფსიქიკა თვალსა და ხელს შუა შეიცვალა, პათოლოგიური ხასიათი მიიღო. აი ამ ცვლილებას ვამხელ მეც.

კიდევ კარგი, რომ პროტოტიპისთვის პირობითი სახელი მაქვს მოგონილი, თორემ საკუთარი მხატვრული სახის გამო სასამართლოებში წამათრევდნენ.

არ ვიცი, მოთხრობის შუა ნაწილი იყო თუ ბოლო, იქ ასახული ქცევების შეჩერებამ სულიერი სიმშვიდე მომგვარა. რა ვქნათ, ნუმც გამოსულა ეს მოთხრობაც. ან მისი თაგვკუდა დასასრული. კაცობრიობის არსებობისთვის ავტორის მიერ საკუთარი მოთხრობის გამეტება მსოფლიოს ყველაზე სასიამოვნო მოვლენათაგანია. ეს გმირობაა. მე ისედაც, როგორც ავტორი, მოთხრობების მწარმოებელი ვარ: სხვა რამეებს დავწერ.

რა თქმა უნდა, საკუთარ ნაწარმოებზე ავტორის ზედამხედველობა გასაძლიერებელია. ნაწარმოებებში რკინის დისციპლინა აუცილებელი რამაა. მოთხრობებში აღწერილი დანაშაულებები, ისევე როგორც ცხოვრებაში, კრიმინალური ხდომილებაა და ამიტომ ისინი აუცილებლად უნდა შეკავდნენ. მხატვრულ ნაწარმოებებში დანაშაული ავტორის არაკეთილსინდისიერებად, უპასუხისმგებლობად, ის კი არა და, დანაშაულში „თანამონაწილეობად“ შეიძლება ჩაითვალოს. გრძელი სიტყვის მოკლეობით მხატვრული ნაწარმოებისთვის მხოლოდ ფანტაზია სამყოფი არაა.

თუკი ფანტაზია თავის ნებაზე იქნა მიშვებული, მაშინ ავტორს — სულთათანა.

ჩემი მოთხრობის სიკოჭლე მისი ომზე მიბმულობითაა გამოწვეული.

კაცი ფიქრობ და ბრაზდები: კი მაგრამ რატომ შემხვდა მე სიცოცხლეში კურორტუნახავი ექიმი? ყველაფერი ქვისგან უნდა გამოვწურო. ამ არარაობის ნაცვლად ვინმე ცქვიტი რომ ყოფილიყო, ქვეყანა დაიქცეოდა? სიუჟეტი მაშინაც მოექცეოდა ჩიხში? ეტყობა მხატვრული ნაწარმოებების ბედი ავტორზე კი არა ლიტერატურულ გმირებზეა დამოკიდებული. არა, პასუხისმგებლობას არ ვირიდებ, ამ კუთხით მეც მიმიძღვის ბრალი; სერიოზულად არ შევეცადე. ვაღიარებ, დაბალი ღობე ვარ — ყველა მოტანტალე ჩემს მოთხრობებში ხროვდება, ის კი არა და, ძალით იჭრებიან. ჩემი მოთხრობები ჰასანსოხდუს წისქვილს ჰგავს. ქუჩის პროტოტიპებს არიფად მივაჩნივარ. პირში რომ უცინი, თავზე გასხდებიან. როგორც თვითონ მეუბნებიან, ჩემს მოთხრობებს საქველმოქმედო პანსიონატს ადარებენ და ეს მათთვის სასიამოვნოა. მაგრამ ჩემთვის არაა მისაღები. სადაც არ უნდა გაიხედო, როცა არ უნდა გაიხედო, ჩემი მოთხრობები ნაგა-

ვსაყრელს ჰგავს. მარტოკაცი ვარ — ამდენს ვერ ვუძლებ. ქალიან-კაციანად მიყროლებენ იქაურობას და მერე მკითხველიც ცხვირზე ხელაფარებული გამირბის. გამოგიტყდებით და ასეთ პროტოტიპებთან ვერაფერს გააწყობ. მოთხრობიდან გაყვანას თუ მოუნდომებ, რქებით დაგეტაკებიან. იძულებული ხდები, ლიტერატურული გმირის სახე მისცე. ნუ, რას ვიზამთ, ყველას ინსტინქტურად გაუკვდავება სურს. ისეთი პროტოტიპებიც არსებობენ, რომლებიც გეღრიჭებიან, გელაქუცებიან, მერე კი წამოგასკუპდებიან. ზოგი ქალი პროტოტიპი კი, უკვე ლიტერატურულ სახედ ქცეული, ავტორს სექსუალური დანაშაულისკენ ეზიდება. ასეთი რამეები მომსვლია დამიჯერე და ერთხელ ძლივს დავუძვერი. რა ვქნა, საკუთარ მოთხრობას ჩემივე ხელით ბორდელად ხომ ვერ ვაქცევ. ერთხელ სრულიად შემთხვევით ერთს მარცხენა ძუძუზე შევეხე, კიდევ კარგი რომ სისხლის სამართლის კოდექსში ლიტერატურულ სახეებთან სქესობრივი აქტი დანაშაულად არ ირიცხება ანუ თუ რომელიმე ავტორი საკუთარ ქალ პერსონაჟს ქვეშ მოიგდებს, არაფერი მოუვა — წყლიდან მშრალად ამოვა.

ვიმეორებ, ამ ექიმის გამო სინანულს ვყავარ შეპყრობილი. აწი ასეთი პროტოტიპების სიას შევადგენ. უზრდელების და დანაშაულში ეჭვმიტანილების სახელებს წითლად მოვნიშნავ. ეშმა არ მასვენებს, აიღე და ეს მოთხრობა ხელახლა დაწერე, მომავალი ბოროტმოქმედი ამოაგდეო. ჩემი მოთხრობა სამხედრო-საველე ჰოსპიტალი ხომ არ არის, რომ ექიმის იქ ყოფნა აუცილებლობით იყოს განპირობებული? შემიძლია მხატვრულ სახედ მასწავლებელი, დურგალი, ანდა რკინიგზელი ავიღო. ექიმებთან შედარებით ადვილადსამართავნი არიან. მეყო, რაც ექიმი პერსონაჟებისაგან ვიწვნიე.

აქ მხოლოდ ერთი რამ რჩება საჯანჯალო: ჯაფარმა ხომ თავისი გეგმები მოაწყო და ვამბობ, ეგება პირობები შევუქმნათ. დაე თავისი დანაშაული ცხოვრებაში კი არა, მოთხრობაშივე ამოწუროს. თუმცა გულით ესეც არ მსურს. ცხოვრებაში მოსახდენი დანაშაული მოთხრობაში თუ შეიჩურთა, მაშინვე განეიტრალდება. მოთხრობაში ნებისმიერი ჭრილობა, მოტეხილობა, შოკი უხიფათოა და იქ სისხლი მხოლოდ წარმოდგენითია. ცხოვრებაში კი სისხლი მართლა ჩხრიალებს, ქუჩა-შუკებს ან ჰოსპიტლის საწოლებსა და პალატის იატაკს ამეწამულებს. ფიცრებს შორის მიმხმარ სისხლს რა ამოწმენდს? მოთხრობას დანაშაული ჰა, ჰა, დეტექტიურ ელფერს სძენს, რაც ავტორის მიმართ საზოგადოებრივ ინტერესს ბადებს. აღმოვაჩინე, რომ ჯაფარს თავში ერთი ჭანჭიკი აკლია. რომ ჰქონოდა, ამ მოთხრობაშივე ასე არ გადატრანსფორმირდებოდა და ერთი კურორტზე ვერწაუსვლელობის გამო განაწყენებული კაცობრიობის გასაწირავად მზად არ იქნებოდა.

მიწა კი მივაყარე ასეთ მხატვრულ სახეს!

არა, მე იმთავითვე არ მიმართლებდა: შაქარს ვთესდი და მარილი ამოდიოდა. „ჯან“ მითქვამს და წადი შენიო, უთქვამთ. ადამიანად მივიჩნიე და კეთილ პერსონაჟთა რიგში მინდოდა განმეწესებინა, მან კიდე არ იკადრა. ვირს ეტყვი, ზრდილობა მაჩვენეო და იყროყინებს. ოდესმე მისი შექმნის გამო კაცობრიობის წინაშე ბოდიში უნდა მოვიხადო — ეს გეგმაში მაქვს!

ისედაც, წერის შეწყვეტით მოთხრობაში მოსალოდნელი დანაშაული შემიჩერებია. არ მიმაჩნია მიზანშეწონილად რომ მოთხრობაში ჯაფარ ოსმანოვმა დანაშაული ჩაიდინოს და მერე მომავალმა თაობებმა ეს კვლავდაკვლავ წაიკითხონ. დანაშაული ლიტერატურას და ხელოვნებას უნდა ჩამოშორდეს, რადიოაქტიული ტიპის რამეები უნდა დაიხუროს. თითქოს ცხოვრებას აკლიაო, დაე მოთხრობების დანაშაულები ომების დანაშაულებს ნუღარ მიემატება.

ღვთის შეწევნით ჩემი ლიტერატურული გმირებისგან ზიანს არავინ იწვნევს.

ეგებ ფეხი-ფეხზე შემოვდოთ და საქართველოს კურორტული ზონებიდან მოსულ საომარ ამბებს, ჯაფარ ოსმანოვის ამ მოთხრობისგან გარეთ მდგარ, ომისთვის შესაფერ ამაზრზენ დანაშაულებებსაც ველოდოთ, თვალი ვადევნოთ. არადა, წინათ იქიდან მოსული ამბები მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო სტანდარტების შესაბამის გამაჯანსაღებელ-დასასვენებელ სიახლეებს ეხებოდა.

2008 წლის აგვისტო -12 სექტემბერი

აზერბიჯანულიდან თარგმნა ***ოქტაი ქაზუმოვმა***

მაკა მიქელაძე

ერთი მერცხალი

დიდი ხანია საავადმყოფოს ფანჯრებთან მერცხლები არ მოფრენილან. ბუდეებიც მოიშალა. წელს მოფრინდა ერთი. მოკრიფა ფანჯრის რაფაზე ბუნდღა და წაიღო ცაში.

ვწერ არმოფრენილი მერცხლის ბუმბულივით მძიმე მოთხრობას, ბუმბულზე მსუბუქად.

ექთანს მერცხლის გულივით თეთრად ეცვა, პაციენტს — მერცხლის ზურგივით შავად. პაციენტი კომპიუტერთან იჯდა და თამაშობდა.

— რატომ თამაშობთ! თქვენ აქ სასწავლად ხართ მოსული.

— ვისწავლე ყველაფერი, ვის ჭირდება? — იმედი მერცხლებივით ილეოდა. სოც-მუშაკი მიდიოდა და მოდიოდა... სამსახური ცაში გაფანტული კუდმაკრატელებივით არ ჩანდა.

ლამაზი ბიჭი იყო, მაღალი, მოსხლეტილი, ლამაზად აჭრილი თვალებით, შავტუხა, შავთვალა, ოდნავ ბრაზიანი. ლამაზი ცოლი ჰყავდა, პატარა მოიტაცა, თხუთმეტის თუ თექვსმეტის... „ოდნოკლასნიკებში“ სურათი აჩვენა ექთანს და თამაშს მიუბრუნდა.

— როგორ არ გწყინდება? – გარს უვლის ექთანი — ერთი და იგივე, ერთი და იგივე...

გაღიზიანდა.

— თამაშია რა ეგეთი! აშენებ ქალაქს, აშენებ, აშენებ. ხან გყოფნის ვირტუალური ფული, ხან — არა, ხან სხვები გასწრებენ და აშენებენ... ონლაინ თამაშია.

გაღიზიანება იმდენად დიდი იყო, ექთანი გახტა. მაშინვე მორბილდა ლამაზი ბიჭი. გაეცინა.

— ჩემ ქალაქს ვაშენებ... „ლტოლვილი“ ვარ მე... რომ დაიწყო ომი, პატარა ვიყავი, მახსოვს მაინც...

ექთანი შეწუხდა.

— აქაც არ დაგვხვედრიან კარგად. „ლტოლვილი“ რომ ვარ, არ მიღებენ სამუშაოდ, არსად.

გადარწმუნება სცადა თეთრხალათიანმა, მაგრამ პაციენტი ომში დაკარგული ქალაქის მშენებლობამ გაიტაცა.

იჯდა. იჯდა საათობით. იჯდა თვეობით, წლები გავიდა. მისი დასაბრუნებელი ქალაქი იზრდებოდა და მშვენდებოდა... და იყო ამ ჩაჩარჩოებულ ბრძოლაში რაღაც მონუმენტური.

— Один в поле не воин! — უყვიროდნენ სიზმრის მტრები იძულებით ადგილნაცვალს.

— ერთი მერცხლის ჭყივილი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო! — უყვიროდა ძილში სიზმრის სოცმუშაკი.

ექთანს ევალებოდა კვირაში ერთხელ ან ორჯერ მისი ჯანმრთელობა გადაემოწმებინა. სიცხე გაეზომა, წნევა გაესინჯა, ფილტვები მოესმინა. დანარჩენი მას არ ეხებოდა. ყასიდად აქტიურობდა და ამუნათებდა.

ერთხანს დაიკარგა, არ გამოცხადდა... მირეკ-მორეკეს და გადაწყვიტეს, პროგრამიდან გავიდაო...

როცა გამოცხადდა, მაღალი სიცხე ჰქონდა. სწორედ იმ დროს შემოაღო კაბინეტის კარი, როცა ექთანი კიდევ ერთხელ ამოწმებდა ზეცას, იქნებ მეჩვენება, არც ერთი მერცხალი რომ არ სერავს ლაჟვარდსო.

— სიცხე მაქვს, მაღალი!

— უჰ! მშვიდობა თქვენს მობრძანებას! მოდი, მოგისმენ და თუ საჭიროა, ექიმს ვეტყვი.

ექთანმა ფილტვებში მომაკვდავი მერცხლის ჭყივილის მსგავს ხმებს მოჰკრა ყური და შეეშინდა.

— ალბათ ტუბერკულოზი გაგიმწვავდათ!

ახლა ავადმყოფის შეშინების დრო დადგა. „ტუბერკულოზი“ შემზარავად ჟღერდა. ახსოვდა, რომ კიდევ უფრო საბედისწერო სახელი, „ჭლექი“ ერქვა ამ სენს. ექთანს თითქმის ეჩხუბა:

— არა!!! შიდსი მაქვს მე!

ექთანი პირგამტკნარებული გახევდა. მერე გაეცინა, მაგრამ პაციენტი რომ არ ხუმრობდა, მიხვდა. ინერციით იკითხა რაღაც, თითქმის გაუგებარი:

— რას აპირებ?!

— რას უნდა ვაპირებდე? გავიგეთ ახლახან, ბიჭს ველოდები მე... გვეყოლება აგვისტოში.

ექთანი კაბინეტიდან „ახლავე ექიმებს ვეტყვი“-ს ყვირილით გავარდა, ძლივს გაასწრო მის თვალებს მომწყდარი ცრემლების ღვარმა პაციენტის თვალებს.

ერთი მერცხალი თავდაუზოგავად დაქროდა ჰაერში და ბუდეში ეზიდებოდა ნადავლს.

— შეიძლება ვითამაშო? — გამოაღო კარი და დერეფანში იკითხა. პასუხი რომ ვერ მიიღო, კომპიუტერს მიუჯდა. მან უკვე იცოდა, რომ შიდსის წამალი გამოგონებული იყო, სადაცაა გაყიდვაში შევიდოდა სხვა ქვეყნების სააფთიაქო ქსელში, მერე კი რაღა დაუდგებოდა წინ და მის ქვეყანაშიც ჩამოვიდოდა. ...აი, ქალაქი კი ასაშენებელი იყო ჯერაც. სტადიონიც უნდა ეყიდა, კინოთეატრიც...

ამის ნაცვლად ასი ათასი მერცხალი იყიდა და ვირტუალური ზღვისპირეთის თავზე ააფრთხიალა.

მოკლული ცულითა

ყანაა და ცოლისძმაა და სიძე. თიბვაა და პოლიტბაასი.

— ე! წინა მთავრობა შენ არ შეცვალეე?

— მაშ, — თანაბარმოსმით გაიშვა ცელი ბალახში.

— და იმის წინა?

— ჰოო.

— აგერ ახლა რომ აირიენ, შენ არ ჩაქანდი ქალაქში?

— რა იყო რო? — თავაუღებლად თიბავს.

— მაშ ახალ მთავრობასაც შენ მოიყვან?

— მოვიყვან და ეგრეე!

— ვერა ხედავ, არ გამოგდიის?!

გაიღიმებდა, მაგრამ არ ეცალა. მზე კეფაში აჭერდა და ცელიც მოულოდნელმა ქვამ დასაყენებელი გაუხადა.

— ყანა მოგეყვანა, არ ჯობდა? — წინ გაიჭრა ცოლისძმა.

— მეფე რო მოგიყვანო არ გინდაა?! — გაღრინა სიძემ.

— მინდა, მაშ. ტრაქტორიც მინდა!

— ტრაქტორი ხო გვააქ?! — წარბი აზიდა.

— ჰე-ჰე-ჰე! მერე შენ მატორზე ვატარო თუ ძროხა ჩავაბა შიდა?

— ისინი საწვავს არ მოგვყიდიან? — ხელი გაიქნია ტყისკენ

— ვინა, ბიჭო? — გაფითრდა, — განა ასე ახლოსა დგანან? იქამდე მისვლა არ უნდა? ბევრნი კი არ არიან?

— აბა, რა ვიცი, „ვზვოდები“ დგანანო.

— აბა კი მაშ! ერთი-ორი სალდათი თუ იქნება, — შიშით გახედა შორეთს.

— გასწი! გაუსვი ცელი, ვერა ხედავ, გეწევი?!

საითაც გაიხედა, იქით ბაზილიკა იდგა და ცოლისძმას გულს მოეფონა.

— პრინციპულად ვერ გავიგე, რომ გავსწი-გავუსვა რაა რო? ყანაზე მეტს გავთიბაავ?

სიძე კი გაიღიმებდა, მაგრამ ავად დაყრანტალებდა ყორანი და ხასიათს უმძიმებდა.

— სახლი რო ჩამოენგრათ სოფლის ბოლოში, იცი?

— ჰო, მაშ. ასასვლელი ვართ, უნდა მივეძალოთ.

— გიგია იყო გუშინა. „სილოსისას“ როდის ჩამავალებთო.

— ვახ! რითი, კაცო, რითი?

— ვიცი, როო?

ცოლისძმა ხვდებოდა, რომ რამე კარგი უნდა ეთქვა, მაგრამ რაღაცა იჭერდა. იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა:

— კაცოო! ეს ბენზინი თუ არავისა აქ, კოზლაანთ ხურუშა რასაი ყნოსამს!

— წავიდეს მაგისი... წავიდე ქალაქში, გამოვცვალო ეს მთავრობაც!

— ჰე-ჰე-ჰე, სუ მაგათი ბრალია, განა?! ჟუჟუნა რო გაგიჟდა ისიცა? კოტორას ქალი რო საზღვარგარეთ გაიქცა და არაფერი ისმის, ისიცა?

— აი, ახლა რო გზეპავ, ისიც მაგათი ბრალია. — ჩაათავა კვალი სიძემ.

ჩამოდგა უბრი და სიცხე-ხვატი.

გამალდნენ. ჩაწვა და ჩაწვა მოცელილი ბალახი. ცოლისძმამ დუმილს დიდხანს ვერ გაუძლო. მასაც თავისი აეკვიატა...

— იმ წინა უარესების სუნი არა დგა?

— ჰოო, მაშ! მაშინაც „გვადალუპე“ არ გადიოდა?

შორს, ძალიან შორს რაღაც გავარდა.

— დგანან! — აღნიშნა სიძემ.

— ჰო, დგანან. ისე ეს ჩემი და და შენი ცოლი საჭმელს არ გვაღირსებს?

— ერთი მაგისიცო... — ქმარმა გულსგარეთა.

ცოლისძმამ ასხლა და რა ასხლა! — ვისი, ბიჭოო და გამოენთო მუშტშემართული. ცელი კი მიაგდო, მაგრამ რისხვას აუშვა აღვირი.

დაბნეული სიძე უკან გახტა და — გამეცაო! — ცელი გამეტებით მოიქნია, მაღლა მოუვიდა და ცოლისძმა შუაზე გადასერა.

სანამ ბალახივით მოიცელებოდა, სერზე კალათიან დას მოჰკრა თვალი. სამხარი დაცვივდა და კივილმა ცა ახია...

— არა-მეთქი! არა! განა მართლა მინდოდა!!! პურს მაინც მოესწრო, პურს! — ბღაოდა თავზე ხელებშემობჯენილი სიძე.

სადღაც ისევ გაისროლეს.

— დგანან! — ამოიხრიალა ცოლისძმამ, — განა უმაგათოთ ვერ მომკალ? — გაეღიმა და თვალები მინავლა.

— გამთელდიი-მეთქი, გამთელდი! — გულზე მიიხუტა — შენა ხარ, შენა. შენა ხარ ეს ჩვენი გაგლეჯილი ქვეყანა. მე ვქენი თითოომ..

დაპნეული პური დაქცეულ ღვინოში ჩალბა.

სასჯელის დანაშაული

ეძღვნება ო'ჰენრის

იმ დღეს მარცხენა ფეხზე ადგა. მარჯვენა წინა დღეს გადაიბრუნა.

გადაწყვიტა პოლიციას ჩაბარებოდა. მარტოსულის ჯიბეცარიელ ახალ წელს სხვა არაფერი ეჭყანებოდა. ჭარმაგმა პოლიციელმა, სადაცაა სამ ათეულს რომ გადააგორებდა ერთგულ სამსახურში, თავიც კი არ აუწევია, ისე მიაბუზღუნა და გაწბილებული გამოისტუმრა:

— რამდენსაც მუქთი სმა-ჭამა მოუნდება, იმდენს ვერ დავიჭერ!

— დამიჭირე რა, მაღაზია გავტეხე!

— წადი ბიჭო, სახლში, ამ საახალწლოდ ცუდ საქმეს ნუ ჩამადენინებ! — თორმეტამდე საათებიღა იყო დარჩენილი და დოკუმენტებს გამალებული აწესრიგებდა.

ციხისმოყვარული განყოფილებიდან გაცოფებული გამოვარდა და უახლოეს მაღაზიაში — არ გაინძრეეეთ! — ყვირილით შექანდა.

კანტიკუნტად მიმოფანტულ მყიდველებს გაეცინათ. ვის ეშინია შენელებულ-გაწელილი მოძრაობების, ჩამოკონკილ-ჩახლეწილი ყვირილის, მოცახცახე ხელების, ცალ ფეხზე ქუსლ-ჩაკეცილი ფეხსაცმლის და ცალზეც ტურტლიანი ნახვევის. ვის ეშინია გაცეცებული თვალების და ჩაცვენილი, გასაპარსი ლოყების, წონლოკინა კისერზე ჩამოდებული, მუხლამდე დათრეული შინნაქსოვი კაშნესი და როკებგამოჩრილი მაჯის, ან ამ მაჯას ოთხითითისდადებაზეაშორებულსახელოებიანი, გაქონილი ლაბადის, ვის ეშინია ყვითელი, ლოქოსავით დაბჩენილი პირის და ჩაცვენილი კბილების, პლასტელინისგან გაკეთებული სახის.

შემოვარდნილი თავდამსხმელი სიცილმა გააბრაზა და მაღაზია სკამით გადაკეტა.

— ყველანი ძირს! ხელები თავზე! გახსენი სალარო!

სიგნალიზაციისკენ გაპარულ ხელს თაროზე ჩამოდებული დანასადგარიდან ამოგებული

ცივი ბასრი იარაღი ჩაესო. მოლარის მეორე ხელი შინნაქსოვი კაშნეთი დააბა ვერცხლისფერ ძელზე. ყვიროდა უაზრობებს, დანარჩენები რომ შეეშინებინა.

აქ კი იკადრეს მყიდველებმა იატაკზე გართხმა.

დამნაშავემ ცალი ხელი ქადას წამოავლო და ხარბად ჩაიტენა პირში. ორივეთი ვერ შეჭამდა, რადგან დაკავებულ ხელში კონიაკის ბოთლის ყელი ჩაებღუჯა, ვითარცა ბლაგვი მძიმე საგანი.

მაღაზიაში ჩვილი ატირდა.

სალაროდან ამოხაპული ფული ჯიბეში ჩაიტენა ხურდაფულიანად და მობილური ამოიღო. ზურგით კუთხისკენ დადგა და ცალფეხსდაყრდნობილი კედელს მიეყუდა.

— შენ გვერდით მაღაზიაში ვარ და გამოდი, შენი... გამოდი, თუ მაგარი ხარ და დამიჭირე! — ხაფი ხმით ხაოდა.

პოლიციელი მალე მოვიდა გონს. ყვირილი სახუმაროს არ ჰგავდა. მაღაზიასთან ფეხით ისე გადმოვიდა, ფეხი არც აუჩქარებია. მოველაპარაკები, მოვარჯულებ მაინც, ჩამიმწარა მორიგეობაო, ფიქრობდა. ვიტრინას გახედა და გაშრა.

დასაჭერი ვიტრინაში იდგა. გამხდარი, თვალებგადმოკარკლული ქერათმიანი ასული გულზე აეხუტებინა და მის ყელთან მიებჯინა გადამტვრეული კონიაკის ბოთლი (ადრე მძიმე, ბლაგვი და ამჟამად ცივი, ბასრი იარაღი).

პოლიციელი არ დაიბნა:

— გამოეთრიე, შე იდიოტო, დაგიჭერთ, ნუ ჩააშხამე ხალხს დღესასწაული! — ოპერატიულად მიაძახა რუპორით.

— ჯერ ჟურნალისტები მოვიდნენ. – მოუმატა მოთხოვნებს შეიდიოტმა.

— მე გადაგიღებ ფოტოს, სამს და სხვადასხვა რაკურსში. გამოდი. — მსწრაფლ დაუკმაყოფილა მოთხოვნები.

— მერე შენ გაზეთებში დაბეჭდავ?! — ბავშვი რომ კანფეტზე გევაჭრება, მატყუებ, შოკოლადის არ იქნებაო, ისე უსუსურად მიაძახა.

— ვახ, ეს ვინ არის! გაუშვი მძევალი!— აუწია ხმას.

— ასეთი, — გოგონას კისერზე წითელი კვალი გაჩნდა, — აქ ექვსი მყავს და ერთიც დაჭრილი გამყიდველი! ამასაც ხომ ხედავ! — მიანიშნა წინასწარ მომზადებულ ცეცხლსაშიში ნივთების გროვაზე თავით. — კარგა ხანს მოგიწევს სახელმწიფოს ხარჯზე ჩემი კვება. პოლიციელმა მეწყვილეს დაურეკა და უკანა ეზოში გააგზავნა. მეწყვილემ, ოპერატიულ ჯგუფთან გადავრეკოთო, შესთავაზა. იუარა, ორნიც ვეყოფითო.

ვიტრინიდან ხმა ძნელად აღწევდა. შეშლილ სახეზე მიხვდნენ, რომ ცუდად იყო საქმე. მძევალი და საახალწლოდ დახვავებული ბამბა ერთ ფერზე დადგნენ.

— სასწრაფოც გამოვიძახე! დამხმარე ძალაც! — რაც შეეძლო წყნარად უხსნიდა. რა პატაკებს ვაბარებო, გულში კი გაბრაზდა, ჩავუმტვრევ ფანჯარას, შეუვარდები და ვჟეჟავ, დარდიმანდულადო.

მძევალი აყვირდა.

მძევლის ამყვანი ახარხარდა.

ხალხი შემოგროვდა და აყაყანდა.

ხალხი ყოველი შემთხვევისათვის გზის სავალი ნაწილის გაღმა გადარეკა.

მოქანდა პრესა-ტელევიზია! ტერორისტი დიდხანს პოზირებდა ვიტრინაში, ცალით ხელით მძევალი ეჭირა და მეორეთი უბიდან ბღუჯა-ბღუჯა ყრიდა ფულებს, — აქაოდა არაფერი მიჭირს, პრინციპის გამო ვბოროტმოქმედებო.

— გამოდი! ყველამ გაიგო რა ვაჟკაციც ხარ! — ჩასძახა რუპორში, როცა ფოტოაპარატებიანები წავიდნენ. — ნუღა გეშინია, დაგბეჭდავენ გაზეთებში. პირველ გვერდზე დაგბეჭდავენ. გამოდი და მაშინვე მიგაბრძანებ, სადაც საჭიროა!

„მოლაპარაკებებმა“ შებინდებამდე გასტანა. შუშის მიღმა ჩარჩენილი ჩვილის ღნავილი ხანგამოშვებით ერთვოდა საერთო კაკაფონიას.

ცნობისმოყვარეები არ იშლებოდნენ.

„ტელევარსკვლავს“ მობეზრდა ცალ ფეხზე დგომა. მძევალი მიაგდო. ის კედელს მსუბუქად მიეჯახა და დაოთხილი უკან-უკან გაფორთხდა.

სახვევის შესასწორებლად ვიტრინაში ჩამოჯდა და გაბეზრებულმა გააბოლა ვიტრინის

სამშვენისი, ყველაზე ძვირადღირებული სიგარეტის კოლოფიდან ამოძრობილი ღერი. კაჟგაცვეთილი სანთებელა ჯიბისკენ წაიღო და... სადღაც, რაღაცამ დაიპიწკინა.

მაღაზიას ცეცხლი გაუჩნდა.

დამნაშავე ცეცხლის გაჩენაში უდანაშაულო იყო. ნაპერწკალი საახალწლო გირლიანდებს მოწყდა. ცეცხლი ნეილონის ნაძვის ხეებზე გადავიდა, ნაძვის ხეებიდან ბამბაზე, ბამბიდან ცეცხლსაშიში ნივთების გროვაზე.

— მე არ მიქნია! — ბღაოდა ვიტრინაში, გაცვეთილ ლაბადას ცეცხლს უნიავებდა და ცალ ფეხზე ხტოდა.

საბოლოოდ შეშინებული მძევლები შუშებს ეცნენ, გამოლეწეს და გარეთ გამოცვივდნენ. კისერგაკაწრული ქერათმიანი გამხდარი გოგონა ოთხითვე ისე გადმოფორთხდა შუშების გროვაზე, ტკივილიც არც კი უგრძვნია...

დამნაშავე ახლა გამკივან მოლარეს ამოეფარა. პატარა ბიჭი რომ დედის ზურგს ეფარება, მამამ არ მცემოსო, ისე იბუზებოდა და იკუნტებოდა. მოლარის თავს ზემოთ კი იმედიანად აპარებდა თვალს. იქნება და გადავრჩეო.

მოთხრობის პერსონაჟებად სირენები, სათლები, თეთრხალათიანები, ლუმინისცენციები, კვამლი, ცეცხლის ენები და ბრბოს ჩოჩქოლი იქცა.

საქმეს რომ ბოლოსკენ წასვლა შეატყო, ჩვენმა ნაცნობმა პოლიციელმა მაღაზიის სიღრმიდან დღის გმირის გამოყვანა აიღო საკუთარ თავზე. ჯერ გამოვიყვან და მერე დავალაზათიანებო. თავ-პირი ქურთუკით მოიბურა და ცეცხლში შევარდა.

— გადაგარჩენ და მოგარჭობ უმაღლესს! ეს რა მიქენი! რა!

დახლზე დაჭედებული მოლარე გიჟივით კიოდა. დამნაშავე უკვე კუთხეში მიბუზულიყო და ჩუმ-ჩუმად იცინოდა. პოლიციელმა ჯერ ხელბორკილით დახლზე მიბმა დაუპირა, მერე თავში შემოიკრა ხელი და გარეთ გაეთრიეო, უღრიალა.

მოლარეს ხელიდან დანა ამოაძრო, იმ დანით კაშნე ჩაჭრა და ქალი გულწასული ჩაეკეცა ხელებში. გარეთ ექიმები შეეშველნენ. მაღაზიისკენ შებრუნდა... იქ შესვლა შეუძლებელი ხდებოდა, ჭერის ძელებმა იწყეს ღრჭიალი.

— არა, შე ნაძირალა! დღევანდელ დღეს ვერ ჩაგამწარებინებ. — შევარდა უკან ბღავილით — არავის ვათქმევინებ, უბნის გიჟი თავისსავე გაჩენილ ხანძარში ამოეხრუკა საკუთარ უბანშიო.

ფეხებით გამოათრია, ასფალტზე მიაგდო. კიდევ ვინმე ხომ არ დამრჩაო. მეზობლები წყლით სავსე სათლებს იქნევდნენ სახლისკენ. ერთს სათლი გამოგლიჯა და ფეხებით გამოთრეულს თავზე დაამხო.

პოლიციელს ყურებში ჩვილის ტირილი ედგა. კვამლნაყლაპი იყო და ახლა მის გადასარჩენად გაიწია. დაავიწყდა, რომ ჩვილი კარგა ხანია, საიმედო ხელში ჰყავდა გადაბარებული, მაინც მაღაზიისკენ იზიდებოდა. ძელები ჩამოცვივდა და გასასვლელი ჩაიხერგა. ის მაინც ხანძრისკენ იწევდა. ჭარმაგი იყო და მის გაკავებას მეწყვილე და ორი კაცი ძლივს ახერხებდა.

როცა დარწმუნდა, რომ ცეცხლში შევარდნას აზრი აღარ ჰქონდა, პოლიციელი დამნაშავეს შემოუბრუნდა და რას ხედავს...

ის გაწუწული, დასერილი, დაბნეული, ხელში ჩაბღუჯული ნადავლით — სამლარიანი „კენტის“ კოლოფიანად, კენტად და ბარბაცით წამოდგა, ბრბოს შეერია დანდობილად. აი, გლიჯეს ჰუკი მარცხნიდან და გვერდულად გამოქნეული მარჯვენა ფეხი მუცელში, ჩააზილეს გამოქნეული მარცხენა ფეხი სიფათში, ეგზალტირებული გაწეწილი მანდილოსანი ბრჭყალებით ჩააფრინდა სველ თმებში, წვრილი ქუსლი ჩააჭყლიტა ყელში! აი, ქვებმოღერებულები მორბიან გზის სავალი ნაწილის გაღმიდან, ჯოხშემართულნი კი გამოღმიდან! აი, ჩვენი აქტივისტი ქალებიც, კაბააკაპიწებულნი და შურისძიებით ანთებულნი, მუხლებბმოღერებულნი მორბიან მიზნისკენ! აი, მოხუცი პენსიონერი რელსით ხელში! დურთე მაგას ბაბუა, დურთე! მანქანების ნაკადის გამრღვევი შავი თვალებგათეთრებული მასაც მოვარდა სავალი ნაწილის გაღმიდან! დურთეს მოზრდილქვიანი მტევანი თხემში! დურთეს რელსი კეფაში! ტყუპი წიხლითაც შარვლის უბეზე მაძღრად დაახტნენ! ქვების წვიმა ატყდა და ხორცის გლეჯა...

აი, წრის დაშლა.

აი, გაშორება უკან სვლით...

აი, სისხლ-ხორცის რბილობში ჩაზელილი ხურდა ფულის გროვა ასფალტის შავ ველზე.

აი, ვერგამოყენებული ქვების ფურთხებით გადაყრის სცენა და აი, ვერმოოხებულნი.

სასჯელის დანაშაული დიდ ზეიმს ზეიმობდა.

პოლიციელმა და მისმა მეწყვილემ ამ ყველაფერს კინოთეატრის ბოლო სკამიდან დანახული ძველი ფირივით უყურეს, გადავსებულ დარბაზში რომ ნემსი არ ჩავარდება, რომ ვერც გაინძრევი, ვერც ჩაისუნთქავ. და ვერც ხმას ამოიღებ. ხელი ჯერ რუპორს წამოავლო, სათლს ეძებდა, იქნებ „მლინჩავნი“ წყლით დავშალოო. დააგდო. მერე ცარიელი სათლი მიიტანა რუპორივით პირთან, ისიც კინაღამ დააგდო. გადაიფიქრა, მის შავ სიცარიელეს ჩააშტერდა, სათლი ორივე ხელით მაგრად ჩაბღუჯა და გამწარებულმა ჩასძახა:

— რატო, ბიჭო, რატო?! რამდენჯერ დამიჭერიხარ... რამდენჯერ საგიჟეთში დამიწვენიხარ... რატო!..

ბოროტება სახანძრო მანქანების ჭავლით არ დაუშლიათ, ასფალტი გადარეცხეს.

წავიდ-წამოვიდნენ. გამობოროტისნაწილდნენ. „დასცხეთ მაგენს, ბიჭებოს“, „ვაშა, ვიხუვლეთს“ და „ჩაქოლეთ, მაგისის“ ვერ დააპატიმრებ...

ზარალი დაითვალეს.

პოლიციელმა დაზარალებულთა გადარჩენისთვის აღებული პრემიის დამღერებისას რომელიღაც ჭიქას დაბნეულად წაუქცია თავი. არ იცოდა, შეიძლებოდა ამის გაკეთება თუ არა ემაგნაირებზე.

ვიღაცას ძალიან სტკიოდა დაჭედებული მარჯვენა...

ბექა ქურხული

აჰა, საცაა ხე წაიქცევა

მეფე
I მინისტრი
II მინისტრი
III მინისტრი
IV მინისტრი
I განდგომილი
II განდგომილი
III განდგომილი
IV განდგომილი
IV ჩაფარი
II მებრძოლი
კუდიანი დედაბერი

(სცენა წარმოადგენს მრგვალ ნახევარწრეს. უკან დიდი მრგვალი საათია, რომლის ისრებიც უკუღმა მოძრაობენ. საათის მარჯვნივ და მარცხნივ დროშები კიდია, შუაში დიდი მთავარი დროშა, რომელიც ათ წუთში ერთხელ იცვლება. სცენაზე ბზრიალ-ბზრიალით გამოდის კუდიანი დედაბერი. ცეკვა-ცეკვით უვლის წრეს და ერთდოულად ტაბაკონის როკაპსა და ინდიელების შამანსა ჰგავს. ერთ ხელში ზანზალაკებიანი დაირა, მეორე ხელში კი გველი უჭირავს, რომელსაც დაირაზე ურტყამს და ნელა, ჩურჩულით იწყებს ლაპარაკს. ჯერ გაუგებრად ბუტბუტებს, შემდეგ კი ხმას უმატებს და ბოლოს ექსტაზში ჩავარდნილი, მთელი ხმით, კივილით ამთავრებს თავის მონოლოგს.)

კუდიანი დედაბერი: — ახლოვდება, ახლოვდება, ახლოვდება. აღსასრული ახლოვდება. სულ მალე დედამიწა გასკდება, გასკდება, გასკდება, მალე, სულ მალე, ყველანი უფსკრულში ჩაინთქმებით. იფეთქებს, დიდი წითელი ნათელი იფეთქებს, ყველა ვულკანი ერთიანად ამოიფრქვევა, მთები გაიპობიან, ზღვები ადუღდებიან. მწვერვალები ადუღებული ცეცხლის ოკეანეში ჩაინთქმებიან, ყველანი დაიწვებით, დაიხრუკებით და დაიფერფლებით, როგორც მწერები სანთლის შუქზე. მოვიდა აღსასრულის დღე, მოვიდა უკანასკნელი ჟამი, ვაშაა! ყველანი ამოწყდებით და ეს წყეული, მახინჯი და გადაბინძურებული დედამიწაც აფეთქდება, კოსმოსში გაიფანტება და აფეთქდება, ჰა, ჰა, ჰა!.. ერთხელ და სამუდამოდ გაქრება და დავისვენებთ, უფ რას დავისვენებთ, ოჰ რა ზეიმი იქნება, როგორ მეჯლისს მოვაწყობთ, იმ რუს მიხაილს რომ არც დასიზმრებია!!! მანამდე კი რამდენი უბედურება დატრიალდება, რამდენი, რამდენიიი, ხი, ხი, ხი, თქვენი კივილი სწორედ იმ ცეცხლმოკიდებულ ცას მისწვდება, მანამდე კი თხები და ცხვრები მგლებს და ფოცხვერებს გამოეკიდებიან, თხები და ცხვრები მგლებსა და ფოცხვერებზე დაიწყებენ ნადირობას, თხები და ცხვრები მგლებს და ფოცხვერებს შეჭამენ...

(სცენაზე ოთხი ჩაფარი შემოდის და უზარმაზარი ტრიბუნა შემოაქვთ. ტრიბუნაზე დიდი მრგვალი საათია, რომელის ისრებიც ასევე უკუღმა მოძრაობენ. კუდიანი დედაბერი ახლა ტრიბუნის გარშემო მოჰყვება ცეკვას.)

— შეჭამენ, შეჭამენ, ცხვრები და თხები მგლებსა და ფოცხვერებს შეჭამენ, მათი ლეშით გაძღებიან, გასუქდებიან და გაიზრდებიან. მგლები და ფოცხვერები ძალიან ცოტანიღა დარჩებიან და შეშინებულები გასაქცევ გზებსა და დასამალ ადგილებს დაუწყებენ ძებნას, მაგრამ მათ ყველგან პირდაღებული და გასუქებული, მძვინვარე ცხვრები დახვდებიან. ჰეი, ჰეი, ჰეი, ჰეი!..

(სცენაზე აჩქარებული ნაბიჯით შემოდის მეფე, უკან დაბალი I მინისტრი მოსდევს, შემდეგ კი სიმაღლის, უფრო სწორად სიდაბლის მიხედვით მოჰყვებიან დანარჩენები. ყველაზე მაღალი IV მინისტრია. მათ უკან ოთხი ჩაფარი მოჰყვებათ.)

მეფე: — მოაშორეთ, დაუყოვნებლივ მოაშორეთ ეს დამთხვეული დედაბერი აქედან. (ყვირის) ჩაფრებო, რა გახდა ერთი კუანა კუდიანი დედაბერი, რომ ვერ მომაშორეთ თავიდან, ამისთვის გიხდით ჯამაგირს ბაჯაღლო ოქროთი?.. ჰა? ამ წუთას გაგაძევებთ და დაგაჭრით თავებსაც და არათავებსაც და ყველაფერსაც რაცა გაქვთ და არა გაქვთ. რით ვერ დაამთავრეთ ის მოხუცთა თავშესაფარი, მთელს აზიაში ყველაზე მოხუცთა და ყველაზე თავშესაფარი როა! (IV, ყველაზე მაღალ მინსიტრს მოუბრუნდება) ესე იგი, ჩვენ საძირკველი ჩავყარეთ ხო უკვე, მთელს აზიაში ყველაზე ღრმა საძირკველი... (უცებ განრისხდება). არ არის საკმარისი...

კუდიანი დედაბერი: — მგლები ვეღარსად დაემალებიან ცხვრებს, ვეღარსად და დაუნდობლად დაგლეჯენ, ყველგან იპოვიან შემორჩენილ მგლებს და ყელებს დაღადრავენ, ჰეი, ჰე, ჰეე, ჰეეეი!..

მეფე (გაცხარებული კივის): — აჰა, აი! ჩაფრებო, მომაშორეთ-მეთქი... (მოწყენილი და აღშფოთებული). ერთი პატარა გუბე რა გახდა, ნუთუ ერთი პატარა გუბე აღარ დაგვრჩა სამეფოში, რომ შიგ ჩაახრჩოთ ეს საზიზღარი ბებერი! (მოულოდნელად აკისკისდება) ვიხუმრე რა თქმა უნდა, გუბეების მეტი რა გვაქვს...

(ჩაფრები კუდიან დედაბერს ხელს სტაცებენ და კულისებისაკენ მიათრევენ.)

მეფე: — მოშორდი აქედან! (ფეხს მოუქნევს, მაგრამ ძალიან მოუხერხებლად და ააცილებს) ეს ბინძური ბებერი, ფუჰ! (მიაფურთხებს და პირს ხელითმოიწმენს).

კუდიანი დედაბერი (ჩაფრები მიათრევენ, მაგრამ მაინც არ ჩუმდება, უკანასკნელი სიტყვები კულისებიდან ისმის): — ცხვრები გასუქდნენ, ცხვრები ძალიან გასუქდნენ, კბილებდაკრეჭილი ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს, მაგრამ იმ დაფდაფებზე მაგ ცხვრებისავე ტყავია გადაკრული. ცხვრებმა გაიმარჯვეს, ცხვრებმა მგლები დაამარცხეს, ცხვრები ძალიან გასუქდნენ, ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს, მაგრამ იმ დაფდაფებზე მაგ ცხვრებისავე ტყავია გადაკრული. დამარცხებული, გამხდარი და შეჭმული მგლები კი ხეობებში არიან ჩასაფრებულები. ბნელ უღრან ხეობებში. აგე შავი, სახიფათოდ სუფთა თვალები როგორ უელავთ, აგე მგლები, აგე მათი სუფთა და საშიშად ცარიელი თვალები, როგორ უნათებთ ნაკვერჩხლებივით უკუნ სიბნელეში, ელიან მათი სისხლით და ხორცით გასუქებულ ცხვრებს ბნელ ხეობებში ჩამსხდრები. ცხვრები კი მოდიან, სცემენ დაფდაფებს, მაგრამ იმ დაფდაფებზე მაგ ცხვრებისავე ტყავია გადაკრული, ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს...

მეფე: — გაეთრიე ახლავე აქედან! დაუყოვნებლივ გაეთრიე, გიბრძანებ!.. მე, შენი მეფე, გიბრძანებ!.. (უცებ ისტერიულად) მომწყდი თავიდან თორემ მაგ დაფდაფებს შიგ მაგ გამომხმარ და ორმოცდაათსაუკუნოვან ტრაკში შეგთხრი, მგლები-ცხვრები. გამომივიდა პასტუხი, ეს პატასკუხა ესა. ცხვრები... მომინდომა აქ. რა შუაშია?.. უწიგნური, ოროსანი ესა. ცხვრები თუ უნდა, ახლავე მოვხსნი კუდიანი დედაბრობიდან და გავუშვებ იქ (ხელს გაურკვეველი მიმართულებით იქნევს). ვხუმრობ, რა თქმა უნდა, ვის რათ უნდა მაგისთანა მწველავი. მაგისთვის უკეთესი იქნებოდა, მე მას ვურჩევდი (დაიბნა) ჰო, დიახ, დიახ... (ჩაფიქრდება, თითით მარცხენა ყურს იქექავს) ჰო!.. არა, რა დაფდაფები, მე მათ ვაჩვენებ დაფდაფებს, დაფდაფები... წავიდა დაფდაფების დრო და თუ ვინმეს ჰგონია, და თუ ვინმე აწარმოებს იმ დამღუპველი ილუზიის გაჩენას, რომ დაფდაფების დრო დაბრუნდება, მე მას ვურჩევდი, რომ დედაბრები, დაფდაფები (გადაიკისკისებს) ცხვრები, მგლები, ნურას უკაცრავად, მე აქ სამეფო მაქვს თუ ფერმა, თქვე ტუტუცებო თქვენა, ჰა?.. ჩემს ულტრათანამედროვე სამეფოში, სადაც სახლებს სახურავებიც კი ახურავთ... ეეე სამეფოში სადაც... (უცებ, განრისხებული მიაჩერდება IV მინისტრს) მობრძანდი აქ პატივცემულო მინისტრო... (IV მინისტრი დგება და ფეხაკრეფით უახლოვდება მეფის ტრიბუნას) ჩქარა მოეთრიე აქ, როცა მე, შენი მეფე, გეძახი! (IV მინისტრი ტრიბუნასთან დგება და საცოდავად იყურება) საკმარისია?.. არა, მე ვიცი, რომ მთელს აზიაში ყველაზე ღრმა საძირკველია, მაგრამ თქვენ, შენ ფიქრობ, რომ საკმარისია?.. (განრისხებული და განერვიულებული მარცხენა ყურში შეითხრის თითს და იჩიჩქნება).

IV მინისტრი (ძლივს ამოილუღლუღებს): — არა თქვენო უდიდებულესობავ, რა თქმა უნდა, არა დიდო მეფეო...

მეფე (ცოტა მოლბა): — დაუყოვნებლივ ჩაღუნე თავი! (IV მინისტრი თავს ჩაღუნავს) წადი დაჯექი. (IV მინისტრი ფეხაკრეფით მიდის თავის ადგილზე და ჯდება.) — ადექი, ახლავე წამოდექი! (IV მინისტრი ფეხზე წამოხტება) — რა უნდოდა ჩვენს ნივრის გალებს უგადუგუში? მე შენ გეკითხები, რა უნდოდა ჩვენს, შენ გეკითხებიან, იროკეზების სატახტო ქალაქ უგადუგუში ჩვენს სტრატეგიულად აქტუალურ ნივრის გალებს, ნივრის ფოჩებს, ფურცქვნებს, ფოთლებს, ყლორტებს, ჰა?.. მე, შენი მეფე, გეკითხები გუგულების ქვეყანაზე ტრანზიტით გავლილი მაღალხარისხოვანი, სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ნივრის გალები როგორ აღმოჩნდა! (ყვირის) რას აკეთებ?.. რატომ არა ხარ ეხლა იროკეზებში და უგადუგუში ნივრის აწონვას რატომ არ ახდენ? გინდა, რომ ჩემი წარმატებული სამეფო, სადაც ჩვენი დამსახურებით ყველგან მზე ანათებს, მოატყუონ? ნურას უკაცრავად! (I მინისტრს) წავაცალოთ თავი?.. დაუყოვნებლივ...

I მინისტრი (უყურადღებოდ და გაფანტულად): — რა ვიჩი...

(მეფე ფიქრობს, თითს ისევ მარცხენა ყურში შეიკვეხებს და გამწარებული იქექავს).

მეფე (მოულოდნელად ამოიკივლებს): — გამოოო!..

II მინისტრი (III მინისტრს): — თათრის ბეგობა მენახოს, იცოდე დღეს მარცხენა ყურში ჩააყარეს მარილი.

III მინისტრი: — ჩუუ, შე ჩემა...

II მინისტრი: — წავიდეს ერთი ამისი დებილი მეფეცა და...

III მინისტრი (შეშინებული და გაბრაზებული): — ჩუ ბიჭო, შენ ხო არ აფრენ, შენ თათრეთის გზა სულ გახსნილი გაქვს და გკიდია, ჩვენ კიდევ ყველას ერთი ბაწარი გვაქვს კისერზე გამობმული.

(II მინისტრი აგდებულად იჯღანება, მერე ფეხზე მდგარ და გაშტრიკინებულ IV მინისტრს ახედავს ირონულად).

II მინისტრი (IV მინისტრს): — შენა, ჩვენი ძმა, რო დგახარ, რა, გგონია, რო არ ზიხარ?..

მეფე (განრისხებული ურტყამს ხელს ტრიბუნაზე და ყვირის): — სიწყნარე! სიწყნარე და სიჩუმე იყოს, თორემ ყველას მუსრს გაგავლებთ და მერე ვნახავ თუ არ იქნება აქ ტროპიკული კუნძულისებრი სიწყნარე და სიჩუმე.

(მოულოდნელად კეთილად უღიმის IV მინისტრს): — კარგი, დაჯექი და იცოდე, მეტი ცუდად აღარ მოიქცე, ეს უკანასკნელია. თუ კიდევ გამოიჩენ უყურადღებობას, შენი მეფის სამართლიან მრისხანებას ვეღარ გადაურჩები. დაუყოვნებლივ მიგყიდი ყველაზე ბოროტ მონებით მოვაჭრეს, ან თუ ხასიათზე ვიქენი, იქნებ ჩამოგახრჩო კიდევაც, ჩემს, მთელს სამყაროში ყველაზე მაღალ სახრჩობელაზე და მერე ნახაავ... გასაგებია? დაჯექი. (ასევე მოულოდნელად კვლავ განრისხდება) და ეს ყველას ეხება. ყოველ თქვენთაგანს. აი, ახლა ვეკითხები I მინისტრს: — რაზე ვსაუბრობთ ჩვენ, თქვენ, შენ, მე თქვენი მეფე?..

I მინისტრი (თავზე აქვს ხელი შემოდებული და რაღაცას წერს): — რა ვიჩი...

მეფე (განრისხებული): —არ იჩი?.. აჰ, არ გახსოვს? (ისევ აკისკისდება) — სამაგიეროდ, მე მახსოვს (თითს მარცხენა ყურისკენ გაიქანებს, მაგრამ გადაიფიქრებს და ხელს მთელი ძალით დაახეთქებს ტრიბუნაზე). მე ავაშენე ყველაზე თავისუფალი ციხეები მთელს აზიაში და რა თქმა უნდა, თქვენ, ჩვენ, ყველას ძალიან გვიხარია ციხე!.. თავისუფალი ციხე ჩვენი სამეფოს ერთ-ერთი მთავარი, ყველაზე მთავარი, ძალიან მთავარი მონაპოვრის წარმოებაა, ჩვენ როცა არ გვინდა, ჩემს სამეფოში მზე არ ამოდის და არც წვიმა არ მოდის. (საკუთარი სიტყვები დააბნევს და თავის თავს ეკითხება გაბრაზებული) ჰა რა თქვი?.. ჰო, რა ვთქვი და ჩვენს მეზობლებს, თქვენს, ჩვენს... ჰო, აზიას და ზემო ოკეანეს, იერუსალიმსა და ადის-აბებას, მისრსა და სოფიას ყოველთვის ეგონათ, რომ ჩვენ ძველი, ბნელი კულტურის ხალხი ვიყავით და ვართ, რომ ცეკვა-თამაშისა, ცანგალა და შალახო და ჰარალალო და სად სად სად გეძებოს მეტი არაფერი ვიცოდით. ნურას უკაცრავად, ჩვენ მათ ვაჩვენეთ ჩვენი თავისუფალი ციხეები და მთელი აზია

გულწასული გადირია. ახლა ჩემთან ფოსტის მტრედი მოფრინდა და უსტარი მომიტანა, რომ მთელს ოკეანეში სელაპები ამობრუნებულან და ფეხებს იქნევდნენ, ასეთი თავისუფალი ციხეები ყველაზე განვითარებული ოკეანების ფსკერზეც კი არ გვინახავსო. აი!.. აი!.. აი, რა მეფე გყავთ და აი ეგეც მაგათ, მაგ განდგომილებს, მაგ დასირებულებს, მაგ მოღალატეებსა და მაგ ჩრდილოელების მსტოვრებს მაგათ. აი, აი, თქვენ ყველას (საკუთარ მინისტრებს დაჰყვირებს, მაგრამ უცებ გონზე მოდის და წყნარდება). აი ესეც იმათ, ვისაც ჩემი სამეფო, ძველი სულელური, გაუგებარი წიგნების, სიმღერის, ვაზის, ხორბლის და ბებერი, დაჟანგებული, აბსოლუტურად არათანამედროვე, სისხლებში ამოსვრილი, არაადეკვატური ხმლების ქვეყანა, თორნიკე დადიანისა და ფავორიტიზმითა და ცრუმენტალიტეტით დაავადებული, იმ გადაყრუებული და კორუმპირებული ცოტნე მეფის ქვეყანა... ნურას უკაცრავად... მათი ადგილი თავლაშია. ეს სამეფო კი განახლებული და ყვითლად შეღებილი მხოლოდ მე მეკუთვნის. შენ რას იტყვი I მინისტრო?

I მინისტრი (გაბეზრებული): — რა ვიჩი?..

მეფე (განრისხდა): — რა რა ვიჩი, რას ჰქვია რა ვიჩი?.. დაუყოვნებლივ... (I მინისტრი უცებ ფხიზლდება და მეფეს უცნაურად და გამომწვევად უყურებს) — დიახ, მართალია I მინისტრი, მხოლოდ ის ამბობს თამამად ვიციო, ვინც სინამდვილეში არაფერი იცის, სწორედ ამას გვასწავლიდა იაკობ ცურტაველი თავის დედაენაში, რომ „მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიციო“. აი ასევე მსჯელობს ჩვენი I მინისტრიც, რომელმაც ისიც იცის რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი ძვალია. (სამივე მინისტრი მქუხარე ტაშს დასცხებს. I მინისტრი ირონიულად იღიმება და არ იმჩნევს მეფის სიძულვილით აღსავსე მზერას.) ახლა კი მე მალე, აუცილებლად უნდა გავფრინდე, დაუყოვნებლივ უნდა ავფრინდე და ფრიიი... გამოო! (ისევ ყურში იტაკებს თითს, ტრიბუნას მოშორდება და კუნტრუშით გადის კულისებში. იმავე წამს კულისებიდან ოთხი ჩაფარი გამოდის. I მინისტრს შუაში ჩაიყენებენ და მეორე მხარეს გადიან. I მინისტრი განუწყვეტლივ და ჩუმად ლაპარაკობს რაციაზე, სცენაზე II, III და IV მინისტრები რჩებიან).

III მინისტრი: — რა ვქნათ ტო, ეს ვის ხელში ვართ, მამამისი რო გოთვერანი იყო, ისეთი უნდოდა, მარა ეს ძაან ნამეტანია. რა დავაშავეთ ამისთანა? თან ვერ არი ტო, სერიოზული სამკურნალოა...

IV მინისტრი (საწყლად): — კაი, ახლა არ გინდათ ეგეთი ლაპარაკი, რაც უნდა იყოს, ჩვენი მეფე და მბრძანებელია, შეუძლია ერთი წარბის აწევით თავი გაგვაგდებინოს ან სარჩო-საბადებელი წაგვართვას...

II მინისტრი: — ეგ შენ იდარდე ჩემი ბიჭი, ეგ შენი სადარდებელია, თორემ მე პირადად, ასი წელი ფეხებს ვერ მომჭამს.

III მინისტრი (IV მინისტრს): — საერთოდ, წადი გაისეირნე, აქ მართლა არ არის შენი ადგილი, სალაპარაკო გვაქვს, მიდი გაიარ-გამოიარე, ნახე რა კარგი ამინდია, თან ერთი ხუთიოდე ხაჭაპური ჭამე და ლიმონათიც დააყოლე...

IV მინისტრი: — ჰო, მიდი, მიდი, თორემ გაიგებენ აქ რასაც ვლაპარაკობთ და რაებსაც ისმენ და დაგენძრევა... ჩვენ რას გვიყურებ, ჩვენ მთელი ცხოვრება გვენძრევა და მაინც აქა ვართ...

IV მინისტრი (მორჩილად მიდის კულისებისაკენ, მერე გაუბედავად ბრუნდება): — ნახვამდის, ნახვამდის (თავისთვის ბურტყუნებს) თქვენ რა გენაღველბათ, ათას ჯოხზე გადამხტარი ყაჩაღები ხართ (სწრაფად გადის).

III მინისტრი: — რა ვქნათ, თქვი რამე, ტო. ეგრე გაგრძელებაც აღარ შეიძლება. ამ ჩვენს სამეფოშიც კაციც აღარ დარჩა ამდენი სროლის შემდეგ, თორემ აქამდე რიყის ქვებით ჩაგვქოლავდნენ...

II მინისტრი: — ნუ ნერვიულობ, ჩაქოლვით, შეიძლება ნებისმიერ წუთას ჩაგვქოლონ, შენ მაგის იმედი ნუ გაქვს, აღარავინ დარჩა და ჩუმად არიანო... რო ჩაჩუმდებიან, აი, სწორედ მაშინ ხდებიან ეგ ტყაპუჭიანები, ძალიან საშიშები.

III მინისტრი: — ისე, განდგომილებმაც მაგრად გადაგვარჩინეს, ხო იცი...

II მინისტრი (გულიანად იცინის): — ვიცი, რომელია, ნამუსი რო გვქონდეს, კაბინეტში უნდა გვეკიდოს მაგათი სურათები.

III მინისტრი: — მაგრად გვიშველეს... მართლა ხომ არ გვენახა ეგ პატიოსანი ხალხი. მე მგონი დროა... ძალიან ცუდად მიდის საქმე. სულაც არ მინდა ამ ჭკუიდან შეშლილს გადავაყოლო

თავი. აგე, გაიკვეხა თითი მისმა უდიდებულესობამ და ფრი ფრი მოახდინა, აფრენა აწარმოა და გაფრენა გააკეთა „აუცილებელ“ და „გადაუდებელ“ საქმეზე. I მინისტრი რას ჩალიჩობს, მარტო თითონ და ყველაზე დიდმა შაითანმა იცის, ჩვენ კი ვართ პირდაღებულები, აქედანაც და იქიდანაც პირველებს ჩვენ წაგვაწყვეტენ თავებს. ვეღარც უკან დავიხევთ, ნამეტანი ღრმად გვაქვს შეტოპილი...

II მინისტრი (არხეინად): ხოდა ღრმად რომ გვაქვს შეტოპილი სწორედ მაგ დროს არ შეიძლება და არ ვარგა ბევრი ხვანცალი და ფართხალი — უფრო ჩაიძირები. ის განდგომილები ისევ თვითონ მოგვადგებიან, აგერ ნახავ, ჯერ არ მოგვდგომიან, თუ რა...

III მინისტრი: — კი მაგრამ ახლა?.. ახლა არა მგონია, ძალიან აირია ყველაფერი...

II მინისტრი: — მითუმეტეს, ეხლა უფრო მოვლენ. წამო, წამო, წავიდეთ და ჭკუით ვიყოთ. შენ მე დამიჯერე. ვნახოთ რა მოხდება და იმის მიხედვით... ყველაფერი თავისით დატრიალდება, წინ არ უნდა გავუსწროთ ეგეთ ამბებს...

III მინისტრი: — რავი ტო, მე კი ღამე აღარ მძინავს, რა მოხდება კაცმა არ იცის, ან ესენი როდის ჩაგცხებენ ბნელი კუთხიდან კარგად გარეცხილ აგურს, ან ჩვენი ხელმწიფე როდის აგვაფეთქებს, კიდევ ერთხელ თიბათვისას...

II მინისტრი: — კარგი, წამოდი წავიდეთ, ნუ გეშინია. ეგეთ ამბებზე ცოტა თუ არ იხალისე და მართლა სერიოზულად უყურე, ამათზე უარესად გარეკავ...

(ორივე მინისტრი გადის)

(ნახევრად ბნელ, მაგრამ მდიდრულ ოთახში, დიდ მასიურ მაგიდასთან სავარძლებში სხედან ოთხი განდგომილი, მაგიდაზე დიდი შანდალი დგას და სანთლები ანთია. განდგომილებს შეთქმულებისთვის დამახასიათებელი, შეშფოთებულ-შეშინებული, საზეიმო და ცოტა არ იყოს, სასაცილოდ შთაგონებული სახეები აქვთ).

I განდგომილი (სათვალეს ისწორებს საჩვენებელი თითით და იწყებს): — ბატონებო, თითეულმა ჩვენთაგანმა აუცილებლად უნდა გააცნობიეროს ის უდავო ფაქტი, რომ...

II განდგომილი (სიგარას ეწევა და პათეტიურად აცხადებს): — „სჯობს სიკვდილს სახელოვანსა, სიცოცხლე ნაძრახიანი“...

I განდგომილი: — დიახ, გმადლობთ. ვიმეორებ, თუ ჩვენ არ გავაცნობიერებთ, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა, მართლაც რომ, სიცოცხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ვიბრძოლოთ ამ აღვირახსნილი ტირანის წინააღმდეგ, არცერთს გილიოტინა არ აგვცდება, თითოეულ ჩვენთაგანს...

III განდგომილი: — ბატონებო, შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის დროს, ლუდოვიკო XVII-ის შემდეგ, სწორედ რევოლუციონერების, დანტონის და რობესპიერის ჯერ დადგა. ალბათ, ყველას გახსოვთ, თუ რა დაუბარა დანტონმა რობესპიერს ეშაფოტზე ასვლის წინ: „რობესპიერ“...

IV განდგომილი (გაღიზიანებული): — ვიცით, ბატონო, ვიცით. ჩვენ ისიც ვიცით, ბუდუ მდივანმა რა დაუბარა იმ მამაძაღლ კობას. მაგრამ დანტონისა და რობესპიერის შემთხვევაში რამაც გაამართლა, ჩვენი დანტონისა და რობესპიერის შემთხვევაში...

III განდგომილი: — იმიტომ რომ აქაური რობესპიერი უფრო საშიში და ჭკვიანი აღმოჩნდა და საერთოდ, ცნობილია, რომ ჩვენი სამეფოდან გაქცეული ან გაგდებული გლეხის ბიჭები ძალიან ხშირად ერთ საცოდავ პარიზის კომუნას კი არა, ნახევარ სამყაროს მართავდნენ. ჩვენს სამეფოში კი ისეთი გენიოსი გვრჩება, ახლა რომ გვმართავს. ამიტომაც დაემხო ჩვენი სამშობლო (ჩაფიქრდება)... თუმცა, ისტორიის განმავლობაში არაერთი ასეთი სამეფო დამხობილა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 19...

IV განდგომილი (გაღიზიანებული აწყვეტინებს): — გავიგეთ ბატონო, ნუ შეგვჭამეთ ამ წელთაღრიცხვებით. არაერთი სამეფო დამხობილა და კიდევ უფრო მეტი ტირანი. დიახ, დიახ ბატონებო, თან ისეთი ტირანები, რომ ცალი ყური ჰქონდათ ამ ჩვენი თვითმარქვია მეფის ხელა. მაგრამ მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ გვავიწყდება ჩვენი შეკრების მიზანი, გვავიწყდება ვის ვებრძვით. ჩვენ უნდა დავამხოთ ჩვენი ტირანი და ამას მარტო ისტორიული წიაღსვლები არ

უშველის. უნდა დავამხოთ ეს მინოსის ხარისთავიანი ურჩხული, რომელიც მეათე წელია ყველას ერთად და სათითაოდ გვჭამს და თეზევსსაც ამაოდ ველით. უნდა დავამხოთ, ვიდრე ამ მართლა მინოტავრს ყველა სათითაოდ არ გადაუსანსლივართ...

I განდგომილი (სათვალეს ისწორებს საჩვენებელი თითით და მოუთმენლად აწყვეტინებს): — დიახ, დიახ, თვითეული ჩვენთაგანი...

IV განდგომილი (უკმაყოფილოდ გახედავს): — უნდა დავამხოთ, როგორც დაამხეს ნერონი და კალიგულა. უნდა კინწისკვრით გავაგდოთ ეს ნაბუქოდონოსორი, ეს სარდანაპალი (გაჯავრებული სახით გახედავს III განდგომილს).

III განდგომილი (დინჯად): — როგორც დანტონი და რობესპიერი ეშაფოტზე...

IV განდგომილი (ისევ უკმაყოფილოდ): — არა, რა ეშაფოტი. ჩვენც მე-18 საუკუნის ველური პარიზელები ხომ არა ვართ. ვის რათ უნდა მაგის ძუნძგლიანი თავი. წავიდეს, მოშორდეს...

III განდგომილი (მშვიდად და წყნარად): — არ გეთანხმებით და ვერც დაგეთანხმებით და აი, რატომ: სწორედ მაგ დაუსჯელობის გამო დაგვასხდნენ თავზე... ის ბებერი ჩათლახი მამამისიც ჩამოვაგდეთ, მაგრამ არხეინად გვიზის სასახლეში. დავამხეთ, მაგრამ ხმაც არ გავეცით, არადა, რაც მაგან დღე დაგვაწია, რაც მაგას ღალატი და გამყიდველობა შერჩა, ვერც დავითვლით. არა! ორივეს ისე უნდა წავაჭრათ თავები, როგორც კრომველმა კარლ I სტიუარტს, 1649 წელს, დეკემბერში...

I განდგომილი (ნერვიულად ისწორებს სათვალეს): — ხალხო, რა დროს ეგ არის, საერთოდ, რაზე ვლაპარაკობთ და რაზე ვკამათობთ. რა დროს კრომველი და ნელსონ მანდელაა, როდესაც თითოეული ჩვენთაგანი მართლაც უდიდესი საფრთხის წინაშე დგას და ჯერჯერობით აქეთ გვემუქრება ეშაფოტიც და გადასახლებაც. გარწმუნებთ, რომ ჩვენი მეფის დამარცხება ძალიან ძნელია. შეგიძლიათ დამიჯეროთ, ამდენი წელი მისი პირველი მინისტრი ვიყავი... თუ ჩვენ ყველანი, თითოეული ჩვენთაგანი არ გავერთიანდებით...

IV განდგომილი (მტკიცედ და კატეგორიულად): — ჩვენ არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ.

II განდგომილი (აქამდე თავჩაქინდრული თვლემდა თუ ფიქრობდა. უცებ გამოფხიზლდა): — რატო ტო, რა პონტია, გავერთიანდეთ რა, ძმურად...

IV განდგომილი (ამაყად): — არავითარ შემთხვევაში. მე ყველაზე ძველი და ადრინდელი განდგომილი ვარ და ეგღა მაკლია, ყველაზე სამარცხვინო მეფის სამარცხვინო ყოფილ მინისტრს და მის დამქაშებს გავუერთიანდე. მე, როგორც ყველაზე ძველი განდგომილი... შეგახსენებთ, რომ მე ჯერ კიდევ ამ ჰეროდეს მამის დროს ვიყავი ტყეში გაქცეული...

I განდგომილი (ცხარედ და ნერვიულად): — ერთი წუთით, ერთი წუთით. მე სრული პასუხისმგებლობით უნდა მოგახსენოთ ბატონებო, რომ ახლა ამაზე საუბრისა და წარსულის ძიების დრო ნამდვილად არ გვაქვს. გარწმუნებთ...

IV განდგომილი (ფეხზე წამოხტება): — ვერაფერსაც ვერ გვარწმუნებთ. ეგ თქვენ არ გაწყობთ (აგდებულად) „ამაზე საუბარი“ და თქვენ არ გაქვთ „წარსულის ძიების დრო“. რადგან იმ წარსულში თქვენთვის საამაყო და სასახელო არაფერია. რაც შეეხება ჩემნაირი უმწიკვლო რეპუტაციის...

I განდგომილი (აწყვეტინებს ნერვულად, მაგრამ მტკიცედ): — მე ბევრჯერ აგიხსენით თითოეულ თქვენთაგანს, რატომ ვიყავი მინისტრი და საერთოდ, რა კარგია მინისტრობა, ბევრი ოქრო და ბევრი სასახლეები და რა ძნელი და აუტანელია ამ ყველაფრის გარეშე ცხოვრება... ბოლოს და ბოლოს, რომელი იტყოდით უარს მინისტრობაზე, აუარებელ განძეულობაზე და სასახლეებზე? რომელი გაბედავს ასეთი დიდი ტყუილის თქმას? (სამივე განდგომილი უხერხულად იშმუშნება) აი, ხომ ხედავთ, თქვენც კი, სიცრუის დიდოსტატები, ვერ ბედავთ ასეთი ტყუილის თქმას. და საერთოდ, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ მე ნამდვილად ვერ მივიღებ საყვედურებს ჩემი I მინისტრობის გამო იმ ხალხისგან, ვინც IV მინისტრობას ჩემს თვალწინ იხვეწებოდა. დიახ, ბატონებო, ყველამ ყველაფერი ვიცით და გთხოვთ, ნუ მაიძულებთ ყველაფერი ვთქვა... (გულწრფელად შეშფოთებული) ხალხო, მართლაც ძალიან დიდი საფრთხის წინაშე ვართ. თვითოეული ჩვენთაგანი კატასტროფულ მდგომარეობაშია. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეს ჩვენი სამეფო შუაზეა გახლეჩილი და ამ შუაზე გახლეჩილსაც ყველა მეზობელი აქეთ-იქიდან გლეჯს...

III განდგომილი: 1555 წელს ამასიის ზავითაც ეგრე გაიყვეს ჩვენი ქვეყანა მაშრიყ-მაღრიბის თათრებმა...

II განდგომილი (ცრემლებს იწმენდს და კიდევ ერთ ღერს უკიდებს): — რისი ზავიით ტო?.. მაგათი... ამან ხო გამიტრაკა ამ თავისი ისტორიითა და წლებით. კალენდარია ეს ჩემისა?.. თან მართლა მეტირება ტო! (მართლაც ეტირება და გულამოსკვნილი მღერის) ლალეე, ლალეე, დივლი დალალალეეე, ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი მენაცვალეეე...

IV განდგომილი (გულწრფელად გამწარებული): — აბა ხალხო, ორი სოფელიღა დაგვრჩა, იმასაც თოფითა და ზარბაზნით გვიცხრილავენ ის ძალიან დედააფეთქებული ჩრდილოელები და ეს კიდევ გადამჯდარა თავის ახალ ჰინდუსტანურ ხალიჩაზე და დღე და ღამე იმ შობელ-ძაღლი ზმეი გარინიჩივით ზევით-ქვევით დაშხუის... რა ენაღვლება რა, ჭკუა მოეკითხება თუ ნამუსი? ახლა თურმე მფრინავი ჰარამხანაც შეუკვეთა კალკუტელ ჯინებს.

II განდგომილი (უკვე ცხარე ცრემლით ტირის): — ვახ, სამშობლოვ, სამშობლოვ, რა დღეში ხარ, ტოო... „ამ ჩვენს ჭირსა ვერვინ მოსთვლის“.

III განდგომილი (სერიოზულად და საქმიანად): — არის ერთი კაი ბიჭი, იქნებ, იმან მოახერხოს. საგურამოდან ლეკებმა გაიტაცეს, იმათ გაექცა და მალოროსიაში გადაუღწევია...

II განდგომილი: — ეხლა ამან ისევ თავისი თარიღები და ციფრები არ მოაყაროს, თორემ მართლა გავრეკავ. (IV განდგომილს) შენა და, კაი ნაშები აყარა?

IV განდგომილი (გაოგნებული): — ბატონო?..

II განდგომილი: — ჰო, რა იყო... რას ამბობენ, კაი ნაშები აყარა ამ ჩვენმა მეფემ თავის მფრინავ ჰარამხანაში?

IV განდგომილი (ამრეზით აუქნევს ხელს. სწრაფად დგება და გაბრაზებული გადის სცენიდან. სცენიდან გასვლის წინ განრისხებული ბრუნდება და ორი ხელით ქოქოლას აყრის დარჩენილებს) — ვაი თქვენს პატრონს! (I განდგომილი კი სარკმელთან დგას და ვიღაცას ეჩურჩულება).

II განდგომილი (გამოფხიზლებული და განაწყენებული): — ე, ვაი შენს პატრონს და შე ჩემა და ჩემის ჩემა, დაგიმატა ბიძაჩემმა. გიჟია ესა... ხელის აქნევა და მოტეხილში, ზურგს უკან ჩურჩული როგორ უნდა, მე გაჩვენებთ ტო, თქვენზე უკეთესაც თუ არ ვიცოდე კიდე... ეს გოიმები ნახე?.. (მესამე განდგომილს) — ჰა, მოდიხარ?

III განდგომილი: — ჰო, მოვდივარ, ოღონდ შენთან ერთად არა...

II განდგომლი: — არა და ძაანაც კარგი. სად მიდიხარ, რო?..

III განდგომილი: — სახლში, სად წავალ? წავალ. წამოვწვები, წიგნებს წავიკითხავ.

II განდგომილი: — აბა შენ იცი. (სიცილით) წაიკითხე და მერე გადამაწერინე... (გადიან)

(სცენაზე ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით ისმის კუდიანი დედაბრის ხმა).

კუდიანი დედაბერი: — ცხვრებოო!!!

(I განდგომილი, რომელიც სწორედ კუდიან დედაბერს ელაპარაკებოდა, კმაყოფილი, ღიმილს ძლივს იკავებს და პირზე იფარებს ხელს.) —კარგი ახლა, უხერხულია.

კუდიანი დედაბერი: — ცხვრეებოო!!!

II განდგომილი (ბრუნდება): — ე, გაიგე?..

III განდგომილი: — ვერა. რა?.. რა უნდა გამეგო?..

II განდგომილი: — არა, არაფერი. ეტყობა დავიღალე, ამდენი ლააპრაკისაგან ყურები მიწუის. (სცენიდან გადის III განდგომილთან ერთად და თან უკან-უკან იყურება)

კუდიანი დედაბერი: — ცხვრებოოო!!!

I განდგომილი: — კარგი, უხერხულია.

კუდიანი დედაბერი: — ცხვრებოოო!!! (I განდგომილიც აჩქარებული გადის სცენიდან)

(კუდიანი დედაბერი არ ჩანს, მხოლოდ ხმა ისმის): — ცხვრებოოო!!! სახელმწიფო იდეოლოგია — მორჩილება... სახელმწიფო ენა — პეეე!!! ცხვრეებოოო!!!

(სცენა იცვლება. ოთხი ჩაფარი ხელებშეკრულ მაღალ გამხდარ მებრძოლს მოათრევს. IV ჩაფარი უხმოდ, მთელი სცენის განმავლობაში ანთებულ ფანარს აჭყეტს თვალებში მებრძოლს).

I ჩაფარი (სახეში ურტყამს): — ჰა, თქვი ეხლა ყველაფერი შე ახვარო...

II ჩაფარი: კაი ნუღარ ურტყამ (ხელებს უხსნის. მებრძოლი დაბუჟებულ მაჯებს ამოძრავებს). იტყვის, აბა რას იზამს, გიჟი ხომ არ არის, რომ არ თქვას?

მებრძოლი: — რა უნდა ვთქვა, ბიჭო, რა გინდათ, ხო არ უბერავთ?

III ჩაფარი: — ვინ უბერავს შე გოთვერანო, მიდი ეხლა და თქვი რასაც გეუბნებიან, თორემ მართლა გაგბერავთ ცემაში.

(I და III ჩაფარი ურტყამენ, IV ისევ ფანარს ანათებს თვალებში).

მებრძოლი: — რა უნდა ვთქვა? ის მაინც მითხარით, რა უნდა ვთქვა, რას მერჩით, რა დავაშავე?

II ჩაფარი: — კარგი ეყოფა, ხო ვთქვი, იტყვის მეთქი. მიდი, მაგიდასთან დაჯექი, უჯრიდან შენი ხელით ამოიღე შენივე დოსიე და გაიგებ, იქ წერია...

(მებრძოლი მაგიდასთან ჯდება. უჯრას გამოსწევს და ხელს ჰყოფს შიგ. II ჩაფარი მოულოდნელად წიხლს აჭერს უჯრას და მებრძოლს შიგ აყოლებს ხელს. ისხმის ძვლის ჭახუნის ხმა).

მებრძოლი: — ააა, თქვენი!..

I ჩაფარი: — რა ჩვენი, შე გნიდა! რა ჩვენი, მე შენი დედა...

(სამივე ჩაფარი ურტყამს. IV ისევ უმიზნებს ფანარს თვალებში).

II ჩაფარი (საზიზღარი სიცილით აჭერს წიხლს უჯრას): — გაიგე ეხლა რა უნდა თქვა? მოხვედი აზრზე? ჭკვიანი კაცი ხარ შენ. ხო ეგრეა ძმაო? ჭკვიანი კაცი ხარ, რაც შენ გინახავს...

(ფეხს იღებს უჯრიდან. მებრძოლი ძლივს იღებს უჯრიდან ჩაჭყლეტილ მარჯვენას და მარცხენა ხელით უჭირავს მარჯვენა ხელის მაჯა).

მებრძოლი (სიმწრით და კბილებდაკრეჭილი, ძლივს სცრის): — ჭკვიანი რომ ვყოფილიყავი, არაფერსაც არ ვნახავდი ტო, რა გინდათ, მითხარით მაინც, რას მერჩით...

II ჩაფარი (ისევ წელანდელი საზიზღარი სიცილით): — ჭკვიანი ხარ, ჭკვიანი იუზგარ, სხვები ამ უჯრაში ორივე ხელს ჰყოფენ ხოლმე...

I ჩაფარი (ისევ ჩასცხებს და სკამიდან გადააგდებს): — რო გეუბნებიან, ჭკვიანი ხარ. გაიგე?.. აეთრიე!.. (აყენებს და ისევ სკამზე ახეთქებს.) — ჭკვიანი ხარ, ბიჭო გაიგე?..

მებრძოლი (გატანჯული და გაბრუებული): — რავი, ჩემზე ბევრი გამიგია, მაგრამ ჭკვიანი ხარო ჯერ არავის უთქვამს. მაგაში გამოვტყდე?..

I ჩაფარი: — ესა ნახე, გვეკაიფება კიდეც ეს ჩემისა. (ისევ ჩასცხებს). ღადაობ?.. ეხლავე ისეთს გაღადავებთ, სიცოცხლეში არ დაგავიწყდება.

II ჩაფარი: — კარგით, ჰო. (ესეც ჩასცხებს): მოდი, ისე გააკეთე, როგორც გეუბნებიან და ყველაფერი კარგად იქნება. ახლა დაჯექი და დაწერე: „მე ჭკვიანი, ძველი მებრძოლი, ვაღიარებ, რომ“... შენით დაწერე, ნუღარ გაგვაწვალებ, თორემ მერე შენი გაწვალება ნახე...

მებრძოლი (ნირწამხდარი და შეგუებული): — კარგი და რა დავწერო? ის მაინც მითხარით, რა გინდათ?..

III ჩაფარი: — ე, ნახე როგორ გვებლატავება! (საყელოში სწვდება) რა ტონით გველაპარაკები ბიჭო, იცი მაინც ვის ებლატავები? ძველი ბიჭი ხარ არა შე ახვარო? ჰოდა აეხლა მოვიდა შენისთანების დრო. ხო იცი, შენისთანა ძველ ბიჭებს ეხლა რასაც ვუშვებით?..

მებრძოლი: — რა ძველი ბიჭი, მუსიკოსი ვარ, კონსერვატორია მაქვს დამთავრებული.

I ჩაფარი: — მერე მუსიკოსი თუ იყავი, რაღას იბრძოდი, შე ჩემისა, „სკრიპკაზე“ ვერ დაუკარი?

მებრძოლი: — რავი ტო, ომი იყო და ვიბრძოლე, მაგისთვის მკლავთ?

III ჩაფარი: — ომი არა, შე ახვარო?.. რა ომი. ის ომი არ იყო, ომი თუ იყო, ჩვენ რატომ არ ვიბრძოლეთ? ჩვენზე მაგარი ბიჭი ხარ? აზრზე ხარ, რას გვეუბნება ეს ტრაკი? თქვენზე მაგარი ბიჭი ვარო, მშიშრები და ლაჩრები ხართო. ჩახარშეთ ამის დედაც... რას ალაპარაკებთ?..

II ჩაფარი: — მართლა ეგრე გვეუბნები, ბიჭო? (ჩასცხებს) ამას, ეტყობა, წესიერად არ უნდა დავლაპარაკებოდით. (ურტყამს).

I ჩაფარი: — არა, მე ამის... ომიო ტო, ისევ ისე რო აზროვნებენ, იმ ბალაგანს ისევ ომს რო ეძახიან. შენ ვერ გაიგე, რა თქვა მისმა უდიდებულესობამ, ჩვენმა ბრწყინვალე მეფემ? რომ ის ომი არ არსებობს, არასოდეს არ ყოფილა და თქვენ ყველანი ნარკომანები, მარადიორები და ყაჩაღები ხართ. მეფის სიტყვის არ გჯერა, შე ახვარო?.. ჰა, გამოტყდი ახლა, ბევრი გამოზიდე?

მებრძოლი (გატანჯული, დაბნეული და საბოლოოდ საქციელწამხდარი): — რა გამოვზიდე ბიჭო, სამი თვე ჰოსპიტალში ვიწექი და ძლივს ამაწყვეს. რა გინდათ, თქვით მაინც რაზე მკლავთ, ომში გადავრჩი და მართლა აქ მბრიდავთ?..

II ჩაფარი (წყნარად, დაცინვით): — ჰა რას ვშვრებით? გბრიდავთ არა?.. საიდან ეგეთი სიტყვები, აკი მუსიკოსი ვარო?

მებრძოლი (წამხდარი ხმით): — მართლა მუსიკოსი ვარ, რა გინდათ ბიჭო, ხალხი არა ხართ?

II ჩაფარი (ისევ წყნარად): — და ქუჩაშიც არასოდეს მდგარხარ, ხო?

მებრძოლი (დანდობილად და ალალად): — ქუჩაში როგორ არ ვმდგარვარ...

III ჩაფარი: — ჰოო, გამოტყდი როგორც იქნა? აი, ახლა მართლა დაგბრიდავთ, შენი... (სამივე გამეტებით ურტყამს).

I ჩაფარი: — შენა ხარ მარადიორი, მორფინისტი, კრიმინალი და მისი უდიდებულესობა ჩვენი ბრწყინვალე მეფის მოღალატე, გაიგე, ბიჭო? კარგად დაიმახსოვრე, დაჯექი აეხლა და ყველაფერი დაწერე, თუ არ გინდა, შენი ოჯახიც შენს დღეში ჩავარდეს და კიდევ უფრო უარეს დღეში. მიდი ჰა, აი კალამი და ფურცელი და დაწერე: „მე ძველი მებრძოლი, ვარ ნარკომანი, კრიმინალური ტრადიციების მიმდევარი, სამშობლოს და მეფის მოღალატე“...

II ჩაფარი: — ჭკვიანი...

III ჩაფარი: — ჰო, ჰო ჭკვიანი (IV ჩაფარი მთელი ამ ხნის განმავლობაში ფანარს თვალებიდან არ აცილებს).

მებრძოლი: — (სუნთქვა უჭირს, ძლივს წერს დასახიჩრებული ხელით): — ეს ფანარი მაინც მომაშორეთ, ვერ ვხედავ...

III ჩაფარი: — მიდი, მიდი ნუ „საჩკაობ“. (დაცინვით) — გინათებს, რა გინდა?

II ჩაფარი: — მიდი დაწერე, რაც მალე დაწერ, მალე გეშველება, დაგასვენებთ და თუ ჭკუით იქნები, გაგიშვებენ კიდეც. (დამტკბარი ხმით კარნახობს): „მე ძველი მებრძოლი, ვარ ნარკომანი, ჭკვიანი, კრიმინალური ფასეულობის მატარებელი, სამშობლოს მოღალატე და მკვლელი“...

მებრძოლი (მექანიკურად იმეორებს): — ჭკვიანი, კრიმინალური ტრადიციების რა? ცოტა ნელა, ვერ ვხედავ...

III ჩაფარი: — მიდი, თორე, შენ... რას ვერ ხედავ, ახლა დაბრმავდი, არა?

II ჩაფარი: — კაი, კაი აცალე, ხო ხედავ წერს. რაო ბიჭო, სკოლაში კარნახს არ წერდი?.. შენ შატალოზეც ივლიდი, ისე გავარდნილი ხარ...

მებრძოლი (ისევ იმეორებს, თან წერს): — ნარკომანი, მარადიორი, ბანდფორმირებების წევრი, მქონდა, ვინახავდი და უკანონო ომში ვიყენებდი გაუფორმებელ იარაღს, ვარ მარადიორი და ჩვენი დიდი მეფის მოღალატე.

II ჩაფარი: რასაც ვინანიებ...

მებრძოლი (იმეორებს): რასაც ვინანიებ.

I ჩაფარი: — აგრეთვე ვინანიებ იმას, რომ ვიბრძოდი უკანონო და უაზრო ომში, რადგან, როგორც ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ განაცხადა და პირადი ხელმოწერითაც დაადასტურა, ეს არ იყო ომი, ეს იყო ბანდფორმირებების შეტაკება და ჩვენ ყველანი ვართ ბანდიტები და მკვლელები...

მებრძოლი (ისევ ტანჯვით იმეორებს): — აგრეთვე ვინანიებ იმას, რომ ვიბრძოდი, ეს არ იყო ომი...

III ჩაფარი: — ჰა, მიდი შე ჩემისა, რამდენჯერ უნდა გაგიმეორონ? დაწერე დროზე: „აგრეთვე ვინანიებ“... და „როგორც ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ განაცხადა“...

მებრძოლი (უცებ ძალიან გამოკვეთილად და მხიარულად): — წატი თქვენი!..
ოთხივე ჩაფარი (დაბნეულები, ერთდროულად): — რა�ა?..
მებრძოლი (გააფთრებული, რაღაცნაირი თავზეხელაღებული სიცილით და სიხალისით): — რა და ზურნა და დუდუკი თავრიზული. წატი თქვენი!.. მუსიკოსიცა ვარ, ქუჩაშიც ვიდექი, ვომობდი კიდევაც და ომიც ის იყო, იმ წყეულ ომში ჩაწყდა ჩვენი ხალხი და თქვენც იმიტომ გაპარპაშდით, თქვენი ნაბოზვარი დედაც და ეხლა მომკალით, ამ ჩემ ფეხებს. წატი თქვენი!..

(IV ჩაფარი გამეტებით ურტყამს თავში ანთებულ ფანარს და სკამიდან აგდებს მებრძოლს, მერე ოთხივე ჩაფარი ზედ ადგება და გამეტებით ურტყამენ.)

II ჩაფარი: — კაი შევეშვათ, არ ჩაძაღლდეს, თორე მერე ატყდება ერთი ამბავი. ეს დაუშტვინე პოეტები ჩუმ-ჩუმად ლექსების წერას დაიწყებენ, გმირი იყოო, მაგათ ხომ მეტი არ უნდათ. რაც დაწერა, ისიც საკმარისია, ჩვენს ხელშია, სადღა წავა. ეხლა სჯობია გზადაგზა მოვუაროთ...
I ჩაფარი (ძირს დაგდებულ მებრძოლს): — შენ აქედან ვეღარ გახვალ ბიჭო, გაიგე? ვეღარასოდეს. აი აქ ჩალპები...
III ჩაფარი (გამეტებით ურტყამს, ფაციფუცობს, თითქოს ეშინია, სხვებს არ ჩამორჩეს): — შენი!.. აქ ამოგხდება სული, აქ განთხევინებთ სისხლს და ამოგხდით სულს. გაიგე?.. ე „სკრიპკა“!..

(ოთხივე ჩაფარი გადის და თან მებრძოლს მიათრევენ. სცენა იცვლება. პირვლი მინისტრის კაბინეტი. მინისტრი მაგიდასთან ზის, წინ თაბახის ფურცლები უწყვია და თავაუღებლად მუშაობს. მის უკან თეთრ ცხენზე შემომჯდარი, ხმალამოღებული უზარმაზარგვირგვინიანი მეფის პორტრეტი ჰკიდია).

I მინისტრი (ზარს აჭერს ხელს): — მოვიდა?
ხმა: — დიახ, ორი საათია გელოდებათ.
I მინისტრი: — შემოუშვით...

(I მინისტრის კაბინეტში ყაბალახით თავპირახვეული და შავრეიბანებიანი კაცი შემოდის).

I მინისტრი (სიცილით კვდება): — მოიხადე კაცო, ეს ყაბალახი. რა არის, რას დამსგავსებიხარ? გული გამისკდა. რა არი, მაცი ხვიტია ხარ?..

(კაცი ყაბალახს იხდის და II განდგომილი შეგვრჩება ხელთ).

II განდგომილი: — რავი ტო, ხო იცი რა კლიაუზნიკ ხალხში ვცხოვრობთ, არ მინდოდა აქ მომავალი ვინმეს დავენახე. დაიწყებენ მერე, გამყიდველია, აგე გაგვყიდაო. ამათ ხო ნამუსი არ აქვთ.
I მინისტრი (ღიმილით): — გასაგებია, გასაგები. სწორადაც იქცევი. ზედმეტი ხმაური არავის გვაწყობს. ისედაც ვეღარ ავუდივართ ამდენ ორომტრიალს. აქ ამისი კაპრიზები და კუნტრუში (ცერა თითით ზურგს უკან მეფის პორტრეტზე აჩვენებს), აქეთ ეს გაგიჟებული ხალხი. ორი კვირაა კაბინეტიდან ფეხი არ გამიდგამს და თვალი არ მომიხუჭავს. როდემდე გავუძლებ, არ ვიცი...
II განდგომილი: — მეც მესმის, შენ რა გგონია. ყველანი მაგარ შარში ვართ. ეს ხალხიც მაგრა გადაირია. ვეღარ ვაკავებ. ძალიან გამწარებულები არიან. იმ დღესაც ჩემსავე დაძახილზე იმდენი ხალხი მოვიდა, თვითონვე დავფეთდი ტო, მეთქი, ამდენ ხალხს რა ვუყო. ან ეგეთ ყინვაში როგორ არ დაეზარათ. თან მგლებივით იწევდნენ. იმ ყიამათში სულ ცხელი ოფლი მადინეს, ხან რა ვუთხარი, ხან რა, ძლივს...
I მინისტრი (ღიმილით): — ისე მაგრად კი გვაგინებ...
II განდგომილი (არ იმჩნევს): — არა, გინდა თუ არა წამო, მეფის სასახლეს ალყა დავარ-

ტყათო. ძლივს გავაკავე. აქეთ პურმარილი, ღვინო, მაგარი სუფრა გავშალე, ამდენი ხალხის გამასპინძლება ხო გინდა ტო...

I მინისტრი (ამრეზით): — ჩვენს ხალხს სავსე ყანწი დაანახე და მეფის სასახლე კი არა, თავისი ქოხი დაავიწყდება. ერთი კაი სუფრა და სამეფოსაც ფეხებზე დაიკიდებენ და საკუთარ თავსაც.

II განდგომილი: — ჰო. მაგრამ ეგრე იოლადაც არ არის საქმე. ხო გამოფხიზლდებიან მეორე დღეს და პახმელიაზე გამოსვლის მაგივრად ხვიშტი რომ შერჩებათ ხოლმე ხელში, მერე ყველაფერი ერთად ახსენდებათ და უარესად მწარდებიან...

I მინისტრი (ზიზღით ჩაიქნევს ხელს): — მწარდებიან, თორე ყურებზე ხახვი არ დააჭრან არავის. ხალხი... ხალხი არა ფეხები. ან როდის ყოფილა ხალხი რო? ამათი საქმეა ცეკვა-თამაში. წააგებენ, გამოვარდებიან, დაუვლიან დავლურს, კიდევ უფრო წააგებენ, კიდევ უფრო დაუვლიან. ყოველ დამარცხებაზე სულ უფრო ხალისიანად მღერიან ამ თავის იდიოტურ მრავალჟამიერს. რა ამღერებთ და რა აცეკვებთ ამ ჩემი ცოდვით სავსეებს, რა ნახეს, რასა ზეიმობენ. ცეკვა და სიმღერა შემზიზღდა, რაც უფრო დედას უტირებ, მით უფრო დამპიტაურ- დიმპიტაურში არიან. ვისაც დედა დაწყევლის, ფეხი აუცდება და ამ ქვეყანაში შემოეხეტება, ყველა მაწანწალას გადაუდგებიან წინ და ერთი მაგრად ჩაბუქნავენ. სამეფოა თუ მოხეტიალე ცირკი ვეღარ გავიგე. აი ხალხი. ხალხი კი არა ისა, ამათი მხატვრული თვითშემოქმედებითი დედაც...

II განდგომილი (სერიოზულად აზრების დალაგებას ცდილობს): — ეე, ეგრე იოლად არ არის საქმე. ეგრე თამამადაც ნუ იტყვი ტო... ნუ იტყვი. თქვენ არც ერთი არ იცნობთ ამ ხალხს. საერთოდ არ იცნობთ. არ გეწყინოს, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, აზრზე არ ხართ. (უცებ ვეღარ დაალაგებს სათქმელს და მოიწყენს) საერთოდ ბევრი რამის აზრზე არ ხართ. გეტყოდი, მაგრამ მეზარება ლაპარაკი, არ ღირს, თან თქვენც ძალიან კარგად იცით ეგ, რო აზრზე არა ხართ. მე კიდევ რა ვიცი და ეს ხალხი ვიცი. ამათში გავიზარდე და ვიცი. სწორედ ეგრე წელში მოხრილებს და თავდაღუნულებს, აი მაგ სულელური ცეკვა-თამაშით ბევრისთვის უტირებიათ დედა ტო... და სწორედ მაშინ, როცა იმათ უფიქრიათ, მორჩა, მოვაყომარეთ და ეგ არიო.

I მინისტრი (დაკვირვებით უყურებს და ყურადღებით უსმენს): — შეიძლება ვითომ რაიმე პრობლემა მივიღოთ? მე სერიოზულ პრობლემას ვგულისხმობ. რაღაც არა მგონია. აქ არიან, რაიმეს თავი თუ აქვთ? მთელი ეს ლაპარაკი მოულოდნელ და სისხლისმღვრელ ამბოხებაზე, მაინც ისეთივე ლეგენდები მგონია, როგორც ეს სულელური, ადამ და ევას დროინდელი ზღაპრები, ჩვენი სამეფოს წარსულ და ოდინდელ დიდებაზე.

II განდგომილი: — ხო, ვითომ ეგრეა, ხალხი არა ფეხები, გალოთებულები და განარკომანებულები. მთელი დღეები ქუჩაში ყრიან და პლასტმასის ჭიქებით აყროლებული ლუდის ესენციამიცემულ საწამლავს სვამენ, ან ჯეფს იჩხირავენ, ან ბნელ ოთახებში სხედან, ჩაკეტილები არიან და სასოწარკვეთილები ტირიან. მაგრამ იცოდე, როდის და რაზე გააფრენენ, თან ამდენი თმენის მერე და რატომ მოგცემენ ცეცხლს, არავინ იცის. თვითონაც არ ეცოდინებათ. და მერე ყველა ისეთ ლეგენდებს, იგავ-არაკებს და ზღაპრებს ვნახავთ, რომ ძალიან ვინანებთ, ბრმებად რომ არ გავჩნდით, რაკი საერთოდ გავჩნდით...

I მინისტრი (ჩაფიქრებული თავისთვის): — ვითომ მართლა ეგრე ფიქრობს, თუ უბრალოდ მაზანდას იწევს? (II განდეგილს სერიოზულად) — ჰო, არა?..

II განდგომილი: — დამიჯერე. თქვენ მართლა არ იცით და მე ამათთან ვბერდები. თან იცოდე, ჩვენც მაგრად ვაკავებთ, I განდგომილს აღარ ენდობიან, რაკი თქვენთან იყო, თან I მინისტრი, III განდგომილს ისე თუ მოუსმენენ, ლაყაფის პონტში, ის IV განდგომილი მაგრა ურიკინებს და ყველაფერი, ძირითადად, ჩემს კისერზე გადადის, ამათი გაჩერება, დარწმუნება, მოთაფვლა, გამასპინძლება, ტო, ამდენი ხარჯი, ცალკე ვეღარ ავუდივარ. ამდენი კოდი პური, ამდენი ფუთი ღვინო, საკლავი და...

I მინისტრი (ისევ ჩაფიქრებული): — გასაგებია, გასაგები... ისე ძალიანაც ნუ გაანებივრებ...

II განდგომილი: — არა, სხვანაირად არ შეიძლება. თუ უმასპინძლდები, კარგად უნდა გაუმასპინძლდე თორე... ისედაც ამ ბოლო დროს ეჭვით მიყურებენ.

I მინისტრი (ეტყობა, რომ უკვე სულ სხვა რამეზე ფიქრობს): — კარგი, კარგი, ყველაფერი გასაგებია. (უცებ შეცვლილი სახით და გაშტერებული თვალებით) — ისე, ამ ბოლო დროს ძალიან მაგრად გვაგინებ-მეთქი...

II განდგომილი (შეშფოთებული): — სხვანაირად არ გამოდის, ხო გეუბნები, მეც უკვე ცერად და ეჭვით მიყურებენ. ვატყობ. თუ ჩემშიც ეჭვი შეეპარათ, აღარ დამიჯერეს და გვერდზე გამწიეს, თქვენთვისაც უარესი იქნება.

I მინისტრი (ჩაფიქრებული უქნევს თავს): — მართალია, ასე სჯობია, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე მაინც. შენა, კაი ხო, ყველაფერი გასაგებია, დავიშალეთ... ყველა ხარჯი გათვალისწინებული იქნება.

II განდგომილი (ისევ ყაბალახით იბურავს სახეს და სათავლეს იკეთებს): — ჰო მართლა, თვითონ მისი უდიდებულესობა მეფის პირადი ბრძანებაა, რომ უნდა მოგხვდეს. ხო იცი, რა მგრძნობიარე მეფეცა გვყავს. რო აგინებენ, სწყინს. ამიტომ პირველივე ეგზეკუციაზე შეიძლება კარგად მოგარტყან და არ გეწყინოს. (სახედაფარული II განდგომილი გაურკვეველ მოძრაობას აკეთებს და უხმოდ ჩუმად გადის. იმავე წუთას საიდუმლო კარიდან I განდგომილი შემოდის და II მეორე განდგომილის ადგილას ჯდება).

I მინისტრი: — ა, ბატონო, ყველაფერი შენი ყურით მოისმინე და შენი თვალით დაინახე, როგორ მოგეწონა?

I განდგომილი (საჩვენებელი თითით ისწორებს სათვალეს): — თითოეული ჩვენთანაგანი... მდა�ა... კიდევ კარგ დღეშია ეს ჩვენი უბედური სამეფო...

I მინისტრი: — ხო და მაგას გეუბნები, ამათ ხელში ვითომ უკეთეს დღეში იქნება? ჯერ ამათ ვინ მოუშვებს, შენ ხომ გახსოვს ჩვენ როგორ მოვედით. ხალხმა ბებერი მეფის ზიზღით დაგვიჭირა მხარი. ოღონდ ეს ბებერი ჯალათი მოვიშოროთ და ვინც გინდა მოვიდეს, უარესი ხომ არ იქნებაო... (გულიანად, ცოტა ისტერიულად იცინის) ახლა ეს ბითურები!.. როგორც ჩანს ამ ჩვენს წყეულ სამეფოში უარესზე უარესი არ დაილევა.

I განდგომილი: — ტყუილად იცინი. ახლა არავის არ გვაქვს სასაცილოდ საქმე. იცოდე თითოეული ჩვენთაგანი უმკაცრეს პასუხს აგებს სამეფოსა და ხალხის წინაშე... ძალიან მძიმე დღეები გველის...

I მინისტრი: — გაცილებით უარესი, ვიდრე შენ გგონია. ან წარმოგიდგენია. და აქ სამეფო და ხალხი არაფერ შუაშია. (ისევ იცინის) — რა სამეფო? სადღაა სამეფო?.. ეს სამეფო მხოლოდ რამდენიმე გონებაშეზღუდული გოიმის და ფანატიკოსის ფანტაზიაშიღა არსებობს, რომლებმაც თანამედროვეობას ვერაფრით აუწყვეს ფეხი და არც იმდენი ჭკუა ჰყოფნით, სიტუაციის მიხედვით იაზროვნონ და იმოქმედონ. რაღაც მეცხრე ცაზე დაკარგულ ლანდებს დასდევენ. ხალხი ხომ საერთოდ... აი, სულ ამ წუთას, შენს თვალწინ, ამ ჩვენს თავზეხელაღებულ, ყაბალახში ჩამალულ ჩე გევარასაც ველაპარაკებოდი და დარწმუნებული ვარ, ყოველი სიტყვა კარგად გაიგე. (ირონიული ღიმილით) ეგ კი არა, შენც კი ვერ ხვდები, რომ ხალხის სიდიადე სწორედ მის უსაზღვრო იდიოტიზმში, მორჩილებასა და შეგუების უნარშია. ხანდახან მინდა, რომ ავდგე და მთელი ათი წუთი ტაში დავუკრა მათ ამის გამო! (მართლაც დგება და გაცხარებული, სერიოზული სახით უკრავს ტაშს) საოცარი, პირდაპირ ღვთაებრივი იუმორის გრძნობა აქვს ხალხს... ისინი ჩვენს თვალწინ ტაშს უკრავდნენ უღმერთოებს, შემდეგ მეფეს, რომელიც უღმერთოების შემდეგ ავიდა ტახტზე, შემდეგ ტაშს უკრავდნენ ბებერ მეფეს, რომელმაც თავისი წინამორბედი მეფე დაამხო, დაუჩოქეს კიდევაც, არ გახსოვს?.. შემდეგ ტაშს გვიკრავდნენ ჩვენ და დღევანდელ მეფეს, მის უდიდებულესობას, რომელმაც ჩვენთან ერთად დაამხო ის ბებერი სისხლისმსმელი და ასევე გულწრფელად და გულიანად დაუკრავენ ტაშს, როდესაც ყველაზე მაღალ ჭადარზე დაგვკიდებენ ფეხებით, ყოველ ან როგორც შენ ამბობ, თვითოეულ ჩვენთაგანს... პირდაპირ ტაშის კვრით გასკდებიან... ამიტომ, სანამ დრო მაქვს, მეც მინდა აქედან ტაშით მივესალმო ხალხის იუმორს, მის თვინიერებას, მორჩილებას და სისულელეს. (ისევ დგება და ტაშს უკრავს). ჩვენ სხვა, გაცილებით საშინელი და უჩვეულო განსაცდელი გველის...

I განდგომილი (შეშფოთებული და გამომცდელი მზერით): — მოიცა, რაღაც ვერ გავიგე, აბა რომელ განსაცდელზე ლაპარაკობ, რას გულისხმობ?

I მინისტრი (მოწყენილი): — რა ვიჩი. (უცებ შეიშმუშნება და ცდილობს მეტყველება გამოასწოროს) არ ვიცი. ჯერჯერობით არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს ყველაფერი ასე იოლად არ დამთავრდება.

I განდგომილი (გაღიზიანებული და ცოტა შეურაცხყოფილიც): — ძალიან გთხოვ ნუ ცდილობ ჩემს დაბნევას და გასულელებას, მაინც არაფერი გამოვა. შენც და შენი დიადი ხელმწიფეც

ძალიან კარგად მიცნობთ და იცით, რომ (ზიზღით) მე დანარჩენი განდგომილები არ ვარ და ჩემთან (სათვალეს ისწორებს) ეგეთი იაფფასიანი ნომრები არ გაგივათ.

I მინისტრი (უცებ გახარებული დგება, ფანჯარასათან მიდის და ფანჯრის გასწვრივ კედელზე აკაკუნებს, აყურადებს, მერე ისევ აკაკუნებს. მაგიდასთან ბრუნდება, სავარძელში ჯდება და ბზრიალდება.): — ვიცით, ბატონო ყოფილო მინისტრო, ვიცი, რომ თქვენთან იაფფასიანი ნომრები არ გაგვივა და რომ ვიცი, სწორედ ამიტომაც ვარ თქვენს ადგილას, თქვენს კაბინეტში და თქვენს სავარძელში.

(I განდგომილი ფეხზე წამოხტება).

I მინისტრი (დაცინვით): — ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ. არ არის საჭირო. იმას მოგახსენებდით, სწორედ იმიტომაც გავხდი თქვენს ნაცვლად პირველი მინისტრი, რომ დარწმუნებული ვარ, თქვენს წინააღმდეგ გაცილებით ძვირადღირებული და გონივრული ნომრები უნდა გამოვიყენოთ. (ალერსიანად) დაბრძანდით, თუ შეიძლება.

I განდგომილი (გააფთრებული დაჰყურებს, თითქოს მზად არის, შუაზე გაგლიჯოს): — იცოდეთ, თქვენც და თქვენს უდღეურ მეფესაც გაგანადგურებთ, თითოეული თქვენთაგანი პასუხს აგებს სამეფოს და ქვეყნის წინაშე. გარწმუნებთ, ხალხი ჩემს მხარეზეა...

I მინისტრი (მშვიდად აწყვეტინებს): — დაწყნარდით და დაბრძანდით ან თუ ასე გირჩევნიათ, ფეხზე ბრძანდებოდეთ. (არხეინად) ხალხზე და მის რისხვაზე ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ. თქვენს თანაგანდგომილებზე თქვენ ჩემზე უარესი აზრის ბრძანდებით. ასე რომ კი ბატონო, იმოქმედეთ, მაგრამ, როგორც ძველი მეგობარი და კოლეგა გაფრთხილებთ, აქედან არაფერი გამოგივათ.

I განდგომილი: — ნაძირლები ხართ, თქვენც, თქვენი მეფეც და მთელი ეს მედროვეების ჯოგიც...

I მინისტრი (ირონიულად, ძალიან არის გამხიარულებული): — გთხოვთ დააფიქსიროთ — ჩემს კაბინეტში მტკიცედ და კეტეგორიულად ვაპროტესტებ მისი უდიდებულესობა მეფისა და მმართველ-მინისტრთა საბჭოს შეურაცხყოფას სიტყვებით „უდღეური და ნაძირლები“...

I განდგომილი (გააფთრებული დაჰყურებს სავარძელში ნებივრად წამოწოლილ პირველ მინისტრს): — მართლა? აპროტესტებთ?.. მაშინ დამიჭირეთ.

I მინისტრი (ისევ ირონიულად და აგდებულად): — კი მაგრამ არ მჭირდებით, აბსოლუტურად არაფერში არ მჭირდებით, ისედაც ამოტენილი მაქვს ხაროები და საკნები. აღარ ვიცი სად წავიყვანო ამდენი მოღალატე, ვერავინ ვერ იტანს მის უდიდებულესობა მეფეს, მისსავე სამეფოში. პირდაპირ აღარ ვიცი რა ვქნა, ყველას ერთი სული აქვს, სადმე წაიმწყვდიონ ჩვენი ბრწყინვალე ხელმწიფე და კატასავით მიახრჩონ. მართლა ვეღარ ავუდივარ ამდენი ხალხის დაჭერას. სერიოზულად ვფიქრობ მთელს სამეფოს, (სარკასტული ღიმილით) უფრო სწორად, რაც სამეფოსგან დაგვრჩა, გისოსები ხომ არ შემოვავლოთ და გამოვაცხადოთ ციხე-სამეფო!.. რატომაც არა? თუკი ციხე-სიმაგრე არსებობს და მაგარ რამედაც ითვლება, რატომ არ შეიძლება ციხე-სამეფოც არსებობდეს და ამ დროს თქვენ მთხოვთ, დამიჭირეთო. (დაცინვით) კი მაგრამ, რატომ? თქვენ ხომ მეფის მოღალატე არ ხართ, ჩემო კარგო, ვი პროსტა პადში ანგელ, თქვენ უბრალოდ ნაწყენი ბრძანდებით...

I განდგომილი (განრისხებული და განადგურებული გადის კაბინეტიდან): — ძალიან მალე გაიგებთ ჩვენს პასუხს და მერე სასაცილოდ და საღადაოდ აღარ გექნება საქმე. კომედიანტ კრავავი!

I მინისტრი: — გიმეორებთ, არაფერი გამოგივათ და იცით რატომ? (I განდგომილი კარიდან ბრუნდება) იმიტომ რომ თქვენც ჩვენნაირები ხართ... (I განდგომილი ხმაურით გაიჯახუნებს კარებს. I მინისტრი ღრმად ამოისუნთქავს, თავისთვის წყნარად) ან კიდევ უარესები. (ამ დროს კაბინეტის კარიდან, საიდანაც პირველი განდგომილი გავიდა, აჩრდილივით შემოიპარება კუდიანი დედაბერი და ტრიალ-ტრიალით პირდაპირ I მინისტრისკენ მიპროწიალობს. I მინისტრი მოწიწებით უთმობს ადგილს. კუდიანი დედაბერი სავარძელში სკუპდება. I მინისტრი სწორედ იმ სკამზე ჯდება, სადაც მანამდე I და II განდგომილები ისხდნენ).

I მინისტრი: — დაბრძანდით, დაბრძანდით. ახალი ხომ არაფერია? (კუდიანი დედაბერი დაკვირვებით, გამომომცდელად უყურებს I მინისტრს).

კუდიანი დედაბერი: — ახალი ძალიან ბევრია. ძალიან ბევრი და ძალიან ცუდი. მაგრამ აქ რა ხდება? რა ყოფაში ხართ?

I მინისტრი (მოწყენილი და გაბეზრებული): — აი, რასაც ხედავთ, ყველაფერი ჩემზე უკეთ იცით. ყველა ერთმანეთს გლეჯავს და წეწავს და თვითონვე სულ პანტაპუნტით გვიცვივიან ხახაში. თან რა უნდათ, თვითონაც არ იციან. საერთოდ, როგორ მოაღწია ამ ჩვენმა ხალხმა აქამდე, სასწაული პირდაპირ...

კუდიანი დედაბერი (უკმაყოფილოდ აიფხორება, თავლებს გადმოუქაჩავს): — აბა, აბა, აი ეგ უკვე თქვენი ჭკუის საქმე აღარ არის... შენ ის მითხარი, თქვენი დიადი და გონიერი ხელმწიფე საით გააფრინეთ?..

I მინისტრი (უცებ ისევ მოიწყენს გაბეზრებული, თან რაღაცნაირად აბუზული): — დასავლეთ პოლუსზე გაფრინდა, ახალი შაპიტო უნდა გახსნას, კენტავრების დოღსა და ვეჯინის ტახების ბერიკაობას აწყობს. ახალი რა არის?

კუდიანი დედაბერი: — ახალი ბევრია. ბევრია და ცუდი. ეს თქვენი მეფე როდის ბრუნდება?

I მინისტრი (მოუსვენრად, მექანიკურად პასუხობს): — ორ დღეში (შეწუხებული) ბევრი და ცუდი?..

კუდიანი დედაბერი: — ამათ რა უნდათ?

I მინისტრი: — რა უნდა უნდოდეთ, ჩვენი ჩამოგდება და სათავეში მოსვლა, მაგრამ ძალიან სულელები არიან. (ნაძალადევი ტრაბახით) ჩვენ სულ მცირე 50 წელი კიდე ვიქნებით.

კუდიანი დედაბერი: — „აჰა, საცაა ხე წაიქცევა, ზედ კი ჩიტები უზრუნველად თხზავენ ბუდეებს“. 50 წელი ვერ იქნებით. 50 წელიწადში თქვენ კი არა, აღარაფერი აღარ იქნება. დაიწყო, დაიწყო, ჰე ჰე ჰე, ჰეი, დაიწყო ათვლა.

I მინისტრი(აბუზული და საბოლოოდ წამხდარი მუდარის ხმით): — მქონდეს იმედი?

კუდიანი დედაბერი: — გქონდეს. შენთვის და შენისთანებისთვის ნეპტუნზე სპეციალური ბლოკებია აშენებული.

I მინისტრი: — და როდის და რითი?

კუდიანი დედაბერი (მხიარულად შეხედავს): — რითი და რითიც დაფრინავენ. აბა ეგ თქვენი ცეცხლწაკიდებული კვეს-აბედები, რაკეტებს რომ ეძახით, აქვე ჩაიფერფლებიან.

I მინისტრი (ცოტა გამხნევებული): — და ოჯახი?

კუდიანი დედაბერი: — აა, თქვენ ხომ ოჯახებიც გყავთ?! ვნახოთ, ვნახოთ, როგორ მოიქცევით... აბა თქვენი მეფე ორ დღეში ჩამოდის? უნდა ვნახო.

I მინისტრი (აწრიალდება, აღარ იცის, საიდან დაიწყოს): — იცით რა, როგორ გითხრათ, არც ვიჩი, ვიჩი, ვიცი, ჩი... იქნება თავი შეგეკავებინათ მისი უდიდებულესობის ნახვისგან. იქნებ არ გენახათ, ჰა? გთხოვთ, არ გინდათ რა, ამ ჩვენი მეფის ნახვა. ხომ იცით, რომ ცოტა ნერვიული, ემოციური ბრძანდება მისი უდიდებულესობა. ისა, რთული ბავშვობა ჰქონდა იმ ტირანი მამამისის ხელში. თქვენზეც ბრაზდება, უკმაყოფილოა თქვენით.

კუდიანი დედაბერი (სერიოზულად): — მართლა?..

I მინისტრი (ცოტა უფრო თამამად): — თქვენ არ იცით, ვერც კი წარმოიდგენთ, რა მიჯდება, რომ ჩაფრებს მართლა არ ჩაახრჩობინოს თქვენი თავი სადმე გუბეში.

კუდიანი დედაბერი (ბებრული ჩიფჩიფით): — დიდი მადლობა, შვილო. დიდი მადლობა, შენ გაიხარე, შენით მიდგას სული. (უცებ თვალებს აბრიალებს და მხიარულად აკისკისდება) — ვინ უნდა ჩაახრჩოს მაგან? თქვენ ვინ უნდა ჩაახრჩოთ, თქვე უდღეურებო? მაგ თქვენი ჩაფრებიანად თვალის დახამხამებაში გაგაქრობთ.

(I მინისტრი შეძრწუნებული უყურებს აკისკისებულ დედაბერს).

კუდიანი დედაბერი (უცებ სერიოზულად): — ეგ მე მკითხეთ, რა მიჯდება ამ სამეფოს სათავეში თქვენი ყოფნა. ამ 30 საუკუნოვან, ჭკუიდან შეშლილ და დაწყევლილ ქვეყანას მართავდნენ ფარნავაზიანები, კლარჯელი აზნაურები, მაშრიყელი და მაღრიბელითათრები, ჩრდილოელი სკვითები, უღმერთოები, უბედური მეფე, გამყიდველი მეფე, მაგრამ თქვენნაირებს არასოდეს უმართავთ ჯერ ეს ქვეყანა.

I მინისტრი (ცოტა არ იყოს განაწყენებით): — მაინც როგორ ჩვენნაირებს?

(კუდიანი დედაბერი ხალისიანად წამოფარფატდება მინისტრის სავარძლიდან და ისევ პროწიალ-პროწიალით წავა კარისაკენ).

კუდიანი დედაბერი: — უჯიშოებ!!! უჯიშოები არასოდეს არ მართავდნენ ამ სამეფოს. ეს უჯიშოების ქვეყანა არასოდეს ყოფილა. პირველი შემთხვევაა. პირველი და უკანასკნელი. მეფესთან შევხვდებით. მანამდე ჭკუით იყავი. (კუდიანი დედაბერი ქრება).

I მინისტრი (სადაც იჯდა, ისევ იქ ზის, თავში ხელებჩარგული): — არა, მართლა სადამდე გავქაჩავ, არ ვიცი, თუ არ ვიჩი, თუ როგორც არის რა...

(II მინისტრი, II განდგომილი, III განდგომილი და II მებრძოლი აბანოში სხედან და თეთრი ზეწრები აქვთ ტოგასავით შემოხვეული)

II განდგომილი: — ვა, გაასწორა ტო, ჩიტივითა ვარ...

II მებრძოლი: — ჰო რა, ცოტა ხანი გავიწყდება კაცს, რა ჯოჯოხეთშიც ვიხარშებით.

II მინისტრი: — ეგა და სხვა მხრივაც მისწრებაა აქაურობა. თავისუფლად მაინც შეგვიძლია ლაპარაკი.

III განდგომილი: — ჩვენს სამეფოში ტრადიციულად აბანოში მიდიოდა საქმიანი საუბრები. როდესაც ჩვენმა მგლისთავა მეფემ ხოხობი მოკლა მშვილდისრით...

II განდგომილი: — მაიცა რა ტო, ვიცით, რა შეგვჭამე ამ საუკუნეებით (II მინსიტრს, დაინტერესებული) — შენა და რას ამბობ, თავისუფლად რა პონტში შეიძლება ლაპარაკი?

II მინისტრი (ეშმაკური ღიმილით): — რა პონტში და ჩაწერის პონტში, ყველანი შიშვლები ვართ, ერთმანეთს ვერ ჩავიწერთ, რას ვიზამთ, ჟუკებს უკანალში ხომ არ შევირჭობთ?

II მებრძოლი (ამრეზით და ზიზღით): — ხო, აი ეგღა გვაკლდა, ისე ხო ვერა ვართ თავმოჭრილები და ჩასვრილები!

III განდგომილი (საქმიანად და შთაგონებული): — ადრე მსტოვარნი... (ყველა შეშფოთდნენ, ეჭვით ათვალიერებენ ერთმანეთს) — უკანალში? ისე შეიძლება. ე, ან კბილში. იმ ჯიგარს კბილში არ ჰქონდა მოსასმენი აპარატი? რავი, მე ეგრე ვიცი. (ყველა იძაბება II მინისტრის გარდა და დაძაბული აკვირდებიან ერთმანეთს.)

II მინისტრი (ეშმაკური და ცოტა ზიზღნარევი ღიმილით): — შეიძლება, როგორ არ შეიძლება. უკანალშიც შეიძლება და კბილშიც, ახლა ხო თქვენს ხელში უკანალი და პირი ერთი და იგივეა. მაგრამ დაწყნარდით. აბანო ამ მხრივაც ყველაზე საიმედო ადგილია. წყლის ხმა ჩამწერს ყველაზე მაგრად ახშობს.

(საუნაში მსხდომები მეტ-ნაკლებად თავისუფლად ამოისუნთქავენ.)

II მებრძოლი (გაღიზიანებული): — მორჩით რა ტო, გვეყოფა ეს მურტალი ბაზარი! (II მინისტრს) რას შვებით, თქვენ სულ გარეკეთ? რაებს აკეთებთ?..

II მინისტრი (შინაურულად და ცოტა ირონიულად): — რა იყო, აბა რა არ მოგწონს? რა არ მოგწონთ?..

II მებრძოლი: — ეე, ნუ ღადაობ ბიჭო, ახლა ღადაობის დრო არ არი... უკვე ყელში ამოვიდა. ბიჭები წკიპზე არიან!

III განდგომილი: — მერე იმოქმედეთ, 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში 200 თავდადებული მებრძოლი...

(II მინისტრი და II მებრძოლი ერთდროულად შეხედავენ, II განდგომილი — III განდგომილს)

II განდგომილი: — მოიცა რა, თუ ჩემი ძმა ხარ.

II მებრძოლი (II მინისტრს): — ის რაღაა, კანონი რო მიიღეთ? ეგ ომი არ არსებობდაო. აბა ჩვენ რას ვაკეთებდით წელიწადი და ორი თვე? მინუს პიატს ვთამაშობდით ტო?.. იმდენი ხალხი ჩაწვა. ძმები, სულ მაგარი, პატიოსანი და კაი ბიჭები.

II მინისტრი (თავჩაღუნული უსმენს, მერე უცებ აწევს თავს და გამწარებული ისევ ირონულად): — მართალია. მერე რა გინდა? არც არსებობდა. არ ყოფილა არანაირი ომი, მოგელანდათ, დაგესიზმრათ, ჰალუცინაცია იყო, გაიგე?.. მირაჟი. არ ყოფილა არაფერი და მორჩა. ასეთია მისი უდიდებულესობა მეფის განკარგულება და მორჩა. წააგეთ...

III განდგომილი (თავჩაღუნული): — გარისი, ფარცხისი, მარაბდა, ჟალეთი, კრწანისი...

II მებრძოლი (გააფთრებული და თვითონაც ირონიულად): — თუ არ არსებობდა, აბა რა, წავაგეთ?

II მინისტრი (დაცინვით): — რა მარტივად მსჯელობ ტო, რა გოიმი და გამოქლიავებულიც იყავი, ისეთად დარჩიდა ეგ არის თქვენი უბედურება.

II მებრძოლი: — და შენ თვითონ სად იყავი? შენც არარსებულ ომში იბრძოდი? არარსებულ, გამქრალ ომში დაგჭრეს? არარსებულ ომში გამოიპარე ჰოსპიტლიდან, სისხლიანი ბინტებით რომ მოგვადექი სანგარში? შრამებიც გაქრა, ე? შენი საკუთარი იარებიც აღარ არსებობს?

II მინისტრი: — ჰო, ჰო, შე ჩემა გაქრა!.. მორჩა, დამთავრდა ეგ ყველაფერი. ის ხმაც, ის სულიც, ის იარებიც, ის საფლავებიც, გაქრა. დამთავრდა. არც არსებობდა არასოდეს. განკარგულებაა ეგეთი.

II მებრძოლი (დაბნეული): — აბა ჩვენ რას ვშრებოდით?..

II მინისტრი (ისევ დაცინვით, თან რაღაცნაირი თვითირონიით): — ვმარადიორობდით! რა, არ იცი?.. არ ვმარადიორობდით? გოჭი შენ არ მოკალი ტამიშთან ტყეში?

II მებრძოლი (ისევ დაბნეული): — რა გვექნა ბიჭო, დავიხოცეთ შიმშილით,სამი დღის უჭმელები ვიყავით! (უცებ გაბრაზებული) ე, შენც ჩემთან ერთად არ იყავი? (სიცილი უტყდება) შენ არ მოხარშე ის გოჭი? რო აიტეხე, ვიციო და გაუტრუსავი და ჯაგრიანი ხორცი რო გვაჭამე, შე ჩემისა! (ორივეს სიცილი უვარდება, ბავშვებივით ასკდებიან ერთმანეთს. II და III განდგომილებსაც გადაედებათ მათი სიცილი) ე, ის გახსოვს?.. (II მინისტრი უცებ სერიოზულდება).

II მინისტრი: — მახსოვს. მეც შენთან ერთად ვმარადიორობდი, შენთან ერთად ვჭამდი ნახევრად უმ, ჯაგრიან ბურვაკს. მეც არარსებულ ომში ვიბრძოდი, მეც ბანდფორმირებების წევრი ვიყავი, მაგრამ მერე გამოვსწორდი! (გამწარებული) გაიგე? გამოვსწორდი და ჩვენი დიდი მეფის მინისტრი შევიქენი. შენ კიდევ, თქვენ კიდევ, დღემდე ვერაფერი გაიგეთ, ჩვენ, უფრო სწორედ თქვენ, დამნაშავეები ხართ, იმიტომ რომ დამარცხდით და რაც ყველაზე უარესია, არარსებული ომი წააგეთ. გაიგე იუზგარ?..

III განდგომილი: — ისპაჰანი, ბაღდადი, ალამუთის ციხე, ყანდაჰარი, ფეროჰაბადი, შაჰ-ჯეჰან-აბადი, მისრა, ალექსანდრია, ქაირო, სუდანი...

II განდგომილი (თვალცრემლიანი II მინისტრს): — ე, მაიცა მაიცა, რა უნდა გავიგოთ, რა არ არსებობდა, რა გაქრა, რაებს ბოდავ ტო, აბა ჩემი ძმაკაცები სად წავიდნენ, რისთვის დაიხოცნენ და დაწყდნენ? რა მეფის განკარგულება, მეფე არა ტოლმა... მაგას ვინ კითხავს, ეგ საერთოდ სად იყო, ერთი მაგის „სამაზვანეცი“...

II მინისტრი (მკაცრად): — შენ გაჩერდი!

II მებრძოლი (II განდგომილს): — მოიცა ერთი წუთი! (II მინისტრს) გავიგე, კარგი გავიგე, წავაგეთ ხო, წავაგეთ!.. ეგ მეც ვიცი, ისიც გავიგე, რომ არარსებულ ომში ვიბრძოდით, ისეთი უცნაური ამბები ხდებოდა, მაშინვე ვხვდებოდი რომ დიდ და ცუდ შარში გავიჩითეთ, მაგრამ ახლა რაღას გვერჩით ტო, რა „რემბოს“ გვეთამაშებით?.. რაზე გვხოცავთ? რომ ვიომეთ იმიტომ? ბოლო-ბოლო ამ ჩემისას ჩათლახმა მამამ არ დაიწყო ის ომი? თუ რო წავაგეთ იმიტომ? აი ეგ ველარ გავიგე. ჩვენ რა, გვეხალისებოდა?

II მინისტრი (ჩაფიქრებული, თავჩაღუნული უსმენს, მერე თავს წევს, პირდაპირ თვალებში უყურებს მშვიდად): — გვეხალისებოდა. ძალიან გვეხალისებოდა. ომი თამაში გვეგონა. მერე მე გამოვსწორდი. თქვენ დღემდე გეხალისებათ. აი, მაგიტომაც დაგდევენ.

II მებრძოლი: — ჩვენ მკვლელები არა ვართ...

II მინისტრი: — ვართ!.. რაო, რა გითხრეს, ქართლში ბოლო შუხური რო იყო იმ ბოზისდაზრდილ ჩრდილოელებთან, თოფხანას რომ მიადექით?

II მებრძოლი (ყურადღებით): — შენ რა იცი?

II მინისტრი: — რა რა ვიცი, მინისტრი ვარ შე ჩემა. ჰა, რა გითხრეს?

II და III განდგომილი (ერთად): — მართლა მიხვედით? და რა გითხრეს?

II მებრძოლი (ნაღვლიანი ღიმილით): — ბიჭები მივედით რა... ძველი მებრძოლები, ვუთხარით, რომ კაი ძმაო, რაც იყო იყო, აგე ეს ნაბიჭვარი და დედაატირებული ჩრდილოელი სატახტო ქალაქში მოდის, არ ვიბუტებით, ახლა გაბუტვის დრო არ არი. თოფი, ხმალი და აბჯარი მოგვეცით, ძველი მებრძოლები ვართ შეკრებილები, წავალთ, ვიომებთ, აქ ჩვენ ყოფას აზრი ისედაც არა აქვს. ძმების ჯავრს მაინც ამოვიყრით, წავალთ და ჩავიხოცებით. სუ ნუ მოგვიკითხავთ, ოღონდ იარაღი მოგვეცით-თქო.

III განდგომილი: (თანაგრძნობით შეჰყურებს): — მერე რა გითხრეს?

II მებრძოლი: — რას ლაპარაკობთ, თოფი და ხმალი ძლივს წაგართვით ხელიდან, თქვენ კიდევ იარაღს მოგცემთ, ხო არ უბერავთო...

III განდგომილი (გულწრფელად): — ჩათლახები!

II განდგომილი (ცრემლებს იწმენდს): — ვაახ, მე მაგათი დედა კი ვატირე, ტო!..

II მინისტრი: — აი ეგრეა. რო გეხალისებოდათ და ახლაც რო გეხალისებათ, იმიტომაც დაგდევენ. ომის ხალისი კი არა, დღეს ნებისმიერი რამის ხალისი, სურვილი ან ნება, ძალიან ცუდ ტონად და სახიფათო ამბად ითვლება. ნება-სურვილიც, ხალისიც და სრული ძალაუფლებაც მხოლოდ მის უდიდებულესობა მეფეს უნდა ჰქონდეს.

II მებრძოლი (სერიოზულად და წყნარად): — კოსტა დაიჭირეს, ვერელი კოსტა, მხატვარი. ომში ტანკზე რო იჯდა. ხო გახსოვს?

II მინისტრი: — კი ტო, როგორ არ მახსოვს, შემელოტებული, მხარბეჭიანი...

II მებრძოლი: — კოჩარასთან, თივის ზვინებში ჩაფრები რო ჩაგვრჩნენ, ხო გახსოვს? უკვე რო იბრიდებოდნენ, ჩრდილოელებმა, მე რო მაგათ დედას... ცეცხლი რო წაუკიდეს თივას და შიგ რო იწვებოდნენ, ორი დაჭრილიც რო ჰყავდათ, კოსტა რო თავისი უკვე გახვრეტილი ტანკით შევარდა უკანა სვლით, რო იგიჟა და გამოიყვანა, ხო გახსოვს?

II მინისტრი (შეცვლილი ხმით): — ხო მერე?

II მებრძოლი: — ზუსტად იმავე ჩაფრებმა დაიჭირეს ეს ჩვენი ვერელი მხატვარი და ტანკისტი კოსტა. წიგნის თაროზე „დეშეკას“ ტყვია რათ გიდევსო. კეშა გახსოვს, გაგრელი?

II მინისტრი: — კი ტო, ყველა მახსოვს. მაშაყირებ?

II განდგომილი: — ეგეც დაიჭირეს, მერე ბლომად ოქრო მიატანინეს ამ გამოქცეულ კაცს და გამოუშვეს. შემხვდა. ჩრდილოელების ტყვეობაში არ ვუწამებივართ და ვუტანჯივართ ეგრე, სიკვდილს ვნატრობდიო. შენზე მითხრა, მაგის სახელი ვახსენე და უარესად მირტყესო!..

II მინისტრი: — ეგრე იქნებოდა, ახლა აღარავის ხსენება აღარ შეიძლება, უარესია.

III განდგომილი: — სადუნ მანკაბერდელი, შადიმან ბარათაშვილი, ყორღანაშვილი, ციციანოვი, დაუდ-ხანი, სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, ედუარდ შევარდნაძე...

II განდგომილი (წამოხტება პათეტიკურად): — არა, რა ტო, ამისი ესე დატოვება აღარ შეიძლება, რაღაც უნდა ვიღონოთ და ვიმოქმედოთ. მე პირადად მზად ვარ ერთხელ კი არა ათჯერ გავწირო თავი, ოღონდ ეს ურჯულო ტირანები, ეს ურჯუკები მოვიშოროთ. ეს ტრაკები ტო, მე პირადად მზად ვარ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, აი ამ საუნაში თქვენს წინაშე ვდებ ფიცს, რომ მე ამათ, უუხ!..

II მებრძოლი (II განდგომილს): — დაჯე აბა, დაჯე. ხო, კაი ბიჭი ხარ, ყოჩაღ, ახლა დაჯექი ცოტა ხანი! (II მინისტრს) რა ხდება, ტო? რა ხალხში ხარ? საერთოდ რა გინდათ?

II მინისტრი: — როგორც ჩემი კოლეგა, I მინისტრი იტყოდა — რა ვიჩი... შენ გგონია, ვინმემ რამე ვიცით? I მინისტრი თავისას ჩალიჩობს, ეგ და მეფე ისე გადაებნენ ერთმანეთს, ერთის დაღუპვა მეორეს დაღუპვას ნიშნავს. ოღონდ, რამდენადაც მეფე შეშლილი და გამოქლიავებულია, იმდენად I მინისტრი ჭკვიანია და ჩათლახი, ზღაპრებში როა... (უცებ მოიწყენს) გახსოვს, ბავშვობაში ზღაპრებს რომ გვიკითხავდნენ, ბრძენი და ბოროტი მინისტრი და სულელი და ბოროტი მეფე? რაღაც ეგეთ პონტშია. III მინისტრი ოქროთი სავსე ტომრებზე ზის და ნელ-ნელა იხდის, რომ არ ჩამოახრჩონ, თან ერთი სული აქვს, აქედან თავისი ოქროებიანად მოტყდეს, მაგრამ ვერ რისკავს, იცის, საითაც არ უნდა წავიდეს, თათრების ან ჩრდილოელების საზღვარზე თუ წაისწრეს, იქვე საბაჟოზე დაკიდებენ ფეხებით, IV მინისტრი უბრალოდ ხელსახოცია, მისი უდიდებულესობა რო განერვიულდება, უცებ რომ ჩასცხოს, მე ჯერჯერობით ვერ მიბედავენ, მებრძოლების მაინც ეშინიათ ამ არიფებს. (კმაყოფილი იღიმება) იციან, ჩემი წილი დამბაჩა სულ ზედა მაქვს და ერთი ორი ზამბულაკიც გადამალული... (მოიწყენს) თუმცა, თუ ძალიან

მოიწადინეს, ჩემგან და ჩემი ზამბულაკებისაგან ბრდღვნა არ დარჩება. თქვენ ისედაც ყელამდე სისხლში ხართ. ხმის ამოღება არ გინდათ, ხართ გალოთებულები და გათითოკაცებულები და შორიდან უყურებთ ყველაფერს, ამათ იმედზე კიდევ (II და III განდგომილებზე იშვერს აგდებით ხელს) მტერი იქნა.

II და III განდგომილები (იუკადრისებენ): — ე, შენ ზედმეტები ხომ არ მოგდის? ჩვენ იმედზე — რა ისე ამბობს, თითქოს თვითონ არ იყოს ამ ბნედიანი მეფის სამსახურში...

II მინისტრი: — აბა ეხლა დაწყნარდით და ბევრს ნუ ბლატაობთ. თქვენთან რო ვზივართ და ვლაპარაკობთ, ხო არ დაიბენით? ჰა ბიჭებო? (II მებრძოლს) — ნახე, რა უცებ მოშინაურდნენ? იცი, რამდენჯერ არიან ეს შენი განდგომილები ნაყიდები და გაყიდულები? კითხე აბა ერთი...

II განდგომილი: — მაგას ვნახავთ ვინ გაყიდულია და ვინ ნაყიდი. შევხვდებით მომავალში.

III განდგომილი (თავისებურად): — ფარცხისი, ერწუხი, დიდგორი, შამქორი, ბასიანი, ბახტრიონი, მარტყოფი, ასპინძა.

II მებრძოლი (ჩაფიქრებული): — და რას შვრებით, რას აპირებთ?

II მინისტრი (ნაღვლიანი ღიმილით): — რავი, ველოდებით, რაკი კაცის რისხვა აღარ, ღვთის რისხვა როდის მოაღწევს და როდის ავფეთქდებით... ვნახოთ. (II მებრძოლს) შენი ნაპარნიკი როგორ არის? მუზიკანტი, სუ ერთად არ იყავით? სუ ერთმანეთის ძებნაში. კაი მებრძოლი იყო, ჯიგარი ბიჭი.

II მებრძოლი: — არ ვიცი ბიჭო, კაი ხანია არ შემომხმიანებია. ცოლი მოიყვანა, შვილები...

II მინისტრი (დაცინვით): — სამაგიეროდ მე ვიცი. დაიჭირეს, დაჭერილი ჰყავთ, მოკლეს ცემით, რო გავიგე, I მინსიტრს ვთხოვე და რავი, შემპირდა, თუ გადარჩა, აღარ ცემენო.

II მებრძოლი (გამწარებული): — რაა? რაა?..

II განდგომილი (გულწრფელად): — ვახ, ეს ახვრები, ხედავ რეებს შვრებიან, ტო?

II მინისტრი (ისიც გამწარებული და ირონიიით): — რა და ეგა, თქვენ იცით, იყავით და ელოდეთ ეგრე, ვიდრე სათითაოდ არ დაგიჭერენ და ცოცხლად არ ჩამოგატყავებენ! (II მებრძოლს თავი ხელებში აქვს ჩარგული. II მინისტრი რბილად) ადე კაი, ჰა ადექი. წამო დავლიოთ, მე მივხედავ, ნუ გეშინია. ადექი, ჰა. (II და III განდგომილს) აბა, მგზნებარე განდგომილებო და თავზეხელაღებულო რევოლუციონერებო, წამოხვალთ ტირანი მეფის ერთგულ მსახურთან ერთად მაგრად დასათრობად? (განდგომილები მიჰყვებიან).

III განდგომილი: — ბახუსი, დონ მოდესტ გორანფლო, ფალსტაფი, ლუარსაბ თათქარიძე, კირილე მიმინოშვილი, ჭამპურა (გადიან).

(ბრუნდება I სცენა. დროშებით, რომელიც ისევ ათ წუთში ერთხელ იცვლება).

სცენაზე გაშტრიკინებული დგას ოთხივე მინისტრი, ჩაფრებს ტრიბუნა შემოაქვთ. ორი ჩაფარი ტრიბუნასთან რჩება, დანარჩენები მინისტრების უკან დგებიან. ისმის ხმები) — მოდის, მოდის, ყურადღებით! მოდის მისი უდიდებულესობა, მობრძანდება, დიდება ჩვენს ბრწყინვალე ხელმწიფეს, გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ მეფეს. დიდება ჩვენს დაუმარცხებელ და ყოვლისშემძლე მეფეს, ვაშაააა!!!

(სცენაზე აჩქარებული ნაბიჯითა და ხელების ქნევით შემოდის მეფე. თავზე უზარმაზარი გვირგვინი დაუკოსებია. შემოვიდა, ტრიბუნასთან დადგა გაბრწყინებული სახით).

მეფე: — მოგესალმებით, ჩემო საყვარელო და ერთგულო ქვეშევრდომებო. მოგილოცავთ მისი უდიდებულესობა თქვენი მეფის, ყველაზე მაღალი და წარმტაცი მეფის, ესე იგი ჩემს დაბრუნებას ჩემს სამეფოში. დარწმუნებული ვარ, უჩემოდ... (რბილად, მეგობრულად) დასხედით. (მინისტრები სხდებიან, მეფე უცბად მკაცრად და ისტერიულად გაჰკივის) ადექით!.. (მინისტრები წამოხტებიან) დასხედით! ადექით! დასხედით! ადექით! (ეს სცენა რამდენჯერმე მეორდება. მეფე უცებ მხიარულად აკისკისდება) ესეც თქვენ დილის (უკუღმა მიმავალ საათს დახედავს) ეე, შუადღის გამამხნევებელი ვარჯიში, თორემ რაღაც გამისუქდით. რას იზამ, ყველაფერზე მე, თქვენმა მეფემ უნდა ვიზრუნო. კარგი, დასხედით და სანამ არ გეტყვით, არ ადგეთ. მე ვიყავი, აბა სად ვიყავი? მე, თქვენი მეფე...

მინისტრები და ჩაფრები (ერთად, სამხედრო წესით): — დასავლეთ პოლუსზე, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენო მეფეო...

მეფე: — ყოჩაღ, ნამდვილი გენიოსები მყავხართ და რა ქნა იქ თქვენმა, ჩემმა უდიდებულესობა თქვენმა მეფემ?

მინისტრები და ჩაფრები (ისევ ერთხმად, ძალიან მოწადინებულები): — დასავლეთ პოლუსზე ახალი შაპიტო გახსენით, კენტავრების დოღი და ვეჯინის ტახების ბერიკაობა მოაწყვეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენო დიდო ხელმწიფევ.

მეფე: — ყოჩაღ, ყოჩაღ ჩემო ერთგულებო. არა, მე ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენით. ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი მინისტრები ყველაზე გენიალური მინისტრები არიან სამყაროში და ჩემი ჩაფრები კი რადიკალურად ყველაზე ჩაფრები. უჩაფრესი ჩაფრები მყავხართ. ყველაზე მდგრადი და ჩაფრებადი ჩაფრები ასევე მთელს სამყაროში, რომელიც რა თქმა უნდა ჩემი, თქვენი უდიდებულესობა მეფის სამყაროა და სამყაროშიც ყველაზე სამყარო. იმიტომ, რომ რომელიც სამყაროდი, სამყაროდი... (დაიბნევა) დიახ, რაც უნდა იყაყანონ ამ უტვინო განდგომილებმა, მე მაინც გავხსენი მორიგი შაპიტო და დღეიდან, ჩვენს სამეფოში იწარმოება ვეჯინის ტახების მაღალხარისხოვანი ბერიკაობის ნიღბების და კენტავრის პირველხარისხოვანი და ჭამადი ჰამბურგერების ექსპორტი! (თავმომწონედ) როგორც ამიხსნეს დასავლეთის ყველაზე ცივილიზებული პოლუსის წარმომადგენლებმა, კენტავრები ნახევრად ადამიანები, ნახევრად ცხენები არიან, მაგრამ ჩვენ კენტავრებს ადამიანები მოვაჭერით და გარწმუნებთ, გპირდებით რომ მხოლოდ ცხენის ნაწილისგან გაკეთებულ ჰამბურგერებს შემოვიტანთ. (მტკიცედ) და არცერთ შემთხვევაში არ დავუშვებთ, რომ ჩვენს სამეფოში ექსპორტირებულ ჰამბურგერში თუნდაც ერთი გრამი ადამიანური ნაწილის ხორცი შეერიოს. (აკისკისდება) აბა რა, ჩვენ ხომ კანიბალები არ ვართ, კანიბალები სამხრეთში ცხოვრობენ და ზოლიანები არიან. ასე რომ, დღეიდან ჩვენი სამეფო სამარადჟამოდ იქნება უზრუნველყოფილი მაღალხარისხოვანი კენტავრის მხოლოდ ცხენის ნაწილით შემზადებული ჰამბურგერით. (მეფე ტაშს დასცხებს, მინისტრებიც მქუხარე ტაშს უკრავენ და სამგზის ვაშას დასძახებენ. ყველაზე ხმამაღლა IV მინისტრს გამოუვა, პირზე აიფარებს ხელს, მაგრამ უკვე გვიანია).

მეფე (უკიდურესად განრისხებული, IV მინისტრს): — მობრძანდი შენ აქ, მობრძანდი, მობრძანდი. (IV მინისტრი ფეხათრევით მიდის ტრიბუნასთან) ერთი მითხარი ბატონო მინისტრო, აქამდე რატომ არ მქონდა სამეფოში კენტავრის ჰამბურგერი? ჰა, შენ გეკითხები?! რატომ უნდა უნდა ვაკეთებდე მე, ბრწყინავალე ხელმწიფე შენს საქმეს? ფიქრობ, რომ შენ მეფეს მფრინავი ხალიჩებით ფრენისა და ჰამბურგერის ჭამის მეტი საქმე არა აქვს? რატომ შენ არ გაფრინდი? რატომ შენ არ იზრუნე ტახების ბერიკაობის ნიღბების შემოტანაზე სამეფოში? გინდა, ჩემი ხალხი ნიღბების გარეშე დარჩეს? (ისტერიულად კივის): — რატომ?

IV მინისტრი (თავჩაღუნული საცოდავად): — გამოვასწორებ, დიდო მეფეო...

მეფე: — რა გიყო, ჩამოგახრჩო, დაუყოვნებლივ?

IV მინისტრი: — არა რა, დიდო მეფეო, გთხოვ, არ ჩამომახრჩო რა, აღარ ჩამომახრჩო, გამოვსწორდები.

მეფე: — დაუყოვნებლივ?

IV მინისტრი: — დაუყოვნებლივ. გეხვეწები რა, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენო მეფეო.

მეფე (კეთილი ღიმილით): — კარგი შეგიწყალებ... მიბრუნდი! (IV მინისტრი მიბრუნდება, მეფე მაგარ ჭიტლაყს ამოარტყამს, მერე ჯიბიდან იღებს ჰამბურგერს და IV მინისტრს აწვდის) აჰა, დაუყოვნებლივ შეჭამე, ახლავე ჩემს თვალწინ, ნამცეცი არ დაგრჩეს, თორემ ისევ განგირისხდები მე, შენი მეფე.

IV მინისტრი (მდაბლად უკრავს თავს): — დიდი მადლობა თქვენო უდიდებულესობავ! (მიდის თავის ადგილას, ჯდება და უზარმაზარი ჰამბურგერის ჭამას იწყებს).

მეფე (გამომცდელად): — გემრიელია?..

IV მინისტრი (ფეხზე წამოხტება პირგამოტენილი): — უგემრიელესი დიდო ხელმწიფევ...

მეფე (გამარჯვებული ტონით მიმართავს მინისტრებს): — აი, ეს არის ყველაზე კენტავრის ყველაზე ჰამბურგერი და ეს არის ჩვენი სამეფოს ყველაზე დიდი, რეალურად ყველაზე დიდი გამარჯვება, ეს ჰამბურგერი არის ჩვენი სამეფოს უსაფრთხოებისა და ერთიანობის ყველაზე რეალურად დიდი გარანტი, ეს ჰამბურგერი, ერი, ერი... (უცებ ამღერდება) ჰერი ჰერი, ჰერი,

ჰერი ბიჭო ტოროლაო... (ხელით ანიშნებს მინისტრებს და ჩაფრებს ამყევითო) ჰერი ბიჭო ტოროლაო, ვინ გასწავლა სიმღერაო, ჰერი, ჰერი, ჰერი!.. (სიტყვები ავიწყდება) და ამიტომ ვმღერი, ჰერი ბიჭო ტოროლაო... (მოულოდნელად დარბაზში II მებრძოლი შემოვარდება უზარმაზარი ხანჯლით).

II მებრძოლი (შეშლილი სახით): — დაწექით ყველა თორე, მე თქვენს დედებს... (მინისტრებს) თქვენ არ გაინძრეთ, ხელები მაგიდაზე! (ჩაფრებს) თქვენ დაწექით და ხელები თავზე... დროზე! არ გამამეორებინოთ, თორემ უეჭველი გამკეთებელი ვარ. ეგრევე გადაგხსნით და კოშმარიც არ დამესიზმრება, თქვენი დედაც...

(ტრიბუნასთან მდგომი ჩაფრები ეგრევე წვებიან და ძალიან პროფესიონალურად იწყობენ თავზე ხელებს. მაგიდასთან დარჩენილი ორი ჩაფარი შეუმჩნევლად გადაეფარება I მინისტრს. III მინისტრი მაგიდის ქვეშ ძვრება, ხელებს კი მაგიდაზე ტოვებს. IV მინისტრიც მაგიდაზე აწყობს ხელებს, პირში კი ჰამბურგერი შერჩენია. II მინისტრი ხელებს წევს, მაგრამ არ ჯდება).

მეფე (აბსოლუტურად გაოგნებული და დაბნეული, დაპანიკებული სახით, თითქოს ტრანსში, ცოტა უფრო ხმადაბლა აგრძელებს): — ჰერი, ჰერი, ჰერი...

II მებრძოლი: — ჰერი, ჰერი კი არა, მომისმინე მეფეო. ახლავე გაეცი განკარგულება, რომ ჩემი ძმაკაცი ციხიდან გამოუშვან, თორემ მართლა ძალიან რეალურად დაგბრიდავ. მკიდია უკვე, ამოვიდა ყელში. რაზე დაიჭირეთ ტო, რაზე კლავთ ცემით? მუსიკოსი, უწესიერესი კაცია, ნაომარი, ნაწვალები. მიდი აეხლავე, დროზე (და ტრიბუნას მთელი ძალით შემოარტყამს ხანჯალს) გაეცი ეგ შენი ბრძანებაა, თუ რაღაც განკარგულება.

მეფე (მოულოდნელად დაბლა გაგორდება, გვირგვინიც გაძვრება და ისეთი ხმით, აკივლდება, რომ ყველა შეხტება): — ვაიმეე!.. მიშველეეთ, ხანჯალიიი!.. რამხელაააა!.. ვაიმეე, დედააა! ჭრიის, ვაიმიიი! გამეჭრებაა! ალესილიაა! მიშველიიით! გამეჭრებააა! მეფეს გაეჭრებაა, ვაიმიიი, მიშველიიით! დედააა! გამიჭრის! ვაიმიიი! ააა! (ხელების და ფეხების ისტერიულ ქნევას იწყებს) არ მოხვიდეეე! წადიი! გამიჭრიის!!! ააა!..

II მებრძოლი (ძალიან დაბნეული): — მომისმინე, ადექი ტო და დაწყნარდი. უბრალოდ, ჩემი ძმაკაცი გამოუშვი და არაფერს დაგიშავებ. ძალიან წესიერი ბიჭია, რას ერჩოდი. (თან ცალი თვალი მინისტრების მაგიდსკენ უჭირავს. მინისტრების მაგიდიდან ზლუქუნი გაისმება).

IV მინისტრი (ქვითინით): — მე გამიშვი რა ბიძია, გეხვეწები, არ მომკლა, გამიშვი რა, დედა მელოდება. მარტო ვჭამ, მეტს კი არაფერს ვაშავებ! (ზმუის) გამიშვი რაა!..

II მებრძოლი: — წადი, ძმაო მოშორდი, შენს ვის რათ უნდა უნდოდე. წადი ჰა! (გაოგნებული) რა გჭირთ, მე თქვენი დედა ვატირე...

მეფე: — მიშველეეთ, არ გამიჭრაას! ვაიმეეე, ჩაფრებოოო! არ მოვიდეს, რამხელა ხანჯალიააა!.. ჭრიის!..

IV მინისტრი (ისტერიკაში ჩავარდნილ მეფეს): — აი თქვენო უდიდებულესობავ, მე მაინც ბოლომდე შევჭამ! (ჰამბურგერს აჩვენებს და ჭამა-ჭამით ძუნძულით გარბის კულისებისაკენ) ოხ, მამაჩემო, შენი მატრაკვეცა დედა ვატირე, რა მინდოდა წვენებში.

II მებრძოლი (მეფეს): — ე, მომისმინე, არავინ არ გჭრის და არ გკლავს. უბრალოდ მომისმინე.

მეფე (ისტერიულად იქნევს ხელ-ფეხს) არააა! წადიი! მიშველეთ! მკლაავს! წადიი!..

III მინისტრი (მაგიდის ქვეშიდან): — ესეთი ფულის დედაც და ესეთი ცხოვრებისაც. რით ვერ გავაღწიე ამ დედაატირებული სამეფოდან, ესეც თუ ქვეყანაა. ფუი!..

(I მინისტრი ჩაფრებს ამოფარებული მშვიდად უყურებს ყველაფერს)

II მებრძოლი (უცებ გადაეკეტა, მეფეს საყელოში სწვდა): — ე, მორჩი პანიკას და ფეხების ქნევას, თორე გამოგღადრე მართლა ყელი, აეთრიე და მომისმინე!

მეფე (მთლად გადაირია, მხოლოდ კივილსღა ახერხებს): — ااااااااا!..

II მინისტრი (II მებრძოლს): — კარგი, სულ ნუ გააგიჟე შე ჩემა. გაანებე თავი, მაგას ახლა ვერაფერს ვერ გააგებინებ, ისტერიკაშია. მორჩა, გავიდა გაღმა.

II მებრძოლი: — რა სჭირს, ხანჯალი არ უნახავს, ამ ჩემისას?..

II მინისტრი: — სად უნახავს შე დებილო, ხანჯალი არა, ალებარდი მოსთხოვე. სხვა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე? მე მართლა თქვენი სულელი...

მეფე: — ااااა, აღარ ვიზამ, წადიიი!.. (გაურკვეველი მიმართულებით იხვეწება) სთხოვეთ წავიდეეს! აღარ მინდااა!...

II მებრძოლი (ძალიან დაბნეული, აქეთ-იქით იყურება): — ვაა, რა ვქნა ტო?..

II მინისტრი (II მებრძოლს. ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს): — დადე, ეგ ოხერი ხანჯალი, გადი და დატყდი, მეტი გზა აღარ დაგრჩა. (გულწრფელი დანანებით) ეგ რა ქენი, შენი გიჟი კარგიც...

II მებრძოლი (დაძაბული და შეშფოთებული): — რა უნდა დავდო ბიჭო, ხანჯალი რომ დავდო, ხო ცოცხლად შემჭამეს...

II მინისტრი (ცდილობს სიტუაციის გაკონტროლებას): — არა, ნუ გეშინია... (მეფეს) თქვენო უდიდებულესობავ, მე ვუზრუნველყოფ თქვენს უსაფრთხოებას, აუცილებელია კორიდორის გაკეთება...

II მებრძოლი (თავისი თანამებრძოლივით უეცრად და უცნაურად, საშიშად გამოფხიზლებული და გახალისებული): — ეე, დამეჭოჭა სიმონ, მორჩა, ვიბრიდები, წავედი ტო! (ხანჯლიანი ხელით იწერს პირჯვარს) წავედი, ადიოს ამიგოს! (უცებ მეფეს მიუბრუნდება) წავედი, მაგრამ შენც თან გაგიყოლებ, შენი მანიაკი დედაც...

(მეფე თვალებარეული და ხმაჩამწყდარი, ინსტინქტურად ცდილობს ტრიბუნის უკან გახოხებას. II მინისტრი მოულოდნელად წინ ეღობება II მებრძოლს).

II მინისტრი: — ა, არ გინდა, არ ქნა, უარესი იქნება იცოდე, გაჩერდი ძმურად, აზრზე მოდი, გთხოვ, ჩვენ კიდე სისხლი გვინდა ბიჭო?..

II მებრძოლი: — გადი, თორემ შენც აგჩეხავ, თქვენი ბრალია ეს შნირები თავზე რომ დაგვასხდნენ და დედა გვიტირეს!

II მინისტრი (გააფთრებული უყვირის): — ჩემი კი არა, თქვენი! აი, ასეთი სიგიჟეების და სისულელეების ბრალია, მთელი ცხოვრება ჯერ რო აკეთებთ და მერე რო ფიქრობთ, თქვენ დაანგრიეთ ეს ქვეყანა, თქვენი... გაჩერდი ახლა... (ძალიან შინაურულად) გაჩერდი, დედას გაფიცებ, და გადაგარჩენ. მე ვიღებ ჩემს თავზე...

II მებრძოლი (ნაღვლიანი ღიმილით): — რას იღებ იუზგარ, შენც ხომ იცი, ცოცხლად თუ ჩამიგდეს, წამებით ამომხდიან სულს...

მეფე (ტრიბუნის უკნიდან, ცოტა იმედიანად): — არაა!.. იღეებს! კიი!.. არ მომკლაა!.. მიშველეეთ!.. საერთაშორისო საზოგადოებაავ!.. წავიდეეს!..

II მებრძოლი (II მინისტრს): — ამას როგორ ვენდო ბიჭო, ლეტნად არის, ან თქვენ როგორ უსმენთ, ვერ ხედავთ, რო ერეკება?

II მინისტრი: — მოკლედ მომისმინე, მომისმინე, მე ვიღებ პასუხისმგებლობას, ჩემს თავზე ვიღებ ყველაფერს. დადე ეგ ჟანგიანი ხანჯალი და გადი. ოღონდ მერე უნდა წახვიდე და სამუდამოდ გაქრე... (II მებრძოლი ყოყმანობს, გამომცდელად უყურებს II მინისტრს) დამიჯერე, მეტი გზა აღარა გაქვს, თვითონვე მოიყოლე თავი ბლოკში. (მტკიცედ) დადე ხანჯალი, მე გიდგები თავდებში...

II მებრძოლი (ისევ გამომცდელად): — დაიგინე!..

II მინისტრი (ეგრევე): — ბოზიშვილი ვიყო!..

(II მებრძოლი ისევ ყოყმანობს, მერე ფრთხილად, ნელა დებს ხანჯალს იატაკზე)

I მინისტრი (მტკიცედ, მშვიდად და საქმიანად): — ჩაფრებო, დააკავეთ ტერორისტი! (ჩაფრები მებრძოლს ეცემიან, ხელებს გადაუგრიხავენ და კულისებისკენ მიათრევენ. ტრიბუნასთან დარჩენილი ჩაფრები მეფეს ააყენებენ. გვირგვინს მოძებნიან და ისევთავზე ახურავენ).

II მებრძოლი (II მინისტრს, ზიზღით და დაცინვით): — შე ახვარო!..

II მინისტრი (გამწარებული და გაღიზიანებული): — შე ახვარო კი არა, რა სულელებიც იყავით, ის სულელები დარჩით და ამიტომაც მოიგეთ რამე. თქვენი ძეცკი სადი... დაიგინე არა ისა, ხანჯალი!.. 20 წლის განმავლობაში ხანჯლის მეტი ვერაფერი მოიფიქრეს. შურდულით მოდით კიდევ!..

II მებრძოლი (აგდებით, ზიზღით და თან დანანებით): — შე ახვარო!.. შენი შემწერი!..

(ჩაფრებს ცემით გაჰყავთ მებრძოლი კულისებში. II მინისტრი უცნაურად, გულდაწყვეტილი უყურებს ამ ყველაფერს და თავჩაღუნული გადის საპირისპირო მხარეს. მას მაგიდის ქვეშიდან გამომძვრალი III მინისტრიც მიჰყვება).

მეფე (ისევ ამაყად დგება ტრიბუნასთან, მაგიდასთან მხოლოდ სმენაზე გაჭიმული I მინისტრი და IV ჩაფარი რჩება): — და აი მე, თქვენს უბრწყინვალეს მეფეს, თვით ჩემს უდიდებულესობას, მსურს კიდევ ერთხელ მოგილოცოთ თქვენი მეფის, ჩემი კიდევ ერთი დიდი გამარჯვება, რეალურად! (ბავშვური აღფრთოვანებით და გულწრფელი აღტაცებით) თქვენ ყველამ საკუთარი თვალით ნახეთ და დარწმუნდით თქვენი ხელმწიფის უძლეველობაში, მის ღვთაებრივობაში, სიმამაცესა და ძალ-გულოვნებაში. თქვენს თვალწინ მე, ჩემმა უდიდებულესობამ, კიდევ ერთი განსაცვიფრებელი გმირობა ჩავიდინე და ნეკა თითის ერთი მოქნევით ძირს დავანარცხე ამ მკვლელების, ბანდიტებისა და მოღალატეების მთელი ხროვა... ჰა, ხომ ნახეთ? (I მინისტრი და IV ჩაფარი ისევ ისე დგანან სმენაზე დაჭიმული, მეფე შეშფოთებული და გაღიზიანებულია) — რა, ვერ დაინახეთ? რას გაჩუმებულხართ?.. ვერ ნახეთ, რომ მე, თქვენმა მეფემ ხელის ერთი მოქნევით... (მეფე სულ უფრო და უფრო ნერვიულდება).

(I მინისტრი ხელით ანიშნებს ოთხივე ჩაფარს).

ყველა ერთხმად: — რა თქმა უნდა დავინახეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენო მეფეო, ხელის ერთი მოქნევით როგორ დაამარცხეთ მოღალატეთა მთელი ჯარი!..

მეფე (მოხასიათებული და აღფრთოვანებული): — ხელის კი არა, თითის!..

I მინისტრი და ოთხივე ჩაფარი (ისევ ერთხმად): — დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენო დაუმარცხებელო ხელმწიფევ, თითის ერთი მოქნევით დაამარცხეთ მთელი ჯარი!..

მეფე (გამომცდელად): — ნეკა თითის!..

I მინისტრი და ოთხივე ჩაფარი (აშკარად გაბეზრებულები მოუსვენრად წრიალებენ და უკვე არეულად გაჰყვირიან): — დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, ნეკა თითით ჩვენო მეფეო, მოღალატეები და მკვლელები, თქვენო ბრწყინვალებავ, უთვალავი მოღალატე და მკვლელი, თქვენო უძლეველობავ, მარტომ, თქვენი სწორუპოვარი გმირობის ანაბარა თქვენო უმთავარსარდლესობავ!

მეფე (ამაყად მოიღერებს ყელს): — ახ და რა გეშველებოდათ უჩემოდ? რა დღეში იქნებოდით, მე რომ არ ვყოფილიყავი? (გამომცდელად უყურებს).

I მინისტრი და IV ჩაფარი: — თქვენს მტერსა და მოღალატეს, ჩვენ დღეში ვიქნებოდით. თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენო მეფეო!.. ვაშა, სამგზის ვაშა ჩვენს ბრწყინვალე ხელმწიფეს! (ვაშას ძახილით ტაშს დასცხებენ).

მეფე (მორცხვად): — არ არის საჭირო, არ არის... (მრისხანედ) რაც შეეხება ამ შავ-ბნელი და ჩამორჩენილი, ოროსანი და წარსულის გადმონაშთი მკვლელების ხროვას, მათ დაუყოვნებლივ ჩამოახრჩობენ ჩემი მძვინვარე ჩაფრები მთელს მსოფლიოში ყველაზე მაღალ სახრჩობელაზე. მთელს გალაქტიკაში და მთელს სამყაროშიც ყველაზე მაღალ სახრჩობელაზე, რომელიც თქვენმა მეფემ ააშენა და აამაღლა ცამდე, აი აქამდე! (ხელით ანიშნებს) რათა დაუნდობლად და ყოველგვარი ტოლერანტობის გარეშე... (უცებ თვალებს აბრიალებს) არ დავინახო ჩემს სამეფოში არავითარი სიბრალული, დანდობა და ტოლერანტობა. დაუყოვნებლივ ჩამოახრჩვეთ ყველა, ვინც არ მიყვარს და არ მომწონს და მით უფრო ისინი, ვისაც მე არ ვუყვარვარ და არ მოვწონვარ. ჩვენ, მე, სულს ამოვხდით მაგ ნაძირლებს. არავითარი დანანება და დათმობა, იმას, ვისაც თავისი მეფე, მე, ჩემი უდიდებულესობა ძალიან არ უყვარს და მისი ერთგული არ არის. (გულწრფელად გაოგნებული და აღშფოთებული) როგორ შეიძლება საკუთარი მეფე, მერე ასეთი წარმტაცი, ბრწყინვალე და წარმატებული, ასეთი უძლეველი მთავარსარდალი სულითა და გულით არ გიყვარდეს, არ მოგწონდეს და აღფრთოვანებული და აღტაცებული არ იყო მისით? მისი ერთგული არ იყო? რაშია აბა საქმე? გშურს?.. გშურთ?.. შურით იწყება ნებისმიერი ღალატი და ერთგულება. ყველა შურიანი და ორგული ხაროში და ეშაფოტზე... მე კი, მე, თქვენი უდიდე-

ბულესობამ და ბრწყინვალე ხელმწიფემ, მთელს მსოფლიოში ყველაზე ხელმწიფემ!.. (მოულოდნელად ექსტაზში ჩავარდება და ორივე ხელს დაიკოცნის იდაყვებამდე, მერე გვირგვინს ჩამოიღებს, იმასაც ერთი კარგად ჩაკოცნის და ისევ დაიმხობს თავზე.) — დიახ, ასე რომ შურიანების, მოღალატეების, ორგულების და მკვლელების საქმეც გამოვიძიე. საქმე დახურულია. აჰა, პირველო მინისტრო, (I მინისტრს ცარიელ ხელს უწვდის ჰაერში, I მინისტრიც ვითომ საქმეს ართმევს, დაბლად უკრავს თავს და თავის ადგილას ბრუნდება. მეფე ყურში თითს გაიკვეხებს და კუნტრუშ-კუნტრუშით გადის სცენიდან. ოთხივე ჩაფარი ტრიბუნას სტაცებს ხელს და უკან მიჰყვებიან). ვყიდე მინდვრები, ვყიდე ჭალები, ჩემი რა არი... ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერიიიი... (უკვე კულისებიდან ისმის მეფის ხმა) სად არის ჩემი მფრინავი ხალიჩა, რაღაც ამ გამარჯვებულს და დაღლილ-დაქანცულს ნავარდი მომესურვილა, თქვენ იცით, დღეს რამხელა გამარჯვება მოვიპოვე, ჰა? დღეს დიდგორზე დიდ ბრძოლაში გავიმარჯვე! (უცებ ძალიან განრისხებული) და საერთოდ, რას შეჭამეთ ამ თქვენი დიდგორით გული, როდემდე ჰა?.. არა, ამის მოთმენას აღარ ვაპირებ!. დიდგორი, დიდგორი, დაუყოვნებლივ მომაშორეთ აქედან, გადაიტანეთ ან გადადგით სადმე ჯანდაბაში ეგ თქვენი დიდგორი. დაუყოვნებლივ!..

(სცენაზე მხოლოდ I მინისტრი რჩება, რომელიც იმავე მაგიდასთან ზის და ქაღალდებში იქექება, მერე სივრცეში თვალებგაშტერებული იყურება.)

I მინისტრი: — ვახ! რა გვეშველება? ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერაფერი... გამოსავალსაც ვეღარ ვხედავ, ძალიან დავიღალე, შეიძლება გავგიჟდე, ან იქნებ უკვე მეც გავგიჟდი და ვერც ვხვდები? მართლა ძალიან შევტოპე, საერთოდ რა მინდოდა? რათ მინდოდა? არა, როგორ არ მინდოდა, მაგრამ გადავიწვი, აქეთ ეს, იქით ისინი, და რაც ყველაზე უარესია... (ჩაფიქრებული იმეორებს) „აჰა, საცაა ხე წაიქცევა, ზედ კი ჩიტები უზრუნველად თხზავენ ბუდეებს.“ ნუთუ ყველაფერი დამთავრდა, ნუთუ ყველაფერი მთავრდება? ეს იდიოტები და მეც ამათში ყველაზე დიდი იდიოტი... რა ვიჩი?.. რას ვხტუნაობთ?.. რაღას ვხტუნაობთ?.. რა ხდება? რა უნდა ვქნა? ღმერთსაც ხომ ვერ მოვუსმენ? რატომ?.. რისთვის? რას შვრება? რა ხდება?... რა ვიჩი? (უცებ თავს მაღლა სწევს და ძალიან შეშინებული, ჭერში პანიკურად აცეცებს თვალებს, თითქოს რაღაცას ეძებს) მარტო ის ვიცი, მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ ძალიან არის გაბრაზებული. საშინლად გაბრაზებული და განრისხებულია და გადაწყვეტილი აქვს! აქამდე თითქოს ყოყმანობდა. რა გვეშველება? ამათი დედაც ვატირე, მე რა მეშველება?.. მართლა აღარ ვიცი, რა გზას დავადგე, არ ვიცი კი არა, მართლა არ ვიჩი. არ ვიჩი და აი, არ ვიჩი და მორჩა...

(კულისებიდან ცეკვით, წრეზე ფრიალით და პროწიალ-პროწიალით გამოდის კუდიანი დედაბერი, I მინისტრს ქეჩოში ჰკიდებს ხელს და ასევე პროწიალ-პროწიალით გაჰყავს კულისებში. I მინისტრი ნებაწართმეული და მოშვებული, მოჯადოვებულივით მიჰყვება. კუდიანი დედაბერი ბრუნდება, ხელში ამჯერადაც დაირა და გველი უჭირავს და ისევე I სცენის მოქმედება მეორდება).

კუდიანი დედაბერი: — აწ კი იტირეთ და იგლოვეთ, მაგრამ გვიანია. ძალიან გვიანია. აღსასრული მოახლოებულია. თქვენი ტახტი დაილეწება, თქვენი ციხეები დაემხობა, თქვენი განძი გაქვავდება, ოქრო გაწყალდება, ვერცხლი გაშავდება, თქვენი ძალაუფლება გაქრება, როგორც გამქრალა ბევრი თქვენნაირის და თქვენზე მსუქნების ძალაუფლება, გამქრალა როგორც შარშანდელი თოვლი და შარშანწინდელი მზის ხვატი. თქვენ არ განიკითხეთ გლახაკი, არ შეიწყალეთ ცოდვილი და ობოლი და არ შეგებრალათ მოხუცი და ჩვილი, უღალატეთ თქვენს ძმას და გადაუარეთ სისხლსა და მირონს, თქვენ დასაჯეთ ქვეყანა, მოკალით მართალი და ახლა ნახეთ თქვენი მისაგებელი და მაგიერი, როცა თქვენი დრო მოვა, ნახეთ თქვენი საცოდაობა, როდესაც თქვენი საწყალობელი ბღავილი არე-მარეს შეაჯერებს ცხვრებო, ჯერ კი ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს, ცხვრები მოდიან მგლებზე სანადიროდ, მგლების გასაგლეჯად, ცხვრები გასუქდნენ, ცხვრები ძალიან გასუქდნენ, ცხვრები ტყავში ვეღარ ეტევიან. ცხვრებს თავყბა დაუმრგვალდათ. ძალიან გასუქდნენ და გაიზარდნენ მგლების სისხლითა და ხორცით. ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს. ცხვრებს დაავიწყდათ, რომ ცხვრები არიან, ცხვრებს დიდი ხანია

დაავიწყდათ, რომ ცხვრები არიან, ცხვრებს დიდი ხანია აღარ ახსოვთ, რომ ცხვრები არიან. ცხვრებს ძალიან დიდი ხანია აღარ ახსოვთ, რომ ცხვრები არიან. იმიტომ, რომ მართლა ცხვრები არიან და აღარ ეშინიათ. აღარავის აღარ ეშინიათ. აღარაფრის აღარ ეშინიათ. ცხვრები მოდიან. სცემენ დაფდაფებს. იმიტომ, რომ ყველაფერი შეჭამეს, თითქმის ყველა მგელი შეჭამეს, მგლები გადაშენდნენ, მგლები გაწყდნენ, ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს, ცხვრებმა მგლები გადააშენეს, ცხვრებმა მგლები გაწყვიტეს, ცხვრებმა მგლები შეჭამეს და ახლა მოდიან გამარჯვებული ცხვრები, მოდიან გამარჯვებული და მგელიჭამია ცხვრის ფარები, მოაპაკუნებენ ჩლიქებს. ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს, მაგრამ იმ დაფდაფებზე მაგ ცხვრებისავე ტყავია გადაკრული. შეჭმული და გაგლეჯილი მგლები, სავსე მთვარით განათებულ ხეობებში არიან ჩასაფრებულები და მათზე მონადირე გასუქებულ და გამარჯვებულ ცხვრებს ელიან. ხადას ხეობის ვიწროებში არიან ჩამსხდრები და ელიან. ჩუმად ელიან. ცხვრებმა ნადირობა ისწავლეს, მგლებს კი დაავიწყდათ ნადირობა და ახლა ელიან შეჭმული მგლები, ჩუმად ელიან. სავსე მთვარესაც კი არ უყმუიან, ჩუმად ელიან, ჩუმად უელავთ შავ-ყვითელი და სახიფათოდ სუფთა, ცარიელი თვალები და თეთრი ეშვები და მოუთმენლად ელიან მათზე სანადიროდ წამოსულ, მსუქან და მძვინვარე ცხვრებს და ეს იქნება ცხვრების უკანასკნელი ნადირობა, რადგან მოახლოვდა, მოახლოვდა ჰე, ჰე, ჰე, ჰეი. სულ უფრო ახლოვდება. დაიწყო დროის ათვლა, დაიწყო. დედამიწა უკუღმა დატრიალდება, დედამიწა უკვე ბრუნავს უკუღმა. უკვე ყირავდება შვიდთაგან პირველი ლანკანი და ვიდრე მეექვსე მათგანი მდინარე ევფრატს და მეშვიდე კი ზეცას გადმოემხობდეს, ბევრ მხიარულ და საინტერესო რამეს ვნახავთ. ჰე ჰე ჰეიიიიიი!.. ძალიან ბევრ მხიარულ და საინტერესო რამეს, ძალიან ბევრ ლხინსა და მეჯლისს. ცა შუაღამისასაც კი თეთრად და ალისფრად იკაშკაშებს, მაგრამ ეს ცხვრებმა არ იციან. იმიტომ, რომ ცხვრები არიან, გამარჯვებული ცხვრები. ცხვრები გამარჯვებას ზეიმობენ. ცხვრები უკუღმა დაბრუნებულ დედამიწაზე მარშით მოდიან. მოაპაკუნებენ ჩლიქებს, ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს, მაგრამ იმ დაფდაფებზე მაგ ცხვრებისავე ტყავია გადაკრული. ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს, მაგრამ იმ დაფდაფებზე მაგ ცხვრებისავე ტყავია გადაკრული. ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს!..

(დასასრული)

ლულუ დადიანი

«FAMME FATALE»
ანუ
ლუ ანდრეას-სალომე
(1861-1937)

I

გახსნილი ვიყავ მეტისმეტად, სულ დავივიწყე,
რომ მიღმა მხოლოდ საგნები და საკუთარ წიაღს
შეგუებული ცხოველები კი არ არიან,
რომელთა თვალი მათი ყოფის მორკალულ ზღუდეს,
როგორც სურათი ჩარჩოს სამანს თავს ვერ დააღწევს;
რომ თითეული გამოხედვით ვიხვეჭდი ჩემში
მე დღენიადაგ: აზრს, მზერას, ცნობისმოყვარეობას.

ვინ იცის, იქნებ სივრცეში თავად ისახებიან
თვალები და გვითვალთვალებენ. ო, მხოლოდ შენსკენ
ლტოლვა-წადილი ვერ ამჟღავნებს ჩემს ნამდვილ სახეს,
შენთან შერწყმული, იგი ბნელი და იდუმალი,
განაგრძობს ყოფნას უსასრულოდ, დაცულ შენს გულში.

II

ვით ხილაბანდით იოკებენ ყელსმომდგარ სუნთქვას,
არა: არტაშანს რომ აკრავენ იმ ღრმა ჭრილობას,
რომელსაც უმალ შეუძლია მოწყლას სიცოცხლე,
ასე გიკრავდი გულში მკვიდრად: გხედავდი ჩემი
სისხლით აღბეჭდილს. აღწერს კი ვინმე, ან გამოთქვამს,
თავს რაც დაგვატყდა? გვსურდა ერთბაშად ამოგვეგო,
რაც გამოვტოვეთ — დრო დაკარგული.
მე უცნაურად ვმწიფდებოდი, ვეთხოვებოდი
ჩემს სიყმაწვილეს, შენ კი ძვირფასო, ეუფლებოდი
უზომოდ ველურ, ჩემი გულის უცნაურ ყრმობას.

III

აქ მოგონება არ კმარა მხოლოდ, იმ წუთებიდან
ჩემს ფსკერზე უნდა დაილექოს ყოფიერება
წმინდა, ხალასი, განუზომლად ნაჯერი ხსნარის.
შენი წყალობით არ *ვიხსენებ* და არ მაღელვებს,
რა *ვარ*. ვერ შეგთხზავ კაეშნიან ცივ გარემოში,
შენ რომ დატოვე; მაშინაც კი, აქ თუ არა ხარ,
მაინც იგრძნობა სითბო შენი და ხარ უზომოდ
უფრო ნამდვილი და სასურველი. მე მონატრებას
ვერ ვარქმევ სახელს. თავს რად გავექცე მაშინ, თუ ჩემთვის,
გავლენა შენი მსუბუქია, ვით მთვარის შუქის ანარეკლი
სარკმლის მინაზე.

ქვეტექსტებით დატვირთული ეს ლექსი რაინერ მარია რილკემ მიუძღვნა ლუ ანდრეას სალომეს, ღრმა სულიერებით აღბეჭდილ შემოქმედ ქალს, რომელზედაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპული აზროვნების ხორცშესხმული განსახიერება იყო, ფიგურა, რომელიც თავისი დროის ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანებთან მეგობრობდა და გარკვეულ გავლენასაც ახდენდა მათ პიროვნებასა და აზროვნებაზე. მას ხშირად «უნებურ femme fatale»-საც კი უწოდებდნენ, რადგან ამის საბაბს მისი მღელვარე ცხოვრება და ისეთ გამოჩენილ მამაკაცებთან არაორდინარული დამოკიდებულება იძლეოდა, როგორებიც იყვნენ: ნიცშე, რეე, ფროიდი, რილკე...

ლუ (ლუიზა) სალომე დაიბადა სანკტ-პეტერბურგში 1861 წლის 12 თებერვალს. მამა — გენერალი გუსტავ ფონ სალომე წარმომავლობით ჰუგენოტ-პრუსიელ-ბალტიელ თავად-აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა და მისი უსაყვარლესი ერთადერთი უმცროსი ქალიშვილის ლუს (ლუს 5 ძმა ჰყავდა) დაბადებისას 57 წლისა იყო. დედა — ლუიზა ვილმი — გერმანელი, ხოლო მისი წინაპრები კი, გარდა გერმანელებისა, დანიელებიც იყვნენ, ასე რომ ლუს პატარაობიდანვე უხდებოდა სხვადასხვა ეროვნების ნათესავებთან ურთიერთობა, სწავლობდა გერმანულ, ფრანგულ, რუსულსა და ინგლისურ ენებს. თავიდან მან თვითგანათლებას მიჰყო ხელი, შემდეგ კი სწავლა ციურიხის უნივერსიტეტში განაგრძო.

გუსტავ ფონ სალომეს ოჯახი ღრმა რელიგიურობით გამოირჩეოდა, მაგრამ წამოიზარდა თუ არა ლუიზა, იგრძნო, რომ მის რწმენას ბზარი გაუჩნდა და ამის გამო შიშმაც კი შეიპყრო. თუმცა მთელი ცხოვრების მანძილზე მაინც ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული „ღვთისმოსავი ადამიანების“ მიმართ. გახდა თუ არა თექვსმეტი წლისა, Леля-მ, ასე ეძახდნენ მას ოჯახის წევრები, დაიწყო კონფირმაციის მეცადინეობებზე დასწრება ევანგელისტურ-რეფორმისტულ ეკლესიაში. სარწმუნოებრივი მოძღვრების იქ გამეფებული მკაცრი დოგმატიზმი, რომლის თავგადაკლული მიმდევარი იყო კონსერვატიული პასტორი, გვარად დალტონი, მწვავე წინააღმდეგობის გრძნობას იწვევდა ყმაწვილი ქალის პიროვნებაში, მაგრამ იგი, იმ დროისათვის უკვე მძიმე ავადმყოფი მამის სიყვარულისა და პატივისცემის გამო მეცადინეობებს მაინც ესწრებოდა, კონფირმაციაზე კი შეუვალი და მტკიცე უარი განაცხადა, თუმცა მამისთვის გულისტკენა რომ არ მიეყენებინა, ეკლესიასთან კავშირი საბოლოოდ არ გაუწყვეტია. ერთხელაც მან სხვა ეპარქიის მღვდელმსახურის, ჰოლანდიელი პასტორის, ჰენდრიკ გილოტის ქადაგებას მოუსმინა. ამ რაციონალისტი პასტორის ქადაგებამ, რომელიც იმხანად მთელს პეტერბურგში საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ, გოგონაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ლუიზაზე 25 წლით უფროსმა მართლაც ბრწყინვალე ორატორმა გილოტმა იმდენად მომნუსხველად იმოქმედა მასზე, რომ 1878 წლის მაისში ლუიზამ პასტორს შემდეგი წერილი გაუგზავნა:

*„თქვენ გწერთ 17 წლის გოგონა, რომელიც საოცრად მარტო გრძნობს თავს ოჯახსა და საკუთარ გარემოცვაში, იმ თვალსაზრისით, რამ არავინ იზიარებს მის მოსაზრებებს, აღარაფერს ვამბობ, რომ მე ჩემში, ყოვლისმომცველი ცოდნისკენ მისწრაფებას ყოველნაირად ვთრგუნავ. ალბათ ის, რაც ჩვენს წრეში, ჩემი თანატოლებისგან განყენებულ, ეულ მდგომარეობაში მაყენებს, არის სწორედ აზროვნების ჩემეული სტილი. ახალგაზრდა ქალიშვილისათვის კი აქ არაფერია იმაზე უარესი, თუ იგი სიმპათიებისა და ანტიპათიების, მის არსსა და შეხედულებებში საზოგადოდ მიღებულ წესებს გადაუხვევს, და რა მწარეა, იყო ჩაკეტილი საკუთარ თავში...“**

თავდაპირველად პასტორი გოგონას მალულად ასწავლიდა. მამის გარდაცვალების შემდეგ, ლუ დედას გამოუტყდა მისი და პასტორის ფარული შეხვედრების შესახებ და ეკლესიაში სიარულსაც თავი დაანება. დედამ გილოტი თავისთან იხმო, ამ უკანასკნელმა კი იგი იმაში დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო უნიჭიერეს მოსწავლეს მეცადინეობა გაეგრძელებინა. პასტორი ლუს ინტელექტს დიდად აფასებდა და ყველაზე რაციონალური მეთოდებით ცდილობდა მისი ნიჭის განავითარებას. ლუ თავდაუზოგავად, ლამის გაძლებამდე მეცადინეობდა. ხშირად იგი პასტორის მაგივრადაც კი წერდა ქადაგებებს. ცოტა ხნის შემდეგ მასწავლებელი გამოუტყდა ლუს — ეს სახელიც ხომ მან შეარქვა გოგონას, ვინაიდან „Леля“-ს გამოთქმა უჭირდა, — რომ შეუყვარდა და ოჯახის დატოვებასაც კი აპირებდა, რათა ცოლად მოეყვანა იგი. ამან გააოგნა და შეაშინა ლუ, მას ხომ მხოლოდ მოსწავლედ ყოფნა სურდა. და რადგან შექმნილი ვითარება

ამის საშუალებას აღარ აძლევდა, გადაწყვიტა სწავლა უცხოეთში გაეგრძელებინა. თუმცა ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უდავო ფაქტი, რომ მამა და პასტორია ის ორი ადამიანი, რომლებმაც ღრმა კვალი დააჩნიეს ლუ ანდრეას-სალომეს პიროვნებასა და მის ბედ-იღბალს.

ლუს ცოტა დრო როდი დასჭირდა იმისათვის, რათა საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დედამისი და სხვა ახლო ნათესავები დაერწმუნებინა. ოჯახისგან საბოლოო თანხმობას მხოლოდ იმ პირობით მიაღწია, რომ კომპანიონად მას დედა გაჰყვებოდა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა სწავლის გასაგრძელებლად შვეიცარიაში გამგზავრებულიყო, მაგრამ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები მას პასპორტის გაცემაზე უარს ეუბნებოდნენ იმ მიზეზით, რომ კონფირმაცია არ ჰქონდა გავლილი, ანუ იგი ამ დროს ოფიციალურად არცერთი რელიგიური საზოგადოების წევრი არ იყო. აქაც გილოტმა უშველა. მან ლუს ჰოლანდიაში, თავისი მეგობარი პასტორის ეკლესიაში მიაღებინა კონფირმაცია, აკურთხა და სახელად ლუ ფონ სალომე უწოდა. ასე და ამგვარად, პასტორმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის პირად ცხოვრებაში, თუმცა, როგორც მამაკაცი, იგი მისთვის საბოლოოდ დაკარგული იყო.

1880 წლის სექტემბერში, ქვრივი ფონ სალომე და მისი ცხრამეტი წლის ქალიშვილი ციურიხში ჩავიდნენ. ლუს რა თქმა უნდა ბევრად უფრო ერჩია აპეკუნის გარეშე ყოფილიყო, მაგრამ ვერაფერი გააწყო. დედას სურდა, რაც შეიძლება მალე გაეთხოვებინა ქალიშვილი, ლუს კი სრულიად სხვა განზრახვა ამოქმედებდა. მას ცოდნის დაუფლების დაუოკებელი სურვილი არ აძლევდა მოსვენებას, მხოლოდ სწავლის წყურვილით იგი იმდენად იყო შეპყრობილი, რომ მაშინვე ჩაეწერა და შეუდგა შედარებითი რელიგიათმცოდნეობის, ფილოლოგიის, ფილოსოფიის, ხელოვნების ისტორიისა და საზოგადოების ისტორიის ლექციების მოსმენასა და შესწავლას.

უნივერსიტეტის მასწავლებლები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ახალგაზრდა სტუდენტ გოგონას, მაგალითად, თეოლოგიის პროფესორი ბიდერმანი დედამისს სწერდა:

„...თქვენი ქალიშვილი სრულიად განსაკუთრებული ყაიდის არსებაა. მას ახასიათებს ბავშვური სისპეტაკე და ნათელი გონება და ამასთანავე ჭკუისა და ნების სრულიად არაბავშვური და ლამის არაქალური მიმართულება და დამოუკიდებლობა, როგორც ერთის, ასევე მეორეს მხრივ იგი უბრალოდ ალმასივით ბრწყინავს...“

ლუ ისეთივე შეუპოვრობითა და ძალისხმევით მეცადინეობს, როგორც ამას პასტორთან სწავლისას აკეთებდა. მაგრამ ამავე დროს, როგორც ჩანს თანდაყოლილი ფიზიკური სისუსტე იჩენს თავს და ლუს სისხლნარევი ხველება ეწყება. ავადმყოფობა იძულებულს ხდის ჰავა შეიცვალოს. 1882 წელს დედა-შვილი რომს მიემგზავრება. სარეკომენდაციო წერილით ისინი მალვიდა ფონ მაიზენბურგის სახლსა და სალონს სტუმრობენ. დიასახლისი თავიდანვე გულითადი სიმპათიით განეწყობა ლუს მიმართ.

ამ გერმანელის სახლში, სადაც ლუმ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალთა თანასწორუფლებიანობის მიმართებით, იგი გერმანულ-ებრაული ოჯახის წარმომადგენელს, ოცდათორმეტი წლის პაულ რეეს გაიცნობს. ძალიან მალე, ამ დიპლომირებულ იურისტთან და ფილოსოფოსთან ლუს ახლო მეგობრული ურთიერთობა დააკავშირებს, ხოლო რეესთვის ეს მეგობრობა ქალიშვილის მიმართ სიყვარულში გადაიზრდება. ლუ აღფრთოვანებაში მოჰყავს საინტერესო თემებზე გამართულ დისკუსიებს ისეთი რთული ხასიათისა და მეტად თვითკრიტიკულ პიროვნებასთან, როგორიც პაულია, თუმცა მასთან ურთიერთობა მეგობრული გრძნობების საზღვრებს არასოდეს სცილდება. ორივენი, პაულის მეგობარ პროფესორთან და ფილოსოფოსთან ფრიდრიხ ნიცშესთან ერთად ოცნებობენ სწავლის ვენაში გაგრძელებაზე. ლუ ხშირად ერთსა და იმავე სიზმარს ნახულობს და პაულს უყვება: თითქოსდა იგი რომელიღაც დიდ ბინაში ორ მამაკაცთან ერთად ცხოვრობს და ისინი ინტენსიურად მუშაობენ ერთად, მაგრამ არცერთ მათგანთან მას ფიზიკური სიახლოვე არ აკავშირებს. ეს სიზმარი მოგვიანებით სხვადასხვა მითქმა-მოთქმის საგანი ხდება.

მაშინ, როცა ლუ „და-ძმურ“ ურთიერთობებზე ოცნებობდა, მისი ორი მეგობარი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოეხიბლათ უმშვენიერესი ქალიშვილი. ასეთმა ვითარებამ წარმოშვა მოსაზრება რუსეთში დაბრუნების თაობაზე, რათა ლუ განტვირთულიყო მეტისმეტი დაძაბულობისაგან და დამშვიდებულიყო. მაგრამ იგი ამის კატეგორიული

წინააღმდეგია და წერილში პასტორ გილოტს თხოვს რჩევას. პასტორი ეწინააღმდეგება ასეთ არაორთოდოქსალურ მოსაზრებას. ლუს ცხოვრებისეული პოზიცია ნათლად ჩანს სათაყვანო მასწავლებლისადმი მიწერილ წერილში:

„...ეშმაკმა დალახვროს, ნუთუ შეცდომა დავუშვი? მე კი მეგონა, რომ თქვენ სწორედ ახლა აღმავსებდით ქება-დიდებით, რადგან ამჯერად ძალმიძს დავამტკიცო, თუ რაოდენ კარგად ამითვისებია თავის დროზე თქვენი გაკვეთილები. ეს უპირველეს ყოვლისა დასტურდება იმით, რომ მე ოდნავადაც არ ვარ მხოლოდ შიშველ ფანტაზიაზე დამოკიდებული, ვცდილობ ხორცი შევასხა მას, და მეორეც იმით, რომ ეს იმ ადამიანების დახმარებით განხორციელდება, რომლებიც თითქოსდა მართლაც თქვენ შეარჩიეთ, — სახელდობრ აუწერელი სულიერებისა და მახვილი აზროვნების სიჭარბისგან რომ სკდებიან ლამის... მე ვერც კი შევძლებდი ჩემზე ამდენად აღმატებული, და არა მარტო ასაკით, ისეთი მამაკაცების შეფასებას, როგორებიც გახლავან რეე, ნიცშე და სხვები. აქ კი, თქვენ ცდებით. მთავარია... ჩაწვდე მაშინვე, ანდა არასდროს... თუკი ამის მიღმა სხვა საბოლოო მიზნები უნდა იგულისხმებოდეს, რომელთა გამო უნდა შეელიო ყველაზე დიდებულსა და ასეთი ძალისხმევით მოპოვებულს, სახელდობრ თავისუფლებას – მაშინ მე მზად ვარ სამუდამოდ ჩავრჩე გარდამავალ მდგომარეობაში. ის, რაც მე თქვენგან ყველაზე მეტად მჭირდება, — წარმოუდგენლად მეტია, ვიდრე რჩევა-დარიგება, მე ნდობა მესაჭიროება...“

ამასობაში ამ დრამის სამივე პროტაგონისტს უცნაური ვნებათაღელვა ეუფლება. ისინი მოგზაურობენ: ზოგჯერ სამივე ერთად, ზოგჯერ კი მხოლოდ ორნი, ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, ასევე ხშირად წერილებით ეხმიანებიან ერთიმეორეს. ნიცშეს და ელისაბედი, ლუს მეტოქედ აღიქვამს და ეჭვიანობს მასზე. სწორედ ამ დროს (1882 წლის მაისი), გამოჩნდება ლუცერნში ნიცშეს ინიციატივით გადაღებული, სავალალოდ ცნობილი ფოტოსურათი, რომელზედაც სამივე ერთად არიან აღბეჭდილნი და რომლის გამოც ლუ და რეე უხერხულად გრძნობდნენ თავს. მოგვიანებით ამ სურათს შეცდომით მიიჩნევდნენ ნიცშეს გესლიანი გამონათქვამის წყაროდ: „ქალთან მიდიხარ? მათრახის წაღება არ დაგავიწყდეს!“

პაულისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ლუ ნიცშეს ასე იხსენიებს:

„...არაჩვეულებრივად საინტერესოა ნ.-სთან საუბარი... სრულიად განსაკუთრებული მშვენიერება კი, აზრების, შეგრძნებათა და ცნებების თანხვედრაში მდგომარეობს. სიტყვის წარმოთქმისთანავე ვუგებთ ერთმანეთს. ამით გაღიზიანებულმა ერთხელაც მითხრა: „მგონია, რომ ერთადერთ განსხვავებას ჩვენ შორის ასაკი განსაზღვრავს. ჩვენ ერთნაირად ვცხოვრობდით და ერთნაირად ვფიქრობდით...“

მისი აზრით, სწორედ ჩვენ შორის ასეთი მსგავსების გამო იგი გაგულისებული უსვამდა ხაზს ჩვენ შორის სხვაობას. თუკი ადამიანები ისე არ გვანან ერთმანეთს, როგორც მე და შენ, ისინი პოულობენ შეხების წერტილებს და ხარობენ ამით, და თუკი ისე გვანან, როგორც ჩვენ ვგავართ ნ.-ს, მაშინ განსხვავებებს ეძებენ და იტანჯებიან ამის გამო...“

ნიცშე ლუს „...ქალთა შორის უინტელიგენტესად“ მიიჩნევდა. მას შემდეგ, რაც ვერ გახორციელდა ერთობლივად სწავლების ჩანაფიქრი, იმედგაცრუებული ფილოსოფოსი წერს თავის საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებს „ასე იტყოდა ზარატუსტრა“. სამი წლის შემდეგ კი, ახალგაზრდა მწერალი ქალი, რომელიც ამ დროს ნიცშეს იდეების ზეგავლენას განიცდის, ჰენრი ლუს ფსევდონიმით აქვეყნებს თავის ნაშრომს „ღმერთისთვის ბრძოლაში“.

ყოველივე ამის შემდეგ ლუ ცხოვრებას იწყებს ბერლინში, ერთ ბინაში პაულთან ერთად, ოღონდ ამჯერად დედის გარეშე. მათი ურთიერთობა რაღაც „და-ძმური მეუღლეობის“ ურთიერთობას ემსგავსება, რაზედაც რეე მხოლოდ იმის გამო თანხმდება, რომ მას ძალიან უყვარს ლუ და კვლავაც აქვს იმის იმედი, რომ მის გულს საბოლოოდ მოინადირებს. მაგრამ მალე მათ შორის უთანხმოება იჩენს თავს, ვინაიდან არავის სჯერა მათი უმანკო ურთიერთობისა. ამ პერიოდში ლუსა და რეეს სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეებთან აქტიური ურთიერთობა აკავშირებთ. ახალგაზრდა, არაორდინარული მომხიბვლელი ქალი ხშირად მარ-

ტოა მამაკაცებს შორის შეხვედრებზე, თუმცა მარტო ამ გარემოების გამო როდია იგი ყურადღების ცენტრში. იგი ყველგან და ყოველთვის გარემოცულია საყოველთაო აღტაცებით, სიყვარულითა და პატივისცემით.

რეესთან თავის ურთიერთობას ლუ მოგვიანებით აღწერს მოგონებებში, — „განცდილის თვალსაწიერიდან“:

„მე და პაული შეგვახვედრა არა ორმხრივმა სურვილმა მცირე ხნით ვყოფილიყავით ერთად, არამედ იმან, რაც სამუდამოდ აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან. ჩვენ ეს შესაძლებლად მიგვაჩნდა იმდენად, რომ არ გვაშინებდა დაუძლეველი წინააღმდეგობები, რაც ასე შეესაბამებოდა მის ბუნებას და მას უკეთილშობილეს უნიკუმად აქცევდა. ის, რაც მე გამოუცდელი ბავშვური მიამიტობით ბუნებრივად და თავისთავად ცხადად მიმაჩნდა, სინამდვილეში რაღაც განსაკუთრებული იყო... და დღემდე ულმობლად მღრღნის დარდი, როდესაც ვფიქრობ იმ კურნებაზე, რომელიც მას შეეძლო განეცადა, ფროიდის ქვეცნობიერის კვლევის მეთოდი რამდენიმე ათწლეულით ადრე რომ გამხდარიყო ცნობილი...“

თუ რა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ლუ მის თანამედროვეებზე, განსაკუთრებით კი მამაკაცებზე, კარგად ჩანს ერთ-ერთი სწავლულის წერილიდან მალვიდა ფონ მაიზენბურგისადმი:

„...ჩემს წინ წარმოდგა მშვენიერი, მომაჯადოებელი, ჭეშმარიტად ქალური გარეგნობის არსება, რომელსაც სრულიად არ ესაჭიროება ის საშუალებები, რომლებსაც ხშირად მიმართავენ ქალები, მაგრამ ხელეწიფება ფლობდეს მამაკაცების იარაღს, რომელსაც ისინი სიცოცხლის შესანარჩუნებელ ჭიდილში იყენებენ, ეს კი ერთგვარ მკაცრ განსაკუთრებულობას ანიჭებს მას... მისი ყოველი სიტყვა ზუსტი და ცხადია, მაგრამ რაც უფრო აშკარად ვლინდება მისი ხასიათი ამა თუ იმ მიმართულებით, მით უფრო ცალმხრივად აღიქმება ეს უკანასკნელი სხვათა მიერ. მასთან საუბრის საგანი უპირატესად მუსიკა, ხელოვნება და პოეზიაა, თუმცა ყოველივე ეს სრულიად განსაკუთრებული მასშტაბით იზომება: არა ესთეტიკური აღფრთოვანება, არა ფორმებით ტკბობა, არა შინაარსით გატაცება, არა სულიერი სიამოვნება, არამედ ცივი, ანატომიურად ფილოსოფიური ანალიზი... მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ის სწორ გზაზე დგას... და რომ ამ ნიჭიერებით უხვად დაჯილდოებული გოგონასგან სრულიად გამორჩეული პიროვნება დადგება...“

ლუ გაიცნობს აღმოსავლეთმცოდნე ფრიდრიხ კარლ ანდრეასს, ჯვარს იწერს მასზე, მაგრამ არ სურს მეგობრული ურთიერთობა გაწყვიტოს პაულთან. 1887 წელს ლუ ცოლად მიჰყვება ანდრეასს, იმ პირობით, რომ მათ შორის მხოლოდ „და-ძმური კავშირი“ იქნება. ლუმანი, როგორც მოგვიანებით შეარქვეს ანდრეასს, თვითმკვლელობის მუქარით აიძულებდა ლუს დაქორწინებას. სიცოცხლით სავსე კარლი, მიუხედავად იმისა, რომ ლუზე თოთხმეტი წლით იყო უფროსი, იმედოვნებდა, რომ ქორწინებით მაინც მიაღწევდა მასთან ფიზიკურ სიახლოვეს. მაგრამ იგი იმთავითვე ცდებოდა. ერთხელაც ლუს დაუფლების მცდელობის დროს, შეუვალმა ლუმ ლამის დაახრჩო იგი. მიუხედავად ასეთი უთანხმოებისა, მოგვიანებით მაინც გამოიძებნა ორივესათვის მისაღები გადაწყვეტილება. მათ მოილაპარაკეს შეენარჩუნებიათ ცოლ-ქმრული ურთიერთობის გარეგნული სახე, ერთიმეორისათვის შინაგანი თავისუფლების ხელყოფის გარეშე. ამიტომ ლუ ყველანაირად ცდილობდა მისი სასიყვარულო კავშირების შესახებ მითქმა-მოთქმას მეუღლის ყურამდე არ მიეღწია. ლუს არ სურდა მისი კომპრომეტირება. ოფიციალურ განქორწინებაზე კი არც არასოდეს უფიქრია. ვინ იცის, რამდენ მამაკაცს მოუწია ასეთი გადაწყვეტილების გამო ტანჯვა-წამება. ეულად ყოფნა კარლს მოსამსახურე ქალმა გადაატანინა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ ბავშვიც იყოლიეს. ცოლ-ქმრული ურთიერთობისადმი არაორთოდოქსალურ მიდგომას ხსნის ლუს სიტყვები:

„...ანუ საქმე ეხება იმის გაცნობიერებას, ნიშნავს თუ არა ქორწინება ერთიმეორეში (და არა ერთმანეთთან) ცხოვრებას, სახელდობრ ლამის რელიგიური, თუნდაც იდეალური მნიშვნელო-

ბითაც კი. თავისთავად სიყვარული, რა თქმა უნდა, არ არის რაღაც წმინდად იდეალური რამ, — მაგრამ მე, ღმერთმანი, არასოდეს მესმოდა, რატომ ქორწინდებიან ადამიანები, რომლებიც უმეტესწილად მხოლოდ ვნებით ილტვიან ერთმანეთისაკენ...“

ლუ ერთიანდება ბერლინისა და პარიზის შემოქმედებით წრეებში. ალმა მალერ-ვერფელისაგან განსხვავებით იგი არ გაურბის ქალებთან მეგობრობას, მაგალითად, ფრიდა ფონ ბიულოვთან ერთად იგი მიემგზავრება პეტერბურგში. 1895 წლის აპრილში ლიტერატურული ვენა ლუს თავის წრეში აერთიანებს. აქ იგი ეცნობა ა. შნიცლერს, ჰ. ფონ ჰოფმანსტალს, ფ. ზალტენს, რ. ბეერ-ჰოფმანს, პ. ალტენბერგს, აგრეთვე ქალთა თანასწორულებიანობის დამცველთ — მარია ლანგსა და მარია ფონ ებნერ-ეშენბახს. ლუს მათ პიროვნებაში აღაფრთოვანებს შემოქმედებითი და ჭეშმარიტი ქალური საწყისების სიმბიოზი. 1897 წელს, მიუნჰენში შედგა ოცდათექვსმეტი წლის ლუსა და ოცდაორი წლის რაინერ მარია რილკეს ნაცნობობა. ეს იყო დიდი სიყვარულის დასაწყისი, რომელშიც სულიერი საწყისი სრულად შეერწყა ფიზიკურს. „მე შენში ვარ“, — წერს თავის ლექსში სიყვარულისგან თავბრუდახვეული პოეტი.

„...შენ მომეგებე მშვენიერის თანაზიარო,
ზაფხულის წვიმავ, გაზაფხულის სუნთქვავ, ნიავო,
ღამევ ივნისის, უსამანო, ათასგზიანო,
შარავ, ჩემამდე შეუვალ ტევრში,
მე ვგიებ შენში!“

პოეტისადმი მიწერილ თავის ერთ-ერთ წერილში ლუ ადასტურებს:

„...ჩვენ მეუღლეები უფრო ადრე გავხდით, ვიდრე მეგობრები, და დავმეგობრდით არა არჩევის, არამედ ფარულად აღსრულებულ ქორწინებათა გამო. ეს არ არის ის ორი ნახევარი, ერთმანეთი რომ იპოვა, არამედ ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი გაოცებული მთლიანობა გულის ფანცქალით შეიცნობს თავის თავს მეორე მოუხელთებელ მთლიანობაში. ჩვენ ბედად გვეწერა და-ძმა ვყოფილიყავით, როგორც ეს იმ უხსოვარ დროს იყო, როცა ინცესტი ჯერ კიდევ არ იყო ცოდვად და მკრეხელობად ქცეული...“

რილკე ბერლინში გადადის საცხოვრებლად, რათა ახლოს იყოს საყვარელ ადამიანთან. მათ დაიწყეს რუსული ენის ინტენსიური შესწავლა, რაც ძალზე წაადგათ რუსეთში მოგზაურობის დროს 1899 წელს (სადაც ლუ თავის ქმართან ერთად იყო), და ტოლსტოისთან სტუმრობისას 1901 წელს.

რილკე მოხიბლა რუსეთმა, ლუმ კი ბავშვობასთან შეხვედრა განიცადა. პოეტი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთში ერთად მოგზაურობა, იქაური ჰაერი, ლანდშაფტი და ხალხი კიდევ უფრო განამტკიცებდა მის ურთიერთობას წარმტაც ქალთან. ლუ კი სულ უფრო და უფრო შორდებოდა მას, თუმცა ღრმა მეგობრული გრძნობები პოეტის გარდაცვალებამდე ძველებურად ცოცხლობდა მათში. დეპრესიების დროს, რილკე ყოველთვის მისი გამოცდილი მეგობარი ქალის მხარდაჭერას საჭიროებდა. მათ ინტენსიური მიმოწერა აკავშირებდათ, რაც შემდეგ წიგნადაც კი გამოიცა. ამ წერილებში მრავალი რამ ილექებოდა მათი ცხოვრების მანძილზე ნაგრძნობგანცდილისაგან და შეიძლება ითქვას, რომ ლუ პირველი მკითხველი იყო რილკეს ლექსებისა. იგი თავის პირუთვნელ შთაბეჭდილებასა და აღტაცებას მუდამ უზიარებდა პოეტს და ლუს მდიდარი გამოცდილება ახალგაზრდა რილკეზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდა:

„მას იზიდავდა ლუს ტემპერამენტი და ამასთანავე აღაფრთოვანებდა საოცარი დამაჯერებლობით აღბეჭდილი ის საუბრები, რომლებიც თვით ყველაზე უფრო ძნელად გადასაჭრელ დელიკატურ საკითხებს ეხებოდა... უწინარეს ყოვლისა, ფაქტი ფაქტად რჩებოდა – რუსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებები და ლუს პიროვნება ერთურთს შერწყმოდა და ურღვევ კავშირად ჩამოყალიბებულიყო“.

რილკესთან შეხვედრით გამოწვეული განცდების კვალი და ნიცშესთან ნაცნობობა ჯეროვნადაა ასახული ლუს მოგონებათა წიგნში.

1911 წელს, საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური საზოგადოების კონგრესზე ლუმ გაიცნო ზიგმუნდ ფროიდი. ამ შეხვედრამ განსაზღვრა კიდეც ლუს მთელი შემდგომი ცხოვრება.

„...იგი უბრალოდ დასცინოდა ჩემ დაუოკებელ მისწრაფებას, შემესწავლა ფსიქოანალიზი: იმ დროს ხომ არავინ ფიქრობდა საინსტიტუტო სწავლების კურსებზე. რამდენიმე ხანში კი, როდესაც მე ნახევარწლიანი დამოუკიდებელი მეცადინეობის შემდეგ, კვლავ წარვსდექი ფროიდის წინაშე ვენაში, მან გულიანად იცინა ჩემს გულუბრყვილო გადაწყვეტილებაზე, რომ მსურდა, მასთან ერთად ჩემი ხელმძღვანელი ადლერიც ყოფილიყო (ამ დროისათვის ფროიდი და ადლერი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ — ლ. დ.). ბოლოს და ბოლოს, ფროიდი დამთანხმდა მხოლოდ იმ პირობით, რომ მის ხსენებას იქ, ხოლო ადლერისა კი აქ, ადგილი არ ექნებოდა...“

ლუს განსაკუთრებულობამ ამ შემთხვევაშიც იჩინა თავი. იგი იყო არა მარტო ერთადერთი ქალი, არამედ ერთადერთი ადამიანი, რომელმაც მოახერხა ესწავლა ერთდროულად ფროიდთანაც და ადლერთანაც. დუმილის პირობა კი მას არ დაურღვევია. ფროიდი აფასებდა ლუს ნაშრომებს და, რა თქმა უნდა, ცხოვრების მიმართ მის პოზიტიურ დამოკიდებულებასაც, რასაც თავად კატეგორიულად არ იზიარებდა. უთუოდ სწორედ ამიტომ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ეს ორი ადამიანი, ერთმანეთს უგებდა და პატივს სცემდა. ლუ განსაკუთრებით აფასებდა ფროიდს იმის გამო, რომ მან თავისი სწავლებით თეორიული ბაზისი მისცა მის საკუთარ შეხედულებებს. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კავშირი ლუს ვენიდან გამგზავრების შემდეგაც არ გაწყვეტილა. მეცნიერის 75-ე წლისთავს ლუმ წიგნიც კი მიუძღვნა — „ჩემი მადლიერების სიტყვა ფროიდს“.

ლუს განსაკუთრებულ ინტელექტსა და წვდომის უნარზე, რაც მან ფსიქოანალიზის შესწავლისას გამოამჟღავნა, მეტყველებს ცნობილი შვედი ფსიქიატრის, პოლ ბიერეს დაწვრილებითი, თუმცა არაერთგვაროვანი შეფასება, რომელთანაც ლუს ასევე სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა.

„...მას გააჩნდა სხვა ადამიანის აზრთა სამყაროში უშუალო შეღწევის საოცარი უნარი, განსაკუთრებით მაშინ, თუ უყვარდა იგი. მისი ძლიერი სულიერი კონცენტრირება უმალ აღანთებდა პარტნიორის სულიერ ტემპერამენტს. მე ჯერ არ შემხვედრია ცხოვრებაში ადამიანი, რომელსაც შეძლებოდა ასე სწრაფად, ასე ზუსტად და სრულად გაეგო ჩემი... მასთან საუბრისას ჩემთვის ხილული ხდებოდა საგნები, რომლებიც ლუს გარეშე ჩემთვის უთუოდ შეუმჩნეველი დარჩებოდა. იგი ჩემს გონებას კატალიზატორის მსგავსად ააქტიურებდა. მაგონდება, როგორ შეისწავლა მან შვედური, რათა ჩემი წიგნები წაეკითხა... და რასაც იგი შვედური ენის შესახებ წერდა, ფილოლოგიური თვალსაზრისით ზედმიწევნით საინტერესო იყო...“

1914 და 1918 წლებს შორის ლუ ხშირად იმყოფებოდა მიუნჰენში. 1921 წელს, კენისბერგის თერაპიის ინსტიტუტში იგი ფსიქოანალიზის სასწავლო სეანსებს ატარებს და მალე ამ დარგის გამოჩენილი სპეციალისტი ხდება. ხელს ჰკიდებს რა ფსიქოანალიზს, ლუ აღარ აგრძელებს ლიტერატურულ შემოქმედებას. თუმცა მის მხატვრულ ნაწარმოებებში მთავარი ყურადღება ადამიანურ და ფსიქოლოგიურ სიღრმისეულ ურთიერთობებს ეთმობა. იგი, როგორც მწერალი მარია ფონ ებნერ-ეშენბახი აღნიშნავს, მისი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მწერალია.

კენიგსბერგის პერიოდიდან, შემონახულია მისი ერთ-ერთი მოსწავლის ძალზედ მნიშვნელოვანი მოსაზრება ლუს შესახებ:

„...უნდა ვაღიარო, რომ ფსიქოანალიზის სტილმა, რომელითაც ლუ ხელმძღვანელობდა, ჩემი გული მოინადირა, უფრო მეტიც, იგი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე დამეხმარა. უპირველეს ყოვლისა კი იმით, რომ მე მეტად მომთმენი გავხდი სხვათა საქციელის მიმართ. თუკი ღრმად ჩაუკვირდები საკუთარი სულში ჩაბუდებულ ქვენა, უწმინდურ გრძნობებს, რაც ყოველ ჩვენთაგანში უხვად მოიპოვება, მაშინ ბევრად უფო ნაკლებად ხარ მზად ვინმეს მიმართ გაღიზიანდე მორალური თვალსაზრისით... ამაშია სწორედ ფსიქოანალიზის მნიშვნელობა, იგი ადამიანს უფრო მოკრძალებულს ხდის... ასე მგონია, ლუმ იმის გამო მიმართა ფსიქოანალიზს, რომ

შესაძლებლობა ჰქონოდა ჩაწვდომოდა მის გვერდით მყოფი ადამიანების ცხოვრებისეულ საიდუმლოებებს.“

1930 წელს გარდაიცვალა ლუს მოხუცებული მეუღლე. უკანასკნელ წლებში ამ უცნაური წყვილის ორივე ნახევარი უფრო მეტად დაუახლოვდა ერთმანეთს. ლუმანის გარდაცვალების შემდეგ, მნე ქალი გაორმაგებული ძალით შრომობდა. მოგვიანებით, ლუმ მას და მის შვილს, რომელიც უთუოდ ანდრეასისგან ჰყავდა, მთელი თავისი ქონება დაუტოვა.

სამოცი წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობისა და წარმატებული ოპერაციის შემდეგ, მრავალი სირთულისა და დაავადების მიუხედავად ლუ კვლავინდებურად აქტიურია, აწარმოებს მიმოწერას, ხვდება მეგობრებს, იღებს პაციენტებს. უკანასკნელ ხანს მისთვის ყველაზე ახლო ადამიანი ერნსტ პფაიფერია, რომელმაც ლუს თავდაპირველად კონსულტაციისათვის მიაკითხა. მანვე, ლუს გარდაცვალების შემდეგ, მოაწესრიგა ლუს მემკვიდრეობის პრობლემები. ლუ ძილში გარდაიცვალა 1937 წლის 5 თებერვალს გიოტინგენში.

სამედიცინო ანთროპოლოგიის ფუძემდებელი ვიქტორ ფონ ვაიცზეკერი შემდეგნაირად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ გამოჩენილი პიროვნების მიმართ, რომელმაც საკუთარი თავის ემანსიპაცია მოახდინა, რითაც უმაგალითო ზეგავლენა იქონია მის თანამედროვეობაზე:

„...მე უნდა გავიხსენო კიდევ ერთი ქალი, რომლის წყალობითაც ფსიქოანალიტიკურ პრაქტიკას ვეზიარე: ეს ლუ ანდრეას-სალომეა. იმ დროს იგი, უკვე სამოცდაათ წელს მიტანებული, გიოტინგენის კლინიკის მყუდროებაში ფსიქოანალიზით იყო დაკავებული. ამ გასაოცარ ქალს ჯერ კიდევ შერჩენოდა ღია ქერა თმა და მოქნილი სხეული, ნორჩ ხეს რომ მოგაგონებდა... მას გააჩნდა უნარი, გულისხმიერად და სიფრთხილით ჩაწვდომოდა ადამიანის სულიერებას, იგი არ იყო შეპყრობილი მეცნიერებაში ჩაძირული მამაკაცისებრი ქალივით და არც ქალური ზრახვებით იყო აღვსილი... ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ადამიანს შესწევს უნარი ღრმად ჩასწვდეს ფსიქოანალიზის მეცნიერებას და ამასთან შეინარჩუნოს საკუთარი ინდივიდუალობა; არც მანამდე და არც შემდეგ არ შევხვედრივარ ვინმეს, ვინც ამ კუთხით ლუ ანდრეას-სალომეს შეედრებოდა...“

განმარტებები

მოყვანილი ციტატები მოხმობილია წიგნებიდან:
Lu Andreas-Salome, Lebensrückblick Frankfurt/M. 1968;
ჰ. ფ. პეტერსი, Das Leben einer außergewöhnlichen Frau. München 1964;
ლუ ალბერტ-ლაზარდი, Wege mit Rilke.

რაინერ მარია რილკე (1875-1926) — გამოჩენილი ავსტრიელი პოეტი.
პაულ რეე (1849-1901) — გერმანელი ფილოსოფოსი, შემდგომში ექიმი.
ფრიდრიჰ ნიცშე (18441900) — გამოჩენილი გერმანელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი.
ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) — გამოჩენილი ავსტრიელი ფსიქოლოგი, ფსიქიატრი.
ალფრედ ადლერი (1870-1937) — ცნობილი ავსტრიელი ექიმი, ფსიქოთერაპევტი.
კარლ ანდრეასი (18461930) — ცნობილი გერმანელი ლინგვისტი, აღმოსავლეთმცოდნე.
ალმა მალერ-ვერფელი (1879-1964) — ლეგენდარული ავსტრიელი ქალი, გუსტავ კლიმტის მუზა, გუსტავ მალერის, ვალტერ გროპიუსის, ოსკარ კოკოშკას და ფრანც ვერფელის ქვრივი.
ფრიდა ფონ ბიულოვი (1857-1909) — გერმანელი მწერალი.
არტურ შნიცლერი (1862-1931) — ცნობილი ავსტრიელი მწერალი.
ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი (1874-1929) — ცნობილი ავსტრიელი მწერალი.
ფელიქს ზალტენი (1869-1945) — ავსტრიელი მწერალი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი.
რიხარდ ბეერ-ჰოფმანი (1866-1945) — ავსტრიელი მწერალი, თეატრალური მოღვაწე.
პეტერ ალტენბერგი (1859-1919) – იგივე რიხარდ ენგლენდერი, ავსტრიელი მწერალი.
მარია ფონ ებნერ-ეშენბახი (1830-1916) – ცნობილი ავსტრიელი მწერალი.
ერნსტ პფაიფერი (1876-1942) — გერმანელი მწერალი და გამომცემელი.
ვიქტორ ფონ ვაიცზეკერი (1886-1957) — ცნობილი გერმანელი ექიმი და მეცნიერი.
პოლ ბიერე (1845-1907) — ცნობილი შვედი ფსიქიატრი.

გამოყენებული ლიტერატურა:

Beatrix Schiferer – Vorbilder Kreative Frauen in Wien.
Donald A. Prater – Ein klingendes Glas, das Leben Reiner Maria Rilkes.
Lou Albert-Lazard – Wege mit Rilke.

გიორგი ეკიზაშვილი

ლაბირინთი

(ეპიზოდური საუბარი მკითხველთან)

„სიტყვას „ჭეშმარიტება“ ვცვლი სიტყვით „სიცხადე“.
ა. კამიუ

ეპიზოდი I

...და აი, კიდევ ერთხელ (ვინ იცის მერამდენედ), მორიგი ინტერვიუს დასასრულს, მორიგმა კორესპონდენტმა, ლიტერატურასთან აშკარად „ნელთბილად“ მყოფმა, მორიგი ფრაზა გადმომიგდო, ყავლგასული და არაფრისმთქმელი: „მე მგონი, თარგმანს და მთარგმნელს ხელშეწყობა სჭირდება“. ეს იყო და ეს, აღარ განუმარტავს რას გულისხმობდა „ხელშეწყობაში“ (ვისგან ან როგორ). ხელშეწყობა სჭირდება ეკონომიკას, განათლებას, ჯანდაცვას და ა. შ. ვიცით, ვისგან და ისიც ვიცით, რაში უნდა გამოიხატოს ეს ყბადაღებული „ხელშეწყობა“. თარგმანისა კი რა მოგახსენოთ. მე რომ მკითხოთ, თარგმანს და მთარგმნელს, სანამ ხელშეწყობამდე მივა საქმე, უპირველესად ერთი რამ სჭირდება, აუცილებელი, უფრო მეტიც, სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობა *sine qua non*, რაც გულისხმობს, და ეს ყველასთვის გასაგებია, „სხვა“ ენის (ენა — წყარო, „langue source“) *ღრმა ცოდნას* და საკუთარი ენის (ენა — მიზანი, langue cible) *ძირფესვიანად ფლობას* (თუ გნებავთ ინტუიციის საზღვრამდე მისულს). დანარჩენი, შეფასებასა და დაფასებაზე მოგახსენებთ, მკითხველის და გამკითხველის (კრიტიკოსის) საქმეა.

ეპიზოდი II

თარგმანი ორი ენის შეხვედრა, ორი განსხვავებული კულტურის პირისპირ დგომა, მდინარის ორი ნაპირის დაკავშირებაა. მებორნე („passeur“), ანუ „ნაპირიდან ნაპირზე გადამყვანი“, მთარგმნელია, რომელმაც ერთი კულტურის წიაღში შექმნილი განძი მეორე კულტურის საკუთრებად უნდა აქციოს და შესძლოს უცხო ლიტერატურის ქმნილება ეროვნული ლიტერატურის არეალში შემოიყვანოს.

ეპიზოდი III

ფსიქოლოგებმა იციან, არსებობს თეთრი ფურცლის შიში. ჩემი რომ გითხრათ, მხოლოდ ფურცლის კი არა, ყოველი სიტყვის ირაციონალური შიში მაქვს. შეიძლება ამ გრძნობას შიში არ ეთქმის, რიდი და პატივისცემა უფროა. „არ შეშინდე!“ — ასეთი წარწერა მაქვს კედელზე გაკრული. ჩემს თავსაც ამასვე შევუძახებ ხოლმე ჟამიჟამ... შემდეგ კი ისევ ვაგრძელებ და მგონია, რომ გამოდის საქმე. კამიუს ფოტო მიკიდია და ვეკითხები: როგორ ვქნა, მირჩიე, იქნებ გზაზე დამაყენო. ის კი მპასუხობს: „ფრთხილად, იცოდე, სიტყვებს არ ემონო, ახლა მათი გამგებელი შენ ხარ“. ბეკეტსაც ვთხოვდი, როდესაც ვთარგმნიდი, იქნებ გამაგებინო, შენი პესონაჟები როგორ ავამეტყველო, რას ფიქრობენ ან რას აპირებენ-მეთქი. ის კი ერთსა და იმავეს მპასუხობდა: ჩემს № პერსონაჟებს სიცოცხლე შევძინე და ცხოვრების გზაზე გავუშვი. ახლა, თუ სადმე რომელიმეს გადაეყარე, თავად ჰკითხე, მერე კი იქნებ მეც მითხრა, რას გეტყვის. ფოლკნერიც ამას ამბობდა: „მამაზეციერი კი არ ვარ, რომ ყველაფერს პასუხი მოვუძებნო... მოდით, ერთად ვიფიქროთ!“ მუდამ ასე ხდება: თუკი ერთხელ სხვასთან (რა თქმა უნდა, მწერალს და წიგნს ვგულისხმობ) ან საკუთარ თავში ახალ კითხვას გადააწყდი, როგორც ბოთლიდან ამოშვებული ჯინი, ტვინში ჩაგეჭედება და მერე, მტრისას მისი მოცილება. გსურს თუ არა, პასუხი უნდა ეძებო.

ეპიზოდი IV

თარგმანი ჩემი ცხოვრების ერთი მხარეა. ცხოვრება კი მრავლისმომცველია. ბევრჯერ მსმენია: ჩემი საქმე ჩემი ცხოვრებაა. რა არის თქვენთვის პოეზია, მწერლობა, თარგმანი? — ეკითხებიან მავანს. ჰოდა პასუხიც არ აყოვნებს: მწერლობა ჩემი ცხოვრებაა, პოეზია ჩემი ცხოვრებაა, თარგმანი ჩემი ცხოვრებაა. დანარჩენი არე ჩვენი მიწიერი არსებობისა? რას წარმოვადგენთ ჩვენ იმ „დანარჩენ სამყაროში"? უარი ვთქვათ „მიწიერ საკვებზე" (ანდრე ჟიდი)? კარგა ხნის წინ ერთი მწერალი გამენდო: „რომანსა და რომანს შორის არაფერი ვარ, მე მაშინ ვარ, როცა ვწერ. რომანსა და რომანს შორის კი დავდივარ, ვქეიფობ, ქალებს ვხვდები, მაგრამ არაფერს წარმოვადგენ". მე ვფიქრობ, რომ შეიძლება სწორედ ეს ხარ შენ და ვინც წერს, ისაა სხვა. ანუ შენში წერს ის სხვა, „მეორე". როდესაც იწყებ წერას, უკვე აღარ ხარ შენ, ხდები შენივე სხვა, მეორე, ის ვინც წერს. („მე" არის „სხვა" — არტურ რემბო). ბუნებამ მოგანიჭა გარდასახვის უნარი, შენ კი ამ ნიჭს გზა გაუხსენი. ბელგიელი მწერალი, მორის მეტერლინკი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ, ადამიანები, სამყაროში ჩვენ-ჩვენი საქმით მოვდივართ. საქმის არჩევა ხშირად ჩვენდა უნებურად ხდება. მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს უცხო ენაზე დაწერილის კითხვისას, არც კი იცი რატომ, ან რა ძალა გაიძულებს, იღებ კალმისტარს და იწყებ თარგმნას...

ეპიზოდი V

ნობელის პრემიის ლაურეატი კლოდ სიმონი იხსენებს: „ერთხელ მკითხველებს ვხვდებოდი. სიტყვით გამოვიდა ცნობილი ფილოსოფოსი, კლოდ მერლო-პონტი და ჩემს რომანებში სივრცისა და დროის პრობლემაზე დაიწყო საუბარი. ვუსმენ და ვფიქრობ: „ალბათ არ მყოფნის ფილოსოფიური აზროვნება იმისთვის, რომ გავიგო, რომელ დროსა და სივრცეზე ლაპარაკობს გამომსვლელი." შეხვედრის შემდეგ მკითხა: „აბა რას იტყვით?" ვუპასუხე, საინტერესო მწერალზე ლაპარაკობდით, სიამოვნებით გავიცნობდი-მეთქი. მან ღიმილით მომიგო: „თქვენზე ვლაპარაკობდი, ოღონდ არა იმ ადამიანზე, რომელიც ახლა ჩემ წინ ზის, არამედ იმაზე, რომელიც ყოველ საღამოს შედის თავის სამუშაო ოთახში, იკეტება და იწყებს წერას". მაღლიდან მომდინარე ეს ნიჭი ჰქონდათ კაცობრიობის რჩეულთ: მოცარტს, გოეთეს, ბოდლერს და ყველა დიდ შემოქმედს. გოეთეს არ უთქვამს, მთელი ჩემი ცხოვრება მაინცდამაინც „ფაუსტიაო", სხვაც ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი, თუნდაც მშვენიერი სქესის სიყვარული. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ ჩვენი ცხოვრება ბევრს იტევს და მხოლოდ ერთადერთ, თუნდაც უსაყვარლეს საქმეზე არ დაიყვანება. ამიტომ მეც ვერ ვიტყვი, რომ თარგმნა ჩემი ცხოვრებაა. არ ვიქნები მართალი. „როს მოვიდის ჟამი გახსენებისა" ვინ იცის რას გავიხსენებ. მაინცდამაინც თარგმანებს, ლექსებს? შეიძლება იმას, რომ მიყვარდა და მეც ვუყვარდი, ან შეიძლება იმას, რომ ერთ დღეს მეგობრებთან საოცრად მშვენიერი ღვინო დავლიე, თუმცა... ხვალემ იკითხოს ხვალისა, დღეს კი ვზივარ და ვთარგმნი. ესეც ცხოვრებაა, თანაც გახსენებად ღირს.

ეპიზოდი VI

თარგმანი გაზიარებაა. აი, ფრანგული წიგნი წავიკითხე, მომეწონა და მომინდა ლიტერატურასთან ბედნიერი შეხვედრის ეს სიხარული მეგობრებს, ნაცნობებს, უცნობებს (ერთი სიტყვით, პოტენციურ მკითხველებს) გავუზიარო. სიხარულს გამზიარებელი სჭირდება, თორემ მწუხარებას მარტოც მოერევი...

ეპიზოდი VII

როდესაც მკითხველი გეტყვის, რომ მოეწონა ავტორი, რომელიც შენ თარგმნე, ჩათვალე, რომ მოახერხე და „შეინარჩუნე" ტექსტი. ხშირად უთქვამთ, — გავაკეთებ და რაც გამოვა,

გამოვაო. თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, მოახერხო ***თითქმის იმავეს*** თქმა (უმბერტო ეკო). მთავარი სწორედ ეს სიტყვაა — „თითქმის“. სადამდეა ეს „თითქმის“ — რამდენი კილომეტრია, ან რამდენი მეტრი, ვინ იცის, სადამდე მიგიშვებს ტექსტი. ფრანგულად რომ წაიკითხავ ბოდლერის ლექსს, სხვა განწყობა გეუფლება, ქართულად — სხვა. გოეთე ამბობდა, ლექსს ნუ მითარგმნით, მხოლოდ შინაარსი მითხარით და დანარჩენს თვითონ მივხვდებიო.

ეპიზოდი VIII

ერთხელ საფრანგეთში კონფერენცია მქონდა მკითხველებთან და სიტყვის დასასრულს მკითხეს: „რომელი უფრო ძნელი სათარგმნია: პოეზია თუ პროზა?“. რიტორიკული კითხვა, რომელზედაც, როგორც წესი, პასუხი უკვე ჰქონდა კითხვის დამსმელს, რადგან ყველა პოეზიას დაასახელებდა. ვიცოდი, რომ ჩემგანაც ამ პასუხს ელოდნენ და უცებ კითხვის დამსმელი, დაჯდომას რომ აპირებდა, შუა გზაზე გაიყინა, რადგან ვუპასუხე: პროზა. ეფექტი ისეთი იყო, ბორჯომის ბოთლს რომ დაავლებ ხელს, ყელი, საყლაპავი, მთელი სხეული მომზადებულია გაზიანი წყლის ნაკადისთვის და უცებ აღმოჩნდება, რომ არაყია. ჩამოვარდა სიჩუმე. ალბათ, ფიქრობდნენ, რაკი პროზას ვთარგმნი, ამიტომ ვთქვი ასე და გონს რომ მოეგნენ, ამ მოსაზრების ახსნა მომთხოვეს. განვუმარტე, — კარგი პროზა პოეზიასთან წილნაყარია და ორივეს თარგმნა გიწევს-მეთქი. აი, ვთქვათ მარსელ პრუსტი... როგორ შეიძლება მის ნაწარმოებს მხოლოდ პროზა უწოდო. ყველა დიდ ნაწარმოებს საკუთარი მუსიკა გააჩნია და სწორედ მას უნდა „ჩაავლო“.

ეპიზოდი IX

უცხო ტექსტის კი არა, ხშირად საკუთარი თავის თარგმნაც მიჭირს. იმ მოვლენას, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მოხდა, მოგიყვებით და ან გაგრძნობინებთ ზუსტ სურნელს, ან ვერა. ნეტარი ავგუსტინე წერს: „საგნებს კი არა, იმ განწყობას ვაკვირდები, რომელიც ამ საგნებმა ჩემში დატოვა... და როდესაც საუბარს ვიწყებ, საკუთარ თავზე უფრო ვლაპარაკობ, ვიდრე თვით საგანზე ან მოვლენაზე“. ასეც არის, ის აღარ ვარ, ვინც ვიყავი მაშინ, როდესაც განვიცადე. ახლა სხვა ვარ და მგონია, რომ ასე იყო, მაგრამ სინამდვილეში ისე იყო — სხვაგვარად. გიყვებით — იცით, გუშინ რა მოხდა? და ვგრძნობ, რომ სხვა რამეს ვყვები, ან ვამატებ, ან ვაკლებ, რადგან უკვე სხვანაირად განვიცდი. წარსული მოვლენის ფერს და სურნელსაც ვერ ვიხსენებ და იწყება „შემოქმედება“ ანუ არარსებულის გამოგონება.

ეპიზოდი X

მთარგმნელი – უცხო სიტყვების და სხვათა აზრების უბრალო გადმომცემი ან მაცნე? წამითაც არ დაიჯეროთ, არა მხოლოდ „სიტყვების გადმომტანი“, არამედ შორეული ქვეყნის ან იქნებ წარსული საუკუნეების სულისა და სურნელის მაზიარებელი, არა მხოლოდ ერთი ნაპირიდან მეორეზე (ერთი კულტურიდან მეორეში) მარტოხელა მოგზაური, არა მხოლოდ ძვირფასი და სათუთი განძის თანმხლები და მცველი, არამედ თანამონაწილე იმ დიადი ქმედებისა, რომელსაც ლიტერატურა, „მხატვრული შემოქმედება“ ჰქვია და სწორედ ამის გამო თვითონაც შემოქმედი. მრავალსახეობა მთარგმნელისა? დიახ, ასეა! მთარგმნელი მრავალი ჰიპოსტასის მფლობელია, თითოეული მისი სულის ნაწილია და არა ნიღაბი: ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, წარმოიდგინეთ, ცოტათი ბოტანიკოსი (ყვავილებს სახელი რომ დაარქვა, ჯერ ყვავილი უნდა გაიცნო)... და ვინ იცის კიდევ რა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მთარგმნელი მკითხველია, დინჯი, მაგრამ დაინტერესებული, პოზიტიურად ანგარებიანი, ფიქრიანი, მჩხრეკელი და რაც მთავარია, გამგები. ბევრი უნდა იკითხო არა მხოლოდ შერჩეული წიგნი, არამედ ავტორი, ყველაფერი, რაც დაუწერია ან უთქვამს (ინტერვიუს ერთი ფრაზა, შეიძლება, ბოლომდე ვერ ახსნილი ნოველის გასაღებად იქცეს და „თვალი აგიხილოს“). აი, მერე კი შეგიძლია მიუჯდე მაგიდას და დაიწყო, ან

იქნებ რაღაცამ, ვიღაც მეორემ შენში დაიწყოს მაგიური ქმედება, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის რაციონალური და ირაციონალური, გააზრებული ფრაზა და წამიერი „განხილვისას“, სიბნელიდან გამობრწყინებული სიტყვა ან „ფრთიანი გამოთქმა“, რომელიც შეიძლება საუბარში არც არასოდეს გიხმარია (მეგობარმა მითხრა, არ მეგონა ოდესმე „ჩქამს“ და „თაველებს“ თუ იხმარდიო. „არც მე“ — ვუპასუხე და სიცრუე არ მითქვამს. კონტექსტი, ბატონებო, კონტექსტი!).

ეპიზოდი XI

მიჰყვები ტექსტს, თარგმნი და გრძნობ, რომ წმინდა ფრანგული აზროვნების ნაკადია. მიდი და გააქართულე! უნდა იგრძნოს მკითხველმა, რომ ეს ფრანგი ავტორია, თუ მაინცა და მაინც ქართველის დაწერილი უნდა ეგონოს? მკითხველს უნდა ენდო, ყოველივეს ზუსტად იგრძნობს, მთარგმნელს ახსნა, სქოლიო და მსგავსი რამ არ სჭირდება. თუ ასეა, ორი ტექსტი უნდა გაკეთდეს — თარგმანი და შემდეგ უკვე მისი კომენტარები. არადა, მკითხველს სურს წაიკითხოს ჟან-პოლ სარტრი და არა მთარგმნელი.

ეპიზოდი XII

როდესაც ბოლო წერტილს დავსვამ, კმაყოფილების გრძნობა არასოდეს მაქვს. მიდევს კამიუს პიესა, ფოლკნერის რომანის მიხედვით დაწერილი და მთელი თვეა, „ვასვენებ“. ვიცი, მოვკიდებ ხელს და ყველაფერი თავიდან იწყება. არა და არ თავდება ეს პროცესი. გადავიკითხავ, — თავს ვუსაყვედურებ, ეს სიტყვა არ გამოდგება, სხვა უნდა მოვძებნო-მეთქი, ამას ჰქვია სწორედ არჩევანის ტრაგედია, ვინ იცის რამდენი სიტყვა მოდის და მხოლოდ ერთი უნდა აირჩიო. ხშირად სხვა სიტყვებთან მეზობლობა ცვლის სიტყვის მნიშვნელობას, ახლებურ ელფერს და სურნელს შესძენს. ხანდახან, ღამის სამ საათზე გაგაღვიძებს რაღაც. მოგაწვება ფრაზა, წამოხტები, დაწერ, მაგრამ დილით არ მოგწონს და ასე მეორდება, იფიქრებ, არც არასდროს დასრულდებაო.

ეპიზოდი XIII

ხშირად მთარგმნელი აქამდე არგანცდილ გრძნობებს ეზიარება და აზავებს საკუთარ არსებაში. მერე კი წერს ანუ თარგმნის ან თუ გნებავთ, თარგმნის ანუ წერს. მწერალს და მის ტექსტს უნდა გაჰყვე, მაგრამ არცერთს არ უნდა ემონო. თუ ტექსტმა დაგიმონა, არაფერი გამოგივა, არც შენ უნდა მოინდომო იგივე; თუ არა და ძალით დამორჩილებული ქალივით, სხეულს დაგითმობს, სულს კი არ განდობს. კიდევ ერთია: ავტორს ხელი მაჯაზე უნდა დაადო, რომ შენი მაჯისცემა მისას აუწყო და თუ ეს მოახერხე, აფერუმ შენს ვაჟკაცობას!

ეპიზოდი XIV

და ისევ „ხელშეწყობას“ რაც შეეხება: სანამ მართლაც ხელს გავიწვდით და ჰონორარის მომატებაზე მორცხვი ხმით რამდენიმე საწყალობელ სიტყვას წავილუღლუღებთ, საკუთარ თავს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, თვით ჩვენ, მთარგმნელებს, რა გვევალება, როგორ „შევუწყოთ ხელი“ საკუთარ თავს, რომ გარკვეული დროის შემდეგ, თუკი ჩვენივე ნამოქმედარის გადაკითხვა მოვისურვეთ, სირცხვილის ალმა ლოყები არ შეგვიფაკლოს. ამისთვის კი აუცილებელია იმთავითვე იყო მზად, შეეჭიდო უზომოდ პასუხსაგებ, ამავდროულად, ღირსეულ და დიდებულ საქმეს – თარგმანს. რატომ პასუხსაგებ და ღირსეულს? იმიტომ, რომ თარგმანი, პირველ რიგში, დიალოგია ავტორსა და მთარგმნელს შორის. შენ (მთარგმნელმა) იცი, ვინც ხარ, რაც ხარ და რა შეგიძლია, მაგრამ შენს წინ, ამ მაგიდასთან ვინ ზის? წარმოიდგინე, მოლიერი, პრუსტი, თომას მანი, ბორხესი და რა ვიცი, ვინ. ბედნიერებაა მათთან საუბარი, ორმაგი ბედნიერებაა მათი

შემოქმედების შენს ენაზე გადმოტანა და საკუთარი სიხარულის, დედანის კითხვისას განცდილი ბედნიერების სხვებისთვის გაზიარება. ბედნიერებაცაა და „ჭირთა თმენაც“, ღიმილიც და სიმწრის ოფლიც, ზუსტად მორგებული სიტყვის მიგნებისას სახეზე რომ გადაგეფინება ან ამ ძიებისგან დაოსებულს შუბლზე რომ მოგედინება. ამიტომ კიდევ უფრო ძვირფასია ჩვენთვის ის, რაც გვაწამებს, გვტანჯავს, ხშირად ძილს გვიფრთხობს, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ საბოლოოდ, ბოლო წერტილამდე მისულთ, ენით აღუწერელი სიამოვნება მოგვანიჭოს და დაღლილ გონებას, გულს და სულს მწვერვალზე ასული კაცის სიამაყე და სიხარული მოჰგვაროს. იქამდე კი ისევ აღმართი და ძნელი სვლა მიზნისკენ.

ეპიზოდი XV

ჰაინრიხ ჰაინე წერდა: „თარგმნას ბევრი არაფერი უნდა: უბრალოდ სხვა ენის სიტყვებს შენი ენის სიტყვები უნდა შეუნაცვლო“. გაგიხარია, ასე რომ იყოს. ჰა, ლექსიკონი და ჰა, შენ. მაგრამ თარგმანი ლექსიკონის შემდეგ იწყება, არა გარედან მოსული, არამედ შენი საკუთარი არსების სიღრმიდან ამოსული სიტყვით. ასე თუ არა, სხვაგვარად არც უნდა იყოს, მთის სიმაღლე თუ გაშინებს, ასვლას ნურც იფიქრებ, სიტყვების თუ გეშინია, წერილის დაწერასაც ვერ შეძლებ... ამიტომ კიდევ ერთი ძველი შეგონება მინდა გავიხსენო: „იყავ თამამი და ნუ იქნები ერთობ თამამი“. წარვუდგინოთ მკითხველს ჩვენი თარგმანი, ვაცადოთ, წაიკითხოს, იფიქროს, აწონ-დაწონოს, განსაჯოს და მერე, მოგვიანებით ვისაუბროთ იმაზე, რის გაკეთებას ვაპირებდით და რა გამოგვივიდა, შედგა თუ არა ჩვენი დახმარებით და შუამავლობით მკითხველის და ავტორის შეხვედრა...

ეპიზოდი XVI ანუ POST SCRIPTUM

P.S. ...და ისევ ალბერ კამიუ: „ნუ დაწერთ: „ფრანგულ ენაზე თარგმნა...“ დაწერეთ: „ფრანგული ტექსტის ავტორი...“ მეც ამას ვამბობ: „ვთარგმნი, ესე იგი ვწერ...“ დიახ, ასეა.

ოსიპ მანდელშტამი

მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი რუსი პოეტის, პროზაიკოსის, ესეისტის, მთარგმნელისა და კრიტიკოსის ოსიპ მანდელშტამის (1891-1938) ცხოვრება და შემოქმედება გარკვეულწილად საქართველოსთანაა დაკავშირებული. მანდელშტამის პოეზიაში საქართველო პირველად გაჩნდა პეტერბურგში მცხოვრები ლამაზი ქალბატონის, სალომე ანდრონიკოვასადმი (ანდრონიკაშვილისადმი) მიძღვნილ ლექსებში კრებულიდან „Tristia".[1] პოეტის საქართველოსთან უშუალო შეხება კი საკმაოდ უცნაურ გარემოებებთანაა დაკავშირებული. სამოქალაქო ომის დროს ყირიმში მყოფი მანდელშტამი თეთრგვარდიელებმა ბოლშევიკების ჯაშუშად მიიჩნიეს და მას შემდეგ, რაც ის დახვრეტას გადაურჩა, 1920 წლის აგვისტოში, მოახერხა ბათუმში გამგზავრებულიყო. აქ კი მენშევიკებმა პოეტი ვრანგელისა და ბოლშევიკების აგენტად ჩათვალეს და ციხეში ჩასვეს, საიდანაც იგი იმ დროს ბათუმში მყოფმა ქართველმა პოეტებმა, ტიციან ტაბიძემ და ნიკოლო მიწიშვილმა დაიხსნეს. სწორედ ამ დროიდან იწყება მანდელშტამის ახლო, შემოქმედებითი ურთიერთობები საქართველოსთან, ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. 1920-1930-იან წლებში მანდელშტამი რამდენჯერმე იმყოფებოდა საქართველოში, კერძოდ თბილისში, ბათუმსა და სოხუმში. მას გულითადი მეგობრობა აკავშირებდა ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან და სხვებთან.

პოეტმა არაერთი ლექსი და მოგონება უძღვნა საქართველოს, თბილისს. რუსულ ენაზე თარგმნა ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა", აგრეთვე ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძისა და იოსებ გრიშაშვილის ლექსები.

ზოგიერთი რამ ქართული ხელოვნების შესახებ

რუსულ პოეზიაში არსებობს ქართული ტრადიცია. გასული საუკუნის ჩვენი პოეტები როდესაც საქართველოს თემას ეხებიან, მათი ხმა განსაკუთრებულ ქალურ სინატიფეს იძენს და თვით ლექსიც ფაფუკსა და ნოტიო ატმოსფეროში იძირება თითქოს:

На холмах Грузии легла ночная мгла...[2]

შესაძლებელია, მთელ ქართულ პოეზიაში არ მოიპოვებოდეს ქართული ზარხოშითა და სუნელ-სანელებლებით შეზავებული ორი ისეთი ტაეპი, როგორიც ლერმონტოვის ეს სტრიქონებია:

Пену сладких вин
Сонный льет грузин.[3]

მე ვიტყოდი, რომ რუსულ პოეზიას საკუთარი ქართული მითი გააჩნია, პირველად პუშკინმა რომ გააჟღერა, —

Не пой красавица, при мне
Ты песен Грузии печальной.

ხოლო ლერმონტოვმა, თამარის მითის ირგვლივ, მთელი მითოლოგიაც კი დაამუშავა.

საინტერესოა, რომ ამ მითის წყალობით, რუსეთისათვის პოეზიის აღთქმულ ქვეყანად საქართველო იქცა და არა სომხეთი.

საქართველომ აცდუნა რუსი პოეტები თავისებური ეროტიკით, ნაციონალური ხასიათისათვის ჩვეული სიყვარულისადმი ტრფიალით, და მსუბუქი თრობის უბიწო, შეურყვნელი სულით, რაღაც მელანქოლიური და მონადიმე ზარხოშით, რაშიც ამ ხალხის სული და ისტორიაა

ჩაქსოვილი. ქართული ეროსი — აი, რა იზიდავდა რუს პოეტებს. სხვისი სიყვარული ჩვენთვის ყოველთვის უფრო ფასეული და ახლობელი იყო, ვიდრე ჩვენი, საქართველომ კი იცოდა სიყვარული. და მისი ძველი ხელოვნება, მათი ხუროთმოძღვრების, მხატვრების, პოეტების ოსტატობა გამსჭვალულია უნატიფესი სიყვარულითა და ჰეროიკული სინაზით.

დიახ, კულტურა მათრობელაა. ქართველები ღვინოს გრძელ ვიწრო ქვევრში ინახავენ და მიწაში მარხავენ. ესაა ქართული კულტურის პირველსახე — მიწამ შეინარჩუნა მისი მხატვრული ტრადიციების ვიწრო, მაგრამ კეთილშობილური ფორმები, დაგმანა დუღილითა და არომატით აღსავსე ჭურჭელი.

ის, რისი გამოთვლაც შეუძლებელია კულტურის გამოწვლილვითი მონაცემებიდან, დაგროვილი საგანძურის გათვალისწინებით, არის სწორედ თრობის სული, იდუმალი შინაგანი დუღილის ნაყოფი: თიხის ვიწრო, ნატიფი ამფორა, ჩაფლული მიწაში და ღვინით სავსე.

რუსული კულტურა თავს არასოდეს ახვევდა საქართველოს საკუთარ ფასეულობებს. ამ მხარის რუსიფიკაცია არასოდეს გასცდენია ადმინისტრაციული ცხოვრების ფარგლებს. გასული საუკუნის რუსი ადმინისტრატორები ვორონცოვ-დაშკოვის მეთაურობით, ამახინჯებდნენ რა მხარის ეკონომიკას და თრგუნავდნენ საზოგადოებას, ვერ შეძლეს შეხებოდნენ მათ ყოფაცხოვრებას და უნებური პატივისცემითაც კი ეპყრობოდნენ მას. საქართველოს კულტურის რუსიფიკაციაზე საუბარიც კი არ ყოფილა. ამიტომ საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური თვითგამორკვევა, მკვეთრად რომ გაიყო საქართველოს გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდგომ ორ პერიოდად, ქართული კულტურისა და ხელოვნებისათვის ერთგვარი გამოცდაც უნდა ყოფილიყო საკუთარი თავისადმი ერთგულებაზე, და კულტურული რუსეთი, მთელი საუკუნის მანძილზე სიყვარულით რომ აკვირდებოდა საქართველოს, ახლა შიშნარევი მღელვარებით ადევნებს თვალყურს ქვეყანას, რომელიც მზადაა შეცვალოს მისი კულტურული მოწოდება. ქართული კულტურის რაობას ყოველთვის განსაზღვრავდა აღმოსავლეთისაკენ სწრაფვა, ამასთანავე საქართველო არასოდეს შერწყმია აღმოსავლეთს და განცალკევებით იდგა მუდამ.

მე საქართველოს კულტურას ორნამენტულ კულტურათა ტიპს მივაკუთვნებდი. ისინი, ეხებიან რა გარედან უცხო კულტურის უზარმაზარსა და სრულყოფილ სფეროს, უპირველეს ყოვლისა ითავისებენ მის ქარგას, ამასთანავე, შინაგანად გააფთრებით ეწინააღმდეგებიან ძლევამოსილი მეზობლების მტრულ არსს.

ახლა საქართველოში გამკივანი მოწოდება გაისმის: „შორს აღმოსავლეთისგან — წინ დასავლეთისაკენ! ჩვენ აზიელები კი არა, — ევროპელები ვართ, პარიზელები!“. რაოდენ განუზომელია ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის გულუბრყვილობა!.. ტენდენცია — შორს აღმოსავლეთისგან! — ყოველთვის არსებობდა ქართულ ხელოვნებაში, თუმც ასეთი ხისტი ლოზუნგით კი არ ხორციელდებოდა, არამედ მაღალმხატვრული ფორმისეული საშუალებების მეოხებით.

მოინახულეთ თბილისში ქართული ფერწერის ეროვნული მუზეუმი. თქვენ წინ უპირატესად ქალთა დახვეწილი პორტრეტების მთელი წყება გადაიშლება, შესრულების ტექნიკითა და ღრმა სტატიკური სიმშვიდით ძველ გერმანულ მხატვრობას რომ მოგაგონებთ. ამავე დროს, ფორმების სიბრტყობრივი აღქმა და ხაზობრივად გადაწყვეტილი კომპოზიცია (ხაზების რიტმი) სპარსულ მინიატურათა შესრულების ხერხებით სუნთქავს. ხშირად წააწყდებით ოქროსფერ ფონსა და მდიდრულ ოქრონაფერ ორნამენტს. უცნობი მხატვრების ეს ნამუშევრები ქართული ხელოვნების ჭეშმარიტი გამარჯვებაა აღმოსავლეთზე, — და რაოდენ უსუსურად გამოიყურება მათ წინაშე ვიოლინოს აცეკვებული ნატეხები, ოდესღაც პიკასოს რომ დაუმსხვრევია და ახლა თანამედროვე ქართული ფერწერა რომ მოუხიბლავს. ამ ვიოლინოს ისეთივე ბედი ეწია, როგორიც ბერ-მონაზონთა თაღლითურ რელიკვიებს: ერთი ვიოლინო იყო და ერთხელ გატეხეს, დღეს კი, არსად მოიძებნება ქალაქი, მის ნამტვრევებს რომ არ აჩვენებდნენ — აი, ესაა პიკასოსეულიო!

ენის სიცოცხლის გზა ყველასთვის ხსნილია — ყველა საუბრობს, მონაწილეობს ენის მოძრაობაში, და თითოეული წარმოთქმული სიტყვა თავის ცინცხალ კვალს ტოვებს მასზე. ფერწერული ენის განვითარებაზე დაკვირვების გასაოცარ საშუალებას იძლევა აბრები, სახელდობრ კი თბილისური აბრები, ფიროსმანაშვილის სისხლსავსე ხელოვნებად რომ ყალიბდება ჩვენ თვალწინ. ნიკო ფიროსმანაშვილი აბრების ერთი უბრალო და უსწავლელი მხატვარი იყო. იგი მუშამბაზე სამი ფერით ხატავდა — ჟანგმიწით, მწვანითა და შავით (რუხი ფერის ყველა ვარიაციით). მისი დამკვეთები, თბილისელი მედუქნეები, მათთვის საინტერესო სიუჟეტს ითხოვდნენ,

და ისიც ასრულებდა მათ შეკვეთას. ერთ-ერთ ასეთ ნახატზე მისივე ხელით გაკეთებულ წარწერას წავაწყდი: «Шамиль со свево караулом» (ორთოგრაფია დაცულია). შეუძლებელია ქედი არ მოიხარო მისი „პრიმიტიული“ (არაანატომიური) ლომების, ადამიანების ფიგურების ზომებთან და კარვებთან შეუფერებელი დიდებული აქლემების წინაშე, მხოლოდ ერთი ფერის ძალით რომ დაუძლევიათ სიბრტყე. ფრანგებს რომ სცოდნოდათ რაიმე ფიროსმანაშვილის არსებობის შესახებ, საქართველოში ჩავიდოდნენ მხატვრობის შესასწავლად. თუმცაღა მალე შეიტყობენ, ვინაიდან მავანთა უყურადღებობისა და დაუდევრობის გამო, თითქმის ყველა მისი ნამუშევარი უცხოეთშია გატანილი.

თანამედროვე ქართული ხელოვნების მეორე მოვლენა, ევროპულ ფასეულობას რომ წარმოადგენს, — პოეტი ვაჟა-ფშაველაა. იგი გამოიცემა განსახკომის მიერ, და ახალ საქართველოში ვაჟა-ფშაველას ერთგვარი კულტიც კი არის შექმნილი, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენად შეზღუდულია მისი უშუალო ზეგავლენა ახალ ქართულ პოეზიაზე!.. ეს სიტყვის ნამდვილი ქარტეხილი იყო, საქართველოს რომ გადაუარა და ძირფესვიანად რომ თხრიდა ხეებს:

Твои встречи — люди мирные,
Непохожие на воина,
Темнокудрый враг железо ест
И деревья выкорчевывает....[4]

მისი თითქმის შუასაუკუნებრივი პოემების ხატოვანება, თავისი ეპიკური სიდიადით სტიქიურია. მასში ბორგავს საგნობრიობა, ხელშესახები სიტყვიერება, ყოფითობა. ყველაფერი, რაზეც ის საუბრობს, უნებლიეთ სახე-ხატად იქცევა, მაგრამ მისთვის სიტყვა არაა საკმარისი — პოეტი თითქოს გლეჯს მას კბილებით ნაწილ-ნაწილ, ფართოდ იყენებს ქართული ფონეტიკის ისედაც მგზნებარე ტემპერამენტს.

ახალმა ქართულმა პოეზიამ ვაჟა-ფშაველა გადაიტანა, როგორც ქარიშხალი, და ახლა არ იცის როგორ მოექცეს მის მემკვიდრეობას.

ამჟამად ქართულ პოეზიას აქ, ეგრეთ წოდებული „ცისფერი ყანწების“ ჯგუფი წარმოადგენს, რეზიდენციით თბილისში, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის თავკაცობით. საქართველოში, ხელოვანთა შორის, „ცისფერი ყანწები“ უზენაეს მსაჯულად მოიაზრება, ოღონდაც თავად უფალია მათი მსაჯული. ფრანგული მოდერნიზმისადმი მონური თაყვანისცემით აღზრდილი ცისფერყანწელები,[5] მეორე ხელიდან — რუსული თარგმანების მეშვეობით, რომ გაეცნენ მას, საკუთარ თავსა და თავიანთ მკითხველებს ელოლიავებიან ბოდლერიანობას და არტურ რემბოს გამბედაობას გამარტივებულ დემონიზმზე დაყენებული იაფფასიანი რიტორიკული ნაყენით. ყველაფერი ეს კი, ყოფა-ცხოვრების ზედაპირული ეგზოტიკითაა შეზავებული. ცისფერყანწელთა ყურადღების მიღმაა დარჩენილი რუსული პოეზიის დიდი, ფერსავსე ყვავილობა ამ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. ჩვენთვის კი, ისინი პენზა და ტამბოვია... ერთადერთი რუსი პოეტი, რომელმაც მათზე უდავო ზეგავლენა იქონია, — ესაა ანდრეი ბელი, უცხოელები მისტიკურ რუს ვერბიცკაიად[6] რომ მიიჩნევენ.

სრულიად უფერულია ქართული ლიტერატურის მეორე, კონსერვატული მიმდინარეობა. და ეს მაშინ, როცა ლიტერატურული ცხოვრება არაჩვეულებრივად ხმაურიანი და მყვირალაა, უამრავი დისპუტით, ჩხუბით, ბანკეტითა და განხეთქილებით აღსავსე. ამ ამაოებათა ამაოებას ვერც შემოქმედის ლომისებრი ბრდღვინვა გადაფარავს: „თქვენ არა ხართ არც დასავლეთი და არც აღმოსავლეთი, არც პარიზი და არც ბაღდადი. თქვენი ხელოვნება, თქვენი მხატვრული ტრადიციები ისტორიულ მიწა-წყალში ღრმადაა ჩაზრდილი, ღვინო ძველდება — ამაშია მისი მომავალი, კულტურა დუღს — ამაშია მისი სიყმე. მაშ გაუფრთხილდით საკუთარ ხელოვნებას — მიწაში ჩაფლულ ვიწრო თიხის ქვევრს!“

დაბრუნება

ცხრაასცხრამეტი წლის აგვისტოში, ძველისძველი ბრტყელძირიანი კარჭაპი, ადრე აზოვის ზღვაზე რომ დაცურავდა მხოლოდ, ფეოდოსიიდან ბათუმისაკენ გვეზიდებოდა. თვალთმაქცმა პოლკოვნიკმა[7] ვიზები მოგვცა და მხიარულ ქართველებთან გაგვისტუმრა, ღრმად დარწმუნებულმა, რომ მალე უკანვე დაგვაბრუნებდნენ, ვინაიდან, როგორც მოგვიანებით გაირკვა, საამისოდ წინასწარ გათვლილი ზომებიც კი მიუღიათ. თითქოსდა უმწიკვლო საზღვაო კონტრდაზვერვის სამსახურმაც გზა დაგვილოცა. ჩვენ გემბანზე ვისხედით, სოვდაგრებთან და ნაბდებში გახვეულ საეჭვო გარეგნობის დაღესტნელებთან ერთად. თბომავალი ნაპირს მოსცილდა, ფეოდოსიის მოლოს შემოუარა და უკან დაბრუნდა, რადგან სამგზავრო მოწმობა დარჩენოდა. ასეთი რამ, თბომავალს, გულმავიწყი ადამიანივით სადმე რაიმე რომ დავიწყებოდეს, არასოდეს გამიგონია.

ხუთი დღე-ღამე მიცურავდა აზოვის ნაფოტა კარჭაპი თბილი მარილიანი პონტოს ტალღებზე, ხუთი დღე-ღამე ოთხით ვფოფხავდით გემბანზე ადუღებული წყლის საშოვნელად, ხუთი დღე-ღამე გვიბღვერდნენ მრისხანე დაღესტნელები: „რა გესაქმება, რატომ მიდიხარ?“ — „თბილისში ნათესავები მყავს“. — „მათ რაღა უნდათ თბილისში?“ — „სახლი აქვთ, იქ ცხოვრობენ“. — „კარგი, კარგი წადი, ყველას თავისი სახლ-კარი გააჩნია. ჰა. შესვი“, — და გაწოდებდა ჭიქას რაღაც კრაზანას ნაყენით, რისგანაც კრუნჩხვები გეწყებოდა და მუცლის გვრემა გღრღნიდა.

მეხუთე დღეს, საღამო ხანს ჩვენი კარჭაპი ბათუმის ნავსადგურში შევიდა და რეიდზე დადგა. ელექტრული შუქის კაშკაშა მასით თითქოს გალღობილი და გავარვარებული ქალაქი გიგანტურ კაზინოს დამსგავსებოდა, ელექტრორკალებით აბრიალებულ მანათობელ სკას, სადაც უცხო და უსაქმური ხალხი ცხოვრობდა. და ეს ყოველივე გავერანებული და ნახევრადჩაბნელებული ფეოდოსიის შემდეგ, სადაც ძველი იტალიური ქუჩაღა შემორჩენილა, ოდესღაც სამხრეთელი მეშჩანი ჭორიკანა ქალების თავშესაქცევი ადგილი, სადაც ალექსანდრე I-ის დროინდელი პატარა სვეტებიანი ქარვასლაა და სადაც ღამღამობით მხოლოდ აფთიაქები და მეკუბოვეთა საამქროებია განათებული. დილით კაზინოს ცდუნება გაიფანტა, და თვალწინ სანაპირო გადაიშალა, გასაოცარი სინაზის ბორცვებიანი რელიეფით, იაპონური ვარცხნილობის დარი, სუფთა და ტალღისებური, გამჭვირვალე დეტალებითა და ჯუჯა ხეებით, მჭვირვალ ჰაერში რომ ლივლივებდნენ, და დროდადრო მკვირცხლი ჟესტიკულაციებით ერთი უღელტეხილიდან მეორეზე გადაცოცდებოდნენ ხოლმე. აი ესეც, საქართველო! საცაა ნაპირზე ჩაგვიშვებენ.

ნაპირზე ჩასვლა არ შეუშლიათ, მხოლოდ ვიღაც სტუდენტები, საქველმოქმედო საღამოების ჩვენებურ განმკარგულებლებს რომ წააგავდნენ, და რატომღაც ყოველთვის ქართველები იყვნენ, საბიჯელზე ყველას პასპორტებს ართმევდნენ: აქაო და უკან მიღებას ყოველთვის შეძლებთ, ჩვენთვის კი ასეა მოსახერხებელიო. მაინცადამაინც ცუდი როდი იყო ბათუმში პასპორტის გარეშე ყოფნა. ან რა საჭიროა პასპორტი თავისუფალ ქვეყანაში?

ადამიანი უსახლკაროდ არსად დარჩება. გზაში ორ დარბაისელ მოხუცებულ მანდილოსანს დავეხმარეთ მრავალადგილიანი გაუგებარი ბარგის ჩამოტვირთვაში, და აი ახლა, ბათუმელების ერთი მყუდრო ოჯახის გარემოცვაში ვიმყოფებით, რომელთა სული და გული ვინმე „ბიძიაა“. ეს ბიძია, საკუთრივ, ლონდონში ცხოვრობს და ახლა კონსტანტინოპოლს მიემგზავრება, — იგი ისეთი მრგვალი, ჩასუქებული და სასიამოვნო ადამიანია, და ისე მოედინება მისგან ინგლისური საპნისა და თამბაქო „Capstan“-ის სურნელი, რომ თითქოსდა თვით საბირჟო კურსს მიეღოს ადამიანის იერი და მიწაზე ჩამოსულიყოს, რათა ადამიანთა შორის სიხარული და კეთილგანწყობილება თესოს. სადილობის შემდეგ, სიმპათიურმა ოჯახმა ქალაქში გაგვისტუმრა. არაფერი შეედრება იმ სასიხარულო შეგრძნებას, როცა ზღვაზე ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, ჯერ კიდევ მიცურავს ფეხქვეშ მიწა, თუმც უკვე მიწაა მაინც, და გეცინება საკუთარ მცდარ შეგრძნებებზე და ომახიანად ტკეპნი მას გამარჯვებული სახით.

ჩვენ, როგორც უცხოელები, რასაკვირველია, მაშინვე ხათაბალაში გავებით: დიდხანს ვეკითხებოდით გამვლელებს, თუ სად იყო ყავახანა „მაცცონი“, მაშინ, როცა სხვათაშორის იქ იტალიურად ასე ეწოდება ჩუმამაწონს და ეს წარწერა ყველა ყავახანაზე აბრასავითაა გამოკიდული. ბოლოს როგორც იქნა მივაგენით ჩვენს „მაცცონის“ — მომცრო, ხრეშით მოყრილსა და

ქოლგებიანი მაგიდებით გაწყობილ ეზოს, და ჩვენი დღე ფინჯანი თურქული ყავითა და სირჩა თხევადი ოქროთი — ცხელი მარტელით, დავაგვირგვინეთ. აქვე შევხვდით მაღალ-მაღალ A.-ს,[8] გამაოგნებელი ვერცხლის სამაჯურით შებორკილს. შექეიფიანებულმა საკოცნელად გამოიწია, მაგრამ როგორც კი გაიგო, მოსკოვში მივემგზავრებოდით, მყისვე მოიღუშა და გაუჩინარდა.

მეორე დღეს პასპორტების ასაღებად გავეშურეთ, რათა ყველაფერი წესრიგში გვქონოდა. ყველაზე სუფთა ქუჩაზე, რომელსაც წესიერების სურნელი ასდის და სადაც ტროპიკული ხეებს თითქოს რცხვენიათ, ხის კასრებში რომ არ იზრდებიან, თავაზიანმა კომისარმა მიგვიღო და ჩვენი გეგმებით დაინტერესდა. მე მომეჩვენა, რომ ჩვენ ერთმანეთი ძალდაუტანებელი გულწრფელობითა და კეთილმოსურნეობით მოვხიბლეთ. იგი ცდილობდა ყველაფერში გარკვეულიყო, აწუხებდა, ხომ არ დავიკარგებოდი უმეგობროდ უცხო ქვეყანაში. მე ვცდილობდი მის დამშვიდებას იმით, რომ საქართველოში მეგობრები მყავდა: გულუბრყვილოდ ვასახელებ სერგეი გოროდეცკის[9] — მან ძალიან გაიხარა: როგორ არა, როგორ არა, ჩვენ ვიცნობთ მას, დიდი ხანი არაა, რაც ჩვენ იგი საქართველოდან გავასახლეთო; ვასახელებ კიდევ ერთ პიროვნებას, მგონი რიურიკ ივნევს[10], — იგი კვლავ გახარებულია: ირკვევა, რომ მასაც იცნობენ და ისიც გაუსახლებიათ. ახლა, მეუბნებიან, თქვენ ერთი უმნიშვნელო ფორმალობაღა დაგრჩენიათ — აიღოთ გენერალ-გუბერნატორის ვიზა, ეს აქვეა, თქვენ ახლავე მიგასწავლიან გზასო.

წავედით გუბერნატორთან, ჩვენს გამცილებელს კი ჯიბე გამობერვია — ჩვენ შორის ვინც უფრო მეტად გამოცდილი იყო, მაშინვე შეაფასა ეს ვითარება, — ეს ჯიბე როგორღაც მიანიშნებდა თავისუფლების აღკვეთის საინკუბაციო პერიოდს, ჩვენ კი გაურკვევლობასთან შესახვედრად სუფთა და უმანკო გულით მივემართებოდით. გენერალ-გუბერნატორთან ურიგოდ შეგვიყვანეს, და ეს ცუდის მომასწავებელი იყო. იგი იტალიელ გენერალს ჰგავდა: მაღალი და ხმელ-ხმელი, ჩინ-მედლებით მოქარგულ მაღალსაყელოიან მუნდირში გამოწყობილი. მის გარშემო მაშინვე აწრიალდნენ, აკაკანდნენ, დაფაცურდნენ არასასიამოვნო გარეგნობის ადამიანები. და ჩიტების ამ გნიასში გამუდმებით გაისმოდა ერთი ნაცნობი სიტყვა — ბოლშევიკი, ბოლშევიკი, რასაც თან სდევდა ენერგიული ჟესტიკულაცია და თვალების გადმოკარკვლა.

გენერალმა განგვიცხადა: „თქვენ უკან წასვლა მოგიწევთ“. — „რატომ?“ — „ჩვენთან პური ცოტაღაა დარჩენილი“. — „კი მაგრამ, ჩვენ ხომ აქ არ ვრჩებით, მოსკოვში მივემგზავრებით“. — „არა, არ შეიძლება — ჩვენთან ასეთი წესია: რადგან თქვენ ყირიმიდან ჩამოხვედით, მაშასადამე, ყირიმშივე უნდა გაემგზავროთ“.

შემდგომი საუბრები უსარგებლო გამოდგა. აუდიენცია დასრულდა. ეს გადაწყვეტილება ეხებოდა ადამიანების მთელ ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობდნენ. როგორც ჩანს, არ გვენდობოდნენ, ჩვენით რომ გავემგზავრებოდით ყირიმში. აშკარა იყო, რომ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ აღმოვჩნდით. პოლიციელები კი ჩვენ ურთიერთთავდებობით შეთქმულთა ჯგუფად მიგვიჩნევდა და როდესაც არეულობის დროს ერთმა გაქცევა მოახერხა, კისერზე დანა მოგვაბჯინეს, სად გაქრა თქვენი მეგობარიო.

ბათუმის პორტის შუაგულში, საბაჟოსთან ახლოს, იქ, სადაც ნაკვერჩხლებით მბჟუტავი ბინძური თურქული ყავახანებია, სადაც ქუჩაში გამოუყრიათ ტაბურეტები ყალიონებითა და ორთქლიანი ფინჯნებით, სადაც „ლოიდ-ტრიესტინოს“[11] კანტორაა, სადაც გრილ დუქნებში სპარსელებს თავიანთ სარეპტის ტილოებზე სძინავთ, სადაც ფელუკები ირწევიან და ყაყაჩოებივით ღაჟღაჟებენ თურქული დროშები, სადაც მუშები სახარებისეული ყაჩაღების მსგავსი სახეებით ზურგით დაათრევენ ხალიჩებით სავსე უზარმაზარ ფუთებსა და ფქვილის ტომრებს, სადაც ახალგაზრდა კომერსანტები ჰაერს ყნოსავენ, — აღმართულია საპორტო უბნის ოთხკუთხა ნაგებობა: შიგნითაა ქარვასლა, ყოფილი სავაჭრო სათავსო, ერთადერთი საკნით, ყველა გასახლებულის დასაზვერად რომ იყენებენ — „საიდან და რატომ ჩამოვიდა“.

ო, ეს ციხეები, ციხეები! სატუსაღოები მუხის კარებით, მოჩხარუნე გასაღებებით, სადაც ტუსაღი ობობას აჭმევს და წვრთნის, სადაც სარკმლის ამბრაზურაზე ხოხდება, ჰაერი რომ ჩაყლაპოს და პატარა და მკვიდრ სარკმელში სინათლეს გაუსწოროს თვალი; სილვიო პელიკოს[12] ქრესტომათიებისადმი კეთილგანწყობილი რომანტიკული ციხეები, ტანისამოსის გადაცმით, პურში ჩამალული ხანჯლით, ზედამხედველის ქალიშვილითა და მოძღვრის ვიზიტებით; ფრანსუა ვილონის (თუ ვიიონის?) მომხიბლავი, დაცემის ხანის ფეოდალური ციხეები, — ციხეები, ციხეები, ყველა ერთად მე დამემხო თავზე, როდესაც ხრიგინით ჩაირაზა კარი და შემდეგი სუ-

რათი დამიდგა თვალწინ: ცარიელ და ჭუჭყიან საკანში, ქვის იატაკზე ჯეელი თურქი დახოხავდა და კბილის ჯაგრისით ყოველ ხვრელსა და კუთხეს გულდასმით წმენდდა. მას ძალიან არ მოეწონა, ჩვენ რომ მივედით და ხელი შევუშალეთ, ჩვენი გაგდებაც კი მოინდომა, რაც ყოვლად შეუძლებელი რამ იყო. ჩვენ აქ თბომავალს უნდა დავლოდებოდით, რომელიც ყირიმში გადაგვიყვანდა. სარკმელში მოჩანდა ნაზი „იაპონური“ ბორცვები, აფრიანი ნავების მთელი ტყე, და...

...შეიარაღებულ თანხმლებ პირთან ერთად რუსული გაზეთის[13] რედაქციას მივაშურე, მაგრამ საუბედუროდ, გაზეთი ვრანგელის მხარდამჭერი აღმოჩნდა, და იქ გვითხრეს: „თუ თქვენ არაფერი დაგიშავებიათ, რატომაც არ უნდა გაემგზავროთ ყირიმში?“ კარგა ხნის წვალების შემდეგ ჩვენ მივაგენით სხვა, უფრო შესაფერის გაზეთს. რედაქტორმა რომ დამინახა, ტაში შემოკრა და ვიღაც „ბენიამინ სოლომონოვიჩს“ დაურეკა. სწორედ ეს ბენიამინ სოლომონოვიჩ ჩხიკვიშვილი[14] ყოფილა ახლანდელი სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორი, მე კი მისი სამხედრო მოადგილის, ე. მდივანის[15] ხელში აღმოვჩნდი. ხატივით ინტელიგენტური სახისა და პატრიარქალური, თხასავით მოგრძო წვერის მქონე ადამიანმა სავარძელი შემომთავაზა, გუშაგი ლაკონური ბრძანებით, — აქედან გაეთრიეო, — ოთახიდან გააგდო, მერე რაღაც რვეული გამომიწოდა და თან დააყოლა: „თუ ღმერთი გწამთ, რას ფიქრობთ ამ ნაწარმოებზე, ეს კაცი პირდაპირ თავს გვჭრის“. რვეული პოეტ მაზურკევიჩის[16] ლექსების ალბომი აღმოჩნდა, მიძღვნილი ქართველი მენშევიკების ხელმძღვანელებისადმი. ყოველი ლექსი დაახლოებით ასე იწყებოდა:

О ты, великий Чхиквишвили,
О ты, Жордания, надежда всего мира.....*

„მითხარით, — გააგრძელა ჩხიკვიშვილმა, — ნუთუ თქვენთან მას კარგ პოეტად მიიჩნევენ? მან ხომ სურიკოვის პრემია[17] მიიღო...“**

მენშევიკები საქართველოში

ორანჟერეა. ქალაქი — კოლიბრი. ქალაქი კასრებში ჩარგული პალმებით. მალარიისა და ნაზი იაპონური ბორცვების ქალაქი. ნებისმიერი კოლონიური ქვეყნის ევროპული კვარტლის მსგავსი ქალაქი, ზაფხულში კოღოების წივილით გადაყრუებული, მანდარინის სურნელოვან წილაკს რომ გთავაზობთ ზამთარში. ბათუმი, 20-იანი წლების აგვისტო. ფარდულები და კანტორები ჩარაზულია. საზეიმო სიჩუმეა. პატარა, თეთრ კოლონიურ სახლებზე წითელი ალმებია გამოკიდული. ნავსადგურში ოცამდე უსაქმოდ მოყიალე ერთ ადგილზე შეუყრიათ ადმინისტრაციასა და პოლიციელებს. რეიდზე მძიმედ ირწევა კონსტანტინოპოლიდან მოსული გიგანტი „ლოიდ ტრიესტინო“.[18] ქალბატონ-პატრონესები წითელი ვარდებით ხელში, წარმოსადეგ ჯენტლმენებთან ერთად მოტორიან კატერში სხდებიან და სამგემბანიანი სასახლისაკენ მიემართებიან.

დღეს, მედუქნეებსა და ადგილობრივ ბურჟუებს მოუწადინებიათ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ თვალი მოეკრათ თვით კაუცკისათვის[19]. და აი, კატერიც უკან მოქრის: ხის ბოგირზე უკვე მიგოგმანებენ „ჭეშმარიტი ევროპული სოციალიზმის“ მოღიმარი ბელადები. ცილინდრები. მომხიბვლელი სამოდელო კაბები — და ბევრი, ბევრი ცვრიანი, მთრთოლვარე წითელი ვარდი.

თითოეულ სტუმარს მოწიწებით, თითქოსდა ბამბის ყუთში, ისე სვამენ მანქანაში და შეძახილებით აცილებენ. ამ დროს, სანაპიროზე თავშეყრილ ცუდად ინფორმირებულ ბრბოს, დელეგატთაგან ერთ-ერთი კაუცკი ჰგონია — მაგრამ ირკვევა, რომ ეს შეცდომაა და მათ იმედი უცრუვდებათ; კაუცკი ავად გამხდარა, კაუცკი ძალზედ გულდაწყვეტილია, იგი მოკითხვას უთვლის მათ — ჩამოსვლა კი არ შეუძლია. აქვე სხვა ვერსია ვრცელდება: საქართველოს ხელმძღვანელების მეტისმეტად ღია ფლირტმა ანტანტასთან, შეურაცხყო კაუცკის გერმანული გრძნობები. გერმანია ხომ ჯერ კიდევ მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა... სამაგიეროდ ვანდერველდე[20] ჩამოვიდა. და ისინი უკვე პროფკავშირების „შრომის სასახლის“ აივანზე იდგნენ. ვანდერველდე

* ხელნაწერი წყდება.

** ხელნაწერის დასასრული არა შემონახული.

ლაპარაკობდა. მე არასოდეს დამავიწყდება ეს სიტყვა. ეს იყო ოფიციალური, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით გაბერილი და ამავე დროს სრულიად ცარიელი, საფუძველშივე კომიკური მჭევრმეტყველების ჭეშმარიტი ნიმუში. მე გამახსენდა ფლობერი, „მადამ ბოვარი“ და მიწათმოქმედების სადეპარტამენტო ზეიმი, პრეფექტურის კაზმულსიტყვაობა, ხმის თეატრალური აწევ-დაწევით, ფლობერმა რომ აღწერა გამკივან პროვინციალურ გამოსვლებში. საკუთარ დეკლამაციაზე შეყვარებული ბურჟუა — და იქ მყოფთაგან ყველა, როგორც ერთი, მიიჩნევდა, რომ მათ წინაშე ბურჟუაა — ამბობდა: მე მაქვს ბედნიერება, ფეხი დავდგა ჭეშმარიტად სოციალისტური რესპუბლიკის მიწაზე. მე მაღელვებს (კეთილშობილური ჟესტი) ეს დროშები, ეს, სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლის გამო დაკეტილი მაღაზიები, ყოველივე ეს წარმოუდგენელი სანახაობაა.

— თქვენ ცივილიზაცია შეიტანეთ აზიის ამ კუთხეში (რა ნიშანდობლივად გამოვლინდა აქ ფრანგი ბურჟუას ზედაპირული უცოდინარობა და ძველი, საუკუნეობრივი კულტურის აბუჩად აგდება). თქვენ გადააქციეთ ის მომავლის კუნძულად. მთელი სამყაროს ყურადღება თქვენკენაა მოპყრობილი, როგორც სოციალისტური გამოცდილების ერათადერთი მაგალითისაკენ მთელ მსოფლიოში.

2.

ვანდერველდეს ჩასვლამდე ერთი კვირით ადრე, ბათუმში სხვა თბომავალი შევიდა. მხოლოდ არა კონსტანტინოპოლიდან, არამედ ფეოდოსიიდან — პატარა, ბრტყელძირიანი, შავი ზღვისათვის არცთუ უსაფრთხო ბარჟა — მგზავრებით გემბანზე, მგზავრობას შვიდი დღე რომ მოანდომა.

ამ თბომავლით ყირიმელი ლტოლვილები ჩამოვიდნენ. იფიგენიის სამშობლო სულს ღაფავდა „სალდათის“ ქუსლქვეშ. მეც მომიხდა ციხის სარკმლიდან მეცქირა ფეოდოსიის საყვარელი, მშრალი, აბზინდით დაფარული ბორცვებისა და კიმერიის ზეგნისათვის, მესეირნა გადამწვარ ეზოში, სადაც ერთად შექუჩებულიყვნენ შეშინებული ებრაელები, ხოლო მეამბოხე ოფიცრები გიმნასტურებში ტილებს ეძებდნენ და უსმენდნენ, თუ როგორი ველური ღრიალით ესალმებოდნენ ჯარისკაცები ზღვის პირას თავიანთ სამხედრო მეთაურს.

იმ დღეებში საქართველო ერთადერთი სულის მოსათქმელი ადგილი იყო ყირიმისათვის, ამასთანავე ერთადერთი გზაც რუსეთისკენ. კონტრდაზვერვის მიერ საქართველოს ვიზები შედარებით იოლად გაიცემოდა. მენშევიკური და ვრანგელის კონტრდაზვერვებთან მყარი და საიმედო კავშირი მოგვარებული იყო. ხალხს გამუდმებით წინ და უკან ისტუმრებდნენ. საქართველოში უშვებდნენ, რათა თვალყური მიედევნებინათ, თუ *სად* და *როგორ* გაიქცეოდნენ, მერე კი ერთად მოეხვეტათ — და ყუთში ჩაესვათ ისევ.

შვიდი დღე ღელავდა ტალღების ლურჯი დაძაგრული ტილო. ოთხით ფოფხავდნენ ადუღებული წყლის საშოვრად. ნაბდიანი დაღესტნელები კრაზანას ნაყენით უმასპინძლდებოდნენ მგზავრებს. კარგია ციხიდან პირდაპირ გემზე რომ მოხვდები გასაშლელ კარავში, ფარდაგიანი ნოტიო იატაკით.

საბიჯელზე სტუდენტი გვხვდება, უფლებამოსილებებით აღჭურვილი. გამახსენდა სათავადაზნაურო საკრებულოში კავკასიური მეჯლისების განმკარგულებლები.

— თქვენი პასპორტი, თქვენიც, და თქვენიც. სამი დღის შემდეგ მიიღებთ. უბრალო ფორმალობაა. — რატომ ყველას არა? — ფორმალობაა. ნაბდიანი დაღესტნელები ალმაცერად იცქირებიან.

ქალაქში გვაფრთხილებენ, საბჭოთა მისიაში არ მივიდეთ — დაგიჭერენ. არ მივდივართ. თბილისში წავალთ. ასე თუ ისე, მაინც დედაქალაქია. ეს ქალაქი კი ინგლისელებზე ნეტარი მოგონებით ცხოვრობს. შვიდი წლის ბავშვმაც კი იცის ლირას კურსი. კარგა ხანია ყველანაირ პროფესიასა და საქმიანობას ძირითადი მნიშვნელობა დაუკარგავს, ადამიანის ერთადერთ საარსებო საშუალებად ვაჭრობა ითვლება, უფრო სწორად ცხელი, კალიფორნიული, მალარიიანი ჰაერიდან რაიმე სარგებლის ამოქაჩვა. მენშევიკური ბათუმი ცუდი ქართული ქალაქი იყო.

მაღალი აჭარლები დედაკაცების თავსაფრებით, ქალაქის მკვიდრნი, წვრილმანებით მოვაჭრეთა უმდაბლეს კასტას წარმოადგენდნენ ბაზრებში. სხვადასხვა ტომებისაგან თავშეყ-

რილი ბრბო ერთ მეგობრულ ვაჭართა ნაციად ქცეულიყო. ყველანი — ქართველები, სომხები, ბერძნები, სპარსელები, ინგლისელები, იტალიელები — რუსულად ლაპარაკობდნენ. ჰაერში ველური ვოლაპიუკი,[21] შავი ზღვის რუსული ესპერანტო ტრიალებდა.

3.

ჩამოსვლიდან სამი დღის შემდეგ, შემთხვევით ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გავიცანი. ჩვენ შორის შემდეგი საუბარი გაიმართა.

— საიდან ჩამოხვედით? — ყირიმიდან. — ჩვენთან არ შეიძლება ჩამოსვლა. — რატომ?

ჩვენ პური ცოტა გვაქვს. — მერე კი მოულოდნელად განმარტა:

— ჩვენთან იმდენად კარგია, ნება რომ დავრთოთ, ყველა ჩვენთან ჩამოვა.

ეს გასაოცარი, მიამიტური, კლასიკური ფრაზა ღრმად ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. სხვის სისხლზე აღმოცენებულ პატარა, „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოს უსისხლოდ არსებობა სურდა. ის იმედოვნებდა, რომ მრისხანე ძალებით შევიწროვებული, სუფთად და ბედნიერად, რაღაც ახალი შვეიცარიის მსგავს ნეიტრალურ ქვეყნად შევიდოდა ისტორიაში, დაბადებიდანვე „შეურყვნელ“ მიწის ნაგლეჯად გადაიქცეოდა.

— თქვენ უკან გაბრუნება მოგიწევთ.

— არა, მე აქ დარჩენა არ მინდა, მე მოსკოვს მივემგზავრები.

— სულერთია. ჩვენთან ასეთი წესია. ყველა მიემგზავრება იქ, საიდანაც ჩამოვიდა.

აუდიენცია დასრულდა. ჩვენი საუბრის დროს ოთახში გამუდმებით ვიღაც შავბნელი ადამიანები დაძრწოდნენ, ხარბი, აღტაცებული მზერით გუბერნატორს ჩემზე უთითებდნენ და რაღაცაში არწმუნებდნენ. გაუგებარ სიტყვათა ნაკადში მუდამ ერთი სიტყვა იკვეთებოდა: ბოლშევიკი.

ადამიანები იატაკზე წვანან. ისეთი სივიწროვეა, როგორც საქათმეში. ავსტრიელი სამხედრო ტყვე, მეზღვაური ქერჩიდან, ადამიანი, გაუფრთხილებლად რომ შევიდა რუსულ მისიაში, ბურჟუა კონსტანტინოპოლიდან, კბილის ჯაგრისით იატაკის მხეხავი თურქი სალოსი ჭაბუკი, განჯიდან გაქცეული თეთრი ოფიცერი. ოფიცერს საფრანგეთის მისია უდგას თავდებად. თურქს პანღურით აგდებენ გარეთ. დანარჩენებს ყირიმში უშვებენ. ჩვენ ბევრნი ვართ. არაფერს გვაჭმევენ, ისევე, როგორც აღმოსავლურ ციხეებში. ზოგიერთს ფული აქვს. ჩაფრები გულმოდგინედ დარბიან პურისა და ყურძნის მოსატანად. კარს აღებენ და შემოდის მაღალი ღაჟღაჟა მედუქნე ლანგარზე სპარსული ჩაით. ვკითხულობ კედლებზე დაჩხაპნილ წარწერებს, ერთი დამამახსოვრდა: «Мы бандитов не боимся пытки, ловко фабрикуем Жордания кредитки». ერთ-ერთს ათავისუფლებენ. იგი თავისი სიბრიყვის გამო კვლავ საბჭოთა მისიაში აღმოჩნდა, მეორე დღეს ისევ უკან ბრუნდება. ეს ყველაფერი ფარსს ჰგავს, რომელიღაც ოპერეტას. ადამიანებს ხუმრობითა და ნართაულებით იქ აგზავნიან, სადაც მათ მოკლავენ, რადგანაც ყირიმის კონტრდაზვერვისათვის საქართველოში გასახლება — უმაღლესი სამხილია, ნამდვილი დამღა. მე ქალაქში გავედი პურზე გუშაგის თანხლებით. მას ჩიგუა ერქვა. ეს სახელი დამამახსოვრდა, რადგან ამ კაცმა გადამარჩინა. მან მითხრა: ჩვენ ორი საათი დრო გვაქვს, შეიძლება რამე ვიღონოთ, სადაც გინდა იქ წავიდეთ. — და თან საიდუმლოდ დაამატა: — მე მიყვარს ბოლშევიკები. შენ ბოლშევიკი ხომ არ ხარ?

მე, კატორღელივით ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი, გარღვეული შარვლით, შაშხანიან გუშაგთან ერთად, ორკესტრებიანი ყავახანებისა და იტალიური კანტორების გვერდის ავლით პატარ-პატარა ქუჩებში დავიარებოდი, თურქული ყავის მძაფრი სურნელი იდგა, სარდაფებიდან ღვინის არომატი იგრძნობოდა. სადაც კი შევდიოდით, რედაქციებსა თუ პროფკავშირებში, ჩვენი გამოჩენა პანიკას იწვევდა, ვაკაკუნებდით მშვიდობიანი სახლების კარებზე, საიდანაც როგორც წესი, თავიდან გვიშორებდნენ. ჩიგუამ კი იცოდა სადაც მივყავდი, რომელიღაც კაცმა სტამბაში ტაში შემოჰკრა და ტელეფონზე დარეკა. იგი სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორთან რეკავდა. გაიცა ბრძანება: დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ბადრაგთან ერთად. ძველი სოციალ-დემოკრატი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოდიშს იხდის. სამხედრო ხელისუფლება სამოქალაქოსგან დამოუკიდებლად მოქმედებს. ჩვენ ვერაფერს ვუხერხებთ. მე თავისუფალი ვარ. შემიძლია მოვწიო ინგლისური თამბაქო და მოსკოვს გავემგზავრო.

გადასარბენი ბათუმი-თბილისი. გოგო-ბიჭები კალათებით შავ ყურძენს — იზაბელას ყიდიან — ღამის მტევნებივით მკვრივსა და მძიმეს. ვაგონში კონიაკს სვამენ. პიკნიკისა და ბედნიერებისაკენ ლტოლვის მხურვალე ატმოსფეროა. ვანდერველდე მეგობრებთან ერთად უკვე თბილისშია. წითელი ალმებია სასახლეებსა და ავტომობილებზე. თბილისი ჯამბაზივით ირხევა კონსტანტინოპოლიდან მართულ ძაფზე. ის კონსტანტინოპოლის ბირჟის განყოფილებად ქცეულა. მნიშვნელოვანი რუსული გაზეთები უწყინარი და ოდნავი მოთმინებით აღსავსენი არიან, „რუსკოე სლოვო“-ს და 1912 წლის სუნი ტრიალებს, თითქოს არაფერი მომხდარა, არ ყოფილა არამარტო რევოლუცია, არამედ მსოფლიო ომიც კი.

ბათუმი

მთელი ბათუმი ხელისგულივით მოჩანს. არ იგრძნობა მანძილი და სიშორე. ქალაქში ისე მოძრაობ, როგორც ოთახში: თან ჰაერიც თითქოს ყოველთვის ჩახუთულია ოთახის ჰაერივით. ამ პატარა, ლამის სათამაშო ქალაქის მექანიზმი, ჩვენი დროის გავლენით რუსული სპეკულაციური კალიფორნიის სიმაღლეზე რომ აღზევებულა, ძალზე მარტივია. არსებობს მხოლოდ ერთი ზამბარა, ანუ მამოძრავებელი ძალა — თურქული ლირა: ლირის კურსი როგორც ჩანს ღამით იცვლება, როცა ყველას ძინავს, ვინაიდან დილით, მოსახლეობა ლირის ახალ კურსთან ერთად იღვიძებს, და არავინ უწყის, როგორ მოხდა ეს. ლირა პულსირებს ყოველი ბათუმელის სისხლში, დილის კურსს კი, როგორც წესი, მეფუნთუშეები აცხადებენ. ისინი მშვიდი, თავაზიანი და სათნო თურქები არიან, რომლებიც ტრადიციულ ლავაშსა და ძალზე სუფთა, ხმიად ამერიკულ ხორბალს ყიდიან. დილით პური ათი, დღისით თოთხმეტი, საღამოს თვრამეტი, და მეორე დილით კი, რატომღაც თორმეტი ლირა ღირს.

მაცხოვრებლები არაფრით არიან დაკავებულნი. ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობად ვაჭრობა ითვლება. ქალაქის მკვიდრი მოსახლეობის ფონზე მკვეთრად გამოირჩევიან საბჭოთა მუშაკები, რომელთაც ლირები არ გააჩნიათ, სამაგიეროდ შავი პურის გემო იციან, არცერთ ჭეშმარიტ ბათუმელს თვალითაც კი რომ არ უნახავს.

ბათუმის სპეკულაციური იერარქიაც ძალზე ცხადი და მარტივია. სისტემის ცენტრში ათეულობით მსხვილი უცხოური ფირმაა მოკალათებული, პატარა ბავშვებისთვისაც რომ კარგადაა ცნობილი და რომლებიც უზენაესი თაყვანისცემით არიან გარემოცულნი. ეს ფირმებია — ვალაცი, ლოიდ ტრიესტინო, შაგო, შალა, ვიტალი, კამხი[22] და სხვ.

თუმცაღა უზენაესი თაყვანისცემა როდი უშლის ხელს გულმხიარულ, ჩასუქებულ, ხმელ-ხმელ და ჩამრგვალებულ უცხოელებს, სხვებთან ერთად აირბინ-ჩაირბინონ საბერძნეთის ქუჩა, კანტორიდან კანტორაში, მაღაზიიდან მაღაზიაში, რათა მაგიური შელოცვით მოიხვეჭონ წმინდა ვალუტა.

ზამთარი აქ არ იცის. ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებით მანდარინის გამყიდვლებსა და კენკროვანი მცენარეებით მოვაჭრე მოთხუპნულ ბიჭებს. ოდნავ შემთბარი, ღიაცისფერი ზღვა ალერსიანად ირწევა კონსტანტინოპოლიდან ახლახან შემოსული მრავალსართულიანი „ფრანცფერდინანდის“ კორპუსის მრავალგემბანიანი სასტუმროს ირგვლივ, სადაც ბროლით წკრიალ-ჟღრიალებს სამგზავრო table d’hote.[23]

ხასხასა ყვითელჩექმებიანი ახალგაზრდა კონსტანტინოპოლელი კომერსანტები სანაპიროზე დასეირნობენ ქარვის კრიალოსნებით ხელში. თავიანთი პეწის მიუხედავად, ისინი რაღაცით ევროპულ სამოსში გადაცმულ ზანგებს გვანან, უფრო მეტად კი იმ ეგზოტიკურ შემსრულებლებს, ოდესღაც კაფეშანტანების სცენებზე რომ გამოდიოდნენ. სანაპიროზე ყველა დუქნის კარი ღიაა.

აქ, მყუდრო ბინდბუნდში საქმიანად საუბრობენ მსუქანი და აპათიური სპარსელები, საკუთარი საქონლის — მანუფაქტურის, შაქრის, საპნისა და ფეხსაცმლის ტვირთს რომ გაუსრესია ლამის. ვაი თქვენი ბრალი, თუ რომელიმე ასეთ დუქანში მოისურვებთ შესვლას და დააპირებთ რაიმეს შეძენას. შეცდომით აქ მილიარდის საქონელს მოგყიდიან — თანაც საბითუმო ფასად.

გაბატონებული ენა ბათუმში — რუსულია, თვით პირწავარდნილი უცხოელებიც კი მესამე დღეს რუსულად იწყებენ საუბარს. ეს იმითაცაა საინტერესო, რომ ბათუმში რუსები საერთოდ

არ არიან, და არც ქართველები არიან მრავლად — ქალაქი ეროვნულობის გარეშეა დარჩენილი — გამორჩენის დევნაში რომ დაკარგვიათ ადამიანებს.

აი, გარემოება, მაჩვენებელი იმისა, თუ რაოდენ ღრმადაა გაუცხოებული ბათუმი რუსეთისაგან, — ყველაზე დიდ ადგილობრივ კინემატოგრაფში რუსული ცხოვრების ამსახველი იტალიური ფილმი გადის: „ვანდა ვარენინა“ (მარტო სათაური რად ღირს!..). ამ გასაოცარ სცენარში, რუსი ქალები, თურქი ქალების მსგავსად, თალხ ჩადრებში დადიან და მას მხოლოდ ოთახში იხსნიან, რუსი თავადები საოპერო კოსტიუმებში გამოწყობილან (წარმოდგენიდან „სიცოცხლე ხელმწიფისათვის“), დასეირნობენ ინგლისური ტიპის სამცხენა ეტლით, ამასთანავე მარხილი სკანდინავიელ ვიკინგთა ძნელსაცნაურ ხომალდს მოგაგონებთ. მე ვესწრებოდი ამ ჩვენებას, — გადავსებულ დარბაზში არავის არაფერი უკვირდა და არავინ იცინოდა — ალბათ ყველა სრულიად ბუნებრივად მიიჩნევდა ყველაფერს, და მხოლოდ მაშინ, როცა იტალიურმა კინომ რუსული ჯვრისწერა აჩვენა და ახალგაზრდები ეკლესიაში რაღაც უზარმაზარი გვირგვინებით შემოიყვანეს, მცირერიცხოვანმა წითელარმიელებმა ვეღარ მოითმინეს და ხმაური ატეხეს.

ბათუმისათვის მეტად ნიშანდობლივია ყირიმიდან დაძრული ემიგრაცია. ყირიმი ახლა გაღარიბებულია, იქ რაიმეს კეთება ძალზე რთულია, და ამიტომაც ხომალდ „პესტელის“ ყოველ ახალ რეისს ბათუმში „დევნილები“ ჩამოჰყავს ფეოდოსიიდან, იალტიდან და სევასტოპოლიდან. თავიდან ისინი გაუბედავად, გაპუტული წიწილებივით დააბიჯებენ ბერძნულ ქუჩაზე, მაგრამ გადის რამდენიმე დღე, და ისინიც, უკვე მოღონიერებულნი, თავისუფალი ქალაქის სრულუფლებიანი წევრები ხდებიან.

იმ უცხოელზე, რომლისთვისაც საბჭოთა ფედერაციაში ყოფნა ბათუმით შემოიფარგლება, ქალაქი ძალიან უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს, სამაგიეროდ ჩვენთვის ბათუმიც საკმარისია, კონსტანტინოპოლის მშვენიერების შესახებ რომ ვიმსჯელოთ.

ბათუმში არავინ უჩივის ძნელბედობას, და მხოლოდ ერთი უბრალო წვრილმანი მეტყველებს იმაზე, რომ არიან ადამიანები, რომელთაც ლირები არ გააჩნიათ — ამის მანიშნებელი იმ პლაკატთა სიმრავლეა, უსათუოდ რომ ამშვენებს ყოველ ფარდულს, ყოველ პატარა დუქანს: «кредит никому», «кредит ни кому» და ასეც კი, «кредит не кому» — ყველანაირი ორთოგრაფიის მოშველიებით. მაგრამ ნამდვილი ვაჭრობა არ გამოდის კრედიტის გარეშე და მართლაც საკმარისია აიღო სადმე ერთი კოლოფი პაპიროსი, რომ მეორე დღეს კრედიტში გამოიტანო მეორე.

ერთ-ერთ საპორტო დუქანში მეპატრონეებს ვაკვირდებოდი, რომლებიც ყოველთვის იმდენად მთვრალები იყვნენ, რომ გონებას კარგავდნენ თითქმის. საეჭვოა, მათ რომ საქმისათვის გაერთმიათ თავი.

ეს ყველაფერი სტომაქთან და ლირის მსახურებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ბათუმში უფრო სხვა, მაღალი სულიერი მოთხოვნილებებიც მოიძევება, როგორც იტყვიან, ზოგი რამ საკუთარი სიამოვნებისათვის. მარიინის ქუჩაზე არსებობს წრე «ОДИ» (ხმს) ანუ „ხელოვნების მოღვაწეთა საზოგადოება“. აქ აწყობენ მაკულატურულ ფერმწერთა სასეირო გამოფენებს, რომელთაც ბითუმად ყიდულობენ გავლით ჩამოსული ბერძნები, ადგილობრივი ესთეტები და სნობები კი, ნამდვილ ვერნისაჟზე რომ ჰგონიათ თავი, ბოლთას სცემენ გაფერადებულ ოლეოგრაფიებს შორის. აქვე, ქალბატონები, საქმის მცოდნე გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით სიმღერას, მუსიკასა და პლასტიკას ეუფლებიან. ბათუმში არიან პოეტებიც, და მათზე უფრო დახვეწილი მგოსნები ძნელად წარმოსადგენია. ქალაქი გამუდმებით განიცდის გავლით ჩამოსული თაღლითების — „პროფესორებისა და ლექტორების“ შემოსევას. ერთ-ერთმა მათგანმა საჯარო სასამართლოც კი გამართა მუსიკის თანხლებით, იუდა ისკარიოტელის განსასჯელად, თანაც აფიშით თვითნებურად იუწყებოდა, ხსენებულ სასამართლოზე რევოლუციური ტრიბუნალი მიიღებს მონაწილეობასო, რისთვისაც გაასამართლეს კიდეც. ყოველ შაბათს ქალაქს აყრუებს საზოგადოებრივი საკრებულოდან მომავალი სამხედრო მუსიკის ჰანგები, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს ნადიმი, რომელიც მთელ ღამეს გასტანს, მორიგი საქველმოქმედო საღამოა დამშეულთათვის, ლოტოთი, ამერიკული აუქციონითა და სხვა ღირსშესანიშნაობებით. აქ მავანნი მილიარდებს ტოვებენ.

თუ ეს საღამო ქართულია — ერთი წუთითაც არ წყდება საზანდართა ჰიპნოზური მუსიკა, მაგიდიდან მაგიდაზე რომ ინაცვლებს, ვიდრე მოქეიფეთაგან რომელიმე ზვიადად არ წამოიჯგიმება მაგიდიდან და გულის განმგმირავი თარის აკომპანიმენტის ქვეშ არ გააჩაღებს ლეკურის ცეკვას.

რაც შეეხება ახლანდელ ბათუმს: ესაა თავისუფალი სავაჭრო ქალაქი, კალიფორნია — ოქროს მაძიებელთა სამოთხე, მტაცებლობისა და სიცრუის ბინძური ქვაბი, საბჭოთა ქვეყნისათვის ერთობ საეჭვო სარკმელი ევროპაში, მომაჯადოვებელი ნახევრადაღმოსავლური ხმელთაშუა პორტი თურქული ყავახანებით, თავაზიანი სოვდაგრებითა და რუსი მოვაჭრე მეზღვაურებით, რომლებიც ისევე უდარდელად ტკეპნიან მის ხარბ ნიადაგს, როგორადაც შანხაისა და სან-ფრანცისკოს ნიადაგს ტკეპნიდნენ! დავიმახსოვროთ, რომ თანამედროვე ბათუმის ჰაერი მზიანია, ნოტიო და მავნე: მომავალი პროლეტარული რუსეთისადმი, მისი მშენებლობისადმი, მისი ზნეობრივი სახისადმი, მისი ტანჯვა-ვაებისადმი უპატივცემულობით გაჟღენთილი.

ბათუმისაგან კომერციული სარგებელიც მცირეა და მეტისმეტადაა გაბერილი. ბათუმის საწყობებში მთებად დაზვინული საქონელი, თუკი კარგად დავაკვირდებით — იაფფასიანი უხამსობაა, რითაც ადრე ველურებსა და კოლონიურ ქვეყნებს ამარაგებდნენ.

ჩვენი ლოზუნგი ასეთი უნდა იყოს: რაც შეიძლება სწრაფად გავთავისუფლდეთ ბათუმის ჰეგემონიისაგან, რათა ზღვის მარილიანმა ქარმა ჩვენი შრომითი სახლი ოდესის, ნოვოროსიისკის, სევასტოპოლის, პეტერბურგის საღი ნავსადგურების ფართო ფანჯრების მეშვეობით განაახლოს, სადაც საბედნიეროდ უკვე გაირანდა პირველი ჩარჩო.

ბათუმი

წვიმს, წვიმს, წვიმს — ანუ: გარეთ გასვლა შეუძლებელია. წვიმა შეიძლება მოდიოდეს ხვალაც და ზეგაც: ზამთრის წვიმა ბათუმში — ეს არის გრანდიოზული თბილი შხაპი რამოდენიმე კვირის მანძილზე. არავის ეშინია ამ შხაპისა, ნებისმიერი ბათუმელი, თუ საქმე მოითხოვს, სად არ წავა, ასეთ წარღვნაშიაც კი, ნოესაც რომ შეეშინდებოდა კიდობნიდან თავის გამოყოფა. აი ერთი „ცეკავშირელი“, სანადირო ჩექმებში, მიიჩქარის სამსახურში, მშობლიური ცეკავშირისაკენ — უკანასკნელი კოოპერატიული გასამრჯელოს მისაღებად. იგი ვაჟკაცურად გადის ფონს ყველაზე სახიფათო ადგილებში, თითქოს განზრახ არჩევდეს ძნელად გადასასვლელ ღრმა ორმოებს.

გარეგნულად ცეკავშირი ჰყვავის. პატარა, სუფთა, განცალკევებულად მდგომ სახლში სანაპიროზე, ოლეანდრებიან და პალმებიან ბულვართან ახლოს, სადაც, როგორც ამბობენ, ინგლისელების სამხედრო სასამართლო იყო განთავსებული, დღედაღამ მუშაობაა გაჩაღებული. დილაადრიან, დაუღალავი კოოპერატორები, წყალგაუმტარ ლაბადებსა და მაკინტოშებში, სამგზავროდ ამზადებენ ავტომობილებს ჩაქვის პლანტაციებისა და ხეხილიანი მამულების დასათვალიერებლად. უკვე დილაადრიან, ადგილობრივ კომერსანტებს მინდობილი უცხოელი სოვდაგრები სამსხვერპლოზე მიყვანილი კრავებივით ირევიან მისაღებში (ის, ვინც მიჰყავთ, ყოველთვის გამოირჩევა იმისგან, ვისაც მიჰყავს), რომლებიც, როგორც ჩანს, არცთუ ეშმაკობის გარეშე ახერხებენ გამგის კაბინეტში შეღწევას, სადაც მათ ბიბლიური სოლომონისა, ანდა „ათას ერთი ღამიდან“ ყადის მწვავე და ყოვლისშემცნობი სამსჯავრო ელოდებათ.

— ჩვენ ვართ „საზოგადოებრივი ვაჭრები“, — ამაყად აცხადებენ ბათუმელი კოოპერატორები. — ჩვენ არც გვცხელა და არც გვცივა ანუ არანაირ სიკეთეს არ ველით „ცეკავშირისგან“ იმეორებს უბრალო ობივატელი. მაგრამ ობივატელს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, მას ახლავე ჭირდება რაიმე მოსახელთებელი. ამავე დროს, რომ არა ცეკავშირი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს საგარეო ვაჭრობასთან, ყველაფერი თავის ნებაზე იქნებოდა მიშვებული, ვერაფერი მოთოკავდა უცხოელ მტაცებლებს, რომელთა სიხარბეს აქ წინააღმდეგობა და ის ავტორიტეტიც ხვდება, რომლის წინაშე ქედი უნდა მოიხარონ.

— მაგრამ წვიმა დაუსრულებლად არ მოდის. თითქოს ჯადოსნურად შრებიან სუფთა ქუჩები. ბათუმისეული წარღვნა — გამდინარი წყლის სამეფოა. ქალაქი წვიმის შემდეგ ეს-ეს არის განიბანა, გაცოცხლდა. ბულვარში ზამთრის სეირნობა იწყება. ზამთარში ადამიანები ზღვის ტალღებთან ახლოს, პლაჟის თბილ კენჭებზე სხედან, ოღონდაც არ ბანაობენ. აი, აქ იწყება ახლა პორტის თურქული ყავახანებისათვის ნამდვილი ზეიმი — ესაა მთელი ქალაქის გული და სული: პატარ-პატარა კლუბებითა და ბირჟებით. ყავახანაში სიბნელეა და პაპიროსის ბოლი დგას. ჰაერში ყავის არომატული, ბლანტი სურნელი ტრიალებს. სიღრმეში ოქროსფერი ნაკვერჩხლე-

ბით ჩაუქრობლად ბჟუტავს მაყალი, რაზეც, სპილენძის ტიგელებში, ღვთიურ სასმელს თვით ყავახანის მეპატრონე ამზადებს. მსახურს ძალ-ღონე გამოელია, პატარა ყავის ფინჯნებისა და ცივწყლიანი ჭიქების მიტან-მოტანაში.

— აი, გაზეთის დამტარებელიც შემოდის. მას ყველა ენაზე მოუმარაგებია გაზეთები. თითეულისთვის თავისი სარგო.

— დარბაისელი მოხუცი თურქი თურქულ „კომუნისტს“ ყიდულობს და ხმამაღლა, დინჯად უკითხავს სხვებს. როგორ ჩაწვდება იგი, სოვდაგარი და პატრიარქი მისთვის შემოთავაზებულ ახალ სწავლებას? იმანჭება, თუმცა არ იცინის. ისევე როგორც მთელი მისი ხალხი, იგი კარგადაა აღზრდილი და მიჩვეულია, პატივი სცეს სხვის აზრს.

— ბათუმში, როგორც სავაჭრო ქალაქში, ყველაზე საამური სწორედაც რომ სავაჭრო სახლებია. აქ სათნოება და კულტურა სუფევს, რასაც ვერ ნახავთ იტალიურსა და სხვა ევროპულ სავაჭრო ფირმებში, სადაც ფაციფუცი და უსიამოვნო მტაცებლური სულია გამეფებული. არის ერთი პუნქტი, რაშიც აღმოსავლეთის ვაჭრობა არ ჰგავს ევროპულს — კერძოდ: ვაჭრობა მხოლოდ განაწილების აპარატი კი არა, არამედ სოციალური მოვლენაა, და მოვაჭრე აღმოსავლეთის ჩვევებში ადამიანისადმი პატივისცემას გრძნობ, რომელსაც უბრალოდ ვერ გაძარცვავ და ფაფასთან ერთად ვერ მიირთმევ.

— ბინდდება, მაგრამ ბათუმს დაძინება არ სურს. მარიინის ქუჩაზე გვიან ღამემდე უწყვეტად მოძრაობს მოზეიმე ნაკადი; იგრძნობა, რომ ამ ბრბოში თითოეულს „თავისი საქმე მოუგვარებია“ და ახლა საკუთარი კომერციული მოხერხებულობის ნაყოფს იმკის. გაჩახჩახებულია ხილითა და სამხრეთული ზამთრის სიამით — მანდარინით სავსე ფარდულები და ფუნდუკები. მოხერხებული, ტურტლიანი ბიჭები ლეკურს ცეკვავენ, მერე მოულოდნელად ფეხებში უვარდებიან გამვლელებს, რომლებიც შემცბარნი, მცირედი მოწყალების გაცემით თავიდან იცილებენ მათ. ბრბო იმდენად ხალისიანია, რომ მათი მხიარული და ხმაურიანი ჟრიამული მეოთხე სართულამდე აღწევს და ძილს გვიფრთხობს.

— ამავე დროს ქალაქის მთელი კვარტალები მკვდარია, უსიცოცხლო, როგორც უდაბნო. ეს სპეციალურად დუქნებისათვის განკუთვნილი კვარტალებია ზღვის პირას. რკინის მძიმე ბოქლომებით ჩარაზულდარაბებიანი უამრავი ქუჩაც ჩამქრალია, წყვდიადშია მოქცეული. აქ მხოლოდ დარაჯები დაეხეტებიან, გამოსაფხიზლებელი სატკაცუნოებით, დაძინებულ მილიარდებს რომ იცავენ. თუმცაღა აქა-იქ, რკინის დარაბებიდან სინათლის შუქი მაინც გამოკრთის, ვინაიდან ბევრ დუქანში ცხოვრობენ კიდეც. საქმე იმაშია, რომ ბათუმში გასაქირავებელი ოთახები საერთოდ არაა, და ამიტომ არც „საბინაო კრიზისია“. ეს პრობლემა მარტივადაა მოგვარებული — მდგმურებისთვის ოთახები იმდენად არ არის, რომ მათი მოძებნაც კი არავის მოსდის თავში. ბათუმში ჩამოსულს იმას კი არ გკითხავენ, სად ცხოვრობთო, არამედ ღამეს სად ათევთო. უბინაო ჩამოსულების მიმართ შიში იმდენად დიდია, რომ სადგურიდან წამოსული, ვერცერთ საჩაიეში, ვერცერთ ყავახანაში ბარგს დროებით ვერ დატოვებთ: მეპატრონენი დარწმუნებული არიან, რომ თქვენ მათთან ღამის გასათევად დაბრუნდებით, და ამის შავი ჭირივით ეშინიათ. წვრილი მოვაჭრენი თავს აფარებენ ისეთ ჯიხურებსა და ფარდულებს, ზომით ძაღლის სადგომს რომ არ აღემატება. რა გზით შოულობენ ჩამოსული მსხვილი კომერსანტები ბინას, — სრული იდუმალებითაა მოცული. როგორც ჩანს, ლირა სივრცის კანონზომიერებასაც ამარცხებს.

— ბათუმი, მისთვის დამახასიათებელი გაცხოველებული ინტერნაციონალური ვაჭრობით, კოლონიურ ქალაქს, ან თუნდაც შანხაის რომელიღაც ევროპულ კვარტალს მოგაგონებთ. და რაოდენ უბადრუკად გამოიყურება მასთან შედარებით ნოვოროსიისკი, თავისი შესანიშნავი, გიგანტურად აღჭურვილი პორტით, თავისი ელევატორებით, მაღლა რომ ეზიდებიან ფანტასტიკურად გრძელ, ხორბლის შესანახ კონტეინერებს. ეს ყველაფერი ახლა ღრმა ძილშია და გაღვიძებას ელოდება. კუშტად გეგეგებათ ყინულოვანი ნოვოროსიისკის ნორდ-ოსტი, ქალაქში კი რაღაც განსაკუთრებული სერიოზულობა იგრძნობა, თითქოსდა მომავალი, მისთვის გრანდიოზული ეკონომიკური ამოცანის შესასრულებლად ემზადება. მაგრამ ჯერჯერობით ცარიელ, ცივ ფარდულებში, სადაც დახლებზე დემონსტრაციულადაა დაგდებული ნარმის ერთი ნაჭერი, ჰეროიკული კომივოიაჟორები, მათთვის ჩვეული ქურდული მოხერხებულობით, გამალებით ტენიან ჩემოდნებს ბათუმური ძაფებით და თავიანთი არკადიის[24] ნაპირებზე გამუდმებით მეოცნებენი, საეჭვო ასფუთიან ტვირთს სადღაც, სახიფათო და ბნელი გზით ეზიდებიან.

განმარტებები

[1] Tristia — (ლათ.) სევდა, ურვა.

ზოგიერთი რამ ქართული ხელოვნების შესახებ

[2] ალექსანდრ ს. პუშკინის ლექსის პერიფრაზი.
[3] მიხეილ ი. ლერმონტოვის ლექსი „პაექრობა“.
[4] „გოგოთურ და აფშინას“ მანდელშტამისეული გამოუქვეყნებელი თარგმანის ერთ-ერთი ვარიანტი.
[5] ფრანგული მოდერნიზმისადმი მონური... — როგორც ცნობილია, შემდგომში ოსიპ მანდელშტამი სინანულს გამოთქვამდა ამ სიტყვების გამო, ხოლო რაც შეეხება ფრანგული პოეზიის მეორე ხელიდან თარგმნას, ესეც არაა მართებული; ფრანგული პოეზიის უბადლო მთარგმნელი ბ. კ. ლივშიცი აღტაცებული იყო პაოლო იაშვილის ფრანგული ენის ცოდნითა და ამ პოეზიის მისეული სიღრმისეული წვდომით.
[6] ვერბიცკაია ანასტასია (1861-1928) — ზიაბლოვა, რუსი მწერალი, XX საუკუნის დასაწყისში უაღრესად პოპულარული, შემდეგ სავსებით მივიწყებული.

დაბრუნება

[7] თვალთმაქცი პოლკოვნიკი — ფეოდოსიის კონტრდაზვერვის უფროსი ა. ციგალსკი.
[8] მაღალ-მაღალი A. — ალბათ იგულისხმება ნ. აგინცევი (1888-1932) პოეტი, პოპულარული კუპლეტებისა და სიმღერების ავტორი. მენშევიკების დროს ცხოვრობდა საქართველოში.
[9] სერგეი გოროდეცკი (1884-1967) — რუსი პოეტი. მოღვაწეობდა აგრეთვე, როგორც კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე.
[10] რიურიკ ივნევი — პოეტი, მანდელშტამის კარგი ნაცნობი, კარგა ხანს ცხოვრობდა საქართველოში.
[11] ლოიდ-ტრიესტინო — (ავსტრიული ლოიდი) ავსტრო-უნგრეთის სადაზღვევო საზოგადოება.
[12] სილვიო პელიკო — (1789-1851) იტალიელი მწერალი და დრამატურგი.
[13] რუსული გაზეთი — 1920 წელს ბათუმში გამოდიოდა რუსული გაზეთები: «Голос труда», «Батумский вестник », «Батумская жизнь», «Эхо Батума», «Батумский час».
[14] ჩხიკვიშვილი ბენიამინ — 1920 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარი იყო.
[15] მდივანი, ე. ნ. — გენერალი, ბათუმის სამხედრო ოლქის მეთაური.
[16] მაზურკევიჩი, ვლადიმერ — (1871-1942) უამრავი პოპულარული რომანსის ავტორი. 1915 წლის ა. პუშკინის სახ. პრემიის ლაურეატი.
[17] სურიკოვის პრემია — იგულისხმება გლეხი პოეტი ივან სურიკოვი (1841-1880).

მენშევიკები საქართველოში

[18] ლოიდ ტრიესტინო — საოკეანო თბომავალი, ასრულებდა რეისებს კონსტანტინოპოლსა და ბათუმს შორის.
[19] კარლ კაუცკი (1854-1938) — გერმანელ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი.
[20] ემილ ვანდერველდე (1868 — 1938) — ბელგიის მუშათა პარტიის ხელმძღვანელი.
[21] ვოლაპიუკი — ხელოვნური საერთაშორისო ენა, არ გამოიყენება, აქ — გაუგებარი, უშინაარსო ფრაზების რახარუხი.

ბათუმი

[22] ლოიდ, ტრიესტინო... კამხი — უცხოეთის სანავიგაციო და სამრეწველო ფირმების დასახელება.

[23] Table d'hote (ფრანგ.) — საერთო სუფრა სასტუმროში, რესტორანში, პანსიონში, სადაც საუზმე და სადილი მოაქვთ საერთო მენიუს მიხედვით ყველასათვის.

ბათუმი

[24] არკადია — საბერძნეთში პელეპონესის ცენტრალური ნაწილი (გადატანითი მნიშვნელობით — სამოთხისეული უმანკოების, პატრიარქალური უბრალოებისა და მშვიდობიანი ბედნიერების ქვეყანა).

რუსულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ნიკო დადიანმა

თამარ კოტრიკაძე

ლორა ბოჩაროვას ერთადერთი სიმღერა

MAGISTER LUDI[1]

ძლიერი ქალი — პირველ რიგში, სწორედ ეს მოგდის აზრად ამ ადამიანთან დაკავშირებით, არა იმის გამო, რომ უფრო ძლიერია, ვიდრე ჭკვიანი, ან უფრო ჭკვიანი, ვიდრე ლამაზი. სინამდვილეში ლორა ცოცხალი მაგალითია იმისა, რომ, თუკი ღმერთი ადამიანს დიდი ნიჭით აჯილდოვებს, ეს ნიჭი მრავალმხრივად იჩენს თავს — როგორც მის შემოქმედებაში, ისე გარეგნობაშიც. ასე რომ, თუკი ლორას ძალაზე ვილაპარაკებთ, უპირველეს ყოვლისა, ამ ადამიანის უშრეტი შემოქმედებითი ენერგია უნდა ვიგულისხმოთ, რომლის შედეგადაც შეიქმნა სამი შესანიშნავი როკ-ოპერა („ტამპლი", „ფინროდ-ზონგი" და „ჟანა დ"არკი"), არაერთი როლური თამაშის პროექტი სხვადასხვა ისტორიულ და ლიტერატურულ თემაზე, უამრავი სიმღერა, ლექსი, პროზაული ნაწარმოები, ესსე, ნახატი, კოლაჟი, უაღრესად ეფექტური ფოტოსესია თუ პერფორმანსი... მართალია, მასშტაბური პროექტების შემთხვევაში ლორა უფრო ხშირად თანაავტორად გვევლინება, მაგრამ მისნაირი ადამიანი ნებისმიერ შემოქმედებით გარემოში იმ საბოლოო ავტორიტეტად და ყოველივეს შემკვრელ ღერძად გვევლინება, რომელიც, თვით ლორას თქმით, ნაწარმოებს *„ზედმეტისაგან ათავისუფლებს და აუცილებელს უმატებს"*, რაც როლური თამაშების ოსტატის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს. ყოველი ადამიანისთვის ნაცნობია ამა თუ იმ ხელოვნების ნიმუშით აღფრთოვანება, ანდა უბრალოდ ერთობლივი საქმიანობით მოგვრილი სიხარული — მნიშვნელობა არ აქვს, რა იქნება ამ შემოქმედებითი პროცესის შედეგი; ბევრს ასეთ დროს საინტერესო და ფასეული იდეები ებადება, მაგრამ ძალზე ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც მთელ ამ ემოციურ ნაკადს ნაყოფიერ გეზს დაუსახავს, დახვავებულ მასალას მოაწესრიგებს და შედეგად რაღაც მშვენიერსა და წარუვალს შექმნის. ასე რომ, გასაკვირი სულაც არაა, რომ ერთ-ერთმა მეგობარმა და კოლეგამ ლორას ნებისმიერი ერთობლივი წამოწყების „სულიერი ლოკომოტივი" უწოდა.

მისი ნამდვილი სახელი და გვარი — ლარისა ბოჩაროვა — წლების მანძილზე ეფექტურად ინიღბება სხვადასხვა როლით თუ ფსევდონიმით, რომელსაც ხშირად არა თვითონ, არამედ მისი გარემოცვა ქმნის: მათგან ყველაზე გავრცელებულია ლორა პროვანსალი ან ლორკა, რაც საბოლოოდ თვითკმარ და ლაკონურ *ლორად* შეიკვეცა, ეს კი ალბათ თავისთავად მეტყველებს ამ სახელის მფლობელის გარკვეულ წონასა და აღიარებაზე.

თვითონ ასე მოგვითხრობს საკუთარ თავზე:

*„მე ვარ **ლორა ბოჩაროვა**, ვარ ქრისტიანი, 35 წლის, მაქვს უმაღლესი განათლება და მარადიული სტუდენტობისადმი უცვლელ მოწიწებას განვიცდი. სამწუხაროდ, ჩემი „უნივერსიტეტები" ელემენტარული გამოდგა და იქ დიდხანს შეყოვნებას აზრი არ ჰქონდა. ერთ დროს წმინდა მუნგოს საავადმყოფოში[2] გავდიოდი მკურნალობას, საიდანაც გამოუსწორებელი სიჯანსაღის გამო გამომწერეს. ერთ დროს შავბნელმა მაგიამ გამიტაცა, მაგრამ მალევე მივატოვე მისი შესწავლაც და მისი პედაგოგიც. ვარ მერლინის სამივე ხარისხის ორდენის მფლობელი და ვაგროვებ შეშლილთა კოლექციას. მათი სულის გადარჩენას ჩემს მოვალეობად არ ვთვლი, რადგანაც სხვისი ნების თავისუფლება ჩემთვის წმინდაა. საჯაროდ მუდამ ნიღაბს ვატარებ, რადგან ასე თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ. მშვენიერი მეხსიერება მაქვს — სახელები, ტელეფონის ნომრები და შემთხვევითი სახეები მეფანტება, სამაგიეროდ ცხადად ვიმახსოვრებ სხვისი ბედისწერის ამპლიტუდას. ბავშვებისა და ცხოველების მიმართ გულგრილი ვარ. გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობის საშუალებად მასობრივი ილუზიების შექმნა და ჩემივე ხელით მათი მსხვრევა ავირჩიე. არ ვფლობ დიპლომატიასა და პედაგოგიკას, რადგანაც ორივე სიცრუითაა*

[1] Magister Ludi (ლათ.) — თამაშის მაგისტრი.

[2] „ჰარი პოტერში" — ჯადოქრებისათვის განკუთვნილი სპეციალური საავადმყოფო.

გასვრილი. უკიდურესობები მიზიდავს. მეზიზღება ხალხში გათქვეფა და პიროვნული თავისუფლების შებღალვის ნებისმიერი ფორმა. ვერ ვიტან გუნდურ სპორტსა და აზარტულ თამაშებს. იდეალურია სპორტი მაშინ, როცა შენს თავთან მარტო ხარ გიმნასტიკური ძელის პირისპირ. ჩემი ვალუტა დახვეწილი ენერგიაა. ადამიანების სულში დავანებული დემონებისა არ მეშინია, რადგან მწამს, რომ პიროვნება ღვთაებრივი წარმოშობისაა. კარგად მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც მიყვარს" (2005).

ამ ფურცლებზე ძნელი იქნებოდა ყოველივე იმის ჩამოთვლა, რაც ლორას სიყვარულისა და შესწავლის საგანს წარმოადგენს: მუსიკა, ლიტერატურა, რომანტიზმი, როგორც სწრაფვა გარდასული ეპოქების მითიურ-ჰეროიკული პლასტებისაკენ, არტისტიზმი, როგორც ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში თვითგამოხატვის საშუალება, — აი, მისი საქმიანობის მხოლოდ რამდენიმე მომენტი. ლორა განათლებით ჟურნალისტია, თუმცა საკუთარი შესაძლებლობები ხელოვნების თითქმის ყველა დარგში გამოსცადა.

ისევე, როგორც მრავალ სხვა ადამიანს, ნაყოფიერ შემოქმედებით ნიადაგად ლორას **როლური თამაშების მოძრაობა** მოევლინა, რუსეთისა და მისი მიმდებარე ქვეყნების მკითხველ ახალგაზრდობაში რომაა გავრცელებული. ეს თავისთავად უაღრესად საინტერესო მოვლენაა, რომლის შესახებაც ბევრია დაწერილი, მაგრამ მოვუსმინოთ, თუ რა განსაზღვრებას აძლევს ამ მოვლენას თვით ლორა — როლური თამაშების ოსტატი და ამ საკითხში ერთ-ერთი უტყუარი ავტორიტეტი: *„როლური თამაშები მსოფლიო მოვლენაა: ის მშრალი ნაშთი, რადაც დღეს იქცა ჰიპების მოძრაობა, ფანტასტიკითა და ფსიქოდრამებით გატაცება, პოეტური ამბოხი, ავტოსტოპი, ტურიზმი, თეატრალური სტუდიები, ევროპული კარნავალური ტრადიცია და ტოლკიენისტიკა".* დიახ, სწორედ ტოლკიენმა და „შუამიწის" შესახებ შექმნილმა მისმა წიგნებმა მოახდინა უმძლავრესი ემოციური ბიძგი ამ ფენომენის განვითარებაში, თუმცა როლური თამაშების თემატიკა უკვე კარგა ხანია, რაც ამ ფარგლებს გასცდა და დღეს უკვე პრაქტიკულად ნებისმიერ ისტორიულ ეპოქას თუ ლიტერატურულ მოვლენას მოიცავს. თავის ესეში „დონ-კიხოტის დაბრუნება" ლორა თანამედროვე სამყაროში ადამიანის ეგზისტენციური მარტოსულობის შესახებ საუბრობს და საბოლოოდ ასკვნის: *„ალბათ ბავშვობის შემდეგ ერთადერთ სუფთა, შეურყვნელ სფეროდ მხოლოდ თამაში გვრჩება. ადამიანები მთელ მსოფლიოში იმიტომ თამაშობენ, რათა ყოველდღიური არსებობის უაზრობასა და უსასოობას შეაფარონ თავი. თამაში ბუნებრივია".* მეტიც, თამაში აბსოლუტურად ასოციალურია: *„ჩვენს როლურ მოძრაობას, ისევე, როგორც კაცობრიობის ყველა სხვა თამაშს, ერთი და იგივე დედ-მამა ჰყავს: დრო და წიგნი. და ერთადერთი მიზანი — დროის გაუქმება და წიგნის განხორციელება, ცხოვრებისაგან ახლა, ამწუთას, რაც კი შესაძლებელია, ყველაფრის მიღება".* თამაში რეალობის სრულ განცდას იძლევა, მაგრამ კომპიუტერული თამაშებისაგან განსხვავებით, არ ახდენს ცნობიერების ზომბირებას, არამედ პირიქით, ადამიანის სულიერ შესაძლებლობებს შეუზღუდავ თავისუფლებას ანიჭებს. მწერალმა ანტონ პლატოვმა ამ მოვლენას ძალზე ზუსტი განსაზღვრება მისცა: მისი თქმით, როლური თამაშები სხვა არაფერია, თუ არა „ვირტუალური რეალობა უკომპიუტეროდ"[3].

მაინც, რა უბიძგებთ ახალგაზრდა, მაგრამ სავსებით ზრდასრულ ადამიანებს, გადაიცვან ელფებად, რაინდებად, მუშკეტერებად, სკალდებად და ასე შემდეგ, გავიდნენ ტყეში თუ მინდორში და სიყვარულისა და ომის, ერთგულებისა და მზაკვრობის, მეჯლისებისა და იერიშების სცენები გაითამაშონ? რისთვის თამაშობენ რუსები (და არა მხოლოდ რუსები) „ევროპობანას" და რატომ გამოსდით მათ ეს (ამაზე მრავალი დამაჯერებელი წყარო მეტყველებს) თვით ევროპელებზე უფრო უკეთ? როლური მოძრაობა რუსეთში არ გამოუგონიათ, მაგრამ აქ მან სხვა ქვეყნებზე ბევრად უფრო მასშტაბური სახე მიიღო. იგივე ტოლკიენიზმმა (არა მხოლოდ თამაშის, არამედ ფილოლოგიური კვლევისა და თარგმანის სფეროში) რუსეთში ლამის დასავლეთის ნებისმიერ ქვეყანაზე უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწია. რუსები, მათივე ანდაზისა არ იყოს, თვით რომის პაპზე უკეთესი კათოლიკეები გახდნენ — ამას კარგი გაგებით ვამბობ. ლორა ამ მოვლენასაც ლოგიკურად ხსნის თავის სხვა ესეში, რომელსაც „როლური მოძრაობის ჭეშმარიტი ისტორია" ეწოდება: *„ტოლკიენიზმი, როგორც ჩრდილო-დასავლური საგმირო ბალადების, კელტური ეპოსის, ძველებური სახელების, უმოწყალო ეპიგონიზმისა და კოსტუმირებული გამოსვ-*

[3] А. Платов: «Тропа предела», Москва, 2002. «Повесть о том, как была раскрыта Алая книга Готреда», стр. 241.

ლებისაკენ ლტოლვა, რუსეთში ალექსანდრე პუშკინის ეპოქაში ჩაისახა. თვით ტოლკიენი რუსი ადამიანისათვის ღრმად მეორად მოვლენას წარმოადგენდა, რაკიღა იმის მხოლოდ ერთ-ერთი ინტერპრეტაცია მოგვცა, რასაც მუდამ ვესწრაფოდით“. ეს მოსაზრება უაღრესად ზუსტად და მნიშვნელოვნად მიმაჩნია. თანამედროვე როლურ მოძრაობაში უდაოდ აისახა რუსული კულტურის სწორედ ის თავისებურება, რამაც პუშკინის შემოქმედებას ყოვლისმომცველი მსოფლიო ჟღერადობა მიანიჭა (რასაც პუშკინის მკვლევარნი «всемирность»-ს უწოდებენ); ის, რამაც დოსტოევსკის ათქმევინა, ევროპა ჩემთვის „უწმინდეს სასწაულთა ქვეყანაა“; ის, რის ხარჯზეც უცხოური კლასიკის საუკეთესო რუსული ეკრანიზაციები რაღაც აუხსნელად მშობლიურისა და ახლობლის შეგრძნებას გვიტოვებს... შემთხვევით როდი უწერია ალექსანდრე ბლოკს ლექსში „სკვითები“:

«Мы любим всё – и жар холодных числ,
И дар божественных видений,
Нам внятно всё – и острый галльский смысл,
И сумрачный германский гений...»

აი, ლორას მიერ ჩაფიქრებული და განხორციელებული ზოგიერთი როლური პროექტის სახელწოდებები: „სამოთხის დაპყრობა“ (1997), „მოსასხამისა და დაშნის რომანი“ (1999), „ანგელოზთა ომები“ (2000), „ვარდის სახელი“ (2000), „გოთიკა“ (2001), „სილმარილიონ-ექსტრიმი“ (2002).

როლური თამაშების გარემომ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ხელოვნებისა და ხელობის ყველანაირი დარგის განვითარებას, რაც, მართალია, მეტწილად მხოლოდ დამხმარე ელემენტია თამაშთან მიმართებაში (დაწყებული მუსიკით, დამთავრებული ხმლების, მუზარადებისა და ყველა ეპოქის კოსტუმების დამზადებით); მეორე მხრივ, ლორასა და მისი კოლეგა-მეგობრების შემთხვევაში, ამ გარემომ ხელი შეუწყო ადამიანური პოტენციალის გაცნობას, დაახლოებას, ხალისიანად და რომანტიკულად განყობილი სამეგობროს ჩამოყალიბებას. ამ ყოველივემ ისეთი შემოქმედებითი ნაყოფი გამოიღო, საბოლოო ჯამში, თავის დამბადებელ წიაღზე, თამაშზე ბევრად მნიშვნელოვანი გამოდგა. მოვისმინოთ ლორას აზრი:

— *თამაშები თავისთავად მხოლოდ ემოციათა ყულაბაა, მე ვიტყოდი, ქურაც. თამაშისაგან მიღებული ყველა შთაბეჭდილება აბსოლუტურად სუბიექტურია. თამაშები მხოლოდ და მხოლოდ საშუალებას გვაძლევს, თვალი ვადევნოთ, თუ რა თემატიკაა ამჟამად მოდაში როლურ სამყაროში. მაგრამ თამაშებზე შესაძლებლობა გეძლევა, გაიცნო ადამიანები. მათთან დამეგობრებას ხშირად სრულიად მოულოდნელი შედეგი მოსდევს. რომ არა თამაშები, ერთმანეთს ვერასოდეს გავიცნობდით.*

ახალგაზრდების ერთი ჯგუფი იკრიბებოდა ბუნების წიაღში ანდა ვინმეს ბინაზე, ერთად მღეროდნენ, თამაშობდნენ, ოცნებობდნენ როკ-ოპერის დაწერაზე, სპექტაკლის დადგმაზე. 2000 წელს ასე ჩამოყალიბდა **როკ-ორდენი „ტამპლი“**.

შემდგომში ლორა ამ მოვლენას ასე გაიხსენებს: *„ძნელი სათქმელია, რითი დაიწყო ყველაფერი. ლეგენდას შეიძლება აი, ასეთი სახეც მივცეთ: იყო და არა იყო რა, იყო ოთხი მშვენიერი ასული. ისინი მღეროდნენ სიმღერებს, თამაშობდნენ როლურ თამაშებს და კითხულობდნენ „ბეჭდების მბრძანებელს“, ბევრს იცინოდნენ და ერთხელაც ერთობლივად დაწერეს როკ-ოპერა ტამპლიერების შესახებ. ანდა ასე: ოთხი ასული უყურებდა ფილმებს რაინდების შესახებ, მათ უყვარდათ ჯვაროსნული ლაშქრობები, ინკვიზიცია და კომპოზიტორი ვებერი და ერთხელაც ერთობლივად დაწერეს როკ-ოპერა ტამპლიერების შესახებ. ანდა ასე: ერთხელ რუსეთში ითარგმნა უმბერტო ეკო, ოთხმა ასულმა წაიკითხა „ფუკოს ქანქარა“ და დაწერა როკ-ოპერა ტამპლიერების შესახებ... ხოლო როცა ის დაიწერა, უკან დახევა და თავის მართლება გვიანი იყო, ოპერა ელეგანტური ხუმრობის სახით დაიდგა სცენაზე, პრემიერაზე კი როკ-ორდენი „ტამპლი“ დაიბადა.*

ლეგენდის მოქმედება ქალაქ ყაზანში ხდებოდა, ზემოთ ხსენებული „ოთხი ასული“ კი გახლდათ თვით ლორა, ეოვინი (ლინა ვორობიოვა), ტოშა (ანტონინა კაკოვიდი) და ტემი (ნატალია ნოვიკოვა). ლორას წრეში უპირატესად ტოლკიენისტური ჟღერადობის როლური ფსევდონიმებია მიღებული.

ეს გაერთიანება იმთავითვე არ ჰგავდა ჩვეულებრივ თეატრალურ ჯგუფს. ორდენის სხვა

წევრებთან ერთად დიდი ხნის წინათ მიცემულ ინტერვიუში ტოშა იხსენებს: „ადამიანები თითქოს სრულიად შემთხვევით ჩნდებოდნენ საიდანღაც და თითოეული მათგანი სწორედ ის განსაკუთრებული პიროვნება გამოდგებოდა ხოლმე, ვის გარეშეც „ტამპლი“ უბრალოდ ვერ იარსებებდა. იმ რაღაც ორიოდ კვირაში სამოყვარული თეატრალური ჯგუფი კი არ შეიკრიბა, ნამდვილი საძმო ჩამოყალიბდა“.

თავისთავად სიტყვა „ორდენი“ გარკვეული იდეისადმი მსახურებას გულისხმობს და ადამიანს უსაზღვრო პასუხისმგებლობას აკისრებს. „ტამპლის“ დამაარსებლები მუდამ უსვამდნენ ხაზს იმას, რომ მათი საქმიანობა უზენაესი ჭეშმარიტებისადმი ერთგულებას უკავშირდება, მათი ნაწარმოებები, სახუმარო და ხალისიანი ელემენტების გვერდით ძალზე ღრმა და სერიოზულ სათქმელს ეფუძნება. ლორამ განსაზღვრა „ტამპლი“ როგორც *„თვითკმარი შემოქმედებითი კოლექტივი, რომელსაც არ გააჩნია შინაგანაწესი და არ არიგებს ხელფასებს. მასში გაერთიანებულ ადამიანთა, ანუ ჩვენს შორის არიან ბანკირები და უმუშევრები, ასპირანტები და უსწავლელნი, ორი ქვეყნის მოქალაქენი და ისეთები, რუსეთის ტერიტორია არასოდეს რომ არ დაუტოვებიათ. ჩვენს შორის შეხვდებით მისტიკოსებს და აგნოსტიკოსებს, მაგრამ ყველას მუსიკა და თამაში გვაერთიანებს.* ***ამბობენ, ნებისმიერი თამაში, ისევე, როგორც ნებისმიერი ღვთისმეტყველება, გარკვეული გაგებით მაინც მოკლებულია საზრისს, ხოლო მუსიკა თამაშსაც და ღვთისმეტყველებასაც საგნობრიობასა და წონას ანიჭებს“.*** როლური თამაში ეფემერულია: თუმცა ეს მის მნიშვნელობას არ აკნინებს, მასში მაინც სუფევს *ამწუთიერი მუნყოფნის* მომენტი; როლური თამაში, ბულგაკოვისა არ იყოს, ისეთი ხელნაწერია, რომელიც იწვის, აი, ის კი, რაც მის შემდეგ რჩება, — მუსიკა, ლექსი თუ სხვა რამ, — თუკი დროის გამოცდას გაუძლო, მარადისობაში გადაინაცვლებს.

დაკარგული და კვლავ ნაპოვნი იერუსალიმი

— *ტამპლიერები მიყვარს და, ამავე დროს, მძულს კიდეც,* — აცხადებს ლორა თავისი პირველი როკ-ოპერის თემატიკასთან დაკავშირებით, — *ისინი ხომ ყველაფერში ორაზროვანნი არიან. ცალსახად პოზიტიურად მათ ვერ აღვიქვამთ, რადგან მათ ორდენს იმთავითვე ოდნავი სიდამპლე ჰქონდა შეპარული. ვერც ცალსახად უარყოფითად შევაფასებთ, რადგანაც შესანიშნავად იბრძოდნენ ქრისტეს ეკლესიისათვის. ტაძრელები რომანტიკულნი და ძალზე საშიშნი არიან, ერთი სიტყვით, სრულიად ლეგენდარულნი და მათი ლეგენდა დროისაგან დამოუკიდებლად, თავისთავად ცოცხლობს. პირდაპირ ითხოვენ, გამოგვიყენეო! მათ იდეალური მტრები ჰყავდათ. იდეალური საჭურველთმტვირთველნი... მესამე რაიხი მათ ბაძავდა და მათ საიდუმლოებებს ესწრაფვოდა... და, რაც მთავარია, ყველანი დაიხოცნენ. გოგონები კი ტირიან. მაგრამ სინამდვილეში ამ ყველაფერს მხოლოდ თვალის ასახვევად ვამბობ. ნამდვილ მიზეზს კი არ ვიტყვი. ეს ტამპლიერებმა გვიანდერძეს: საიდუმლოს დასაფარად ყველანაირი ტყუილი გამოდგებაო.*

„ტამპლი“ ერთაქტიანი როკ-ოპერაა, რომელიც სცენაზე ორმოცდაათ წუთს მიმდინარეობს. ესაა ტაძრელთა ორდენის ტრაგიკული აღსასრულის ისტორია, — მათი, ვინც ოდესღაც წმინდა მიწიდან ურჯულოები გაყარა და ქრისტიანობის უდიდეს სიწმინდეს, სოლომონის ტაძარს დაეუფლა, მოგვიანებით კი ყველაფერი დაკარგა; ესაა უკანასკნელი დღე ორდენის დიდი მაგისტრის, ჟაკ დე მოლეს ცხოვრებაში, ვინც ერესში დაადანაშაულეს და ვინც ინკვიზიციის დილეგში შვიდწლიანი პატიმრობის შემდგომ საჯაროდ უარყო ის ბრალდება, რომლის აღიარებაც მანამდე წამებით გამოსძალეს. საერო და საეკლესიო ძალაუფლების წარმომადგენლებს იმდენად მისი რელიგიური წარმოდგენები არ აღელვებთ, რამდენადაც ორდენის მიერ მოპოვებული სიმდიდრე და გავლენა, თუმცა, სანამ კანცლერი დე ნოგარე და რომის პაპი კლიმენტი ტამპლიერთა ხაზინას ინაწილებენ, მიწიერ სიმდიდრემოყირჭებული მეფე ფილიპე ლამაზი ამაოდ ცდილობს მაგისტრს ორდენის დაფარული სიბრძნე დააცდევინოს (*„რომლის შესახებაც არცერთ ჩვენგანს წარმოდგენაც კი არ გააჩნდა, რადგან, როგორც ჩანს, სინამდვილეში არანაირ სიბრძნეს არ ფლობდნენ, მხოლოდ რაღაც იდუმალების განცდა ჰქონდათ“,* — შენიშნავს ლორა).

უმბერტო ეკოს „ფუკოს ქანქარამ“ როკ-ოპერის შესაქმნელად პირველადი იმპულსის როლი შეასრულა, მაგრამ მასთან კავშირი სიუჟეტური კი არა, ემოციურია: ავტორებს რამდენადმე

გადმოედოთ ეკოს რომანის ირონია, ყოველივეს ეჭვქვეშ რომ აყენებს და, ამავე დროს, საიდუმლოს მოხელთების აკვიატებული, თითქმის ფანატიკური წყურვილი.

მაყურებელი მოვლენებს ახალგაზრდა მეაბჯრის თვალით უმზერს; ჭაბუკი ოცნებობს მაგისტრის გადარჩენასა და ორდენის აღორძინებაზე, მაგრამ აღსასრული გარდუვალია: ტამპლიერები უმწყემსოდ დარჩენილი ცხვრებივით იფანტებიან, მაგისტრს კოცონზე წვავენ, საიდანაც იგი სიკვდილის წუთებში წყევლა-კრულვას უგზავნის თავის ჯალათებს. ეს წყევლა ერთ წელიწადში ახდება. ჭაბუკი მეაბჯრე ღრმად შეძრა მისი სენიორის ქმედებამ, რომელიც ქრისტიანულ ცნებებს არანაირად არ შეესაბამება, თუმცა მაშინვე აცნობიერებს, რომ კერპს ეთაყვანებოდა: ორდენის იდეალები კონკრეტულ პიროვნებას მიაწერა; მაგისტრი ჩვეულებრივი ადამიანი გამოდგა, ის ეძიებს და ცდება კიდეც, თუმცა მამაცურად ხვდება სიკვდილს. ახალგაზრდა ხედავს იმასაც, რომ წარსულის დაბრუნება შეუძლებელია, ერთადერთი ჭეშმარიტი ტაძარი კი ჩვენს გულებშია. ფინალში ტაძრელები დემონსტრაციულად იხდიან ორდენის თეთრ, წითელჯვრიან მოსასხამებს და ყველა მონაწილე ერთად ძალზე სახალისო და მხიარულ სიმღერას მღერის. ეს სიმღერა, უპირველეს ყოვლისა, მოზღვავებული ახალგაზრდული ენერგიის გამომხატველია, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს რაიმე სახის ფანატიზმს. ცხადი ხდება ამ ახალგაზრდების სულიერი სიჯანსაღე, ის, რომ ნებისმიერი რომანტიკული ტრფობა მათთვის, საბოლოო ჯამში, სიცოცხლისა და ერთადყოფნის უბრალო სიხარულში გადაიღვრება და სწორედ ესაა უმთავრესი და ყველაზე სწორი შთაბეჭდილება, რაც საბოლოოდ გვრჩება სპექტაკლისაგან.

სცენური და მუსიკალური თვალსაზრისით ოპერა უაღრესად ლაკონურია; აკომპანიმენტს ქმნის მხოლოდ და მხოლოდ ორი გიტარა (მათი წყალობით ოპერა განსაკუთრებულ „ბარდულ“ ჟღერადობას იძენს), ორი ფლეიტა (შუასაუკუნეების განცდას რომ ქმნის) და დაირა... ოპერას შეიძლება ხალხურიც ვუწოდოთ იმ თვალსაზრისით, რომ მისი შესრულება როგორც სცენაზე, ისე ღია ცის ქვეშაცაა შესაძლებელი... აშკარად შეინიშნება ენდრიუ ლოიდ ვებერის „იესო ქრისტე — სუპერვარსკვლავის“ ტრადიციისადმი ერთგულება: ზოგიერთი, უპირველეს ყოვლისა, მასობრივი სცენა, თითქმის უშუალოდ იმეორებს გენიალური პირველწყაროს რიტმსა და ინტონაციას. თუმცა, დასაძრახი აქ ნამდვილად არაფერია: თუ სწავლაა, სწორედ ასეთი მასწავლებლისგან უნდა ისწავლო! ამასთან, „სუპერვარსკვლავის“ ციტირება შეფარულ ირონიასაც შეიცავს: მაყურებელი პერსონაჟებთან ერთად ექცევა ცდუნების ქვეშ, ტანჯული მაგისტრი გაუცნობიერებლად იესო ქრისტესთან გააიგივოს, მაგრამ ავტორები იმთავითვე გვიჩვენებენ, რომ ეს მხოლოდ ილუზიაა...

— *დრამატურგია, რამდენადაც მახსოვს, მუშაობის პროცესშივე იქმნებოდა,* — იხსენებს ჩვენი გმირი, — *ერთად ვბჭობდით, საით გაგვეცურა. ვდგამდით სცენებს და მუსიკასაც და ტექსტსაც ერთბაშად ვწერდით; ხან ცალ-ცალკე ვმუშაობდით (მეაბჯრის არიები, მაგალითად, მარტომ დავწერე), ხან ორნი (ტოშას და ეოვინს კარგად გამოსდიოდათ თანამშრომლობა), რაღაც-რაღაცებს ეოვინთან ერთად ვაკეთებდი. ეოვინი უფრო მუსიკის წერაშია გაწაფული, მე კი — ტექსტის. ერთი შემიძლია დანამდვილებით ვთქვა: ჩემს გამოჩენამდე არ არსებობდა ნაწარმოების მთლიანი, შეკრული ხედვა, ყველა შესაძლო ვარიანტი ან სუსტი იყო, ან პრეტენზიული, არსებობდა მხოლოდ ცალკეული სცენები. მგონი, კონცეფციაზე წესიერად არავის უფიქრია — ყველას იტაცებდა ერთობლივი მუშაობის სულისკვეთება, ყოვლისმომცველი თემა მანქანაში გატარებული ხორცივით თავისით მოძვრებოდა, ყველაფერი მიმზიდველი და შესაძლებელი გვეგონა...*

ლორას მიერ გაბნეული მასალის ერთ სისტემაში მოქცევას შემოქმედებითი პროცესის დემოკრატიულობა არ დაურღვევია.

— *გარკვეულ მომენტში დავჯექი, ჩამოვწერე უკვე არსებული სცენების სია და ერთბაშად გამოჩნდა, თუ რა გვაკლია. მელოდიები უკვე გამზადებული გვქონდა, ამიტომ მხოლოდ ცარიელი ადგილების ამოვსებაღა გვრჩებოდა. ერთი რამ კარგად მახსოვს: საქმე რომ წინ წასულიყო, ამისთვის ყველა მონაწილის შეფასება იყო აუცილებელი... თავისთავად არსებობდა შეგრძნება, თითქოს ყველაფერი, რასაც ერთობლივი განხილვა არ გამოუვლია, უკანონოა. ეს ერთობის ძალიან კარგი განცდაა... ოპერა „ტამპლი“ შეიძლება განვსაზღვროთ როგორც „არქიტექტურის ჯამი“, ამბავი ტაძრის აღმშენებლობის, და არა მისი ნგრევის შესახებ. ფინალურ სცენას, სადაც*

ორდენთან დაკავშირებული ყველა პერსონაჟი ერთად იყრის თავს, დანგრეული მატერიალური ტაძარი არქეტიპის განზომილებაში გადააქვს. ტაძარი თვით ადამიანები არიან.

ნაწარმოების კონცეპტუალური სტრუქტურა მართლაც შუა საუკუნეების გოთური ტაძრის რთულ არქიტექტურულ მოდელს მიჰყვება. თითოეულ კომპოზიციას განსაზღვრავს რაიმე არქიტექტურული ელემენტი: თაღი, გუმბათი, კოშკი თუ გალერეა, რასაც, თავის მხრივ, სცენური მოქმედების ცვალებადი ტონალობა შეესაბამება. მეაბჯრის არიებს მაღალფარდოვნად რომანტიკული ტონალობა ახასიათებს, კოცონისა და წყევლის სცენას — ტრაგიკული, ბუფონადას უახლოვდება ბაზრის მოედანზე გათამაშებული სახალხო სცენა, ასევე კანცლერისა და პაპის შეხლა-შემოხლა და თვალთმაქცი ინკვიზიტორების გენიალურად გროტესკული დუეტი; სიკვდილის ცეკვის სცენაში გროტესკი ველურ კარნავალურ ბაკქანალიაში გადაიზრდება. ეს აბსოლუტურად კონტრასტული სტილის კომპოზიციები იმდენად სხარტად, მუსიკალური თუ დრამატული დისონანსის გარეშე ცვლის ერთიმეორეს, რომ მსმენელ-მაყურებელი მართლაც დიდ სიამოვნებას იღებს. მიწისა და ცის საწყისები აქ, შეიძლება ითქვას, ჰარმონიულად თანაარსებობენ. როგორც ჩანს, მხატვრული გემოვნების გარდა (რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ზომიერების შეგრძნება) ამის საიდუმლო იმ გულწრფელობასა და უშუალობაშია, ოპერის შემქმნელებს რომ ახასიათებთ.

ნაწარმოების საერთო განწყობას საუკეთესოდ მაინც პროლოგი გამოხატავს, რომელსაც შუასაუკუნეების სიმბოლური ფიგურები წარმოგვიდგენენ; გარკვეულწილად აქ ციტირებულია ალექსანდრე ბლოკის ლირიკული დრამა „ვარდი და ჯვარი“, თუმცა, ბლოკისთვის დამახასიათებელი ბუნდოვანების საპირისპიროდ, ეს პერსონაჟები ძალზე კონკრეტულნი არიან: ესაა ბანოვანი — მიწიერი სიყვარულის განსახიერება (მას თვითონ ლორა ასრულებს), მეაბჯრე — ყმაწვილური ერთგულებისა და შეგირდობის სიმბოლო, და ტამპლიერი რაინდი. ისინი ასრულებენ სიმღერას „იერუსალიმის დაკარგვა“, ზოგადად რაინდული სულისკვეთებისა და მაღალი იდეალებისადმი ნოსტალგიას რომ გამოხატავს...

უდავოა, რომ „ტამპლი“ სრულფასოვანი ნაწარმოებია, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ დასაწყისია და ჩანაწერის ყურებისას აშკარად ჩანს, რომ ავტორები მუშაობის პროცესში მთელი გულით ხალისობდნენ. თავიდან შემსრულებლები არ ჰყოფნიდათ და ამიტომ პოტენციურ ტამპლიერებს ნაცნობებში და ტრანსპორტში ეძებდნენ, ქუჩაში აჩერებდნენ... საკვირველი სულაც არაა ის, რომ თითქმის ვერცერთი მონაწილე, პროფესიონალურ სამსახიობო განათლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მეტ-ნაკლებად მისაღები ხმითაც კი ვერ დაიკვეხნის. აქედან გამომდინარე, სპექტაკლის როგორც დრამატული, ისე მუსიკალური მხარე მონაწილეთა შესაძლებლობებს დაექვემდებარა. თუ მკაცრად განვსჯით, „ტამპლი“ უფრო მუსიკალური დრამაა და არა როკ-ოპერა, რადგან სამღერა მასში ბევრი არაფერია. მაგრამ ავტორებმა მარჯვედ მოახერხეს, ნაკლოვანებებიც კი უპირატესობებად გადაექციათ. მაგისტრ ჟაკ დე მოლეს როლის შემსრულებლად ელრონდი (პაველ ეპიფანოვსკი) შეარჩიეს — ამის ერთადერთი მიზეზი კი მისი არაორდინალური გარეგნობა გახლდათ. ლორას თქმით, მას *„სიფათი კი არა, დაშნა აქვს“*, და ამის არგამოყენება დაუშვებელი იქნებოდა. არადა, ერთადერთი, რის საშუალებასაც იძლეოდა ელრონდის ვოკალური მონაცემები, გახლავთ ერთნიშნა რეპლიკები (მონანიებისა და კოცონის სცენებში, რომლებიც ერთიმეორის სარკისებრ ანარეკლად გვევლინება) და ის წყევლა, რომელსაც ხრინწიანი ხმით კოცონიდან წარმოთქვამს. ეს, ფაქტობრივად, მუნჯი როლია, მაგრამ მაგისტრის დუმილი კონცეფციითაა გამართლებული: *„მაგისტრი იმიტომ დუმს, რომ თავისი სათქმელი უკვე თქვა, მაგრამ ვერავინ გაუგო, ახლა კი უბრალოდ სასჯელს ელის“*. უნდა აღინიშნოს, რომ შემსრულებელმა მეტყველი მიმიკის ხარჯზე მართლაც შთამბეჭდავად წარმოგვიდგინა *„წამებული ქარიზმატიკოსის“* ფიგურა.

მაგისტრის სახეს გამოკვეთავს ორი ასევე ურთიერთსაპირისპირო, სარკისებრი სცენა: პირველში პატიმარი ჟესტების ენაზე ესაუბრება მის საკანში მოსულ მეფეს. ორივეს მაგიერ რეჩიტატივით ლაპარაკობს მეფის მდივანი, რაც მოსაუბრეთა შორის გაუცხოებას უსვამს ხაზს. მაგისტრი მასხრად იგდებს მონარქს და, ცხადია, არ უმხელს მისთვის ასე მიმზიდველ საიდუმლოს. მეორე სცენა მეაბჯრის დიალოგია მაგისტრის სულთან, რაც შორ მანძილზე შინაგანი კონტაქტის საშუალებით ხორციელდება. ეს ძალზე მელოდიური სცენა მთლიანად ლორას ეკუთვნის და მაგისტრის სულსაც ის ასახიერებს. ახალგაზრდა, წრფელ ადამიანს, ვისაც სუ-

ლიერი მეგზურობა სჭირდება, მაგისტრის სული ლმობიერად მიმართავს, თუმცა არც მასთანაა ბოლომდე გახსნილი, რეცეპტებს კი არ სთავაზობს, არამედ ურჩევს, შინაგანი ზრდისათვის საკუთარი გზა ეძებოს.

მეაბჯრე, ლორას თქმით, *„ერთადერთი ცოცხალი ადამიანია სიმბოლოთა და ლეგენდარულ ნიღაბთა გალერეაში, იმიტომ, რომ ფინალში ის შინაგანად შეიცვალა“.* მთელ ნაწარმოებში ულამაზესი სწორედ მისი სამი არიაა, სადაც ის ხოტბას ასხამს ორდენის გარდასულ დიდებას და გამოხატავს იმედს, რომ თუკი შეუძლებელია პალესტინაში რეალური ტაძრის დაბრუნება, ადამიანს მუდამ რჩება შესაძლებლობა, მოიპოვოს ზეციური იერუსალიმი. ამ როლის სრულებით ახალგაზრდა შემსრულებელს, რომან სუსალიოვს (იგივე სერ რომუალდს), არაჩვეულებრივად სათნო, გახსნილი სახე და სასიამოვნო მაღალი ხმა აქვს.

ლორასთვის ტიპიურია ის, რომ თავისთვის სიმბოლურ-განყენებული როლი, უფრო სწორად კი, სამი როლი აირჩია, რომლებიც ქალის იუნგისეული არქეტიპის ჰიპოსტასებად გვევლინება (დედა-დემეტრა, ქალწული-კორა და ალქაჯი-ჰეკატე). პროლოგში ის ბანოვანია — დედა, მეუღლე, ოჯახური საწყისის განსახიერება, რომელიც რაინდმა უფრო მაღალი მიზნის, უფლის სამარის მოსაპოვებლად მიატოვა:

„Я рыцаря ждала из дальних странствий
В Иерусалим.
Покинул он мой замок провансальский
На семь долгих зим.
Когда же с белой палубы он ступил на брег,
Я поняла: он не был мне верен.
Он видел гроб Господень, он потерян
Для меня навек..“.

...შემდეგ — სულია (*„ეს ანიმა გახლავთ, ოღონდაც, გამოკვეთილად ტამპლიერთა ანიმა“)*, ფინალში კი სიკვდილად წარმოგვიდგება: მიჰყავს მაგისტრი კოცონიდან და, წყევლის აღსასრულებლად, სამ არამზადას — მეფეს, პაპსა და მაგისტრს — აკითხავს. ლორას სამი სახე ბედისწერის სამი ქალღმერთივით თან სდევს ტაძრელთა ორდენის ისტორიასა და თვით მაგისტრის ცხოვრებას, მაგრამ ეს ბედისწერა მორჩილად იხრის ქედს ღვთიური საწყისის წინაშე; თვით ყოვლისშემძლე სიკვდილიც კი ბანოვანის სიტყვების პერიფრაზად აცხადებს: «Кто видел Гроб Господен, тот потерян для меня на век...»

მეფე ფინროდის ჭეშმარიტება

— *„ფინროდ-ზონგი“ უკვე 70%-ით მქონდა დაწერილი, როდესაც ეოვინს ვთხოვე, ჩემთან ერთად მოეწესრიგებინა მთელი მასალა. კონცეფცია და ლიბრეტო იმ დროისათვის მზად მქონდა. ალბათ უბრალოდ კანონიერი განაწილებისა და თანამშრომლობის ის განცდა მაკლდა, რაც „ტამპლზე“ მუშაობისას გვამოძრავებდა. ტოშა შორიდან გვაწვდენდა ხმასა და რჩევებს. ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ამ ოპერას დავდგამდით, ამიტომაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელობა აღარ აქვს, თუ ვინ რომელი მონაკვეთი დაწერა. მიუხედავად ამისა, „ფინროდ-ზონგი“ ის ნამუშევარია, რომელზედაც ასპროცენტიანად დავდებ თავს, ჩემია და ძალზე ახლობელი. ეს ერთი მთლიანი გულისგამგმირავი სიმღერაა, რომელიც შეიძლება სრულიად მარტომ, შენთვის, მსმენელების გარეშე შეასრულო... შეიძლება გულშიც იმღერო. პროფესორი ტოლკიენი მოსვენებას არ მაძლევდა და ერთი სული მქონდა, მის წინაშე ეს ვალი მომეხადა“.*

ჯ. რ. რ. ტოლკიენის „სილმარილიონის“ ურიცხვ პერსონაჟთა: ღვთაებრივ და ნახევრადღვთაებრივ არსებათა, უკვდავ ელფთა, ადამიანთა და ბოროტ სულთა შორის ნაკლებად დაკვირვებულმა მკითხველმა შეიძლება ვერც კი შენიშნოს ელფების მეფე ფინროდ ფელაგუნდი; შემთხვევით როდი ადარებენ ამ ნაწარმოებს ძველ აღთქმას, რომლის თითო აბზაცის მიხედვით სქელტანიანი რომანები თუ გრანდიოზული ტილოები იქმნება. ლორა ბრძნულად მოიქცა,

როცა მითოსური სიუჟეტების სიმრავლიდან ისეთი სიღრმისეული მომენტი გამოარჩია, თვალში რომ არ გვეცემა, მაგრამ ტოლკიენის მიერ გამოთქმულ ძირითად ქრისტიანულ იდეებს შეიცავს. ფინროდის ამბავი წიგნის ერთ-ერთი ცენტრალური სიუჟეტის — ბერენისა და ლუთიენის, ადამიანისა და ელფი ასულის ფათერაკებით აღსავსე სიყვარულის — ერთ-ერთი ეპიზოდია; ამ სიუჟეტის შექმნისას ტოლკიენმა მიმართა მითს ტრისტანისა და იზოლდას შესახებ. საყვარელი მწერლის კვალდაკვალ ლორაც შუა საუკუნეების ჟანრული მოდელის იმიტირებას ახდენს და ქმნის საგმირო-სამგლოვიარო სიმღერას ელფის შესახებ, მიწიერი სიყვარულის აღსრულებას რომ შეეწირა და ბოროტებასთან ბრძოლაში დაიღუპა ზეციური სიყვარულისთვის. ოპერის სახელწოდებაში სიტყვა „ზონგი“, უპირველეს ყოვლისა, ბრეხტის თეატრის სარკასტულ-ტრაგიკულ „ზონგებზე“ მიგვანიშნებს, მაგრამ, ამასთანავე, გერმანულად წარმოთქმული ინგლისური სიტყვა „song“ აქ უბრალოდ სასიმღერო ფორმის აღმნიშვნელიცაა.

როგორც მოსალოდნელია, პირველ ოპერასთან შედარებით ამ ნაწარმოების სტილი უფრო ამაღლებული და პათეტიკურია, უფრო მელოდიური და დახვეწილია. თავიანთი მეორე ქმნილება ავტორებმა განსაზღვრეს როგორც ტრაგი-ფარსი, თუმცა ფარსის ელემენტები აქ მინიმუმამდეა დაყვანილი. მუსიკალური თანხლების წამყვანი ინსტრუმენტი ისევ და ისევ გიტარაა, ამიტომ ამ ოპერასაც „საავტორო სიმღერის“ ჟანრს მიაკუთვნებენ. ვებერის ტრადიცია აქაც იგრძნობა: რამდენიმე მარტივი, მაგრამ საოცრად ლამაზი მელოდია მთელი ოპერის მანძილზე განსხვავებული რიტმული ვარიაციების სახით მონაცვლეობს.

რაც შეეხება ტექსტს, აქ ლორამ თავი ნამდვილ პოეტად წარმოგვიჩინა. სიუჟეტურ მასალას უაღრესად კორექტულად მოეპყრო, რაც ორიგინალის ბრმად მიყოლას სულაც არ ნიშნავს (ეს შეუძლებელიცაა, როდესაც ვრცელი ნაწარმოებიდან მხოლოდ მცირე ეპიზოდს ვიყენებთ); ლორას ბევრი რამის გადასხვაფერება მოუხდა, რითაც, სხვათა შორის, ფანატიკოს ტოლკიენისტთა რისხვაც კი დაიწია. მეორეხარისხოვანი დეტალები აქ ამოგდებულია, აქცენტები — მაქსიმალურად გამძაფრებული. ლორამ ყველა პერსონაჟის სიუჟეტური ხაზი უკანა პლანზე გადასწია და, როგორც მეხოტბე მგოსანს შეეფერება, თავის გმირს ჭეშმარიტი სამარის ძეგლი აუგო. აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ფინროდი უკვე დიდი ხნის წინათ ექცა შთაგონების წყაროდ: ლორამ მას რამდენიმე სიმღერა მიუძღვნა და ზოგიერთი მათგანი ოპერის შექმნისას გამოიყენა.

მთავარი როლი სპექტაკლში რომა სუსალიოვმა შეასრულა (მანამდე, „ტამპლში“, მეაბჯრის პარტიას რომ ასრულებდა); მეგობრებმა დიდი გაჭირვებით დაითანხმეს ბიჭი, ამ როლისათვის თვალები შეეღება; გრძელ გაშლილ თმაზე წვრილი, რგოლისებრი გვირგვინით, ცხვირპაჭუა და გოგონასავით ლამაზი რომა მართლაც რომ გულისამაჩუყებელი სანახავია, მაგრამ, თუკი სერიოზულად შევხედავთ, უნდა ვაღიაროთ: მან მშვენივრად შეძლო, გამოეხატა ელფების მარადიული სიბრძნეც და ის ჩუმი და თვინიერი სიმამაცეც, რომელიც ფინროდს სულის ჭეშმარიტ არისტოკრატად წარმოგვიდგენს; ამას საუკეთესოდ გამოხატავს მისი სიტყვები: «...С гордыней обвенчалась смерть. Здесь нужно быть как все, – боюсь, мне это не суметь!»

ფინროდის დაღუპვას წიგნში წინ უძღვის ამბავი ელფთა მთავრის, დიდოსტატ ფეანორის მიერ გამოჭედილი სამი პატიოსანი თვალის, სამი სილმარილის შესახებ, რომლებშიც სტიქიათა ძალებია მოქცეული. ამ ქვებმა განხეთქილების ვაშლის როლი ითამაშა: მათი გამტაცებლის, მორგოთის მიერ შეცდენილი ელფები ვალარებს (ანუ ღმერთებს) აუმხედრდნენ, დატოვეს უკვდავი მიწა ვალინორი და შუამიწაზე დამკვიდრდნენ. სამოთხიდან გაძევებულებს აქ ბოროტებასთან მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა და „უმცროს მოდგმასთან“, ანუ ადამიანებთან პირველი შეხვედრა ელოდათ. მარად ნორჩი და მშვენიერი, გრძნეული ელფები ძრწოლითა და ზიზღით შეჰყურებდნენ გაუთლელ მოკვდავებს და პირველი, ვინც მათდამი თანაგრძნობა და სიყვარული გამოიჩინა, ფინროდი იყო, რისთვისაც მას კაცთა მეგობარი შეარქვეს. ტოლკიენისტები ფინროდს „შუამიწის პირველ ქრისტიანს“ უწოდებენ.

თავისთვის ლორამ კვლავაც განყენებული პერსონაჟი აირჩია, რომელიც უშუალოდ არ ფიგურირებს სიუჟეტში, მაგრამ წინარე ისტორიის თანამონაწილეა: ეს მოვლენათა უხილავი მოწმე, დედოფალი გალადრიელია. მისი ორი არია შესავალსა და ფინალში სიუჟეტური ჩარჩოს ფუნქციას ასრულებს და მთელ ოპერას დის მიერ დაღუპული ძმის დატირებად აქცევს. ამ წერილის ფარგლებში ვერ შევუდგებით იმაზე მსჯელობას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტოლკიენთან გალადრიელის სახეს, როგორც დედის არქეტიპის განსახიერებას...

მოქმედების განმსაზღვრელ კონფლიქტს ქმნის პერსონაჟთა მიერ განსხვავებულ დროსა

და გარემოებებში მიცემული სიტყვა და მათი ერთურთში დაპირისპირება. თითოეულ პერსონაჟს საუკეთესოდ ახასიათებს სწორედ ის, თუ როგორ უდგება ის თავის მიერ დადებულ ფიცს. ფეანორის ვაჟებმა საზეიმოდ შეჰფიცეს მამას მტრისადმი შურისძიება და გატაცებულ სილმარილთა დაბრუნება, მაგრამ ფიცის ასრულებისაგან კეთილგონივრულად იკავებენ თავს და ხელსაყრელ მომენტს ელიან. ფეანორინგთა პარტია მძაფრი, მჭექარე ჟღერადობითაა აღბეჭდილი; ისინი პირქუში, დაუნდობელი და, ამასთანავე, პრაგმატული მებრძოლნი არიან. ერთადერთი გრძნობა, რაც მათ გულებში შეიძლება დაიბადოს, სიძულვილია.

ბერენს სატრფოს მამისათვის მიცემული პირობის აღსრულება — ბნელი მბრძანებლის, მორგოთის გვირგვინიდან ამოცლილი სილმარილის მიტანა — ევალება; ეს მისია გარდუვალ სიკვდილს უქადის, მაგრამ სიყვარული არ უტოვებს არჩევანს. ერთადერთი, ვისი თანადგომის იმედიც აქვს, ფინროდია, ოდესღაც ბერენის მამამ ბრძოლაში სიკვდილს რომ გადაარჩინა; ელფთა მეფემ ადამიანს სიკეთის სიკეთითვე დაბრუნება აღუთქვა, თანაც, გარდა ფიცისა, ბერენის მოდგმასთან ალალი მეგობრობაც აკავშირებს. თუმცა იცის, რომ ეს ლაშქრობა იმთავითვე უიმედო და განწირულია, ფინროდი მაინც მოუწოდებს ერთგულ მეომრებს, მხარში ამოუდგნენ. საოცრად ლამაზია ის დრამატული სცენა, სადაც ფინროდის მიერ საკუთარი სამეფოს დატოვებაა აღწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ლაშქრობის მიზანი მათ მიერ დადებულ აღთქმას ემთხვევა, მედიდური ფეანორინგები — გაქვავებული გვაროვნული საწყისის განსახიერება — უარს ამბობენ მასში მონაწილეობაზე, ფეანორის უფროსი ვაჟი სხვათა სახელით ასე პასუხობს მეფეს:

«Клялся смертному ты один,
Я не брат ему и не паладин!»

თავისი მოთხოვნის გასამართლებლად ფინროდს ერთადერთი არგუმენტი აქვს: არსებობს ნათესაობაზე, გამორგებაზე თუ სიფრთხილეზე ბევრად მნიშნელოვანი კავშირი და ვალდებულება:

«Песней связаны мы одной.
Кто любил меня, пусть идёт за мной!»

„სიმღერა“, სხვაგვარად კი — ბედისწერა, ფინროდს აღუძრავს მოგონებებს დიდი ხნის წინათ, ზღვის გადაღმა, უკვდავ საუფლოში დარჩენილ სატრფოზე, რომელიც ნათესავების წინაშე პასუხისმგებლობის გამო მიატოვა; ახლა აღფრთოვანებით აღმოაჩენს: თურმე ადამიან ბერენს ისეთი რამ სცოდნია, რაც თვით მას, გრძნეულ ელფს, არ წარმოედგინა: „სიყვარულმა კანონი და წესი არ იცის“. ფინროდი მზადაა, იბრძოლოს სხვისი სიყვარულისათვის. სულ ორიოდე ერთგული მებრძოლისაგან შემდგარი რაზმით ფინროდი და ბერენი ბოროტი მბრძანებლის, საურონის სამფლობელოში შეაბიჯებენ. აქ, ჩემი აზრით, განსაკუთრებულად მარჯვედაა ადაპტირებული წიგნის სიუჟეტი: მთელი ოპერის მანძილზე მოიხსენიება ბნელეთის მბრძანებელი («Враг, что сидит на троне», «Господин тьмы, властелин боли») — ეს მორგოთია, ლაშქრობის საბოლოო მიზანი, რაკიღა სილმარილები მასთანაა. მისი მსახური საურონი ასევე მძლავრი ბოროტი ძალაა, თუმცა ძალაუფლებით ჩამოუვარდება და მხოლოდ შუალედურ ინსტანციად გვევლინება. მაგრამ ოპერაში მორგოთი საერთოდ არ ფიგურირებს, ასე რომ მანამდე ნახსენები „მტრის“ სახით ის მსმენელი, ვინც წიგნს არ იცნობს, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე საურონს იგულისხმებს: ბოლოს და ბოლოს, ბოროტება ბოროტებაა და ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ განასახიერებს მას! საურონის როლი შეასრულა ეომერმა, იგივე ნიკიტა კოლედინმა, არაორდინალური გარეგნობის ნიჭიერმა შოუმენმა, რომელსაც თანდაყოლილი პლასტიკა და განსაკუთრებულად შთამბეჭდავი დაბალი ხმა აქვს. ბნელეთის მბრძანებელი ისე ოსტატურად განასახიერა, რომ უნებურად მისი უკეთური ხიბლის ქვეშ ვექცევით... აქვე აღვნიშნავთ, რომ „ტამპლის“ კოლექტივიდან ნიკიტა ერთადერთია, ვისაც სამსახიობო და სარეჟისორო განათლება აქვს მიღებული; დღეისათვის სწორედ ისაა „ტამპლის“ ხელმძღვანელი და რეჟისორი.

სპექტაკლის ცენტრალური და, ალბათ, ყველაზე ლამაზი მომენტია ფინროდისა და საურონის ორთაბრძოლა მაგიური სიმღერით, — ეს ტოლკიენის მიერ არაერთგზის გამოყენებული მი-

თოლოგიური მოტივია („სილმარილიონის“ თანახმად, თვით სამყაროც ღვთაებრივი სიმღერით შეიქმნა). საურონი ახსენებს ელფებს, მათ ცოდვით დაცემასა და ვალარების წინაშე დანაშაულს, პასუხად ფინროდი სიტყვის ძალით აცოცხლებს დაკარგული სამოთხის მშვენიერ სურათებს, რომლის მოპოვებაც უმანკო გულის პატრონს დღესაც შეუძლია.

«САУРОН:
Жалкое подобье первых замыслов Творца,
Что ты можешь сделать для желанного конца?
Песню Сотворения уже не изменить:
Слишком далеко и слишком страшно вьется нить.
Вижу: потеряете вы все, что вам дано!
Бремя горькой памяти — по силам ли оно?

ФИНРОД:-
Где нет забвенья,
Там по камню вьются руны,
И струны лиры
Молчат о власти лет.
За мною юность
Незапятнанного мира
Встала, как рассвет!
Забвенья нет,
А память стала силой,
Что хранит от бед, -
Она жива,
И взгляд не замутнен,
А морок и наветы
Сгинули, как сон, -
Таков закон,
Пока нетленным светом
Полон небосклон…»

საბოლოოდ ფინროდი მარცხდება უთანასწორო ბრძოლაში, კარგავს თავის თანამებრძოლებს, მაგრამ ბერენს ჩაენაცვლება, მის მაგიერ კვდება და ამგვარად ახერხებს მეგობრის გადარჩენას. თავის უკანასკნელ არიაში „ჭეშმარიტება“ ფინროდი, მანამდე თავს „სხვის აღთქმათა მოწმე“ რომ უწოდა, — ერთადერთი, ვინც მოვლენებში პირადი აუცილებლობის ძალით კი არა, მოყვასის სიყვარულის გამო ჩაება, — გამოთქვამს რწმენას, რომ მისმა ბედისწერამ, როგორც იქნა, აზრი და დასრულება შეიძინა (მანამდე გულისტკივილით იმეორებდა, „სიმღერა დაუსრულებელი დამრჩაო“). მან უარი თქვა ყველაფერზე, რაც გააჩნდა, თავი დაიმდაბლა („ამიერიდან ხელმწიფე აღარ მიწოდო!“) და ტანჯვისა და თავგანწირვის ფასად ჩასწვდა ჭეშმარიტებას, სამყაროს შესახებ იმ ცოდნას რომ აღემატება, რაც ელფებს აქვთ ნაბოძები:

«Загадки птичих стай
Мне отданы в наследство.
Но главная из тайн -
Секрет людского сердца.
В нем стучит слепая Смерть,
ее не одолеть,
и с ней не примириться,
Но, в один слепящий миг,
лишь тот его постиг,

кто перед ним склонился!
В пыли сияет золотая взвесь,
Горят закатом корабли небес,
Горят во мраке грани проклятых камней,
Но есть огонь, что светит ярче и сильней.
Не закрывай дверей, бери меня,
Пока тебя я знаю, Истина!
Исполнив замысел, не зная о цене,
Благодарю за то, что ты открылась мне!»

ოპერის სიუჟეტს დასრულებულ სახეს ანიჭებს ის, რომ სიკეთე მასში საბოლოოდ მაინც იმარჯვებს (ხოლო ტოლკიენის ფილოსოფიის თანახმად, სიკეთემ აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს): ლუთიენი, რომელსაც სიყვარული უსაზღვრო ძალას ანიჭებს, ასევე სიმღერით ებრძვის და ამარცხებს საურონს (წიგნში ის სიმღერით აჯადოვებს მორგოთს, რის წყალობითაც ბერენი მისი გვირგვინიდან სილმარილის ამოცლას ახერხებს). სილმარილის თემა ოპერაში დაუსრულებლად წყდება, რადგან მთავარი სათქმელის ფონზე მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა. შეყვარებულებს კიდევ მრავალი სიძნელის დაძლევა და გრძელი გზის გავლა მოუწევთ, მაგრამ ოპერა სწორედ ამ გამარჯვებით მთავრდება. დაღუპული ძმის ცხედართან მგლოვიარე გალადრიელის გოდება ადამიანებისადმი მიმართულ საზეიმო ჰიმნში გადაიზრდება: ის დაულოცავს გზას ახალ, არა მითიურ, არამედ ადამიანურ ეპოქასა და მომავალი, სახეცვლილი სამყაროს ბატონ-პატრონებს. ფინალში შემოდის მიწიერი სამყაროდან ელფების წასვლის მითოლოგიური მოტივი, რომელიც ტოლკიენთან ძლიერი ნოსტალგიური სევდითაა გაჯერებული (ეს მოტივი მთელი სიმძაფრით „სილმარილიონში“ კი არა, უფრო მოგვიანებით, „ბეჭდების მბრძანებელში“ იკვეთება; ეს საბოლოოდ გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ, რომ ოპერა შემჭიდროვებული ფორმით სრულყოფილად ასახავს ტოლკიენის ყველა უმნიშვნელოვანეს იდეას). მართალია, ელფებს კიდევ დიდი ხნის მანძილზე მოუწევთ შუა მიწაზე ადამიანთა გვერდიგვერდ ბოროტებასთან შერკინება და მისი დამარცხება, მაგრამ გალადრიელი მომავალს მისნური ალღოთი ჭვრეტს და იცის, რომ ელფები კვლავ დაბრუნდებიან ზღვის მიღმა მდებარე უკვდავ საუფლოში; იცის ის ჭეშმარიტებაც, ფინროდის მსხვერპლს რომ ამართლებს: ადამიანს — სამყაროში ყველაზე არასრულყოფილ და წინააღმდეგობრივ არსებას — სხვა ქმნილებებისთვის მიუღწეველ სულიერ სიმაღლეზე ასვლა ძალუძს, ამიტომ ყველა ქმნილება და ყველა სტიქია მას იმედითა და სიყვარულით შეჰყურებს.

«Нам — ушедших парусников тень,
Вам — звенящий травами апрель,
И если новый мир таков,
Что в нем закон сама любовь -
Мы лишь рассвет, а вы — горящий солнцем день...»

გალადრიელის სიტყვები შეიცავს აგრეთვე შესაძლო მინიშნებას იმაზე, თუ რად წარმოგვიდგებიან თვით ელფები: ეს გარდასული გმირული დროის მაღალსულიერი, დიდებული სახეებია, ანგელოზთა მსგავსად, „ჩვენი სიზმრების სადარაჯოზე რომ დგანან მარად“, რათა მიწიერმა ჭიდილმა და საზრუნავმა ადამიანს მარადიული ჭეშმარიტება არ დაავიწყოს.

სჯობს სახელისა მოხვეჭა...

— ოპერა „ტამპლის“ ამბავს სრულიად გაუთვალისწინებელი გაგრძელება მოჰყვა. ამ სპექტაკლის მეორედ დადგმას არ ვაპირებდით: ჩვენნაირ კოლექტივებში მიღებული არ არის ერთხელ განხორციელებული დადგმის რეანიმაცია. დადგმული სპექტაკლი გუშინდელი დღეა. ცოცხალი თამაში და ცოცხალი შემოქმედება ამწუთიერია. მაგრამ მაყურებელთა იმ ნაწილმა,

სპექტაკლს რომ ვერ დაესწრო, „ტამპლი“ ისეთი ლეგენდებისა და მითქმა-მოთქმის შარავანდედში გაახვია, თითქოს ყოველი ჩვენგანი, სულ ცოტა, ნამდვილი ტაძრელი ყოფილიყო. ამან გვაიძულა, სპექტაკლი დედაქალაქში გაგვემეორებინა.

სპექტაკლის დროგამძლეობის საუკეთესო გარანტად ის გამოდგება, რომ მას არა მხოლოდ ხალისით ეშურება მაყურებელი, არამედ ის, რომ მისი დადგმის სურვილი სხვა კოლექტივებსაც უჩნდებათ. ლორას თქმით, „ტამპლიც“ და „ფინროდ-ზონგიც“ ძალზე სწრაფად და ავტორებისთვის მოულოდნელად გაითავისა ხალხმა. ასე, თამაშ-თამაშით, თავიანთთვის შეუმჩნევლად მოიპოვეს საქვეყნო სახელი. გაოცებული „ტამპლიერების“ ყურს სულ უფრო ხშირად სწვდებოდა ამბავი, თითქოს მათ ნაწარმოებებს დგამენ თუ დადგმას უპირებენ სადღაც სხვა ქალაქებში, პროფესიონალები თუ მოყვარულები... გაოცება აღშფოთებამ შეცვალა, როდესაც ვიღაცისგანშეიტყვეს, რომ მინსკში პროფესიონალი მსახიობების ჯგუფმა „ტამპლის“ დასადგმელად „იუნესკოს“ გრანტი მოიპოვა, საავტორო უფლებების გათვალისწინება კი აზრადაც არავის მოსვლია. ლორა გაორებულ განცდებს შორის იხლიჩებოდა: ერთი მხრივ, დარწმუნდა უმბერტო ეკოს სიტყვების ჭეშმარიტებაში, ავტორი უნდა მოკვდეს, რათა საკუთარი ნაწარმოების შემდგომ არსებობას ხელი არ შეუშალოსო; მეორე მხრივ, ძალიან ძლიერ სურვილს განიცდიდა, შეურაცხმყოფელთათვის *„ცხვირ-პირის დასანგრევად“* გამგზავრებულიყო მინსკში მეფე ფილიპის კოსტუმში გამოწყობილ ნიკიტა კოლედინთან ერთად. საამისოდ სპეციალურად აპირებდა თეთრი პიჯაკისა და შარვლის ჩაცმას: ჩემი ტანსაცმელი მეტოქის ცხვირიდან წამსკდარი სისხლით უნდა შეიღებოსო. *„ცხოვრება შეუდარებლად უფრო საინტერესო გახდა. ნამდვილი ტაძრელებივით წარვადგინეთ ანგარიში და ფულის გაყოფა დამიპირეთ. ეს ძალზე სასაცილო და ოდნავ შიშისმომგვრელი განცდა იყო“.* თუმცა, ასე არტისტულად დაგეგმილი შურისძიების სცენა არ შემდგარა: „იუნესკოს“ გრანტის ამბავი ჭორი გამოდგა, ავტორები რეალურად უკვე ვეღარ აკონტროლებდნენ თავიანთი ქმნილებების ბედს. *„ჭინკა გამოვარდა კოლოფიდან და მისი უკან ჩამწყვდევა უკვე შეუძლებელი იყო“.*

— *ხშირად გვეკითხებიან, თქვენ თვითონ რატომ არ გსურთ გრანტის მოპოვება ან თუ გიფიქრიათ, თქვენი ნაწარმოებები პროფესიონალი თეატრისთვის მიგეყიდათო. პასუხად ყოველთვის მხრებს ვიჩეჩათ ხოლმე. არა იმიტომ, რომ ამაზე არ გვიფიქრია და არც იმიტომ, რომ შემოსავალს დახარბებულებს, არ გვინდა ვინმე წილში გავიყვანოთ, არამედ იმიტომ, რომ, სიმართლე რომ ვთქვათ, არცერთ ჩვენგანს წესიერად არ გაეგება, თუ როგორ კეთდება ამგვარი რამ და რას მოგვცემს ეს. ბედნიერება ფულთან არ არის დაკავშირებული და ვერცერთი გრანტი ვერ დაგვაჩქარებს კარგი მუსიკისა და ტექსტების წერისას... თითოეული სპექტაკლი უმძიმესი გმირობის ფასად გვიჯდება, გმირობისა, რომელიც ორჭოფობითა და უმძიმესი რეფლექსიით იწყება, გაივლის როლების გადანაწილებისა და მუსიკალური პარტიტურის გადასინჯვის ფაზას (პარტიტურას გამუდმებით რაღაც ახალი ემატება), სცენოგრაფიის თავიდან გადაწერასა და განათების შეცვლას, სახსრების მოძიებას, შუაღამის რეპეტიციებს, აპარატურის ბინიდან ბინაზე, ან ბინიდან კულტურის სახლში გადაბარგებას, რეკვიზიტის გადათვლას (ამ დროს გარდუვალად რაღაც გვაკლდება), კოსტუმების ფართხაფურთხით კერვას (იმიტომ, რომ წინა სპექტაკლის შემდეგ ვიღაცამ რაღაცას არ მიხედა და ეს რაღაც დაიკარგა, ანდა გაფუჭდა), სასცენო მონტაჟს და, საბოლოოდ, მთავრდება სრული გამოფიტულობის შეგრძნებით, რომელშიც ერთადერთი ფრაზა ჟღერს: „ჩვენ ეს შევძელით!“*[4] *ჩვენ გამუდმებით ვსწავლობთ. არცერთი ჩვენგანი უარს არ იტყოდა, ერთხელ მაინც ენახა, თუ რას მოუხერხებდა ჩვენს სპექტაკლებს რომელიმე პროფესიონალი თეატრი, მაგრამ, ვშიშობ, ამ თეატრს ჯერ იმის საფუძვლიანად დამტკიცება მოუწევდა, რომ ჩვენს პირმშოს მართლაც სანდო და მოსიყვარულე ხელში გავცემთ!“* — ამას წერს ლორა 2001 წელს, მესამე და ბევრად მასშტაბურ პროექტზე მუშაობისას.

[4] პირადად ლორასთვის ამ სირთულეებს ემატება ის ფაქტი, რომ ის დღემდე თავის მშობლიურ ქალაქ ეკატერინბურგში ცხოვრობს და ყაზანსა და მოსკოვში რეგულარულად ჩასვლა საკმარისად უძნელდება.

„ორიფლამაზე გამოსახული თეთრი შროშანი..“.

— *ყაზანში, ჩვენი პირველი ოპერის პრემიერის დასასრულს სცენიდან საჯაროდ ვიხუმრეთ: ჟაკ დე მოლეს დაწვის შემდეგ გპირდებით ცეცხლოვან გაგრძელებას. ეს იქნება ტრილოგია, სამი პიონერული კოცონი. მეორე და მესამე ჟანა დ“არკი და ჯორდანო ბრუნო იქნებიან.*

ჟანა დ“არკის თემა, ის უკიდეგანო მასალა, რომელიც მრავალ ხელოვანს აქვს დამუშავებული და რომლის გვერდითაც ტამპლიერებიც და ტოლკიენიც თითქმის უმნიშვნელოდ გამოიყურება, საქმისადმი სრულიად სხვაგვარ მიდგომას საჭიროებდა. როკ-ოპერა „ჟანა დ“არკი“ თითქმის ორი წლის მანძილზე იწერებოდა (წარმოიდგინეთ: „ტამპლი“ სულ რაღაც ერთ თვეში დაიდგა!), ორი აქტისაგან შედგება და საკმარისად რთულია როგორც პარტიათა სიმრავლით, ისე მუსიკის და ტექსტის თვალსაზრისითაც. „ჟანას“ შექმნით როკ-ორდენი „ტამპლი“ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოშორდა კოცონთან თუ ბინაზე სტიქიურ ახალგაზრდულ შეკრებებს და დიდ სცენაზე დამკვიდრდა: ამ ნაწარმოების „საველე პირობებში“ შესრულება არა მხოლოდ შეუძლებელი, არამედ რაღაცნაირად შეუფერებელიცაა. ეს ნამდვილი როკ-სიმფონიაა უმძლავრესი, მომნუსხველი ჟღერადობით. ამ მუსიკით მოგვრილ შთაბეჭდილებას, მე მგონი, ყველაზე უკეთ გამოხატავს მთავარი პერსონაჟის, ჟანას სიტყვები: «Меня пронзает грохоча огромный горний мир».

— *„ჟანას“ ოთხი ავტორი ჰყავს,* — მოგვითხრობს ლორა, — *არაერთი პოეტური მონაკვეთი ჟენია სუსოროვს ეკუთვნის*[5]*. ჟანასა და მიქაელის პირველი ორი დუეტი თითქმის მთლიანად მისი დაწერილია. ბევრია მისეული ტექსტი სასამართლო პროცესის სცენაშიც. ჟენია კარგი პოეტია და, ჩემი აზრით, „ჟანაში“ მკვეთრად იგრძნობა მისი მამაკაცური ხელწერა... ეოვინი, პირველ რიგში, ჟანას სიტყვებს წერდა, რადგან მთავარი როლი სწორედ მას უნდა ეთამაშა და ლოგიკურად მიგვაჩნდა, რომ ხმა გულის სიღრმიდან უნდა წამოსულიყო. ტოშა მასთან ერთად მუშაობდა გუნდურ სცენებზე, დედოფალ იზაბელასა და მეფე კარლოსის დუეტებზე. მე ვაკეთებდი კონცეფციას, ლიბრეტოს, მიქაელის ტექსტებსა და ისეთ ჩასმულ სცენებს, როგორიცაა „საქორწინო რონდო“, კარლოსის სოლო-არია, ასწლიანი ომის არია და „პატარა ღალატი“. ერთიან სისტემაში მომყავდა არსებული მასალა და ვავსებდი ცარიელ ადგილებს,* — *ასეთი ცარიელი ადგილი აღმოჩნდა, მაგალითად, პროცესის სცენა. მაგრამ ავტორობის ასეთი განაწილებაც მხოლოდ უხეშად თუ შეიძლება, სინამდვილეში ყველანი, რაც მოგვიხვდებოდა, იმას ვწერდით, რადგან, როგორც იტყვიან, a la guerre comme a la guerre! ახლა მიკვირს კიდეც, რამდენია „ჟანაში“ ჩემი ტექსტი... სრულყოფილებისაკენ სწრაფვა არასოდეს მასვენებდა, ხშირად სხვის მიერ მოწვდილი ოთხი პწკარიდან მთელი არია გამომსვლია. ჩანაფიქრი იმდენად დიდი გამოდგა, რომ მისი მიფუჩეჩება ყოვლად დაუშვებელი იყო.*

ნაწარმოების მთლიანი კონცეფცია სასამართლო პროცესის მოდელზეა აგებული: მოქმედება მიმდინარეობს XX საუკუნის საინკვიზიციო კომისიის თვალწინ, რომელსაც ევალება, გადაწყვიტოს საკითხი ჟანა დ“არკის წმინდანად შერაცხვის შესახებ; კომისია მთელი სპექტაკლის მანძილზე სცენის გვერდით განთავსებულ მაგიდასთან ზის. თითოეული პერსონაჟი თავ-თავის დროს უახლოვდება მაგიდას და ხელს აწერს ორლეანელი ქალწულის საქმესთან დაკავშირებით საკუთარი ჩვენების ოქმს. ფინალში დრო მარადისობას ერწყმის: ინკვიზიტორთა ორივე კომისია (ისიც, ვინც ჟანა კოცონზე გაუშვა და ისიც, ვინც მისი კანონიზაციის საკითხს იხილავს) ერთურთს ხვდება და ეკამათება.

თუკი „ტამპლში“ ისტორიული ფონი ორიოდე ძუნწი, გროტესკულ-ირონიული შტრიხითაა მოხაზული, „ჟანაში“ ასწლიანი ომის ეპოქა გულდაგულ, მასშტაბურად და ოსტატურადაა ასახული. აქ ჭარბობს გუნდური სცენები: ხალხის სცენა, საეკლესიო ლიტურგია, ბრძოლის ველი. ტექსტიც სათანადო დონეზეა დაწერილი; თუკი „ტამპლსა“ და „ფინროდში“, რომლებიც ასე თუ ისე, მაინც საყმაწვილო ნაწარმოებებად უნდა ჩავთვალოთ, სრულიად ბუნებრივად ჟღერს ისეთი მომხიბლავი ვერბალური ხულიგნობები, როგორიცაა, მაგალითად: «Я его послал», «Ноги моей не будет там», ანდა «Семь лет коту под хвост», „ჟანაში“, შეიძლება ითქვას, ჩვენ წინაშეა კლასიკური პოეზია. „ტამპლიერები“ პროფესიონალური თვალსაზრისითაც გაიზარდნენ და,

[5] ეკატერინბურგელი პოეტი და ბარდი ევგენი სუსოროვი ლორა ბოჩაროვას მეუღლეა.

უდაოდ, უფრო სერიოზულებიც გახდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, შეიცვალა ყველაფერი, იმ მთავარი, გულწრფელი განწყობის გარდა, რამაც თავდაპირველად ერთად შეკრიბა და აამღერა ეს ახალგაზრდები. „ჟანაზე“ მუშაობის დასაწყისში ლორამ ყველას სახელით განაცხადა: *„ახლა უკვე აბსოლუტურად ცხადია, რომ ყველანი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სიმღერის მგოსნები ვართ. ესაა ერთგულების, თავგანწირვის, სიყვარულისა და სიკვდილის სიმღერა. და, რამდენიც არ უნდა ვიხალისოთ და ვიმაიმუნოთ, მაინც ეს ერთი და იგივე სიმღერა გამოგვდის, თუმცა სიუჟეტი, მელოდიები, სტილისტიკა მუდამ სხვადასხვაა. გარანტირებული უკვე ისიც კი აღარ არის, რომ ჩვენი პერსონაჟები ადამიანთა მოდგმას მიეკუთვნებიან. მაშინაც კი, თუ სცენაზე ნატურალური ზომის ერთი-ორი ანგელოზი გამოვუშვით, მაინც შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ იმაში, რომ საქმე კვლავაც იმავეს შეეხება: მსახურებას, ერთგულებას, მსხვერპლის გაღებას, სიკვდილის გ ზით ჭეშმარიტებასთან ზიარებას, ზეციურ სიყვარულსა და ღვთიური მადლისაკენ სწრაფვას.*

„ჟანაში“ ერთურთს გამუდმებით ეხება მიწიერი და ზეციური განზომილებები: პერსონაჟთა უმრავლესობისათვის ღვთიური სინამდვილე მოუხელთებელია ანდა ბუნდოვანი, ჟანას კი ის მიმართავს მთავარანგელოზ მიქაელის ხმით, — ნიკიტა კოლედინის სულშიჩამწვდომი ბანით (ეს როლი მსახიობმა მართლაც ბრწყინვალედ შეასრულა). საფრანგეთის მხსნელი ქალწულის ამბავი, ყველა დიადი ტრაგედიის მსგავსად, მხოლოდ მიწაზე კი არა, ზეცაშიც თამაშდება. მოედანზე შეგროვილი ბრბო ერთბაშად წმინდანებად გარდაისახება, ბავშვიანი მათხოვარი ქალი — ღვთისმშობლად; ბრძოლის ველზე ფრანგებისა და ინგლისელების რაზმებს უხილავად წინამძღოლობენ მთავარანგელოზი მიქაელი და ლუციფერი; საეკლესიო წირვისას მოძღვრისა და მრევლის ლოცვას „წყვდიადისა და ნათლის ხმები“ უერთდება. აქ კვლავაც ჩნდება ლორას მიერ შესრულებული სიმბოლური სახე – ეს ასწლიანი ომია, ბრძოლის ველზე დახვავებულ გვამებზე რომ მიაბიჯებს. ეს არა მხოლოდ მოცემული ისტორიული ეპიზოდის ანდა ზოგადად ომის ალეგორიაა, არამედ, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, კეთილისა და ბოროტის მარადიული შინაგანი ორთაბრძოლისა, რომელშიც, დოსტოევსკის სიტყვებით, „ბრძოლის ველი კაცთა გულებია“. სწორედ ამ ბრძოლაში ვლინდება, თუ რანი ვართ და ვის მხარეზე ვიბრძვით, ასე რომ, ლორას მიერ განსახიერებული ფიგურა ისევ და ისევ ბედისწერაა:

«Тело слабо а плоть сильна.
Выбор твой – вот твоя цена.
Между Истиной и Правдой
Нескончаемая война.»

ჟანას სახე უკიდურესად სადა და დიდებულია, ის ყველა დროსა და ეპოქას პასუხობს. ამ გლეხის გოგოს სიბრალულის გამძაფრებული განცდა ახასიათებს: საშობაო წირვაზე მოსულს მრავალნატანჯი სამშობლო ბაგაში ყინვით დაზაფრული ყრმა იესოსავით ებრალება; ის დაუცველი, ფაქიზი ქალიშვილია, ბედმა მთავარსარდლობა რომ არგუნა; უმწიკვლო თეთრი შროშანი, ხალხის განთავისუფლების სიმბოლოდ და დროშად რომ იქცა («Ты – всего лишь лилия на орифламме, но без лилий Франция мертва», — მიმართავს მას მიქაელი); ესაა ქალი, რომელიც ღვთისგან მომადლებული სულიერი ძალითა და სიდიადით მამაკაცებს უნებლიეთ იზიდავს; თითოეული მათგანი მასში ხედავს საკუთარი სწრაფვების ხორცშესხმას: მთავარეპისკოპოსი კოშონი — სულიერ შვილსა და მაცდურ კუდიანს; ჯადოქარი ჟილ დე რე — თავის ალქიმიურ კვლევათა მიზანს, „ასულსა და ჭაბუკს“, ღვთაებრივ ანდროგინს; შეყვარებული დიუნუა — ნაზ და დამყოლ საცოლეს; კარლოს მეშვიდე — ტახტის მემკვიდრის ღირსეულ დედას (აქ თავისთავად გვაგონდება სხვა, ძალზე ცნობილი თანამედროვე როკ-ოპერა, სადაც სრულიად განსხვავებულ მამაკაცთა სწრაფვები ასევე ერთადერთი ქალისკენაა მიმართული, ვგულისხმობ „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარსა“ და მის ცენტრალურ არიას „Belle“ — „მშვენიერი“, მაგრამ ამგვარი პარალელის გავლება, ისევ და ისევ, „ჟანას“ თვითმყოფადობას კი არ აკნინებს, არამედ კუთვნილ ადგილს მიუჩენს თანამედროვე მუსიკალურ ტრადიციაში). თვით ჟანასთვის ყოვლად უმნიშვნელოა ნებისმიერი მიწიერი ცდუნება, ის ურყევად მიჰყვება იმ გზას, რომელიც ზეციურმა სიყვარულმა დაუსახა. საპყრობილეში უკვე სიკვდილმისჯილი ჟანა ემშვიდობება თავის ანგე-

ლოზს, რომელმაც ულმობელი სიტყვები უთხრა («Тот, кто искал служения, должен идти один»), არაფერს ნანობს, მზადაა ბოლომდე დაცალოს მისთვის განკუთვნილი თასი:

«Если бы предложили –
Все приняла бы вновь.
Среди всего, что любила,
Ты лишь и есть – любовь.»

„სადღაა ჯვაროსნულ ლაშქრობათა გმირული ხანა?..“

თავისი ჩამოყალიბების ათწლიან იუბილეს „ტამპლი“ სრულიად შეცვლილი სახით შეხვდა: შეიცვალა არა მხოლოდ გაერთიანების შემადგენლობა, არამედ არსიც. როკ-ორდენის სულისკვეთება, როგორც უმთავრესი, მაგრამ, ამასთან, ყველაზე ფაქიზი და მოუხელთებელი ელემენტი, გარკვეულ მომენტში უბრალოდ აორთქლდა. მარინა ცვეტაევა ასეთ შემთხვევებში ამბობდა: «Где тонко, там и рвётся»... „ტამპლის“ მოღვაწეობაში დღეისათვის სულ უფრო მეტი პროფესიონალი მსახიობი მონაწილეობს, ზოგიერთ მათგანს კლასიკურად დაყენებული საოპერო ხმაც კი აქვს, ხოლო მის დამაარსებელთა უმრავლესობამ, ლორას ჩათვლით, დატოვა კოლექტივი. ჩვენი გმირი ულმობელია:

— *დღევანდელი „ტამპლის“ პრობლემა იმაშია, რომ, რამდენიც უნდა იძახოს, ორდენი ვარო, სინამდვილეში ორდენი კი არა, პროვინციული ტიპის ერთი ჩვეულებრივი რეპერტუარული თეატრია. ჩვენს ქვეყანაში ასობით ამგვარ კოლექტივს გადაეყრებით, ისინი, როგორც წესი, რომელიმე რკინიგზელთა კლუბზე არიან მიმაგრებული და თავისთვის ჩუმად დგამენ რაღაც-რაღაცეებს. მაგრამ „ტამპლს“ სხვებზე ოდნავ უარესად აქვს საქმე: ის დგავს იმ ადამიანთა მიერ დაწერილ სამად სამ ნაწარმოებს, ვინც, კარგა ხანია, დატოვა „ტამპლი“, როგორც თეატრის კონცეფცია, რადგან მის ატმოსფეროში სული ეხუთებოდათ...*

დღეს „ტამპლი“ გამუდმებით ატარებს ექსპერიმენტებს ერთსა და იმავე როკ-ოპერებზე: ცვლის რეჟისურას, მსახიობთა შემადგენლობას, ჟღერადობას, აკეთებს რემიქსებს. მაგრამ ამ ყველაფერს, ლორას აზრით, აკლია **ცოცხალი სული**, ის ერთადერთი, რასაც შეუძლია, ნაწარმოები ნიჭიერებით განმსჭვალოს. ამის ნათელი მაგალითია „ფინროდ-ზონგის“ მეტალ-ვერსია, რომლითაც უკმაყოფილოა როგორც ლორა, ისე ამ ოპერის თაყვანისმცემელთა უმრავლესობა. ლორა სულაც არ არის ზოგადად ჟანრული ცვლილებების წინააღმდეგი, მისი აზრით, *„ფინროდს მოუხდება სიმფონიზმი და მძიმე როკ-არანჟირება, მაგრამ თუკი ეს გამოცდილმა და გემოვნებიანმა პროფესიონალმა არ ითავა, შედეგი მუდამ ისეთი სავალალო იქნება, როგორიც უკვე ვიხილეთ“.*

— *ჩემს ნაწარმოებებთან არავითარი შეხება აღარ მაქვს და მათი დადგმის შესახებ სხვა კოლექტივებთან მოლაპარაკებებს, როგორც ჩანს, ნიკიტა კოლედინი აწარმოებს. პარტიტურებს არ ვაკეთებ, ნოტები ხელთ არასოდეს მაქვს. ამიტომ, თუმცა ავტორი მე ვარ, შესაძლო დამდგმელ კოლექტივს მხოლოდ ჰაერს თუ შევთავაზებ. როკ-ორდენი „ტამპლი“ კი ყველაფერ დანარჩენს სთავაზობს...*

ეს ყველაფერი ოდნავ სევდისმომგვრელია და უნებლიეთ მოგვაგონებს ლორას პირველ როკ-ოპერაში ინკვიზიტორთა მიერ ტაძრელებისადმი წაყენებულ ბრალდებებს:

«Из паломников став банкирами,
Обьявили себя кумирами,
Палестину с её твердынями
Заменили своей гордынею...»

მაგრამ საბოლოო ჯამში მთავარი მაინც ის ჭეშმარიტებაა, ლორას ტაძარს რომ უდგას საფუძვლად: უკან მოხედვას აზრი არ აქვს, ნამდვილი ტაძარი ხომ ჩვენივე სულშია. ლორასნაირი შემოქმედებითი პიროვნებები, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად თავისუფლებასა და მუდმივ მოძრაობას აფასებენ. იმ წლების მანძილზე, „ჟანას“ დასრულების შემდგომ რომ გავიდა,

ის რეგულარულად მართავს კონცერტებს, დაკავებულია როლური თამაშებით, რომელთაგან ყველაზე მასშტაბური და ხანგრძლივი ჯ. როულინგის „ჰარი პოტერის“ მოტივებზე აგებული შვიდწლიანი პროექტია სახელწოდებით „ჰოგუორტსის სეზონები“ და სადაც თვითონ, არც მეტი, არც ნაკლები, პროფესორ სნეიპის სახით წარმოგვიდგება; გარდა ამისა, გამოუშვა საკუთარი სიმღერების ათიოდე დისკი და გამოსცა პროზაული თხზულება „ზეთისხილის წვენი“; ლორა უაღრესად საინტერესო პუბლიცისტიკას წერს და კომპიუტერული დიზაინითაა გატაცებული. მისი შთაგონების ერთ-ერთი ბოლოდროინდელი წყაროა იაპონური ანიმაციური სერიალი „ნარუტო“. ამ ადამიანს, როგორც ჩანს, თავისი სათქმელის გამოსახატად გამუდმებით სჭირდება ახალი იმპულსები, რომელსაც ხშირად საეჭვო მხატვრული დონის ნაწარმოებიდანაც კი იღებს. სხვისი შემოქმედების გარდასახვა, ზოგჯერ გაკეთილშობილებაც, უსასრულო ვარირება, ახალ-ახალი ნიღბების მორგება, — აი, ის პრინციპები, ლორასთვის შემოქმედებით პროცესს რომ უდევს საფუძვლად. სხვათა შორის, თუმცა „ტამპლთან“ საერთო აღარაფერი აქვს, მის ხელმძღვანელთან კვლავაც ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებს: ნიკიტა კოლედინი მხარში უდგას ლორას „ჰოგუარტსის სეზონების“ ორგანიზებაში და თავადაც როულინგის ერთ-ერთ პერსონაჟს, — თქვენ წარმოიდგინეთ, კუდიან მადამ ჰუჩს, — განასახიერებს.

სამომავლო გეგმების შესახებ ლორა ბევრს არაფერს გვიმხელს:

— *დღესდღეობით ვასრულებ „ჰარი პოტერის“ მიხედვით შვიდწლიან პროექტზე მუშაობას, ვწერ ლექსებს, დანარჩენი ჯერჯერობით საიდუმლოა. თუმცა, როკ-ოპერის ჟანრს, როგორც ჩანს, მომავალში კიდევ დავუბრუნდები.*

დარწმუნებული ვარ, რაზედაც არ უნდა დაწეროს მომდევნო როკ-ოპერა, ეს კვლავაც ისევ ის იქნება: მსახურების, ერთგულების, მსხვერპლის გაღების, სიკვდილის გზით ჭეშმარიტებასთან ზიარების, ზეციური სიყვარულისა და ღვთიური მადლისაკენ სწრაფვის სიმღერა. მაგრამ ერთი სიმღერის ავტორობა, ამ შემთხვევაში მაინც, სულაც არ არის ცოტა, პირიქით, ძალზე ბევრია: ჩვენ ხომ, გულმოდგინე მართას მსგავსად, მრავალ რამეზე ვზრუნავთ, ჭეშმარიტად ფასეული კი ერთადერთი რამაა...

კენეტი და გლორია კოუპლენდები

რატომ ჩნდება და რატომ არ ჩნდება რწმენა

ცნობილი თანამედროვე ამერიკელი ქრისტიანი მოღვაწეების — კენეტი და გლორია კოუპლენდების წიგნს „რწმენიდან რწმენაში“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს მოციქულ პავლეს სიტყვები:

„ვინაიდან მე არ მრცხვენია სახარების ქადაგებისა, რადგან ღვთის ძალაა იგი ყოველი მორწმუნის სახსნელად ... მასში ცხადდება ღვთის სიმართლე რწმენიდან რწმენაში, როგორც სწერია: „მართალი იცოცხლებს რწმენით“ (რომაელთა 1:16,17).

შესავალ სიტყვაში ავტორები ასე მიმართვაენ მკითხველს:

„ძვირფასო მეგობარო!

უკვე თითქმის 40 წელი გავიდა, რაც ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, — გვეცხოვრა რწმენით.

იმ დღიდან მოკიდებული ჩვენი ცხოვრება სულ უფრო და უფრო დიდებული და საინტერესო ხდებოდა. ამის წარმოდგენაც კი არ შეგვეძლო. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა. სულიერი, ფიზიკური, ფინანსური გამარჯვებები.

მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ამ წარმატებებთან უცბად არ მივსულვართ.

ავადმყოფობას მაშინვე არ მიუტოვებია ჩვენი სხეულები, როგორც კი წარმოვთქვით: „იესოს წყლულებით ვართ განკურნებულნი“. მაშინვე არ დაგვიძლევია ჩვენი სიღარიბე, როგორც კი

გავიმეორეთ: „ჩემი ღმერთი დააკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნილებებს თავისი სიმდიდრით ქრისტე იესოს დიდებაში.“

ჩვენ იმიტომ გავიმარჯვეთ, რომ ერთხელ რომ ჩავეჭიდეთ ღვთის სიტყვას, გადავწყვიტეთ აღარ მოვშორებოდით. მაშინაც კი, როდესაც გვეჩვენებოდა, რომ სიტყვა ჩვენთვის არ მუშაობს, ჩვენ განვაგრძობდით მის გააზრებას და აღიარებას. განვაგრძობდით ღვთის სიტყვით ჩვენი რწმენის დაპურებას... დღეცისმარე, ყოველდღიურად.

ბოლოს და ბოლოს ამ რწმენამ დაიწყო მთების ადგილიდან დაძვრა ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ეს ნათქვამია კიდეც მარკოზთან (11:23).

აი, რატომ გვიხარია, რომ ახლა ეს წიგნი გიჭირავთ ხელში. ამ წიგნის მიზანია — დაგეხმაროთ, რათა თქვენი რწმენა ღვთის სიტყვით გამოკვებოთ და თან არა ხანდახან, არამედ ყოველდღე. ის განკუთვნილია იმისთვის, რომ ყოველდღიურად მოგანიჭოთ სულიერი შთაგონება, აღმაფრენა, დაგეხმაროთ იზარდოთ სულიერად, იქამდე, ვიდრე არ განივითარებთ ამ ძლევამოსილ რწმენას, მთების დაძვრა, ანუ თქვენი პრობლემების გადაჭრა რომ შეუძლია. ეს რწმენა გაქცევთ გამარჯვებულად თქვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

მრავალი წლის წინ ღმერთმა ჩააგონა გლორიას: „ძალა — მუდმივობაშია“.

ჩვენ ვლოცულობთ იმისთვის, რომ ეს წიგნი დაგეხმაროთ, მუდმივად დაიდოთ ბინა ღვთის სიტყვაში — ბიბლიაში, რათა მისი ძალა აზვირთდეს თქვენში. პირადი გამოცდილებიდან ვიცით, რომ ეს ძალა დაგეხმარებათ გადახვიდეთ რწმენიდან რწმენაში, გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

კენეტი და გლორია კოუპლენდები“

როგორც ვხედავთ, ავტორებისთვის ამოსავალია პავლეს სიტყვები: „ამრიგად, რწმენა — მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა ღვთის სიტყვისაგან (რომაელთა 10:17).“ ამიტომ ღვთის სიტყვის — ძველი და ახალი აღთქმის — ყოველდღიური კითხვა და მოსმენა (ეკლესიაში, ან დისკებით), მუდმივი სულიერი ყოფნა ღვთაებრივ ტექსტში, — მათთვის არის რწმენის უმთავრესი წყარო, რომელიც განმტკიცებულია ლოცვითი პრაქტიკით ეკლესიაში და შინ, და შეძლებისდაგვარად

ყველგან, სადაც კი ადამიანს უწევს ყოფნა. კოუპლენდების გამოცდილებით რწმენა არ მიდის ადამიანთან მზამზარეულად, ეს მოჩვენებითი რწმენაა. რწმენის მოპოვება ხანგრძლივი და თავდადებული სულიერი შრომის გზას გულისხმობს.

ცოლ-ქმარი კენეტი და გლორია კოუპლენდები ცხოვრობენ ტეხასის შტატში, მსახურებას ეწევიან ეკლესიაში, წერენ და გამოსცემენ უამრავ წიგნს, სადაც განმარტებულია ძველი და ახალი აღთქმის ჭეშმარიტებები. წიგნები თარგმნილია სხვადასხვა ენებზე და მოთხოვნისამებრ ეგზავნებათ დაინტერესებულ პირებს. მათი ყოველდღიური ქადაგებები გადაიცემა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცეშიც. მათი მოღვაწეობის მთავარი პათოსია, დაიხსნან ადამიანები ურწმუნობისა თუ ფორმალური, უნაყოფო რელიგიურობისაგან და აზიარონ სახარებისეულ რწმენას: რომელზედაც ნათქვამია, რომ ეს რწმენა არის „სოფლის მძლეველი“ და სასწაულმოქმედი: ანუ განმკურნებელი და სიცოცხლითა და სიხარულით აღმვსები.

„რწმენიდან რწმენაში“ მკითხველს ასწავლის პრაქტიკულ ქრისტიანობას, ქრიტიანობას, როგორც ცხოვრების წესს. იგი ეხმარება თანამედროვე ადამიანს იმ კონკრეტული სიძნელეების (დაღლილობის, გამოფიტვის, დაძაბულობის, შიშების, ოჯახური კონფლიქტების და ა.შ) დაძლევაში, რომლებიც თრგუნავენ მის ყოველდღიურ ცხოვრებას.

„კავკასიურ სახლს“ გამოცემული აქვს გლორია კოუპლენდის რამდენიმე ნაშრომი ერთ წიგნად „აყვავება და კეთილდღეობა უფლის ნებაა“ (2009). მასში შესულია „რწმენის უძლეველი სული“, „ანგელოზების დაცვით“, „ღვთიური ჯანმრთელობის ღვთიური რეცეპტი“ და „კეთილდღეობა და აყვავება უფლის ნებაა“.

მთარგმნელი

რწმენიდან რწმენაში

(გამარჯვების კალენდარი)

1 იანვარი **კენეტი**

ბედნიერი ახალი წელი

„რადგან ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება“ (რომაელთა მიმართ 10:13).

დღეს ადამიანები ერთად იკრიბებიან, რათა ერთად აღნიშნონ ახალი წლის პირველი ელვარე წუთები.

მაგრამ ათასობით ადამიანისთვის ეს დღე მათი ცხოვრების ერთ-ერთი განსაკუთრებით მძიმე დღე იქნება. ახალი წელი მათ მხოლოდ დანაკარგებისა და მარტოობის ბუნდოვან მოგონებას მოუტანს. ის იქნება ნიშანი, რომ კიდევ ერთი წარუმატებელი წელი დაიწყო.

და თქვენ? როგორი იქნება ეს წელი თქვენთვის სინამდვილეში?

თქვენ შეიძლება ძალიან ბედნიერადაც გამოიყურებოდეთ. შეიძლება ყველა დანარჩენივით საზეიმო ღიმილებსა და მისალმებებს არიგებდეთ. მაგრამ შინაგანად შეიძლება ტკივილი დაგქონდეთ. შეიძლება გაწბილებული იყოთ. შეიძლება იმასაც კი გრძნობდეთ, რომ ასე ცხოვრება აღარ შეგიძლიათ.

თუ ასეა, მსურს რაღაც გითხრათ. შეგიძლიათ ყველაფერი ერთ წამში შეცვალოთ. დღესვე, ახლავე შეგიძლიათ ცხოვრება თავიდან დაიწყოთ და ეს დღე თქვენი ცხოვრების უბედნიერეს დღედ აქციოთ.

რამდენჯერ გითქვამთ თქვენი თავისთვის: „ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შემეძლოს, ყველაფერს სხვაგვარად გავაკეთებდიო?“ და ეს არ უნდა დარჩეს მხოლოდ ცარიელ ოცნებად.

იესო ქრისტემ ყველაფრის თავიდან დაწყება ნამდვილად შესაძლებელი გახადა. ეს არის

მისი საახალწლო საჩუქარი თქვენთვის. მან გადაიხადა საფასური თქვენი ყველა ცოდვისთვის. ის დაისაჯა თქვენი ყველა შეცდომისათვის.

სწორედ ამიტომ მოვიდა იგი დედამიწაზე. სწორედ ამიტომ დაიბადა — რომ თქვენ შეგძლებოდათ ყველაფრის თავიდან დაწყება!

თქვენ შეგიძლიათ თვალი გადაავლოთ თქვენს ცხოვრებას და თქვათ: „მაგრამ მე ამდენი საშინელი შეცდომა მაქვს ჩადენილი! ძალიან მდაბლად ვიქცეოდი ხოლმე!“ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იესომ ყველაფრისთვის გადაიხადა.

როგორ შეგიძლიათ ყველაფრის ხელახლა დაწყება? რომაელებისადმი წერილში (10:9) ვკითხულობთ: „რადგან, თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები.“ უბრალოდ თქვით: „იესო, შენს ხელებში ვდებ ჩემს ცხოვრებას. დღეიდან მე შენი ვარ.“

იმაზე უკეთეს დღეს როგორ შეარჩევ შენი ცხოვრების შესაცვლელად, ვიდრე ახალი წლის პირველი დღეა? პირდაპირ ამ წუთას, სადაც არ უნდა იყოთ, მიეცით თქვენი სიცოცხლე იესოს. მერე კი შესძახეთ: „მადლობა ღმერთს, ყველაფერს თავიდან ვიწყებ!“ და გაიგებთ, რა არის ნამდვილად ბედნიერი ახალი წელი!

ფრაგმენტი წერილიდან: რომაელთა მიმართ 10:1-13

2 იანვარი **კენეტი**

მაღლა ასწიეთ თავი!

„იფიქრეთ იმათზე, ვინც მოითმინა ესოდენი სიძულვილი ცოდვილთაგან, რათა თქვენ არ გატეხილიყავით სულდაძაბუნებულნი“ (ებრაელთა 12:3).

მაღლა ასწიეთ თავი! რადგან ჩვენს დროში ამაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული მთელი თქვენი ცხოვრება.

რამდენიმე წლის წინ უფალმა მიჩვენა, რომ დაღლილობის სული დღეს ცდილობს დაანგრიოს ჩვენი ცხოვრება სტრესებითა და ცუდი ახალი ამბებით, გარს რომ გვახვევია.

დაღლილობის სული ცდილობს მოსწყვიტოს ჩვენი მზერა ღვთის სიტყვას, როცა იწყებს ნეგატიური ძალებით ჩვენს დაბომბვას. ის გვაიძულებს დავხაროთ მზერა და ვუყუროთ ჩვენს დამარცხებას, ნაცვლად იმისა, რომ ავიხედოთ ზემოთ და ვუყუროთ იესოს.

და თუ ამას დაუშვებთ, თქვენი სულიერი ადამიანი დაიწყებს თავისი ძალმოსილების დაკარგვას. ღვთის სიტყვა კი გვაფრთხილებს, თუ რა მოხდება ამ დროს. ის ამბობს, რომ „დაკარგავთ ძალას და დასუსტდებით თქვენი სამშვინველით“. აი, რა თქვა იესომ მარკოზის სახარების მე-4 თავში: როდესაც ამქვეყნიური ზრუნვა-წუხილი შედის თქვენს გულში და გონებაში, ის ახშობს ღვთის სიტყვას და ღვთის სიტყვა ხდება უნაყოფო. და რადგანაც ჩვენი რწმენა — ღვთის სიტყვის ნაყოფია, ეს ნიშნავს, რომ თქვენი რწმენა დაჭკნება. და როგორც კი ეს მოხდება, თქვენ განსაცდელი გელით.

როგორ შეგიძლიათ დაღლილობის ამ ჯაჭვური რეაქციის შეჩერება?

ასწიეთ თავი მაღლა! თავიდან დაიწყეთ იესოს დანახვა. მზერა არ მოაცილოთ მას.

მახსოვს, სპორტულ შეჯიბრებებზე მოწინააღმდეგე თავს რომ დახრიდა, აღარ აღიქმებოდა ხოლმე საშიშად. ასეთ მდგომარეობაში ის ადვილად დასამარცხებელი ხდებოდა.

ასე რომ, არ დახაროთ თავი! გააგრძელეთ იესოსკენ ცქერა, ნუ მოაშორებთ მას მზერას! ჩვენი რწმენის მმართველსა და აღმასრულებელს! უყურეთ იმას, რასაც ღმერთი ლაპარაკობს თავის სიტყვაში. დაე, ღმერთის სიტყვებმა გმართონ და გატარონ. დაე, მისი აზრები თქვენს აზრებად იქცნენ.

ასწიეთ თავი მაღლა! შეწყვიტეთ ყურება გარემომცველი მოვლენებისაკენ და შეხედეთ თქვენს ზეციერ წყაროს! ნუ გაგიჩნდებათ შიში, ვაითუ ყველაფერი დავკარგოო. თქვენი წყარო

არის ღმერთი და არა ეს ქვეყანა. ღმერთი იზრუნებს თქვენზე, იმისდა მიუხედავად, თუ რა ხდება ირგვლივ.

თუ ბოლო ხანებში დაღლილობა მოგეძალათ, მაშინ ზემოთ აიხედეთ. იყურეთ ზემოთ და არა ქვემოთ! ღმერთი ზემოთაა. იესო ზემოთაა. ეშმაკი კი — ქვემოთ, თქვენს ფერხთით. ასწიეთ თავი!

ფრაგმენტი წერილიდან: ესაია 40: 21-31

3 იანვარი **კენეტი**

იყავით კურთხევა

„იგალობონ და იმხიარულონ ჩემი სიმართლის მსურველებმა და, ჩემი სიმართლით კმაყოფილებმა, და თქვან მარადჟამს: განდიდდეს უფალი, მისი მორჩილისთვის მშვიდობის მსურველი“ (ფსალმუნი 34:27) .

თუ ტრადიციული რელიგია გვასწავლიდა, რომ ღმერთს თქვენი სიღატაკე და დათრგუნულობა სურს, მაშინ დღეს კარგი ამბავი მაქვს თქვენთვის: ბიბლია ამბობს, რომ „ღმერთი შეჰხარის თქვენს აყვავებას.“ ღმერთს სურს, რომ თქვენ აყვავებული იყოთ! არა მხოლოდ სულიერად და ფიზიკურად, არამედ ფინანსურადაც, თქვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

სადაც არ უნდა იყოთ, ვინც არ უნდა იყოთ, ღმერთს სურს გამოგიყვანოთ ნებისმიერი მძიმე სიტუაციიდან.

რატომ? იმიტომ რომ უყვარხართ. და თქვენთვის სამუშაო აქვს. მას სურს, დაეხმაროთ კაცობრიობის პრობლემების მოგვარებაში. და ის საკმაოდ ჭკვიანია, რათა იცოდეს, რომ რაც არა გაქვთ, იმას ვერ გასცემთ. თქვენ ვერ შეიტანთ შესაწირს სახარების გასავრცელებლად ან ვერ უყიდით საჭმელს ღარიბებს, თუ თვითონ გაღატაკებული ხართ. ვერ წახვალთ და ხელს ვერ დაასხავთ ავადმყოფებს, თუ თვითონ საწოლს ხართ მიჯაჭვული.

თუკი თქვენ დღეს ნამდვილად გინდათ ღმერთის სიმდიდრით დატკბობა, მიიღეთ გადაწყვეტილება, იყოთ კურთხევა სხვებისთვის, და უკან მოხედვას ვერ მოასწრებთ, რომ დაიწყებთ ღმერთისგან იმაზე ბევრად მეტის მიღებას, ვიდრე ოდესმე გიოცნებიათ.

სწორედ ასე დამემართა მე. მრავალი წლის წინათ ერთხელ და სამუდამოდ მივიღე გადაწყვეტილება, ვყოფილიყავი სიკეთის გამღები. და განვივითარე გაცემის ცხოვრების წესი. დღესდღეობით ბუკვალური აზრით იმისთვის ვცხოვრობ, რომ გავცე. და შემიძლია გითხრათ, რომ ღმერთი თავზე მაპენტავს კურთხევას წარმოუდგენელი სიუხვით! ამასვე გააკეთებს თქვენთვისაც, თუკი მისი მსახური გახდებით — თუკი თქვენს დროს, ფულსა და სიყვარულს მიუძღვნით იმათ, ვისაც ეს სჭირდება. გახდით სიკეთის გამცემი — და ღმერთი გაიხარებს თქვენი აყვავებით.

ფრაგმენტი წერილიდან:
დაბადება 12:1-4; 13:1-4.

4 იანვარი **კენეტი**

დაე, შეიცნოს ქვეყანამ

„მე მხოლოდ ამაზე არა გთხოვ, არამედ იმათზეც, ვინც ჩემი მორწმუნენი იქნებიან თავიანთი სიტყვით. რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი — შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში, რათა ირწმუნოს სოფელმა, რომ შენ მომავლინე“. (იოანე, 17:20, 22-23).

მრავალი წლის განმავლობაში ეკლესია მსოფლიოს ევანგელიზაციის სხვადასხვა მეთოდებს იგონებდა. ჩვენ ვიკრიბებით ერთად, ვადგენთ გეგმებს და სტრატეგიას, ვაგროვებთ ამისთვის ფულს. მაგრამ ამ ყველაფრის გვერდით იშვიათად თუ გვახსენდება ის გეგმა, რომელიც იესომ დაგვისახა.

მორწმუნეთა უმეტესობა ვერც აცნობიერებს, რომ იესომ ამ ქვეყნის ევანგელიზაციის გასაღები მოგვცა. ის ამის შესახებ ლოცულობდა ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე. მან შესთხოვა მამას, მისი ყველა მორწმუნე ისე შევეკავშირებინეთ ერთმანეთთან და მასთან, რომ მთელ ამ ქვეყანას გაეგო, რომ ის მამის მიერ იყო გამოგზავნილი.

თუ თქვენ და მე, და ყველა დანარჩენი სხეული ქრისტესი ერთად შევიკრიბებით და ერთმანეთს შევიყვარებთ, მაშინ ამ ქვეყნიერებას ისე სწრაფად მოვიპოვებთ ღმერთისთვის, რომ თავბრუ დაგვეხვევა. და ეს ასეა. მაგრამ ბოლო ხანებამდე ისე ვიყავით დაკავებულნი ერთმანეთის კრიტიკით, რომ ძალზე ცოტას თუ ვფიქრობდით ამაზე.

მაგრამ, ზოგი იწყებს გაგებას, რომ ეს ყველაფერი უნდა შევწყვიტოთ. იესოს ცნება — გიყვარდეთ ერთმანეთი — ბრძანებად უნდა მივიღოთ და არა ჩვენს სურვილად. უნდა ბოლოს და ბოლოს მივატოვოთ ჩვენი ბრიყვული კამათი და ღვთის სულში გავერთიანდეთ.

გსურთ დღეს ერთი ნაბიჯი გადადგათ ამ ქვეყნის ევანგელიზაციის გზაზე? მაშინ დაიწყეთ ლოცვა ერთობისათვის. მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ სხვა მორწმუნეებს კი არ გააკრიტიკებთ, კი არ გაჭორავთ და საყვედურებით კი არ აიკლებთ, არამედ შეიყვარებთ.

დაიწყეთ აღსარება, რომ ღვთის ეკლესია ერთად აღსდგება და ამაღლდება რწმენასა და სიყვარულში, როგორც დიდებული ერთიანი სხეული, ამოძრავებული თავად იესოს ძალით, რასაც ის წარმოადგენს სინამდვილეში. იესო ლოცულობდა რომ ეს აღსრულებულიყო, და სულიწმიდა უკვე აღასრულებს ამას.

სატანას რომ შეეძლოს, შეაჩერებდა, მაგრამ არ შეუძლია. ეს პროცესი აღემატება მის ძალას. და ამით ისეთი დაბრკოლება ჩნდება მის გზაზე, რომელსაც ის ვეღარასდროს ვერ გადალახავს. და მთელი ქვეყანა გაიგებს, რომ იესო მართლაც ღმერთია.

ფრაგმენტი წერილიდან: იოანე, 17:9-26

5 იანვარი **კენეტი**

თქვენ მართალნი ხართ

„...და აღმოვჩნდე მასში არა ჩემი სიმართლით, რაც რჯულიდანაა, არამედ იმით, რაც არის ქრისტეს რწმენა, ღვთიური სიმართლე, რწმენის მიხედვით“ (ფილიპელთა მიმართ 3:9).

არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, თუ რა საშინლად აგერიათ გუშინ გზა-კვალი, ან რამდენი შეცდომა დაუშვით. მინდა, რომ დღეიდან იცოდეთ: თქვენ მართალნი ხართ! არა თქვენი დამსახურებების მიხედვით, არამედ იმიტომ, რომ ირწმუნეთ თუ არა იესო, თქვენ მიიღეთ თავად ღმერთის სიმართლე.

ნახეთ, რას ამბობს ღვთის სიტყვა იმ მადლებზე, რაც მოაქვს თქვენთვის სიმართლეს:

„ მართალი ფინიკივით გაიფურჩქნება“ (ფსალმუნი 91:13):

„მართალთა სიკეთით ხარობს ქალაქი“ (იგავნი: 11:10);

„მართალთა თესლი კი გადარჩება“ (იგავნი 11:21);

„რადგან ღვთის თვალები მიპყრობილია მართალთა მიმართ, ყურები კი მათი ვედრების მიმართ“ (1პეტრე 3:12)

„რადგან შენ აკურთხებ მართალს, უფალო; შენი წყალობით შემოსავ როგორც ჯავშნით“ (ფსალმუნი 5:13);

„მოუხმობენ მართალნი და ისმენს უფალი, და იხსნის ყველა გასაჭირისაგან (ფსალმუნი 33 :18);

„ყმაწვილი ვიყავი, კიდეც მოვხუცდი და არ მინახავს მართალი კაცი მიტოვებული, და მისი მოდგმა პურზე — ხელგაწვდილი“ (ფსალმუნი 36:29);

„მართალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას და იარსებებენ მასზე უკუნისამდე“ (ფსალმუნი 36:29)

„ღმერთს უყვარს მართალნი“ (ფსალმუნი 145:8).

არ მისცეთ ნება ეშმაკს, მოგპაროთ თუნდაც ერთი ამ მრავალი კურთხევიდან. როდესაც ის დაგიწყებთ შეგონებას, რომ ამ კურთხევათა ღირსი არა ხართ, გააძევეთ იგი თქვენგან. ხმამაღლა თქვით: „მე ღვთის სიმართლე ვარ!“ შემდეგ გადადგით რწმენის ნაბიჯი და დატკბით იმ პრივილეგიებით, რაც მოგიმზადათ ღმერთმა!

ფრაგმენტი წერილიდან:
რომაელთა მიმართ 3:21-28.

6 იანვარი **გლორია**

შექმნილნი ხართ ხოტბის შესასხმელად

ჩვენ იმისთვის ვართ შექმნილნი, რომ ხოტბა შევასხათ ღმერთს. ზოგმა მორწმუნემ ეს არ იცის. როდესაც ღვთის განდიდების რიტუალი იწყება, ისინი სხედან და ამბობენ: „ძალიან მეუხერხულება მთელი ეს გალობა და შეძახილები. ალბათ ღვთის ხოტბა ჩემი საქმე არ არის.“

არა, თქვენი საქმეა! ბიბლიის თანახმად, თუ სუნთქავთ, უნდა აქოთ ღმერთი.

და ნუ შეეცდებით, თავი აარიდოთ ამას სხვადასხვა რაღაცის მომიზეზებით: „მე, საერთოდ, გულში ვადიდებ.“ ეს არ არის საკმარისი. ღვთის სიტყვა ამბობს, რომ ხოტბა თქვენს ბაგეზე უნდა იყოს (ფსალმუნი 32:3). 131-ე ფსალმუნში ნათქვამია: „დე, შენმა წმიდებმა სიხარულით შესძახონ.“ შეუძლებელია ერთდროულად თან დუმდეთ და თან შეძახილებიც აღგმოხდეთ.

როცა ნამდვილ განდიდებას დაიწყებთ, თავიდან შეიძლება უხერხულობა იგრძნოთ, მაგრამ თუ გააგრძელებთ ამის კეთებას, მაშინ ხოტბის შესხმა ცხოვრების წესად გექცევათ. რატომ? იმიტომ, რომ ხოტბის წყალობით თქვენს ცხოვრებაში ჩნდება ღვთის დიდება. ხოტბის წყალობით თქვენ მისი სახის ნათელში დადიხართ (ფსალმუნი 88:16). ხოტბა დაიწყებს თქვენს შიგნით გაღვიძებას.

„კარგი რა, გლორია, ასე თუ დავიწყე ხოტბის შესხმა, ადამიანები ფანატიკოსად ჩამთვლიან!“.

მერე რა! განა არ იცით, რომ ყველა გამოღვიძება ჩვენს ისტორიაში იმ ადამიანების წყალობით იწყებოდა, ვისაც ფანატიკოსებად თვლიდნენ? ღმერთი არ იქცევა ისე, როგორც ამ ქვეყანას მიაჩნია ნორმალურად. ასე რომ, როდესაც გვერდით გადასდებთ თქვენს წარმოდგენებს და ნებას მისცემთ ღვთის სულს იმოქმედოს თქვენი გავლით, ისინი, ვისთვისაც უცხოა მისი გზები, უცნაურ ადამიანად მიგიჩნევენ, ღმერთი კი შესანიშნავ ადამიანად ჩაგთვლით!

და, სხვათა შორის, ნუ იფიქრებთ, რომ ღვთის ხოტბა-დიდებისათვის მხოლოდ შეკრებებია საკმარისი. განადიდეთ იგი თქვენი პირადი ლოცვის დროსაც და მთელი დღის განმავლობაში. ისწავლეთ თქვენში ხოტბისა და მადლობის კონდიციის შენარჩუნება. როდესაც ღმერთისთვის

ხოტბის შესხმა ჩვეულებად გექცევათ თქვენს საკუთარ ლოცვით ცხოვრებაში, მაშინ გაგიადვილდებათ მისი განდიდება საკრებულოშიც.

გწყურიათ ღვთის სუფევის გამოვლინება თქვენს ცხოვრებაში? დაიღალეთ იმის მოსმენით, თუ როგორ ვლინდებოდა ღვთაებრივი ძალა წარსულში? მაშ გახსენით თქვენი ბაგენი და გული და გააკეთეთ ის, რისთვისაც შეგქმნათ ღმერთმა. ხოტბა შეასხით!

ფრაგმენტი წერილიდან: ფსალმუნი 150

7 იანვარი **კენეტი**

ღმერთს სურს რაღაც გითხრათ

„...ცხვარს ესმის მისი (მწყემსის) ხმა და უჯერებს მას და იგი სახელით მოუხმობს თავის ცხვარს და გამოჰყავს ისინი“ (იოანე 10:3).

არ მისცეთ ნება შიშს, გაგძარცვოთ სიხარულისაგან, რომელსაც ღვთის ხმის გაგონება და მისადმი დამორჩილება განიჭებთ. ენდეთ თქვენს მატარებელ სულიწმიდას. თავიდან ის თქვენი ცხოვრების უმნიშვნელო ამბებზე დაგელაპარაკებათ, მაგრამ შემდეგ იმისდა მიხედვით, რაც უფრო მიეჩვევით მისი ხმის გაგონებას და გამგონეობას, უფრო სერიოზულ საგნებზე გადავა.

სწორედ ასე მოხდა გლორიასა და ჩემს ცხოვრებაში. თავიდან, როცა ახალი მიღებული გვყავდა იესო როგორც ღმერთი, წარმოდგენა არ გვქონდა, როგორ უნდა გვესმინა ღმერთის ხმა. ჩვენი სული ჯერ კიდევ არ იყო მიჩვეული ეცნო, თუ როგორ გვატარებს იგი. მაგრამ რადგანაც ბიბლია ამას გვპირდებოდა, ჩვენ ველოდით, რომ ჩვენი ლოცვებისა და ბიბლიის კითხვის დროს ღვთის ხმას გავიგონებდით. და ღმერთმაც დაიწყო ჩვენი ტარება.

არასოდეს დამავიწყდება, როგორ დაემართა ეს გლორიას პირველად. ის ბიბლიას კითხულობდა და ორიოდ წუთით შეჩერდა, რათა გაეგო, ეტყოდა თუ არა ღმერთი რაიმეს. და თავის შიგნით მას შემოესმა, როგორ უთხრა ღმერთმა: „შენს მანქანაში ფარებია ჩართული.“

მას არ ეგონა, თუ ღმერთს შეეძლო ასეთ წვრილმანებზე ლაპარაკი, ამიტომ ეს ფიქრი უკუაგდო და გააგრძელა მოსმენა. მაგრამ მალე ღმერთმა იგივე უთხრა. და იგი იმეორებდა ნათქვამს, ვიდრე გლორია არ ადგა და არ წავიდა მანქანასთან. ფარები მართლაც ჩართული დაუხვდა.

რატომ განიცდის ღმერთი ისეთ წვრილმანებს, როგორიც ფარებია, რომლებიც ჩართული დარჩათ? იმიტომ რომ ეს მისთვის სულ ერთი არ არის! მან იცოდა, რომ იმ საღამოს გლორია მარტო იყო ორ ბავშვთან ერთად, და თუკი მანქანის აკუმულატორი დაჯდებოდა, ის ჩიხში აღმოჩნდებოდა. ღმერთი ზრუნავდა მასზე, და ის უთხრა, რისი გაგებაც გლორიას იმ წუთში სჭირდებოდა.

ამავე დროს ღმერთმა იცოდა, რომ გლორია ის-ის იყო სწავლობდა მისი ხმის გაგონებას და ამიტომ მისცა მითითება, რომლის ასრულებითაც გლორია არაფრით არ რისკავდა. რა მოხდებოდა,რომ არ დაეჯერებინა? უბრალოდ ბრიყვად იგრძნობდა თავს, მაგრამ ამით დიდი არაფერი დაშავდებოდა.

თუკი თქვენ მიენდობით, სულიწმიდა იგივეს გააკეთებს თქვენთვის, რაც ჩემთვის და გლორიასთვის გააკეთა. ის ნაბიჯ-ნაბიჯ გატარებთ, ისე რომ დაგეხმარებათ, კი არაფერს გავნებთ.

უდიდესი შეცდომა, რომლის ჩადენაც შეგიძლიათ — ეს არის, არ დაემორჩილოთ შინაგან მართვას, რაც უმთავრესი საშუალებაა ღმერთისთვის, ატაროს თავისი შვილები (რომაელთა მიმართ 8:14). ასე რომ, ნუ გეშინიათ. გამოძებნეთ დრო, მოუსმინოთ მას დღეს. ელოდეთ, რომ თქვენს სულში რაღაცას გაიგონებთ. ღმერთს სურს რაღაცა გითხრათ.

ფრაგმენტი წერილიდან:
1 კორინთელთა 2:6-16.

8 იანვარი **კენეტი**

გადაკვეთეთ რწმენის ხაზი!

„არ დაუძლურებულა რწმენაში, როცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის ასი წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საშო მკვდარი იყო. მაგრამ იგი არ დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში ურწმუნობით, არამედ განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს“. (რომაელთა 4: 19-20).

მთელი ამ წლების განმავლობაში, რომლებიც მე რწმენით ცხოვრებაში გავატარე, ვისწავლე, თუ რა მეხმარება ხოლმე, რა მანიჭებს უნარს, მივიღო ღმერთისგან შველა მძიმე სიტუაციებში.

რწმენის ხაზი — ეს არის ის, რაც თქვენ გჭირდებათ იმისათვის, რომ ღმერთმა თქვენს ცხოვრებაში „შეუძლებელი“ მოახდინოს. ეს არის ის, რაც თქვენ გჭირდებათ, როცა გსურთ იყოთ მტკიცე რწმენაში და არ იმერყეოთ ლერწამივით გარემომცველ გარემოებათა და ღმერთის აღთქმათა შორის, როცა ხან ერთს უჯერებთ, ხან მეორეს.

რწმენის ხაზი არის ის, რაც თქვენ დაგამსგავსებთ აბრაამს. ხომ იცით, აბრაამს, ჩვენსავით საქმე ბუნებრივ ამბებთან, ფაქტებთან ჰქონდა. და მან იცოდა, რომ ღვთის აღთქმის შესრულება მის ცხოვრებაში მხოლოდ ზებუნებრივად შეიძლებოდა მომხდარიყო.

და ღვთის სიტყვა ამბობს, რომ აბრაამი არ ფიქრობდა საკუთარ სხეულზე. სხვა სიტყვებით, აბრაამი იგნორირებას უკეთებდა ბუნებრივ მდგომარეობას, ფაქტს, და სჯეროდა მხოლოდ ღვთის აღთქმებისა.

სადღაც მან გადაკვეთა რწმენის ხაზი.

მან მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, მიჰყოლოდა ღვთის სიტყვას. მან საბოლოოდ მიუძღვნა თავი ღმერთს. მან გადაწყვიტა გადაედგა ნაბიჯი, რომლის შემდეგაც უკან დასახევი აღარ არსებობს. თუკი ჩვენ გვინდა, რომ ღმერთმა ჩვენს ცხოვრებაში მოახდინოს შეუძლებელი, მაშინ ასევე მოგვიწევს მოქცევა!

როგორ გავავლოთ რწმენის ეს ხაზი?

დაიწყეთ ღვთის სიტყვით. გამოიკვლიეთ მისი აღთქმები და მიზანდასახულად ირწმუნეთ ის, რასაც ღმერთი ამბობს თქვენი გაჭირვების შესახებ. იფიქრეთ ამ აღთქმებზე იმდენ ხანს, ვიდრე თქვენს გულში არ აზვირთდება ღმერთის რწმენა.

შემდეგ გაავლეთ რწმენის ხაზი. გაავლეთ ის თქვენს გონებაში და თქვენს გულში. გაავლეთ ის აგრეთვე იატაკზე, სადაც ლოცულობთ. და თქვით: „ღმერთის წინაშე, ყველა ანგელოზის წინაშე და სატანის გასაგონად მე გადავაბიჯებ ამ რწმენის ხაზს. ამ წუთიდან ამ საკითხს გადაჭრილად ვთვლი. და იესოს სახელით განვადიდებ ღმერთს, ჩემს ზეციერ მამას.“

და ამ წუთიდან მოკიდებული ილაპარაკეთ უკვე ისე, თითქოს თქვენი სასწაული უკვე მოხდა. ზურგი მიუშვირეთ თქვენს პრობლემებსა და ეჭვებს, სახე კი იესოსკენ მიაქციეთ.

ღმერთი გააკეთებს შეუძლებელს თქვენს ცხოვრებაში. გაბედეთ და გადააბიჯეთ რწმენის ხაზს!

ფრაგმენტი წერილიდან: რომ. 4: 13-21

9 იანვარი **კენეტი**

არ არის თიხის ჭურჭლად ყოფნის დრო

„დიდ სახლში არ არის მარტო ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, არამედ აგრთვე ხისა და თიხისა, ზოგი საპატიოდ, ზოგი არასაპატიოდ.“ (2 ტიმოთე: 2:20).

არის თუ არა თქვენი ხვედრი ზეობა ცათა სასუფეველში? დაუსვით ეს კითხვა მორწმუნეთა უმეტესობას და ისინი მორჩილად დაგარწმუნებენ, რომ არ არის. „იცით, ყველას არ გვიწერია

ოქროს ჭურჭლად ყოფნა — იტყვიან ისინი — როგორც ბიბლია გვეუბნება, ზოგი ჩვენგანი იმ-ისთვისაა მოწოდებული, რომ მხოლოდ თიხის ჭურჭელი იყოს."

მადლობა ღმერთს, რომ ბიბლია არსად ლაპარაკობს ამის შესახებ!

რა თქმა უნდა, ცათა სასუფეველში იქნება ოქროს ჭურჭელიცა და თიხისაც, მაგრამ, ღმერ-თზე კი არა, ჩვენზეა დამოკიდებული, როგორი ჭურჭელი ვიქნებით. ტიმოთეს მიმართ მეორე წერილში (2:21) ნათქვამია, რომ „ვინც ამათგან (ე. ი. ყველაფერ უწმინდურისა და არაკეთილშო-ბილისაგან) გასუფთავდება, ის იქნება პატივდებული ჭურჭელი, განწმენდილი და ხელმწიფი-სათვის სახმარი, გამზადებული ყოველი კეთილი საქმისათვის".

ეს თქვენი არჩევანია — იყოთ ოქროს ჭურჭელი თუ თიხისა!

მაშ რატომ ირჩევს ამდენი მორწმუნე შავ სამუშაოს ცათა სასუფეველში? რატომ თანხმ-დებიან იყონ თიხის ჭურჭლები?

იმიტომ, რომ მათ არ ყოფნით ერთი კომპონენტი, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს თითოეულ ოქროს ჭურჭელს. მათ არ ყოფნით ზიარებულობა. მათ არ მიუღიათ თვისობრივი გადაწყვეტილება, განერიდონ ყოველივე მდაბალსა და საზიზღარს. მათ არ სურთ ამ ქვეყნის გზათა მიტოვება და ბოლომდე ღმერთთან ერთად სიარული.

ჩემო მეგობარო, დღეს ღმერთი საკვირველ საქმეებს აკეთებს დედამიწაზე. ის ახდენს სას-წაულებს და გვაძლევს ნიშნებს, ამზადებს რა გზას იესოს დაბრუნებისთვის. ეს სუნთქვის შემ-კვრელი დროა, და ახლა ნამდვილად არ არის დრო თიხის ჭურჭლად ყოფნისთვის! ასე რომ, თუ თქვენ ჯერ კიდევ არ მიგიღიათ გადაწყვეტილება, იყოთ ოქროს ჭურჭელი, მაშ გააკეთეთ ეს დროულად! და მერე გამოყავით დრო იმისთვის, რომ მიხვიდეთ ღმერთთან, შეისწავლოთ მისი სიტყვა და შეცვალოთ თქვენი ნება ღმერთის ნების შესაბამისად. დაე, სულიწმიდამ იმდენ ხანს იმუშაოს თქვენთან, ვიდრე არ გაგიჩნდებათ სურვილი, დატოვოთ ამქვეყნიური გზები და დაი-წყოთ უფრო მაღალი გზებით სიარული — გზებით ღმერთისა.

გააკეთეთ ეს ახლავე. დრო აღარ ითმენს. დედამიწაზე ახლა ღმერთის დიდების ბოლო ტალ-ღა მიიმართება. ეს არ არის რაღაც წვეთები თიხის ჭურჭლებიდან, ეს ძლიერი ნაკადია, ოქროს ჭურჭლებიდან რომ მოჩქეფს. სწორედ ამისკენ მოგიწოდებთ ღმერთი.

ფრაგმენტი წერილიდან: 2 ტიმოთე 2:15-26

10 იანვარი **კენეტი**

რადიკალური ცვლილებები

„შენი ყველა ძე უფლის განსწავლული იქნება და დიდი იქნება შენს ძეთა მშვიდობა"
(ესაია 54:13).

მეტისმეტად ბევრი ქრისტიანი დღეს ამაოდ კარგავს დროს თავის შვილებზე წუხილში.

მრავალი წლის წინათ მე და გლორიამ დავინახეთ, რომ ეშმაკი ცდილობდა ჩარეულიყო ჩვენი შვილების ცხოვრებაში, და ამიტომ ერთ უქმე დღეს ავიღეთ ბიბლიის სიმფონია და ბიბლია და დავიწყეთ მისი გამოკვლევა ჩვენს შვილებთან დაკავშირებით.

ჩვენ ღვთის სიტყვით დავუპირისპირდით ეშმაკს და ვთქვით: „მადლობა ღმერთს, ჩვენი შვილები არ წავლენ ჯოჯოხეთში. მადლობა ღმერთს, ჩვენი შვილები არ წავლენ ჯოჯოხეთში. მადლობა ღმერთს, ისინი განსწავლულნი არიან უფლის მიერ, და დიდია მათი მშვიდობა!"

ნაცვლად იმისა, რომ კუთხიდან კუთხეში გვერბინა და პრობლემაზე გვენერვიულა, ჩვენ ოთახში დავდიოდით და ღმერთს მადლობას ვუხდიდით პრობლემის გადაწყვეტისთვის.

მაშინვე და ერთბაშად არ შეცვლილა ყველაფერი. ჩვენ კიდევ მოგვიწია გარკვეული სიძნელეების გადატანა, მაგრამ ღვთის სიტყვამ დაიწყო ცვლილებების გამოწვევა. და დღეს ჩვენი შვილები მთელი გულით ემსახურებიან ღმერთს.

თუ თქვენს შვილებს პრობლემები აქვთ, ტყუილად ნუ დაკარგავთ დროს წუხილზე. დაიწყ-ეთ რწმენა! მიეცით ნება ღვთის სიტყვას, დაიწყოს მუშაობა მათ ცხოვრებაში! შეკარით ეშმაკი

ღვთის სიტყვით და უთხარით მას, რომ ის ვერ მიიღებს თქვენს შვილებს. შემდეგ მისდიეთ რჩევას, მათეს სახარებაში რომ არის მოცემული (9:38): „ევედრეთ სამკლის უფალს, რომ გამოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში," მუშაკნი, რომლებიც თქვენს შვილებამდე მიაღწევენ. ღმერთმა იცის, ვის დაუჯერებენ ისინი. და მან იცის, როგორ მიიყვანოს ეს ადამიანები თქვენი შვილების ცხოვრებაში საჭირო დროს.

ჩაეჭიდეთ ღვთის სიტყვას, არ დანებდეთ თქვენს შვილებთან დაკავშირებით — და ადრე თუ გვიან ეს სიტყვა მისწვდება მათ.

ფრაგმენტი წერილიდან: ფსალმუნი 126

11 იანვარი **კენეტი**

ნუ უყურებთ ქარიშხალს

„მაგრამ, ქარი რომ დაინახა, შეეშინდა, ჩაძირვა დაიწყო და იყვირა: „უფალო, მიხსენი მე!" იესომ იმ წამსვე გაუწოდა ხელი და უთხრა: „რატომ დაეჭვდი, მცირედმორწმუნევ?" (მათე, 14: 30-31).

ეშმაკი გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას, რათა მზერა მოსწყვიტოთ ღვთის სიტყვას. ის შეგიქმნით პრობლემას. ისე მოაწყობს, რომ გარემომცველი მოვლენები მიგაწყვეტენ და მოგაწყვეტენ როგორც ქარიშხალი ნავს. ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კონცენტრაცია მოახდინოთ თქვენს გრძნობებსა და შექმნილ სიტუაციაზე, და არა ღმერთის აღთქმებზე, — რადგან მან იცის, რომ თუ ამას არ გააკეთებს, თქვენ აიღებთ ამ აღთქმებს და შავ დღეს დააყრით მას.

სწორედ ეს გაუკეთა პეტრეს. რა მოხდა, როცა პეტრემ იესოს სიტყვებზე წყალში ისკუპა? ის ყოველგვარი პრობლემების გარეშე მიდიოდა წყალდაწყალ. მთელი მისი არსება ჩაჭიდებული იყო იესოს სიტყვას „მოდი!"

მაგრამ როდესაც თვალი მოსწყვიტა ამ სიტყვას, — დაიწყო ქარიშხლის დანახვა. გაიფიქრა, რომ რაღაც შეუძლებელს აკეთებდა. ბოლოს და ბოლოს მეთევზე იყო. მთელი მისი ცოდნა-გამოცდილება იმას ეუბნებოდა, რომ როდესაც ზღვაზე ასეთი მაღალი ტალღებია, შეიძლება ჩაიძირო. მასში იმძლავრა იმ ცოდნამ, რაც გამოცდილებიდან ჰქონდა და არა იმან, რაც უთხრა იესომ. ამის შედეგად მისმა რწმენამ მარცხი განიცადა და მან ჩაძირვა დაიწყო.

ნუ დაუშვებთ, რომ იგივე დაგემართოთ. როგორც კი ღვთის სიტყვიდან რაღაც ჭეშმარიტება გაგიცხადდებათ, მას ჩაეჭიდეთ. სხვაზე არაფერზე არ მოახდინოთ კონცენტრაცია.

ეშმაკი შეეცდება გააკეთოს ყველაფერი, რათა მოგწყვიტოთ ამ გამოცხადებას. თქვენს ირგვლივ ქარიშხალს ატეხს. შეეცდება თავზარი დაგცეთ. უამრავ სურათს დაგანახებთ თქვენი წარსულიდან, რათა დაგაბრუნოთ თქვენი ძველი აზროვნების წესთან.

მაგრამ არ დანებდეთ. არ მოაშოროთ მზერა ღვთის სიტყვას იქამდე, ვიდრე ის თქვენს შიგნით უფრო რეალური არ გახდება, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი, რაც კი თქვენს ცხოვრებაში არსებობს. თუ ასე მოიქცევით, შესძლებთ წყალდაწყალ სიარულს.

ფრაგმენტი წერილიდან: მათეს სახრება, 14:22-33

12 იანვარი **კენეტი**

იესო — ჩვენი ერთადერთი იმედი

„ამიტომ გაიხარა ჩემმა გულმა და გამხიარულდა ჩემი ენა, ჩემი ხორციც კი სასოებით იშ-ვებს. ვინაიდან ჩემს სულს არ მიატოვებ ჯოჯოხეთში და არ გაიმეტებ შენს წმიდას ხრწნილების სახილველად. შენ შემაცნობინე ცხოვრების გზა, სიხარულით აღმავსებ შენი სახის წინაშე.“ (საქმეები 2: 26-28).

დაახლოებით ოცდაათი წლის წინ ღმერთმა მითხრა ისეთი რამ, რამაც სამუდამო ბეჭედი დაასვა ჩემს მსახურებას. მან მითხრა: *ნებისმიერი ადამიანის ერთადერთი იმედი არის იესო ქრისტეს რწმენა.*

იმ ყოველივეს შუქზე, რაც დღეს ჩვენს ირგვლივ ხდება, ამ ნათქვამის სიმართლე ისეთი აშკარაა, როგორც არასდროს. ჩვენ ვარ თაობა ავადმყოფობებით, რომელთა განკურნებაც არავის შეუძლია, თაობა პრობლემებით, რომლებსაც ვერავინ წყვეტს. ყველა ჩვენს სწრაფწარმავალ წარმატებას სწრაფადვე ეფინება კიდევ უფრო საშინელი კრიზისების ჩრდილი.

მეტისმეტად ხშირად ემართებათ ასეთი რამ არა მხოლოდ ურწმუნოებს, არამედ მორწმუნეებსაც. ასე არ უნდა იყოს, მაგრამ ასე ხდება. მორწმუნეებიც იმავე დაავადებებით იხოცებიან, რაც მუსრს ავლებს მთელ დანარჩენ მსოფლიოს. მათაც იგივე პრობლემები აწუხებთ. და მრავალი ცხოვრობს უიმედოდ, ისევე როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო.

რატომ? იმიტომ რომ ადამიანის ერთადერთი იმედი იესო ქრისტეს რწმენაა. ქრისტიანთა უმეტესობამ კი არ იცის, როგორ იცხოვროს რწმენით.

ნაცვლად იმისა, რომ ღვთის სიტყვითა და რწმენით იყვნენ აღვსილნი, ისინი დატენილნი არიან რელიგიური ტრადიციებითა და ცრურწმენებით. და როდესაც ეშმაკი ატყდებათ თავს უძლურებებით, ავადმყოფობებით, დეპრესიებით თუ განხეთქილებით, ისინი ხშირად უძლურები აღმოჩნდებიან ხოლმე ამ სიტუაციაში და ნებას აძლევენ ბოროტ ძალას, გაანადგუროს მათი ცხოვრება. მათ უბრალოდ არ იციან, რა უნდა გააკეთონ. ბიბლია ამბობს: „ამოწყდება ჩემი ხალხი თავისი უმეცრებით...“ (ოსია, 4:6)

მაგრამ თქვენ იცით, რომ თქვენი იმედი იესოა. მიენდეთ მას. და უთხარით ამ ქვეყნიერებას, რომ მისი იმედი — იესოა.

ფრაგმენტი წერილიდან: მარკოზის სახარება 4:35-41.

13 იანვარი **გლორია**

როცა საქმე კარგად არის და როცა არის ცუდად

„რაკი შემიყვარა, გადავარჩენ მას; დავიფარავ მას, რადგან იცნო სახელი ჩემი; მომიხ-მობს მე და ვუპასუხებ; მასთან ვარ გასაჭირში, გამოვიხსნი და ვასახელებ; დღეთა ხან-გრძლივობით გავაძღობ და შემწეობას მოვუვლენ ჩემსას“ (ფსალმუნი 90:14-16).

ღმერთს მრავალი სახელი აქვს. ის არის უფალი, მკურნალი ჩვენი, ჩვენი ციხესიმაგრე და ჩვენი სიმართლე. ის იმასაც გვპირდება, რომ ჩვენი განმათავისუფლებელი იქნება. ჩვენს მშფოთვარე ცხოვრებაში ეს ალბათ ყველაზე მეტად გვესაჭიროება.

მაგრამ უამრავი მორწმუნეა, რომელთაც არასოდეს უნახავთ ღმერთის გამათავისუფლებელი ძალის მოქმედება თავიანთ ცხოვრებაში, რადგანაც, ნაცვლად იმისა, ახლოს იარონ ღმერთთან ყოველდღიურად, ისინი ელოდებიან, როდის წამოეწევათ გასაჭირი, და მხოლოდ მაშინ შეჰღაღადებენ ხოლმე მას. ასე არ უნდა იყოს. თუ გსურთ, რომ ღმერთმა გიხსნათ მძიმე დროს, მაშინ უნდა გქონდეთ მასთან ურთიერთობა, როდესაც ყველაფერი კარგად მიგდით. რატომ? რადგანაც ღმერთი პასუხობს რწმენაზე. სწორედ ჩვენი რწმენა, და არა ჩვენი გასაჭირი აძლევს

მას საშუალებას იმოქმედოს და გვერდში დაგვიდგეს. და ჩვენ ვერასოდეს ვერ განვივითარებთ ნამდვილ რწმენას, ნდობასა და დარწმუნებულობას ღმერთში, თუ არ გავატარებთ საკმაო დროს მასთან მის შესაცნობად.

იოანეს პირველ ეპისტოლეში (3:20-22) ნათქვამია, რომ ჩვენ გვაქვს გაბედულება ღმერთის მიმართ, როდესაც მის მოსაწონად ვიქცევით. თუ ღმერთს მთელი გულით არ ვემსახურებით, მაშინ არ გვექნება დარწმუნებულობა, რომ ის გაჭირვებიდან დაგვიხსნის. და როდესაც საფრთხე შემოგვეხვევა გარს, ნაცვლად იმისა, რომ რწმენით ვიყოთ აღვსილნი, შიში დაგვადამბლავებს.

გიყვარდეთ ღმერთი და ემსახურეთ მას მთელი გულით. გქონდეთ მასთან ახლო ურთიერთობა კეთილსაიმედო დროს. და როდესაც დაგჭირდებათ იგი, როგორც დამხსნელი, ზუსტად გეცოდინებათ, რომ შეგიძლიათ მშვიდად მიანდოთ თქვენი საზრუნავი!

ფრაგმენტი წერილიდან: ფსალმუნი107:1-7;
1 პეტრე 5:7.

14 იანვარი **კენეტი**

თქვენს ფერხთა კვარცხლბეკად

„...უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე შენს მტრებს დავამხობდე შენს ფერხთა კვარცხლბეკად“ (საქმეები 2:34-35).

თუმცა სატანამ უკვე დაკარგა მთელი თავისი ძალაუფლება დედამიწაზე იმ დღეს, როდესაც იესო აღსდგა მკვდრეთით, მაგრამ მთელი 2000 წელია რაც ის, როგორც სულიერი დამნაშავე, განაგრძობს იმათ მოკვლას, გაძარცვას და განადგურებას, ვინც მას ამის უფლებას აძლევს. მაგრამ, იცით, დიდი დრო აღარ დარჩენია. ახლოსაა დღე, როდესაც მას მოუწევს მთლიანად შეწყვიტოს თავისი საქმიანობა. ახლოსაა დღე, როდესაც მთელი ბოროტება, რაც მან მოიმოქმედა დედამიწაზე, დამარცხდება ღვთაებრივი ძალით.

მორწმუნეთა უმეტესობამ იცის, რომ ეს სიმართლეა. ისინი ზეიმობენ და შეჰხარიან ამ მომავალს, მაგრამ სინამდვილეში ბოლომდე არ იციან, როგორ მოხდება ეს. მორწმუნეებს ჯერ ვერ გაუგიათ, რომ სწორედ ისინი არიან ის ფერხნი, რომლებიც შეუდგებიან ეშმაკის საქმეთა გასრესას.

იესო ეკლესიის თავია. ჩვენ კი მისი ფერხნი. სწორედ ჩვენ ავიღებთ მის ძალაუფლებასა და ძალას და გავსრესთ ცოდვას, ავადმყოფობებს და ბოროტი ძალის სხვა საქმეებს ამ ქვეყნად.

ღმერთი სწორედ ჩვენს გამოყენებას აპირებს იმ მიზნით, რომ, როგორც სახარება გვეუბნება (საქმეები, 2:35), დავამხოთ იესოს მტრები მის ფერხთა კვარცხლბეკად.

სწორედ ეს ჰქონდა იესოს აზრად, როდესაც თქვა: „მოედეთ მთელ სოფელს და უქადაგეთ სახარება ყოველ ქმნილებას... ავადმყოფებს ხელებს დაასხამენ და განიკურნებიან ისინი...ჩემი სახელით ეშმაკებს განდევნიან...“ (მარკოზი 16:15-18). ეს ჰქონდა მხედველობაში: „...წადით და იყავით ჩემი ფერხნი.“ „მთელი ხელმწიფება მე მაქვს მოცემული როგორც ცათა შინა ასევე ქვეყანასა ზედა. ამიტომ აიღეთ და გამოიყენეთ იგი, რათა დაამხოთ ეშმაკი თქვენს ფერხთა კვარცხლბეკად.“

მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ღმერთისთვის დაგვეჯერებინა, ყველა იმას ველოდით, თუ ღმერთი როდის დაამყარებდა წესრიგს მიწაზე. ჩვენ ვისხედით და ვფიქრობდით: „ნეტავ რატომ არ ბრუნდება იესო ამდენ ხანს?“

და სწორედ ჩვენს გამო არ ბრუნდება ამდენ ხანს. იესო ჩვენ გველოდება. ის გველოდება, როდის ავმოქმედებით მისი ძალით, როდის დავაყენებთ ეშმაკს თავის ადგილას და მთელ ქვეყნიერებას მოვიპოვებთ ღმერთისთვის. ის გველოდება, როდის შევწყვეტთ ჩვენს სულელურ დავებს დოქტრინებში ჩვენი განსხვავებების თაობაზე და შევუდგებით იმ საქმის კეთებას, რისი კეთებაც ღმერთმა მოგვთხოვა.

ბიბლია ამბობს, რომ ერთს შეუძლია ათასის განდევნა, ორს კი ათი ათასის. ყოველთვის, როცა კი ერთად ვართ, ჩვენი ძალა პირდაპირ ასტრონომიულად იზრდება. ჩვენ რომ შეგვეძლოს შევიკრიბოთ და გავიგოთ, თუ ვინა ვართ, რომ შეგვეძლოს გაცნობიერება, რომ ჩვენ იესოს ფერხნი ვართ, ადვილად ჩავუშლიდით ეშმაკს თავის საქმეებს.

გსურთ დააჩქაროთ იესოს მოსვლა? მაშინ თავი დაანებეთ ღრუბლებში ცქერას! თამამად დაიწყეთ მოქმედება სულით. დაიწყეთ გველის საქმეთა დამხობა თქვენს ფერხთა კვარცხლბეკად, და მაშინ ჩვენ ძალიან მალე შევძლებთ ყველაფრის მომთავრებას და დიდებით წავალთ სახლში.

ფრაგმენტი წერილიდან, დაბადება 3: 1-14.

15 იანვარი **კენეტი**

ნუ განიცდით!

„მაშ ნუ ზრუნავთ და ნუ განიცდით“ (მათე 6:31).

ღმერთი კატეგორიულად ილაშქრებს ზრუნვებისა და მშფოთვარე განცდების წინააღმდეგ. იესო მათ წინააღმდეგ ქადაგებდა. პავლე მათ წინააღმდეგ ქადაგებდა. ბიბლია ზრუნვებისა და მშფოთვარე განცდების წინააღმდეგ ქადაგებს, რადგან ისინი ეშმაკმა შექმნა, რათა ადამიანისთვის სტრესები, დაძაბულობა და სიკვდილი მოეტანა.

მიუხედავად ამისა, მრავალ მორწმუნეს ჰგონია, რომ შეუძლიათ წუხდნენ და შფოთავდნენ, თუკი ეს სურთ. მაგრამ ეს ასე არ არის! ზრუნვა-წუხილი ცოდვაა! ღვთის სიტყვა კატეგორიულად გვიკრძალავს ამას.

მაშ რა ვქნათ მთელი ჩვენი შფოთითა და წუხილით ცხოვრებისეულ პრობლემებზე?

პეტრეს პირველ ეპისტოლეში (5:7) ღმერთი ამბობს, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ „ყველა ჩვენი საზრუნავი მივანდოთ მას.“ ყველა. არა 75 პროცენტი. და არა ყველა საზრუნავი გარდა ჩვენს შვილებზე წუხილისა, არამედ უკლებლივ ყველა.

თქვენს აღსარებად ყოველ დილით უნდა იყოს: „ მე საერთოდ არაფერზე არ ვზრუნავ, რადგან მთელი ჩემი საზრუნავი გადავეცი ჩემს ღმერთს“.

ნება მიბოძეთ მოგიტანოთ მაგალითი, თუ ეს როგორ მუშაობს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ დგახართ ჩემგან შორიახლო და მე მოგეცით ჩემი მანქანის გასაღები. ამის შემდეგ ვინმე რომ მოსულიყო ჩემთან და ეთქვა: „ძმაო კოუპლენდ, თქვენი მანქანის გასღები მჭირდებაო,“ — მე ვუპასუხებდი „ვერაფრით დაგეხმარებით, ჩემი გასაღები იმ კაცს მივეცი. მე აღარა მაქვს.“

აი, რა უნდა უყოთ თქვენს ზრუნვებსა და წუხილს, ის უნდა გადასცეთ ღმერთს და უკან აღარ გამოართვათ. და თუ სატანა შეეცდება თავს მოგახვიოთ შფოთითა და წუხილით სავსე ფიქრები სიტყვებით: „რას იზამ, თუ ეს მოხდება?“ — უბრალოდ უთხარით, რომ წავიდეს და ამის შესახებ ღმერთს დაელაპარაკოს, რადგან ახლა თქვენი პრობლემა მის ხელთაა.

როგორც კი ამას გააკეთებთ, თქვენს ცხოვრებაში ცვლილებები დაიწყება. თქვენ უკვე აღარ შეუბოჭავთ ღმერთს ხელებს თქვენი ზრუნვებითა და წუხილით. მისი ძალა დაიწყებს მუშაობას, რადგან რწმენით მოიქეცით და ყველა თქვენი საზრუნავი მას გადაეცით!

მაგრამ გახსოვდეთ, რომ ღმერთი თავად არ ჩამოგართმევთ თქვენს საწუხარსა და საზრუნავს. თქვენ თავად უნდა გადასცეთ. შემდეგ კი ეს საზრუნავი შეცვალოთ ღვთის სიტყვით. თქვენ თავად უნდა გააკონტროლოთ თქვენი აზრები. და თქვენ შეგიძლიათ ამის გაკეთება. თქვენში ხომ თავად ღმერთი ცხოვრობს. ის ნებისმიერ სიტუაციაში გაგამარჯვებინებთ. გადადგით ეს ნაბიჯი. და თქვენ აღარასდროს მოგიწევთ ზრუნვა, შფოთი და წუხილი.

ფრაგმენტი წერილიდან: ფსალმუნი 54. მათე 6: 24-34.

16 იანვარი **კენეტი**

იესოს შეუძლია მათი დახსნა

„როცა მიხვალთ, იქადაგეთ, რომ მოახლოებულია ცათა სასუფეველი;
სნეულნი განკურნეთ, მკვდრები აღადგინეთ, ეშმაკები განდევნეთ;
უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდ გაეცით.“
(მათე 10: 7-8).

ჩვენს დროში არიან მორწმუნეები, რომლებიც ამბობენ, რომ ისეთი დაავადებანი, როგორიც შიდსია, გვევლინება ღვთის სასჯელად უზნეო ადამიანებისათვის. ამ განცხადებას არავითარი ბიბლიური საფუძველი არ გააჩნია!

ღმერთს არ მოაქვს ადამიანებისთვის ავადმყოფობები. სხვათა შორის, თუ ვინმეს სძულს დაავადება ყველაზე მეტად, ეს იესოა. ეშმაკი კი ცდილობს ამის საწინააღმდეგოში დაგვარწმუნოს. ის თავს გვახვევს თავის სიცრუეს, ცდილობს დაგვაჯეროს, თითქოს ეს სნეულებები ადამიანებისთვის ღმერთს მიჰქონდეს, რადგან იცის, რომ თუ ავადმყოფები ამას დაიჯერებენ, კიდევ უფრო დაშორდებიან ღმერთს. და სწორედ ეს არის ეშმაკის მიზანი.

დროა, რომ ჩვენ, როგორც მორწმუნეებმა, ბოლო მოვუღოთ ამ სიცრუეს. რამდენიმე წლის წინათ ღმერთმა ჩემს გულში მითხრა: „მისწვდი იმათ, ვინც იტანჯება. უთხარი მათ, რომ მე არა ვარ დამნაშავე მათ ტანჯვაში. უთხარი, რომ მე მათი დამხსნელი ვარ.“

ეს სიტყვები მხოლოდ ჩემთვის კი არა, ქრისტეს მთელი სხეულისთვის იყო განკუთვნილი. ჩვენ უნდა ვუთხრათ ყველას, ვინც შიდსით იტანჯება, რომ იესო ბატონობს ამ დაავადებებზე. ჩვენ უნდა ვუთხრათ ყველას, რომ ღმერთს ისინი მთელი გულით უყვარს, რომ მას აქვს ძალა და სურვილი, განკურნოს ისინი.

ღმერთს არ მოაქვს სატანჯველი, რასაც ჩვენს ირგვლივ ვხედავთ. ეს შემზარავი ტყუილია, რომელსაც ეშმაკი ავრცელებს. და თუ ჩვენ გავაკეთებთ იმას, რაც გვმართებს, მაშინ ქუჩებს სულ სხვა ამბავი მოედება. ამბავი იმის შესახებ, რომ იესო ქრისტეს არა ჰყავს ისინი დამონებული, რომ იესო არის ის, ვისაც შეუძლია მათი დახსნა ამ მონობიდან!

ფრაგმენტი წერილიდან: მათეს სახარება, 9:18-26.

17 იანვარი **კენეტი**

დე, ღმერთმა იმოქმედოს თავისებურად

„და გაუგზავნა ელისემ მსახური და შეუთვალა: „წადი, შვიდგზის იბანე იორდანეში
და გაგიახლდება ხორცი, და გაწმენდილი იქნები. და გაბრაზდა ნაყამანი“
(4 მეფეთა 5:10-11).

ჩვენ ხშირად ხელიდან ვუშვებთ იმას, რასაც ღმერთი ჩვენთვის აკეთებს, იმიტომ რომ ის ამას ისე არ აკეთებს, როგორც ჩვენ შეიძლება გვინდოდეს. მაგალითად, ჩვენს გონებაში ვხატავთ სურათს, თუ როგორ შეიძლებოდა ღმერთს განვეკურნეთ. ვთქვათ, წარმოვიდგენთ, როგორ გვიგზავნის ღმერთი ვინმე სახელგანთქმულ მღვდელს, რათა მან ხელი დაგვასხას, ანდა ის უბრალოდ შეგვაზანზარებს თავის ძალმოსილებით და როცა ღმერთი ამას არ აკეთებს, ჩვენი რწმენა შესუსტებას იწყებს და უკვე აღარ შეუძლია იმის მიღება, რაც ღმერთმა ნამდვილად დაგეგმა ჩვენთვის.

სწორედ ასე მოიქცა ნაყამანი. ის მივიდა წინასწარმეტყველ ელისესთან იმის იმედით, რომ მისგან მიეღო განკურნება რაღაც განსაკუთრებული სახით. და როცა ეს არ მოხდა, ბიბლია გვეუბნება, რომ ის გაბრაზდა.

ელისემ ძალიან უბრალო რამის გაკეთება სთხოვა. შვიდჯერ უნდა განბანილიყო მდინარე

იორდანეში. ნაყამანს შეეძლო ამის გაკეთება. მაგრამ თავისი განკურნება სხვაგვარად წარმოედგინა. ის ფიქრობდა, რომ ელისე განკურნავდა მას ხელების წრიული მოძრაობებით და უფლის სახელის მოხმობით.

ნაყამანი გაბრაზდა და შეეძლო საერთოდ ხელიდან გაეშვა თავისი განკურნება, მის მსახურს რომ არ შეეგონებინა იმის გაკეთება, რასაც ელისე ეუბნებოდა.

მე თავადაც ასეთი ვიყავი. ისე ჯიუტად ველოდი ხოლმე რაღაც სანახაობით განცდებს, რომ ხელიდან ვუშვებდი იმ გრძნობებს, რაც ღმერთს ჩემთვის ჰქონდა დაგეგმილი. როგორც კი ეს გავიგე, შევწყვიტე რაღაც შეგრძნებების და ვიზუალური გამოცხადებების ძიება, უბრალოდ დავიწყე ლოდინი, რომ ღმერთი შეასრულებდა თავის სიტყვას.

მახსოვს, ერთხელ როგორ წავედი შეკრებაზე საშინლად მტკივანი ფეხით. ტკივილი ისეთი ძლიერი იყო, რომ მთელს სხეულს მსჭვალავდა ფეხის გულიდან მხრის სახსრამდე. მაგრამ მაინც წავედი შეკრებაზე იმ მოლოდინით, რომ ღმერთი განმკურნავდა.

მსახურების დროს, როდესაც ღმერთს განვადიდებდი, უბრალოდ ფეხის ტკივილის იგნორირებას ვახდენდი, ვაგრძელებდი სიმღერას და სხვებთან ერთად ვცემდი თაყვანს ღმერთს. როდესაც ქადაგება დაიწყო, ამოვიღე ჩემი ბიბლია და ჩავუღრმავდი ღვთის სიტყვას. და რაღა თქმა უნდა, რომ მსახურების რაღაც მომენტში განვიკურნე. ზუსტად არ ვიცი, ეს როდის მოხდა. არაფერი მიგრძვნია. არავითარი ნაპერწკლები არ დამინახავს. ვერც კი გავაცნობიერე, რომ განვიკურნე, ვიდრე მსახურება არ დამთავრდა. უკვე გამოსასვლელს ვუახლოვდებოდი, რომ გავიფიქრე: „მადლობა ღმერთს, ფეხი წესრიგში მაქვს."

ნუ მისცემთ უფლებას თქვენს საკუთარ წარმოდგენებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განგკურნოთ ღმერთმა, — მოგპაროთ თქვენი განკურნება, თქვენი განთავისუფლება და თქვენი აყვავება. უბრალოდ მიენდეთ ღმერთს, დე, მან თავისებურად იმოქმედოს. და ის განახორციელებს თავის ძლევამოსილ სამუშაოს თქვენში.

ფრაგმენტი წერილიდან: 4 მეფეთა 5: 1-14

18 იანვარი **კენეტი**

დავეთანხმოთ ჩვენს თავს

„აბა, თუ ივლიან ორნი ერთად, თუ ერთმანეთში არ შეთანხმდნენ?" (ამოსი 3:3).

როცა საქმე ეხება რწმენას, ზოგ მორწმუნეს ჰგონია, თითქოს ცალი ფეხით მიწას არიან მიჯაჭვულნი. როგორც არ უნდა ცდილობდნენ, მუდამ ისეთი შეგრძნება აქვთ, რომ ყველაფერი ძველ ადგილას რჩება.

მათ რომ დააკვირდები, მიხვდები რატომ. ისინი უბრალოდ არ ეთანხმებიან საკუთარ თავს. თავიდან ისინი ამბობენ: „ო, დიახ, ამინ, მე მწამს ღვთის სიტყვა". მაგრამ მომდევნო წამს სრულ ურწმუნობას ამჟღავნებენ: „დიახ, ვიცი, რომ ღმერთი აყვავებას გვპირდება, მაგრამ, აი, რას გეტყვით: ჩემი საქმეები იმდენად ცუდად მიდის, ამის გამო ნამდვილად კუჭის წყლული გამიჩნდება. იმდენად განვიცდი, რომ ღამით ძილი არ მეკარება." კარგად ჩაუკვირდით და დაინახავთ, რომ მათი საქციელიც სრულიად უპირისპირდება ღვთის სიტყვას. „ხომ გესმის, ძმაო კოუპლენდ, არ შემიძლია მეათედის გადახდა, როცა ასეთი შემოსავალი მაქვს. უბრალოდ მშრალზე დავრჩები!"

ასეთი ადამიანის ცხოვრებაში რწმენა არ იმუშავებს.

გაიგეთ — თქვენ სამგანზომილებიანი არსება ხართ. თქვენ ხართ სული. თქვენ გაქვთ სამშვინველი, რომელიც შედგება თქვენი გონებისაგან, ნებისა და გრძნობებისაგან; და თქვენ ცხოვრობთ სხეულში. თითოეული ეს სფერო თავის განსაზღვრულ როლს ასრულებს თქვენს რწმენით ცხოვრებაში. თქვენ სამივე ეს სფერო ერთმანეთთან კავშირში უნდა მოიყვანოთ, ვიდრე საერთოდ სადმე წახვიდოდეთ!

დაიწყეთ თქვენი სულის გამოკვება ღვთის სიტყვით. როგორც თქვენი სხეული იღებს ფიზიკურ ძალას, როდესაც მას ჩვეულებრივი საკვებით კვებავთ, ზუსტად ასევე თქვენი სულიც იღებს სულიერ ძალას, როდესაც მას ღვთის სიტყვას აწვდით. და ამ სულიერ ძალას ეწოდება რწმენა. განივითარეთ ეს რწმენა, და მაშინ თქვენი სული იბატონებს დანარჩენ ორ სფეროზე და არა პირიქით.

შემდეგ მოიყვანეთ წესრიგში თქვენი სამშვინველი. იფიქრეთ სულიერ, ამაღლებულ ამბებზე და არა მიწიერზე. იფიქრეთ ღვთის სიტყვაზე იქამდე, ვიდრე თქვენი ფიქრები მთლიანად არ დაეთანხმება მას. მოახდინეთ თქვენი მზერის ფოკუსირება ღვთის სიტყვაზე, ვიდრე მას არ დაემორჩილებიან თქვენი ემოციებიც.

დაბოლოს, მოიყვანეთ წესრიგში თქვენი სხეული. როცა თქვენ უკვე განამტკიცებთ თქვენს სულსა და სამშვინველს ღვთის სიტყვაში, ეს აღარ გაგიჭირდებათ. სხეული მიმდევარია და არა ლიდერი. ის გააკეთებს იმას, რასაც ასწავლით. დაიწყეთ თქვენი სხეულისთვის სწავლება, მოიქცეს ღვთის სიტყვის საფუძველზე. სიტყვისა, რომელიც თქვენ უკვე ჩაითესეთ სულსა და გონებაში, და ის დაგიჯერებთ.

ნუ შეეცდებით იცხოვროთ რწმენით, ისე რომ თან ცალი ფეხით მიწაზე იყოთ მიჯაჭვული. მოდით თანხმობაში საკუთარ თავთან! მოიყვანეთ თქვენი სული, სამშვინველი და სხეული ჰარმონიაში ერთმანეთთან — და ღვთის სიტყვა დაიწყებს თქვენს ტარებას იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მოისურვებთ.

ფრაგმენტი წერილიდან:
1 თესალონიკელთა 5: 14-24

19 იანვარი **კენეტი**

გაურკვევლობა სასწაულებთან მიმართებაში

„ბრიყვის პირი დაღუპვაა მისთვის
და მისი ბაგენი — მახე მისი სულისა“
(იგავები, 18:7).

ჩვენ ის გვაქვს, რასაც ვლაპარაკობთ.

ჩვენ, მორწმუნეებმა, ვიცით, რომ ეს მნიშვნელოვანი ბიბლიური ჭეშმარიტებაა. ამის დასაბუთება შეგვიძლია ამოვიკითხოთ მათესთან (21:21), მარკოზთან (11:23), იაკობთან (3:2) და წერილის მრავალ სხვა ადგილას. მაგრამ ჩვენ ხშირად ვივიწყებთ ამ ჭეშმარიტებას.

ჩვენ ვიწყებთ ლაპარაკს ისე, როგორც ლაპარაკობს ეს ქვეყანა, ნაცვლად იმისა, რომ ვილაპარაკოთ ღვთის სიტყვა. და საბოლოოდ ვიღებთ იმას, რასაც ვითხოვდით: გაუგებრობას.

თუ თქვენი საქმეც ასეა, მაშინ დაიმახსოვრეთ: რაც დღეს ცხოვრებაში გაქვთ, იმის შედეგია, რასაც გუშინ ლაპარაკობდით. იმისათვის რომ შეცვალოთ ის, რაც გაქვთ, უნდა შეცვალოთ ის, რაც გამოდის თქვენი პირიდან. რათა თქვენი ცხოვრება სხვა მიმართულებით წავიდეს, კერძოდ, სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ, ავადმყოფობიდან ჯანმრთელობისაკენ, წარუმატებლობიდან წარმატებისაკენ, — ყურადღება უნდა მიაქციოთ, რას ლაპარაკობთ.

რა თქმა უნდა, თქმა ადვილია, გაკეთება — ძნელი. მაგრამ, აი, გასაღები: ის უნდა თქვათ, რაც გინდათ რომ იყოს.

რითი უნდა დავიწყოთ?

ჯერ ერთი, მინდა გამიგოთ: არ არის საკმარისი რაღაცის შეცვლა მხოლოდ ფიზიკურ პლანში.

ეს სულიერი კანონია, ასე რომ, აქ ამოქმედებულია სულიერი ძალაც.

იაკობის ეპისტოლეში (3:7-8) ნათქვამია, რომ ენას ვერ მოათვინიერებ იმავე ძალით, რომლითაც ცხოველებს ათვინიერებენ. ამისთვის საჭიროა ღვთაებრივი სიბრძნე ზემოდან.

ღვთის სიტყვა — ეს ღმერთის სიბრძნეა (იგავები 2:6). ღმერთმა ისიც თქვა, რომ მისი სი-

ტყვა არის სული და სიცოცხლე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ენის მოსათვინიერებლად საჭიროა ღვთის სიტყვები.

მეორეც, მოინანიეთ ღვთის წინაშე, თუკი თქვენს ენას სულიწმიდის გარდა რაიმე სხვა ძალა ათქმევინებდა სიტყვებს.

შემდეგ კი თქვენს მეტყველებაზე იესო გააბატონეთ. მიიღეთ გადაწყვეტილება, ილაპარაკოთ მისი სიტყვები, სიტყვები სიყვარულის, რწმენის, სიხარულის, მშვიდობის და მადლისა. რწმენის სიტყვები ჯოჯოხეთის ცეცხლოვან ისრებს აჩერებენ.

მესამე. გააკეთეთ ის, რაც თქვა იესომ მარკოზის სახარებაში (4:24): იგრძენით, რომ გესმით. უსმინეთ საკუთარ თავს! დაფიქრდით: „მსურს კი, ამისრულდეს ის, რაც ამ წუთას ვითხოვე?“ თუ პასუხი იქნება „არა“, მაშინ გაჩერდით და შუსწორეთ თქვენს თავს. ნეგატიური სიტყვები ღმერთის განდიდებით შეცვალეთ (ეფესელთა მიმართ 5:4). დე, თქვენი ენის ძალა მუშაობდეს თქვენთვის და არა თქვენს წინააღმდეგ. შეწყვიტეთ თქვენი ენის გამოყენება გაუგებრობის წარმოსაქმნელად. გამოიყენეთ იგი იმისათვის, რომ სასწაულები მოახდინოთ. თქვენი სასწაული თქვენს გულში და თქვენს ბაგეზეა.

ფრაგმენტი წერილიდან: იაკობის ეპისტოლე 3:1-13.

20 იანვარი **კენეტი**

გწამდეთ სიყვარული

„და ჩვენ შევიცანით და ვიწამეთ სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს“ (1 იოანე 4 :16).

ერთხელ პარკის გავლით ბილიკზე რომ მივდიოდი, თან გულში ვლოცულობდი. და უბრალო კითხვა დავუსვი ღმერთს: „უფალო, რა გინდა, რომ ვუთხრა შენს ადამიანებს?“ და მომენტალურად სულსა და გონებაში გაიჟღერა ამ ფრაზამ: „უთხარი, თუ რა ძლიერ მიყვარს ისინი.“

ნათქვამი იმდენად გამსჭვალული იყო სიყვარულითა და თანატანჯვით, რომ ვერასოდეს ვიპოვი სიტყვებს მის აღსაწერად. და ამის შემდეგ მრავალი დღის განმავლობაში მხოლოდ იოანეს პირველ ეპისტოლეზე, მეოთხე თავის 16-ე მუხლზე ვფიქრობდი გამუდმებით. „და ჩვენ შევიცანით სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს.“

ჩვენ ბევრს ვკითხულობთ ღმერთის სიყვარულზე. ბევრი გვესმის მის შესახებ. მაგრამ მე მგონია, რომ ცოტა ვინმეს თუ სჯერა ნამდვილად მისი. ჩვენ რომ ეს სიყვარული გვეწამა, მთლიანად შევიცვლებოდით და და შეიცვლებოდა ყველაფერიც, რაც გარს გვახვევია.

სწორედ ამ სიყვარულმა აიძულა იესო მომკვდარიყო ჩვენთვის და თავად გამოეცადა ყველა ის სისუსტე და ტკივილი, რასაც ჩვენ განვიცდით. სწორედ ეს სიყვარული — მაშინაც, როდესაც ჩვენს თავს ასე უღირსად აღვიქვამთ, — გვეუბნება „მოდით ჩემთან და მიიღეთ ყველაფერი, რაც თქვენ გინდათ. ნუ მოგერიდებათ. მეც იგივე განვიცადე. თამამად მიადექით მადლის ტახტს, რათა მიიღოთ წყალობა და მოიპოვოთ მადლი დროული დახმარებისთვის.“

იფიქრეთ ამაზე. ღმერთი შეყვარებულია ჩვენზე, იმდენად, რომ ყველაფერი მოგვცა, რაც კი გააჩნია! მან მოგვცა მთელი განკურნება, მთელი სიბრძნე, მთელი სიმდიდრე, მთელი ძალა, რომელიც შეიძლება დაგვჭირდეს.

„კი, მაგრამ მთელი ჩემი საშინელი წარსული?“

აი, რისთვისაა საჭირო წყალობა! მან იზრუნა თქვენს საშინელ წარსულზე! მან დაფარა მთელი ჩვენი ცოდვა და ყველა ჩვენი მარცხი და ერთადერთი, რისი გაკეთებაც ახლაა საჭირო, ის არის, რომ მივიღოთ მისი სიყვარული.

რა სამარცხვინოა, რომ ადამიანები იტანჯებიან უძლურებებით და სნეულებებით და მთელი დანარჩენი წყევლით, მხოლოდ იმიტომ, რომ არ სჯერათ სიყვარულის, რომელიც მათდამი აქვს ღმერთს. დაე, თქვენ არ დაგემართოთ ეს. ისწავლეთ სიყვარულის რწმენა.

გწამდეთ ის სიყვარული, რომელიც ღმერთს აქვს თქვენს მიმართ. ის უკვე გამომჟღავნდა იესოს სისხლით.

გწამდეთ სიყვარული. ის უკვე გამოვლინდა იესოს სახელით.

გწამდეთ სიყვარული. ის უკვე გამოვლინდა ღვთის სიტყვაში.

იფიქრეთ წერილის ამ ადგილზე. იმეორეთ და იმეორეთ მთელი დღის მანძილზე „მწამს, რომ იესოს ვუყვარვარ“. და როგორც კი ეს განმტკიცდება თქვენს გულში, — სხვა ადამიანი გახდებით.

ფრაგმენტი წერილიდან: ფსალმუნი 138:1-18.

21 იანვარი **კენეტი**

ზეციური ეკონომიკა

თუკი თქვენ, მიუხედავად ყველა ბიბლიური აღთქმისა კეთილდღეობისა და აყვავების შესახებ, მიუხედავად მთელი თქვენი ლოცვებისა ჯერ კიდევ ძლივძლიობით ირჩენთ თავს, მაშინ მიპასუხეთ ერთ ასეთ კითხვაზე: როგორ ფიქრობთ, საიდან უნდა აიღოს ღმერთმა სახსრები თქვენი ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად?

მრავალი მორწმუნე, ისე, რომ ვერც აცნობიერებს ამას, მიჩვეულია უყუროს ამ ქვეყნის შეზღუდულ შესაძლებლობებს და არა ღმერთის სამეფოს უსასრულო რესურსებს. მათი რწმენა განიცდის მარცხს, როდესაც ისინი იწყებენ ფიქრს დედამიწის არასტაბილურ ეკონომიკაზე, მათ გარემომცველ სიღარიბესა და გაჭირვებაზე. ისინი ფიქრობენ: „როგორ შესძლებს ღმერთი მაკურთხოს ამ საყოველთაო გასაჭირში?“

თუ თქვენ აქამდე სწორედ ასე ფიქრობდით, მაშინ კარგი ამბავი მაქვს თქვენთვის, ამბავი, რომელიც შეცვლის თქვენს აზრებს!!

ბიბლია ამბობს, რომ „ღმერთმა დაგვიხსნა სიბნელის სამეფოდან და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის საუფლოში“.

შეყვანა ნიშნავს ერთი ადგილიდან რომ აგიყვანენ და მეორეში დაგაყენებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავარი მოქალაქეობა მიწიერი მოქალაქეობა არ არის. თქვენ პირველ რიგში ამერიკის ან რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქე კი არა, არამედ პირველ რიგში ღმერთის საუფლოს მოქალაქე ხართ.

ეს ნიშნავს, რომ ამ პლანეტას არა აქვს უფლება გიკარნახოთ, დაკმაყოფილებულია თუ არა თქვენი საჭიროებანი. ბიბლია ამბობს, რომ ღმერთი უპასუხებს თქვენს უსახსრობას თავისი დიდების სიმდიდრით (ფილიპელთა მიმართ 4:19). თქვენ შეგიძლიათ იცხოვროთ ზეციური და არა მიწიერი ეკონომიკის კანონებით, ზეცაში კი საკმარისზე მეტი სიმდიდრეა.

გამოიღვიძეთ ზეციური სიუხვისათვის, რომელიც იესოს წყალობით თქვენი გახდება. შეიგნეთ, რომ თქვენ სიღატაკის სამყაროდან სიუხვის ზეციურ საუფლოში ხართ გადანერგილი. გიხაროდეთ. თქვენთვის ღიაა ზეცის უსასრულო რესურსების კარი!

ფრაგმენტი წერილიდან: ფსალმუნი 104:37-45

22 იანვარი **კენეტი**

იცხოვრეთ იესოსავით

„არამედ (ქრისტე იესომ), წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი და შესახედაობით კაცს დაემსგავსა“ (ფილიპელთა მიმართ 2:7).

უმეტეს ჩვენგანს ბოლომდე გაცნობიერებული არა აქვს ამ სიტყვების ჭეშმარიტება. ადამიანები მცდარად ფიქრობენ, რომ იესოს შეეძლო მოეხდინა სასწაულები და ეცხოვრა წმინდა ცხოვრებით, იმიტომ რომ მას ჰქონდა ღვთაებრივი ძალა, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია. ამიტომ ისინი არც ცდილობენ, იცხოვრონ ისე, როგორც იესო ცხოვრობდა.

„ო, — ამბობენ ისინი დიადი მორჩილებით — მე ვერასოდეს შევძლებ ვიცხოვრო იესოსავით. ბოლოს და ბოლოს, მას ამხელა უპირატესობა ჰქონდა: ის ღმერთი იყო!“

მათ არ ესმით, რომ როდესაც იესო დედამიწაზე მოვიდა, მან თავისი ნებით თქვა უარი ამ უპირატესობაზე, და მიწაზე იცხოვრა არა როგორც ღმერთმა, არამედ როგორც ადამიანმა. ის არ დაბადებულა რაღაც ზებუნებრივი ძალით აღჭურვილი. მას არ ჰქონდა უნარი მოეხდინა სასწაულები, ვიდრე არ იქნა ცხებული სულიწმიდით, როგორც ეს მოთხრობილია ლუკას სახარებაში (3:22). ის ახდენდა სასწაულებს არა თავისი საკუთარი ძალით, არამედ მამის ძალით და ამას აღიარებდა კიდეც: „ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეებს.“

და როდესაც ის ლოცულობდა, ის ლოცულობდა არა როგორც მამის ძალის მქონე, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც მორჩილად რჩებოდა ღმერთთან. და როგორც ნათქვამია ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ (5:7), „მან თავის ხორცში ყოფნის დღეებში ძლიერი ღაღადით და ცრემლებით შესწირა ლოცვა და ვედრება მას, სიკვდილისგან მისი დახსნის შემძლეს, და შესმენილ იქნა იგი ღვთისმოშიშების გამო“. ეს იმას ნიშნავს, რომ იესოს ლოცვები შესმენილი იყო არა მისი ღვთაებრიობის, არამედ იმის გამო, რომ იგი თაყვანს სცემდა ღმერთს.

იესომ, ღვთის ძემ, დროებით გადადო მთელი თავისი ღვთაებრივი პრივილეგიები და ძალები და დედამიწაზე იცხოვრა როგორც ადამიანმა. როგორც კი ჩასწვდებით ამას, თქვენი სული აღტაცდება და აზეიმდება! რატომ? იმიტომ რომ, ეს ნიშნავს: რომ თქვენ, როგორც ხელახლა დაბადებულ, ზეცით დაბადებულ ღვთის შვილებს, აღვსილებს იმავე სულიწმიდით, რითაც იესო იყო აღვსებული, გაქვთ შესაძლებლობა, ისევე იცხოვროთ მიწაზე, როგორც იესო ცხოვრობდა. რეალურად თქვენ სწორედ ამისთვის ხართ მოწოდებულნი. იოანეს სახარებაში (17:18) იესომ უთხრა მამას: „როგორც შენ მომავლინე სოფელში, მეც ასევე მივავლინე ისინი სოფელში“.

იესომ *თქვენ* მოგავლინათ სოფელში, რათა ისე იცხოვროთ, როგორც თავად ცხოვრობდა.

ზეციური დაბადების, ანუ მეორე დაბადების წყალობით მან მოგცათ შესაძლებლობა გადაცვალოთ ადამის ცოდვიანი ბუნება ღმერთის უცოდველ ბუნებაზე.

მან მოგცათ უნარი და მცნება იცხოვროთ ცოდვის გარეშე, იცხოვროთ მამასთან ურთიერთობაში, იქადაგოთ სახარება, განკურნოთ სნეულნი, აღადგინოთ მკვდრები, განდევნოთ ეშმაკები და აღზარდოთ მოწაფეები.

როგორც კი ამას გააცნობიერებთ, მაშინვე ჩამოიყრით ეჭვის ბორკილებს, რომლებიც გბორკავდნენ. თქვენ დაიწყებთ ცხოვრებას ისე, როგორც განგიწესათ და მოგიწოდათ იესომ, — იცხოვრებთ არა როგორც ცოდვით მართული შთამომავალი დაცემული ადამიანისა, არამედ როგორც ხელმეორედ დაბადებული შვილი უზენაესი ღმერთისა. და მაშინ გარემომცველნი ნამდვილად დაინახავენ თქვენში იესოს.

ფრაგმენტი წერილიდან:
1 იოანე 3:1-8

23 იანვარი **კენეტი**

იზარდეთ!

„როგორც ახალშობილმა ყრმებმა, ინატრეთ სუფთა სულიერი რძე, რათა იმით გაიზარდოთ ხსნისათვის“ (1 პეტრე 2:2).

ყოფილხართ როდესმე პატარა ბავშვებით სავსე ოთახში? ჩვილები ტირიან. ისინი, რომლებიც უკვე ფორთხავენ, ყვირიან, სათამაშოებს ითხოვენ. ისინი, რომლებიც უკვე დადიან, გეჯახებიან და ცდილობენ, ყველაფერი თავისებურად გააკეთონ. საინტერესო სურათია, არა?

როდესაც სულიერად უასაკონი იყრიან თავს ერთად, თითქმის ასეთივე სურათი გვაქვს. რა თქმა უნდა, სულიერ სიჩვილეში არაფერი ცუდი არ არის. ამას ყველანი გავდივართ. როდესაც ცათა სასუფეველში ვიბადებით, ძალიან ვგავართ პატარებს. არც ძალიან ძლიერნი ვართ და არც ძალიან განვითარებულნი. შეცდომებს ვუშვებთ, ვცდილობთ გავერკვეთ, როგორ უნდა მოვიქცეთ ახალ გარემოებაში. ყველა ასე ვიწყებდით. მაგრამ ღმერთის გეგმაში არასოდეს შესულა, რომ სულ ასეთებად დავრჩეთ.

აი, რატომ ამბობს ღმერთი პეტრეს პირველ ეპისტოლეში (2:2), რომ ჩვენ უნდა „ვინატროთ წმინდა სულიერი რძე, რათა იმით გავიზარდოთ ხსნისათვის“. ღმერთის გეგმაშია ჩვენი ზრდა!

მის გეგმაშია ის, რომ მისი სიტყვით უნდა ვიკვებოთ და სიტყვის რძიდან სიტყვის მაგარ საკვებზე გადავიდეთ, ვიდრე არ ვიქცევით ღმერთის ზრდადასრულებულ შვილებად.

ახლავე დაიწყეთ მისი სიტყვით სულის დაპურება და დატკბით მასში ზრდის ჯილდოთი.

ფრაგმენტი წერილიდან: ეფესელთა მიმართ 4:12-16

24 იანვარი **გლორია**

ილოცეთ თქვენ თვითონ

„ვინც იტანჯება თქვენს შორის — ვისაც ცუდად ექცევიან, ან ვისაც რაიმე ავი შეემთხვა, — ილოცოს, ვისაც უხარია, იგალობოს“ (იაკობი 5:13).

ბერძნული სიტყვა, თარგმნილი როგორც „ტანჯვა,“ არ ნიშნავს სიძაბუნეს და სნეულებას. ის ნიშნავს „უსიამოვნებებს.“

თუ თქვენ უსიამოვნებები გაქვთ, უნდა ილოცოთ. ასე ამბობს ღვთის სიტყვა. მიაქციეთ ყურადღება, აქ არ არის ნათქვამი, რომ თქვენს მაგივრად თქვენმა პასტორმა ან თქვენმა მეგობრებმა უნდა ილოცონ. აქ ნათქვამია, რომ თქვენ თვითონ უნდა ილოცოთ.

ძალიან ხშირად ვცდილობთ სწრაფი გადაწყვეტა მოვუძებნოთ ჩვენს პრობლემებს, და ვთხოვთ ყველას ილოცონ ჩვენთვის. რა თქმა უნდა, არაფერია იმაში ცუდი, თუ სხვა ადამიანები ჩვენთვის ილოცებენ. მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში არ იქნება მუდმივი გამარჯვება, თუ თქვენ თვითონ არ დაიწყებთ ლოცვას.

მსოფლიოს ყველაზე დიდი ეკლესია მდებარეობს სეულში, სამხრეთ კორეაში. ამ ეკლესიის პასტორი არის დევიდ ჩო. ამას წინათ შევიტყვე, რომ ეს ეკლესია უკვე მილიონამდე წევრს ითვლის. როგორ გახდა ეს ეკლესია ესოდენ დიდი? პასტორი ჩო ამბობს, რომ ამის საიდუმლო ლოცვაშია.

არა მხოლოდ მის ლოცვაში, არამედ მისი მორწმუნეების ლოცვებშიც. მათ აქვთ ე.წ. ლოცვის მთა, სადაც ყოველდღე ათასობით მლოცველი მიდის.

ერთხელ, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში პასტორ ჩოს სიდედრი ყვებოდა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ლოცვას.

მან თქვა, რომ როდესაც მათი ეკლესიის წევრებს ან ოჯახში ან პირად ცხოვრებაში პრობლემები უჩნდებათ, ვიდრე რაიმეს იღონებდნენ, იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ილოცონ და იმარხულონ.

და ჩვენც ჩვენს ეკლესიებში იგივეს უნდა ვაკეთებდეთ. აღარ უნდა ვასწავლიდეთ ჩვენს მორწმუნეებს აქეთ-იქით ირბინონ და ხალხს სთხოვონ, ილოცონ მათთვის, არამედ უნდა ვასწავლოთ, თვითონ ილოცონ თავისთვის.

მისმინეთ, თუ მე თქვენს მაგივრად ვთხოვ ღმერთს თქვენი პრობლემის გადაწყვეტას, თქვენ შეიძლება ხანმოკლე წარმატება გქონდეთ და მაგრამ თავს მეორე პრობლემა დაგატყდებათ, რადგან გააგრძელებთ ძველი შეცდომების ჩადენას, შეცდომებისა, თქვენი პრობლემების მიზეზებს რომ წარმოადგენს. მაგრამ თუ თავადვე ილოცებთ თქვენთვის, თუ სულიერი ამბების გამოკვლევას მიეჩვევით, მაშინ პასუხს მიიღებთ. თქვენ მიეჩვევით საკუთარი ცხოვრების კორექტირებას, რათა ამ პრობლემებმა აღარასდროს იჩინოს თავი.

თუ თქვენ აღიარეთ იესო ქრისტე თქვენი ცხოვრების ღმერთად, მაშინ გაქვთ მისასვლელი ყოვლისშემძლე ღმერთის ტახტთან. მას კი ყველა იმ პრობლემის გასაღები აქვს, რომლებსაც შეიძლება ცხოვრებაში შეეხალოთ, და ის უბრალოდ გელოდებათ, როდის მიხვალთ მასთან, რათა მისგან თქვენთვის საჭირო პასუხი მიიღოთ. შეიძლება, გარკვეული დროის გატარება მოგიწიოთ მარტოს ღმერთთან, რათა მოუსმინოთ მას, მაგრამ ღმერთი არასოდეს გაგაწბილებთ.

ნუ იქნებით სხვის ლოცვებზე დამოკიდებული. დღესვე თავად მიეახლეთ ღმერთის ტახტს.

ფრაგმენტი წერილიდან: ფსალმუნი 5.

25 იანვარი **კენეტი**

გასაღები თქვენს ხელშია

„დავედევნები ჩემს მტრებს და წამოვეწევი...
ჩემს ფერხთა ქვეშ განერთხმებიან“
(ფსალმუნი 17 : 38-39).

თუ თქვენ ძალიან განიცდით იმას, რასაც დღეს ბოროტი ძალა სჩადის, მაშ თქვენი შეცვლის დროა. დროა, ეშმაკი ფეხქვეშ გაიგდოთ.

იესომ უკვე მოგცათ ამისთვის საჭირო ძალაუფლება. მან მოგცათ ზეციერი სასუფევლის გასაღები. ის დაგპირდათ, რომ ყველაფერი, რასაც მიწაზე შეკრავთ, ცაშიც შეკრული იქნება. და რასაც მიწაზე გადაჭრით, ცაშიც გადაჭრილი იქნება (მათე 16:19). ეს ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ თქვათ ღვთის სიტყვა და შეკრათ ბოროტი სულები. თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ ღვთის სიტყვა და მისცეთ ღვთის ანგელოზებს საშუალება, დადგნენ თქვენს მხარეს.

უფრო მეტიც, თქვენ მოგეცათ უფლება გამოიყენოთ იესოს ძლევამოსილი სახელი. სახელი, რომელიც აღემატება ყველა სხვა სახელს. სახელი, რომლის წინაშეც მოიყრება ყოველი მუხლი — ცაში, მიწაზე და ჯოჯოხეთში (ფილიპელთა 2:9-10).

ასე რომ, ნუ დაკარგავთ დროს ამაოდ ეშმაკის საქმეებზე დარდით. აიღეთ ძალაუფლება მასზე.

შეკარით ბოროტი სულები, რომლებიც ცდილობენ თქვენი ოჯახის, თქვენი ეკლესიისა და თქვენი ხალხის დანგრევას. გამოათავისუფლეთ ღვთის სიტყვა ამ დედამიწაზე და მოიყვანეთ ის მოქმედებაში იესოს სახელით.

გასაღები თქვენს ხელშია. ისწავლეთ მისი გამოყენება, და ძალიან მალე ეშმაკი თავად შეშინდება, როდესაც საქმე თქვენთან ექნება!

ფრაგმენტი წერილიდან:
მათეს სახარება 16: 13-27

26 იანვარი **კენეტი**

ქრისტე თქვენშია!

„რომელთათვისაც ღმერთმა ინება ეცნობებინა, თუ რა არის სიმდიდრე ამ საიდუმლოს დიდებისა წარმართებს შორის, რაც არის ქრისტე თქვენში, დიდების სასოება.“ (კოლოსელთა 1:27).

მრავალი წლის წინათ ტალსში (ოკლახომას შტატში) ჩვენს პატარა სახლში ვლოცულობდი. აქეთ-იქით დავდიოდი და ვიმეორებდი სიტყვებს იოანეს წერილიდან (1 იოანე 4:4): „ის ვინც არის ჩემში, მეტია იმაზე, ვინც არის სოფელში“ „ის, ვინც არის ჩემში, მეტია იმაზე, ვინც არის სოფელში.“ ვინც არის ჩემში, მეტია... ვინც არის ჩემში, მეტია... და უცებ გონება გამისხივოსნდა: „ო, დიახ, ჩემში ხომ ღმერთია!“

ისე მომივიდა, თითქოს ვიღაცამ სველი ქსოვილი გადამიჭირა სახეზე. უცებ გამოვფხიზლდი და აღელვებულმა დავიწყე მთელს ჩვენს სახლში სიარული. უცებ შევწყვიტე ღარიბ ქადაგად ყოფნა, ერთ ძველ, საცოდავ სახლში რომ ბინადრობს! თურმე მე უზენაესი ღმერთის სამყოფელი ვყოფილვარ! ამან მთლიანად შეცვალა ჩემი შეხედულება უამრავ საგანზე. *დავიხედე ხელებზე და გავიფიქრე: ახლა მისი თითები ხომ ჩემს თითებშია!* დავიხედე ფეხებზე. *მისი ფეხები ჩემს ფეხებშია. მისი ქუსლები ჩემს ქუსლებშია. თუ მე სახიფათო გზით მივდივარ, მაშასადამე, ისიც სახიფათი გზით მიდის.*

და ახლა, როდესაც ზოგი მეუბნება: „ძმაო კოუპლენდ, ჩემი ლოცვები ჩემი ოთახის ჭერს არ სცილდებაო,“ — მინდა ხოლმე ვუპასუხო: „ჭერს? ისინი თქვენს ცხვირსაც არ უნდა გასცდეს, მეგობარო, რადგან *ღმერთი თქვენშია!* თქვენი ლოცვების ავტორი, თქვენი რწმენის ავტორი, იესო ნაზარეველი თქვენს შიგნით ცხოვრობს! ალილუია!“

ზოგი ფიქრობს, რომ თქვენი აღვსება სულით პირველად მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც სულიწმიდას იღებთ. მაგრამ ეს ასე არ არის. სულიწმიდა მკვიდრდება თქვენში მაშინვე, როგორც კი აღიარებთ იესო ქრისტეს თქვენი ცხოვრების მეუფედ. ანუ, სული მკვიდრდება თქვენში, როგორც კი კი მეორედ იბადებით, როგორც კი იბადებით ზეციდან. რაც შეეხება სულიწმიდით ნათლობას — ეს უკვე სულ სხვა რამეა. ეს არის, როდესაც სულიწმიდის ძალა გადმოდის თქვენზე, რათა მსახურების შემძლეობა მოგცეთ (საქმეები 1:8).

მაშასადამე, თუნდაც ორი წუთის დაბადებული იყოთ ზეცით, იესო უკვე თქვენშია! ის თქვენში ცხვრობს და ასე იქნება ბოლომდე. შეგიძლიათ კი ჩასწვდეთ ამას? ალბათ არა. მაგრამ თუ თქვენ გააგრძელებთ ამაზე ფიქრს, შეიძლება ისევე გაგისხივოსნდეთ გონება, როგორც მე დამემართა. ეს ფიქრი დაიწყებს გაღვივებას და ზრდას თქვენში და თუ არ გაჩერდებით, ბოლოს და ბოლოს ის შეცვლის მთელ თქვენს ცხოვრებას.

როგორც თქვა ღმერთმა: „ჩავსახლდები მათში და ვივლი მათში. მე ვიქნები მათი ღმერთი და ისინი იქნებიან ჩემი ხალხი.“ (2 კორინთელთა 6:16). იესო თქვენშია. ეს არის ღვთის სიტყვის ყველაზე დიდებული ჭეშმარიტება. და, დაე, ის დღეს გაცოცხლდეს თქვენში!

ფრაგმენტი წერილიდან:
კოლოსელთა მიმართ 1:13-27

27 იანვარი **კენეტი**

ღმერთი გისურვებთ ჯანმრთელობას

„რადგან მე მოგცემ შენ განკურნებას და შენი წყლულისაგან მოგარჩენ“ (იერემია 30:17).

ღმერთი გისურვებთ ჯანმრთელობას! იცოდით ეს? მას სურს, რომ თქვენ იყოთ ჯანმრთელები და ძლიერები ცხოვრების ყველა სფეროში. მას სურს, რომ თქვენ იყოთ სულიერად

ძლიერები რწმენაში. ძლიერები ღვთის სიტყვაში. ძლიერები გამოსყიდვაში. ძლიერები ღვთის სიყვარულში.

მას სურს, რომ თქვენ იყოთ ჯანმრთელები გონებით, ძლიერები და სტაბილურები ღმერთის სიყვარულში.

მას სურს, რომ ჯანმრთელი ნება გქონდეთ, ნება, რომელიც ეთანხმება მის ნებას.

მას სურს, რომ თქვენი სხეული ჯანმრთელი იყოს. მას სურს, რომ თქვენ განთავისუფლდეთ ტკივილის, სნეულებებისა და ზრუნვის მონობისაგან. იყოთ თავისუფალი ამ მიწიერი ცხოვრების შფოთისა და მწუხარებისაგან.

თქვენი ზეციერი მამა ჯანმრთელობას გისურვებთ!

უფრო მეტიც, ჩვენს დროში მას თქვენ ჯანმრთელი სჭირდებით. სჭირდებით გამარჯვებული და განკურნებული, რათა ეს სხვებსაც ასწავლოთ. ჩვენ ისეთ ეპოქაში შევაბიჯეთ, როცა ასეთი ცოდნა უბრალოდ აუცილებელი ხდება. ქრისტეს სხეულს არა აქვს იმის დრო, რომ იყოს უმეცარი და ეშმაკის შეტევებისათვის მოუმზადებელი.

აი, რა მითხრა უფალმა:

„თანდათან სულ უფრო სახიფათო გახდება დედამიწაზე ცხოვრება. ადამიანებმა სულ უფრო მეტად უნდა გააცნობიერონ, რას ნიშნავს, რომ ისინი გამოსყიდულნი არიან და გაიზარდონ ცოდნაში იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვრონ რწმენით, რათა იცხოვრონ დიადი, გამარჯვებული ცხოვრებით, რისთვისაც ისინი შექმენი.“

იესო მოკვდა, რათა ჩვენ შეგვეძლოს ვიყოთ ჯანმრთელები. ის აღსდგა და ახლა ჩვენთვის შუამდგომლობს, რომ ჩვენ ჯანმრთელები ვიყოთ. მას სურს, რომ ჩვენ ვიყოთ ჯანმრთელები და ძლიერები, რათა დავამოწმოთ ღვთის წყალობა, მისი სიყვარული, მისი მადლი ამ უკანასკნელ დღეებში ქვეყნიერებისთვის, საშინელებებით რომ ავსებულა.

მიიღეთ იესოს განმკურნებელი ძალა ცხოვრების ყველა სფეროში. დაიწყეთ მისი გამოყენება რწმენით პირდაპირ ახლა. მიუძღვენით თქვენი თავი იმას, რომ გაჯანმრთელდეთ თქვენი ცხოვრების ყველა ასპექტში!

ფრაგმენტი წერილიდან: ფსალმუნი 106

28 იანვარი **კენეტი**

ნუ იქნებით კლდოვანი ნიადაგი

„ასევე კლდოვანზე დათესილნი ისინი არიან, რომლებიც როგორც კი სიტყვას მოისმენენ, მყის სიხარულით მიიღებენ მას. მაგრამ ფესვი არ გააჩნიათ თავის თავში და ხანმოკლენი არიან, და როგორც კი დგება გასაჭირი ანდა დევნა სიტყვის გამო, მყისვე ცდუნდებიან“. (მარკოზი 4:16-17).

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დღეს ძალიან ბევრი ქრისტიანი სწორედ ამ „კლდოვან“ ნიადაგს წარმოადგენს. დასაწყისში ისინი ძალიან შეჰხარიან ღვთის სიტყვას. მაგალითად, ისინი ისმენენ ქადაგებას აყვავების შესახებ და შინ დაბრუნებულნი ამბობენ: „ალილუია! იესოს სახელით მე აყვავებასა და კეთილდღეობას მივაღწევ!“ მაგრამ შემდეგ რაღაც მიზეზების გამო ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც შეიძლება გვინდოდეს.

მაგალითად, ბანკში მათ ანგარიშზე თანხა მეორე დღესვე არ იზრდება. ისინი გაწბილებას განიცდიან. მათ აკრიტიკებენ. და შემდეგ ვამჩნევთ, რომ მათი რწმენა თანდათან კვდება.

თუ თქვენ არ გსურთ, რომ ეს დაგემართოთ, პირდაპირ ახლა, ამ წუთშივე მიიღეთ გადაწყვეტილება, არ გაამარჯვებინოთ სიძნელეებს თქვენზე. ახლავე მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ ბოლომდე ჩაეჭიდებით ღვთის სიტყვას, გინდაც დევნა და შევიწროება გეწვიოთ, რადგან გეუბნებით: აუცილებლად გექნებათ პრობლემები.

როდესაც იღებთ გადაწყვეტილებას, იცხოვროთ რწმენით, თქვენ არ თავისუფლდებით განსაცდელებისგან. თქვენ სწავლობთ მათ დაძლევას.

როდესაც თქვენ აძლევთ უფლებას ღვთის სიტყვას, ფესვი გაიდგას თქვენში, ეშმაკს უფრო

ახლო ეცნობით, ვიდრე შეიძლება ეს გინდოდეთ, რადგან ის იწყებს ყველაფრის გაკეთებას, რათა ღვთის სიტყვა უნაყოფო დარჩეს თქვენში. ის შეეცდება, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გავნოთ. თქვენ კიდევ შეგხვდებათ პრობლემები, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ახლა გექნებათ პასუხი — ღვთის სიტყვა.

მადლობა ღმერთს, იესო ქრისტეს წყალობით, თქვენ ფლობთ ძალას ეშმაკის დასამარცხებლად.

როდესაც ის პრობლემებსა და გაწბილებებს მოგიტანთ, არ უნდა დაეცეთ, არ უნდა გაასრესინოთ თავი. გააგრძელეთ მუშაობა რწმენის წინსვლაზე, ვიდრე არ გაიმარჯვებთ.

და გინდაც დაეცეთ, უბრალოდ მაშინვე წამოდექით და თქვით: „აი, ეშმაკო, არ მოგცემ უფლებას მომპარო ღვთის სიტყვა გულიდან. ჩემშია ეს სიტყვა, მე მუდმივად ვფიქრობ მასზე. მას წარმოვთქვამ ჩემი ბაგით და ვიმოქმედებ მის მიხედვით, ვიდრე ზეციერი მამის კუთხევა მთლიანად არ დამფარავს. თუ არ გჯერა, მალე იხილავ ამას“.

თუ ამ პოზიციას შეინარჩუნებთ, ეშმაკი ვერასოდეს მოახერხებს თქვენი გულის გადაქცევას კლდოვან ნიადაგად.

ფრაგმენტი წერილიდან:
მე-2 ეპისტოლე კორინთელთა მიმართ 4:6-18

29 იანვარი **კენეტი**

უბრალოდ გააკეთეთ ეს

„განრისხდა სინაგოგის მთავარი, შაბათს რომ განკურნა იესომ, და უთხრა ხალხს: „ექვსი დღეა, როცა შეიძლება რაიმეს კეთება. ამ დღეებში მოდით და განიკურნეთ, ოღონდ შაბათს არა.“ (ლუკა 13:14).

რელიგია საშიშია. რელიგია უფრო განკურნების შესახებ დებატებს წამოიწყებს, ვიდრე ვინმეს განკურნავს. რელიგია უფრო დახსნის შესახებ იკამათებს, ვიდრე ვინმეს დაიხსნის.

ამის მაგალითი შეგიძლიათ ლუკას სახარების მე-3 თავში იხილოთ. იესომ განკურნა ქალი, რომელიც 18 წელი დაკრუნჩხული იყო და წელში ვერ იმართებოდა. დაფიქრდით, ეს მოხუცი ქალი — იესომ მას *აბრაამის ასული* უწოდა — მას შემდეგ განთავისუფლდა, რაც თითქმის ორი ათეული წელი გაატარა ეშმაკის მონობაში. სინაგოგის მეთაურებს წესით ძალიან უნდა გახარებოდათ, რაც იესომ მოიმოქმედა. მაგრამ არა! ისინი გაბრაზდნენ, რადგანაც მან ეს თურმე სათანადო დღეს არ გააკეთა.

და იცით, რა არის კიდევ უფრო უარესი? იმავე რელიგიურ მოღვაწეებს, რომლებიც იესოზე გაბრაზდნენ, დიდი ხანია თავადაც შეეძლოთ იმ ქალის განკურნება კვირის ნებისმიერ დღეს, რომ ნდომებოდათ.

აი, რატომ მრისხანებდა იესო ასე მათ მიმართ. ისინიც აბრაამის აღთქმაში იდგნენ, რომლის საფუძველზეც იესომ ის ქალი განკურნა. მაგრამ მათ რელიგიას ჰყავდა ის ქალი ტყვეობაში, ნაცვლად იმისა, რომ დაეხსნა იგი. რელიგია ყოველთვის ასე იქცევა.

გახსოვდეთ ეს ყოველთვის, როდესაც ვინმე შეეცდება გზა-კვალი აგიბნიოთ რელიგიური დებატებით განკურნებისა და დახსნის შესახებ. თუკი ვინმეს სურს განთავისუფლება სნეულების მონობიდან, უბრალოდ გააკეთეთ ეს.

ნუ დაიწყებთ თეოლოგიურ კამათს იმის შესახებ, თუ სად იმყოფება ეშმაკი.

„ვინ იცის, ეგებ სხეულში უზის სნეულს? ან გონებაში? ან სულში? ან სულაც ჯიბეში?“ ვიდრე იკამათებთ, ეშმაკი კედელთან მიაყენებს იმ საწყალს.

საქმე ის არ გახლავთ, თუ სად იმყოფება ეშმაკი. მთავარი ის არის, თუ რატომ არ გავათავისუფლეთ ის ადამიანი? ის ხომ ჩვენი ღვიძლი ძმაა ქრისტე იესოში და ის თავისუფალი უნდა იყოს.

როგორც კი ასეთ კითხვას დაუსვამთ თქვენს თავს, თქვენთვის უკვე სულერთი იქნება, შიგ-

ნით არის ეშმაკი თუ გარეთ, ზემოთ თუ ქვემოთ. მთავარი თქვენთვის გახდება ადამიანის განთავისუფლება!

აი, რითი განსხვავდება რელიგია ღვთიური სიყვარულისაგან. რელიგია მსჯელობს და კამათობს. სიყვარული მოქმედებს. აირჩიეთ დღეს სიყვარული.

ფრაგმენტი წერილიდან
ლუკას სახარება 13:11-17

30 იანვარი **კენეტი**

დაე, უკანასკნელი სიტყვა მან თქვას

„მე ვარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული, — ამბობს უფალი ღმერთი, — ის ვინც არის, ვინც იყო და ვინც მოდის, ყოვლისმპყრობელი“. (გამოცხადება 1:8).

იესო დასაწყისი და დასასრულია. ის ყოვლისმპყრობელია. როდესაც მან ეს გვითხრა გამოცხადების წიგნში, ამით მან უბრალოდ ინფორმაცია კი არ მოგვაწოდა საკუთარი თავის შესახებ. ამით მან გაგვიზიარა უძლიერესი ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ ახლავე, დღესვე შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს ცხოვრებაში!

მე მინდა ეს გაჩვენოთ. იესომ თქვა, რომ ის დასაწყისია. და რა გამოწვევაც არ უნდა შემოგახალოთ ცხოვრებამ, რა სიტუაციასაც არ უნდა შეეჯახოთ, ყოველთვის იესოთი უნდა დაიწყოთ. იოანეს პირველ ეპისტოლეში (1:1) ნათქვამია, რომ იესო — სიტყვაა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენ გვინდა დავიწყოთ იესოთი, სიტყვას უნდა მივმართოთ. ნურაფერს გააკეთებთ იქამდე, ვიდრე არ გაარკვევთ, რას ამბობს ღვთის სიტყვა იმ სიტუაციის შესახებ, რომელშიც აღმოჩნდით.

შემდეგ კი მტკიცედ დადექით ამ სიტყვაზე. როგორც ნათქვამია ეპისტოლეში კოლოსელთა მიმართ (1:23) „ოღონდ თუ დარჩებით მტკიცე და შეურყეველი რწმენაში და არ გადაუხვევთ სახარების სასოებას, რომელიც თქვენ ისმინეთ.“ დარჩით მტკიცე და შეურყეველი რწმენაში. ეშმაკი მხოლოდ მაშინ მოგერევათ, როდესაც ღვთის სიტყვას ხელიდან გაგაგდებინებთ. ყველაფერი, რასაც კი თავს გატეხთ, რასაც კი გიწყობთ, მხოლოდ ერთ რამეს ისახავს მიზნად: დაგაეჭვოთ იმაში, რასაც ამბობს ღვთის სიტყვა. ამიტომ რაც არ უნდა მოხდეს, ხელიდან არ გაუშვათ ღვთის სიტყვა. გადაწყვიტეთ ესა თუ ის პრობლემა ღმერთთან ერთად, ლოცვაში, და არ მოშორდეთ ღმერთს. რადგან ასე წერია!

და დამთავრებითაც სიტყვით დაამთავრეთ. იესომ თქვა, რომ ის დასაწყისი და დასასრულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო სიტყვა არც თქვენი ექიმისაა და არც თქვენი პასტორის. ბოლო სიტყვას იესო ამბობს!

გახსოვდეთ: დღეს თქვენ ხართ ის, ვინც ხართ ღვთის სიტყვის მიხედვით. თქვენ შეგიძლიათ იმის გაკეთება, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ ღვთის სიტყვის მიხედვით. და შეგიძლიათ გქონდეთ ის, რაც ღვთის სიტყვის მიხედვით შეგიძლიათ გქონდეთ. დაიწყეთ ამის დაჯერება. ამის რწმენა. დაიწყეთ ამის ხმამაღლა თქმა რწმენით.

წამოიძახეთ გამარჯვებულად. დიახ, *ახლავე, ამ წუთას!* ნუ დაიწყებთ ლოდინს, როცა ამის დასაბუთებას ჩემი თვალით ვიხილავ, მერე განვადიდებ ღმერთსო. თქვენ გაქვთ იესოს სიტყვა კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით, ასე რომ იცით, რომ თქვენი გამარჯვება უკვე ახლოსაა. მიენდეთ იესოს და გჯეროდეთ: ბოლო სიტყვა მისია!

ფრაგმენტი წერილიდან:
იგავი 1:1-9

31 იანვარი **კენეტი**

ოთხი სიტყვა, რომელიც მუშაობს

„ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და თქვენი იქნება.“ (მარკოზი, 11:24).

რწმენა. ის არის ყველაფრის გასაღები, რაც კი ღვთის საუფლოშია. სწორედ რწმენით მივეახლებით ყოვლისშემძლე ღმერთის ძალას. ჩვენმა უმეტესობამ ეს იცის. მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ მოვიყვანოთ ჩვენი რწმენა მოქმედებაში.

სინამდვილეში ყველაფერი ძალიან უბრალოდაა. საჭიროა თქვათ: „მე მჯერა, რომ ვიღებ, რასაც ლოცვაში ვითხოვ.“

როდესაც ამ სიტყვებს ამბობთ, თქვენს სულში რაღაც ხდება. არ მესმის, როგორ, მაგრამ რაღაც ხდება. მე არ მესმის, როგორ მუშაობს ჩემი საჭმლის მომნელებელი სისტემა, რისი გაკეთება მართებს, როდესაც ლუკმას ვყლაპავ, მაგრამ ის მუშაობს. საკმარისია, რაღაც გადავყლაპო, რომ ის მაშინვე საქმეს შეუდგება. მე არ მჭირდება მისი მართვა, მისი იძულება. და არც ის მჭირდება, რომ ვგრძნობდე, როგორ მუშაობს. ის უბრალოდ მუშაობს. ასეა მოწყობილი ჩვენი სხეული.

დაახლოებით ასეთი რამ ხდება, როდესაც თქვენს სულს კვებავთ ღვთის სიტყვაში მოცემული უძვირფასესი ღვთიური აღთქმებით, როდესაც ამ აღთქმებს „ყლაპავთ“ სულით და ამბობთ: „მე მწამს, რომ ვიღებ.“ ამ დროს გამოთავისუფლდება რწმენა. და თქვენ არ გჭირდებათ ამ პროცესის მოყვანა მოქმედებაში. არ არის აუცილებელი, გრძნობდეთ, რომ მუშაობს. ის უბრალოდ მუშაობს. ეს უბრალოდ ხდება. ასეა მოწყობილი თქვენი განახლებული სული.

როდესაც მუდმივად ამბობთ: „მწამს, რომ ვიღებ ჩემს განკურნებას“, „მწამს, რომ ვიღებ ჩემი ფინანსური პრობლემების მოგვარებას,“ და შემდეგ ახდენთ ბიბლიის შესაბამისი ადგილების ციტირებას, და ამით განამტკიცებთ თქვენს სიტყვებს, — მაშინ გამოთავისუფლდება რწმენა, რომელიც იწყებს მუშაობას იმაზე, რომ რაც ითხოვეთ, აგისრულდეთ.

როგორც ამბობდა დოქტორი კენეტ ჰეიგენი, „თქვენი რწმენის გამომრთველი ყოველთვის ჩართული უნდა გქონდეთ.“ და გლორიამ და მე აღმოვაჩინეთ, რომ ერთ-ერთი საშუალება მისი მუდამ ჩართულობისა არის ის, რომ სულ იმეოროთ: „მე მწამს, რომ ვიღებ.“

ჩვენ ამას ვიმეორებთ, როდესაც ვლოცულობთ. ამას ვიმეორებთ, როდესაც ღმერთს განვადიდებთ. ამას ვამბობთ, როდესაც ღვთის სიტყვას ვკითხულობთ.

და განსაკუთრებით ვამბობთ ამას წყვდიადის წინაშე, როდესაც გეჩვენება, რომ არაფერი არ გამოდის, როდესაც ყველაფერი საშინლად ჩანს, ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ვამბობთ: *„მე მწამს, რომ ვიღებ.“*

გსურთ დღეს გაიძლიეროთ რწმენა? მოქმედებაში მოიყვანოთ იგი? მაშ, გადააქციეთ ეს ოთხი სიტყვა ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვებად თქვენს ლექსიკონში. წარმოთქვით ეს სიტყვები ყოველდღე. და მალე თქვენც ჩვენსავით აღმოაჩენთ, რომ ისინი მუშაობენ.

ფრაგმენტი წერილიდან:
მარკოზის სახარება 11:12-24.

ფრიდრიჰ შელინგი

ფილოსოფოსის საბოლოო სათქმელი*

ფრიდრიჰ ვილჰელმ იოზეფ შელინგის გამოსვლას 1841 წელს ჰეგელიანიზმის მეტროპოლიაში — ბერლინის უნივერსიტეტში კარლ იასპერსმა „უკანასკნელი დიდი საუნივერსიტეტო მოვლენა“ უწოდა.

თავის წიგნში „სიდიადე და ბედისწერა“, სადაც კარლ იასპერსი დაწვრილებით მიმოიხილავს შელინგის აზროვნების გზა-ბილიკებს მთელი გერმანული იდეალიზმისა და რომანტიზმის მსოფლმხედველობის კონტექსტში, იგი ასე ახასიათებს ამ „მოვლენას“: „ეს ნამდვილად გამორჩეული წუთი იყო. თითქმის არც ერთი ფილოსოფოსი არ ყოფილა ამხელა მოლოდინის საგანი, ესოდენ ჩაყენებული დიდ პოლიტიკაში, როგორც შელინგი იმ წელს.“

აუდიტორია, რომლის წინაშეც შელინგი 15 ნოემბერს წარსდგა, აერთიანებდა მაღალი წოდების წარმომადგენლებს, დიდ სახელმწიფო მოხელეებს, სამხედრო პირებს, უნივერსიტეტების პროფესორებს, სტუდენტებს, თეოლოგებს, ფილოსოფოსებს, ხელოვანებს... აქ იყვნენ ისეთი მსმენელები, როგორიც გახლდათ სიორენ კიერკეგორი, ფრიდრიჰ ენგელსი, ალექსანდრ ჰუმბოლდტი, ბაკუნინი, ბურკჰარდტი, სავინი, შტეფენი, რანკე, ტრენდელენბურგი და სხვ. და ეს პუბლიკა არნახული მღელვარებითა და დაძაბულობით ელოდა ჰეგელის სიკვდილის შემდეგ ბერლინში გაბატონებული ათწლიანი სულიერი დაბნეულობისა და მოშვებულობის გარღვევას ახალგაზრდობაში ჰეგელის უახლოესი მეგობრისა და თანამოაზრის, შემდეგში კი მისი დაუცხრომელი ოპონენტის, უკვე 66 წლის შელინგის მიერ. და რაც მთავარია, ელოდა სიტყვას, თუ საით უნდა წასულიყო გერმანია, და საერთოდ, ევროპა.

ჰეგელის სიკვდილის შემდეგ ფილოსოფიურ სივრცეში წამოშობილი სიცარიელე ხელისუფლებასაც აწუხებდა. ძალიან იგრძნობოდა ჰეგელის მსგავსი უნივერსალობით აღბეჭდილი, მაღალინტელექტუალური, სულიერი გამოსხივების მქონე მოაზროვნის საჭიროება. ასეთი კი მაშინდელი კრონპრინცისთვის და არა მარტო მისთვის მხოლოდ ჰეგელის ოპონენტი — შელინგი იყო. ჯერ კიდევ 1833 წელს დაიწყო კრონპრინცმა ამაზე ფიქრი და დიპლომატი ბუნზე მოსალაპარაკებლად მიუნხენს აფრინა, სადაც შელინგი ლექციებს კითხულობდა. მაგრამ მაშინ ფილოსოფოსს დიდი ენთუზიაზმი არ გამოუმჟღავნებია და შეიძლება, პირდაპირი უარის ნაცვლად ირიბად საქმის ჩაშლა არჩია: ძალიან დიდი ანაზღაურება მოითხოვა, რისთვისაც ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდა.

მაგრამ შემდეგ, როდესაც ჰეგელიანელი ფრიდრიჰ განსის გარდაცვალების შედეგად ფილოსოფიის კათედრა უპატრონოდ დარჩა, უკვე ხელისუფლებაში მყოფ ვილჰელმ მეოთხეს შელინგის ბერლინში მიწვევა ვეღარავინ გადაათქმევინა. და შელინგი მიწვეულ იქნა „არა როგორც ჩვეულებრივი პროფესორი, არამედ როგორც ღმერთის რჩეული და ეპოქის მასწავლებელი.“ (მას დაუნიშნეს 5000 ტალერი ხელფასი, 1000 ტალერი კი ცალკე — გადმოსვლის ხარჯებისათვის. ამავე დროს აღუთქვეს აზრობრივ და პიროვნულ თავისუფლებაში სრული ჩაურევლობა. ჩვეულებრივი პროფესორის ხელფასი იმ ხანად დაახლოებით 1980 ტალერი იყო).

მაშასადამე, აუდიტორიაში დიდი დაძაბულობა გამეფებულიყო. მტრულად დაძაბულიყვნენ ჰეგელიანელები, არ დავიწყებოდათ შელინგის კრიტიკა და მწვავე გამონათქვამები ჰეგელის წინააღმდეგ (თუნდაც ასეთი, ჰეგელის რაციონალიზმს რომ აყენებდა ეჭვქვეშ: „ჰეგელი ღმერთის ცნებას კი არ ქმნის, ცნებას აქცევს ღმერთად“); დაძაბულიყვნენ თეოლოგები: „გამოცხადების თეოლოგიას“ შეეძლო მათი ორთოდოქსული ნააზრევი საერთოდ მტვრად ექცია; მტრულად შემართულიყვნენ ისინი, ვისაც ჰეგელიცა და ბიბლიაც ერთნაირად დრომოჭმულად მიაჩნდა და სინამდვილის გარდაქმნის რევოლუციური იდეები აღარ აძლევდა მოსვენებას. მაგრამ რაც

* შელინგის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის, ასევე ბერლინში წაკითხული ლექციების შესახებ ვრცელი წერილი გამოქვეყნებულია „აფრის“ 10-ე ნომერში (2002 წ.): ნაირა გელაშვილი „სიბრძნისა და სიყვარულის შესახებ, ანუ ფილოსოფოს შელინგის გახსენება“.

მათ ყველას აერთიანებდა, ეს იყო, — განწყობა, რომელიც თითქმის კატეგორიულად ავალდებულებდა შელინგს, რომ მას თავისი ლექციების კურსით გერმანიის მომავლის, ცხოვრების განახლების გასაღები ლამის იქვე, იმ აუდიტორიაშივე მიეწოდებინა ქვეყნისათვის.

ფაქტი იყო აგრეთვე ის, რომ ამ გასაღებს მაშინდელ გერმანიაში უკვე ძალიან ცოტა ვინმეღა ხედავდა ქრისტიანობაში, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის სახელმწიფოსთან, პოლიციასთან, ძალმომრეობასთან და ჩამორჩენილობასთან გაიგივებულიყო, ან ფორმალურ ტრადიციად ქცეულიყო. ასეთი იყო საბუნებისმეტყველო დარგების ყოველმხრივი განვითარების, საფრანგეთის რევოლუციისა და სხვა ფაქტორების შედეგად წარმოქმნილი „დროის სული," სწრაფ და რადიკალურ რეფორმებს რომ ითხოვდა და ახალ კულტებად მეცნიერებას, ტექნიკას და პრაქტიკულ ქმედებას სახავდა.

პირველივე ფრაზებით შელინგმა დიდი განაცხადი გააკეთა: რომ ის შეარიგებდა გახლეჩილ საზოგადოებას და სულიერ წყლულებს მოაშუშებდა; და რომ უაზრობად თვლიდა („საფრანგეთიდან წამოსულ") ყოველგვარ მოდურ აზრს ქრისტიანობის ყავლგასულობისა და მისი რაღაც სხვით ჩანაცვლების აუცილებლობის შესახებ; რომ, ქრისტიანობა ჯერ შეცნობილი არ იყო და სწორედ ახლა უნდა დაწყებულიყო მისი ნამდვილი გააზრება.

შელინგი თავის მიღწევად „პოზიტიური ფილოსოფიის" შექმნას თვლიდა და „გამოცხადების ფილოსოფიას" მის დაგვირგვინებად მიიჩნევდა.

მაგრამ ეს მონაპოვარი „დროის სულთან" სრულ დისონასნში აღმოჩნდა და გადაჭედილი აუდიტორიაც თანდათან ძალიან შეთხელდა.

თუმცა, ყველა არ ეკუთვნოდა ქრისტიანობით საბოლოოდ განხიბლულთა რიგებს. მაგალითად, ჯერ კიდევ 1832 წელს პეტრე ჩაადევი შელინგს წერდა: „ჩემთვის ცნობილია, რას წარმოადგენს ის მოძღვრება, რასაც ახლა უკითხავთ თქვენს მსმენელებს. თუმცა, გამოგიტყდებით, თქვენი კითხვისას ხშირად გამჩენია წინათგრძნობა, რომ თქვენი სისტემიდან ოდესღაც უნდა ამოზრდილიყო რელიგიური ფილოსოფია. მაგრამ ახლა სიტყვებს ვერ ვპოულობ იმის გამოსახატავად, რა ბედნიერი ვარ, როდესაც შევიტყვე, რომ ჩვენი დროის უღრმესი მოაზროვნე რელიგიისა და ფილოსოფიის შერწყმის ამ დიად იდეასთან მივიდა."

თუმცა „შერწყმას" მთლად ზუსტ ცნებად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ ჩაადაევმა პრობლემა სწორად დაინახა.

მთარგმნელი

შელინგის პირველი ლექცია ბერლინის უნივერსიტეტში წაკითხული, 1841 წლის 15 ნოემბერს

ჩემო ბატონებო!

მე ვგრძნობ ამ წამის მთელ მნიშვნელობას, ვიცი, რას ვიღებ ამით ჩემ თავზე; ან როგორ უნდა დამემალა საკუთარი თავისთვის თუ თქვენთვის, რას ამბობს ამ ადგილას ჩემი თუნდაც მხოლოდ გამოჩენა? ცხადია, ჩემო ბატონებო, თუ არ ვიქნებოდი იმაში დარწმუნებული, რომ ჩემი აქ ყოფნით ფილოსოფიას იმაზე მეტ სამსახურს გავუწევ, ვიდრე აქამდე მოვახერხე ეს, — დღეს თქვენს წინაშე არ ვიდგებოდი. ეს არის, მაშასადამე, ჩემი რწმენა: მაგრამ ძალზე შორსა ვარ იმ მოლოდინისგან, რომ ასეთივეა საზოგადო აზრი ჩემს შესახებ. მხოლოდ იმ იმედის უფლებას ვიტოვებ, რომ არავინ მიყურებს მტრულად ამ ადგილას მდგომს; რომ დიდსულოვნად მომაგებთ დროსა და სივრცეს დაწვრილებითი პასუხის გასაცემად კითხვაზე *Dic cur hic**, რის გაზიარებასაც ვაპირებ თქვენთვის ლექციების მთელი ციკლის განმავლობაში. მეც ხომ მუდამ ვუთმობდი სხვებს ადგილს და არავისთვის შემიშლია ხელი, ჩემთან დაკავშირებით იმავე მიზნისთვის მიეღწია მეცნიერებაში! და თუ მე ამ სფეროში რაღაც მონაპოვარი მაქვს, რაც იმსახურებს იმას, რომ აქ იქნას წარმოდგენილი და მიიქციოს ისეთი საზოგადოების ყურადღება, როგორსაც ახლა ჩემს წინაშე ვხედავ, — ეს გზა ყველასთვის ღია იყო და ვერავინ იტყვის, რომ მე მას აჩქარებით გავუსწარი.

ორმოცი წელია, რაც ფილოსოფიის ისტორიაში ახალი ფურცლის გადაშლა შევძელი. ამ ფურცლის ერთი გვერდი უკვე ნაწერითაა სავსე; სიამოვნებით გადავაბარებდი ვინმე სხვას მისი შედეგების შეჯამებას, ფურცლის გადაშლას და ახალი გვერდის დაწყებას.

როდესაც გარწმუნებთ, რომ ვგრძნობ ნაკისრი დავალების სიდიადესა და სიძნელეს, და მაინც არ ვირიდებ მას, — ცხადია, საკუთარი მოწოდების შეგნება მალაპარაკებს. მაგრამ ეს მოწოდება მე არ მიმინიჭებია ჩემი თავისთვის, იგი ჩემი მონაწილეობის გარეშე მომეცა. და რაკი მომეცა, უფლება არ მაქვს, უარვყო, ან ნაკლებმნიშვნელოვნად ჩავთვალო იგი. მე არ ამიტყორცნია საკუთარი თავი ეპოქის მოძღვრად, მაგრამ რომც ვყოფილიყავი მოძღვარი, ეს ეპოქის ნება იქნებოდა, და ჩემს თავს არავითარ დამსახურებას არ მივაწერდი, რადგან იმას, რაც ფილოსოფიისთვის გავაკეთე, ჩემი შინაგანი ბუნებით გაცნობიერებული აუცილებლობა მაკეთებინებდა.

გარემოებანი მაიძულებენ ამ ვითარებაში საკუთარ თავზე ლაპარაკს — მაგრამ ქედმაღალი თვითგანდიდება უცხოა ჩემთვის. კაცი, რომელმაც მას შემდეგ, რაც თავისი გააკეთა ფილოსოფიისათვის, ჯეროვნად ჩასთვალა, სხვებისთვისაც მიეცა შესაძლებლობა, გამოეცადათ საკუთარი თავი; კაცი, რომელმაც დასტოვა სცენა და ჩრდილში შევიდა და ამ ხნის მანძილზე ყველანაირ განაჩენს საკუთარი თავის მიმართ დუმილით იტანდა, ისე რომ, წინ არ აღსდგომია ამ დუმილით გამხნევებულ ძალადობას თავად ახალი ფილოსოფიის ისტორიაზე, მის გაყალბებას; კაცი, რომელიც ფლობდა არა არაფრისამხსნელ, არამედ, მხურვალედ ნასურვებ ფილოსოფიას, გადაუდებლად საჭირო დასკვნებს რომ უზრუნველყოფდა და ადამიანური ცნობიერების დღევანდელ საზღვრებს აფართოებდა, და რომელმაც მშვიდად ათქმევინა მავანთ: თავისი თავი *მთლიანად* ამოწურაო; და რომელსაც ეს დუმილი მანამდე არ დაურღვევია, ვიდრე უეჭველმა მოვალეობამ არ მოსთხოვა ეს, ვიდრე შეუვალად არ გაუცხადდა, რომ დადგა გადამწყვეტი სიტყვის წარმოთქმის დრო: ამ კაცმა, ჩემო ბატონებო, მგონი აჩვენა, რომ თვითუარყოფის უნარი აქვს, რომ საკუთარ თავზე წინასწარ არ იქმნის აღმატებულ წარმოდგენას, რომ მას გაცილებით უფრო დიდი რამ აღელვებს, ვიდრე სწრაფწარმავალი და სწრაფად მოპოვებადი დიდებაა.

გარკვეულწილად, — ამას ვგრძნობ, — რაღაც ადგილი მიმიჩინეს, განმმარტავდნენ, პრეტენზია ჰქონდათ, რომ უზუსტესად იცოდნენ, რა ხდებოდა ჩემში, და აი, ახლა თავიდან უნდა დაიწყონ ჩემი გაცნობა და აღიარონ, რომ მაინც რაღაც იყო ჩემში, რის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

---

* Dic cur hic — (ლათ.) თქვი, რატომ ხარ აქ?

საგანთა ბუნებრივი წესრიგის შესაბამისად, ჩემს ადგილას ახლა ამ ამოცანისთვის მზადმყოფი, უფრო ახალგაზრდა კაცი უნდა მდგარიყო. მოვიდეს ვინმე ასეთი და სიხარულით დავუთმობ ადგილს. განა არ დამნანებია ზოგიერთი შესანიშნავი, ტალანტით სავსე ახალგაზრდა, რომლებიც, ვხედავდი, ყველგან, სადაც კი იყვნენ, როგორ ეჭიდებოდნენ ფორმებსა და საშუალებებს, რომელთაგანაც, ვიცოდი, ვერაფერს გამოადნობ, რომლებიც ვერაფერთან მიგიყვანენ: რა სიხარულით მივიხმობდი, რა სიხარულით მივეხმარებოდი მათ, რომლებსაც არაფრის გაგონება არ სურდათ ჩემს შესახებ!

მაგრამ დავინახე, რომ თუ მინდოდა საერთოდ განხორციელებულიყო, მაშინ სწორედ ჩემი ხელით უნდა გაკეთებულიყო ის, რასაც აუცილებლობად აღვიქვამდი, რაც დროისა და ფილოსოფიის მთელი ისტორიის მოთხოვნად მიმაჩნდა. მე მქონდა განცდა, რომ სწორედ ამ საქმის აღსასრულებლად შემრჩენოდა სიცოცხლე — ასე ვიყავი, როდესაც მივიღე შეთავაზება – მასწავლებლად მემოღვაწა გერმანული ფილოსოფიის ამ მეტროპოლიაში, სადაც გამოთქმული ყოველი ღრმა აზრი მთელს გერმანიაში და მის საზღვრებს გარეთაც კი ვრცელდება, ერთადერთ ადგილას, სადაც შესაძლებელია გადამწყვეტი ზემოქმედების მიღწევა, სადაც გერმანული ფილოსოფიის ბედი წყდება. ასეთ მნიშვნელოვან მომენტში, მას შემდეგ რაც ღმერთმა ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე მარგუნა, რათა არ დავკლებოდი ფილოსოფიას, ჩემი ცხოვრების მფარველ სულს, — გარდაუვალ მოვალეობად აღვიქვი ამ შეთავაზების მიღება. მხოლოდ ამ ცხადმა დარწმუნებულობამ მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება.

თუმცა, არ უარვყოფ, ბევრი სხვა რამეც იდგა ჩემს წინაშე, რასაც ამ საქმისთვის ჩემი აღძვრა შეეძლო. მაგალითად, თუნდაც მცირე ხნით იმ მეფის სამსახური, რომელსაც დიდების ტახტი იმაზე მეტად ვეღარ აამაღლებს, ვიდრე მისი გულისა და სულის თვისებები ამაღლებენ და ვისაც ჩემი პატივისცემა მანამდეც ეკუთვნოდა, ვიდრე მას სამეფო მეწამული დაამშვენებდა; ქვეყანა და ხალხი, რომლის ზნეობრივ და პოლიტიკურ ძალმოსილებას ყოველი ნამდვილი გერმანელი ბავშვობიდანვე სცემს პატივს და რის მიმართაც განახლებულ პატივისცემას სწავლობს უკანასკნელ, მარად დასამახსოვრებელ მოვლენათა გამო; ქალაქი, რომელიც პირველ რიგში სახელდება, როდესაც ლაპარაკია მეცნიერებისა და განათლების კერებზე გერმანიაში; ქალაქი, რომელსაც უკიდეგანო, ძლევამოსილი წყლისა არ იყოს, ქარის ყველა პატარა და სუსტი დაბერვა ვერ აამოძრავებს. თუმცა, ზოგჯერ მოვლენათა მსვლელობას მისთვის წინ გაუსწრია. (მაგონდება ის დრო, როდესაც კანტის ფილოსოფიამ მთელს გერმანიაში მოიპოვა აღიარება მისი დედაქალაქის გარდა). მაგრამ სამაგიეროდ თუკი ეს ქალაქი რაღაც სერიოზულს ერთხელ შეიცნობს, მერე მთელი ძალით უწყობს ხელს მას და ამკვიდრებს; შემდეგ მეცნიერების მსახურ კაცთა, ამ ქალაქის უკეთილშობილეს წარმომადგენელთა ეს წრე, რომელთაგან ბევრი ნაწილობრივ ახალგაზრდობაშივე დავიმეგობრე. სხვებს კი, კარგა ხანია სახელი რომ გაუთქვამთ, შორიდან ვიცნობ და მათთან ერთად ცხოვრებას და მოღვაწეობას ყოველთვის ბედნიერებად ჩავთვლიდი. დაბოლოს: ეს ახალგაზრდობა, რომლის შესახებაც ცნობილია, რომ მას ჩვევად აქვს, მისდიოს მეცნიერების ძახილს; რომელიც, თუკი მას ღირსეულ მიზანს დაუსახავენ, სიძნელეებს არ უშინდება, პირიქით, სადაც კი ჭეშმარიტი მეცნიერების კვალს უჩვენებენ, სიხარულით გაიჭრება მისი მიმართულებით და მასწავლებელსაც კი გადაასწრებს ხოლმე. აი, ყველაფერ ამას, — ჩემო ბატონებო, — დიდი, თითქმის დაუძლეველი მიზიდულობის ძალა აღმოაჩნდა, მაგრამ ამ ყველაფერს, რა ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო იგი, უკან დახევა მოუწევდა იმ სხვა მოსაზრებების წინაშე, რომლებიც იმდენად გასაგებია, რომ სწორედ ამიტომ აღარ მოვიხმობ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემი მონაწილეობის გარეშე წამოყენებულ ამ მოთხოვნაში კანონიერი ბრძანება ამოვიკითხე, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევის არც უფლება მქონდა და არც შემძლეობა, რადგან ამით ჩემს უკანასკნელ და უმაღლეს ცხოვრებისეულ მოწოდებას ჩამოვცილდებოდი, — მივიღე გადაწყვეტილება და წარვსდექი თქვენს წინაშე ამ გადაწყვეტილებითა და დარწმუნებულობით, რომ თუკი ოდესმე რამე გამიკეთებია ფილოსოფიისათვის, აქ თქვენთვის უმნიშვნელოვანესს გავაკეთებ: თუკი შევძლებ თქვენს გამოყვანას იმ აშკარად ძნელი მდგომარეობიდან, რომელშიც ახლა იმყოფებით, და დაბრუნებას თავისუფალ, ლაღ, დაუთრგუნავ მოძრაობაში, რომელიც დღესდღეობით წართმეული გაქვთ: რადგან ეს სიძნელეები, რომლებიც ფილოსოფიას დასაძლევი აქვს, აშკარაა და თავს არ მიგვაჩქმალვინებენ.

არასოდეს ცხოვრებას ასეთი მძაფრი რეაქცია არ ჰქონია ფილოსოფიის მიმართ, რო-

გორც დღეს. ეს ასაბუთებს, რომ ფილოსოფია წინ გაიჭრა იმ ცხოვრებისეული საკითხებისკენ, რომელთა მიმართ გულგრილობის უფლება არავისა აქვს. ვიდრე ფილოსოფია თავის პირველ-საწყისებთან, ანდა განვითარების პირველ საფეხურებზე რჩება, ის არავის ადარდებს, იმათ გარდა, ვისაც ფილოსოფია თავისი ცხოვრების საქმედ გაუხდია. ყველა დანარჩენი ასეთების მუშაობის გასრულებას ელის, ქვეყნის თვალში ფილოსოფიას ხომ მხოლოდ მისი შედეგების მიხედვით ენიჭება მნიშვნელობა.

ამასთან მხოლოდ დიდ გამოუცდელობას შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ქვეყანა მზად არის, ყოველი შედეგი, რომელსაც მას თავს მოახვევენ ან შესთავაზებენ როგორც მკაცრი და საფუძ-ვლიანი მეცნიერების ნაყოფს, განსხვავების გარეშე მიიღოს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ საზოგა-დოება გარემოებისდა კვალად, მაგალითად, რაიმე არსებითად უზნეო მოძღვრებას, ანდა თავად ზნეობის საფუძველთა წამშლელ მოძღვრებას უნდა დაქვემდებარებოდა. მაგრამ ამას არავინ ელის მისგან, და ჯერ არ უარსებია ისეთ ფილოსოფოსს, რომელიც ამას დაუშვებდა. და თავად საზოგადოებაც არ გაუჩუმდებოდა ამას. მას არც ეს პრინციპები ესმის, და არც ეს ხშირად ხე-ლოვნური და ჩახლართული მტკიცებანი, მაგრამ იგი უეჭველი იტყოდა, რომ ის ფილოსოფია, რომელიც ასეთ შედეგებთან მივიდა, არ შეიძლება თავისი პრინციპებით მცდარი არ იყოს.

რასაც რომაელი ზნეობის მოძღვარი სასარგებლოს შესახებ ამბობს: nihil utile nisi quod bonestum *(არ არსებობს ისეთი სასარგებლო რამ, რაც ზნეობრივი არ იქნებოდა)* ჭეშმარიტზეც უნდა გავრცელდეს. მაგრამ რასაც ზნეობრივთან კავშირში ყველა აღიარებს, ის მართებული უნდა იყოს აგრეთვე ყველა იმ დარწმუნებულობათა მიმართ, რაც ადამიანის ცხოვრებას შიგნიდან კრავს, მაშასადამე, უპირატესად რელიგიურის მიმართ. არც ერთი ფილოსოფია, რომელსაც რაიმედ მიაჩნია თავისი თავი, არ გამოტყდება, რომ ის ირელიგიაში ამთავრებს თავის მოღ-ვაწეობას. დღევანდელი ფილოსოფია სწორედაც ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ თავისი შედეგით თავის რელიგიურობაში გვსურს დაგვარწმუნოს, რასაც არ უჯერებენ, კერძოდ, ქრის-ტიანული დოგმების ფილოსოფიურ დედუქციას მხოლოდ თვალის ასახვევ ხერხად მიიჩნევენ. ამას ამბობს თვით მისი ზოგი ერთგული თუ არაერთგული მოწაფე. როგორ და რანაირად ხდება ეს, ჯერჯერობით უმნიშვნელოა: საკმარისია, რომ ეჭვი გაჩნდა და აზრი ჩამოყალიბდა.

მაგრამ ცხოვრება საბოლოოდ მუდამ მართალია, და ფილოსოფიას სწორედ ამ მხრიდან ემუქრება საფრთხე. უკვე მზადყოფნაში არიან ისინი, რომლებიც თითქოს ერთ რომელიმე კონკრეტულ ფილოსოფიას უმხედრდებიან, მაგრამ სინამდვილეში ყველა ფილოსოფიას გუ-ლისხმობენ, და გულში ამბობენ: ფილოსოფია საერთოდ აღარ უნდა არსებობდესო. და მეც არ დავრჩენილვარ ამ საქმეში მონაწილეობის გარეშე, რადგანაც პირველი იმპულსი იმ ფილოსო-ფიისა, რომელიც ზოგადად მისი რელიგიური შედეგების გამო ნაკლები პატივისცემით განიხ-ილება, როგორც ითვლება, ჩემგან გამოვიდა.

და ახლა როგორღა მოვიქცევი? ცხადია, მე არ დავესხმი თავს არცერთ ფილოსოფიას მისი საბოლოო შედეგების მხრიდან, რასაც ისედაც ადვილად გააკეთებდა ფილოსოფიური სულიერი წყობის კაცი, რომელსაც ფუძემდებლური ცნებების განსჯის უნარი აქვს. ამასთან, საკმარისად ცნობილია, რომ მე იმთავითვე გამოვხატე ჩემი უკმაყოფილება იმ ფილოსოფიით. შესაბამ-ისად, კაცი იფიქრებდა, რომ ჩემს ძირითად საქმედ სწორედ ამ სისტემის კრიტიკას ვაქცევდი, სისტემისა, რომლის შედეგებმაც ასეთი მღელვარება გამოიწვია ფილოსოფიის მიმართ. ასე არ არის, ჩემო ბატონებო. მე რომ მხოლოდ ეს მსურვებოდა, ახლა აქ არ ვიდგებოდი. ასე მცირე მნიშვნელობას როდი ვანიჭებ ჩემს პროფესიას. ამ, ნაკლებად გულისგამხარებელ საქმეს სხვებს გადავულოცავ. ნაკლებად გულის გამხარებელი ვუწოდე. დიახ, ყოველთვის სევდის მომგვრე-ლია, როცა თავისთავად იშლება ხოლმე ის, რაც განსაკუთრებული ენერგიით იყო შეკავშირე-ბული. სულიერ–მორალური სამყარო შინაგანად ისეა გახლეჩილი, იმდენად მიექანება ანარქი-ისაკენ, რომ კაცს უფლება აქვს სიხარული იგრძნოს, როდესაც მათ შორის შემაკავშირებელი წერტილის გაჩენას იხილავს, თუნდაც სულ ერთი წუთით.

უფრო სევდიანი კი ისეთი რამის განადგურებაა, რასაც ვერაფრით შეცვლი. გააკეთე უკეთესად! – სამართლიანად ეუბნებიან იმას, ვინც მარტო იწუნებს, და ასევე მართალია ის კაციც, რომლის თაობაზე მართლა გულისტკივილი მავსებს, რომ ის ცოცხალთა შორის აღარ არის, და რომელმაც საქებარი გულღიაობით წარმოთქვა: „რაღაც *სისტემა* აუცილებლად უნდა გაგაჩნდეს, და რაიმე სისტემის შეცვლა მხოლოდ სხვა სისტემით შეიძლება, მაგრამ თუ ჯერ არაფერია, რასაც არსებულს დაუპირისპირებდი, მაშინ ჯობს დარჩეს ის, რაც არის.“

და რასაც ის სისტემის შესახებ ამბობს, სიმართლედ მივიჩნევ: მართლაცდა, ცალკეულს, ასე, ცალკეულად ვეღარ შეიცნობ. და არც იმაში ცდება იგივე კაცი, თავის განცვიფრებას რომ გამოხატავს: იდენტობის ფილოსოფიის დამფუძნებელი იმას გაემიჯნა, რაც მას გამოარჩევდა, თავის პრინციპებს განუდგა და „მეცნიერულად შეუღწევად რწმენაში“, ისტორიაში დაიწყო თავშესაფრის ძებნა, თავშესაფრისა, რომელსაც თავისი ფილოსოფია დაუქვემდებარაო. ამის თაობაზე კი მეც გამოვხატავდი გაკვირვებას, რომ ჩვეულებრივ ესოდენ გონიერმა და მდიდარი ხედვის ადამიანმა თავისი განცვიფრების გამოხატვამდე არ დააზუსტა, ეგებ ის, რაც ამოიწურა, სამართლიანად ამოიწურა: რადგან მას რომ ეცოცხლა, ამ ლექციებიდან დაინახავდა, რომ სინამდვილეში სულ სხვაგვარადაა საქმე და არა ისე, როგორც ის დააჯერეს.

მაშასადამე, – პოლემიკა, როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ ამას, მიზნად არასოდეს იქცევა, ყოველ შემთხვევაში – მუდამ გვერდით მოვლენად წარმოჩინდება. თუმცა, ეს მოხსენება ვერ იქნება ისეთი ბევრის მომცემი, როგორსაც ვისურვებდი, თუკი ამავდროულად წარსულს არ გავხედავ, და განვითარების დღევანდლამდელ გზას არ დავასაბუთებ. ოღონდ, აქ ნაკლებ შევეცდები იმის ჩვენებას, თუ რაში ცდებოდა ესა თუ ის ფილოსოფოსი, არამედ უფრო იმას წარმოვაჩენ, თუ რაში ვცდებოდით ჩვენ ყველანი, რა დაგვაკლდა იმისათვის, რომ ფილოსოფიის აღთქმულ ქვეყანაში შეგვეღწია. და თუ ერთი უფრო მეტად ცდებოდა, ეს იმიტომ, რომ მან უფრო მეტი გაბედა; თუ იგი მიზანს ჩამოშორდა, ეს იმიტომ, რომ იმ გზას გაჰყვა, რომელიც მისთვის წინამორბედებს არ ჩაუკეტიათ.

იმისთვის არ მოვსულვარ, რომ სხვა ვინმეზე ავმაღლდე, არამედ მსურს ჩემი ცხოვრებისეული მოწოდება ბოლომდე აღვასრულო.

ჭეშმარიტების შეცნობა სრული დარწმუნებულობით იმხელა სიკეთე და ბედნიერებაა, რომ არაფრად ჩასაგდები არ არის ის, რასაც შეფასებას უწოდებენ, ანუ ადამიანთა მოსაზრებები და მთელი ამქვეყნიური ამაოებანი.

მე არ მინდა ჭრილობების მიყენება, მე იმ ჭრილობების მოშუშება მსურს, გერმანულ მეცნიერებას რომ გაუჩნდა ხანგრძლივ, პატიოსან ბრძოლაში. ის კი არა მსურს, ნიშნის მოგებით ვამხილო ზიანები, არამედ რაც შეიძლება, დავივიწყო ისინი.

გაღიზიანება კი არ მინდა, არამედ შერიგება, თუ შესაძლებელი იქნებოდა მშვიდობის მაცნედ მოვლინება ამ ესოდენ მრავალნაირად და ყველა მიმართულებით დახლეჩილ სინამდვილეში. არა განადგურებისთვის, არამედ შენებისთვის ვარ აქ, იმ ციხესიმაგრის ასაგებად მოვსულვარ, სადაც ფილოსოფიამ ამიერიდან დაცულად უნდა იცხოვროს; იმ საძირკველზე მსურს ამ ციხესიმაგრის აღმართვა, რომელიც ადრინდელმა მისწრაფებებმა გაჭრა. არაფერი არ უნდა დაიკარგოს ჩემით, არაფერი იქიდან, რაც კანტიდან მოკიდებული ჭეშმარიტი მეცნიერებისათვის იქნა მოპოვებული. ან როგორ უნდა გავწირო ფილოსოფია, რომელიც ადრე თავად დავაფუძნე, – ჩემი ახალგაზრდობის გამოგონება? ჩემი მიზანი და განზრახვა ის კი არ არის – მის ადგილას რაღაც ახალი ფილოსოფია დავადგინო, არამედ ის, რომ მას მივუმატო ახალი, დღემდე შეუძლებლად მიჩნეული მეცნიერება, რათა ის ამით თავის ნამდვილ საფუძვლებს დაუბრუნდეს, რათა მან თავისი ადრინდელი პოზიცია დაიბრუნოს. ეს პოზიცია მან ხომ იმით დაკარგა, რომ თავის ბუნებრივ საზღვრებს გასცდა და მოინდომა მთელად ექცია ის, რაც მხოლოდ მთელის ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამიტომ დიდი ამბავია, რომ ფილოსოფია ჩვენს დროში საზოგადო მოვლენად იქცა. ხსენებული მღელვარება, ის სულიერი მოუსვენრობა, რომელიც ჩემი გამოსვლის დროს შევნიშნე ირგვლივ, აჩვენებს, რომ ფილოსოფიამ შეწყვიტა მარტოოდენ სასკოლო საგნად არსებობა, რომ ის ნაციის საქმე გახდა.

გერმანული ფილოსოფიის ისტორია დასაბამითვე გადაეწნა გერმანელი ხალხის ისტორიას. მაშინ, როდესაც ამ ხალხმა განთავისუფლების საქმე უდიდესწილად რეფორმაციაში აღასრულა, თავადვე დაივალა, – მანამდე არ მოესვენა, ვიდრე ყველა უმაღლეს საგანს, რომლებიც მანამდე ბრმად იყო შეცნობილი, სრულიად თავისუფალი, მთლიანად გონებისმიერი შემეცნებით არ მისწვდებოდა, მათ ამ სივრცეში არ დაადგენდა.

უდიდესი დამდაბლების ხანაში სწორედ ფილოსოფია იყო, გერმანელს წელში გამართულს რომ ატარებდა, ჩაფერფლილი დიდებულების ნანგრევებზე ძლიერ კაცებს მაღლა აზიდული მიჰქონდათ გერმანული მეცნიერების დროშა, რომლის ირგვლივაც საუკეთესო ახალგაზრდო-

ბა იკრიბებოდა. ფილოსოფოსთა სკოლებში – და ვინ არ გაიხსენებს აქ *ფიჰტეს* ? ამავე დროს – *შლაიერმახერს?* – ფილოსოფიურ ბრძოლებში ზოგი პოულობდა იმ სიმამაცეს და სიფხიზლეს, რასაც შემდეგ სულ სხვა ბრძოლის ველზე იყენებდა. – და მოგვინებითაც ფილოსოფია ჯერ კიდევ რჩებოდა გერმანელთა დიდება და მემკვიდრეობა. და ნუთუ ეს ხანგრძლივი, სასახელო მოძრაობა ბედკრული ხომალდივით უნდა ჩაიძიროს? ყველა დიდი დარწმუნებულობის და მაშასადამე, თავად ფილოსოფიის განადგურებით დამთავრდეს? არასოდეს! რადგანაც მე გერმანელი ვარ, რადგანაც გულით მიტარებია გერმანიის მთელი ვაება და ვარამი, ისევე როგორც მისი მთელი ბედნიერება და კეთილდღეობა, ამიტომ ვარ აქ. იმიტომ ვარ აქ, რომ გერმანიის ხსნა მეცნიერებაშია.

ამგვარი განწყობით მოვსულვარ აქ. სხვა იარაღი არა მიპყრია ხელთ გარდა ჭეშმარიტებისა. სხვა დამცველს არ ვეძებ, იმის გარდა, რასაც ფილოსოფია საკუთარ ძალაში მალავს. არც რაიმე სხვა უფლება მსურს ჩემთვის, თუ არა ის, რასაც სხვასაც სიამოვნებით ვანიჭებ: თავისუფალი კვლევისა და ნაკვლევის თავისუფალი გაზიარების უფლება. აი, ამგვარად განწყობილი შემოვდივარ თქვენს წრეში. მე მოვდივარ ჩემი სულისა და გულის მთელი სერიოზულობით. ჩემთვის ეს ძალიან სერიოზულია, დაე, მათთვისაც სერიოზული იყოს, ვინც მე მომისმენს! სიყვარულით მოგესალმებით, თქვენც სიყვარულით მიმიღეთ! მასწავლებელს ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ მას არაფერი შეუძლია მოსწავლეების გარეშე. მე არაფერი ვარ *თქვენს* გარეშე, *თქვენი* შემხვედრი მზადყოფნის გარეშე. *თქვენი* ბეჯითი მოწადინებისა და მიმღებლობის გარეშე. აქ მე ჩემს თავზე აღებულ საქმეს ვუძღვნი თავს, მე *თქვენთვის* ვიცოცხლებ, *თქვენთვის* ვიმუშავებ და არ დავიღლები, ვიდრე პირში სული მიდგას,

და ვიდრე ის დამრთავს ნებას, ვისი ნების გარეშეც ჩვენი თავიდან ერთი ღერი თმაც კი არ ჩამოვარდება, რომ აღარაფერი ვთქვა იმაზე, რომ არ დაიკარგება ღრმად განცდილი სიტყვა – ნამდვილი წარმონაქმნი ჩვენი შინაგანობისა, ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი სულის აზრი – სინათლე.

ზოგადი შესავალი

გამოცხადების ფილოსოფია სხვა დროს ის საბოლოო თემა გახლდათ, რითაც ლექციების ყოველ კურსს ვასრულებდი ხოლმე. მე მას ვაცხადებდი გვირგვინად მეცნიერებისა, *თავის საკუთარ გზაზე რომ მიიწევს წინ.* ამჯერად კი, რადგანაც რამდენიმე მხრიდან გამოხატულ სურვილს მსურს შევეგებო, გადავწყვიტე ამ, *მეცნიერებათაგან უკანასკნელით* და *უმაღლესით* დავიწყო. მაგრამ ამისათვის თქვენს წინაშე შესავლის სახით უნდა გავშალო ყველაფერი, რაც ამ მეცნიერებას წინ უსწრებდა და ამზადებდა.

ალბათ არც ერთ დროში არ ყოფილა ესოდენ საგრძნობი ნამდვილად *საქმის არსში მწვდომი* ფილოსოფიის მოთხოვნილება, როგორც ჩვენსაში. თითქმის ყველგან გავრცელებულა მოთხოვნილება, რომ ფილოსოფიამ რაღაც ახალი, მოულოდნელი *ქმედების* გავლენით სხვა პოზიცია უნდა დაიკავოს სინამდვილის უმაღლესი საგნების მიმართ. რადგან უპირველესად ორი ძალის: სახელმწიფოსა და რელიგიის მიერ განისაზღვრება ადამიანის ცხოვრება. და რა მიმართება უნდა შეიმუშაოს ფილოსოფიამ ამ ძალებისადმი?

უდავოდ დიდი მონატრება გამსჭვალავს დღევანდელ დროს. – ძველი გადავიდა და ვეღარასდროს აღსდგება ისეთი, *როგორიც იყო!.* მაგრამ განა ამიტომ ყველაფრის შეცვლის ვნებით ატანილ მოწოდებებს უნდა დავყვეთ?

ასეთი თქმულება გამოვიდა საფრანგეთიდან და მან გერმანიაშიც მოიპოვა მხარდაჭერა, რომ ქრისტიანობის ადგილას რაღაც ახალი უნდა შემოვიდესო. მაგრამ მას შეიძლება დავუპირისპიროთ შეკითხვა: *კი, მაგრამ უკვე შეიცანით ქრისტიანობა? და ეგებ ფილოსოფიამ პირველად ახლა უნდა გახსნას მისი სიღრმეები?*

ქრისტიანობას არ შეუძლია სხვა რაიმეს გვერდით არსებობა. ეს სხვა, მაგალითად, ფილოსოფია, იმხელა ადგილს ითხოვს თავისთვის, რომ ქრისტიანობა მის გვერდით ვერ იქნება. ქრისტიანობას შეუძლია არსებობა მხოლოდ ისე, თუ ყველაფერი თვითონ არის.

როდესაც მე ლექციების კურსს *გამოცხადების ფილოსოფია* ვუწოდე, ეს ჯერჯერობით მხ-

ოლოდ სიტყვიერ განაცხადად რჩება. მისი აზრი თანდათან, საქმის კვალდაკვალ *გამოიკვეთება. მაგრამ გაფრთხილებთ: ისე ნუ გავიგებთ, თითქოს ამით გამოცხადების ავტორიტეტით გაპირობებული ფილოსოფია იგულისხმებოდეს.* არც ერთ და არც მეორე ნაწილს არაფერი არ ეპატიება.

მაგრამ მეორეს მხრივ, არ მსურს გამოცხადება გაგებულ იქნას ზოგადი აზრით: როგორც რაღაც მოულოდნელობა სულის სფეროში. ასე რომ ყოფილიყო, ადვილად ეჭვმისატან საგანთან გვექნებოდა საქმე. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ის გონებას არ სცდება, არ შეიძლება ინტერესს იწვევდეს. *გამოცხადება უნდა შეიცავდეს რაღაცას, რაც გონებას სცდება,* მაგრამ რასაც გონების გარეშე ვერ მოიხელთებ.

გონებაზე მაღლა პირველ რიგში ფაქტობრივი სინამდვილე დგას. მაგრამ თუ გამოცხადება რეალობაა, მაშასადამე, ის ისტორიულ კავშირში დგას და მის ჩასაწვდომად უფრო მაღალი, მასზე უფრო ფართო ისტორიული კავშირი გვჭირდება. ამის გარეშე გამოცხადებას ვერ გავიაზრებთ.

მაგრამ რომელ ფილოსოფიას (რომელიც ამ სახელს იმსახურებს), შეუძლია ამ წანამძღვრებთან ერთად არსებობდეს? ყოველ შემთხვევაში, *ისეთ ფილოსოფიას არა, როგორიც დღეს არის!* თუმცა იყო ამის მცდელობა, მაგრამ ეს კავშირი ორივესთვის იმდენად მტანჯველი აღმოჩნდა, რომ გაუთავებლად იშლებოდა. და ყოველი გულწრფელი მოაზროვნე ამ ნაძალადევ კავშირზე უმჯობესად მის დაშლას მიიჩნევდა. ამიტომ საჭიროა, ჩვენს ლექციას *წმინდად ფილოსოფიური დაზუსტება წავუმძღვაროთ.*

მართალია, იმ დაპირისპირებულობებთან, რომლებიც ფიჰტეს და სხვათა დროს ამოძრავებდნენ ფილოსოფიას, საქმე აღარა გვაქვს, მაგრამ დარჩა ერთი დაპირისპირებულობა, *უკვე დიდი ხანია გადაჭრას რომ ითხოვს.*

ამდენად უპირველესად ფილოსოფიის იმ ნაწილთან გვექნება საქმე, *უმაღლეს პრინციპებს* რომ მოიცავს.

ზაზა ფირალიშვილი

წიგნის კითხვა

ერთი მოგონებით დავიწყებ. ბავშვობაში მეგობარი მყავდა. მეზობლად ცხოვრობდა — ჩემი სახლიდან სულ ასიოდე ნაბიჯში. საღამოობით ხშირად ვიყავი მასთან. უბრალო ოჯახი იყო. ეზოში ბეტონის დიდი აუზი ჰქონდათ და მასში პომიდორს ამჟავებდნენ. ჩემი მეგობარი ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით ამ აუზის გვერდით მდებარე ფიცრულში ატარებდა დროს. დიდი ქვაბით შეიტანდა პომიდორს, დანით სათითაოდ სერავდა, ცერა თითით განასერში მწვანილსა და წიწაკას ტენიდა და მეორე ქვაბში წრიულად აწყობდა. ყოველ საღამოს ასე ავსებდა ერთ დიდ ქვაბს იმ ვაჭრისათვის, მეორე დილით მანქანით რომ შემოუვლიდა ხოლმე და გამზადებული საქონელი ბაზარში მიჰქონდა გასაყიდად. მისი მშობლებისა და ძმების წილი ამ საქმიანობაში მხოლოდ იმით ამოიწურებოდა, რომ პომიდორი, მწვანილი და მარილი მოჰქონდათ, შემდეგ კი ვაჭრებს უკავშირდებოდნენ. თავად მას ამ მონოტონური, მექანიკურ სიზუსტემდე მიყვანილი საქმიანობით შეჰქონდა თავისი წვლილი: მარცხენა ქვაბიდან ამოიღებდა პომიდორს, გასერავდა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით ღრმად ჩატენიდა მწვანილს და მეორე ქვაბში ფრთხილად ჩადებდა. ზუსტად და მონოტონურად მოძრაობდა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში.

მიყვარდა ამ ოთახში ყოფნა. გაზის გამათბობელს ახლოს მივუჯდებოდი ხოლმე და ისე ვადევნებდი თვალს. საქმეს არ მაკარებდა. ჩანს, ჩემი ჩარევით შფოთს შევიტანდი მის გამოზომილ და უსასრულოდ განმეორებად მოძრაობებში.

უცნაური ჩაციება იცოდა კითხვებით — აი, პატარა ბავშვმა რომ იცის, ისე. არ მოგასვენებდა. ერთსა და იმავე კითხვას ათასჯერ დაგისვამდა. ზოგჯერ პასუხს ხმამაღლა იმეორებდა, საქმიანობას შეწყვეტდა, თითქოს თვლემიდან გამოფხიზლდაო და ყდაგაცვეთილ, მჟავე პომიდორის წვენით მოსვრილ რვეულში რაღაცას იწერდა. მერე ისე დაგისვამდა იმავე კითხვას, თითქოს პასუხი არც მოესმინოს. მერე — კიდევ და კიდევ.

ამ ცივ და ნესტიან ოთახში თვეობით ჩაკეტილი ადამიანისათვის მიუწვდომი რჩებოდა ბევრი ის სიცხადე, რითაც ვარსებობთ და რაც ჩვენს გამოცდილებაში როგორღაც თავისთავად შემოდის. მოთმინებას დაგაკარგვინებდა კაცს. თითქოს ყოველდღიურად ხელახლა და ხელახლა იწყებდა იმ სამყაროს გაგებას, რომელშიც ღვთის განჩინებით აღმოჩნდა. იწყებდა ისე, თითქოს, მისთვის ჯერაც არაფერი ყოფილიყოს გარკვეული — სრულიად ბავშვური, გულუბრყვილო და ძენ-ბუდისტური კოანივით უსაზრისო კითხვებით ცდილობდა ჩვენი სიცხადეების სამყაროში მოხვედრას. მისგან ბევრი ისეთი უცნაური კითხვა მომისმენია, ზოგჯერ წავუყრუებდი ხოლმე. მისთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა, თუ როგორ იზიდავს დედამიწა სხეულებს, ან რატომ არის, რომ ადამიანები ერთმანეთის მოტყუებას ცდილობენ. ის კი ბავშვური სიჯიუტით მოითხოვდა, შემეყვანა სამყაროს იმ აღწერაში, რომელშიც მე თავად ასე თავისუფლად ვმოძრაობდი. ალბათ, გამოგიცდიათ, როგორ გულმოდგინედ და უსასრულოდ შეუძლია ბავშვს დასვას უცნაური და პასუხგაუცემელი კითხვები, ვთქვათ, იმის შესახებ, თუ რატომ ჰქვია წითელს წითელი და ერთნაირად აღვიქვამთ თუ არა ამ ფერს. ან რატომ არის, რომ რაღაცა ფერია ან რაღაცა — ხმა. მან ჯერაც არ იცის, რომ არსებობს პირობითობები და მათ შესახებ კითხვის დასმა უსაზრისოა. ჩვენი ამოცანაც უმთავრესად იმით ამოიწურება, რომ ეს ვასწავლოთ. არადა, ბავშვისათვის ამ კითხვებზე პასუხის მოძიება სამყაროში მყარი საყრდენების მოძიების თანაზომადია. მერე, დროსთან ერთად ეჩვევა იგი, რომ პასუხების ნაცვლად რაღაც პლაცებოებს დასჯერდეს, ამით გამოუცხადოს ნდობა და შერიგება ჩვენს პირობითობებს და ჩვენი სამყაროს წევრი გახდეს. ერთხელ და სამუდამოდ აითვისებს კითხვა-პასუხის ალგორითმებს „თუ... მაშინ“ და მოისვენებს.

მისი მხრიდან კითხვების უსასრულო გამეორება სრულიადაც არ გახლდათ ირონია ჩემი განათლებულობის გამო. მისი მიზანი სრულიადაც არ იყო, ჩემში ან სინდისის ქენჯნა გაეღვიძებინა იმ მიზეზით, რომ თვალთმაქცურად ვკისრულობდი ცოდნას იმისა, რაც სინამდვილეში არ ვიცოდი, ან დავერწმუნებინე, რომ, მიუხედავად ჩემი ცოდნისა, უმარტივეს და პირველად კითხ-

ვებზე არ შემეძლო პასუხების გაცემა. უბრალოდ, ამ კაცს დიდხანს შერჩა ამგვარი გაკვირვება პასუხგაუცემი კითხვების გამო, იმის გამო, რომ ჩვენ ასე იოლად შეგვეძლო ყოფნა იმ სამყაროში, რომელიც „ცხადი და დამაჯერებელი“ ცოდნის ნაცვლად უცნაური ქიმერებით იყო გაჯერებული და ამას აკეთებდა არა სოკრატესეული დიალექტიკური ოსტატობით, არამედ ერთსა და იმავე კითხვაზე მიბრუნებით — მანამ, სანამ არა მხოლოდ პასუხი, არამედ კითხვაც არ დაკარგავს საზრისს და მის ადგილას უცნაური სიცარიელე თუ ბზარი არ დაივანებს. გულწრფელად სურდა რაღაცის გაგება, მაგრამ, როგორც ჩანს, ბუნებამ არ უბოძა ის ინსტრუმენტი, რომლის წყალობითაც სულის იდუმალ მორფინებს სიმშვიდე და თავდაჯერება შემოაქვთ ჩვენში და რაღაც სიცხადეებს ათავსებენ იქ, სადაც მისთვის ტკივილისმომგვრელი სიცარიელე იყო. ერთი შეხედვით, ყველაფრის ხელახლა დაწყების ამ ულევი სურვილის გამო მისთვის ფილოსოფოსი შეიძლებოდა მეწოდებინა, თუმცა კი, ალბათ — არა. იგი ხომ ისეთი რაღაცეების გამო მეკითხებოდა, რომლებზე პასუხებსაც „მეთოდური და თანამიმდევრული ეჭვით“ დასნეულებული ფილოსოფოსებიც კი უკვე დიდი ხანია, აღარ ეძებენ. უფრო სწორად, ისწავლეს ამ გულუბრყვილო-ინფანტილური კითხვების სციენტისტური ნიღბებით შემოსვა და ახერხებენ, მარად უმწიფაროობაში ბრალდებას აარიდონ თავი.

ასე იყო თუ ისე, უსასრულოდ ვუმეორებდი ერთსა და იმავე პასუხებს და ისიც კიდევ და კიდევ მიმეორებდა: რა? ბავშვმა იცის ხოლმე ასე. როგორც იქნა, გამოძებნი მისთვის შესაფერის პასუხს, ის კიდევ უსასრულოდ და უსასრულოდ გიმეორებს: „რა?“ ზოგჯერ გაღიზიანებულს ისეთი გრძნობა მქონდა, რომ სამუდამოდ იყო ჩაკეტილი რაღაც ავადმყოფურ წრეში და, უფრო მეტიც, თავს კომფორტულადაც გრძნობდა, რადგან პასუხების მიუღებლობა ბევრი ვალდებულებისაგან ათავისუფლებდა. ამიტომაც, ხშირად ვცდილობდი, კითხვა-პასუხის დაუსრულებელ რიგში არ შევყოლოდი და თავს ისე ვიჭერდი, თითქოს მისი ნათქვამი არც გამეგონა.

მერე ერთხელაც ისეთი კითხვა დამისვა, ლამის საბოლოოდ დამაკარგვინა მოთმინება: ნუთუ არ ასებობს ისეთი წიგნი, რომელშიც ყველა კითხვაზე იქნება პასუხი გაცემულიო, მკითხა. არაფერი ვუპასუხე. რომ მეთქვა, არ არსებობს-მეთქი, მოსვენებას არ მომცემდა იმის მტკიცებით, რომ ასეთ წიგნს უნდა ეარსება და რომ მისი არარსებობა უკიდურესი უსამართლობა იქნებოდა. წიგნის არსებობა რომ დამედასტურებინა, ცხადია, მყისიერადვე მომთხოვდა, დამესახელებინა იგი. აღარ მახსოვს, როგორ გამოვძვერი მდგომარეობიდან. თავად კითხვა კი სამუდამოდ დამამახსოვრდა.

და მაინც, რაღაც მიზიდავდა ამ ცივ და ნესტიან ფიცრულში, მჟავე პომიდორისა და გაზის სუნში, რაღაც მიზიდავდა, რათა კიდევ ერთხელ მომესმინა სიცხადეთა ლოგიკას მოკლებული პირველადი კითხვები და კიდევ ერთხელ მეცადა, ყველა ხერხებით მეჯობნა იმ სიცარიელისათვის, რომლის წინაშეც აღმოვჩნდებოდი ხოლმე. რაღაც მაიძულებდა, სერიოზულად აღმექვა ეს კითხვები და მათი მეშვეობით ცნობიერების უცნაური და შემაშფოთებელი ჰორიზონტები მომესინჯა, საბოლოოდ, ამ თითქმის უწიგნური, მარად განმეორებად მოძრაობებს დამორჩილებული კაცის მეშვეობით კიდევ ერთხელ მეცადა, ამეგო პირობითობების ის სისტემა, ამ ოთახში შემოსვლამდე თავისთავად ცხადი და გარდუვალი რომ ჩანდა.

მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა და მე და ეს ადამიანი ერთმანეთს დავშორდით. ერთის მხრივ, სხვა საქმეები შემომეძალა და ასე იოლად ვეღარ ვიცლიდი მეზობლებში სასიარულოდ. ესეც რომ არა, თანდათან დავკარგე ყოვლისმცოდნის ის ყმაწვილკაცური პატივმოყვარეობა, მისკენ რომ მექაჩებოდა. თანაც, მე სიცხადეთა იმ ლოგიკას მივყევი, რომელთა ათვისებაც მომეხერხებინა და ამით შევძელი სავალი გზის მოძებნა — იმ ადამიანისგან განსხვავებით, თითქოს სამუდამოდ მიჯაჭვული რომ ჩანდა ერთსა და იმავე მოძრაობებზე. ერთი რამ კი ნამდვილად დამრჩა იმ ხანებიდან — ცოდნა იმისა, რომ დიდი წიგნის მონატრება ერთ-ერთი ყველაზე სამართლიანი განცდაა, რომელიც ადამიანს შეიძლება მოეძალოს — თუ, ცხადია, გულწრფელია საკუთარ თავთან და პლაცებოებით არ იამებს იმ მარადიულ ადამიანურ ბზარს, რომელიც, თუ ბოლომდე მართლები ვიქნებით, გვაქცევს კიდეც ადამიანებად. ქუჩაში თვალს მოვკრავდი თუ არა ამ ჩემს ყმაწვილობისდროინდელ მეგობარს, მაშინვე ეს ნატვრა მახსენდებოდა. შეიძლება, თავად აღარც ახსოვდა. უბრალოდ, შეეჩვია იმ აზრს, რომ ამგვარი წიგნის ნატვრა ისეთივე უსაზრისო იყო, როგორც ნატვრისთვალისა, მფრინავი ხალიჩისა ან უჩინმაჩინის ქუდისა და განაგრძობდა ცხოვრებას მექანიკურად გაზეპირებული მოძრაობებითა და წვალებით ათვისე-

ბული ალგორითმებით. ან, იქნებ, ეს ნატვრა გულისგულში გადაინახა და ხანგამოშვებით ისევ ესტუმრებოდა მას? ვინ იცის?! ერთი რამ ცხადია. ახლა უკვე, ალბათ, აღარავის გაუმხელდა ამ იდუმალ ფიქრსა და მონატრებას. რაღაც ასაკის შემდეგ ხომ აღარავინ ვამხელთ, რომ ნატვრისთვალსა თუ დიდი წიგნზე ჯერაც ვოცნებობთ და ჯერაც იმედი გვაქვს, რომ ერთ დღესაც საიდანღაც გაჩნდება ერთიცა და მეორეც. ასეა თუ ისე, ამ კაცმა მოახერხა და „დიდი წიგნის“ სახელი შეარქვა იმას, რაც, თურმე, მე თავადაც არ მასვენებდა. რამდენი წიგნიც არ უნდა შთამენთქა, როგორი კმაყოფილიც არ უნდა ვყოფილიყავი ამის გამო, ის ერთი და უდიდესი მარად მიუწვდომი დარჩებოდა ჩემთვის და უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ თავსაც გავუმხელდი ამას. ესეც მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში, რადგან ამგვარი რამის გამხელა ზოგჯერ ხომ საკუთარი არარაობის აღიარება იქნებოდა?! მან კი ძალზე იოლად აღიარა ეს — ბავშვური უშუალობით მენდო და აღიარა, ხოლო როდესაც შეატყო, რომ ცუდად მესმოდა მისი ნატვრა, შეწყვიტა ამ თემაზე საუბარი. აღმოჩნდა, რომ იგი უფრო გულახდილი იყო, ვიდრე მე, ნაკლებად იყო რაღაც პირობითობების ტყვეობაში და ეს იყო ის სიბრძნე, რომელიც მას, ამ უცნაურ კაცს, უფალმა უბოძა. ეს არ იყო გულუბრყვილო იმედი, რომ ერთი წიგნის მეშვეობით ამოწურავდა ყველა იმ კითხვას, მოსვენებას რომ არ აძლევდა. ამ წიგნის მონატრებით მან, უმალ, მისი შეუძლებლობა დაადასტურა — შეუძლებლობა იმისა, რომ, ბანალურ შედარებას თუ მოვიყვანთ, ზღვა დაეშრო მისგან წყლის ამოხაპვით, ან ვარსკვლავები დაეთვალა. ამით მან თითქოს აღიარა, რომ ამგვარი წიგნის არსებობა მადლია და სასწაული და რომ იგი შეიძლება ინატრო, თუმცა კი, ამავე დროს, საკუთარ თავს უნდა აუკრძალო, რომ რომელიმე პლაცებოთი ჩაანაცვლო იგი.

ყველაფერი ეს ერთგვარი შესავლისათვის მოვყევი. ბოლო ხანებში ბევრს ვკითხულობ — მართალია, უსისტემოდ, მაგრამ მაინც. იმედი მაქვს, ყველაფერი ეს რაღაც ფორმას შეიძენს. უსისტემოდ მოგროვებული აზრობრივი სახეები ერთ დღესად რაღაც კონფიგურაციად იქცევა; ესა თუ ის თემა თუ განწყობა რაღაც წერტილში აჟღერდება და მომთხოვს, აზრობრივ ყალიბებში მოვაქციო. ასე იბადება ამჯერად უკვე ჩემი ტექსტი. მთელი ამ პროცესისას, ორჭოფობით, მოულოდნელობებით, ტექსტის თავისთავადი ლოგიკის უცნაური ნებით რაღაც ახალი ჰორიზონტი მოდის. ამგვარ ლოგიკასაც ხომ თავისი ჭირვეული და მოუხელთებელი ნება აქვს.

ამქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სიცარიელისა და უნაყოფობის განცდაა და წიგნის კითხვა ამ სიცარიელის ამოვსების საშუალებას იძლევა. რაც არ უნდა ახალგაზრდები ვიყოთ, ყოველ ჩვენგანს ხომ ძალზე ცოტა დრო დაგვრჩა საიმისოდ, რომ რაღაც გავიგოთ, რათა შეგვეძლოს და წუთისოფლიდან გასულებმა მის კარს, ფოლკნერის ერთი გამონათქვამისა არ იყოს, მეორე მხრიდან წავაწეროთ — „მე აქ ვიყავი“.

წიგნი საშუალებაა იმისა, რაღაც მიახლოებაში მაინც გაეცნო და დაუმეგობრდე იმ ადამიანებს, რომლებიც აქ იყვნენ და წამიერი სიფხიზლის პრეცედენტები დატოვეს. როგორც ჟან პოლი ამბობს, წიგნი მეგობრებისადმი მიძღვნილი ვრცელი წერილია, საკუთარი მყისიერი სიფხიზლის პრეცედენტებთან მათი ზიარების მცდელობაა. ხელოვნება, საერთოდაც, ამგვარი პრეცედენტების, აქ და ახლა, ტოტალურ აწმყოში, წამიერი ყოფნის დაძაბულობაში იბადება. ოდესღაც მავანს და მავანს მოულოდნელად სწვევია დამათრობელი სიხარული თუ ძრწოლა აქყოფნის გამო და შემდეგ ფორმების, ფერების, სიტყვისა თუ ბგერის მეშვეობით უცდია ჩვენთვის გადმოეცა — მთელი იმ საკომუნიკაციო არსენალით, რომელიც კი ჩვენ, ადამიანებს გაგვაჩნია. ყველაფერი ეს ჩვენთვის დაუტოვებია, რათა ამ დანატოვარის მეშვეობით, ანუ მისი უხილავი მეგზურობით, წამიერად მაინც მივეახლოთ „აქ და ახლა ყოფნას“ — იმას, რაც სავალდებულო საკომუნიკაციო მატრიცის, ანუ ყოველდღიური საჯაროობის რეჟიმის (ჰაიდეგერისეული) — ლაყბობის, ცნობისმოყვარეობისა და ორაზროვნების მიღმაა და ამით გავიკვლიოთ ბილიკი იმ სამყაროსაკენ, საითაც, თურმე, შეგვძლებია სვლა ან რომლის შესახებ ცოდნაც ჩვენში ჩვენგანვე ფარულად ყოფილა. ჰოდა, წიგნი აღვიძებს ჩემი სულის ჩაკირულ სივრცეებს და სიცოცხლე შეაქვს მათში — არა ინფორმაცია, არამედ ის სიცოცხლე, რომელიც უცნაური, სოკრატესეული მშობიარობის ტკივილებით ჩემი სიცოცხლე ხდება და ამით ახალ ცასა და ახალ მიწას მთავაზობს.

აქედანაა ის სირთულეებიც, რომლებსაც ადამიანი ხვდება ლიტერატურის გაცნობისას. თავადაც ხშირად მიგრძვნია, რომ ტექსტი, რომლის წინაშეც ვარ (განსაკუთრებით ეს ფილოსოფიურ ტექსტებს შეეხება), თითქოს ჰერმეტულადაა ჩემთვის დახშული და ახლოს არ მიკარ-

ებს. უმწეობის უცნაური განცდა გეუფლება კაცს, პატარა შეყვარებული ბიჭის მსგავსად — ერთგვარი განაწყენებისაც. ამ უკანასკნელსაც ხომ ვერ გაუგია, თუ რატომ შეიძლება უარყონ იგი ან, უბრალოდ, რატომ შეიძლება ათამაშონ იგი ასე ულმობლად. ჰოდა, შენც მსგავსი განცდა გეუფლება, განცდა იმისა, რომ ყოფიერების რომელიღაც მნიშვნელოვანი სეგმენტი, ასეთი ცოცხალი და გახსნილი რომ არის ვიღაცისათვის, შენთვის დახშულია და თანაზიარობის უფლებას არ გაძლევს. ზოგადად კი სრული აზრით, ალბათ, ნებისმიერი ადამიანისათვის მხოლოდ იშვიათად დგება წუთები, როდესაც მას სრული უფლებით შეუძლია თქვას, რომ წიგნს კითხულობს. ეს რაღაცით შემოქმედებით აქტს ჰგავს. ხშირად ვკითხულობთ, მაგრამ ის, რასაც წიგნის კითხვა ჰქვია, იშვიათად მოდის. საკმაოდ იშვიათია თანაობის ის განცდა, თითქოს საკუთარ კონტურებს რომ გაკარგვინებს და სხვასთან ზიარებაში გამყოფებს. სამყაროც ხომ ასე გვეპყრობა ხოლმე. იშვიათია წამები, როდესაც ყოფიერება თავის იდუმალ რიდეს იშორებს და ჩვენთვის აქამდე უცნობ, მაგრამ მაინც უსასრულოდ ნაცნობ ენაზე გვესაუბრება. ბზარი, რომელიც სამოთხიდან განდევნის შემდეგ მარადიულად დავანებულა ჩვენსა და ყოფიერებას შორის, ერთგვარად ქრება და გეუფლება განცდა, რომელსაც საყოველთაო შერიგების ტერმინებში თუ აღწერ. გახსოვთ მწირველის მიერ წარმოთქმული „მშვიდობა ყოველთა“? წიგნიც ასეა. მისი გაგება სწორედ სულში „მშვიდობა ყოველთას“ მოითხოვს. ამით წიგნი, როგორც ყოფიერების, როგორც ასეთის ორეული, სრულიად განსაკუთრებული ფენომენია.

მაინც საიდანაა ის თანხმიერება, რომელიც ჩემსა და ტექსტს შორის მყარდება? საიდან არის ის უცნაური შეგრძნება, რომ ტექსტი გარედან კი არ შემოდის ჩემში, არამედ შიგნიდან აღვიძებს და ფორმებში აქცევს იმას, რაც შემდგომ ჩემს გამოცდილებად ანუ შელერისეულ „სულის სხვაგვარ მდგომარეობად“ იქცევა? თანაყოფნისა და თანაქმნის ამ, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიური ეფექტის გარეშე, ვგრძნობთ, რომ რაღაც ვერ არის წესრიგში, რომ არ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რომ ტექსტმა ჩემში მთვლემარე ძალებს ვერ შესთავაზა გამჟღავნების ასპარეზი იმ მიზეზით, რომ ჯერაც არ გამივლია რაღაც გზა და რომ ჩემს მეგზურებს სხვა ტექსტებისა და ადამიანების სახით ჯერაც არ მოვუმზადებივარ საიმისოდ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში თანაობისა და თანაქმნის საიდუმლო აღსრულებულიყო.

და მაინც, როგორც ვთქვი, ტექსტი არასოდეს ჩაივლის უკვალოდ. გაივლის გარკვეული ხანი და აღმოვაჩენ, რომ ის ტექსტიც კი, რომელიც თითქოს და არც შეხებია ჩემს სულს, თურმე, ფარულად ხმიანებს ჩემში და ერთი შეხედვით, ჩემგან დამოუკიდებლად გაუგრძელებია მუშაობა, ან, უფრო ზუსტად, ჩემს ცნობიერებას იგი სარკისებულად კი არ აუსხლიტავს, არამედ ინკორპორირების ხანგრძლივი და ფარული პროცესი წამოუწყია და ეს დაფარულობა გრძელდება მანამ, სანამ ისეთ ხარისხს არ მიაღწევს, რომ დღის სინათლეზე მოითხოვს გამოსვლას. ამ დროს ხშირად აღარც ავტორი გახსოვს და აღარც ის კონკრეტული ტექსტი, უბრალოდ გრძნობ, თუ როგორ იბადება შენში რაღაც განსხვავებული. ტექსტი ხომ, ალბათ, არასოდეს მოდის შენამდე შემთხვევით. იგი მოდის საიმისოდ, რომ ფარულ და აშკარა დიალოგში მოგაქციოს და ყოფიერებასთან თანაობის კიდევ ერთი ძაფი გაგაბმევინოს გამოცდილებათა ახალი დინამიკის წყალობით.

ამიტომაც ამბობენ, რომ ტექსტი არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს მისი აღმქმელი. ტექსტი იმთავითვე განისაზღვრება ფუნქციონალურად და სხვაგვარი განსაზღვრა მას არ გააჩნია. იგი თუ არსებობს, არსებობს მხოლოდ როგორც ცოცხალი რამ — თავის აღმქმელთან ინტერაქციაში. თავისთავად აღმქმელიც ხომ ტექსტთან რაღაცაგვარ ინტერაქციაში მყოფს ნიშნავს?! და ამ დროს იბადება ის, რასაც ახალ გამოცდილებას, გამოცდილებათა ახალ ჰორიზონტს ვუწოდებთ. სხვა არსებობა ხომ ყოფიერებას არც გააჩნია. იგი არსებობს როგორც გამოცდილება, რომელიც იდუმალ ინტერაქციაში იბადება და, თავის მხრივ, გამოცდილებათა ახალ ქსოვილს შობს. ამ აზრით, ღვთის პირველადი სიტყვაც, როგორც ანი და ჰოე არსებულისა, როგორც ჩემი მეგობრისეული დიდი წიგნის პირველსახე, ჩვენში შემოდის, როგორც პირველადი თანაობის გამოცდილება. ეს არის, ალბათ, ერთადერთი ანალოგია, რომელიც ღვთის მარადიული სიტყვის გაგებას ახლა, ამ ეტაპზე შეიძლება მივაშველო.

ის, რაც წიგნის მეშვეობით მინდა გავიგო, არის სხვა ადამიანების გამოცდილებათა ველი, ეს — უკეთეს შემთხვევაში. უარეს შემთხვევაში, ცხადია, წიგნის მეშვეობით სააზროვნო ალგორითმების ათვისებას ვლამობ: „თუ... მაშინ“. წიგნთან ამგვარი ურთიერთობა დონორისა და

პასიური რეციპიენტის (თუ შეიძლება ითქვას, ბეჯითი მსწავლელის) ურთიერთობას ჰგავს. ასეთი უკიდურესი შემთხვევა თავისი წმინდა სახით თითქმის არასოდეს გვხვდება, თუმცა კი გარკვეული ხარისხით კითხვის ყოველ აქტში იგულისხმება. წიგნს ხელსაც არ მოვკიდებდი, რომ არ ჩამეთვალა, რომ შევიძენ რაღაც სიცხადეებსა და გარკვეულობებს, რომლებიც მეგზურობას გამიწევენ, რათა ყოფიერების კონტექსტში მკვიდრად ვიგრძნო თავი და ჩართულობის უფრო მაღალი ხარისხი მოვიპოვო. მაგრამ, ამავდროულად, ისიც არის, რომ მისი მეშვეობით თითქოს ტოტალური გამოცდილება მინდა შევიძინო — იმგვარი გამოცდილება და განზომილებები ჩემი სულისა, რომლებიც სრული კონტექსტუალურობის განცდას, სრულ სიმშვიდესა და ნათელს მომიტანენ და იმ გზის დასასრულსაც მიმანიშნებენ, რომელსაც, მსურს თუ არა, გავდივარ, რათა გადავლახო ის ოდითგანდელი დაშორება ყოფიერებისაგან, ადამის განდევნით რომ გამოუხატავთ. თავისმა აწმყო გამოცდილებამ და მეხსიერებამ (არა როგორც გახსენების უნარმა, არამედ როგორც საკუთარ თავში სიღრმეთა წვდომის ძალამ) ადამიანს უკარნახა, რომ იყო დრო, როდესაც ადამისათვის არ არსებობდა „სხვა“, როგორც ობიექტი. იყო დრო, როდესაც იგი და „სხვა“ ერთიან პირველად ერთობაში იყვნენ დავანებული და თუ არა ვაშლის მირთმევით სიმბოლიზებული საბედისწერო ნაბიჯი, ამ ერთობაში დარჩებოდა კიდეც. მაგრამ, ჩანს, იგი იმთავითვე იყო განჩინებული საიმისოდ, რომ ვაშლს ზიარებოდა და ამით დაედასტურებინა ის ამპარტავანი სიუცხოვე, რომელიც მას, როგორც მეექვსე დღეს შექმნილ არსებას, როგორც გვირგვინს შესაქმისა, სხვა არსებულებს შორის გამოარჩევდა. ჩანს, ეს სიუცხოვე მას იმთავითვე თან სდევდა, შექმნის წამიდანვე და იგი უნდა გამჟღავნებულიყო. გამჟღავნდა და ცოდნა ამ თავმომწონე, მაგრამ კონტექსტიდან ამოვარდნილი და მეტაფიზიკურ „ადგილს“ მოკლებული კოსმიური პრინცისათვის სიუცხოვის გადალახვის ინსტრუმენტად იქცა, თავად მისი არსებობა კი — გზად, რომელზე სასიარულოდაც მას სიუცხოვის განცდა აღძრავს და რომლის ბოლოც ის ტოტალური კონტექსტუალურობაა, რომელიც სადღაც და ოდესღაც თავადვე მიატოვა. რითაც არ უნდა შეფაროს მან ეს გზა, როგორც არ უნდა დაფაროს იგი სავალდებულო სიცხადეების სისტემით თუ ირაციონალური რიტუალურობით თავისი არსებობისა, გზა მაინც გზად რჩება და მისი დავიწყება ბოროტებას უხსნის სივრცეს — იმ ძალებს, რომლებიც განაბულან, რათა ერთხელ მოპოვებული სიუცხოვე საბოლოო ესქატოლოგიურ ფაქტად აქციონ და ამით ადამი თავის ბანაკში გადაიტყუონ. სიცხადეთა პროტეზი ამ დროს მისთვის ერთგვარი მორფინია, ერთგვარი ყავარჯენია საიმისოდ, რომ გზაზე მავალი შეჩერდეს, სასოწარკვეთილება ჩამოიფერთხოს და სული მოითქვას; წამიერად მაინც შეჩერდეს და გაუღიმოს იმ ყოფიერთ, რომელთა კვლავმოპოვებისაკენაც აღძრულა; მიხვდეს, რომ სავალი არც საითაა და რომ ის, რასაც იგი ეძიებს, არის არა „გუშინ“ ან „ხვალ“, არამედ „აქ და ახლა“ (გავიხსენოთ ნეტარი ავგუსტინე: აწმყო ყოფიერების მახეა) და იგი მისგან მხოლოდ მშვიდ ღიმილსა და მიღებას საჭიროებს. ამით პროტეზიც აღარ არის მარტოოდენ პროტეზი, იგი, უბრალოდ, თაური მინიშნებაა იმაზე, რისკენაც მიემართება იგი. თუმცა კი სიცხადეთა მორფინი, თუ პროტეზი, როგორც ერთგვარი პლაცებო გაგებისა, მახედაც შეიძლება იქცეს, ერთგვარ ორეულად გზისა და ჭეშმარიტებისა, ერთგვარ მღვიმედ, რომელიც გაგებისა და თანაყოფნის იმიტირებას ახდენს. ასეთ პლაცებოდ შეიძლება იქცეს წიგნიერი სამყარო და აქედანაა ზოგ რელიგიაში ირაციონალური შიში წიგნიერების, როგორც ღვთის გზიდან აცდენის საფრთხის წინაშე.

წიგნი ნივთიც არის და არც არის ნივთი. იგი ნივთთა შორის გამორჩეულია და, ამიტომაც, მას ვერ განვიხილავთ „უბრალოდ ნივთად“. მას ერთგვარ პარალელურ სინამდვილეში შევყავართ – იმ სინამდვილეში, რომელიც ადამიანურ წარმოსახვას და ძალისხმევას შეუქმნია და სადაც მავანს თავი მოუყრია ყველაფერი იმისთვის, რაც მრავალსახა და მოუხელთებელ ყოფიერებასთან ურთიერთობაში დაუგროვებია და შემდეგ ჩვენთან თანაზიარ მეტაფორათა და სიმბოლოთა ენაზე უთარგმნია. ამ აზრით, წიგნში მთავარი ტექსტია და თავად ნივთიც, ეს, როგორც წესი, მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის საგანი, ამ უკანასკნელს ემსახურება — იმას, რომ მოხელთებული და შენახული იქნას ის, რაც ჩვენი ძალისხმევისა და ყოფიერების მიერ გაღებული მოწყალების გამოისობით განათებულა ჩვენთვის და გვიცდია, საკომუნიკაციო ინსტრუმენტალიების — ნიშნების, სიმბოლოებისა და მეტაფორების მეშვეობით სხვისთვისაც საცნაური გაგვეხადა. და რამდენადაც წყალობად მიღებული ნათლის გადატანა საკომუნიკაციო რეჟიმში ჩვენს ძალებს აღემატება, საცნაურობამ და საკომუნიკაციო იმპერატივებმა გა-

დასწონეს სასწორის პინა და წიგნიერმა სამყარომ ჩამოყალიბება დაიწყო, როგორც ერთგვარმა პარალელურმა, თანაზიარმა, საკომუნიკაციო მოლოდინებით გაჟღენთილმა სინამდვილემ თავისი სიცხადეებითა და გამოცდილებებით. წიგნიერი სამყარო ერთგვარ დამოუკიდებელ სფეროდ იქცა, თუმცა კი სრული ავტონომიურობა არასოდეს შეუძენია — მიუხედავად მისი დღევანდელი თითქმის ტოტალური თვითმწარმოებლობისა, ანუ იმისა, რომ იგი თითქმის მთლიანად საკუთარი სუბსტანციიდან ქმნის თავისი სხეულის ახალ ნაწილებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამყარო გამუდმებით მიისწრაფოდა სრული დამოუკიდებლობისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია დავთვალოთ რაოდენობა წიგნის ინდუსტრიის იმ პროდუქციისა, რომელიც მხოლოდ თვალთმაქცურად თუ არის დაკავშირებული იმ პირველად გამოცდილებებთან და მეგობრების შეძენის სურვილთან. წიგნიერი სამყარო თავად იქცა გამოცდილებათა მოპოვების წყაროდ (სწორედ ამ მახეს ვგულისხმობდი წეღან) და საქმე ერთი და იმავე ელემენტებით ერთგვარ კალეიდოსკოპურ თვითმწარმოებლობასთან გვექნებოდა, ეს უკანასკნელიც კი მუდმივად რომ არ საჭიროებდეს ჩვენს პირველად მოლოდინებთან შეხებას. თავად წიგნიერი სამყაროს თვითმწარმოებლობა ვერასოდეს იქცევა საბოლოო და უშუალოდ ცხად ფაქტად, თუ იგი რაღაც სხვამ არ დაადასტურა, მაგრამ, ამასთან, დაადასტურა არა როგორც ფაქტი, არამედ, უმალ, როგორც საშიშროება, რომელიც, როგორც ორეული, ისე დაჰყვა წიგნიერ სამყაროს მაშინვე, როგორც კი პირველ ადამიანს მოუვიდა აზრად, საკუთარი გამოცდილებების ჰორიზონტი მეტყველ ნიშანთა ენაზე გადაეტანა და ამით გაეხადა სხვები ამ გამოცდილებათა თანაზიარი.

მრავალი ხალხის მითოლოგიაში არსებობს აბსოლუტური, უსასრულო თვითკმარობის სიმბოლო — ურობოროსი, მითიური გველი, რომელიც დედამიწას შემოხვევია და საკუთარი კუდით იკვებება. თავის უნივერსალობაში ყოფიერების ეს სიმბოლო ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა კი ისიც ცხადია, რომ ადამიანურ ფენომენთა უდიდესი ნაწილი — და ეს განსაკუთრებით წიგნიერ სამყაროს შეეხება — ამგვარ ურობოროსად ცდილობს ქცევას, უფრო კი ერთგვარ უცნაურ არსებად, რომელიც ორ სიმბოლოს — ურობოროსსა და ობობას აერთიანებს — აბსოლუტურ თვითკმარობასა და ასეთსავე აბსოლუტურ თვითმწარმოებლობას, ნებისმიერი განსხვავებული გამოცდილების შესაძლებლობას რომ გამორიცხავს. წიგნიერი სამყაროც ცდილობს, ამგვარ თვითკმარ ობობა-ურობოროსად მოგვევლონოს, თუმცა კი, როგორც ვთქვით, მუდამ აპარებს თვალს პირველადი მოლოდინების სფეროსაკენ, სწორედ იმ სფეროსაკენ, რომელიც „არსად და არასოდეს“ არსებობს, რათა იქიდან შეიძინოს მაცოცხლებელი ძალები.

ამიტომაც, რაღაც მიახლოებაში ძნელი გასაგებიცაა, რომელი ასრულებს გადამწყვეტ როლს – წიგნიერების სამყარო თუ პირველად მოლოდინთა სფერო. ისინი ისე გადაეჭიდნენ ერთმანეთს, რომ განუზღვრელია, სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე. უფრო მეტიც, მათმა ურთიერთთანაყოფნამ ჩვენი გამოცდილების მნიშვნელოვანი კონფიგურაცია შექმნა და მათი ურთიერთდაშორება და სრულიად ავტონომიურ სფეროებად წარმოდგენა შეუძლებელიცაა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ გამუდმებით ვსაჭიროებთ წიგნიერ გამოცდილებათა საყრდენს და მათ გარეშე სიმშვიდე და თავდაჯერება თუ არა, შფოთიანი გარკვეულობა მაინც ვეღარც მოგვიპოვება. ჩვენ ვადგენთ წიგნიერ სამყაროს და წიგნიერი სამყარო გვადგენს ჩვენ. უფრო მეტიც, ჩვენ ხშირად საკუთარ თავს მასთან მიმართებაში ვადგენთ — მისი მეშვეობით განვსაზღვრავთ იმას, რასაც „ყოფიერებას“ ვუწოდებთ. წიგნის კითხვა და სამყაროს კითხვა ჩვენთვის ხშირად სინონიმურებია, თუმცა კი მუდმივად ვგრძნობთ, რომ ისინი სრული მნიშვნელობით არც არიან სინონიმურნი და ამ ორ გამოცდილებას შორის რაღაც სხვა მიმართებაა და არა მხოლოდ ურთიერთპროტეზირება საიმისოდ, რომ გამოცდილებათა სისრულეში განვიცადოთ თავი.

მოდით, ვიკითხოთ, თუ როგორ შემოდის წიგნი ყოფიერების იმ ქსოვილში, რომელშიც ვართ და როგორ იქცევა ამ უკანასკნელის მაფორმირებელ გარემოებად, ანუ თავადაც როგორ ქმნის ამ ქსოვილს. პასუხის მოსაძიებლად, ალბათ, მის ფუნქციურობას უნდა შევეხოთ და მეტაფორათა მეშვეობით მივანიშნოთ გარკვეულ, ჩვენთვის ცხად ან ფარულ გამოცდილებაში გამჟღავნებულ გარემოებებზე, თან ისე, რომ ფორმალურ და არაფრისმთქმელ ზოგადობათა ტყვეობაში არ აღმოვჩნდეთ. საამისოდ კი, ჰაიდეგერის მსგავსად (თუ გავიხსენებთ მის მცირე ესსეს Das Ding), გარკვეულ ვითარებებზე მინიშნებას უნდა დავჯერდეთ. ჰაიდეგერიც მხოლოდ მიგვანიშნებს, ერთგვარი დაუდევრობითაც კი, რადგან თასი, რომელზეც ამ ესსეში საუბრობს,

მისთვის ერთგვარი სინგულარობის წერტილად ქცეულა და მეტაფორათა გარდა, სხვა ინსტრუმენტები ვერ მოუძებნია მკითხველისათვის თავისი გამოცდილების გადმოსაცემად. სინგულარობის წერტილი ხომ იმთავითვე გამორიცხავს სხვას და, შესაბამისად კომუნიკაციას, როგორც ასეთს. იგი ტოტალობაა და „აქ და ახლას“ პერსპექტიულ უსასრულობაში გვამყოფებს. ამით მისი გამოცდილება უმალ რეზონანსის აღმძვრელია, ვიდრე გზის გამკვალავი და სწორედ ამ აზრით თუ გაიჟღერებს შეფარულად ჰაიდეგერი ჩვენს შემდგომ მსჯელობებში და თავისი თანაობით კორექტივებსაც შეიტანს ჩვენს სვლაში საკუთარ გამოცდილებათა მოსაპოვებლად — გამოცდილებათა ახალი განზომილებებისა, თუ მათი ახლებური დინამიკისა, რაზეც მხოლოდ მინიშნებაა შესაძლებელი, თუმცა კი თითქმის არასოდეს – დოკუმენტირება. ჰაიდეგერიც ხომ ზუსტად ასე მიანიშნებს — ლაღად, მკითხველის მიმართ ფორმალური ვალდებულებების დამთრგუნველი ტვირთის, ეფექტური აზრობრივი ჟესტებით წარმატების მოპოვების იმედის გარეშე და გვთავაზობს მეტაფორებს (ღვთაებანი, მოკვდავნი, ზეცა და მიწა), რომელთა თანაობაშიც მოიცემა ნივთი, როგორც გამოცდილება. სწორედ მეტაფორათა ამ თანაობამ უნდა გააღვიძოს ჩვენთვის ნივთი თავის საგნობრიობაში, როგორც ერთ-ერთი გამჟღავნება იმ კონტექსტისა, ყოფიერებას რომ ვუწოდებთ. ამ აზრით, იგი უმალ ვიზიონერია, რომელიც დარწმუნებულა, რომ გამოცდილებათა ამ სფეროში ჩვენს შესაძღოლად სრულიადაც არ არის აუცილებელი ინტელექტუალური ინდუსტრიის რთული ინჟინერია და ლამის იმავე არსენალს მიმართავს, როგორსაც ხალხური მუცლითმეზღაპრე, მსმენელთან კომუნიკაციის აქტში რომ ბადებდა მეტაფორებსაც და სიმბოლოებსაც. მე, როგორც მკითხველი, უნდა შევეცადო, გავთავისუფლდე საყოველთაო კონვენციური წარმოდგენებისაგან და მივყვე იდეათა და მეტაფორათა ამ სპონტანურ წარმოებას, ავტორთან ერთად ვშვა ისინი ერთგვარი იდუმალი თანამეტყველების აქტში.

ამდენად, მხოლოდ ფუნქციურობის განსაზღვრა არაა საკმარისი საიმისოდ, რომ წიგნი და, მითუმეტეს, მისი კითხვა „გაგებულად“ ჩავთვალოთ. უფრო მეტიც, სწორედ ფუნქციურობამ უნდა გაგვითავისუფლოს მზერა ახალი ჰორიზონტისაკენ. წიგნის ფუნქციურობა ამ დროს ჩვენთვის სინგულარობის წერტილია, ისევე, როგორც ეს ჰაიდეგერისათვის იყო თასის ფუნქციურობა. და თუკი „დიდი წიგნი“ სადმე არსებობს, სწორედ ამ წერტილში.

ცოტა დამაგვიანდა განმარტება, რომ სინგულარობის წერტილად მათემატიკაში ითვლება მათემატიკური ობიექტის, ვთქვათ, ფუნქციის ის წერტილი, სადაც იგი არარეგულარულად იქცევა. ამ წერტილში იგი კარგავს თავის უწყვეტობას და უცნაური შფოთი შემოაქვს მთელს ანალიტიკურ სურათში — მიისწრაფის უსასრულობისაკენ ან ჩვენთვის ხელშესახებ საზრისს ჰკარგავს. უცნაური წესით, ფუნქცია საკუთარი თავის გარეთ აღმოჩნდება, უფრო სწორად, ამ წერტილში მისი გაგებადი და პროგნოზირებადი სვლა მყისიერად ჰკარგავს საზრისს და უგანზომილებო წერტილში იკარგება, საკუთარი ყოფიერების მთელს ტოტალობას მოიკრეფს და ისე წარმოსდგება ჩვენს წინაშე. კონტექსტი, რომელიც მას თითქოს მთლიანად აღწერდა, მოულოდნელად უმწეო აღმოჩნდება ამ უცნაური წერტილის წინაშე. ჩვენ ვცდილობთ, იგი უკან დავაბრუნოთ და კვლავ აღწერად და პროგნოზირებად რამედ ვაქციოთ, მაგრამ, ამაოდ, რაღაც გვკარნახობს, რომ იგი უკვე იქ არის საძიებელი, ამ ყოვლისმომცველ განუზღვრელობაში, ამ ყოვლისმომცველ იგივეობაში საკუთარ თავთან. ფუნქცია თითქოს ამით თავის იდუმალ იდენტობაზე მიგვანიშნებს — იმ იდენტობაზე, რომელიც აქამდე მრუდის განსხვავებულ წერტილებში ჰქონდა მშვიდად და თანამიმდევრულად დალაგებული. არადა, ჩვენ აღვწერდით ფუნქციას, როგორც კონტექსტს და დარწმუნებულები ვიყავით, რომ ამით მას ვფლობდით. ამ წერტილში კი თითქოს დადუმდა ყველაფერი, რაც მის შესახებ გამოითქმოდა და იგი ინაცვლებს იქ, სადაც ჩვენი დესკრიფციები, უბრალოდ, უმწეო კი აღარ არის, არამედ — უსაზრისოც. ჩვენ დავკარგეთ იგი, თითქოს მელოდია დასრულების გარეშე მოულოდნელად შეწყვეტილიყოს და „დროითი სივრცე,“ რომლის კონფიგურაციასაც იგი განსაზღვრავდა, მდუმარებით ამეტყველებულიყოს. ეს არის ერთგვარი სოკრატული წერტილი მათემატიკაში, სადაც ჩვენთვის ნაცნობი განზომილებები და კონფიგურაციები ერთ წერტილში ჩაიწრიტებიან. თუკი ფუნქციონალურ მრუდს რაიმე დინამიკა შეიძლება მიეწერებოდეს, ეს არის სწორედ მინიშნება ამ წერტილზე, მინიშნება, რომ მისი იდენტობა სწორედ იმ წერტილშია საძიებელი, რომელიც მას ულმობლად შთანთქავს. ამით, სინგულარობის წერტილი სხვა არაფერია, თუ არა ზღვრული დაძაბულობა, როდესაც ქრება ჩვეული სიცხადეები და საზრისის სრული სიცხადე თვალსაჩინოვდება. თუ შეიძლება

ითქვას, ეს არის კატასტროფა. ეს უკანასკნელი ხომ ის მდგომარეობაა, როდესაც ყველა ჩვეული სიცხადე და წესრიგი საზრისს ჰკარგავს და ტოტალური ნგრევის წინაშე ვართ. ამგვარი მდგომარეობა, დამეთანხმებით, თარგმანებას ძნელად თუ ექვემდებარება და ჩვენც უნდა დავიხიოთ უკან, რათა კიდევ ერთხელ მოვიხელთოთ ის საწყისი წერტილი, საიდანაც კიდევ ერთხელ მივეახლებით მას.

სოკრატეც ხომ აზრის ნაცნობი და პროგნოზირებადი ტრაექტორიებით ატარებდა თანამოსაუბრეს მანამ, სანამ ორივენი ერთად ამგვარი სინგულარობის, ტოტალური განსაზღვრულობა-განუზღვრელობის წინაშე არ აღმოჩნდებოდნენ და ის, რაც ამ დიალოგის მეშვეობით უნდა შობილიყო, სწორედ ამ არარაში იყო საგულვებელი. აზრის დინამიკა უხილავად მიიწევდა წერტილისაკენ, სადაც ჩვეული კონტექსტებისა და აზრის ჩვეული ფორმებისაგან გათავისუფლება უნდა დამდგარიყო. ამით დიალოგის დასაწყისში განხორციელებული საყოველთაო სიცხადეებზე აგებული კომუნიკაცია საკუთარი თავის უარმყოფელი ხდებოდა. ცოდნა სოკრატესათვის ხომ ნიშნავდა არა ჩვეული საკომუნიკაციო პარადიგმებისა და კონვენციური სიცხადეების დადასტურებას, არამედ სწორედ მათგან გათავისუფლებას. იგი აზრის დინამიკასა და ტრაექტორიაში სინგულარობის წერტილს აგნებდა — იმ წერტილს, რომლის გამოისობითაც თანამოსაუბრესთან ერთად ახალ კონტექსტში ხელახლა უნდა დაბადებულიყო.

ეს ალბათ, ყოველგვარი ფილოსოფოსობის უნივერსალური ფორმულაა. სააზროვნო აქტი სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს: მოცემულობიდან მისი განმსაზღვრელი სინგულარობის წერტილის მიგნებას, სადაც სიცხადეები არარად იქცევა, როგორც სიტყვა მრავალგზისი განმეორებისას, უფრო სწორად, მთელი ეს სიცხადეები რაღაც იდუმალ და აქამდე უცნობ ვექტორზე დალაგდებიან. ეს მაგალითი ძალიან მიყვარს და ხშირად ვიშველიებ: გაიმეორეთ რაიმე სიტყვა უამრავჯერ და მიჰყევით იმ ვიბრაციებს, რომლებსაც იგი თქვენში აღძრავს. მალე ხელთ არარა შეგრჩებათ, თურმე, ერთი ცალკეული სიტყვა თუ ერთი ცალკეული ნივთიც მოიცავს თავის სინგულარობას და სწორედ მისი მიგნებაა აუცილებელი. მთელი დაძაბულობით უნდა ჩავჭიდოთ მას ხელი, სანამ არ ვიგრძნობთ, რომ ხელთ აღარაფერი შეგვრჩენია, გარდა რაღაც იდუმალი ჟღერადობისა, ახალი ფორმებისა და კონტექსტის მოძებნას რომ მოითხოვს ჩვენგან.

გაგების შემთხვევაში კი ეს ის მომენტია — ისევ ფოლკნერს მოვიშველიებ — როცა თავს გრძნობ იმ პირველ არსებად, რომელმაც გაბედა, გათავისუფლებულიყო იმ მკვდარი ალგორითმებისაგან, რომლებიც აქამდე განსაზღვრავდნენ მისი ცნობიერების მოძრაობის საწყის და საბოლოო წერტილებს და გაბედავს, მათ გარეშე გაუდგეს გზას. ჩვენ ხომ სავსენი ვართ მკვდარი ალგორითმებით და აღზრდაც ხომ, ხშირად, სხვა არაფერია, თუ არა ამგვარი ალგორითმებით ცნობიერების ჩაკირვა, თუ არა მცდელობა იმისა, რომ „თუ... მაშინ“-ის ციკლში იქნას ჩაკეტილი ის, რაც თავისთავად სიცოცხლისა და, მაშასადამე, განუზღვრელობის მნიშვნელოვანი ელემენტის მატარებელია. ცხადია, სრული განუზღვრელობაც ისეთივე უბედურებაა, როგორც სრული ჩაკირვა. არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში საქმე არა გვაქვს გამგებ ცნობიერებასთან. გამგები ცნობიერება გვაქვს მაშინ, როდესაც მან, მიუხედავად ბუნებრივი ადამიანური სიზარმაცისა, შეინარჩუნა ნებისყოფა, რომ რაღაცის წინაშე წარსდგეს და საკუთარი მკვდარი მოლოდინების ტყვეობას არ დასჯერდეს. ამგვარი სინგულარობის წერტილის გარეშე კი ჩვენ სამარადისოდ მებიუსის სიბრტყის ჯადოსნურ წრეზე მოგვიწევდა სიარული.

სოკრატესათვის გაგების აქტი ვერ შედგება, თუ ჩემი შინაგანი, ფარული გამოცდილება არ შეხვდება გარეგანს და არ დაადასტურებს მას. ამგვარი გამოცდილებები მოლოდინებში არ უნდა ავურიოთ. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ ხომ სრულიად ცხად, გარკვეულ და სხვებთან შეთანხმებულ მოლოდინებს ვატარებთ და ამას ვეძახით გამოცდილებას. ამ მოლოდინების კოორდინატებში გაგება ნიშნავს პროცესს, როდესაც გარედან მიღებულ გამოცდილებას თითქოსდა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე განვათავსებ ჩემი სულის მზამზარეულ კონფიგურაციებში. ამგვარი მოლოდინები განსაზღვრავენ მიმღებლობას რაღაც ერთის და მიუღებლობას რაღაც მეორის მიმართ. ვიგებ იმას, რაც ისედაც ვიცი, უფრო სწორად, ვადასტურებ ცოდნის იმ სისტემას, რომლის გარდუვალობის გამოც საკუთარ თავს და სხვებს შევთანხმებივარ. მე თითქოს წინასწარვე ვავალდებულებ გარეგან გამოცდილებას, რომ იყოს სწორედ ის, რასაც მე მისგან ველი, არ ვაძლევ უფლებას, მოლოდინებისაგან განსხვავდებოდეს და ამით შფოთი შემოჰქონდეს ჩემში. უფრო მეტიც, მე მას დაუყოვნებლივ ვთარგმნი ჩემი გამოცდილებების ენაზე და ჩემთვის ნაცნობი ლინგვისტიკით ვაჟღერებ.

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში უამრავჯერ შემხვედრია ასეთი რამ. ხშირად აღმოვჩენილვარ სიტუაციაში, როდესაც ხელს მიშლის არა მოწაფის ზოგადი უუნარობა, არამედ ის, რომ მასში მოლოდინთა გახევებული სისტემაა დასაძლევი და ახალი გამოცდილების შეთავაზებით რაღაც სხვა, აქამდე დაფარული მოლოდინებია გასაღვიძებელი. ნიჭიერებას მე გავსაზღვრავდი, როგორც ადამიანის უნარს, საკუთარი ცნობიერების ჰერმეტულობა დაძლიოს და მყისიერად არ მოკლას ახალი გამოცდილების შანსი იმით, რომ უკუაგდოს იგი, როგორც წინასწარ გამზადებულ საზრისებთან შეუთავსებელი. ხშირად მინახავს, თუ როგორ ცდილობს რომელიმე მათგანი ახალი გამოცდილების ძველ ფორმებში ჩასმას და ამას ეძახის გაგებას. ჩვენ ხომ ყოველდღიურად ვაკეთებთ იმავეს ან რაიმე მსგავსს, როდესაც გავურბივართ მოლოდინთა და ფორმათა იმ შფოთს, რომელიც ამა თუ იმ გამოცდილებამ შეიძლება ჩვენში აღძრას. მყისიერად ვუცვლით გაგონილს თუ წაკითხულს სახეს და ჩვენთვის იოლად მოსანელებელ მასად ვაქცევთ. ჩვენი ცნობიერების მექანიზმები თავის კარგად აწყობილ ციკლებში ლამის უკვე ჩვენი ნების გარეშე მოაქცევენ გარეგან გამოცდილებას და უკვე ნაცნობ კატალოგებში განათავსებენ. ნიჭიერება ნებაა, რაღაც წამს მაინც არ გააკეთო ის, რასაც ცნობიერების სიხისტის გამო მუდმივად ვაკეთებთ. ამას უფრო მონელება ან ათვისება შეიძლება დაარქვას ადამიანმა და არა გაგება და, მართლაც, რაღაც საჭმლის მონელების მსგავსი ხდება. მზამზარეული ფორმები — ის, რაც და როგორც გამიგია ერთ დროს, ის, თუ რა ალგორითმებით აღვჭურვილვარ და რა ალგორითმებიც დამიკანონებია, როგორც ერთადერთი შესაძლებელი რამ — ლამის ტოტალურად ფლობენ ჩემს სულს. ჰოდა, მეც შფოთის გარეშე გავყუჩებულვარ ამ განმეორებად ციკლებში და ძნელი წარმოსადგენია, თუ განსაკუთრებული ნება არ იქნა, თუ არა მაქვს იმის სიმამაცე, რომ გაგების რისკზე წავიდე, ოდესმე უარი ვთქვა უშფოთველობის ამ კომფორტზე. გამოცდილებათა ნაკადთან მიმართების წესი თუ წესთა რიგი იმდენად მყარად დამიდგენია, რომ რჩება ორი რამ, რამაც ამ ტყვეობიდან შეიძლება მიხსნას: ჩემი ნება ან ბედისწერის დარტყმა, მყისიერად რომ მტოვებს ჩვეული ინტელექტუალური ციკლების გარეშე.

ერთი საინტერესო ფსიქოლოგიური მომენტი არსებობს. როდესაც რაიმე ისეთი შეგემთხვევა ადამიანს, რასაც ბედისწერის დარტყმა შეიძლება ვუწოდოთ, უსამართლობის განცდასთან ერთად შეუძლებელია, ვერ შეამჩნიოთ, თუ როგორ ჩნდება განცდა იმისა, რომ მოხდა არა გარეგანი და უსამართლო რამ, არამედ ყველაფერი ეს რაღაცნაირ კავშირშია შენს შინაგან ნებასთან. თითქოს სამყაროსთან ერთად საკუთარ თავს შენც მიედენებოდი ამ მომენტისაკენ, ამ გამოცდილებისაკენ — ნებით იმისა, რომ დანგრეულიყო ჩვეული მატრიცები და რაღაც ახალ განზომილებებში განთავსებულიყავი. რამდენადაც მისტიკური გამოცდილება, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაგების ზღვრული შემთხვევაა, გავიხსენებ, თუ როგორ აღწერს ერთი ქრისტიანი მისტიკოსი ამ განცდას: გრძნობ, რომ შენს გარშემო ყველაფერი ინგრევა, რომ ყველაფერი ძალზე ცუდად არის, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ამასთანავე გრძნობ, რომ სწორედ ამ ნგრევამ გიხსნა საკუთარი სულის მკვდარი ფორმებისა და ნაშთების ტყვეობისაგან და რომ ეს თავგადასავალი რაღაცით ძალზე დიდი მადლი აღმოჩნდება შენთვის, თუკი შეძლებ და თვალს გაუსწორებ ყოფიერების იმ პერსპექტივას, რომელსაც იგი გთავაზობს. ეს საკმაოდ დიდი თემაა და ოდესმე შევეხები მას. ამჯერად მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ სწორედ ამგვარ ზღვრულ სიტუაციას გამოვყავართ საკუთარი წარსული გამოცდილებებით შეძენილი და უნივერსალურად მიჩნეული ალგორითმების თვითკმაყოფილებიდან. რამდენადაც მესმის, ამგვარი გამოსვლის მხოლოდ ერთი გზა არსებობს და ამ გზას ან საკუთარი ცხადი ნებით დავადგებით, ან post factum ვაღიარებთ, თუ როგორ მომწიფებულა იგი ჩვენი ნებელობის ფარულ წიაღში, როგორც ერთგვარი მეტაფიზიკური თვითმკვლელობიდან, მეტაფიზიკური ჰიპნოტური ძილისაგან თავის დაღწევის ნება. შედეგი ორივე შემთხვევაში ერთია. როგორც სტოიკოსები იტყოდნენ, ბედისწერას გონიერი მიჰყვება, ხოლო უგუნურს მიათრევს. დღევანდელი ადამიანი ამას სხვაგვარად იტყვის, რადგან ოცსაუკუნოვანი ქრისტიანული გამოცდილების შემდეგ ძნელია, ბედისწერა აღიქვა მხოლოდ როგორც გარეგანი რამ. მას ხომ ჩვენ თავადაც ვქსოვთ ზეციურ ძალებთან ერთად. რაღაც გვკარნახობს, რომ სასაზღვრო სიტუაციაში ერთ აქტში მოიცემა ჩვენი (თურმე, ფარულად მომწიფებული) ნება და ბედისწერა. ვფიქრობ, ესაა ის უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელშიც სოფოკლე და შექსპირი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი თემაა და მასზე საუბარი ჩემგანაც განსაკუთრებულ მზაობას მოითხოვს. აქ მხოლოდ იმას დავუ-

მატებ, რაც ადრეც არაერთხელ მითქვამს: დემონები, რომლებიც უნდა განიდევნონ (სააზროვნო ალგორითმები, საკომუნიკაციო იმპერატივები და სხვანი, მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ჩვენს ბედისწერას, როგორც თავსდამტყდარ გარდუვალობას ქმნის), დღეს ჩვენშია, იმ ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და კულტუროლოგიურ კანონზომიერებებში განაბულან, რომლებიც ჩვენი არსებობის ჰიპნოტურ კომფორტს ქმნიან. ამით, ვფიქრობ, კიდევ ერთი ბანალური რამ დადასტურდა: გაგება არ გახლავთ მხოლოდ ინფორმაციის შეძენა ან თუნდაც მხოლოდ ახალი უნარების მოპოვება, საკუთარი არსებობის სინგულარობაში იგი „ახალი ცისა და ახალი მიწის“ მოპოვებასაც გულისხმობს: ანუ იმას, რომ ჩვენ უარს ვამბობთ იმ ულმობელ კავშირებზე, რომლებსაც საკუთარი მოლოდინებით ვქსოვთ, როგორც ბედისწერას და ფერნაცვალებნი ახალი სიტუაციურობის ჰორიზონტში ვცდილობთ გადასახლებას და წიგნი, როგორც ფენომენი, თავისი ზღვრული მნიშვნელობით, ყოველივე ამის სიმბოლიზებას ახდენს. წიგნი ახალი გაგების, ახალი გამოცდილების ნიშანია, უფრო სწორად, იმ ფარული, პარალელური გამოცდილებების გამჟღავნებისა, რომელიც ჩვენ მოგვცემია, როგორც ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად. და ამით არის იგი უნივერსალური მეგზური.

საკომუნიკაციო დემონებია ის მსოფლმხედველობები, რომლებიც ათიათასობით და ასიათასობით ადამიანებს მსგავსი სააზროვნო პარადიგმებით კრავს და სხვა ათასებთან თუ ათიათასებთან აპირისპირებს. ერთნაირი და ერთი რიგის საკომუნიკაციო დემონებია ლიბერალიზმი, როგორც სოციო-კულტურული ფენომენი, დემოკრატია, ფაშიზმი, კომუნიზმი, ნაციონალიზმი, ნებისმიერი ყაიდის ფუნდამენტალიზმი — ყველაფერი ის, რაც ადამიანებს „ჭეშმარიტი ცოდნისა“ და „ჭეშმარიტი მიზანდასახულებების“ ბოდვაში ამყოფებს და არყოფნის ბოროტებისათვის სწირავს. საკომუნიკაციო დემონია ყველა ის იდეოლოგია, რომლითაც კულტურისა თუ სოციუმის ფარგლებში აზროვნების უნიფიცირება ხდება და ადამიანები ერთად ყოფნის ენთუზიაზმს გამოხატავენ. ეს არის ფანუმის სფერო, ანუ სფერო, რომელიც უკვე შორს არის პროფანული ქაოსისაგან, მაგრამ ჯერაც შორს არის საკრალურისაგან იმდენად, რამდენადაც იქ მოხვედრილებიც კი კოლექტივისტური ბოდვებით ცდილობენ დამკვიდრებას და საკრალური ყოფნის შთაბეჭდილებას ქმნიან. ასე იბადება ფაშიზმი, ფილეტიზმი, ასე ენაცვლება გეოპოლიტიკა თეოლოგიას, ხოლო ეთნიკური ერთობა — საეკლესიოს. საკომუნიკაციო დემონები ნთქავენ ადამიანებს და სადღაც არყოფნის ქვესკნელში მოიტყორცნიან — იქ, სადაც მხოლოდ სულის ფრაგმენტებია, სადაც მხოლოდ ის მკვდარი ქიმერებია, რომლებიც თვალთმაქცურად გვპირდებოდნენ სიცოცხლეს. არსებითად, ჩვენი სხეულიც (ბიოლოგიური თუ სოციალური) ამ საკომუნიკაციო დემონებით არის ნაგები და მათ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვაღწევთ თავს. პლატონი ამბობდა, რომ სხეული სულის საპყრობილეა და მისგან სიკვდილმა, როგორც ინსტრუმენტმა უნდა გვიხსნას. ცოცხალი, სხეულის მქონე ადამიანისათვის, დიდწილად საიდუმლოდ რჩება, თუ რას ნიშნავს ეს. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ სწორედ სხეულია მთავარი საკომუნიკაციო დემონის, ჩემი „მეს“ გამჟღავნება და განცხადება. ასე შეიძლება იქცეს ის, რაც ღვთის სიტყვაა, იმად, რაც ღვთის სიტყვის იმიტირებას ახდენს და რაც, არსებითად, სწორედ ისევ და ისევ საკომუნიკაციო დემონია და მეტი არაფერი: მექანიკური სიზუსტით მოქმედი, დროის არმქონე ტოტალური დინამიკა თავისი გარდუვალი იმპერატივებით და თვალთმაქცობათა დაუშრეტელი არსენალით.

სუბსტანცია, რომლითაც ჩვენი ცნობიერების მებიუსის სიბრტყე აიგება, ის საკომუნიკაციო დემონები და მოლოდინებია, რომლებიც წინასწარვე განვუსაზღვრეთ თავს. ამგვარი მოლოდინი ჩვენთვის ბუნებრივი მდგომარეობაა. იგი იმდენად ძლიერად განგვსაზღვრავს ჩვენ, რომ მაშინვე შფოთი გვიპყრობს, როგორც კი მას რაღაც არ პასუხობს. მასში ყველაზე ნათლად ჩანს ჩვენი ერთგულება წარსულისადმი, როგორც რაღაც მყარისა და განმეორებადისადმი. ის, რასაც, ჩვეულებრივ, ჩვენი ცნობიერება ატარებს, თავისი კონსტიტუციით წარსულია. როგორც მამარდაშვილი ამბობს ერთგან, წარსულმა უკვე დიდი ხანია უზრუნველგვყო მკვდარი საზრისებით, ტოტალურ წარსულად ქცეული ყოფიერებით, რაც იგივეა, კვდომით, და ასეთი სიკვდილი არ არის არარსებობის სინონიმი. იგი საკუთარ თავთან ტოტალური იდენტობის, ტოტალური გახევების, საკუთარ თავთან, როგორც ნაშთთან ტოტალური იგივეობაა და ამით არის იგი ჯოჯოხეთი. იგი მებიუსის სიბრტყეზე მოქცეულის უსასრულო მარტოობაა, გარდუვალი და უსასრულო მარტოობის გამყინვარებაა. მაკარი დიდი ჯოჯოხეთს აღწერს, როგორც უსასრულო მარტოობას

და ასეთი რამ აქვეა, როგორც შესაძლებლობა, რომელიც თავადვე შეიძლება მოვქსოვოთ საკუთარი პარალიზებული გონებით, განცდითა და ნებით. იგი აქვეა, როგორც ჩვენი თანამდევი, როგორც საკუთარ თავთან იგივეობის მონობა, როგორც უმწეობა, რომელიც საპყრობილედ იქცევა. არადა, მე ხომ ნებისმიერ ვითარებაში შეიძლება შევინარჩუნო თავისუფლება, ნებისმიერი სოციალური თუ პოლიტიკური ტყვეობის პირობებში. მონობა მხოლოდ აქ, ჩემში შეიძლება იშვას, როგორც საკუთარი თავისაკენ ურობოროსივით მიბრუნებული ცნობიერება, როგორც უუნარობა, გზა გავუხსნა იმ გამოცდილებებს, რომელთა გამოთქმასაც ყოფიერება (საგნები, მოვლენები, ადამიანები) ჩემით ცდილობს — მის მარად თვითგანახლებას. ყოფიერება რაღაცის გამოთქმას ცდილობს ჩემით და სწორედ ამ გამოთქმის ძალად და ენერგიად მომეცა „ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“.

წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც უფსკრულზე გადასვლას ლამობს. ნაბიჯის წინ გადასადგმელად იგი გზის უკვე განვლილ მონაკვეთს იღებს და წინ ანაცვლებს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ცხადია, თქვენ იტყვით, რომ ასე გადაადგილება შეუძლებელია და რომ იგი, უბრალოდ, უფსკრულში ჩავარდება. არადა, სწორედ ასე ვიქცევით ჩვენ, როდესაც რაღაცის გაგების აუცილებლობის წინაშე ვდგებით. ვცდილობთ უკვე მოპოვებული გარკვეულობები წინ გადავიტანოთ და ასე გავიადვილოთ სვლა. ამას კი გაგებასთან ისევე არა აქვს საქმე, როგორც ნახსენებ კაცს — უფსკრულის გადალახვასთან. არსებითად, იგი უმწეოდ დგას ერთ ადგილზე — ვიმეორებ, გაგებისა და წინსვლის აზრით, თორემ, ერთი შეხედვით, იგი მოძრაობს. გაიხსენეთ ძენონის აქილევსი და კუ. მათ შორის ასი ნაბიჯია. აქილევსი კუზე ასჯერ სწრაფად მოძრაობს. სანამ აქილევსი ას ნაბიჯს გაირბენს, კუ გაივლის ერთს; სანამ აქილევსი ერთ ნაბიჯს გაირბენს, კუ გაივლის ერთ მეასედ ნაბიჯს და კვლავ აქილევსზე წინ აღმოჩნდება. გამოდის, რომ აქილევსი ვერასოდეს დაეწევა კუს, თუმცა კი უსასრულოდ უახლოვდება მას, გამოდის, რომ მის წინაშე კუს სახით ზღვარია აღმართული და იგი სამარადისოდაა ჩაკეტილი დაახლოებით 102 ნაბიჯის დისტანციაში. მთელი უბედურება ის არის, რომ აქილევსი კუსთან მიმართებაში ადგენს თავის მოძრაობას (ისევე, როგორც ჩვენ — წარსულთან მიმართებაში) და ამით წინასწარვე ზღვარს უდებს მას. მას თითქოს დაავიწყდა, გაეთვალისწინებინა ერთი უბრალო და ცხადი გარემოება: ყოველთვის ჩამორჩები იმას, რასთან მიმართებაშიც თავს იდგენ. ზუსტად ასევე, როდესაც კაცი უკვე გამზადებულ ხიდს გადაანაცვლებს უკნიდან წინ, ეს შესაძლებელიც რომ იყოს, იგი კვლავ ხიდის მცირე ფრაგმენტის ფარგლებში რჩება. რეალურად კი იგი სხვას არაფერს აკეთებს, თუ არა იმას, რომ უსასრულოდ ცდილობს, საკუთარი წარსულის კონტექსტუალური ტვირთით განთავსდეს აწმყოში. იგი კვლავ წარსულის ჰორიზონტში რჩება. მისი კირთება სიზიფეს კირთებაა, რომელსაც ვერ გაუგია, რომ მწვერვალთან მიახლების გზა არ უნდა დადგინდეს განვლილ გზასთან მიმართებაში, და რომ ასე მხოლოდ უკვე არაერთხელ გავლილის კიდევ ერთხელ გავლაა შესაძლებელი. წარსულის ამ ტვირთს სწორედ ის ლოდი განასახიერებს, რომლის ატანასაც ცდილობს მწვერვალზე. საკმარისი იქნება, მან თავიდან მოიშოროს თვითდადგენის ეს ლოდი, რომ მწვერვალსაც მიაღწევს და შვებითაც ამოისუნთქავს. მაგრამ მას სწორედ ეს არ შეუძლია — არ შეუძლია, საკუთარი თავი დაადგინოს, როგორც ლოდისაგან თავისუფალმა სიზიფემ.

როდესაც ჩვენ ვცდილობთ, გაგების აქტი მთლიანად წარსულის სუბსტანციით მოვქსოვოთ, იკეტება წრე, რომელსაც მხოლოდ ერთი განზომილება აქვს: უწინ. არსებითად, ეს კვდომაა. სიკვდილი ხომ ის მდგომარეობაა, როდესაც მხოლოდ წარსული არსებობს. მე გარდაცვალებაზე არ ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ სიკვდილზე. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც სამარადისოდ აღმოჩნდები საკუთარი თავის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი იდენტობის ფარგლებში ჩაკეტილი. არადა, ამგვარ ჩაკეტილ წრეში ხომ თავადვე შევდენით ხოლმე საკუთარ თავს, როდესაც მდაბიური შიშით ვიცავთ წარსულის მიერ უზრუნველყოფილი საზრისების ერთგულებას და ნებისმიერ სხვაგვარ შესაძლო არსებობას ჰაიდეგერისეული ლაყბობით, მითქმა-მოთქმით და ცნობისმოყვარეობით ვიშორებთ თავიდან. ამით კი ჩვენთვის სამარადისოდ დახშული რჩება ის სათქმელი, რომელსაც უფალი საგნებისა და ადამიანების პირით გვეუბნება, ანუ დახშული რჩება ის იდუმალი გამოცდილება, რომელიც ღვთაებრივ ნაპერწკლად ჩადებულა ჩვენში. „არა არს ღმერთი მკუდართა, არამედ ცხოველთა“, ნათქვამია მათესთან (22,32).

წარმოიდგინეთ, რომ ვიხედები სარკეში და საკუთარ ორეულს ვუცქერ. ვახორციელებ იმას, რისთვისაც სხვა სახელი ვერ შემირქმევია, თუ არა საკუთარი იდენტობის გადამოწმება ან საკუ-

თარი იდენტობის დადგენა ანარეკლის მეშვეობით. სარკე ხომ, ერთი შეხედვით, ჩვეული საგანია. ჩემს გამოსახულებას არეკლავს, აორმაგებს და ამ ორეულს მთელს ყოფიერებას ამცნობს. იგი ამრეკლავს, როგორც იდენტობაგანსაზღვრულ არსებას და ანარეკლს ყოველი შესაძლო მიმართულებით ავრცელებს, როგორც უწყებას, როგორც ჩემს გარკვეულობას. ამგვარი იდენტობა კი სხვა არაფერია, თუ არა ბედისწერა. ჰოდა, სარკე ადასტურებს მას, მიმანიშნებს მასზე, თუმცა კი კორექტირების შესაძლებლობის ილუზიასაც მიქმნის.

სარკიდან ჩემი ბედისწერა მიცქერს, როგორც ჩემი გარკვეულობა, რომლის ფარგლებში მოძრაობაც მაქვს განჩინებული. იგი საშუალებას მაძლევს, წარმოვთქვა ერთდროულად შვებისმომგვრელი და შემაშფოთებელი სიტყვები: აი, ეს ვარ მე და საკუთარ სხეულსა და ჩემთან მოსულ ნივთებში, თავგადასავლებსა თუ გარდუვალობით გამზადებულ მომავლის ხდომილებებში გაბნეული ჩემი ბედისწერა-იდენტობა მინდა ვიხილო. ეს ერთდროულად სამოთხეც არის ჩემთვის, რამდენადაც შვება და შესვენებაა. ეს არის carpe diem-ის მომენტი ძიებათა გზაზე და, ამავდროულად ჯოჯოხეთია, რამდენადაც სრული სიცხადითა და ულმობელი უშუალობით მანახებს იმ გალიას, რომელიც საკუთარი თავისთვის ამიგია თავადაც და აუგიათ ვიღაცისა და რაღაცის მიერ განჩინებულ გარემოებებს. სარკე მაძლევს შანსს, აღვიქვა ის, რაც ჩემს სამარადისო ტყვეობად შეიძლება იქცეს, თუმცა კი იგი შანსია იმისიც, რომ ამ ტყვეობიდან გათავისუფლების გზებიც ვეძიო. ტყვეობა ხომ თავად მეტყველებს მისგან გათავისუფლების გზების შესახებაც. ნებისმიერმა დიდმა რელიგიამ იცის ეს: ის, რაც მეღობება და, ერთი შეხედვით, გასაქანს არ მაძლევს, თავად არის გზა, ახალი გზა, სწორედ რომ გზა და არა განვლილი მონაკვეთების წინ გადმოტანით შექმნილი გზის ილუზია. ხსნა არის არა ბედისწერა-იდენტობისაგან გაქცევა, არამედ თავისუფლების იმ ხმიანების აღქმა, რომელიც, თურმე, მასშივეა. სრულიად უცნაური და იდუმალი წესით სწორედ ეს გისოსები მიმითითებენ თავისუფლების გზებზე, სწორედ ისინი წარმოადგენენ თავისუფლების კარიბჭეს. მთავარია და შევძლო, რომ შევხვდე მას, მთავარია, რომ შევძლო და „მოვისმინო“ მათი, როგორც ჩემსკენ მომართული უფლის სიტყვა და ჩემი ბედის მეტყველება და ამით ვაქციო ტყვეობა თავისუფლებად. მთავარი მათთან შეხვედრაა — თუ გნებავთ, მეტაფიზიკური შეხვედრა. ყოველდღიური გაგებით, თავისუფლება მხოლოდ ტყვეობით ძრწოლის მდგომარეობაში შეიძლება დაიბადოს. ეს გარკვეულწილად ასეც არის, თუ ძრწოლას დავუმატებთ იმ იდუმალ წესსაც, რომლითაც ტყვეობა გზად, ანუ თავისუფლების კარიბჭედ იქცევა. არსებითად, ჩვენ ხომ მხოლოდ თავისუფლების კარიბჭის მონიშვნა შეგვიძლია და არა თავად თავისუფლებისა, რადგან იმდენად სუსტები ვართ, რომ საკუთარ თავისუფლებას მყისიერად ვაქცევთ ხოლმე ახალ ტყვეობად.

და ახლა იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი სარკეა ყოველი ნივთი — სულიერი თუ უსულო, ყოველი აზრი, ნებელობა თუ განცდა, რომელსაც შინაგან ინტიმში „ვხვდები“ ანუ „ჩემია“. მათში ავისახები მე და, რაკი სიტყვამ მოიტანა, ამიტომაც ცდილობენ ათასი რჯულის შემლოცველები და მჩხიბავები, რომელიმე მათგანი ჩაიგდონ ხელში. შემლოცველობა ხომ სხვა არაფერია, თუ არა წინათგრძნობა იმისა, რომ მე და ჩემი საგანი იდუმალი კავშირებით ვართ დაკავშირებულები, რომ იგი ჩემი იდენტობის ნაწილად იქცევა და მისი გაცემით მე ჩემს იდენტობას ვაზიარებ სხვას: ეს ნივთი ხომ უკვე „ჩემით მეტყველებს“ და ამ მეტყველებით მქმნის და გამომთქვამს. მე მინდა არა ნივთი, არამედ საკუთარი მნიშვნელობის, კოსმოსთან ჩემი კავშირის, ჩემი თავისუფლების კიდევ ერთი დადასტურება, რათა კვლავ მოვიპოვო ის, რაც ჩემმა წინაპრებმა სადღაც და ოდესღაც დაკარგეს ცნობადის ხის ნაყოფის გასინჯვით: როგორც მაქს შელერი ამბობს, რათა კვლავ მოვიპოვო ექსტატური და ორგანული ჩართულობა ყოფიერებაში. გამოდის, რომ არ ვყოფილვარ მთლად ობობა-ურობოროსი და საიმისოდ, რომ თავი ასეთად ვიგრძნო, ნივთების მეშვეობით საკუთარი პროტეზირებაა საჭირო. ასეა თუ ისე, სარკე, როგორც ფენომენი, ზუსტად აღწერს საკუთარი თავისაკენ სვლის ამ უსასრულო პროცესს, რომელიც, საბოლოოდ, ბანალური გარემოებით — ტყვეობის გამო ძრწოლით მთავრდება და სწორედ ამ ძრწოლაში იმალება თავისუფლების კარიბჭის წინათგრძნობაც და წიგნმაც, როგორც „ერთ-ერთმა სარკემ“, ამ წინათგრძნობამდე უნდა მიმიყვანოს.

უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი წილი მხოლოდ თავისუფლების კარიბჭეა და არა თავად თავისუფლება. აღწერასაც, თუ ზემოთნათქვამს აღწერა შეიძლება ვუწოდოთ, მხოლოდ ეს კარიბჭე ექვემდებარება. წიგნსაც, როგორც მეგზურს, მხოლოდ ამ კარიბჭემდე მივყავართ. შემდეგში

უკვე ბეჭდების ახსნის საიდუმლოებაა — იმ შვიდი ბეჭდისა, რომლის ახსნის ხელმწიფებაც აქვს აპოკალიფსისეულ კრავს.

ამის გარეშე ვრჩებით ცნობიერების იმ ჰორიზონტში, რომელსაც უკვე მებიუსის სიბრტყე ვუწოდეთ. წარმოიდგინეთ მასზე მოსიარულე ჭიანჭველა. იგი სვლას ცდილობს, მაგრამ სამარადისოდ კვლავ იქვე ყოფნისათვის არის განჩინებული. ყოველი ახალი ადგილი, სადაც მოხვდება, უკვე იყო და თავისი გარკვეულობითა და მზამზარეულ მოლოდინთა აღსრულებით სიმშვიდეს ანიჭებს. ეს ადგილი ყოველთვის იყო და, მაშასადამე ყოველთვის იქნება, როგორ მოძრაობისა და, ზოგადად, არსებობის სიმულირების გამოხატულება. სინამდვილეში, წეღან ნახსენები უფსკრულზე გადამავალი კაცივით, იმ არარას, რომელიც წინაა, უწყვეტად ავსებს წარსულით. უფრო მეტიც, თავად დრო ჰკარგავს ყოველგვარ საზრისს. იგი განიდევნა, როგორც იტყვიან, ეგზისტენციალური გადაწყვეტილების რომელიღაც იდუმალ მომენტში, როდესაც ახალი ჰორიზონტის შიშმა პლატონისეული გამოქვაბულის ადამიანივით გვაიძულა, ზურგი ვაქციოთ მას, იმ მომენტში, რომელიც, ალბათ, აღარც კი გვახსოვს. ჭიანჭველას მთელი არსებობა აქ და ახლა მოცემული წარსულია. იგი წარსულის, როგორც ასეთის, მეტაფიზიკურ ტყვეობაშია და მის ნებაზე არაფერია დამოკიდებული. მისი მოძრაობა არის ის, რაც იყო და ეს არის ერთადერთი ფორმულა, რომლითაც გამოიხატება მისი მოძრაობა.

ამასთან, ჭიანჭველისაგან განსხვავებით, ჩვენ ხომ თავისუფალი ნება და, მაშასადამე არჩევანის უფლება მოგვენიჭა, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა მებიუსის სიბრტყის ამ ძრწოლისმომგვრელი თვითმწარმოებლობის წიაღში ხსნის მოპოვების უნარი. მესმის, რომ ეს სიბრტყე კომფორტის მომგვრელია, იგი სიცხადესა და გარკვეულობას გვაძლევს, მაგრამ ერთი რამ ხომ სრულიად ნათელია: ტოტალური სიცხადე და გარკვეულობა სხვა არაფერია, თუ არა ტოტალური არარსებობის სინონიმი. უფრო მეტიც, ამგვარი ტოტალური სიცხადე სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ წარსულის გამოცდილებებს მთლიანად დაუკავებია ჩვენი გზა და მაშასადამე გზა აღარც არსებობს და ჩვენ, როგორც ადამიანები, არარას ტყვეობაში ვექცევით და ამ წარსულით ნაგები კომპრაჩიკოსის ქოთნით, იგივე მებიუსის სიბრტყით უარს ვამბობთ გზაზე და, მაშასადამე, არსებობაზე. ამგვარ მდგომარეობას არსებულისა, რომელიც, ამავდროულად, არ არსებობს, სხვა არაფერი შემიძლია ვუწოდო, თუ არა ბოროტება. კაცობრიობის მტერიც ხომ ამას ცდილობს — თვალი ავარიდოთ გზად შემოყრილ განუზღვრელობებს, რომლებშიც, ღვთის მადლით, ხსნა ჩაბუდებულა — და სიცხადეთა კომფორტის მარად იგივეში ჩაკეტილები შევხვდეთ იმ წამს, როდესაც ანგარიშებს მოგვიყრიან ფეხებში. არადა, თითქოს მეტი არაფერი იყო საჭირო ამ განჩინებისაგან თავის ასარიდებლად, თუ არა კეთილი ნება, არ დავჯერებოდით სიცხადეთა ნიღბებს და გარანტირებული კონტექსტის კომფორტის სურვილს არ დავემონებინეთ. სხვაგვარად რომ ვთქვა, ცენტრალური ელემენტი მთელი ამ თავგადასავლისა ყოფილა ჩვენი ნება.

სხვაგვარად ვიტყვი: მე ვცხოვრობ ღვთის სიტყვის დაძაბულობაში. უფალი გამოთქვამს ყოფიერებას, რაც ახლა ჩემთვის იგივეა, სივრცე გამოთქვამდეს საგნებს. სიტუაცია, რომლის აღწერასაც ვცდილობ, ის შემთხვევაა, როდესაც ვეღარ აღვიქვამ ღვთის სიტყვის დაძაბულობას და ეგალიტარულ სივრცეში განვათავსებ საგნებსაც და წარსულით ნაქსოვ და მარად იგივეობაში ჩაკეტილ საკუთარ თავსაც. ეს მდგომარეობა ღვთის სიტყვის იმ ტოტალური დაძაბულობის დათმობის სინონიმია, რომელშიც ნივთი, მოვლენა, ფიქრები, განცდები თუ ადამიანები მოიცემიან. ამგვარი დათმობის შედეგად ჩემი საქმიანობა უკვე სხვა არაფერია, თუ არა იდენტობათა უტილიზაცია. ეს კი ჯოჯოხეთია, როგორც ღვთის სიტყვის მეორადი პროდუქტი, როგორც მისი ნაშთი, რომელსაც ჩვენ ვქმნით, ისევე, როგორც ჩვენ თავადვე ვქმნით ამ უტილიზაციის დემონებსაც, უფრო კი არსებობას ვაძლევთ მათ და ენერგეტიკულად უზრუნველვყოფთ. ამით ჩვენ ვცდილობთ გავექცეთ იმ სამყაროს, რომელსაც ღვთის სიტყვა ქსოვს თავისი დაძაბულობით. ამასთან ბედისწერა არ არის გარედან თავსმოხვეული რამ, ისევე, როგორც უფლის სიტყვა არ არის მონოლოგი. ეს უკანასკნელი თანამეტყველებას, მეტყველების აქტში ჩემს თანამონაწილეობას გულისხმობს და ეს არის თავისუფლება. ბედისწერად იგი იქცევა მაშინ, როდესაც მე გავუუცხოვდები ამ სიტყვას და ჩემგან გარე მდგომად წარმოვიდგენ მას. ხსნა შეიძლება იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას აქვს ღვთის სიტყვის თანამეტყველების გამოცდილება. რაც იგივეა, რომ იგი კრეატორია მასში ჩადებული ღვთიური ნათლის წყალობით და რამდენა-

დაც კრეატორია, იგი მომავალშია, ანუ, მეტაფორულად თუ ვიტყვით, სამოთხეშია. ამით წარსული, აწმყო და მომავალი, ისევე, როგორც ეგალიტარული სივრცე, სივრცით გამოთქმული ყოფიერება და ღვთის სიტყვა ჩემს განზომილებებად იქცევა, იმ ასპარეზად, რომელიც იმთავითვე მომეცემა და რომლიდან გაქცევაც თვითმკვლელობაა.

სოკრატე სწორედ ამგვარი თვითმკვლელობის მდგომარეობიდან ცდილობს თანამოსაუბრეთა გათავისუფლებას. მას ოსტატურად დასმული კითხვებით გეომეტრიული კანონზომიერებების აღმოჩენამდე მიჰყავს სრულიად უმეცარი მონა ბიჭი. ამ დროს იგი აპელირებს უკვე არაერთხელ ნახსენებ პირველად გამოცდილებაზე, რომელსაც ჩვენ, ერთი შეხედვით, ვერც კი მივაგნებთ ჩვენი სულის რელიეფზე. სინგულარობის წერტილის კოორდინატთა განსაზღვრა ხომ იმთავითვეა შეუძლებელი. არადა, იგი ხმიანებს და თანაც სწორედ მაშინ, როდესაც წამიერად მაინც ვაღიარებთ, რომ უმწეონი ვართ რაღაც უცნაური, დაფარულად არსებული გამოცდილების მოსანელებლად, არადა ჩვენს ცნობიერებას თავისი იდუმალი კუნჭულებიდან უწყვეტად გამოაქვს ის, რასაც თითქოსდა თავადვე უგულვებელყოფდა. ასე მიიღება სულის ახალი რელიეფი და ხდება ის, რასაც უკვე „გაგება“ შეიძლება ვუწოდოთ. რაღაცის აღმოჩენა და, შესაბამისად, გაგება ხომ არასოდეს ხდება გარეთ. იგი ხორციელდება მაშინ, როდესაც გარეგანი გამოცდილება გვაიძულებს ჩვენივე არაღიარებული და უგულებელყოფილი შინაგანი გამოცდილება მივიღოთ და განვახორციელოთ აქტი, რომელიც მხოლოდ შორისდებულით შეგვიძლია გამოვთქვათ: „აჰა“. ამით უკვე გამოცდილებათა ახალ განზომილებაში ვიწყებთ არსებობას. ალგორითმების თავის თავში ჩაკეტილ მთლიანობას ბზარი უჩნდება. ცნობიერების მთელი მექანიზმი თითქოსდა ჭრიალს იწყებს. ეს, მართლაც, რეალური ფაქტია და უმრავლესობას განუცდია მომენტი, როდესაც აზრის გამოთქმა უჭირთ. თითქოს სადღაც გამქრალა ის თავისთავად ცხადი კონფიგურაცია და დინამიკა აზრებისა და მეტაფორებისა, და ძველი საკომუნიკაციო ინსტრუმენტალიები უმწეოდ მიტოვებული მარიონეტების მსგავსად გამოკიდებულან. სიტყვებიც აღარ გვემორჩილება, რადგან თითქოს დაუკარგავთ მათ თავიანთი სიცხადე და გარკვეულობა. პლატონის კვალდაკვალ, ყოველივე ამას მეორე ნავიგაცია შეიძლება ვუწოდოთ. ყველაფერი, რაც გამაჩნდა, ფრაგმენტირებულია და პარალიზებული, თუმცა კი უცნაური სიხარული ახლავს მას: ახალი ჰორიზონტის მოპოვების სიხარული.

ძველი ზღვაოსნები, მას შემდეგ, რაც ქარი ჩადგებოდა და აფრები დაეშვებოდა, ნიჩბებით ამოძრავებდნენ ხომალდებს. ამას მეორე ნავიგაცია ეწოდებოდა — deuterus plus. პლატონმა ეს მეტაფორა ნატურალისტური შემეცნებიდან რაციონალურზე გადასვლის გამოსახატად გამოიყენა. ძველი გნოსეოლოგიური პარადიგმები თითქოს პარალიზებულია და ახალს არაფერს გვაძლევს. ახალი ჰორიზონტი ჭირვეული გარდუვალობით გვაიძულებს, მისი არსებობა დავადასტუროთ. პირველი ნავიგაციის დროს ალგორითმთა სისტემას და მზამზარეულ მოლოდინებს თითქოს თავისთავად მივყავართ, ჩვენი ძალისხმევის გარეშე — იმის მსგავსად, როგორც ქარს მიჰყავს გემი. მეორე ნავიგაცია ჩვენს ნებელობას გულისხმობს, გულისხმობს საკუთარი ძალისხმევით მოვძებნოთ ის სოკრატული ბზარი, რომელიც რაღაც პირველადი გამოცდილების გახსენების რეჟიმში გადაგვიყვანს. გაგება ყველაფრის ხელახლა დაწყების გარდუვალობის აღიარება და ძალისხმევის დასაწყისია. ამ გარდუვალობისგან გაქცევას კი სისულელის გარდა ვერაფერს შევარქმევ. ამიტომაც არის სისულელე ჩვენი ნებელობის შედეგი. მას გარედან არავინ გვახვევს თავს: არც ბუნებრივი მონაცემები, არც საკომუნიკაციო იმპერატივები, არც ბედისწერა — პირიქით, ეს უკანასკნელი ხანგამოშვებით გვაგდებს მდგომარეობაში, როდესაც ძალისხმევის მოშველიება და ახალი ცისა და ახალი მიწისაკენ წამყვანი მეორე ნავიგაციის წამოწყებაა ერთადერთი გამოსავალი. არ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებსაც ჩვენში ამ აქტის დააბრკოლება შეეძლოთ, თუ მისი ნება გვაქვს და თუ ნებაყოფლობით არ შევაფარებთ თავს სისულელეს: აფრადაშვებულ გემში მსხდომები არ წარმოვიდგენთ, რომ იგი მოძრაობს და რომ ჩვენ მაინც მივაღწევთ რაღაც მნიშვნელოვანს.

წიგნის კითხვა ყველა შემთხვევაში მეორე ნავიგაციის აქტია. ეს არის მოძრაობის ახალი შესაძლებლობებისა და ახალი ჰორიზონტის მიღების აქტი. ეს იმდენად აუცილებელია ჩვენთვის, რომ მხოლოდ ამით თუ დავადასტურებთ, რომ ღვთიური ნაპერწკლის მატარებელი არსებები ვართ და ვინ იცის, რამდენი შინაგანი ბრძოლა ან ასკეტური შემართება მიძღვნია ამას. ნარკომანია და ლოთობაც ხომ, რაღაც აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ახალ გამოცდილებათა მიღების

მცდელობა. ნარკომანიცა და ლოთიც დარწმუნებულები არიან, რომ ერთხელაც სრულიად განსაკუთრებულ გამოცდილებათა ველს მოიპოვებენ. სწორედ ესაა ის უმთავრესი ცდუნება, მათ რომ ეძალებათ ერთხელ განცდილი „სხვაგვარად ყოფნის“ სიხარულის განმეორებისაკენ. მეორე ნავიგაციის აუცილებლობას აჩენს ის შტილი, რომელსაც ჩვენს ინერციას მინდობილი ობობა-ურობოროსს დამსგავსებული გონება მიეცემა ხოლმე. ეს უკანასკნელი თითქოსდა დაუსრულებლად იმეორებს საკუთარ თავს და თანაც ფრაგმენტირებულ საკუთარ თავს. წარმოიდგინეთ ფირფიტა, რომელზეც მუსიკაა ჩაწერილი. ნემსი მექანიკურად გადაადგილდება მის ზედაპირზე. თუ ფირფიტა დაზიანებულია, იგი უკან ხტება და ხელახლა იმეორებს ფრაგმენტს, მერე კიდევ და კიდევ და ასე უსასრულოდ. თუ ხელით არ გადაადგილე იგი დაუზიანებელ ადგილზე, უსაზრისო ფრაგმენტის განმეორება უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. გონების შტილი სწორედ ამას შეიძლება შევადაროთ. იწყება ფრაგმენტი, თითქოს მოლოდინიც გვაქვს, რომ იგი გაგრძელდება და ბოლომდე გამოთქვამს იმას, რაც უნდა გამოთქვას, მაგრამ მოულოდნელად ისმის ტკაცუნი და ყველაფერი თავიდან იწყება. მერე კიდევ, ის-ის არის, გავემზადებით იმ გზის გასაგრძელებლად, რომელსაც მუსიკალური ფრაგმენტი გვთავაზობს, რომ კვლავ და კვლავ იგივე მეორდება. ალბათ, უფრო ზუსტი შედარება იქნებოდა, თუ გავიხსენებთ, როგორ აგვეკიდება ხოლმე რაღაც მელოდია და მოსვენებას არ გვაძლევს. წამიერად შეიძლება ვიფიქროთ, რომ თითქოს დავადუმეთ იგი და გავთავისუფლდით მისი ტყვეობისაგან, არადა რომელიღაც კუნჭულიდან კვლავ გამოძვრება იგი და კიდევ ერთხელ გვაიძულებს, უსასრულოდ ვიმეოროთ გონებაში. ასეთია გონების შტილიც და თუ არა ჩვენი ძალისხმევა, ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვალთ. ამას ნება უნდა და ამიტომაც ვამბობ, რომ სისულელე, ანუ მცდელობა, რომ შენი გამოცდილებანი მარტივ და ცხად ფორმებში განათავსო, ნებაყოფლობითია. სისულელე გაგების ნების არქონაა. ცხადია, არ ვგულისხმობ კლინიკურ შემთხვევებს.

უფრო მეტიც, სისულელე და უმეცრება ბოროტების სუბსტანციაა. ამ აზრს ხშირად ვუბრუნდები. ხშირია, როდესაც რაღაც აზრი გიჩნდება და შემდეგ ლამის შენგან დამოუკიდებლად იწყებს მოძრაობას და სივრცის გამოთავისუფლებას, ცნობიერების მთელი კონფიგურაციის თანამიმდევრულ შეცვლას. ამით იგი უკვე გამოცდილებაა და თუ გავიხსენებთ, რას ნიშნავს გამოცდილება — უპირველეს ყოვლისა იმას, რომ შენ უკვე წინანდელ მყუდროებაში ვეღარ იარსებებ და ახალი გაქვს მოსაპოვებელი, ისიც ცხადი იქნება, თუ როგორი შფოთი შემოაქვს რაიმე ცხოველ აზრს. მნიშვნელობა არა აქვს, იგი შენ გეკუთვნის თუ — სხვას. ნებისმიერ შემთხვევაში იგი გაიძულებს, იმოძრაო და ამ მოძრაობის გზაზე მისი მრავალსახეობა მოქსოვო, სანამ, ერთ დღესაც, არ ამოიწურება იგი და მიტოვებულ მარიონეტს არ დაემსგავსება. მთავარი ის არის, რომ მისი წყალობით შენ ერთხელ მაინც მოგეცა შანსი საკუთარი წარსულით გარანტირებული იდენტობებისაგან თავი დაგეღწია. გამოცდილება ხომ ჩემი გონების ის ჰორიზონტია, რომელსაც საგნებთან და ადამიანებთან ინტერაქციაში ვქმნი.

სწორედ ასე იყო ამ აზრთან მიმართებაშიც სისულელისა და უმეცრების შესახებ. იგი თითქოს მყისიერად გაჩნდა და მაშინვე საკუთარი თავის დადასტურება მომთხოვა, თავის ველში მაიძულა დარჩენა. მაშასადამე, სისულელე ბოროტების სუბსტანციაა, მისი საშენი მასალაა. და თუ ეს ასეა, ისიც უნდა დავასკვნათ, რომ სისულელე ნებაყოფლობითი რამ ყოფილა — როგორც იტყვიან — ადამიანის ეგზისტენციალური არჩევანი. შეეცადოთ, გავერკვეთ, რას შეიძლება ეს ნიშნავდეს. ჩვენს შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ კონტექსტუალურობას გამოდევნებული მავანი ნებისმიერ ახალ გამოცდილებას იღებს, როგორც ალგორითმს და არა როგორც ახალი ჰორიზონტების გამხსნელს. და რამდენადაც ჩვენში არსებული ალგორითმების კრებული მოითხოვს არა სისტემურ მთლიანობასა და ლოგიკურობას, არამედ სხვა ადამიანებთან არსებული საკომუნიკაციო სივრცის დასტურს, ამდენად სრულიად ცხადია, თუ რატომ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მავანის ერთი ალგორითმი მეორეს, რატომ შეიძლება, ესა თუ ის ალგორითმი აბსურდული იყოს. მიზეზი არც ისე რთული გასაგებია: ალგორითმები კონტექსტუალური უნდა იყოს და არა ლოგიკური, სისტემატური, ზნეობისა და გონების კანონებს დაქვემდებარებული. მათ, როგორც კანტი იტყოდა, პერსონის ლეგალურობა უნდა უზრუნველყონ.

ჩვენ ყველანი ვარსებობთ სოციალურ კავშირთა ერთგვარ სისტემაში, რომელიც ამ ალგორითმებითაა ნაგები. ესაა ის კონტექსტი, რომელში ყოფნასაც ვცდილობთ. გაგების შიში კონტექსტისა და კომუნიკაციების დაკარგვის შიშია. გაგებას შფოთი შეაქვს კონტექსტში და დიდი

ალბათობით, ჩვენს მიერვე განიდევნება საკომუნიკაციო სივრციდან, ჩვენი ჰორიზონტალური კავშირების კონტექსტიდან. ჰოდა, ასე, მებიუსის სიბრტყეზე ურთიერთშედენვით ვქმნით იმ სისტემას, ამოსუნთქვის საშუალებასაც რომ არ გვაძლევს, უსიცოცხლო სივრცეს ვჯერდებით, თუმცა კი ზოგჯერ სწორედ არსებობის აღმნიშვნელი სიტყვებით — სოციალიზაციითა და ადაპტაციით მოვიხსენიებთ მას. შევდენით და მერე ერთმანეთს ვუკრძალავთ სინგულარობის წერტილებთან გაკარებას, თუმცა კი სწორედ ეს წერტილებია, რომელთა მეშვეობითაც ყოფიერება საკუთარ არსებობასა და ღირსებას ადასტურებს და რომლითაც თავის ტოტალობას გამოხატავს.

სიტყვა „მკითხველსა“ და „მკითხავს“ შორის მხოლოდ ფონეტიკური მსგავსება არ უნდა იყოს. ყოველდღიური აზრით, მკითხავი არის ის, რომელიც ფენომენთა რაღაც განლაგებაში იდუმალ აზრს კითხულობს და დროთა კავშირის გარკვეული ფრაგმენტების ამოცნობას ახერხებს. გარკვეული ფენომენები (ყავის ნალექი, კარტი და სხვანი) და მათი განლაგება მისთვის იმავე როლს თამაშობს, რასაც ანბანი მკითხველისათვის, ისინი ისევე გამოთქვამენ რაღაცას, როგორც ანბანი სიტყვებს. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გამოთქმულთან და აღმქმელთან. ეგ არის, ანბანის ასე და ამგვარად აღქმის შესახებ არსებობს საკომუნიკაციო თანხმობა და ანბანის „ჭეშმარიტებაც“ ამგვარი უნივერსალური კონვენციით არის დადასტურებული. ამიტომაც არის, რომ ჩვენ შეიძლება არ დავიჯეროთ მკითხავის მიერ წაკითხული, მაგრამ აზრადაც არ მოგვივა, ეჭვი შევიტანოთ იმაში, რისი ჭეშმარიტებაც ჩვენივე თანხმობით არის დადასტურებული. ჩვენ ვიცით, რომ ასო ბგერის ნიშანია, ხოლო ასოთა ერთობლიობა – სიტყვისა, რომელსაც ჩვენ გამოვთქვამთ. გამოთქმულით კი ჩვენ ყოფიერის მოქმედების, განცდისა და სხვათა სახელდებას ვახდენთ — იმისა, რაც თითქოს გამოთქმულის გარეთ და მისგან დამოუკიდებლად არსებობს. გამოთქმით ჩვენ ყოველივე ამის დადასტურებას ვახდენთ. ამით ჩვენ ყოფიერთა პარალელურ საკომუნიკაციო ქსოვილს ვქმნით, რომელიც კვლავ და კვლავ ივსება და გარდაიქმნება ყოფიერთა ახალი და ახალი საკომუნიკაციო დასტურით. და ამითვე ჩვენ თავად ყოფიერთა სფეროს ვაფართოვებთ — საკომუნიკაციო ქსოვილიც ხომ ყოფიერია და მას ჩვენ ისევე ვეპყრობით, როგორც ნებისმიერ სხვა ყოფიერს. მეტყველებით ჩვენ ვადასტურებთ არა მხოლოდ ჩვენს „გარეთ მდებარე“ ყოფიერთ, არამედ ენასაც და არა მხოლოდ ნიშანთა და მათ კავშირთა ერთობლიობას, არამედ როგორც საკუთარი თავის მწარმოებელს. და თუკი ენა, როგორც საკომუნიკაციო სფერო სხვა ყოფიერებთან ინტერაქციაში გარდაიქმნება და იცვლება, ეს ნიშნავს, რომ ყოფიერნი ინტერაქციაში ყოფილან ჩვენთან და თავისი გამოთქმულით ისინიც მონაწილეობენ ჩვენს ინტერაქციებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომუნიკაციათა სუბიექტები ვართ არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ისინიც, ვისაც აქამდე ობიექტებს ვუწოდებდით. ეს ყოფილი ობიექტებიც გამომთქმელებია, უფრო მეტიც, ამ გამოთქმით გვაიძულებენ, გავაფართოვოთ ჩვენი საკომუნიკაციო კონვენციების სფერო. ისინი გვაიძულებენ, რომ მათი დადასტურების გზით ვიაროთ და ამით ჩვენი ადეკვატურობისა და მეტაფიზიკური განთავსების ადგილის რწმენა შევინარჩუნოთ — დავკარგოთ და კვლავ მოვიპოვოთ. ამდენად, ჩვენი ცოდნის, როგორც საყოველთაო კონვენციის მიღწევაში მონაწილეობენ ისინიც, რომელთაც ეძღვნება ეს ცოდნა: საგნები, პროცესები, ადამიანები, გრძნობები და სხვანი. ალბათ, ეს არის ცოდნის საყველპურო გაგების ერთადერთი შესაძლო ახსნა: იგი წარმოადგენს ტოტალური კომუნიკაციის მიბრუნებას საკუთარი თავისაკენ, მის თვითცნობიერებას, რომელსაც მე ვადასტურებ. არავითარი საქმე ამას არა აქვს საგნისა და ამ საგნის შესახებ აზრის არისტოტელურ თანხვედრასთან. ეს არის კონვენცია, რომელიც მყარდება ჩემსა და მეორე ადამიანსა თუ საგანს შორის. ამ პლანში აზრს კარგავს ლაპარაკი ჭეშმარიტებაზე, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ კონვენციაზე, რომლის ფარგლებშიც ჩვენ ვმოძრაობთ.

მკითხავის მიერ წაკითხული ის შემთხვევაა, როდესაც სუბიექტი იღებს ყოფიერთა საკომუნიკაციო შესაძლებლობებს, აღიქვამს მათ, როგორც მეტყველთ და გამომთქმელთ რაღაც ისეთისა, რაც ადამიანთა მიერ შემუშავებული ფორმალური საკომუნიკაციო კონვენციით არ არის გათვალისწინებული. ამით იგი „უცნაურია“, „საოცარი“, იმგვარი მოლოდინების შესაძლებლობებზე მიმანიშნებელია, რომლებიც საკომუნიკაციო რაციონალიზმის ფარგლებში ვერ თავსდებიან. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანი აღიარებს ადამიანის გარეთ არსებულ კო-

მუნიკატორთა ტოტალურ ძალმოსილებას და გამოთქმისა და საკომუნიკაციო სინამდვილის ფორმირების მთელ კომპეტენციას მათ გადასცემს. იგი აძლევს მათ საშუალებას, გამოთქვან ის კავშირები და ტენდენციები, რომლებიც შეუძლებელია გათვალისწინებულ იქნას ისეთი უნივერსალური საკომუნიკაციო პარადიგმებით, როგორებიცაა ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ფსიქოლოგია და სხვანი. იგი აქამდე გაუთვალისწინებელ მოლოდინებსა და შესაძლებლობებში მოძრაობს და ამით ახლოს არის მწერალთან, ფილოსოფოსთან, ზოგადად, ხელოვანთან, რომლებიც მხოლოდ იმდენად ქმნიან რაიმე ღირებულს, რამდენადაც ხელეწიფებათ ამგვარი „წაკითხვა" და ამ წაკითხულის საკომუნიკაციო ლინგვისტიკაში გადატანით ამ უკანასკნელში შფოთის შეტანა. ხელოვნება, თუ ის ხელოვნებაა, ხომ არასოდეს არის რაიმე თეორიული კონცეფციის, რაც იგივეა, ფორმალიზებული საინფორმაციო გარკვეულობის ინტერპრეტაცია. იგი ყოველთვის ამ ფორმალური სივრცის „გარეთაა", „მის მიუხედავადაა" და თუ არა მკითხავის, როგორც მკითხველის არქეტიპზე დაფუძნებული ეს საქმიანობა, კომუნიკაციის ცხოველმყოფლობისაგან მხოლოდ ფორმალური ალგორითმების სისტემაღა დარჩებოდა. სწორედ ეს საქმიანობა გვაიძულებს, კვლავ და კვლავ დავადასტუროთ ჩვენი საკომუნიკაციო რაციონალიზმის ქმედითობა და ადეკვატურობა. თუმცა კი, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში ყველაფერი საკომუნიკაციო ალგორითმების თვითკმარობისაკენ მიდის. ჰიპერრეალობა და ვირტუალური სინამდვილე მეთოდურად და თანამიმდევრულად განდევნის ყველაფერს, რასაც კომუნიკაციათა კეთილხმოვან თანხმიერებაში შფოთის შეტანა შეუძლია. სინგულარობის წერტილთა არსებობის აღიარება ამ თანხმიერების მოკვდინების ტოლფასია.

არადა, როდესაც ვიწყებთ იმის გააზრებას, თუ რას ჰქვია „წიგნის კითხვა", ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ თუ გულახდილები და პატიოსნები ვიქნებით, აუცილებლად მოგვიწევს საკომუნიკაციო ველის წიაღში ამგვარი წერტილის წინაშე წარსდგომა. ამის შემდეგ ისეთივე მისტიკური მოგზაურობა იწყება, როგორსაც მარტინ ჰაიდეგერი გვაუწყებს თავის ესსეში უკვე ნახსენები მეტაფორების (ღვთაებანი, მოკვდავნი, ზეცა და მიწა) მეშვეობით. მთავრდება საკომუნიკაციო რაციონალიზმით კარგად შეკრული სივრცე და იწყება ის, რასაც ლიტერატურა შეიძლება ვუწოდოთ, როგორც მცდელობა, ცნებითი არტიკულაცია განხორციელდეს იმისი, რაც იმთავითვეა არაარტიკულირებადი. თანხმიერება და თანამეტყველება, ან, რაც თითქმის იგივეა, თანქმნა, იმთავითვე არ შეიძლება საკომუნიკაციო მატრიცით აღიწერებოდეს. ამიტომაც არის ლიტერატურა, უმალ, მინიშნება, ვიდრე აღწერა.

წიგნი არის საგანი, რომელსაც მაშინ აქვს საზრისი, თუ მასთან თანხმიერებაში თანაქმნის აქტს ვახორციელებ, თუ მისგან „ვიგებ" იმას, რაც ჩემი გამოცდილებაც ყოფილა, ოღონდ სულის რომელიღაც კუნჭულში თვლემდა, მარად მოუხელთებელ გამოცდილებათა ადგილას. ამ აზრით, იგი „ახალს" არაფერს მეუბნება, უბრალოდ მაძლევს შანსს, რომ განსხვავებულ ჰორიზონტში ვმყოფობდე მასთან ერთად. და თუ გავიხსენებთ, რომ ცოდნა სხვა არაფერია, თუ არა გამოცდილება და იმ ინსტრუმენტალიების სისტემა, რომლითაც გონება ამ გამოცდილებებს ამჟღავნებს და თავის ჰორიზონტად აქცევს, მაშინ წიგნს „ახალი" არაფერი უთქვამს და მეხსიერება ჩემთვის ერთ-ერთი ორგანონი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ საკუთარი გამოცდილება დამედასტურებინა ბერძენთათვის უმაღლესი სათნოების — დიალოგის უნარით. დიალოგი მყარდება ჩემსა და იმ უსულო საგანს — წიგნს — შორის, რომელსაც ამის კომპეტენცია მისცემია. იგი თითქოსდა დიალოგის უნივერსალური სუბიექტია. ვიმეორებ, იგი სათქმელის თანამონაწილეა და არა სუბიექტი ან ობიექტი. რომელიც მეტყველებს, რადგან წიგნი, როგორც მთქმელი, ობიექტივირებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას არავინ კითხულობს, ყველა სხვა შემთხვევაში იგი ჩემში, როგორც მკითხველსა და საკუთარ იდუმალ გამოცდილებებს მიყურადებულში იძენს თავის ფუნქციობას. ის კონცენტრიული წრეები, რომლებსაც ახსენებენ რაიმე რთული ტექსტის გაგებაზე საუბრისას, ხომ სხვა არაფერია, თუ არ წიგნის, როგორც ასეთის, განსხვავებული არსებობა, როგორც მთქმელისა ჩემთან, თანამთქმელთან ერთად. თავად ადამიანიც ხომ ასეთივე მოუხელთებელია მისი იდენტობის დადგენის თვალსაზრისით და ისიც ხომ ასე განსხვავებულად „იკითხება" დიალოგის აქტში?! და არა იმიტომ, რომ იგია განსხვავებული, არამედ იმ მიზეზით რომ იდენტობებს, როგორც ასეთს, ჩვენ სწორედ შეხვედრის აქტში ვადგენთ. ამდენად, შეხვედრა, თუ ამ ფენომენის ზღვრულ მნიშვნელობას ავიღებთ, ყველაზე პრობლემური და, ამავდროულად, ყველაზე კრეატიული რამაა ამქვეყნად.

შეხვედრის დროს ხომ მე შემხვედრის იდენტობასაც ვადგენ და, ვინ იცის, ვშველი კიდეც საკუთარი იდენტობის დადგენასა თუ მისკენ სვლაში ისევე, როგორც ის მშველის მე. ჩემსა და მის სვლას შორის ზღვარი ქრება და ორივენი — გაგების რა საფეხურზეც არ უნდა იყოს საუბარი — ერთსა და იმავე სფეროში ვტრიალებთ, ანუ ვხვდებით ერთმანეთს, როგორც არა მხოლოდ მეტყველნი, არამედ საერთო გამოცდილებაში თანამეტყველნი. ჩვენს სვლებს შორის კოჰერენცია, დინამიკურ ფიგურათა და იდუმალი მოგზაურობის რელიეფთა თანხვედრაა ის უმნიშვნელოვანესი განზომილება, რომელსაც ორივენი ვქმნით და ვიძენთ და რომელიც ადასტურებს, რომ ჩვენ იმთავითვე საერთო გამოცდილების შვილები ვართ — იმ სამოთხისა, რომლიდანაც გამოგვდენეს და რომელსაც დიალოგის წმინდა თვალთმაქცობით ვიბრუნებთ უკან. ჩვენ შვილები ვართ იმ გამოცდილებისა, სადაც ინგრევა ის საზღვრები, ერთმანეთს შორის რომ აღგვიმართავს და ჩვენ ორივენი თანაობის ახალ კონფიგურაციას ვქმნით.

ამ აზრით, წიგნი უნივერსალური მოთანავე თუ თანამყოფია და არა ობოექტივირებული ცოდნის სისტემის შემცველი, ანდა მითუმეტეს, გამრთობი. იგი ჩემს იდუმალ გამოცდილებათა გამო მესაუბრება და უნებურად მეც მასაუბრებს ამავე გარემოებათა გამო. მასში არაფერია დაფარული ისეთი, რაც მე წინასწარვე არ „ვიცოდე“, თუმცა კი თაღლითი მოწაფესავით გავურბივარ ამ ცოდნას. ჰოდა, წიგნიც თვალთმაქცობს და დაუსრულებლად თხზავს იმ სახეებს, რომლებითაც ახერხებს, იდუმალი დიალოგი გართობით შენიღბოს და იდუმალ გამოცდილებათა მხარეში წარმიძღვეს. მეორე მხრივ კი, მაიძულოს, რომ მეც წარვუძღვე მას საკუთარი რაობისაკენ. და ასე, ურთიერთგაბითურებითა და გაცურებით მივიტყუებთ ერთმანეთს იქით და იმ მიმართულებით, საითკენ სვლაც ერთადერთი საზრისის მატარებელი რამ არის სამოთხიდან გამოდევნის შემდეგ, რადგან სხვა სასიარულო არ გაგვაჩნია და საითაც არ უნდა მივდიოდეთ, საბოლოოდ მაინც იქ გვიწერია მისვლა, რადგან ყველა გზა, საბოლოოდ, მიდის „რომისკენ,“ როგორც პირველადი გამოცდილებების ადგილისაკენ.

დიდი წიგნი შანსია, ღვთის სიტყვის თანაზიარნი გავხდეთ. თავისთავად დიდი წიგნიც არაფერია და, ხატის მსგავსად, იბადება მაშინ, როდესაც ჩემი და ჩემი საკრალური გამოცდილების შეხვედრის ადგილად იქცევა. წიგნის მეშვეობით მე ჩემს თავში ვეძიებ რაღაცას, იმ იდუმალს, რომელიც იმთავითვე ჩადებულა ჩემში და რომელიც უნდა გამოვათავისუფლო იმ ტყვეობისაგან, რომელიც ამავე გამოთავისუფლების გზაზე მიშვია მე თავადვე. ამით, მკაცრი აზრით ყოველი გამოღვიძება „სიზმრად გამოღვიძებაა“, შვიდ ბეჭედთაგან ერთ-ერთის გახსნაა. (ვინ-მე ღირს არს განღებად წიგნისა ამის და განჴსნად ბეჭედთა მისთა? (გამოცხ. 5.2) აჰა ესერა სძლო ლომმან თესლისაგან იუდაჲსა, ძირმან დავითისმან, რომელმან აღაღოს წიგნი და შჴდნი იგი ბეჭედნი მისნი. — გამოცხ. 5.7) წიგნი მამოგზაურებს მე იმ იდუმალი გამოცდილების სამყაროში, რომლის მოლოდინიცა და იმედიც მთელს ჩემს არსებობას ფარულ და მძლავრ თანამდევად დასდევს. თუ არა ეს იმედი, იმედი იმისა, რომ ერთ წამსაც აიხსნება ეს ბეჭდები და მე გავიგებ, თუ რა ხდება იქ, სადაც მე ვარ, ალბათ, არც ვიარსებებდი. ადამიანი, ალბათ, მთლიანად ამ იდეის სუბსტანციით არის ნაგები, იგი შექმნილია საიმისოდ, რომ ერთ წამსაც გაიგოს, თუ რა ხდება იქ, სადაც არის და დიდი წიგნი ყავარჯენია ამ გზაზე და ეს მანამ, სანამ არ დაავანებს იქ, სადაც იგი იმთავითვეა: თავისი სულიერების ყუდროს უსასრულო პერსპექტივაში. ამ იდუმალ წამამდე კი მას ელის მოგზაურობა სამყაროში, რომელიც მთლიანად საკუთარი ქიმერების სუბსტანციით ნაგები ლაბირინთებია და სხვა არაფერი და თუკი სადმე დავანდება, ამავე ქიმერებით ნაგებ მღვიმეში (შენდამი, უფალო, ჴმა-ვყო; ღმერთო ჩემო, ნუ დასდუმნები ჩემგან, ნუ სადამე დასდუმნე ჩემგან და ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან მღჴმესა. — გამოცხ. 27.1) ჯოჯოხეთი მეტაფორულად გამოხატავს მდგომარეობას სულისა, რომელიც ამ მღვიმეში დავანებას მისცემია და ამ საკუთარი ქიმერებით ნაგები საპყრობილის ტყვეობაში მოქცეულა. ამის შემდეგ კი ყველაფერი მექანიკური გარდუვალობით ხდება: მე განვაგრძობ ჩემივე ქიმერებით საპყრობილის აგებას და საპყრობილე იქცევა იმ კომპრაჩიკოსის ქოთნად, სუნთქვის საშუალებას რომ აღარ მაძლევს. ჩემივე ძალისხმევით ვქმნი ამგვარ ტყვეობასაც და შინაგან და გარეგან გამოცდილებათა დიდი შეხვედრის ადგილსა და შანსს.

თავიდანვე ვთქვით, რომ სწორედ ეს შეიძლება აღმოჩნდეს სინგულარობის ის წერტილი, საიდანაც იწყება წიგნის კითხვა — წერტილი, რომელსაც რაღაც მომენტში, ერთი ქრისტიანი

მისტიკოსის კვალდაკვალ, კატასტროფა ვუწოდეთ. სადღაც ქრება სამყაროს ის გარკვეულობა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი სამყაროს თვითმწარმოებლობის პროდუქტი და დგება მომენტი, რომელიც უცნაური სიზუსტით ემსგავსება კატასტროფას გადარჩენილთა მდგომარეობას, ურთიერთთანაყოფნით ხელახლა რომ უნდა შექმნან თავიანთი სასიცოცხლო გარემო. იოანეს გამოცხადება გავიხსენოთ. გავიხსენოთ, თუ რა ხდება მას შემდეგ, რაც ოთხ ცხოველსა და უხუცესთა შორის მდგომი კრავი შეუდგება ბეჭდების ახსნას იმ წიგნისათვის, ტახტზე მჯდომარეს რომ უპყრია მარჯვენაში. რა მოჰყვება შვიდი ანგელოზის საყვირს. ის, რაც ხდება ამის შემდგომ, ყოველგვარი გაგების არქეტიპია, ოღონდ შენ იგებ იმას, რაც, თურმე, ყოფილა, უფრო სწორად, ყოფიერებას იგებ, როგორც კოსმოგონიური აქტის ტოტალობას აქ და ახლა, აწმყოში, როგორც ყოფიერების მახეში. კატასტროფა, როგორც ზღვრული შემთხვევა, ჩვენს შემთხვევაში ნიშნავს არა ყოველივეს დასასრულს, არამედ ყოველივეს დასაბამს, რომელშიც თავადაც მონაწილეობ, როგორც ერთ-ერთი შემოქმედი საწყისი. და თანაც მონაწილეობ გარკვეულობათა გარეშე, საყრდენი წერტილების გარეშე, იმის გარეშე, რომ უფსკრულზე გავლისას განვლილი გზა ხიდად გამოიყენო. ისევ ჩვენს თემას რომ მოვუბრუნდეთ, ამ დროს შენ აღარ კითხულობ ვიღაცის დაწერილ წიგნს, შენ თავად ხარ ამ წიგნის დამწერი. გახსოვთ ფრიდრიხ შლაიერმახერი? მორწმუნეა არა ის, ვისაც წმინდა წერილისა სწამს, არამედ ის, ვისაც თავად ძალუძს წმინდა წერილის დაწერა. ადრესატი და ადრესანტი ჰკარგავენ თავიანთ საზღვრებს და ერთმანეთში იწყებენ გადასვლას ახალი ცისა და ახალი ქვეყნის წიაღ. ალბათ ესაა ყოველგვარი შემოქმედების არქეტიპი და ამიტომაცაა ადამიანი იმთავითვე შემოქმედი არსება თუნდაც იმით, რომ საკუთარი ფარული გამოცდილებების გამჟღავნებით უფლის სიტყვას ადასტურებს.

როგორ უნდა მოვიპოვო წიგნთან შეხვედრისა და დიალოგის ამგვარი სიტუაციურობა? როგორ უნდა მოვიპოვო საკმარისი გახსნილობა მისთვის? როგორ უნდა მოვიპოვო უნარი იმისა, რომ სიცხადეთა ლეგიონს გავუჩინო ბზარი, საიდანაც ჩემი უცნაურად ფერნაცვალები მეხსიერება სულის სადღაც შორეულ წერტილებში განაბულ გამოცდილებებს შემოიტყუებს? როგორ უნდა მოვიპოვო ძალა მოლოდინისა, რომ სიცხადეთა შორის წამიერად მაინც შეიძლება გამოანათოს ტკივილისმომგვრელად ნაცნობმა და თავისი სისავსით დამთრგუნველმა ნათელმა, ახლის ძალა და ენერგია რომ უნდა შესძინოს გახევებულ და თვითკმაყოფილ სიცხადეებს? დაბოლოს, როგორ უნდა მოხდეს ჩემს მიწიერ არსებობაში ის, რასაც, ალბათ, ნებისმიერ ინტელექტუალურ ტრადიციაში სიკვდილამდე გარდაცვალებას უწოდებდნენ? როგორ უნდა მოხდეს ის, რაც გადაშლილი წიგნით სიმბოლიზდება, ანუ დადგეს წამი, როდესაც დიალოგის სიცხადე, ჩემი თანამყოფობა უფლის სიტყვის ხორციელად ქმნაში დაძლევს ყველაფერს, ყველა სიცხადეს, ყველა იმ საკომუნიკაციო დემონს, რომლებიც პარალელური სინამდვილის ფანტომურ სიცხადეში ცდილობენ ჩემს შეტყუებას? სიტყვა, რომელიც დიალოგის აქტიდან ამოუგდიათ, ნივთი, რომელიც არ მთავაზობს, რომ თანამეტყველი ვიყო მისი, როგორც ღვთის სიტყვის გამჟღავნებისა, სუბიექტი, რომელიც მოიცემა არა დიალოგში, როგორც შესაქმეში, არამედ როგორც ფსიქოლოგიური და საკუთარი თავის იგივური რამ, მხოლოდ პარალელური ფანტომური სინამდვილის შემქმნელებია. გავიგო რაღაც იმის დავიწყებით, რომ იგი თანამყოფია და თანამეტყველი, გავიგო ღვთის სიტყვაში ჩვენი იდუმალი და გარდუვალი კოჰერენციის გარეშე — არსებითად, ხომ სწორედ ამ კოჰერენციას უწოდებდნენ რელიგიური მოაზროვნეები სიყვარულს — იგივეა, რომ წიგნის წაკითხვა მისი გადაშლის გარეშე ვცადო.

ისევ ჩემი ბავშვობისდროინდელი მეგობრის გახსენებით დავასრულებ — ჩემთან ყოველი შეხვედრის შემდეგ საწყისი წერტილიდან რომ იწყებდა სამყაროს გაგებას — არაჩვეულებრივი გულწრფელობითა და ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე. რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, მასთან თითქმის არ მქონდა ურთიერთობა. შემდეგ, წლების მერე მითხრეს, ერთ დღესაც მთელ ყოფიერებას დაემდურა და გარემომცველებთან ლამის ყოველგვარი კავშირი გაწყვიტაო. გარიჟრაჟზე გამოდის სახლიდან და დღის განმავლობაში უბანს გარშემო უვლისო. ხანგამოშვებით მაღაზიებში შედის და გამყიდველებს ხან რას თხოვს, ხან კიდევ რასო. წინასწარვე იცის, უარს ეტყვიან და თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, ისე გამოდის მაღაზიიდან და თავის უსასრულო გზას განაგრძობს, სანამ გვიან ღამით სამსახურიდან დაბრუნებული ძმა სახლში არ შეიყვანსო. მშობლები დიდი ხნის წინ გარდაეცვალა. დედმამიშვილებიდან მხოლოდ ერთი უცოლშვილო ძმა დარჩა და ის პატრონობდა.

მოკლედ, დადის და რაღაცას ფიქრობს თავისთვის, რაღაც ერთგვაროვანს, ერთხელ და სამუდამოდ რომ მორგებია ამ წრეების რიტმს. ან, იქნებ, წრეზე სიარულით იმ საწყისი წერტილიდან ცდილობს თავის დაღწევას, რომელშიც მას შემდეგ გახევდა, რაც რაღაცის გაგებაც შეეცადა?! ცხადია, ჩემთვის უფრო მოხერხებული იქნება, ვთქვა, რომ ეს უფრო პროტესტი და დამდურება იყო იმ სიცრუის გამო, რომელშიც თავი იგრძნო თუნდაც ჩემი და ჩემისთანების განმარტებათა წყალობით და რომ ეს უფრო სხვა სივრცეში გადასახლების სურვილი გახლდათ. დადიოდა და ხანგამოშვებით აბეზარად აკიდებულ ბავშვებსაც კი არ იგერიებდა, უბრალოდ, ვერ ამჩნევდა. იქნებ, მართლაც, მხოლოდ იდიოტები ვერ ერევიან საკუთარ თავში ოპტიმისტურ იმედებს?! რეალისტები კი უსასრულო წრეზე დადიან და არც იმას ითვლიან, რამდენი ჩალიეს. დათვლა ხომ გზის დასრულების იმედის ნიშანი იქნებოდა. ისინი, უბრალოდ, დადიან და დადიან — იმედისა და შიშის გარეშე. მამარდაშვილი იმეორებდა ხშირად, ორი უმთავრესი მტერი ჰყავს ადამიანს, ცრუ იმედი და შიშიო.

ამ რამდენიმე ხნის წინ გარეთ ვიდექი ჩემს ჭიშკართან და ისიც გამოჩნდა. მხრებზე ძველი, გაცვეთილი და მტვრიანი ნაცრისფერი პალტო მოეგდო, უსაშველოდ მორკალულ ფეხებზე ძველი, დაჭმუჭნული და გაცვეთილი ყავისფერი ფეხსაცმელები წამოეცვა და, ერთი შეხედვით, ძლივს მიათრევდა სხეულს. ასე გეგონებოდა, რომ ცოტაც და დაეცემა ან დაღლილობისაგან ჩაიკეცებაო, მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა. მზერაში ისეთი თვინიერება და, ამავდროულად, სიმკაცრე და გულგრილობა ჰქონდა, რომ არც უნდა წაქცეულიყო. ასეთი უიმედოები არ ეცემიან. დაცემაზე არ ფიქრობენ და, ალბათ იმიტომ. დაცემაზე, ალბათ, ის ფიქრობს, ვისაც იმედი აქვს, რომ ხელს მიაშველებენ. ჰოდა, არ დავმალავ, უცებ, მაცდური სურვილი გამიჩნდა, მას მივყოლოდი და მასავით თვინიერი გულგრილობით შეპყრობილს უსასრულოდ მევლო წრეზე უბნის გარშემო.

ან, იქნებ, პირიქით, ვერ თმობს იმედს, რომ ერთხელაც წრეზე მიმავალი გზასა და ჭეშმარიტებაში იგრძნობს თავს? საამისოდ კი უკვე გადალახული უნდა ჰქონდეს ყველა მიჯნა და ყოველგვარი იმედი, სასოწარკვეთა თუ უბედურება ამ დაუსრულებელი წრეების გარეთ უნდა ჰქონდეს განდევნილი. თავისთავში ჩაკეტილმა წრემ ყველაფერი უნდა შთანთქოს და მოინელოს. უფრო მეტიც, ამ წრეზე უსასრულო კვლავდაბრუნებამ უნდა გაარღვიოს ის სამყარო, შიშებით, და იმედებითა და მოლოდინებით რომ არის ნაგები და სხვა აღარაფერი დარჩეს, წრის უსასრულო სრულყოფილების გარდა. წრე ხომ არის და არც არის, რადგან საკუთარი თავის გარეთ არც არსებობს და თვითკმარია. არ არსებობს იმდენად, რამდენადაც მხოლოდ საკუთარ ცენტრთანაა მიმართებაში და სხვა ყველაფერი თავისი ერთგვაროვნების ძალმოსილებით გაუქრია.

იქნებ, მართლაც, ასე მოხდეს?! ვინ იცის?! ეს დაუსრულებელი წრეებიც ჩამთავრდეს, უფალმაც თვალი ჩაუკრას, წამიერად თვალი აუხილოს და წაიყვანოს? მანამ კი დადის გუნებაგახევებული და დაღლასაც კი ვერ გრძნობს. უბრალოდ დადის თან დააქვს თავისი ფიქრების იდუმალება, მისი მაცქერლების ენაზე „სითარსედ“ თუ „დაწყევლად“ რომ ითარგმნება. მათთვის ხომ უცხოა ისეთი რამ, როგორიცაა: ბედი, სიკვდილის მუდმივი მეზობლობა, იმედების სიფლიდე, სიხარულის უკანონობა თუ წამიერი დავანება საკუთარი სულის ყუდროში. მთელი მათი მეტაფიზიკური აზროვნება ამ ერთი მოკლე და არაქართული სიტყვით — თარსი — ამოიწურება. ეგ არის და ეგ. მათვის ხომ შავი კატა უფრო ძალმოსილია, ვიდრე უფლის სიტყვა.

ის კი განაგრძობს თავის დაუსრულებელ სვლას დაუსრულებელ წრეებზე, რომელსაც ერთი და იგივე საგნები და ამ საგნებს შორის თუ მათში მოძრავი ადამიანები, უბნის ძაღლები და კატები ჰქმნიან და რომელშიც, მიუხედავად ამ მოძრაობისა, არაფერი იცვლება. ხანგამოშვებით უახლოვდება რომელიღაც უსასრულოდ ნაცნობი სახლი ან უსასრულოდ ნაცნობი ნაგვის გროვა, გვერდით ჩაუვლის და ნელ-ნელა, სხეულის მონოტონურ რხევას აყოლილი გაეცლება, რათა ასეთსავე უსასრულოდ ნაცნობ ახალ ნივთს დაუთმოს ადგილი. თუმცა კი ამ დროს არ არის მონაცვლეობა, ამ დროს უფრო განმეორებადი მიმდევრობაა საგნებისა. რამდენადაც ერთი და იგივე საგანი კიდევ და კიდევ ბრუნდება, თითქოს არც გასცლია მას და ამ უსასრულო წრეების ერთობლიობაში მარად მასთან რჩება. დაინახავს, მიესალმება, გაუღიმებს და გაეცლება. მერე კიდევ და კიდევ, სანამ ამ ერთი და იგივე საგნების მონაცვლეობიდან ძმის ხმა არ მიიხმობს და დაყვავებით არ წაიყვანს სახლში. მერე ჩაძინებისას წრეც ჩაიძირება სადღაც და მიიკარგება, სანამ უცნაურ ძილ-ღვიძილში კვლავ არ შემოიჭრება და თავისთან არ დაუძახებს. კიდევ და

კიდევ. ადამიანს ლამის მთლიანად უნდა ჰქონდეს შიშისა და იმედის უნარი დაკარგული, რომ ასე მინებდეს წრის იდეას და ასე მოისროლოს თავისი ცხოვრება წრეებსა თუ წრეზე სასიარულოდ. არათუ არც უნდა ცდილობდეს მის გარეთ გასვლას, თითქმის არც არაფერი უნდა ეგულებოდეს მის გარეთ. ეს არის ზემოთნახსენები კატასტროფის უსასრულოდ გაჭიმული მდგომარეობა. მთელმა სამყარომ მოიძრო შიშებისა და იმედების ნიღაბი და წრეში ჩაიკეტა. ამიტომაც არ არის მისი სვლა სიზიფეს შრომა. ეს უკანასკნელი საზრისითაა სავსე იმასთან შედარებით, რასაც ეს სჩადის. სოზიფეს ხომ მთის წვერზე ლოდის შეგორების ჟამს ერთი წამით, წამის მეასედით მაინც გაურბენს იმედი, რომ ლოდი ახლა მაინც მოიკიდებს ფეხს. მის სვლას კი თითქოს არც წარმოსახვითი დასაწყისი აქვს და არც წარმოსახვითი ბოლო. და ამიტომაც იგი, უმალ, უძრაობაა, სრული არარაა. და თანაც წრის ყოვლადსისრულეა. მოკლედ, წრეა.

ძველად, მთა-თუშეთში, ჰეღოში ერთი მწყემსი ბიჭი ყოფილა. ცხვრის პატრონს შეუმჩნევია, რომ მას ფერ-ხორცი ჰქონდა დაკარგული. უთვალთვალა და ნახა, როგორ მოფრინდა სამი მტრედი, ბიჭს წიგნი გადაუშალეს და ასწავლიდნენ. კაცი მიხვდა, რომ მისი მწყემსი ღვთით იყო დაბადებული. მერე ეს ბიჭი მოძღვარი გახდა და სიკვდილამდე პატრონობდა სოფელს. სიკვდილის შემდეგ სოფელმა საფლავის თავთან ლოდი ჩაუყუდა. ამ ლოდის მცირე ნატეხს წყალში ჩააგდებდნენ, „აწმინდავებდნენ“ და ასე ასრულებდნენ წესს.

ვინძლო, სწორედ ასეთ, ზეციური ფრინველების მოტანილ წიგნს ნატრობდა ის ჩემი ბავშვობის მეგობარიც, როდესაც დიდ წიგნს ახსენებდა. ალბათ, ოდესმე მაინც დადგება წამი, როდესაც ზეციური ფრინველები სულით ღატაკი კაცის წინაშეც გადაშლიან წიგნს და ეს მოხდება მაშინ, როდესაც დაუსრულებელ წრეებში იგი მიადგება იმ წერტილს, მთელ ყოფიერებას რომ ჩაისრუტავს და საკუთარი სულის წიაღში უსასრულო მოგზაურობას მისცემს თავს.

ვლადიმერ კორტავა

სიმბოლოებისა და კონცეპტების დავიწყებისა და გაქრობის შესახებ

დავიწყების ფორმები და სახეები მრავალგვარია. განსაკუთრებით ეს სიმბოლოებსა და კონცეპტებზე ითქმის (მივიღოთ სამუშაო განმარტებად, რომ კონცეპტები – იდეალური არსები, სპეციფიკური შინაარსის მატარებელი ეიდოსებია). შესაძლოა სიმბოლო ან კონცეპტი გონებრივი ხედვის სფეროში რჩებოდეს, მაგრამ მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების დროში გავრცობილი მიზანდასახული თუ სტიქიური ცვლა მათ ფაქტიურ გაქრობას იწვევს, ცნობიერებისათვის უფრო ადვილი გადასამუშავებელია ის ვითარება, როდესაც სიმბოლო ან კონცეპტი (შეიძლება ვიხმაროთ ჩვენი ინტელექტუალური არსენალიდან ფაქტიურად ამოვარდნილი კორელირებული წყვილიც — „ხატი — ეიდოსი“) აღარ იხმარება ანდა შემწყდარია კონცეპტის ფუნქციონირება-„განივთება“ სოციოფსიქიკურ რეალობაში.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი „დიდი ლიტერატურიდან“ (თვით ეს ცნება პრაქტიკულად ამოვარდა როგორც სიტყვათა ხმარებიდან, ასევე მასობრივი საგამომცემლო პროდუქციიდან). გავიხსენოთ ის ადგილი ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენიდან“, სადაც მეზღვაურმა, რომელსაც ბედმა მწერლად გახდომა არგუნა წილად, თავისი არისტოკრატი სატრფოს ლოყაზე შემთხვევით დარჩენილი ალუბლის წვენის ლაქით პირველად და ერთობ ინტენსიურად გააცნობიერა, რომ რუთი (მარტინის თაყვანისცემის ობიექტი) ჩვეულებრივი ხორციელი არსებაა, ქალია, თანაც უკიდურესად მერკანტილურ გარემოში აღზრდილი, ამაზე დაფუძნებული ყველა დადებითი, — და ისიც უნდა ითქვას, აგრეთვე უარყოფითი თვისებებითაც. და აი, ამ ვარდივით ჩუმი სცენის აღწერას (მარტინი უყურებს ალუბლის ლაქას თავისი სატრფოს ლოყაზე) ჯეკ ლონდონი რამდენიმე გვერდს უთმობს. მარტინის ცნობიერებაში არ წამოიჭრება არცერთი წარმოდგენა, შეფერილი ხორციელი ნდომით. ის მხოლოდ ფიქრობს და ამ წარმოდგენათა მწკრივს აყოლებს გონებრივ მზერას. ბუნებრივია, რომ პურიტანულ ამერიკაში (სხვათაშორის, მსგავსად იმ კავკასიური – მუსლიმანური თუ ქრისტიანული — ტომებისა, რომელთა ადათ-წესებში ქალწულობის ტაბუ არსებობს) მათ შორის არავითარი ინტიმი არ ყოფილა – ხელით ხელზე შეხებაც კი. სწორედ ამ სცენიდან იწყება სიუჟეტების ახალი, შეიძლება ითქვას, მთავარი განშტოება.

რა სახის სიმბოლოებთან და კონცეპტებთან გვაქვს აქ საქმე? გადმოცემის ლოგიკას არ არღვევს ბალზაკის კალმით შექმნილ ქალთა ფიქრ-ემოციების მოხსენიება, რომელთა აღწერასაც ათეულობით გვერდი აქვს დათმობილი. საქმე ისაა, რომ დაიკარგა საკუთრივ ეროტიკა, ან, შეიძლება ითქვას, მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის საკრალურ-ნუმინოზური ხასიათი. მათ საფუძველში მდებარე სიმბოლო-კონცეპტებისათვის ადეკვატურ ხატად ჩვენ ყველაზე მეტად ხე („განშტოება“) წარმოგვიდგება. დღევანდელ ელექტრონულ-ტიპოგრაფიულ მასმედიაში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ე. წ. „გამოცემა-საჩუქრებს“) ჰაერში თუ უჰაერო სივრცეში მოფარფატე ეროსის (ეროტის – რომელიც ყოველ კონკრეტულ ეპოქაში ევროპის ისტორიისა მშვენიერების რეპრეზენტაციულ ხატს წარმოადგენდა) ისრების ნაცვლად გაჩდნენ „ვიბრატორები საზღვრებს გარეშე“; კლასიკური ნაწარმოებების, რომელთა გავლენაც, პირდაპირ თუ ირიბად, ყოველდღიურ ყოფაზე ერთობ ძლიერ იყო, ნატიფი საუბრები შეიცვალა „სატელეფონო სექსით“; ღამის რომანტიკული, დაძაბული და სახიფათო თავგადასავლების ნაცვლად გაჩნდა ასობით და ათასობით „ღამის კლუბი“, რომელთა რეკლამა მოქალაქეს პირდება „ცეცხლოვან ცეკვებსა და მომნუსხავ მუსიკას“ (ხშირ შემთხვევებში იგულისხმება უბრალო სტრიპტიზი). (მაყურებელ-მკითხველებზე აგრესიულ-სადისტური ლაშქრობების დეტალებზე საუბარს პრაქტიკულად ამით დავამთავრებთ. დაიკარგა ის ურთულესი და შრომატევადი (კიდევ ერთი დაკარგული ცნება-სიმბოლო) რიტუალი ქალისა და კაცის „სადმე“ შეხვედრისა (თეატრში, საჯარო ლექციაზე, დაბადების დღეზე, ქორწილში და ა. შ.), დაძაბული ცდები შეხების იმ წერტილის მოძებნისა, რომელიც მათ შეხვედრებს „ლეგიტიმურ“ ხასიათს მისცემდა.

დროებით დავტოვოთ ლიტერატურული ასახვები თემისა, რომელსაც ქრისტიანულ კულტურაში მხატვრულობისა და სიზუსტის იშვიათი სინთეზირებით „ცოდვა სიყვარულისა“ ეწოდა

და ვიკითხოთ, რა იკარგება სიმბოლოს ან კონცეპტ-ეიდოსის გაუფასურება-დავიწყების ან იგნორირება-შებღალვის პირობებში? „შენაძენის“ დანახვა იოლია: ადრე აკრძალურ ქმედებას (ფიზიკურსა თუ სიტყვიერს) ეხსნება ტაბუ, წყდება იმ უზარმაზარი ენერგიის მოზღვავება, რომელიც ზოგ შემთხვევაში ადამიანის არსებობას ჯოჯოხეთად აქცევს და რომელიც ეთიკური თუ ესთეტიკური პრინციპების დაცვა-ხელშეუხებლობას ხმარდება – როგორც ცალკეული ინდივიდის, ასევე მთელი საზოგადოების მხრიდან. ეს აზრი საყოველთაოდ ცნობილი თუ არა, ყოველ შემთხვევაში ახალი არ არის. ახალია მასობრივი რეალიზაცია ვულგარულად გაგებული ფროიდისტური იდეალისა: ადამიანის „გათავისუფლება“ „პირველყოფილი“ თუ „ცივილიზებული“ აკრძალვებისაგან.

„შეძენის“ მოკლე აღწერა-დახასიათების შემდეგ ვცადოთ დანაკარგის აღწერა-შეფასება.

როგორც ტაბუირებული ქმედების მასობრივი აღსრულების, ასევე კულტურული შენაძენის დაკარგვის შედეგია თვით აკრძალვის ან შენაძენის ღირებულების ცნობიერების დაკარგვა. გაცნობიერების სინათლე-ინტენსივობის დაკარგვა დროში გავრცობილი პროცესია და, mutatis mutandis, ობიექტებისა და მოვლენის ბუნების მიხედვით სხვადასხვა სახის მეტამორფოზებს განიცდის: 1) იდენტიფიკაციის შეუძლებლობა: ობიექტს თუ კონცეპტს ვეღარ ცნობენ ადამიანის სახისა და/თუ დანგრეული სახლის ან შეცვლილი ადგილმდებარეობის მსგავსად; 2) კულტურული თუ სოციალური ღირებულების მიზანდასახული მასირებული შებღალვით ხდება მისი შეცვლა საპირისპიროთი; ღირებულების აღმნიშვნელი სიმბოლო დაკნინების ან შეურაცხმყოფელ თუ სოციალური ღირებულების ან შეურაცხყოფის ბგერით ან ვიზუალურ სიგნალად იქცევა; ხდება, ასე ვთქვათ, იდენტიფიკაციის ნიშნის შეცვლა საპირისპიროთი; 3) თვითღირებულების ცნობიერების დაკარგვას ემსახურება ცინიზმის, როგორც მეთოდის გამოყენება. ტენდენციურობის ბრალდების თავიდან ასაცილებლად გვინდა აღვნიშნოთ, რომ თავად ღირებულებაც, — განსაკუთრებით სოციალური, — დროის ფუნქციაა და მისი შეცვლა-გადასხვაფერება თავისთავად ბოროტებას არ წარმოადგენს. დასაძრახია „მხოლოდ“ ღირებულების განცდის, მისი არსებობის გაცნობიერების უნარის დაკარგვა. მასირებული, წინასწარ გამიზნული ცინიზმი (განსხვავებით, ვთქვათ, კონკრეტული მწერლისა და ფილოსოფოსის ცინიზმისაგან, რომელიც, შესაძლოა, სხვა ბერკეტებსაც გამოიყენებდეს ან რომლისგანაც თავის დაცვა შედარებით ადვილია) სწორედ ღირებულების განცდის, მისი აღმქმელი ორგანოს – გრძნობის – (ვ. დილთაი) დაშლა-დანგრევას ემსახურება. მოვიყვანოთ მაგალითი ახლო წარსულიდან; ძნელია ჩეხებს, როგორც ერს, ბრალი დასდო კომუნისტურ ფანატიზმში ან მეტ-ნაკლებად ფესვებგამჯდარ სიმპათიებში კომუნისტური იდეის მიმართ; მაგრამ მათ არ უცდიათ ძველი სიმბოლოების სავაჭრო მარკად (ლეიბლად) გადაკეთება. ყოფილ ოფიციოზს „რუდე პრავოს“ („ხალხის სიმართლე“) უბრალოდ „პრავო“ დაარქვეს და ამით გამოხატეს თავიანთი პოზიცია. შეადარეთ ეს ფაქტი უკიდურესობამდე პორნოგრაფიზირებულ, ალაგ-ალაგ კლინიკური ხასიათის მასალების გამოქვეყნებამდე მისულ ისეთ გამოცემებს, როგორებიცაა „კომსომოლსკაია პრავდა“ ან „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ თავიანთი საკვირაო თუ საოთხშაბათო დამატებებით. ერთ-ერთი გამოცემა „მკ-ვოსკრესენიე“-ს „მკ-ბორდელს“ უწოდებს (ჩვენი აზრით, სამართლიანად). მაგრამ ვაი, რომ ეს შავ-თეთრი გამოცემა (კრიტიკისა თუ ლანძღვის ობიექტებისაგან განსხვავებით) ენერგიულად და „მთელი დატვირთვით“ ეთიკურობისა და ფარისევლობის გაიგივებას ცდილობს. და ერთობ წარმატებულად. ამ მიზნით შექმნილ-დამუშავებული მეთოდიკის (ბრჭყალები უადგილო იქნებოდა, რადგანაც აღნიშნული საშუალებები ინტელექტის აქტივობით არის წარმოქმნილი) აღწერა-ანალიზი შორს წაგვიყვანს. აქ საკმარისი იქნება ორი მაგალითის მოყვანა. წარსულშიც და ახლაც ძალზე ცნობილი ჟურნალისტი (სხვათაშორის, ქართველებისთვისაც) ხსენებული შავ-თეთრი გამოცემის ფურცლებზე ოპონენტებს „პრეზერვატივებს“ უწოდებს, ოღონდ ამ სამედიცინო ტერმინის სავაგზლო-ქუჩური ვერსიით. ენის ასეთი „გათავისუფლება“ მკითხველ-მაყურებლის ცნობიერებაში ნერგავს (თუ უკვე საბოლოოდ არ დანერგა) აზრის თუ ქცევის ახალ ნორმას, რომლის თანახმადაც დისკუსია-პოლემიკაში საჭირო არ არის გონების დაძაბვა, არგუმენტების ძებნა, ორატორული ხერხების დემონსტრირება – მარტივი და ხელმისაწვდომი, წარსულში „არანორმატულად“ მონათლული ლექსიკაც კარგად, უკეთესად თუ არა, ართმევს თავს „გაკრიტიკების“ ამოცანას და თავისი წვლილი შეაქვს ადამიანის ნებელობით-ცნობიერი სტრუქტურების მორყევა-მსხვრევაში.

მეორე შემადგენელი ნაწილი აღნიშნული მეთოდიკისა: კულტურულ-სოციოლოგიური თუ სერიოზული ხელოვნებათმცოდნეობის ანალიზის ობიექტებად ირჩევენ აშკარად კლინიკური ხასიათის დანაშაულობებს ან მათ კინემატოგრაფიულ-ლიტერატურულ ასახვას. მაგალითად, დსთ-ს ქვეყნებში საკმაოდ მოხშირებულ „რასჩლენიონკას“, სერიულ მკვლელობებს, ხოლო თუ ამას დანაწევრებული სხეულის კანიბალისტური „დამუშავებაც“ მოჰყვა, მაშინ ჟურნალისტს თვიური ანაზღაურების ფასად ვერ გამოგლეჯ თემას ხელიდან. ამდაგვარივე შესაშური რუდუნებითა და ძალისხმევით ხდება სექსუალური კონტაქტის (თუ უკონტაქტობის) ისეთი ფორმების აღწერა-გაშუქება, რომლებსაც ალბათ სექსოპათოლოგიის შემქმნელი კრაფტ-ებინგიც კი ვერ წარმოიდგენდა. ერთი სიტყვით, მასმედიის მომხმარებელს (ელექტრონული მას-მედიის მოწინააღმდეგე აუდიო-ტიპოგრაფიულ პროდუქციას მაინც ვერ აარიდებს თავს) შეგნებულად და სისტემატურად აწვდიან ისეთ ინფორმაციას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე, როგორც რუსეთის იმპერიაში, ასევე დასავლეთ ევროპაში – პოლიციისა და სხვა დამსჯელ-გამოსასწორებელ დაწესებულებათა პრეროგატივა-პრივილეგია იყო. მხოლოდ უვიცს შეუძლია უარყოს დემოკრატიის ევოლუცია ან მისი ნაციონალური ფორმების არსებობა. მაგრამ პროფესიული თუ უბრალო მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერების მოთხოვნა აიძულებს ამ სტრიქონების ავტორს აღნიშნოს, რომ დღევანდელი დემოკრატიის ზოგიერთი ნორმა თუ ფორმა მისთვის სრულიად გაუგებარია, ზოგიერთი კი – აბსოლუტურად მიუღებელი (მაგალითად, პრესის შეუზღუდავი თავისუფლება, რომელიც დასავლეთის ქვეყნებს ძალიან ძვირი უჯდებათ. ჩვენში, პოეტის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. ორივე სახეზეა, ჩემო ბატონო!).

ჩვენ ვერ დავეთანხმებით აკადემიკოს სერგეი კაპიცას (მას ათწლეულთა მანძილზე ძველ ტელევიზიაში მიჰყავდა გადაცემა „თვალსაჩინო – დაუჯერებელი“. ახლა, საკმაოდ ხანგრძლივი „შესვენების“ შემდეგ, TBЦ-ში მუშაობს), რომელიც ფიქრობს, რომ „შესაძლოა, იდიოტების მართვა უფრო ადვილი იყოს, მაგრამ ასეთ ქვეყანას მომავალი არა აქვს“.

ძველი, მათ შორის მარადიული სიმბოლოებისა და კონცეპტების უკანმოუხედავი უარყოფა-იგნორირება გონიერ არსებათა საზოგადოების ფუნდამენტის – ცნობიერების – ეროზიასა და ნგრევას იწვევს. ხოლო მანძილი იდიოტისა თუ პრიმიტივის ფსიქიკიდან პრიმატების ჯოგამდე გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე ეს თანამედროვე ცივილიზაციის „გეჯეტებით“ დატყვევებულ აკადემიკოსსა თუ სახელმწიფო მოღვაწეს შეიძლება ეგონოს.

ლევან ბრეგაძე

ვინ თხზავს ანეკდოტებს?

ჩემი ასაკის ხალხს შეიძლება ახსოვდეს საკავშირო ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველი იური ჟუკოვი, 80-იანი წლების დამდეგს კვირადღეობით ტელემაყურებელთა წერილების მიმოხილვას რომ გვთავაზობდა. წინ ეწყო ტელემაყურებელთა ბარათები. აიღებდა ერთ-ერთს, ჩახედავდა ტექსტს, მერე კონვერტზე აღნიშნულ მისამართს დააცქერდებოდა და იტყოდა: „მავანი და მავანი, ამა და ამ ქალაქის მცხოვრები, გვეკითხება: რას ნიშნავს განვითარებული სოციალიზმი? (ან: რატომ გაწყვიტა ამა და ამ სახელმწიფომ ჩვენთან ურთიერთობა?). ეს საკითხი აინტერესებს აგრეთვე...“ და ჩამოთვლიდა ტელემაყურებელთა გვარებს მათი საცხოვრებელი ადგილებითურთ.

და ასე ყოველ კვირადღეს...

იმ დროს ამგვარი ანეკდოტი-პაროდია გავრცელდა:

გამოდის იური ჟუკოვი ტელევიზიით, წინ წერილები უწყვია და აცხადებს „ტელემაყურებელი პეტროვი ვლადივოსტოკიდან, გვეკითხება: „ვინ თხზავს პოლიტიკურ ანეკდოტებს?“ ეს საკითხი აინტერესებს აგრეთვე ამხანაგ ანდროპოვს მოსკოვიდან, ამხანაგ ალიევს ბაქოდან, ამხანაგ ინაურს თბილისიდან...“.

მართლაცდა, ვინ თხზავს პოლიტიკურ ანეკდოტებს?

ანეკდოტის შექმნა თვალშეუვლები პროცესია და იგი მისტიკური ბურუსით არის მოცული. დაბეჯითებით იმის თქმაც კი შეუძლებელია, ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია იგი თუ კოლექტიურისა.

ერთი კია, რომ მრავალი ანეკდოტი, რომელიც უაღრესად თანამედროვედ და აქტუალურად ჟღერს და ახლახან შეთხზულსა ჰგავს, სინამდვილეში საუკუნეთა სიღრმიდან იღებს დასაბამს. რომ ამბობენ, ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო, ეს ანეკდოტებზეც ვრცელდება.

მაგალითი:

90-იანი წლების დამდეგს „მერანმა“ გამოსცა ანტონ ანტონოვ-ოვსეენკოს წიგნის, „ლავრენტი ბერიას“, ქართული თარგმანი. ამ თხზულების ფინალში ვკითხულობთ:

„1953 წელს ღმერთმა უწყის ვის მიერ შეთხზული ანეკდოტები და შაირები გავრცელდა ხალხში.

ეს ანეკდოტი კი ყველას პირზე ეკერა:

ჯოჯოხეთში ზოგი ცოდვილი სისხლში დგას, ზოგიც ცეცხლის ალზე იწვის. დანტე ეშმაკის სამფლობელოს ათვალიერებს. ხედავს, ერთი ყველაზე საზიზღარი არამზადა მხოლოდ მუხლებამდე დგას სისხლში.

გაუკვირდა დანტეს, მიუახლოვდა და ლავრენტი ბერია იცნო:

— ასე ცოტა სისხლში რატომ დგახართ, ლავრენტი პავლეს ძევ?

— იოსებ ბესარიონის ძის მხრებზე ვდგავარ და იმიტომ...“.

ეს ანეკდოტი კიდევ რამდენჯერმე გამოქვეყნდა, მათ შორის საზღვარგარეთაც.

იდეა, ამ ანეკდოტს რომ უდევს საფუძვლად, სულ ცოტა, ათას ოთხასი წლის წინანდელი მაინც არის.

1960 წელს ილია აბულაძემ გამოსცა მე-6-7 საუკუნეების ბიზანტიელი მწერლის, იოანე მოსხის „ლიმონარის“ ქართული თარგმანი, ძველი ქართული მწერლობის ერთი-ერთი უშესანიშნავესი და, სამწუხაროდ, ნაკლებად შესწავლილი ძეგლი. ამ თარგმანის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი მე-10 საუკუნისაა.

„ლიმონარი“, რომელსაც სხვანაირად „სამოთხეც“ ეწოდება, პატარ-პატარა სულთმარგებელი მოთხრობების კრებულია, გვაცნობს ბერ-მონაზონთა, უპირატესად ასკეტთა ცხოვრების ეპიზოდებს, ერთად თავმოყრილთ, ილია აბულაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „მორწმუნეთა ჭკუის სასწავლებლად და სათნო ცხოვრების სატარებლად“.

შალვა ნუცუბიძის აზრით, იოანე მოსხი წარმოშობით მესხია ანუ ქართველია და, მისივე ვარაუდით, ეს თხზულება მას თავდაპირველად ქართულად დაუწერია და მერე თვითონვე შეუქმნია მისი ბერძნული ვარიანტი.

და აი ამ „ლიმონარში“ ასეთი ამბავიც არის მოთხრობილი:

ერთ ბერს ათი მოწაფე ჰყოლია, რომელთაგან ერთი მეტად ზარმაცი და დაუდევარი ყოფილა. ბერი აფრთხილებდა მას: „იზრუნე, ძმაო, სულისა შენისათვის, რამეთუ მოსიკუდიდ ხარ. ხოლო იგი ყოლადვე ურჩ იყო სიტყუათა ბერისათა და არა შეიწყნარებდა“.

მალე ეს მოწაფე გარდაცვლილა. შეწუხებულა მოძღვარი, რადგან იცოდა, რომ მის შეგირდს ჯოჯოხეთი არ ასცდებოდა. ერთხელ ღმერთს შეჰვედრებია, „იესუ ქრისტე, მიჩუენე მე ადგილი იგი ძმისაი მის, სადა მიიწია იგი“. უფალმა თხოვნა შეუსრულა და „იხილა ბერმან მდინარეი ცეცხლისაი და ურიცხუნი სულნი შთაყრილნი მას შინა, და ძმაიცა იგი იხილა დანთქმული ცეცხლსა მას შინა ვიდრე ყელადმდე მისა“.

ამ საშინელი სურათის მხილველმა ბერმა შეახსენა თავის ყოფილ მოწაფეს: „შვილო ჩემო, ამისთვის გეტყოდე მე შენ დღითი-დღედ, რაითა იზრუნო სულისა შენისათვის“.

ამაზე მოწაფემ მიუგო: იმისთვისაც მადლობელი ვარ გამჩენისა, რომ თავი მაინც მაქვს ამოყოფილი ცეცხლის მდინარიდან, „რამეთუ ფერხნი ჩემნი დგანან თავსა ზედა ეპისკოპოსისაო“.

ცხადია, ეს არსებითად ის ანეკდოტია, რასაც ახლა ბერიაზე ჰყვებიან: ორივეს ერთი მხატვრული იდეა უდევს საფუძვლად.

თუ შალვა ნუცუბიძის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება იოანე მოსხის შესახებ სწორია, მაშინ გამოდის, რომ მე-20 საუკუნის რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ორ გამოჩენილ პოლიტიკოსზე შექმნილ ანეკდოტს საფუძვლად დასდებია მე-6-7 საუკენეებში ბიზანტიაში მოღვაწე აგრეთვე ქართული წარმოშობის მწერლის ნაწარმოები.

როგორც ვხედავთ, ანეკდოტის ძველი და ახალი ვერსიები მხოლოდ დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისაგან: ძველებური აქსესუარი ახლებურით შეცვლილა, რის შედეგადაც ძველისძველი ფაბულა უაღრესად თანამედროვედ ახმიანებულა.

ნუთუ მართლა არაფერია ახალი მზის ქვეშ?!

* * *

ჰაინრიხ ბიოლს, გერმანელ ნობელიანტ მწერალს, 1963 წელს ერთი პატარა ნოველა დაუწერია, რომლის სათაურია „ანეკდოტი შრომითი ენთუზიაზმის დასაცხრობად“. მასში ასეთი ამბავია მოთხრობილი: ნავსადგურში ერთი ღარიბულად ჩაცმული მეთევზე ნავში ჩაწოლილა და თვლემს. ოთხი ასთაკვი დაუჭერია, თითქმის ორი დუჟინი სკუმბრია და კმაყოფილია. თავზე კოხტად გამოწკეპილი ფოტოაპარატიანი ტურისტი ადგას და აქეზებს კვლავ შევიდეს წყალში, რათა მეტი თევზი დაიჭიროს. მეთევზე უარზეა, რაც დავიჭირე, ხვალისთვისაც მეყოფა, ზეგისთვისაცო.

ტურისტი კვლავ და კვლავ ცდილობს დაარწმუნოს, რაოდენ ცდება, როცა ძვირფას შესაძლებლობას უშვებს ხელიდან. მოვუსმინოთ:

„სულაც არ მინდა თქვენს პირად საქმეში ჩავერიო (...), მაგრამ აბა ერთი წარმოიდგინეთ, დღეს მეორედ, მესამედ, შესაძლოა, მეოთხედაც რომ გახვიდეთ სათევზაოდ, სამ, ოთხ, ხუთ, შესაძლოა ათ დუჟინ სკუმბრიასაც დაიჭერთ (...).

მარტო დღეს კი არა (...), ზეგაც, მაზეგაც, როცა კი ამინდი ხელს შეგიწყობთ, ორჯერ, სამჯერ, შესაძლოა ოთხჯერაც გახვიდეთ — ჰოდა, იცით, რა მოხდება? (...) ერთ წელიწადში, ან უფრო ადრეც, მოტორიანი ნავის ყიდვას შეძლებთ, ორ წელიწადში — მეორე ნავის, სამ-ოთხ წელიწადში კი ალბათ პატარა კატერსაც გამოჰკრავთ ხელს, ორი ნავით ან კატერით, რასაკვირველია, ბევრად მეტს დაიჭერთ — ერთ მშვენიერ დღეს კი ორი კატერის მფლობელი გახდებით, მერე კი...“, — აღფრთოვანებისგან რამდენიმე წამით ხმა ჩაუწყდა, „მერე კი პატარა მაცივარს მოაწყობთ ანდა საბოლველს, მოგვიანებით — სამარინადო ფაბრიკას, საკუთარი შვეულმფრენით იფრენთ წყლის ზემოთ, იქიდან უკეთ შეამჩნევთ თევზების ქარავანს და თქვენს კატერებს რადიოგადამცემით მიაწვდით მითითებებს. ლოქოზე ლიცენზიას მოიპოვებთ, თევზის რესტორანს გახსნით, ასთაკვს პირდაპირ პარიზში გაგზავნით საექსპორტოდ, გადამყიდველების გარეშე, მერე კი (...) შეგიძლიათ აქ, ამ ნავსადგურში მშვიდად ჩამოჯდეთ, მზეს მიეფიცხოთ და ზღვის დიდებული ხედის ცქერით დატკბეთ“.

„ახლაც ამას არ ვაკეთებ?“ ეუბნება მეთევზე, „ვზივარ ჩემთვის მშვიდად ნავსადგურში და ვთვლემ“ (თარგმანი რუსუდან ბრეგაძისა).

(ვიცი, გაგახსენდათ ჩვენში გავრცელებული ანეკდოტი კაკლის ხის ქვეშ მოქეიფე მიხოსა და უცხოელი მილიონერის შესახებ).

ბიოლის ეს ნოველა-ანეკდოტი მაშინ შეიქმნა, როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში ეკონომიკური სასწაული განხორციელდა — დანგრეული ქვეყანა 15 წელიწადში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ იქცა, სადაც აგრარული სექტორიც ჩინებულად იყო განვითარებული. ხალხის კეთილდღეობამ ძალიან მაღალ დონეს მიაღწია. მაგრამ რის ხარჯზე? ასეთი სასწაულები ყოველთვის რაღაც მნიშვნელოვანის ხარჯზე ხდება. ჰაინრიხ ბიოლის აზრით, ამ წარმატებას მრავალი ადამიანის სულის სიმშვიდე, სიცოცხლით ტკბობის, ადამიანურად ცხოვრების შესაძლებლობა შეეწირა. თვითმიზნურ, უაზრო წარმოებას, „წარმოებას წარმოებისთვის“, როგორც ომისშემდგომი დასავლური ინდუსტრიული ქვეყნებისთვის დამახასიათებელ მოვლენას, ჰ. ბიოლი სხვა მოთხრობებშიც მძაფრად აკრიტიკებს („რაღაც მოხდება“, „ციმპრენის ვაგზალი“, „გადამყრელი“ და სხვ.). ეს მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემაა. ამგვარი განწყობილების გაჩენას ევროპელ ინტელექტუალებში რამდენადმე ამერიკელი ჰიპების მოძრაობამაც შეუწყო ხელი.

ბიოლის ამ ანეკდოტზე ფილმიც არის გადაღებული და სერიოზული გამოკვლევებიც იწერება.

რაოდენ ადეკვატურად ეხმაურებოდა ბიოლის ნოველა თანამედროვეობას, იქიდანაც ჩანს, რომ ეს ფაბულა შვეიცარიელმა მწერალმა ვალტერ ქაუერმაც დაამუშავა (ან აქ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: გა-დაამუშავა) ნოველაში, რომელსაც „მეთევზე“ ჰქვია და 1977 წლით არის დათარიღებული. ვ. ქაუერის მეთევზე ტბაში თევზაობს, სამი თევზი დაუჭერია (თევზის სახეობა დაზუსტებული არ არის) და კმაყოფილია, მე და ჩემს ცოლს ვახშმად გვეყოფაო. თავზე ამასაც უცნობი ჭკუისდამრიგებელი ადგას და არწმუნებს, ბევრი უნდა დაიჭიროო.

„რატომ?“ იკითხა მეთევზემ, „მერე რა ვუყო ბევრ თევზს?“ „გაყიდეთ!“ მიუგო კაცმა.

„რისთვის?“ იკითხა მეთევზემ.

„რისთვის და მერე ნავს შეიძენთ“, მიუგო კაცმა.

„ნავს რაღა ვუყო?“ დაინტერესდა მეთევზე. „აი, ვზივარ აქ ჩემი ანკესით და იმდენს ვიჭერ, რამდენიც მჭირდება“.

„ნავით შეგიძლიათ ტბაში შეცუროთ“, უთხრა კაცმა. „იქ ხომ ბევრად მეტი თევზია!“.

„სწორია“, დაეთანხმა მეთევზე. „მართალი ბრძანდებით, მაგრამ რა ვუყო ამდენ თევზს?“.

„დაიჭერთ და გაყიდით, რაღა თქმა უნდა! წელში გაიმართებით, მერე მეორე ნავსაც იყიდით!“.

„კარგი, ვთქვათ, ისე მოვიქეცი, როგორც თქვენ მირჩევთ; ორი ნავი მექნება, ხომ? ჰოდა, ორივეთი ერთად ხომ ვერ შევცურავ ტბაში სათევზაოდ?“

კაცი მოუთმენლობისგან აძაგძაგდა. აღელვებული ისე გამალებით ღეჭავდა სიგარას, რომ ლამის შემოეჭამა.

„სხვა მეთევზეს მონახავთ, აიყვანთ. ის მეორე ნავით შევა ტბაში და თქვენთვის დაიჭერს თევზს. თქვენ მას ჯამაგირს გადაუხდით, სამაგიეროდ მის დაჭერილ თევზს გაყიდით. ბევრი ფული შემოგივათ!“.

„კი“, თქვა მეთევზემ. „ეგრე იქნება. მაგრამ რა ვუყო იმ ფულს?“

„კიდევ შეიძენთ ნავებს“, უთხრა კაცმა. „იქნება მოტორიან ნავსაც გამოჰკრათ ხელი. მაშინ უფრო სწრაფად იმუშავებთ, ნიჩბის მოსმაზე დრო აღარ დაგეკარგებათ. მეტ ხალხს დაასაქმებთ და ფული ჩეჩქივით გექნებათ. ჰოდა, რას გეტყვით, იცით?“ აფორიაქებულმა კაცმა მხარზე ხელი დაჰკრა მეთევზეს. „მაშინ თქვენ მუშაობა აღარც კი დაგჭირდებათ. აღარასოდეს!“.

მეთევზემ ნიკაპი მოიქექა. „კი მაგრამ, რაღა ვაკეთო?“ იკითხა ბოლოს.

„სათევზაოდ წახვალთ. ითევზავებთ და ითევზავებთ!“.

კაცი სახეგაბადრული შესცქეროდა მეთევზეს.

„რიღასთვის?“ იკითხა მეთევზემ. „რიღასთვის უნდა ვითევზაო, თუკი ის ხალხი იმდენ თევზს დაიჭერს ჩემთვის, რომ თავზე საყრელად მექნება? (...)

„გასართობად, რაღა თქმა უნდა!“ შესძახა კაცმა. „ამხელა ბიზნესის პატრონს ცოტაოდენი თავის შექცევა არ გაწყენდათ (...). ითევზავებთ, გულს გადააყოლებთ“.

„ერიჰა!“, წამოიძახა მეთევზემ. „აბა ახლა რას ვაკეთებ?“ (თარგმანი რუსულიდან ბრეგაძისა).

(ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა ვალტერ ქაუერს ჰაინრიხ ბიოლის ნოველა წაკითხული: თუ ჰქონდა, ასე ზუსტად რატომ გაიმეორა, ხოლო თუ არ ჰქონდა, ასე ზუსტად როგორ გაიმეორა?!).

აი, ეს ანეკდოტური ფაბულა, რომლის მეშვეობითაც წარმატებით გადმოიცა პოსტინდუსტრიული ეპოქის ადამიანთა ერთი ნაწილის განწყობილება და სწრაფვანი, ორიათასზე მეტი წლის წინანდელია.

პლუტარქე გადმოგვცემს პიროსსა და კინეოსს შორის გამართულ ერთ საუბარს.

კინეოსმა შეიტყო, რომ პიროსი იტალიაში სალაშქროდ ემზადებოდა და ამის თაობაზე ასეთი საუბარი გამართა მასთან:

— ვთქვათ, დავამარცხეთ რომაელები, რას მოგვიტანს ეს ჩვენ?

— კინეოს, ისეთ რაღაცას მეკითხები, რაც თავისთავად იგულისხმება. თუ რომაელებს დავამარცხებთ, მაშინ იტალიაში არსებული ბარბაროსთა ან ბერძენთა ვერცერთი ქალაქი ვერ გაგვიწევს წინააღმდეგობას და მთელ ქვეყანას დავეუფლებით.

— და იტალიას რომ დავეუფლებით, მერე რაღას ვიზამთ, მეფეო?

— იქვეა სიცილია, აყვავებული და ხალხმრავალი კუნძული, მერე იმასაც დავიპყრობთ.

— სიცილიას რომ დავიმორჩილებთ, მოვრჩებით ლაშქრობას?

— თუ ღმერთმა ასეთი გამარჯვება გვარგუნა, ეს მხოლოდ დასაწყისი იქნება დიდი საქმეებისა. იქიდან სულ ახლოსაა აფრიკა, კართაგენი, რატომ არ გავილაშქროთ მის წინააღმდეგ? და თუ მას დავიპყრობთ, ველარავინ გაბედავს ჩვენს შეურაცხყოფას.

— და როცა ამასაც მივაღწევთ, მერე რაღა უნდა ვქნათ?

აქ პიროსს სახეზე ღიმილი გადაეფინა და ასეთი რამ უთხრა თანამოსაუბრეს:

— მერე, ძვირფასო, ყოველდღე ვიქეიფოთ და ვიმუსაიფოთ ტკბილად.

— რა გვიშლის ხელს, თუკი გვსურს, ახლაც ვიქეიფოთ და ტკბილად ვიმუსაიფოთ? ჩვენ ხომ უკვე ისედაც გვაქვს ის, რის მიღწევასაც დიდი გასაჭირის დაძლევის ფასად ვაპირებთ.

* * *

ზოგჯერ მთელი შინაარსი, რაც ანეკდოტშია მოცემული, მანამდე უკვე არსებობს სხვა ჟანრის ნაწარმოების სახით, რომელსაც ანეკდოტისა არაფერი სცხია. მერე კი, ოდესმე, რაღაც იდუმალ მომენტში, ადრე არსებული სრულიად არაანეკდოტური შინაარსი, ვიღაცის მიერ ერთი შეხედვით უმნიშვნელო შტრიხით გამდიდრდება და ანეკდოტი იბადება.

ეს ანეკდოტი, ახლა რომ გთავაზობთ, გაზეთ „კვირის ფოსტაში“ ამოვიკითხე 1997 წელს (№ 33):

„მატარებლით ორი ებრაელი კომივოიაჟერი მგზავრობს. ორივე საგანგებოდ მალავს თავისი მგზავრობის მარშრუტს. ამ დროს ორივეს ძალიან სურს გაიგოს, სად მიდის მისი კონკურენტი.

— ბოლოს და ბოლოს, სად მიდიხარ, ხაიმ?

— როგორ თუ სად? ბერდიჩევში.

— ხაიმ, შენ მეუბნები, რომ ბერდიჩევში მიდიხარ, იმიტომ მეუბნები ამას, რომ მე არ ვიფიქრო, რომ შენ ბერდიჩევში მიდიხარ. არა გრცხვენია, რატომ მატყუებ?“.

მთელი ეს შინაარსი უკვე არსებობდა (ოღონდ არა ანეკდოტის ფორმით) მე-17 საუკუნის ესპანური ბაროკოს დიდი წარმომადგენლის, ბალტასარ გრასიანის ერთ ფილოსოფიურ მინიატიურაში:

„ადამიანის ცხოვრება ადამიანურ ბოროტებასთან ომია. ამ ომში ჭკუა თავის განზრახვათა დასაფარავად საბრძოლო ეშმაკობებს მიმართავს. იგი არასოდეს აკეთებს იმას, რასაც იქადის; მისი დანაქადები მოწინააღმდეგის მოსატყუებელი ცრუ სამიზნეა. თავს იკატუნებს, თითქოს მიზანს ააცილა, შემდეგ კი სრულიად მოულოდნელ სვლას აკეთებს, სულ იმას ცდილობს, ნამდვილი ჩანაფიქრი დამალოს. გვიმხელს ცრუ განზრახვას, რათა მოწინააღმდეგის ყურადღება მასზე გადაიტანოს, მერე კი უცებ ამ გეგმას ზურგს აქცევს და იმ ხერხით იმარჯვებს, რასაც არავინ ელოდა. მაგრამ აი მას დაუპირისპირდა არანაკლებ მახვილი გონება და ეშმაკური განზრახვით ჩაუსაფრდა: იგი ხვდება, რომ იმის საპირისპიროს აპირებენ, რასაც იქადიან, ხვდება, რომ მეტოქის გამომეტყველება სანდო არ არის. მის თავდაპირველ გეგმას ყურადღებას არ აქცევს, ელის მეორეს, მესამესაც კი. რაკი თვალთმაქცობა მიხვდა, რომ გაუგეს, იგი უფრო მაღალ საფეხურზე

ადის და ახლა ისწრაფის სიმართლის მეოხებით მოატყუოს მეტოქე — ცვლის თამაშის მანერას: ცდილობს ნამდვილი ყალბად გაასაღოს, რისთვისაც იგი მოტყუებას სრულ გულწრფელობაზე აფუძნებს. მაგრამ ყურადღებად ქცეული საზრიანობა თავის საგუშაგოზე დგას, კიდევ უფრო ძაბავს გამჭრიახ მზერას და ამჩნევს ნათელში გამოხვეულ უკუნეთს: ის სწვდება განზრახვას, რომელიც, რაც უფრო გულწრფელად არის გამხელილი, მით უფრო მომაღორებელია“.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ბალტასარ გრასიანის ეს მსჯელობა ანეკდოტად აქცია შეკითხვამ: „არა გრცხვენია, რატომ მატყუებ?“

კი მაგრამ, რა ძალაა ან, გნებავთ, რა ჯადოა ამ შეკითხვაში ისეთი, რომ მისი წყალობით ძველი შინაარსი ახალ თვისებრიობად გარდაიქმნა?!

საქმე ის გახლავთ, რომ შეკითხვა არასწორად არის დასმული. მართებული იქნებოდა შეკითხვის ამ ფორმით დასმა: „არა გრცხვენია, რატომ **ცდილობ** მომატყუო?“, მაგრამ მაშინ აღარც იუმორი გვექნება და აღარც ანეკდოტი!

საერთოდ, ეს გამოთქმები — „რატომ მატყუებ?“ და „რატომ ცდილობ მომატყუო?“ — სინონიმურნი არიან და, ჩვეულებრივ, თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. მაგალითად: „რამდენი წლისა ხარ?“ „ოცდაათის“. „რატომ მატყუებ? (ან: „რატომ ცდილობ მომატყუო?“) მე ხომ ვიცი, რომ ოცდათხუთმეტი წლისა გახდი!“

ეს გამოთქმები მხოლოდ იმ ერთ შემთხვევაში ვეღარ სინონიმობენ, როდესაც მოტყუებას სიმართლის მეშვეობით ცდილობენ.

მაშასადამე, ამ ანეკდოტის ეფექტი სინონიმური შეკითხვების შინაარსთა სკრუპულოზურ (ზედმიწევნით ზუსტ) დიფერენციაციას ემყარება, მათ შორის უმცირესი აზრობრივი განსხვავების არსებობაზეა დაფუძნებული. ხოლო ის „ჯადო“, რამაც ბალტასარ გრასიანის მსჯელობა ანეკდოტად აქცია, ენობრივი უზუსტობა, კარგად შენიღბული ენობრივი შეცდომა ყოფილა.

ნუთუ შეცდომა და უზუსტობა ასე აუცილებელია (ერაზმ როტერდამელის „ქება სისულელისა“ მაგონდება!), რათა ცხოვრება ხალისიანი გახდეს?

* * *

ექვემდებარება თუ არა იუმორის გრძნობა ევოლუციას? როგორც ჩანს, არა; ყოველ შემთხვევაში, იმ ხანიდან მოკიდებული, საიდანაც ანეკდოტები მოგვეპოვება — არა. უძველეს ბერძნულ ანეკდოტებზეც ისევე გულიანად გვეცინება დღეს, როგორც თანამედროვე მახვილგონივრულ ხუმრობებზე. მაგრამ ზოგჯერ, როცა ანეკდოტების ძველ კრებულებს ვათვალიერებთ — იქნება ეს აბულ-ფარაჯის (სირია, მე-13 ს.), პოჯო ბრაჩოლინის (იტალია, მე-15 ს.) თუ სხვა უფრო ახალი კოლექციები, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ძველებს ალაგ-ალაგ იუმორის გრძნობა ღალატობთ. ამ მცდარი შთაბეჭდილების მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთი ჩინებული ანეკდოტი ისეა მიჯაჭვული ეპოქის თავისებურებას, რომ ამ თავისებურების გარეშე გაუგებარი ხდება, ანუ გაუგებარი ხდება რა არის აქ სასაცილო. ასეთ დროს ვერც განმარტება-კომენტარები შველის დიდად საქმეს.

მქონდა ბედნიერება ჩამევლო იმ მომენტისთვის, როცა ეპოქათა მიჯნაზე კარგ ანეკდოტს ამგვარი რამ ემართება.

უბის წიგნაკების თვალიერებისას 1989 წლის 9 მაისს ჩაწერილი ეს საბჭოური ანეკდოტი ვიპოვე:

„ერთი ნატრობდა, ნეტავი 2000 წლის 20 დეკემბერს მომაწროო. რატომ მაინცდამაინც 20 დეკემბერსო? — ჰკითხეს. რატომ და — თვის ბოლო ხომ იქნება, კვარტლის ბოლო ხომ იქნება, წლის ბოლო ხომ იქნება, საუკუნის ბოლო ხომ იქნება და ათასწლეულის ბოლოც ხომ იქნება... ჰოდა, რამდენ რამეს გამოიტანენ მაღაზიებში!!“.

ვისაც „გეგმიური“ საბჭოთა ეკონომიკის პირობებში ხანგრძლივად უცხოვრია, ვისაც ახსოვს, რომ მაღაზიებში თვის, კვარტლისა და წლის ბოლოს ჩნდებოდა პროდუქცია გეგმის შესასრულებლად, დღეს მარტო ის თუ მიხვდება, რაში მდგომარეობდა მილენიუმის დასასრულისადმი მიძღვნილი ამ მშვენიერი სატირული მინიატიურის „მარილი“. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კი ამის ანეკდოტობას ვინ დაიჯერებს!

მარსიანი

რუსთაველი, ბიბლია და ფაშიზმი

მოგეხსენებათ, რა უხვად იღვრება სისხლი „ვეფხისტყაოსანში“. ტარიელის მიერ უდანაშაულო ხვარაზმშას ძის მიპარვით, „ლაჩრულად“ მოკვლა განსაკუთრებით უარყოფით რეაქციას იწვევს თანამედროვე მკითხველში: როგორც ჟურნალ „ლაშარის“ 1991 წლის მე-2 ნომერში დაბეჭდილ მარიამ ევდოშვილის წერილში „არ, უთქმელობა არ ვარგა...“ ვკითხულობთ, ტარიელის ეს საქციელი ძველადაც უარყოფითად იყო შეფასებული და ამიტომაც გაჩნდა „ვეფხისტყაოსანში“ სხვა ავტორების მიერ ჩამატებული თავი „ხვარაზმელთა ამბავი“, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ შეხვდნენ ხვარაზმელები თავიანთი უფლისწულის მკვლელობის ფაქტს. ეს ჩამატება იმ მიზეზის გამო მოხდა, რომ პოემაშივე დაფიქსირებული ყოფილიყო ტარიელის საქციელის უარყოფითი შეფასება და რუსთაველის ჰუმანიზმს ჩრდილი არ მისდგომოდა. მაგრამ, როგორც მარიამ ევდოშვილი აღნიშნავს, მეოცე საუკუნის რუსთველოლოგთა შორის თანდათან გაბატონებულა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ხვარაზმელი უფლისწულის მკვლელობა „სახელმწიფოებრივი“ და „პატრიოტული“ მოტივებით არის გამართლებული. როგორც ჩანს, ქართველ რუსთველოლოგთა ამგვარ, არსებითად კონიუნქტურულ თვალსაზრისთან დაპირიპირების მიზნით, ერთ ევროპელს უთქვამს — „სანამ ქართველები იმით იქნებიან აღტაცებულნი, მძინარე პრინცი მიპარვით რომ მოჰკლეს, მანამ არაფერი ეშველებათ და კიდევ არაერთი პრინცის თავი გაგორდება საქართველოშიო“. არ ვიცი, იმ ევროპელმა „აღტაცება“ რატომ უწოდა ამგვარ მიმართებას, რაც ალბათ უფრო „წარუმატებელ გამართლებად“ უნდა მიჩნეულიყო, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ (და არა მარტო ან ნაწარმოების) გმირები, თუნდაც „იდეალურ გმირებად“ იყონ შერაცხულნი, ყოველთვის „იდეალურად“ არ იქცევიან და ამდენად, მათდამი აბსოლუტურად უკრიტიკო დამოკიდებულების მოთხოვნა კერპთაყვანისმცემლობას ჰგავს.

ჰოდა, ვინ იცის, რამდენჯერ დაგვბადებია კითხვა: მაინც რატომ ჩაიდინა ტარიელმა ეს საძრახისი და თანაც ყოვლად არაგონივრული საქციელი? ამას ხომ კატასტროფა მოჰყვა — ნესტანი უკვალოდ დაკარგეს, ინდოეთის სამეფო მტერთაგან მიმძლავრებამ დააკნინა, თვითონ ტარიელი კი ათი წელი ეწამა ნესტანის ძებნაში!

მხოლოდ ერთი გარემოება ამართლებს ტარიელს ცოტაოდენ — მან იძულებით ჩაიდინა ეს მკვლელობა, აიძულეს! ცხადია, მას არ უნდოდა, მიპარვით მოეკლა მეტოქე, ერჩივნა, პირისპირ შებმოდა და თავისი ამალიანად გაეგზავნა მოუსავლეთში: ვერ შეძლებდა თუ რა — „შიგან ისრე გაერეოდა, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი“. მაგრამ ქალი რომ შეგიჩნდება, რაღას გააწყობ: ნესტანმა დაიჟინა — „თუ სასიძო არ მოუშვა, ვა, თუ მეფე გაგიმწარდეს, შენ და იგი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდესო“ (ვითომ მისი რჩევის აღსრულების შემდეგ არ წაიკიდნენ და არ გარდაქარდა ინდოეთი?!) თანაც — „სპა უბრალოა, ნუ დახოცო“: ხატაელთა ლაშქარი რომ გააჟლეტინა რამაზ მეფის „ურჩობის“ გამო, მაშინ არ იყო სპა „უბრალო“?

მგონი, ამასობაში იმის აღიარებაც მოგვიწევს, ტარიელზე დიდი დამნაშავე ნესტანი რომაა ამ ვერაგულ მკვლელობაში: ნესტანმა დაავალა, აიძულა! თან ისეთი შეურაცხმყოფელი დამუნათებითა თუ ბრალდებებით, რომ მოთმინებადაკარგულმა ტარიელმა, სანამ დავალების შესასრულებლად გაიჭრებოდა, აგრე შემოჰყივლა: „ქალი ომსა რაგვარ მაწვევს, ასე ვითა დავძაბუნდიო!“

მაგრამ ცოტას თუ დავფიქრდებით, ნესტანზე დიდი დამნაშავეც შეიძლება მოვიძიოთ ამ საქმეში: აბა ვინ?

ვინ და მეფე ფარსადანი! რომ შეურჩია საქმრო თავის ასულს, ერთხელ მაინც ეკითხა მისთვის, თანახმა თუ იყო ამ არჩევანზე. იქნებ სხვა უყვარდა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტარიელი გვერდით რომ ჰყავდა, რაღა გადამთიელი ხვარაზმშას ძე მოინდომა სიძედ, თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას რაღად ეძებდა? ალბათ ფიქრობდა, ამ დამოყვრების შედეგად ხვარაზმის ძლიერებაც შეემატებოდა ინდოეთის სამეფოს, ანუ სხვაგვარად, ხვარაზმიც ინდოეთის პოლიტიკური გავლენის არეალში მოექცეოდა; ნესტანი და ტარიელი კი პირიქით ფიქრობდნენ — ამ ქორწინების შედეგად შესაძლოა ხვარაზმელები არასასურველად აღზევე-

ბულიყვნენ ინდოეთის სამეფო კარზე („რომე სპარსნი გაგვიხასდნენ“) და ამას, როგორც ჩანს, სწორადაც ფიქრობდნენ. მაგრამ რა — ისეთი გზა აირჩიეს პრობლემის მოსაგვარებლად, რომ უარესს თვით ეშმაკიც ვერ ურჩევდათ!

რა მოხდებოდა, ტარიელს რომ იმ თათბირზე, სადაც ნესტანის გათხოვების საკითხი წყდებოდა, პირდაპირ განეცხადებინა — ნესტანი მე მიყვარს და არავის დავუთმობო? და ბარემ ისიც დაემატებინა (რაც, უკვე საბედისწერო დაგვიანებით, მართლა შეუთვალა მეფეს) — „ინდოეთი ჩემი არის, არვის მივცემ ჩემგან კიდე!“

მაგრამ ეს ჩვენ, თანამედროვე დემოკრატიული ცნობიერების მიღმა ვერგახედულთ, გვგონია, რომ ტარიელის სიტყვას იმ თათბირზე თუნდაც კიტრის ფასი ექნებოდა: თუკი მეფე თავისი ასულის ბედს ამ ასულის დაუკითხავად წყვეტდა, ვითომ თავისი ვასალის რჩევას და მითუმეტეს პრეტენზიებს რაიმე ანგარიშს გაუწევდა? აკი ამბობს ტარიელი: „დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა“. აი, სადაა ძაღლის თავი დამარხული: იცით, რას ნიშნავს ეს „უმეცრობა“, რომლის წარმოდგენამაც ასე დააფრხო და უმწეო გახადა თვით ლომგული ტარიელი? რას ნიშნავს და სამეფო კარის ეტიკეტის დარღვევას, იმის არცოდნას, თუ როგორ უნდა მოიქცე უმაღლეს საზოგადოებაში! და როგორ შეეძლო ტარიელს, თვითონაც სამეფო ოჯახის წარმომადგენელს, იმ თათბირზე ჩვენებური პარლამენტარივით მოქცეულიყო — პირველი პირის, ამ შემთხვევაში მეფის თათბირი დაეწუნებინა და საკუთარი პრეტენზიები წამოეყენებინა! არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ როგორც ინდოეთის, ასევე არაბეთის სამეფო კარი აღმოსავლური დესპოტიის კლასიკურ ნიმუშებად წარმოგვიდგება და რუსთაველმა თავისი მჭევრი ენით რაგინდ აქოს და ადიდოს პოემის პერსონაჟი მეფეები, სიმართლე მაინც მამლის კუდივით აჩენს თავს გადამწყვეტ მომენტებში: მაგალითად, როსტევანზე რომ წერს ავტორი „მოსამართლე და მოწყალე“ იყოო, განა სწორედ როსტევანმა არ გამოიჩინა ელემენტარული ეგოიზმი და თავკერძობა, სხვისი გასაჭირისადმი გულგრილობა, როცა შეიტყო, რომ ავთანდილი ტარიელის მისაშველებლად წასვლას აპირებდა? მას არაფრით არ უნდოდა ავთანდილის გაშვება და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, ჩუმად გაპარულიყო, რათა ტარიელისათვის მიცემული პირობა შეესრულებინა. რაც შეეხება ფარსადან მეფეს, პოემაში ძალიან გამჭვირვალედ ჩანს, რომ იგი სავსებით ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს და ტარიელსა თუ სხვა კარისკაცებს მხოლოდ ფორმალობისათვის თუ ჰკითხავს რაიმე რჩევას. ტარიელის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მეფური იმიჯი“ საპნის ბუშტივით გასკდებოდა ინდოეთის სამეფო კარზე, ნესტანის გათხოვებასთან დაკავშირებით რაიმე განსხვავებული აზრი რომ გამოეთქვა და ფარსადან მეფის თათბირს მოწონებით არ შეხვედროდა. საერთოდ, მეფეებს მუდამ ამგვარი რამ უნდა ჰკადრო — „თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარისა მჯობია“-თქო, თორემ აბა განსხვავებულ აზრს, კრიტიკულ შენიშვნასა და პირადულ პრეტენზიებს მეთორმეტე საუკუნის აღმოსავლელი დესპოტი კი არა, აგერ, ჩვენს დღევანდელობაში, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის დემოკრატი ხელმძღვანელიც არ გაპატიებს!

ასე რომ, სჯობს მთელი სახელმწიფო არივ-დარიო და დაღუპვის პირას მიიყვანო, ვიდრე მეფის კარზე არაჯეროვნად, ეტიკეტის არაშესაბამისად მოიქცე!

საწყალი ტარიელი! ნესტანის გათხოვების განზრახვა რომ ამცნეს, დაბნედილიყო მაინც (როგორც პირველად დაემართა ნესტანის დანახვისას), იქნებ ის გულით ბრმა ფარსადანი რაღაცას მიმხვდარიყო და დროულად ეთქვა უარი თავის უგუნურ არჩევანზე!

„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე, თუ ჩემი ქალი გიყვარდა, რად არა შემაგებინე?“ — უთვლის ფარსადანი ტარიელს და ამაში მართალიცაა: არ უნდა სცოდნოდა მეფის ამირბარს, რომ მისი სიუზერენი სხვა სახელმწიფოსთან დამოყვრებას და ამდენად (მისი ჭკუით) ინდოეთის იმპერიული ძლიერების განვრცობას მოიწადინებდა თავისი მზეთუნახავი ასულის მეშვეობით? მეფეს თუ აკლდა გამჭრიახობა საიმისოდ, რომ ამგვარ ფანტაზიებს არ გამოდევნებოდა, ტარიელს ხომ წინასწარ უნდა ჰქონოდა თადარიგი დაჭერილი, რათა ნესტანი და სამეფო ტახტი არ დაეკარგა მოხუცი მეფის ახირებათა გამო!

აი, რა მოსდევს მიჯნურობის მეტისმეტ მალვას!

„ვეფხისტყაოსანი“ ქრისტიანული პოეზიის ნიმუშად მიაჩნიათ მისი ეზოთერული პლანის სიღრმეებში ჩახედულ მკვლევართ. ხოლო ვინც ამ პოემის ემპირიულ პლანს მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ისინი არაქრისტიანულ ნაწარმოებად თვლიან მას. თავისებურად, ნაწილობრივ ალ-

ბათ ორივე მხარე მართალია; დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ ცალსახად არის მიჩნეული ქრისტიანულ (თუმცა მაინც გარკვეულწილად ერეტიკულ) ნაწარმოებად: დანტესთან ეზოთერული და ემპირიული პლანები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება: „ღვთაებრივი კომედიის“ თითქმის მთელი მოქმედება მთლიანად ქრისტიანული (კათოლიკური) საიქიოს სამ სკნელში (ჯოჯოხეთში, სალხინებელსა და სამოთხეში) ხდება. „ვეფხისტყაოსნის“ ემპირიულ პლანში კი მოქმედება არაქრისტიანულ ქვეყნებში ხდება, გმირებიც მუსულმანები არიან. თანაც „ვეფხისტყაოსნის“ ეზოთერული პლანი იმდენად ჰერმეტიზებულ-დაშიფრულია, რომ მკვლევართა ერთ ნაწილს და, მითუმეტეს, მკითხველთა უმრავლესობას მისი არსებობის არც კი სჯერა. ხოლო უშუალოდ, ზედაპირზე რაც ხდება „ვეფხისტყაოსანში“ (ეს ამდენი ხმლის ტრიალი და სისხლის მდინარეები) ალბათ ძნელია ქრისტიანულ სათნოებასთან, „არა კაც ჰკლას“ მცნებასთან, ცოდვების გაცნობიერებასა და მონანიებასთან და ა. შ. დააკავშირო... თუმცა, „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული წარმოსახვის ნაყოფია და სიმბოლურ-ალეგორიული თვალსაზრისით რატომაც არ შეიძლება ქრისტიანულ ნაწარმოებად ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ ჯვაროსნული ომები, ინკვიზიციის კოცონები, ბართლომეს ღამე და მისთანები რეალური ისტორიის კუთვნილებაა, თანაც პირწმინდად, ცალსახად ქრისტიანული ისტორიისა!

„არა კაც ჰკლა“ და სხვა მცნებანი ქრისტიანობამ ხომ იუდაიზმისგან მიიღო მემკვიდრეობად და ძველი აღთქმა ქრისტიანთათვისაც წმინდა წიგნია თავისი უკვდავი პერსონაჟებით; ძველი აღთქმისეული წმინდანები ქრისტიანობის მიერაც წმინდანებად არიან აღიარებული. არადა, ბიბლიაში ისეთი საშინელებანი ხდება (და არაიშვიათად სწორედ იმ წმინდანების ხელით), რომ ტარიელის მიერ ხვარაზმშას ძის მოკვლა იმასთან შედარებით ლამის ჰუმანურ აქტად ჩანს. საერთოდ, ბიბლიის მცოდნეებს თუ უბრალოდ, მორწმუნეებს თავი ისე უჭირავთ, ანდერსენის „შიშველი მეფის“ ზღაპარი გაგახსენდებათ: თითქოს ვერავინ ამჩნევს, რა საზარელ ბოროტმოქმედებებს სჩადიან ამ წმინდა წიგნის პერსონაჟები (რომლებიც, თუ ავტორიტეტულ აზრს ვერწმუნებით, რეალური ისტორიული პიროვნებანი არიან).

თანაც ბიბლიური ებრაელები (და განსაკუთრებით ამ რჩეული ერის რჩეული წარმომადგენლები) ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმით უმეტესწილად სჭარბობენ იმ წარმართებს, რომელთაც ებრძვიან, მე ვიტყოდი, შეუდარებლადაც კი სჭარბობენ:

გავიხსენოთ რამდენიმე მომენტი ბიბლიიდან:

როცა ებრაელები მტრის ლაშქარს ამარცხებენ და მათ საცხოვრისს ხელთ იგდებენ, სხვა მეომარი ხალხებისგან განსხვავებით მტრის ქონებას თვითონ როდი მოიხმარენ, არამედ ყველაფერს წვავენ და ანადგურებენ, პირუტყვსაც კი: ეს ყველაფერი მათი რწმენით უწმინდურებაა და დაპყრობილი მიწა ამ უწმინდურებისგან სრულიად უნდა განიწმინდოს; ხოლო როცა ტყვეებს იგდებენ ხელთ, მოსე ბრძანებს, რომ დატყვევებული ჩვილი ბავშვებიდან ბიჭები დახოცონ, გოგონები კი სათავისოდ გაზარდონ. ახლა ვიკითხოთ, ამაზე საშინელი რა ჩაიდინა ჰეროდემ, როცა განკაცებული უფალი იესო მოევლინა ურიასტანს? ჰეროდემ ხუთიათასი მცირეწლოვანი ბიჭუნა იმისათვის გააჟლეტინა, რომ მათ შორის „ურიათა მეფედ“ ნაწინასწარმეტყველევი ჩვილი ეგულებოდა. ჰეროდეს საქციელის გამართლება არა, მაგრამ გაგება მაინც შეიძლება: მან მომავალი მეტოქისადმი პანიკური შიშით შეპყრობილმა გასცა ეს არაადამიანური ბრძანება. ამგვარი მოტივირებით აღმოსავლელი დესპოტები ზოგჯერ საკუთარ შვილებსაც კი არ ზოგავდნენ (გავიხსენოთ შაჰ აბასისა და მისი ძის, სეფი მირზას ისტორია). მოსეს საზარელი განკარგულებანი კი მხოლოდ და მხოლოდ ბნელი, ფანატიკურ-რასისტული მსოფლმხედველობისა თუ რწმენის გამოხატულებაა: უცხო ტომის გოგონების გაებრაელება შესაძლებლად მიაჩნდა, ბიჭები კი უნდა დახოცილიყვნენ, რათა უცხო თესლს არ შეემღვრია ღვთის რჩეული ერის, ისრაელის პატრიარქალური „სიწმინდე“...

როცა კი ამ თემაზე სიტყვა ჩამომიგდია და მიკითხავს, რატომ არღვევდა მოსე ასე ჰიპერტროფული მასშტაბით საკუთარსავე მცნებას „არა კაც ჰკლა“, ყოველთვის მპასუხობდნენ, რომ მოსე არა თავისი ნებით, არამედ ღვთის ბრძანებით იქმოდა ყოველივე ამას. კი მაგრამ, სადაა ლოგიკა? განა ღმერთმა არ უკარნახა მოსეს ზემოხსენებული მცნება? როცა ღმერთს ვინმეს დასჯა სურდა, კიდევაც სჯიდა „მჭამელი ცეცხლითა“ თუ სხვა სასჯელებით და რაღა იმ საცოდავი, დაუცველი, უმანკო ჩვილების დასჯას ისურვებდა მაინცდამაინც თავისი რჩეულის, მოსეს ხელით? ვთქვათ, ამგვარი ბრძანებანი მართლა ჩაესმოდა მოსეს (თუმცა ბიბლიის ტექსტში

ამაზე რაიმე მინიშნება არ არის), ისევე, როგორც აბრაამს ჩაესმა ბრძანება თავისი ვაჟის, ისაა-კის მსხვერპლად შეწირვის შესახებ: მაგრამ ხომ ცნობილია, რომ სატანა ხშირად ღმერთის სახეს იღებს, მას ემსგავსება, რათა ადამიანები აცთუნოს და თავისი უწმინდური ნება აღასრულებინოს: ნუთუ ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანი, მითუმეტეს, ხალხის წინამძღოლად და ღვთისკაცად შერაცხული, არ უნდა დაეჭვდეს, როცა ასეთი შემაძრწუნებელი ბრძანება ჩაესმის, იქნებ სატანისეულია ის ბრძანება და არა ღმერთისმიერი! თუკი უფლის მორჩილება ბრმა, ფანატიკურ, ზომბურ ქმედებებად რეალიზდება, რა მადლი ექნება ამგვარ ქმედებებს?

ახლა გავიხსენოთ წინასწარმეტყველ ელიას ამბავი. დიდი გვალვის დროს ელიამ თავისებურ „შეჯიბრში“ გამოიწვია კერპ ბაალის ქურუმნი, მთელი ხალხის თვალწინ დაამტკიცა ბაალის უძლურება და თავისი ღმერთის ძლევამოსილება. და შემდეგ ეს გაწბილებული და დისკრედიტირებული ქურუმები, 500 კაცი, საკუთარი ხელით დახოცა! შემდეგ, უფლის მიერ ცად აყვანილი ელია წინასწარმეტყველის მოწაფემ, ელისემ, აი, როგორ „ჰუმანურად“ გამოიყენა მოძღვრისაგან მასზე გადმოსული მისტიკური, ზებუნებრივი ძალა: ელისეს ბავშვების ბრბო შემოეყარა გზად და ამ ბავშვებმა დაცინვა და მასხრად აგდება დაუწყეს მას. ნაცვლად იმისა, რომ მოთმინებითა და კეთილმოუბრობით, ან თუნდაც იმ ზებუნებრივი ძალის გამოყენებით დაერწმუნებინა ბავშვები, რომ უკადრისად იქცეოდნენ, განრისხებულმა წინასწარმეტყველმა დაწყევლა ისინი, ტყიდან ორი დათვი გამოვიდა და ორმოცი ბავშვი დაგლიჯა!

კიდევ ერთი მაგალითი: როცა იაკობი და მისი ჯალაბობა მგზავრობისას დროებით ერთ ქალაქში შეჩერდა, მისი ასული დინა ქალაქის თავს მოეწონა და შეაცდინა. შემდეგ მან ინანა თავისი საქციელი, იაკობს განუცხადა, ცოლად შევირთავ შენს ასულს და რაკი სხვა რჯულის ხარ, მეცა და ჩემი ქალაქიც შენს რჯულზე მოვექცევითო. მართლაც, მთელი ქალაქის მამაკაცებმა ებრაული წინადაცვეთის წესი აღასრულეს. იაკობის ორმა ვაჟმა, სიმონმა და ლევიმ ისარგებლეს იმით, რომ ქალაქის ყველა მამაკაცი წინადაცვეთის გამო დროებით დასუსტებული იყო ფიზიკურად, ღამით ჩუმად შეიჭრნენ მათ სახლებში და ყველანი გაჟლიტეს. ასე დაედო იაკობის სახლს მძიმე ცოდვა და ასე დარჩა მისი ასული ნამუსახდილი და გაუთხოვარი. რა არის ეს, თუ არა ბნელი ფანატიზმი, რასიზმი და სადიზმი?

მართალია, იაკობის ეს ორი ვაჟი წმინდანებად შერაცხულნი არ გახლავან, მაგრამ „რჩეულ ერს“ ხომ ეკუთვნიან! მათ მიერ გაჟლეტილნი კი ალბათ წარმართები იყვნენ, ამდენად „უწმინდურნი“ და ამოსაძირკვნი!

ბიბლიურ ებრაელებს, საერთოდ, ძალიან უყვართ კვლა. თანაც მათ მიერ ჩადენილი მკვლელობები, განსხვავებით „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ზეკაცურ (იუბერმენშულ, სუპერმენულ) დანაშაულთაგან, გამოირჩევა რაღაც უაზრო სისასტიკით (ამერიკელი ველური ინდიელები მოგაგონდებათ, მოკლულებს რომ ასახიჩრებენ და სკალპებს აძრობენ). „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს წესად აქვთ დამარცხებული მტრის შეწყალება, ბიბლიური ებრაელები კი სწორედ მაშინ ხდებიან განსაკუთრებით დაუნდობელნი და უმოწყალონი მოწინააღმდეგის მიმართ, როცა ამ უკანასკნელს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლია; სხვათა შორის, გერმანელი ფაშისტები, თუმცა კი ნიცშესეულ ზეკაცის თეორიას იყენებდნენ იდეოლოგიურ იარაღად, თავიანთი დანაშაულებრივი პრაქტიკით უმალ ძველი აღთქმის ებრაელებს მოგვაგონებენ, ვიდრე რუსთაველის პოემის ძალამოჭარბებულ, ლაღ ზეკაცებს: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი უფრო „ნიცშეანელებად“ გამოიყურებიან, ვიდრე ჰიტლერელი რასისტი ოფიცრები, თავიანთი თავი „ნორდული რასის“ რჩეულ შვილებად რომ წარმოედგინათ.

ხშირად დავფიქრებულვარ, მაინც რა იყო გერმანელ ფაშისტთა ტოტალური ანტისემიტიზმის მიზეზთამიზეზი? ნუთუ მხოლოდ ის, რომ ებრაელებს, შეიძლება ითქვას, მართლაც ტოტალურად ხელთ ჰქონდათ ჩაგდებული თითქმის ნახევარი მსოფლიოს ეკონომიკური ბერკეტები? არა მგონია, მხოლოდ ეს ყოფილიყო ამ ერისადმი ასეთი ფანატიკური სიძულვილის მიზეზი. ასეთი, ალბათ ნაკლებად დასაბუთებადი და სუბიექტური აზრიც კი გამიჩნდა: იქნებ იმ ხალხთაგან, ვისაც ბიბლიური ებრაელები ებრძოდნენ, ზოგიერთები წინარეარიული მოდგმისანი იყვნენ და როგორც ძველ ებრაელებს მიაჩნდათ „საღვთო საქმედ“ ამ წარმართთა დედაბუდიანად ამოწყვეტა და ამოძირკვა, ასევე მიიჩნიეს თანამედროვე არიელებმა სემიტთა მოდგმის სრული იავარქმნა კაცობრიობის რასობრივი განწმენდის აუცილებელ წინაპირობად?

ნიცშეს რომ რუსთაველი წაკითხული ჰქონოდა, ალბათ ტარიელს, ამ ჭეშმარიტ არიელს, თა-

ვისი ზეკაცის წინარე სახედ აღიარებდა; ნიცშეანელი გერმანელი ფაშისტები კი თავიანთი უაზრო სისასტიკითა და ფანატიზმით მეტისმეტად განემსგავსნენ ზეკაცის იდეალს და, როგორც უკვე ვთქვით, სწორედ იმ ბიბლიურ იუდეველებს დაემსგავსნენ, რომელთა შთამომავალთაც ასე ნაგვიანევად აზღვევინეს წინაპართა ცოდვები...

ჰოდა, თუ კარგად დავფიქრდებით, გერმანული ფაშიზმის ფესვები იქნებ ბიბლიაში უფროა საძიებელი, ვიდრე ნიცშეს ფილოსოფიაში: ძველი აღთქმა ხომ რასისტული სულით ისეა გაჟღენთილი, მასთან შედარებით ნიცშეს არისტოკრატული იდეოლოგია ბავშვურ თამაშად მოგეჩვენებათ!

დაბოლოს: ყოველივე ზემოთქმულის ფონზე რაღას ვერჩით ამ ჩვენს ტარიელს, ის ხომ, ბოლოსდაბოლოს, ნაწარმოების გმირია და არა რეალური, ისტორიული პიროვნება!

ვასილი კანდინსკი

სულიერების შესახებ ხელოვნებაში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „აფრა“ №17-ში)

IV. პირამიდა

ხელოვნების სხვადასხვა დარგი თანამიმდევრულად ცდილობს, გამოთქვას ის, რისი თქმაც საუკეთესოდ შეუძლია იმ საშუალებებით, რასაც მხოლოდ ეს დარგი ფლობს.

უკანასკნელ ხანს, მიუხედავად ამ განსხვავებისა, ან სწორედ ამ განსხვავების მეოხებით, ხელოვნების ესა თუ ის დარგი, როგორც ასეთი, ერთმანეთს არასოდეს დაახლოვებია ისე, როგორც ეს მოხდა ხელოვნების სულიერებისაკენ მობრუნებისას.

ყოველივე ზემოთხსენებულში მოიაზრება არამატერიალურის, აბსტრაქტულისა და *შინაგანი ბუნების* ასახვისკენ მისწრაფების ჩანასახები. ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ისინი ემორჩილებიან სოკრატეს სიტყვებს: „შეიცან თავი შენი!“ ცნობიერად, თუ გაუცნობიერებლად ხელოვანნი თანდათანობით უბრუნდებიან საკუთარ მასალას, ყოველმხრივ ცდიან მას, სულიერ სასწორზე ათავსებენ იმ ელემენტთა შინაგან ღირებულებას, რაც საკუთრივ მათი ხელოვნების შექმნისთვის უპრიანი და აუცილებელია.

ამ მისწრაფებისგან კი თავისთავად ის ბუნებრივი შედეგი გამომდინარეობს, რომ ხელოვნების ყოველი დარგი საკუთარ ელემენტებს ხელოვნების სხვა დარგის ელემენტებს *ადარებს*. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო მდიდარ გამოცდილებას მუსიკა იძლევა. უმნიშვნელო გამონაკლისებსა და გადახრებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მუსიკა ხელოვნების ის დარგია, რომელსაც თავისი გამომსახველობითი საშუალებები ბუნების მოვლენათა ასახვისათვის კი არ სჭირდება, არამედ ამ საშუალებებს პირადად ხელოვანის სულიერი ცხოვრებისა და მუსიკალური ტონების თვითმყოფადი სიცოცხლის სიღრმისეული ასახვისთვის იყენებს.

ხელოვანი, რომელიც თავის მიზნად არ მიიჩნევს ბუნების მოვლენათა თუნდაც მხატვრულ მიმბაძველობას, ანუ, აქედან გამომდინარე იმ ტიპის შემოქმედია, რომელსაც სურს და გადაწყვეტილი აქვს თავისი *შინაგანი სამყარო* ასახოს, ერთგვარი შურით ადევნებს თვალს, თუ რა ბუნებრივად და ადვილად მიიღწევა ეს მუსიკის, — სადღეისოდ ყველაზე უფრო არამატერიალური ხელოვნების მეოხებით. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ იგი თავადაც მუსიკას მიმართავს და ცდილობს, მიაგნოს და თავის ხელოვნებაში გამოიყენოს იგივე საშუალებები, რასაც მუსიკა იყენებს. აქედან გამომდინარე მხატვრობაში ინერგება რიტმი, მათემატიკური და აბსტრაქტული კონსტრუქციები, დღეს ასე ფასეული ფერადოვანი ტონების გამეორება, მანერა, რომლის მეოხებითაც ფერს მოძრაობის დატვირთვა ეძლევა და ასე შემდეგ.

ხელოვნების სხვადასხვა დარგების საშუალებათა შედარება და მსგავს საშუალებათა ნასესხობანი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს მიზანსა და წარმატებას, თუ ამგვარი სესხება ზედმიწევნით პრინციპული ხასიათისა იქნება და არა ზედაპირული. ეს კი, თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ერთი ხელოვნება უნდა სწავლობდეს მეორისგან, თუ როგორ იყენებს ის ამა თუ იმ საშუალებას, უნდა ისწავლოს, რათა შემდეგ *საკუთარი* საშუალებაც იმავე *პრინციპით* გამოიყენოს, რომელი პრინციპიც *მხოლოდ* მისთვისაა დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში ხელოვანი არ უნდა ივიწყებდეს, რომ ეს საშუალება თავის თავში ფარულად მოიცავს გამოყენების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ხერხს და რომ *ეს* ხერხი მისაგნებია.

ფორმისეული გამომსახველობის გამოყენებისას მუსიკას ძალუძს ისეთ შედეგებს მიაღწიოს, რაც ფერწერისათვის სრულიად მიუღწეველია. მეორე მხრივ, ფერწერის ზოგიერთ თვისებას თუ გავითვალისწინებთ, მუსიკა ჩამორჩება მხატვრობას. ასე მაგალითად, მუსიკის განკარგულებაშია დრო, ანუ დროის გარკვეული გრძლიობა. მხატვრობას კი, რომელსაც ხსენებული უპირატესობა არ გააჩნია, მყისიერად შეუძლია მიიტანოს მაყურებლამდე ნამუშევრის სრული

შინაარსი, რაც მუსიკისთვის მიუღწეველი რჩება.[1] მუსიკა, რომელიც გარეგნულად ბუნებისგან სრულიად დამოუკიდებელია, საკუთარი გამომსახველობითი ენისთვის არ საჭიროებს საიდანმე გარეგნული ფორმების სესხებას.[2]

მხატვრობა დღეს თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული ბუნებრივ ფორმებზე, ანუ ბუნებისგან ნასესხებ ფორმებზე. მისი სადღეისო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოიკვლიოს და შეიცნოს საკუთარი ძალები და საშუალებები – რასაც უკვე კარგა ხანია აღწევს მუსიკა – და სცადოს, ეს საშუალებანი და ძალები წმინდა მხატვრული ხერხების გამოყენებით, მიზნობრივად მოახმაროს საკუთარ შემოქმედებას.

ამგვარად, საკუთარ წიაღში ჩაღრმავება მიჯნავს ხელოვნების ერთ დარგს მეორისგან, თუმცა ამასთანავე, *შინაგანი* მისწრაფების თვალსაზრისით, მათი ურთიერთშედარება კვლავ აერთიანებს მათ. ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ხელოვნება ფლობს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ძალისხმევას, რაც არ შეიძლება შეიცვალოს სხვა ხელოვნების ძალებით. და საბოლოოდ ჩვენ მივდივართ სხვადასხვა სახის ხელოვნებათა ძალების გაერთიანებამდე; და სწორედ ამ გაერთიანებიდან დროთა განმავლობაში წარმოიქმნება ნამდვილი *მონუმენტური ხელოვნება,* უკვე დღესვე რომ შეგვიძლია თვალნათლივ წარმოვიდგინოთ.

და ყოველი, რომელიც საკუთარი ხელოვნების ფარულ *შინაგან* საგანძურს ჩაუღრმავდება, საშურველი თანამოსაგრეა იმ სულიერი პირამიდისა, ზეცას რომ მიაღწევს.

ფერწერა

V. ფერის ზემოქმედება

თუ თვალს გადავავლებთ ფერებით სავსე პალიტრას, ორი მთავარი რამ შეინიშნება:

1) ხორციელდება ფერის *პირწმინდად ფიზიკური* ზემოქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ თვალი თვითონაა მოხიბლული ფერების მშვენიერებითა და სხვა ნიშან-თვისებებით. მნახველს კმაყოფილების, სიხარულის განცდა ეუფლება, ისევე როგორც ეს კულინარს მოსდის გემრიელი ლუკმის დაგემოვნებისას. ანდა, თვალი იმგვარადვე აღიგზნება, როგორც სასა — ცხარე კერძის მოსინჯვისას. ეს განცდები თანდათან მშვიდდება და ცხრება, ყინულზე თითის შეხების მსგავსად. ამასთან, სული თუ დახშული რჩება, ეს შეგრძნებები მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირულია და დიდი ხნის ზემოქმედება არ გააჩნია, ისევე, როგორც ყინულის შეხების დროს ფიზიკური სიცივის განცდის გარდა არაფერი გეუფლება, რაც თითის გათბობისთანავე დავიწყებას ეძლევა; ფერის ფიზიკური ზემოქმედებაც, თუ მას მზერა მოსცილდა, მაშინვე დავიწყებას მიეცემა. მაგრამ, ყინულის შეხებისას სიცივის ფიზიკური განცდა თუ ღრმადაა გამჯდარი, ის სხვა უფრო მძაფრ განცდებს აღვიძებს და მთელი რიგი ფსიქიკური მოვლენების გაღვივება შეუძლია; ასევე, ფერის ზედაპირულ ზემოქმედებასაც შეუძლია განვითარდეს და გადაიზარდოს პიროვნების სულიერ განცდაში.

ასე თუ ისე მგრძნობიარე ადამიანზე მხოლოდ ჩვეულებრივი საგნები ახდენს ზემოქმედებას ზედაპირულად. მაგრამ, თუ ჩვენ პირველად ვხედავთ მათ, ისინი მაშინვე ღრმა შთაბეჭდილებას იწვევენ ჩვენში. ამგვარად მხოლოდ ბავშვი განიცდის სამყაროს, რომლისთვისაც ნებისმიერი

[1] ეს განსხვავებები, ისე როგორც ყველაფერი ამქვეყნად, პირობითია. მუსიკას, გარკვეული აზრით, შეუძლია თავი აარიდოს დროში განფენილობას, ხოლო მხატვრობას – გამოიყენოს ეს გრძლიობა... როგორც ვახსენეთ, ყველა ამ მტკიცებას მხოლოდ პირობითი ფასეულობა გააჩნია.

[2] თუ რაოდენ უსუსურია ცდები, გამოიყენონ მუსიკალური საშუალებები გარეგანი ფორმების გადმოსაცემად, ადასტურებს ვიწროდ გაგებული პროგრამული მუსიკა. ასეთ ექსპერიმენტებს არცთუ ისე დიდი ხნის წინ იყენებდნენ. ბაყაყების ყიყინის, საქათმის კაკანისა და დანების ღესვის ხმების მიბაძვა უთუოდ ვარიეტეს სცენას თუ მიესადაგება და თავშესაქცევ ხუმრობადაც შეიძლება გამოდგეს. სერიოზულ მუსიკაში ასეთი წრეგადასული ზედმეტობები სახუმარო მაგალითებად რჩება და „ბუნების ასახვის“ წარუმატებელი ცდაა მხოლოდ. ბუნებას საკუთარი ენა გააჩნია, რომელიც ჩვენზე განუსაზღვრელი ძალით ახდენს ზემოქმედებას. შეუძლებელია ამ ენის მიბაძვა. როდესაც საქათმის კაკანს მუსიკალურად წარმოაჩენენ, რათა ამის მეშვეობით ბუნების მიბაძვა მოახერხონ და მსმენელს იგივე განწყობა შეუქმნან, ნათელი ხდება, რომ ეს შეუძლებელია და არც არავითარ აუცილებლობას, ან საჭირო ამოცანას არ წარმოადგენს. ასეთი განწყობის შექმნა შესაძლებელია ხელოვნების ნებისმიერი სახეობით, ოღონდაც ბუნების გარეგნული მიმბაძველობით კი არა, არამედ, ამ განწყობისა და მისი *შინაგანი* ფასეულობის მხატვრული ასახვით.

საგანი სიახლეა. იგი ხედავს ალის სინათლეს, რომელიც იზიდავს მას და სურს ხელით შეეხოს, ეწვება თითები, რის გამოც შიშისა და მოკრძალების განცდა უჩნდება ცეცხლის მიმართ. შემდეგ იგი შეიცნობს, რომ შუქს მტრული თვისებების გარდა, სასიკეთო მხარეებიც გააჩნია: განდევნის სიბნელეს, ახანგრძლივებს დღეს, შეუძლია გათბობა, ხარშვა და სახალისო სანახაობის წარმოდგენა. ამ გამოცდილების დაგროვების შემდეგ, ცეცხლთან ნაცნობობა შემდგარია და ეს ცოდნა ტვინში ფიქსირდება. *მძაფრი, ინტენსიური* ინტერესი ქრება, და ცეცხლის თავისებურება — წარმოადგენდეს სახალისო სანახაობას, ებრძვის მისდამი სრულიად გულგრილ დამოკიდებულებას. ამგვარად, სამყარო თანდათან კარგავს ჯადოსნურობას. ცხადი ხდება, რომ ხეები ჩრდილს ქმნიან, ცხენებს სწრაფად სირბილი შეუძლიათ, მანქანები კი ცხენებზე უფრო სწრაფად მოძრაობენ, რომ ძაღლები იკბინებიან და მთვარე შორსაა, რომ სარკეში არეკლილი ადამიანი – არაა ნამდვილი.

და მხოლოდ ადამიანის განვითარების უმაღლეს საფეხურზე, სულ უფრო და უფრო ფართოვდება იმ თვისებათა წრე, თავის წიაღში სხვადასხვა საგნებსა და არსებებს რომ მოიცავს. მაღალი განვითარების საფეხურზე ხსენებული საგნები და არსებები შინაგან ფასეულობას იძენენ, საბოლოოდ კი, *შინაგან ყღერადობასაც.* ასეთივე რამ ხდება ფერთან მიმართებაშიც. ადამიანის სუსტი სულიერი მგრძნობელობის დროს, ფერს მხოლოდ ზედაპირული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, რომელიც აღგზნების დასრულების შემდეგ უმალ ქრება. მაგრამ ასეთ მდგომარეობაშიც კი, ნაირგვარ უმარტივეს ზეგავლენასთან გვაქვს საქმე. თვალს უფრო მეტად ძლიერი, ჩახჩახა ფერები იზიდავს, განსაკუთრებით კი, ხაზგასმით ნათელი და თბილი: წითელი სინგური გიზიდავს და გხიბლავს, როგორც ცეცხლის ალი, რომელსაც ადამიანები მუდამ ხარბი თვალით შესცქერიან. ხასხასა ლიმნისფერ-ყვითელი დიდი ხნის განმავლობაში ცქერისას ღლის ისევე თვალს, როგორც ყურს საყვირის გამაყრუებელი ხმა. თვალი მოუსვენარი ხდება, მზერას ყვითელ ფერზე ვეღარ აყოვნებს, სიღრმესა და სიმშვიდეს ეძებს ლურჯი და მწვანე ფერადოვანი ლაქების აღქმისას. უფრო მეტად განვითარებულ სიტუაციაში ეს ელემენტარული ზემოქმედება გადაიზრდება სიღრმისეულ ზემოქმედებაში, რაც სულზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს.

ასეთ შემთხვევაში,

2) სახეზეა ფერზე დაკვირვების მეორე მთავარი შედეგი, — ეს მისი ფსიქიკური ზემოქმედებაა. ამ შემთხვევაში ვლინდება ფერის ფსიქიკური ძალა, რაც სულიერ ვიბრაციას იწვევს. პირველი: ელემენტარული ფიზიკური ძალა გადაიქცევა იმ დამაკავშირებელ ბილიკად, რითაც ფერი სულის სიღრმემდე აღწევს. არის თუ არა ეს მეორე ზემოქმედება სინამდვილეში პირდაპირი, როგორც ეს ზემოთხსენებული სტრიქონებიდანაა სავარაუდო, თუ განსაზღვრული *ასოციაციის* მეოხებით მიიღწევა, ჯერ კიდევ კითხვის ქვეშ დგას. ვინაიდან ზოგადად, სული სხეულთან მკვიდრადაა დაკავშირებული, შესაძლებელია, ასოციაციის მეშვეობით გამოწვეული ფსიქიკური რყევა, სხვა, მის შესაბამის რეაქციას იწვევდეს. ასე მაგალითად, წითელ ფერს შეუძლია ცეცხლის ალის მსგავსი სულიერი ვიბრაცია გამოიწვიოს, ვინაიდან წითელი — ალის ფერია. თბილი წითელი აღმგზნები ფერია, ამ წითელს შეუძლია სისხლდენის მსგავსი აუტანელი ტკივილის გამოწვევაც. ამ შემთხვევაში ეს ფერი აღვიძებს მოგონებას სხვა ფიზიკურ მამოძრავებელ ძალაზე, რომელიც ადამიანის სულზე უსათუოდ ახდენს მტკივნეულ ზემოქმედებას.

ეს რომ ასე იყოს, მაშინ ჩვენ ასოციაციების მეშვეობით იოლად შევძლებდით გვეპოვა ახსნა ფერის სხვა ფიზიკური ზემოქმედების მიმართ, ანუ არა მარტო მხედველობის, არამედ გრძნობის სხვა ორგანოების მიმართაც. შეიძლება იმის დაშვება, რომ მაგალითად ყვითელი ფერი, ლიმონის ასოციაციით, სიმჟავის შეგრძნებას იწვევს. თუმცა ასეთი ახსნა ყოველთვის არ გამოდგება. როცა საქმე ფერის გემოსმიერ შეგრძნებას ეხება, მრავალი მაგალითი მოიძებნება ისეთი, სადაც ეს ახსნა არ გამოდგება. ერთი დრეზდენელი ექიმი მისი პაციენტის შესახებ ყვებოდა, რომელსაც „სულიერად უსაზღვროდ ამაღლებულ“ ადამიანად მიიჩნევდა, რომ იგი რომელიღაც სოუსის გემოს ყოველთვის და შეუცდომლად „ლურჯად“ აღიქვამდა, ანუ შეიცნობდა როგორც ლურჯ ფერს.[3] შესაძლებელია ასეთივე, ან სხვა მსგავსი ახსნის დაშვებაც, რომ მაღალგანვითა-

[3] მედ. დოქ. ფრაიდენბერგი. პიროვნების გახლეჩა (ზეგრძნობიერი სამყარო 1908,№2, გვ. 64-65).
აქ ფერების სმენით აღქმაზედაც არის საუბარი (8.65). ამასთან ავტორი შენიშნავს, რომ შედარებითი ტაბელების მეშვეობით ზოგადი კანონი ვერ დგინდება. შდრ. ლ. საბანეევი ყოველკვირეულ ჟურნალში „მუსიკა“, მოსკოვი 1911. №9: აქ სრული დამაჯერებლობითაა მითითებული, რომ მოკლე ხანში რაიმე კანონს აუცილებლად დაადგენენ.

რებულ ადამიანს სულთან მისასვლელი ისეთი სწორი გზა გააჩნია და მათი შთაბეჭდილებები ისე სწრაფად მიღწევადია, რომ ზემოქმედება, რომელიც გემოს შეგრძნებითაა გამოწვეული, უმალ აღწევს სულს და მისგან სხვა ორგანოებისაკენ მიმავალ შესაბამის გზებს თანხმიერად აჟღერებს (ჩვენ შემთხვევაში – თვალი იგულისხმება). ეს იქნებოდა ექოს ან გამოხმიანების მსგავსი რამ, როგორც ეს მუსიკალურ ინსტრუმენტებთან ხდება, როცა ისინი ხელშეუხებლად, სხვა ინსტრუმენტებთან ერთად აჟღერდებიან ხოლმე, რასაც მათთან სიახლოვე იწვევს. ასევე მოსდით ღრმად მგრძნობიარე ადამიანებს, რომლებიც ისევე, როგორც კარგი, მრავალჯერ დაკრული ვიოლინოები, ხემის ყოველი შეხებისას მთელი სხეულითა და ფიბრებით ვიბრირებას იწყებენ.

თუ ასეთ ახსნას დასაშვებად ჩავთვლით, მაშინ გამოდის, რომ მხედველობა მარტო გემოსთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ ყველა სხვა გრძნობით ორგანოებთანაც. საქმეც სწორედ ამაშია. ზოგიერთი ფერი შესაძლებელია უსწორმასწოროდ, ხისტად აღიქმებოდეს, ზოგიერთიც კი ისე გლუვად და ხავერდოვნად, რომ ხელის გადასმის სურვილს აჩენდეს (მუქი ულტრამარინი, ჟანგმიწაქრომი, კრაპლაკი). ცივ და თბილ ფერთა ტონებს შორის სხვაობაც სწორედ ასეთ აღქმაზეა დამყარებული. არსებობს ფერები, რომლებიც რბილად გეჩვენებათ (კრაპლაკი), ან კიდევ მკვრივად (მწვანე კობალტი, ლურჯ-მწვანე ჟანგმიწა), ისე, რომ ტუბიდან ახლადდასხმული ფერიც კი, შესაძლებელია შემხმარადაც მოგეჩვენოთ.

საყოველთაოდ გამოიყენება გამოთქმა „სურნელოვანი ფერები“.

დასასრულ, ფერთა ხმოვანება იმდენად ზუსტია, რომ ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც შეეცდება ხასხასა ყვითელი ფერით მიღებული შთაბეჭდილება ფორტეპიანოს დაბალი კლავიშების აჟღერებით გადმოსცეს, ან კიდევ მუქი კრაპლაკი სოპრანოს ხმად მიიჩნიოს.[4]

ეს ახსნა (რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ასოციაციის მეოხებით), თუმცა მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, მაინც არაა საკმარისი. მას, ვისაც ქრომოთერაპიის შესახებ რაიმე სმენია, იცის, რომ ფერის სხივს ძალუძს განსაკუთრებული ზემოქმედება იქონიოს ადამიანის მთელ სხეულზე. მრავალგზის სცადეს ფერის ეს ძალა გამოეყენებინათ სხვადასხვა ნერვული დაავადებების სამკურნალოდ, და აღმოჩნდა, რომ წითელი ფერის სხივი გულის აღგზნებას იწვევს, ლურჯ ფერს კი პირიქით, გულის დროებითი პარალიზებაც შეუძლია გამოიწვიოს. ამგვარ ზეგავლენას ცხოველებსა და თვით მცენარეებზეც კი თუ დავაკვირდებით, რაც ხორციელდება კიდეც, ასოციაციებით ახსნა სრულიად გამოირიცხება. ეს ფაქტები ყოველთვის იმას ადასტურებს, რომ ფერები თავის თავში მოიცავენ ნაკლებად შესწავლილ, უზარმაზარ ძალას, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის მთელ სხეულზე, როგორც ფიზიკურ ორგანიზმზე.

მაგრამ, თუ ამ შემთხვევაში ასოციაციებს არასაკმარისად მივიჩნევთ, მაშინ ეს ახსნა ვერც ფსიქიკაზე ფერის ზემოქმედების დასამტკიცებლად გამოდგება. ზოგადად კი, ფერი საშუალებაა, რომელითაც უშუალო ზემოქმედების მოხდენა შეიძლება ადამიანის სულზე. ფერი კლავიშია. თვალი ჩაქუჩი, სული კი მრავალკლავიშიანი როიალია.

მხატვარია მარჯვენა, ამა თუ იმ კლავიშის საშუალებით ადამიანის სულიერება მიზანდასახულად რომ მოჰყავს ვიბრაციაში. *ამგვარად ცხადი ხდება, რომ ფერთა ჰარმონია უნდა ეფუძნებოდეს ადამიანთა სულიერების მიზანდასახული ვიბრაციის პრინციპს.*

სწორედ ეს საფუძველი უნდა იქნას აღიარებული ადამიანის შინაგანი აუცილებლობის *პრინციპად.*

---

[4] ამ სფეროში თეორიულად და პრაქტიკულადაც უკვე საკმაოდ დიდი სამუშაოა ჩატარებული. მრავალმხრივ მსგავსებათა გათვალისწინებით (მათ შორის ჰაერისა და სინათლის ფიზიკური ვიბრაციებისაც), ცდილობენ ფერწერასაც მოუძებნონ საკუთარი კონტრაპუნქტის ასაგები შესაძლებლობები. მეორე მხრივ წარმატებით გამოიყენეს პრაქტიკაში, ნაკლებად მუსიკალური ბავშვებისთვის ფერების საშუალებით (მაგ. ყვავილების გამოყენებით) რაიმე მელოდიის შესწავლა. ამ სფეროში მრავალი წლის განმავლობაში მუშაობს ქალბატონი ა. ზახარინა-უნკოვსკაია, რომელმაც სპეციალური, ამომწურავად ზუსტი მეთოდი შეიმუშავა, „გადმოიწერონ“ მუსიკა ბუნების ფერთა მიხედვით, *დახატონ ბუნების ხმოვანება, წარმოიდგინონ ხმები ფერადად და ფერები მუსიკალურად აღიქვან“.* ეს მეთოდი წლების განმავლობაში გამოიყენება მისი ავტორის მიერ და სანკტ- პეტერბურგის კონსერვატორიის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული. მეორე მხრივ, სკრიაბინმა ემპირიული ხერხით შეადგინა მუსიკალურ და ფერადოვან გრადაციათა პარალელური ტაბელი, რომელიც ქალბატონ უნკოვსკაიას მიერ შედგენილ, უფრო ფიზიკურ ტაბელს ზედმიწევნით ჰგავს. სკრიაბინმა დამაჯერებლად გამოიყენა თავისი პრინციპი „პრომეთეოსში“ (იხ. ტაბელი ყოველკვირეულ ჟურნალში „მუსიკა“, №9, მოსკოვი, 1911.).

„ადამიანი, ვისი სულიც ვერ გრძნობს მუსიკას,
ვისაც უტკბესი ხმოვანება ვერ აათრთოლებს,
ირჩევს სიცრუეს, ღალატსა და ავაზაკობას,
მისი გრძნობების ვნება ღამის სიბნელეს მოჰგავს,
ერებუსივით პირქუშია აზრები მისი:
არ ენდო ასეთს – ყური უგდე მუსიკას მხოლოდ!“

შექსპირი

ირაკლი კაკაბაძე

ჰუმანიზმი თუ ლიბერალიზმი?!..

ბოლო ხანებში ქართულ პერიოდიკაში დიდი დებატებია ზოგადად ლიბერალიზმის, ჰუმანიზმის, გნოსტიკოსობის, აგნოსტიკოსობის, ათეისტობის თემებზე. ამ დებატებში კარგად ჩანს რომ საზოგადოება ორ დაპირისპირებულ ბანაკად არის დაყოფილი, ორ უკიდურესობას შორის მერყეობს. ერთი უკიდურესობა არის პოსტმოდერნული ფუნდამენტალიზმი, რომელიც რეაქციაა მეორე უკიდურესობაზე, ასევე პოსტმოდერნულ ლიბერალურ ელიტიზმზე. ორივე მხარე უარს ამბობს ერთმანეთთან ნებისმიერ ადამიანურ კონტაქტზე და პრესის საშუალებით ერთმანეთს ლამისაა ზარბაზნებს უშენს. ხოლო ვისაც სურვილი არა აქვს, რომელიმე პარტიზანული ბანაკის მხარე დაიჭიროს, ის მყისვე ცხადდება ან კონფორმისტად, ან ბნელად, ან სოროსისტად ან კიდევ პირდაპირ ლუციფერის ძმაკაცად. მდგომარეობა თითქმის მთლიანად აბსურდამდეა მისული — მაშინ როდესაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პირდაპირი მნიშვნელობით შიმშილს ყოველდღე ებრძვის, საზოგადოების ნარჩევი ელიტის ორი ფრთა მუდმივად იდენტობის საკითხებს განიხილავს. ეს მდგომარეობა 30-იანი წლების დეპრესიის მდგომარეობას ჰგავს — დიდი შიმშილის და ეკონომიკური გაჭირვების პერიოდში ერთი მხრივ ნაცისტები ყველაფერს ებრაელებს და „სხვებს“ აბრალებდნენ და მეორე მხრივ სტალინისტები ტროცკისტებს, ანარქისტებს, და ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენლებს ანადგურებდნენ. როგორც ეტყობა, ადამიანებს ახასიათებთ გაჭირვების დროს ყურადღების იდენტობაზე გადატანა და მუდმივად ამ საკითხებზე საუბარი. ალბათ იმიტომ, რომ ეს ჩვენგან არ მოითხოვს განსაკუთრებულ მატერიალურ თუ მორალურ მსხვერპლს — იდენტობაზე საუბარი სოლიდარობას მხოლოდ საკუთარი ჯგუფის წევრებთან ითხოვს და ეს ხშირად შეზღუდული წრეა.

ეს წერილი პასუხია ჩემი მეგობრის, გიორგი მაისურაძის წერილზე „მართლმადიდებლობა, როგორც ქართველი ლიბერალების უკანასკნელი თავშესაფარი“. მინდა ვთქვა, რომ გიორგის დიდი ხანია ვიცნობ და ძალიან პატივს ვცემ პირადად მასაც და მის თანამოკალმე მეგობრებსაც, სალომე ასათიანსაც, ნინია კაკაბაძესაც (რომელიც პარალელურად ჩემი დაც გახლავთ), და ასე შემდეგ. ეს სამი ავტორი იმიტომ გამოვყავი, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის კრიტიკის ამ უახლეს კამპანიას სწორედ მათი წერილები დაედო საფუძვლად. მათ შორის მაინც გიორგი მაისურაძის წერილს გამოვარჩევდი და მას ვუპასუხებდი.

პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ამ წერილს ვწერ არა როგორც ინტელექტუალი, რომელიც გამორჩეულ მთაზე დგას თავისი ცოდნით, არამედ როგორც ერთი უბრალო მოკვდავი თავისი ჩვეულებრივი შიშებითაც და ფობიებითაც, რომელსაც ბევრჯერ აქვს სიკვდილი პირისპირ ნანახი და ამიტომაც ჩვევად ექცა პირჯვრის გადაწერა და ჩუმად ლოცვის ბურდღუნი ლამისაა ყოველდღე. ეს ცხადია იმას არ ნიშნავს, რომ მე ეკლესიური ცხოვრებით ვცხოვრობ. არანაირად. უბრალოდ ამ შიშების და ფობიების — ჩემი ექსისტენციური პრობლემების გადასაძლევად მარტო, საკუთარ თავთან ერთად ვლოცულობ ხოლმე. ეს არის და ეს.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1980-იანი წლებიდან მთელ მსოფლიოში დაიწყო რეაქციული პერიოდი, ეგრეთ წოდებული პოსტმოდერნული ხანა, რომელმაც ადამიანებს შორის თანასწორობის იდეა მთლიანად უკუაგდო. 1989 წელს მოხდა დიდი იდეოლოგიური შეთანხმება — რომელიც „ვაშინგტონის კონსესუსის“ სახელით შევიდა ისტორიაში, სადაც მთავარი თემა ის იყო, რომ ყველანაირი ბრძოლა თანასწორუფლებიანი საზოგადოებისათვის ჩაანაცვლა იდენტობის ჯგუფებს შორის დაპირისპირებამ. სხვადასხვა ეროვნულ-ეთნიკურმა, რელიგიურმა, სექსუალურმა, რასობრივმა. ლინგვისტურმა თუ გეოგრაფიულმა დაჯგუფებებმა დაიწყეს განუწყვეტელი რბოლა მწირი რესურსების და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ყველა შეთანხმდა, რომ „თავისუფალი ბაზრის“ მიერ შემოთავაზებულ იერარქიულ პირამიდაზე დიდი სიმჭიდროვეა — უბრალოდ ლიბერალები და კონსერვატორები იქ ადგილს ვერ იყოფდნენ — ლიბერალების აზრით იქ ყველა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელს შეეძლო მოხვედრა, კონსერვატორები კი ძირითადად საკუთარი რელიგიური და გენდერის ჯგუფის წევრებს ანიჭებდნენ უპირატესობას. სინამდვილეში ლიბერალებიც და კონსერვატორებიც ნეოლიბერალური პოლიტიკურ-

ეკონომიკური წყობის მომხრეები იყვნენ — ერთადერთი საუბარი იყო პოლიტიკურ კორექტულობაზე იდენტობის საკითხებში და ადგილების გადანაწილებაზე უმაღლესი ძალაუფლების ცენტრებში. სინამდვილეში მსოფლიოს მოქალაქეების უმრავლესობა კიდევ უფრო ცუდ მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდა. დღეისათვის მხოლოდ ყველაზე მდიდარი 100 ათასი ოჯახის ხელშია მთელი მსოფლიო ქონების 33 პროცენტი. საქართველოშიაც არ გვაქვს განსხვავებული მდგომარეობა — დღევანდელი სისტემა არის რეაქციული ოლიგარქიის ბატონობა, რომელსაც ხელს უწყობს ლიბერალ-კონსერვატორთა ყალბი დიქოტომია. ლიბერალები და კონსერვატორები, რომლებიც მეინსტრიმ პრესაშიც, ბიზნესშიც და სახელმწიფოშიაც სიტუაციას პრაქტიკულად აკონტროლებენ, არაფრად დაგიდევენ ამხელა სიღატაკეს — იმას, რომ ყოველ წელს ეს ელიტა, თავისი გულგრილობით და ზღვარსგადასული ეგოზენტრიზმით 8 მილიონის ბავშვის სიკვდილს იწვევს და მილიარდობით ადამიანს ცხოვრების არანაირი პირობები არა აქვს. მათ მხოლოდ ის აინტერესებთ, ვინ იქნება ძალაუფლებაში.

ორი აზრი არაა რომ ჰუმანისტური იდეალების განსახორციელებლად ადამიანების თანასწორობა აუცილებელია: კაცი და ქალი კანონის წინაშე თანასწორია, ისევე როგორც ყველა ერის და რელიგიური დენომინაციის წარმომადგენელი. იმაშიაც ორი აზრი არ არის რომ არც ერთი უმცირესობა არ უნდა დაიჩაგროს საკუთარი იდენტობის გამო. ჰუმანიზმის მთავარი ამოსავალი წერტილი სწორედ ისაა, რომ არავინ უნდა დაიჩაგროს საკუთარი იდენტობის გამო. მაგრამ, მინიმალური ეკონომიკური საშუალებების გარეშე შეუძლებელია თავისუფლების მიღება. დღეს კი მთელ მსოფლიოში, ნეოლიბერალური სისტემის წყალობით სრულუფლებიანი ცხოვრების საშუალება აქვს ადამიანების ძალიან მცირე პროცენტს. დღევანდელი მსოფლიოს მოქალაქეების დიდი უმრავლესობა გადარჩენისათვის იბრძვის. ზოგი გამოთვლით ეს კაციობრიობის 99 პროცენტია, ზოგით 95, ზოგითაც 80. ყველა შემთხვევაში გაჭირვებულთა რიცხვი ძალიან მაღალია. და აქ შედიან თითქმის ყველა იდენტობის ადამიანები. სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის მუდმივად იზრდება. ამის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზეზი სწორედაც რომ ლიბერალური ელიტების სულ უფრო და უფრო გაზრდილი კორუფცია და საკუთარ თავში ჩაკეტილობაა. 80-იანი წლებიდან ღარიბი ამომრჩეველი არამარტო ჩრდილო ამერიკაში, არამედ ევროპაშიაც მემარჯვენე-კონსერვატიულ პარტიებს აძლევს ხმას. ეს იმიტომ არ ხდება რომ ის ბნელია“ — არა, ხალხი ყველაფერს კარგად ხედავს — ის ხედავს, როგორ არის ჩაფლული ეკონომიკურ ჰედონიზმში მმართველი ლიბერალური ელიტა და როგორ უწყობს ის ხელს ადამიანებს შორის უსამართლობის გაღვივებას. ალან ბადიუ კარგად ამბობს რომ ყველაზე კარგად გამოჩენილი პრობლემა დღეს არის საყოველთაო კორუფცია ლიბერალურ სამყაროში. ყოველივე ამის შემხედვარე უბრალო ადამიანი ეკლესიაში მიდის — მისი ერთადერთი იმედი ღმერთია. პოსტსეკულარული სამყაროს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედაც რომ საყოველთაო პოლიტიკური იდეოლოგიების კრიზისი და ლიბერალიზმის საყოველთაო კორუფციაა.

გიორგი მაისურაძე თავის სტატიებში იშვიათად ახსენებს, რომ ზოგადად საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ მსოფლიოში მთლიანად დადგა სეკულარიზმის კრიზისი. გაძლიერდნენ ულტრამემარჯვენე, რეაქციული და ფუნდამენტალისტური პარტიები, რომლებიც ქადაგებენ პირდაპირ საღვთო წიგნებიდან და ზოგჯერ მოსახლეობას თეოკრატიული სახელმწიფოს დამყარებისაკენაც მოუწოდებენ. შეერთებულ შტატებში 2010 წელს კონგრესის არჩევნებზე გამარჯვებული „ჩაის წვეულების“ დაჯგუფების წევრები რესპუბლიკურ პარტიაში ყველაზე ხშირად რელიგიურ და ფუნდამენტალისტურ ლოზუნგებს ეფარებოდნენ. 2008 წლის შემდეგ მსოფლიო ჯერ კიდევ ვერ გამოსულა გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან, რომელიც როგორც ახლა უკვე ცხადი ხდება, რეცესია კი არა, დეპრესიაა. სწორედ, ამიტომ დაიწყო განახლებული დისკუსია იმაზე, თუ რამდენად კარგად მუშაობს ახლა ის წეს-წყობილება, რომელსაც პრაქტიკულად არანაირი ალტერნატივა არა აქვს.

საფრანგეთის ტროცკისტული მოძრაობის ლიდერი და ფილოსოფოსი დანიელ ბენსაიდი თავის ნაწერში „პერმანენტული სკანდალი“ ამბობს რომ 1992 წელს სოციალისტური ბანაკის დამარცხებით და ლიბერალიზმის სრული ჰეგემონიის გამეფებით მთელ მსოფლიოში იგივე პროცესი მოხდა, რაც მონარქიის აღდგენა იყო — ანუ მსოფლიო ტერმიდორი. მართლაც, 1992 წლის შემდეგ ოფიციალურად გამეფდა ცნება, რომ კონკურენცია და ქიშპი არის ბუნებრივი ადამიანური მდგომარეობა და ამქვეყნად ბედნიერი მხოლოდ ის იქნება, ვინც ამ მტაცებლურ ბრძოლაში

გაიმარჯვებს. მე ვეთანხმები მაისურაძეს იმაში, რომ ქართულ საზოგადოებაში, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში (რა თქმა უნდა მეტ-ნაკლებად) მთავარი პრობლემა სწორედაც რომ პოლიტიკური რელიგიის გაკოტრებაა. დღეს, განმათავისუფლებელი პოლიტიკური დისკურსი არ არსებობს და ამიტომაც სიღატაკეში და სულიერ ანემიაში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედაც რომ ეკლესიაში მიდის. თუმცა, ის ცდება იმაში, რომ ქართულ საზოგადოებას შუასაუკუნეებში მყოფს უწოდებს. დღევანდელი დღის ფუნდამენტალიზმი არ არის შუასაუკუნეების ფუნდამენტალიზმი არც საქართველოში და არც სადმე სხვაგან. ეს არის სპეციფიურად პოსტმოდერნული მოვლენა, რომელსაც კონკრეტულად ლიბერალური სისტემა უწყობს ხელს.

სლავოი ჟიჟეკს ძალიან კარგი ანალიზი აქვს იმის, რომ დღევანდელი ფუნდამენტალიზმი სწორედაც რომ ლიბერალური სისტემის პირმშოა. ჯაკ რანსიერი თავის ნაწერში „დემოკრატიის სიძულვილი“ ხაზს უსვამს იმას, რომ დღევანდელი მძაფრი მიუღებლობა ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების, არის პროტესტი კონსუმერიზმის წინააღმდეგ. მოკლედ, ძალიან შორს აღარ წავალ სხვადასხვა ფილოსოფოსის ნათქვამის ციტირებით და ვიტყვი უბრალოდ იმას, რომ ევროპული ტიპის ლიბერალური დემოკრატია პოლიტიკური რელიგიის როლში უკვე დიდი ხანია აღარ არის. მეოცე საუკუნის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის ყველა განვითარებულმა სახელმწიფომ ეს სისტემა ჩაანცვლა სოციალ-დემოკრატიული მოდელით — ანუ სოციალური ეკონომიკით და ამ „კეთილდღეობის საზოგადოების“ შექმნით სწორედაც რომ ყველაზე სტაბილური პერიოდი მოიყვანა ევროპის ისტორიაში. თავის მხრივ ამერიკაშიც ფრანკლინ დელანო რუზველტის და ლინდონ ჯონსონის მიერ განხორციელებული New Deal-ისა და Great Society-ის პროგრამები იქცა სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბების დასაწყისად. თორემ ყველას ერთად კარგად გვახსოვს რა ხდებოდა ჯონ სტაინბეკის Grapes of Wrath-ის ამერიკაში 30-იან წლებში და იგივე დროის გერმანიაში.

1992 წელს ლიბერალური დემოკრატიის სახელით წოდებული უპირობო კაპიტალიზმის სისტემა კიდევ უფრო დიდი ჰეგემონიის ძალით დაბრუნდა და ამის მერე დაიწყო ნელ-ნელა ადამიანური სოლიდარობის მოდელების ჩანაცვლება ჰობსიანური ცნებებით. ლიბერალურ სისტემაში კი კონსერვატიულ, ფუნდამენტალისტურ დისკურსს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს: იმის მაგივრად რომ ვილაპარაკოთ ადამიანების მართლაცდა თანასწორობაზე, მუდმივად ვლაპარაკობთ სხვადასხვა იდენტობის ჯგუფებს შორის ვინ უნდა ავიდეს გამარჯვებულის პედესტალზე. პოსტმოდერნული პოლიტიკური დისკურსი დაემსგავსა მდუმივ რბოლას სხვადასხვა ინტერესის ჯგუფებს შორის: ამ რბოლაში ერთმანეთს ეჯიბრებიან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის, რელიგიის, რასის, ქალაქის, სოფლის, რეგიონის, ხელის და ფეხის ზომის, სასმელის მოყვარულის, სპორტის, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლები. ერთმანეთს ეჯიბრებიან ჰომოსექსუალები და ჰეტეროსექსუალები, კაცები და ქალები, ახალგაზრდები და მოხუცები, ცოლიანები და უცოლოები, შინაბერები და უბერებლები. რაც მთავარია, საკითხი ასე დგას: გამარჯვებული ცოტაა და აბა ჰე, ვინც გაიმარჯვებს იმას რჩება ყველაფერი და ვინც წააგებს (ანუ loser-ებს) არაფერი. ეს ხელოვნურად შექმნილი ნულოვანი ჯამის თამაში იმდენად საშიშ ფორმას იღებს, რომ ადამიანი იწყებს საკუთარი მუდმივი შიშებისა და ფობიებისაგან გაქცევას. იწყებს ნუგეშის ძიებას — და ამ დროს რელიგია საუკეთესო ნუგეშია მისთვის, რადგანაც რელიგიაში, ცათა სასუფეველში მაინც ყველა თანასწორია. სხვათა შორის, ფროიდის ადრეულ ნაწერებში მე ყველაზე მეტად სიზმრების ის განმარტება მომწონს, სადაც ის ამბობს, რომ ადამიანის სიზმრის ყველაზე ღრმა თემა სწორედაც რომ უპირობო სიყვარულის ძიებაა — ანუ მისი გარემომცველების მიერ მისი მიღება ისეთად, როგორიც ის არის. ეს, ჩემი აზრით, ფროიდის ერთ-ერთი საუკეთესო განაზრებაა. რელიგია კი ასეთ უპირობო სიყვარულს სთავაზობს ადამიანს, ოღონდ სიკვდილის შემდეგ. მოკლედ რომ ვთქვათ, იუნგისა არ იყოს, ადამიანში ექსისტენციური შიში ყოველთვის არსებობდა და ის არახალია. ადამიანს არ ანიჭებს სიამოვნებას ნულოვანი ჯამის თამაშებში მონაწილეობა — სპორტი სხვაა და სიკვდილ-სიცოცხლის სავარჯიშო ასპარეზი სხვა. სწორედ ამიტომაა, რომ ადამიანი იღწვის საკრალური საწყისისაკენ — მას არ აკმოყიფილებს მხოლოდ მატერიალური საწყისი — რადგან მის თვალწინ ბევრი სხვა მისი მსგავსი არსება კვდება ფიზიკურად.

მაისურაძე იმაშიც მართალია, რომ საზოგადოებაში სულიერების ნაკლებობაა — ბევრს ნოსტალგიაც აწუხებს, რომ წინა საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში უფრო მეტი სულიერება იყო ქა-

რთულ საზოგადოებაში, ვიდრე ახლა, ინტერნეტით და უახლესი ტექნოლოგიებით გაჯერებულ სივრცეში. მომხვეჭელობამ, კარიერიზმმა, დაუნდობლობამ ნელ-ნელა სიყვარულის და სითბოს ადგილი დაიკავა — საზოგადოებაში მორალური კრიტერიუმები დაიკარგა — დაიწყო ძალის ბრმა თაყვანისცემა — პრაქტიკულად კერპთაყვანისცემამდე მისული და ბუნებრივია რომ ამ მდგომარეობაში იქნებოდა ბევრი ყალბი და ფერისევლური მომენტი. ერთ-ერთი მათგანი სწორედ ის მცდარი „მორწმუნეობაა, რომელსაც მართლაც ამჟღავნებს ქართული ისტაბლიშმენტის დიდი ნაწილი. საოცარია, მაგრამ თითქოს ათეისტურ საბჭოთა კავშირში მეტი სულიერება იყო, ვიდრე მორწმუნე და ლიბერალურ დამოუკიდებელ ქვეყანაში. ამასაც თავისი სიღრმისეული მიზეზები აქვს. სოციალური დარვინიზმის სისტემაში, სადაც მთავარი გასაღმერთებელი საგნები სწორედაც რომ მატერიალური ქონება და ამასთან დაკავშირებული ძალაუფლებაა, ძნელია სწორი ღირებულებების გამომუშავება. სანამ საზოგადოებაში ასეთი სისტემა კითხვის ნიშნის გარეშე არსებობს, მანამ ნუ გევქნება იმედი, რომ ვინმე კარგად მოეპყრობა არამარტო უმცირესობებს და განსხვავებულ ადამიანებს, არამედ უმრავლესობასაც კი.

ადამიანების რამდენ პროცენტს აქვს საქართველოში მეტ-ნაკლებად ნორმალური ცხოვრების სტანდარტი?

ძალიან ოპტიმისტური გამოთვლითაც კი ამ ადამიანების რიცხვი მოსახლეობის 15 პროცენტს არ სცილდება. დანარჩენი მოქალაქეები მუდმივად ან თავის გადარჩენაზე, ან კი სულაც ქვეყნიდან გაქცევაზე ფიქრობენ. ემიგრაციამ არნახულ დონეს მიაღწია. ასეთ წარმოუდგენელ სიდუხჭირეში წარმოუდგენელია ადამიანის ექსისტენციური შიშები უფრო დიდი ძალით არ ამოქმედდეს. ამას რატომღაც ჩემი მეგობარი გიორგი მაისურაძე იგნორირებას უკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ დანიელ ბენსაიდისა არ იყოს, გიორგიც ტროცკისტული ინტერნაციონალის წევრია, ის მაინც უფრო პოსტმოდერნისტი ლიბერალის პოზიციებიდან მხოლოდ კულტურულ ფაქტორებზე ლაპარაკობს და სულ ავიწყდება, რომ კულტურას ხშირ შემთხვევაში სტრუქტურა აყალიბებს. დიახ, თუ გვინდა კულტურულ ძალადობას მოვერიოთ, პირველ რიგში სტრუქტურულ ძალადობას უნდა დავუპირისპირდეთ. მე არც ტროცკისტი ვარ და არც მარქსისტი — მაგრამ ამ დებულებას ვფიქრობ ბევრი ეთანხმება — სულაც არ არის აუცილებელი მარქსისტობა, რომ დაინახო, რომ შიმშილი უბედურებაა.

ჩემს მეგობარ გიორგი მაისურაძეს კარგად ახსოვს ზიგმუნდ ფროიდი, მაგრამ რატომღაც ივიწყებს კარლ იუნგს. ადამიანის მოთხოვნილებების იერერქიაშიც კი ექსისტენციური თვითგადარჩენის მოთხოვნილება ლიბიდოზე ბევრად უფრო ძლიერია. ლიბიდოც კი თვითგადარჩენის ინსტინქტის მხოლოდ ერთი ნაწილია. მატერიალისტურ ფსოქოანალიზს არა აქვს პასუხი ამ კითხვაზე.

როდესაც ადამიანებს მუდმივი განადგურების და შიმშილით სიკვდილის შიშში უწევთ ცხოვრება, ბუნებრივია, ისინი გაძლიერებულად ილოცებენ. საკრალური და უნივერსალური ძალისადმი მიმართვა განადგურების საფრთხის წინაშე მყოფ ადამიანს მუდმივად ახასიათებდა. რატომღაც ამის შესახებ ბევრი ივიწყებს. სოციალურად სამართლიან საზოგადოებაში არც ავადმყოფი ბავშვის მყოლ ქალს უწევს ქუჩაში დგომა და სანთლების გაყიდვა და არც ეკლესიაა ბიზნესის იმედად დარჩენილი. გიორგი მაისურაძეს მშვენივრად ეცოდინება გერმანული მაგალითი, სადაც ნებაყოფლობითი საეკლესიო გადასახადია, რაც მორწმუნე მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, რამდენი შესწიროს ეკლესიას და ამით მტაცებლურ შეჯიბრს მოქალაქეებიც და რელიგიური ინსტიტუტებით თავიდან იცილებენ. ჩვენს საზოგადოებაში დღეს მთავარი პრობლემა სწორედაც რომ ეს მტაცებლური ინსტინქტებია, რომლებსაც საზოგადოების ელიტური ნაწილი ხელს არაფრით უშლის. ამის გამოა, რა საშინელი მდგომარეობაც გვაქვს ერშიც და ბერშიც. ხოლო ვისაც ყველაფერი ცუდის ბერისათვის დაბრალება უნდა, მისი საშიშროება ისაა, რომ ლენინის, ტროცკის და სტალინის შეცდომები, უფრო სწორად დანაშაულები გაიმეოროს. სხვას არ ვიცი, და ჩემს მეგობარ გიორგის ნამდვილად არ ესწავლება რა იყო მათი ძალადობრივი ათეიზმის შედეგი, ისევე როგორც ინკვიზიციის. ეკლესიების ძალით დანგრევას რაც მოჰყვა, ეგეც კარგად დავინახეთ, და საერთოდ, იაკობინური მიდგომა რომ არ არის გამოსავალი, ეს ბოლო ორასმა წელიწადმა კარგად დაგვანახა. ტერორს ტერორი ცვლიდა — და ეს ტერორი ვერასდროს ამკვიდრებდა სამართლიანობას. ამის საპირისპიროდ ტერორის გარეშე მოსული სოციალური ცვლილება ინდოელი მორწმუნე კაცის, მო-

ჰანდას განდის თამადობით, აგრეთვე ამერიკელი შავკანიანი ღვთისმსახურის, მართინ ლუთერ კინგ ჯუნიორის ლიდერობით, აგრეთვე სამხრეთ აფრიკის სიმართლის და შერიგების კომისიის თავმჯდომარის, ანგლიკანი მღვდელი დესმონდ ტუტუს თავმჯდომარეობით წარმატებით დამთავრდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარმა აჩვენა რომ არაძალადობრივი და სულიერი ბრძოლა ბევრად უფრო შედეგიანია, ვიდრე იაკობინური ან ბოლშევიკური ტერორი.

დაბოლოს, ლოგოცენტრიზმის და ინტუიციის დაპირისპირების შესახებ. ამ თემაზე ბევრი კარგი რამე დაწერილა. გიორგის შევახსენებ ჯორჯო აგამბენის არაჩვეულებრივ ნაწარმოებს თანამედროვე მეცნიერული ბიოპოლიტიკის შესახებ „homo sakers", სადაც ის არაჩვეულებრივად კარგად ამტკიცებს რომ მეცნიერების სახელით მარტო მეოცე საუკუნეში არანაკლები ბოროტება იქნა ჩადენილი, ვიდრე სხვადასხვა რელიგიის სახელით წინა საუკუნეებში. მეცნიერების და ლოგოსის გაღმერთების შედეგად მივიღეთ ნაციზმიც და ბოლშევიზმიც. კარგად მოგეხსენებათ რომ ნაციზმი ევგენიკისა და სხვა ფსევდომეცნიერებების ცხოვრებაში გამტარებლად გვევლინებოდა, ისევე როგორც ბოლშევიზმი მარქსიზმის განხორციელებად გვაჩვენებდა თავს. ემპირიოცენტრიზმი და სრული მატერიალიზმი არ აღმოჩნდა პანაცეა — უფრო მეტიც, ასეთმა მიდგომამ ადამიანები მოხმარების საგნებად აქცია და მორალურ ეთიკურ პრინციპებსაც ფასი დაუკარგა. ალთუსერი კარგად ლაპარაკობს ამის შესახებ თავის ნაწერში ლენინზე და ფილოსოფიაზე. თვითონ ლენინიც კი აღიარებდა გარკვეულ მეტაფიზიკურ საწყისებს და სწორედ ამიტომ ჰეგელს უბრუნდებოდა.

განდის მეორე მხრივ კარგად ესმოდა, რომ ადამიანმა პირველ რიგში საკუთარ სიხარბეს და მომხმარებლობას თვითონ უნდა სძლიოს და ცოტა იკმაროს. ევროპული ცივილიზაციის მთავარ ნაკლად მეორე მსოფლიო ომამდე სწორედაც რომ ლიბერალური „გაუმაძღრობა" იქცა. ამ გაუმაძღრობას მოჰყვა შედეგად ჰოლოკოსტი. ბოლშევიკების მატერიალიზმს კი გულაგი და საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპული მილიონობით ადამიანი. ახლა ორჯონიკიძის და მისი კოლეგების სანთლების დანთება აღარ შეიძლება. ნაციზმმა და ბოლშევიზმმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ეს ფილოსოფიები ვერ გამოდგება ლიბერალიზმის ალტერნატივად. მაგრამ განდის სვადეშის და სვარაჯის თეორიებმა და პრაქტიკამ გაიმარჯვა ინგლისურ კოლონიალიზმთან ბრძოლაში. ლუთერ კინგის სულიერებამაც გაიმარჯვა სეგრეგაციასთან და დისკრმინაციასთან ბრძოლაში. იქნებ ჩვენც ასეთი მეთოდები აგვეღო შეიარაღებაზე. ქართული სოციალური ტრანსფორმაციის ერთ-ერთი საფუძველი ქართული რელიგიური ტრადიციებიც არის — ამის სრული უარყოფა და მთლიანად ნიჰილისტური პოზიციის დაკავება ისეთივე ჩაკეტილობაა, როგორც ყველასთვის „სოროსისტის" ძახილი. ქრისტიანობაში არის ძალიან ძლიერი ეგალიტარიანული საწყისი და ეს ხშირად იჩენდა თავს ისტორიის მანძილზე. გიორგის კარგად ახსოვს და ჩვენს ბავშვობაში სწორედ ეკლესია იფარავდა ბევრ დისიდენტს და საბჭოთა წყობის მოწინააღმდეგეს. სხვა საქმეა, რომ დღეს ეს დისიდენტები შეიძლება აღარ მოგვწონდეს, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ მათ საზოგადოებისათვის ახალი მოჰქონდათ და ამაში მათ ეკლესიის მფარველობა ჰქონდათ. ცალსახად ყველაფერი ეკლესიურის ცუდად და „ბნელად" გამოცხადება იგივე ტიპის სწორხაზოვანი ფუნდამენტალიზმია, როგორც მეცნიერების ან ხელოვნების დაწყევლა.

როცა ლაპარაკია დიალოგზე საზოგადოების შიგნით, ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა შევხედოთ ისე, როგორც სრულფასოვან ადამიანებს. დემოკრატიის მთავარი ხიბლი სწორედ ისაა, რომ „ყველა" თანასწორია — და თუ ეს მართალია, მაშინ უმრავლესობაც და უმცირესობაც ჩაბმული უნდა იყოს ამ საუბარში. არც ის არის სწორი რომ ათეისტები გაირიყონ საზოგადოებრივი პროცესებიდან, და არც ის არის გამართლებული, რომ გარკვეულმა ადამიანებმა ინტელექტუალის პედესტალიდან ილაპარაკონ.

გიორგი მაისურაძის ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ისაა რომ პოსტმოდერნულ ხანაში ფეოდალურ აჩრდილებს ებრძვის — ბატონყმობა უკვე დიდი ხანია გადავარდა და მის მაგივრად შემოვიდა მონობის კიდევ უფრო საშინელი ფორმა — ლიბერალური „თავისუფალი ვარდნის" პირობებში. გიორგი მაისურაძეს კარგად აქვს წაკითხული ლიოტარის „პოსტმოდერნული კონდიცია", რომელიც ჯერ კიდევ 1979 წელს დაიბეჭდა. აქ ავტორი წერს რომ ახლანდელ საზოგადოებაში სიცილი და ქილიკი იქცა ტერორის ახლა ფორმად: თუ საზოგადოების ფინანსურ ელიტას არ მოეწონა შენი საქციელი, ისინი ტყვიას კი არ გესვრიან — ამისათვისაც ფული ენანებათ — არამედ ისე ჩაიცინებენ და ჩაიქილიკებენ — და ამის შედეგად ნებისმიერი მათ მიერ დაწუნებ-

ული ადამიანი სამუდამოდ რჩება ჟანგბადის გარეშე. შედეგად, ის თავისით იხუთება. საქართველოში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ დღეშია. ამ სიტუაციის გამოსწორება ჩვენ რა თქმა უნდა ეკლესიასაც უნდა ვთხოვოთ და საზოგადოებასაც, მაგრამ პირველი დანიშნულების ობიექტი მაინც ფინანსური და პოლიტიკური ელიტაა, რომელიც საქართველოს შემთხვევაში პრაქტიკულად ერთია.

იმის მაგივრად რომ ერთმანეთს გამუდმებით „ბნელები“ და „სოროსისტ-სატანისტები“ ვუძახოთ, იქნებ მოვიდა დრო რომ მორწმუნეები და ათეისტები დავსხდეთ ერთად და დავილაპარაკოთ იმაზე თუ რა გვაერთიანებს — იქნებ არის ისეთი რამეც, რაც ორივე მხარეს ერთიანად გვაწუხებს? იქნებ შეიძლება, კონკრეტული კარგი საქმეების გაკეთებაზე ვიფიქროთ — არა მხოლოდ საქველმოქმედო დახმარებაზე, რომლის საშუალებაც ყოველთვის შეზღუდულია, არამედ ისეთ პროგრამებზე, რომლებიც ნამდვილ შედეგს მოიტანს. მაგალითად, ერთი ასეთი პროექტი შეიძლება იყოს საქართველოში პროგრესული ტიპის უნივერსიტეტის გახსნა, ან კი რომელიმე უნივერსიტეტის კურიკულუმის ისე გადაკეთება, რომ სოციალური საკითხებიც მეტ-ნაკლებად ისწავლებოდეს. ნუთუ ეს არ ღირს იმად, რომ დროებით მაინც შევწყვიტოთ ერთმანეთის ლანძღვა?.. რატომ არ შეიძლება რომ საქართველოში გაისხნას ასეთი განათლების კერები?..

ცხადია, მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხებზე უნდა იყოს ყოველთვის პოლემიკა — მათ შორის ბურჟუა-ლიბერალური პოზიციებიც უნდა გამოიხატოს. აქვე მინდა ვთქვა, რომ ამ გამოთქმას არანაირად არა აქვს დამამცირებელი მნიშვნელობა: ბურჟუა, იგივე ბიურგერი, საშუალო კლასის მოქალაქეს ნიშნავს და ლიბერალიც არ არის საგინებელი სიტყვა. ნებისმიერ ჯანმრთელ საზოგადოებაში ცხადია არის ლიბერალების და კონსერვატორების ადგილი, მაგრამ არა მხოლოდ მათი. პოსტმოდერნული ლიბერალური დისკურსის მთავარი პრობლემა სწორედ ის არის, რომ ცდილობს ამ ორი უკიდურესობის გარდა დისკუსიაში სხვისი ადგილი არ დატოვოს. ეს არის ლიოტარის და ფუკოს მიერ გაკრიტიკებული ნეოლიბერალური არაპირდაპირი ტერორის სისტემის მთავარი ნაწილი. გიორგი ბევრი სხვისგან განსხვავებით კარგად იცნობს ამ თეორიებს, მაგრამ მის ქართულ ნაშრომებში მაინც შუასაუკუნეების აჩრდილებს ეძებს. რატომღაც ავიწყდება, რომ საქართველო სულ ცოტა ხნის წინ ბოლშევიზმის ავანგარდში იდგა და ედუარდ შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროსაც გარდამავალ წითელ დროშებს ფლობდა.

შუასაუკუნეები და ფეოდალური ბატონყმობა საქართველოში ილიას დროს გადავარდა — დღეს ბევრად უფრო რთული პერიოდი გვაქვს — პოსტმოდერნული ლიბერალიზმის მონობა — სადაც მოსახლეობის ძალიან პატარა პროცენტი ცხოვრობს — დანარჩენი კი გადარჩენისთვის იბრძვის. იქნებ ამაზეც გვეფიქრა — რა ვუყოთ ამ საზოგადოებას? როგორ შეიძლება სულიერი და მატერიალური სიდუხჭირის დაძლევა?

იქნებ საზოგადოების ყველა იმ წევრმა, ვისაც ეს მდგომარეობა ადარდებს, ერთად დაიწყოს ამ საკითხების განხილვა და პოზიტიური ხედვის გაზიარებაც. უკვე ყელში ამოვიდა მუდმივი ნეგატიურობა — ეს არ ვარგა, ესეც არ ვარგა და ცუდზე ცუდი არ დაილევა. იქნებ იმაზეც გვეფიქრა, რა შეიძლება იყოს კარგი. ამდენ დეკონსტრუქციას ერთი რეკონსტრუქცია ან სულაც კონსტრუქცია არ უნდა მოყვეს ჩვენს სააზროვნო სფეროში?..

ანდა სულაც რატომ გვეჩვენება, რომ ჩვენ მრავალფეროვნებას და მრავალხმოვანებს ვერ მივიღებთ? მაშინ როდესაც მსოფლიოში ერთ-ერთი იშვიათი მრავალხმოვანი სიმღერების ავტორები ვართ.

რატომ გვეჩვენება რომ ამ გაუთავებელ მაჩიზმს და მილიტარიზმს ვერ ვძლევთ? მაშინ როდესაც ჩვენს ეკლესიას არასდროს დაუკანონებია „სამართლიანი ომის“ ცნება, ისე როგორც ეს ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა გააკეთეს.

არ შეიძლება მუდმივად და ყველაფერში ცუდის დანახვა. ამ ქვეყანაზე კარგიც არსებობს. გინდაც უკვე მოძველებული დიალექტიკის კანონებით და გინდაც უფრო თანამედროვე პოლიფონიური აზროვნების წესით.

ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარების პროცესში ყველაზე რთული სწორედ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ერთმანეთში ადამიანის დანახვაა. ჰუმანიზმის ამ მთავარი პრინციპის ამოქმედებას ყველაზე დიდი ძალისხმევა სჭირდება. ხანდახან შეიძლება ვიფიქროთ, რომ სეკულარული განათლების მომხრეებს მეტი მიდრეკილება აქვთ ჰუმანიზმის პრინციპებისკენ, მაგრამ ეს ხშირად ასე არ არის.

იმედი დავიტოვოთ, რომ ეს მოხერხდება. სიმართლე არც ერთ მხარეს არ უნდა დაიმალოს და არც ერთი ტაბუ არ უნდა იქნას უსამართლოდ დადებული.

შეიძლება ჩვენც გვჭირდება სიმართლის და შერიგების კომისია?..

მრავალხმოვანი ხედვა, როგორც გამოსავალი დღევანდელი სიტუაციიდან

ცხადია, ყველას კარგად მოეხსენება რომ წელს მთელს მსოფლიოში უკიდურესად დაძაბული წელიწადია. დაძაბულო მარტო საქართველოში რომ არ იქნება ეს უკვე ვფიქრობ ყველასათვის ცხადია. ამ ზაფხულს ისრაელის მემარჯვენე წრეები და ნეტანიაჰუს მთავრობა ძალიან ეცდება რომ ირანზე სამხედრო თავდასხმა განახორციელოს და ამ ქმედებით ცხადია ამერიკაც დიდი შანსია კონფლიქტში ჩაითრიოს. აქამდე ობამას ადმინისტრაცია მაინც საკმაოდ არგუმენტირებულად ეწინააღმდეგება ომის მომხრეების ზეწოლას. თუმცა სამხედრო კომპლექსს იმხელა ფული აქვს, რომ მას არა მხოლოდ მრავალი პროვოკაციის მოწყობა შეუძლია, არამედ მთლიანი ომის დისკურსის ჩამოყალიბება. ერთადერთი რაც ამ კომპლექსის ძლიერი ლობისტების წინააღმდეგ მუშაობს არის ის, რომ ამერიკელი ხალხი დაიღალა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გაუთავებელი ომებით და დიდი შანსია ამჯერად გენერლებს ამხელა ნდობა აღარ გამოუცხადოს. პლიუს, ამას ემატება ობამას ადმინისტრაციის სამშვიდობო პოლიტიკა და ახალგაზრდების მასიური გამოსვლები ამერიკის ბევრ ქალაქში ოლიგარქების და უოლ სტრიტის წინააღმდეგ. თავისი დაძაბულობით არ არის გამორიცხული რომ ამერიკაში და მთელს მსოფლიოში მიმდინარე წელი 1968 წელს გაუტოლდეს. მაშინაც ომის წინააღმდეგ დიდი მოძრაობა იყო და მაშინაც ახალი მემარცხენეები ახლებურად აგებდნენ პროტესტის სტრატეგიებს. ცხადია, ყველას კარგად მოეხსენება რომ წელს მთელს მსოფლიოში უკიდურესად დაძაბული წელიწადია. დაძაბულო მარტო საქართველოში რომ არ იქნება ეს უკვე ვფიქრობ ყველასათვის ცხადია. ამ ზაფხულს ისრაელის მემარჯვენე წრეები და ნეტანიაჰუს მთავრობა ძალიან ეცდება რომ ირანზე სამხედრო თავდასხმა განახორციელოს და ამ ქმედებით ცხადია ამერიკაც დიდი შანსია კონფლიქტში ჩაითრიოს. აქამდე ობამას ადმინისტრაცია მაინც საკმაოდ არგუმენტირებულად ეწინააღმდეგება ომის მომხრეების ზეწოლას. თუმცა სამხედრო კომპლექსს იმხელა ფული აქვს, რომ მას არა მხოლოდ მრავალი პროვოკაციის მოწყობა შეუძლია, არამედ მთლიანი ომის დისკურსის ჩამოყალიბება. ერთადერთი რაც ამ კომპლექსის ძლიერი ლობისტების წინააღმდეგ მუშაობს არის ის, რომ ამერიკელი ხალხი დაიღალა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გაუთავებელი ომებით და დიდი შანსია ამჯერად გენერლებს ამხელა ნდობა აღარ გამოუცხადოს. პლიუს, ამას ემატება ობამას ადმინისტრაციის სამშვიდობო პოლიტიკა და ახალგაზრდების მასიური გამოსვლები ამერიკის ბევრ ქალაქში ოლიგარქების და უოლ სტრიტის წინააღმდეგ. თავისი დაძაბულობით არ არის გამორიცხული რომ ამერიკაში და მთელს მსოფლიოში მიმდინარე წელი 1968 წელს გაუტოლდეს. მაშინაც ომის წინააღმდეგ დიდი მოძრაობა იყო და მაშინაც ახალი მემარცხენეები ახლებურად აგებდნენ პროტესტის სტრატეგიებს.

ორი აზრი არაა რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ყველაზე ახლო მეგობარი ლობისტებს შორის, ბატონი რენდი შვინემანი, რომელიც ამავე დროს ჯონ მაკკეინის ახლო წრის წარმომადგენელიც არის, ყველანაირად ცდილობს რომ საქართველოს როლი ამ შესაძლო კონფლიქტის დროს მნიშვნელოვანი გახადოს. საქართველოში სააკაშვილმა უკვე ააშენა უამრავი საავადმყოფო, რომლებიც ძირითადად ტრავმატოლოგიურია და მათი სამხედრო ჰისპიტლებად გადაქცევა რამდენიმე დღეში მოხერხდება. ამავე დროს სააკაშვილი ომის გაჩაღების შემთხვევაშიაც ეცდება ქართული სამხედრო ბაზები მის მოკავშირეებს დაუთმოს. ასევე ცალსახაა, რომ საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი, რომელმაც ახლახანს ნეოლიბერალი ავტორიტარი საპრეზიდენტო საარჩევნოში დააბრუნა, ამას ვერ მოითმენს. პუტინის იმპერიალისტური წარმოადგენა იმას ვერ დაუშვებს, რომ მისი "კოლონიიდან' ამერიკელი ჯარისკაცები ვიღაცას ბომბავდნენ. და აქ უკვე რეალურად ვდგებით რუსეთის მიერ საქართველოს სამხედრო ოკუპაციის საშიშროების წინაშე. ახლახანს ბრიტანელების მერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში 2008 წლის ომის შესახებ კარგად ჩანს რომ ამერიკის შესაძლო შესაძლო სამხედრო კონფრონტაცია ირანთან და რაკეტსაწი-

ნააღმდეგო თავდაცვითი სისტემის მოწყობას უკავშირდებოდა. მას მერე ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობები ოდნავ კი გაუმჯობესდა, მაგრამ პუტინის ხელისუფლებაში დაბრუნება და ირანთან შესაძლო კონფლიქტი საქართველოს მგდომარეობას ისევ მაწყვლადს გახდის. სწორედ ამიტომ არის საჭირო ახალი ხედვის გამომუშავება, რომლითაც ეს ქვეყანა კავკასიაში და მთლიანად მსოფლიოში ახალ როლს შეიძენს.

საქართველოში დღესდღეობით უშიშროების და მშვიდობის ორი პოლარიზებული კონცეფცია მოქმედებს: პირველი, რომელსაც ხელისუფლება ახმოვანებს, არის რუსულ იმპერიალიზმთან ძალოვანი ფაქტორებით და სამხედრო-მილიტარისტული მეთოდებით დაპირისპირება. სააკაშვილის ხელისუფლება ამ პროცესში თვითონაც არ ერიდება აგრესიულ და იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელიც სამხედრო და უხეშ ძალაზე განუწყვეტლივ აპელირებას და ამის მუდმივ დემონსტრირებას. ეს ცხადია ძალიან უარყოფითად მოქმედებს ჩვენს ურთიერთობებზე აფხაზეთან და ოსებთან — ჩვენს ეთნიკურ ნათესავებთან, რომლებთან ერთადაც საუკუნეების განმავლობაში გვიცხოვრია. სააკაშვილის ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობს დასავლეთის რეაქციულ წრეებთან ნებისმიერი კავშირის დამყარებას და იგივე დასავლეთის მეორე, მეტად მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც სულაც არ არის იმპერიალისტი პრაქტიკულად სიძულვილით უყურებს. სააკაშვილის მომხრეები არც მალავენ მათს სიძულვილს ობამას და საერთოდ ნებისმიერი მემარცხენე პოლიტიკოსის მიმართ, რომლებსაც უხეში ძალა არ მიაჩნიათ პრობლემის მოგვარების საშუალებად. ეს მიდგომა, შიდა პოლიტიკაშიაც ვლინდება, სადაც უხეში ძალა და ძალადობა სახელმწიფოს ერთადერთ მახასიათებელ ნიშნად იქცა. ცხადია ეს მიდგომა დამღუპველია და ბიბისის მიერ გადაღებული ფილმიც ამაზე კარგად ლაპარაკობს. ფილმში კარგად არის ნაჩვენები რომ ამერიკის ყოფილი სახწლმწიფო მდივნები კოლინ პაუელი და კონდოლისა რაისა აფრთხილებდნენ სააკაშვილს აგრესიული ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მათდა სამწუხაროდ და ჩვენდა საუბედუროდ სქართველოს პრეზიდენტმა ყურად არ იღო მათი რჩევა — და შედეგმაც არ დააყოვნა. აქედან გამომდინარე შევიძლია ვთქვათ რომ ნაციონალური მოძრაობის საგარეო-პოლიტიკური ხედვა ქვეყნისათვის უბედურების მომტანია.

ასევე დამღუპველია მეორე ხედვა, რომელიც საქართველოს რუსეთის იმპერიული სისტემის შიგნით დაბრუნებას მოიაზრებს. ცხადია, ჩვენ აუცილებლად უნდა აღვადგინოთ კავშირები რუსებთან და ნამდვილად უამრავი რამ გვაკავშირებს ამ ხალხთან. ცუდის გარდა ბევრი კარგი მოგონებაც გვაქვს. მაგრამ ახლანდელი რუსული მთავრობის ნეოლიბერალურ-იმპერიალისტური ხედვა რუსული იმპერიის აღდგენის შესახებ სრულებით შეუსაბამოა პირველ რიგში დროის მოთხოვნებთან. ქართველი ხალხი ვეღარ აიტანს რუსულ სამხედრო ჩექმას — ამას შეიძლება მოკლეხნიანი შედეგი მოყვეს — მაგრამ დიდხნიანი გათვლით ეს პოლიტიკა უაზრო სისხლისღვრისა და საბოლოო ფიასკოს მეტს არაფერს მოიტანს. ცხადია, ეს ჩვენთვისაც საზარალო იქნება, მაგრამ ასეთი ტიპის სამხედრო იმპერიალიზმი რუსეთსაც დაანგრევს. ანუ, რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე გათვლილი ქართული პოლიტიკაც აუცილებლად ფიასკოთი დამთავრდება.

ორივე ამ მიდგომის მთავარი ნაკლოვანება სწორედ ისაა, რომ ორივე მათგანი უხეშ ძალას და იმპერიალიზმს ეყრდნობა. ძალადობას არასდროს მოუტანია კარგი შედეგი. ეს კარგად დაგვანახა მეოცე საუკუნემ — ყველა სამხედრო აგრესია: ჰიტლერის დამპყრობლური ომებით დაწყებული, საბჭოთა ანექსიებით და ამერიკის ვიეტნამში ომით დამთავრებული წარუმატებელი და უფრო მეტიც, ტრაგიკული აღმოჩნდა. ამის საწინააღმდეგოდ, არაძალადობრივი მოძრაობები: განდის მიერ დაწყებული ბრიტანეთის დეკოლონიზაცია, ამერიკის სამოქალაქო უფლებების მოძრაობა, აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კოლონიების განმათავისუფლებელი ბრძოლა 1989-იან წლებში კარგი შედეგით დამთავრდა. 21-ე საუკუნე ანტიიმპერიალისტური პოლიტიკის საუკუნეა. სამხედრო ძალის გამოყენება როგორც შიგნით, ასევე გარეთ განწირულია აუცილებელი დამარცხებისათვის. სწორედ ამიტომაა რომ საქართველო 21-ე საუკუნეში უნდა გახდეს ანტიიმპერიალისტური პოლიტიკის ცენტრი — ჩვენ თუ გადარჩენა გვიწერია ჩვენი ფუნქცია სწორედ ეს არის.

რა შეიძლება იყოს ქართული ეროვნული საწყისი, რომელიც ჩვენ გამოგვადგება ანტიიმპერიალისტური ხედვის ჩამოყალიბებაში და ასეთი ტიპის საზოგადოების აშენებაში?

ვფიქრობ ჩვენს ისტორიაში ცუდთან ერთად ბევრი კარგის მონახვა შეიძლება. საქართ-

ველოს ისტორია სწორედ ბევრი სხვადასხვანაირი კულტურის და ტრადიციის თანაცხოვრების ისტორიაა. მრავალხმოვანი სიმღერის ხალხური ძირი სწორედ ამაშია — სხვადასხვანაირის ერთიანობა. მომავლისათვის მრავალხმოვანება ქართული ეროვნული მსოფლმხედველობის და პოლიტიკის ცენტრში უნდა დავაყენოთ — და გადავძლიოთ უბრალო ტოლერანტობას, რაც უბრალოდ სხვა ადამიანების ატანას ნიშნავს. ჩვენ უნდა დავიწყოთ სწორედ ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც არა მხოლოდ აიტანს სხვებს, არამედ სხვებთან ერთად მნიშვნელოვან საქმეებს გააკეთებს.

პირველ რიგში საქართველო უნდა გამოვიდეს რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარების მთავარ ინიციატორად. პირველ რიგში ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან თანასწორი ურთიერთობების დამყარება უნდა შევძლოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მომავლისათვის. აუცილებელია რუსეთის იმპერიის გარეშე წარმოვიდგინოთ აფხაზები და ოსები და მათთან სწორედაც რომ თანასწორუფლებიანი ურთიერთობა უნდა დავამყაროთ. თუ გვინდა რომ დავამარცხოთ ნებისმიერი სხვა იმპერიალიზმი, პირველ რიგში საკუთარ იმპერიალიზმზე უნდა ვთქვათ უარი. და იმპერიალიზმი უხეში ძალის კულტია პირველ რიგში — როდესაც შენს ნათესავს ან მეზობელს პირველ რიგში იარაღს უფრიალებ წინ, ცხადია მას თავდაცვით მდგომარეობაში აყენებ. სწორედ ამიტომაა რომ სახელმწიფომ უარი უნდა თქვას სამხედრო აღლუმებისა და იარაღის ენაზე ლაპარაკისაგან და დაიწყოს სხვადასხვა კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ პროექტებზე მუშაობა.

მაგრამ ამის გარდა საქართველოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის მოგვარებისას. აქაც ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალი რთული მოსაძებნია. ტერიტორიულ პრეტენზიებს არცერთი ქვეყანა ადვილად არ დათმობს. გამოსავლის სახით მხოლოდ ის რჩება რომ დაიწყოს ერთიანი კავკასიის პროექტზე მუშაობა, სადაც ეკონომიკური თანამშრომლობა საბოლოო ჯამში აღადგენს ამ ეთნიკურ ომებში დაკარგულ ურთიერთობებს. საქართველო ერთიანი კავკასიის შექმნის შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი ხერხემალი შეიძლება გახდეს — მას აქვს საშუალება რომ არა მხოლოდ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ხიდის როლი ითამაშოს, არამედ მთელი რეგიონის ქვეყნებს შორის. რუსეთი, თურქეთი, ირანი, ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები უშუალოდ საქართველოს სამეზობლოშია. მაგრამ, იმისათვის რომ მშვიდობის მატარებლის ფუნქცია შევიძინოთ მთელს რეგიონში პირველ რიგში ჩვენი საკუთარი კონფლიქტები უნდა მოვაგვაროთ. არ არის მართალი სახელმწიფო პროპაგანდის და სხვადასხვა პოლიტიკოსების მხრიდან ყველაფრის რუსებზე გადაბრალება — ჩვენ თვითონაც ძალიან მძიმე შეცდომები დავუშვით აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობაში. ამ ურთიერთობებში მეოცე საუკუნის ბოლოს ჩვენ ვუღალატეთ საკუთარ მრავალხმოვან ტრადიციას და მხოლოდ ერთ ხმაში სიმღერა დავაპირეთ — და ამის პასუხმაც არ დააყოვნა. ისევე როგორც ადამიანურ ურთიერთობაში, ძალის პოზიციებიდან ლაპარაკი არც ერთ შემთხვევაში გამოსადეგი არ არის. უხეში ძალის კულტი ყველა შემთხვევაში დამღუპველია. უხეში ძალა რომ იყოს პრობლემის მოგვარების გზა, მაშინ ქრისტე სიყვარულს არ იქადაგებდა.

დღევანდელი მსოფლიო სულ უფრო და უფრო მრავალხმოვანი ხდება. ამერიკას აფრო-ამერიკელი პრეზიდენტი ჰყავს, მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების რიცხვში უკვე დაიმკვიდრეს ადგილი ინდოეთმა, ბრაზილიამ, სამხრეთ აფრიკამ და სხვადასხვა „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებმა. მსოფლიო პოლიტიკა დეცენტრალიზების გზაზეა და რაც არ უნდა წინააღმდეგი იყვნენ რასისტები და სუპრემაცისტები, ეს პროცესი მაინც შეუქცევადია. ახალ მულტი-პოლარულ მსოფლიოში მეოცე საუკუნის დიქოტომიებით საუბარი ნამდვილად ჩამორჩენილობის ნიშანია. საქართველოს პრეზიდენტი სხვებს უკიჟინებს ჩამორჩენილობას და საუბედუროდ თვითონ „ცივი ომის“ დროინდელ სქემებშია ჩამჯდარი — და მხოლოდ ის შეძლო რომ ბრეჟნევის პლაკატები მისი ცივიომისდროინდელი ანტიპოდის რეიგანის ძეგლით შეცვალა. დღეს აღარც ბრეჟნევია აქტუალური და აღარც რეიგანი — დღეს მსოფლიო პოლიფონიური ხდება — ზუსტად ისეთი როგორიც მრავალხმოვანი ქართული ხალხური სიმღერაა.

ქართული პოლიტიკის მომავალი ხედვის განსაზღვრისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა „წინწყაროს“, „მრავალჟამიერს“ და სხვა ხალხურ სიმღერებს კარგად მოვუსმინოთ და ამის მერე დღევანდელ მსოფლიოსაც კარგად შევხედოთ.

მადლობა ღმერთს ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერებიც ბევრია და მსოფლიოც ყოველდღე უფრო პატარა ხდება.

სამხრეთისა და ჩრდილოეთის დაპირისპირების ჩრდილში

ერთი კვირის წინ სტამბულში მეტად საინტერესო კონფერენცია შედგა გამოხატვის თავისუფლების თემაზე, სადაც მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი მწერალი, სოციალური მეცნიერი თუ ადამიანის უფლებათა დამცველი მონაწილეობდა. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო პენ-კლუბი, Amnesty International-ი და Human Rights Watch-ი. მთავარი თემა მსოფლიოში გაბატონებული დისკურსი იყო და მისი ალტერნატივების ძიება. საკვანძო სიტყვა კონფერენციაზე წარმოთქვა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ემერიტუს დოქტორმა, ცნობილმა ამერიკელმა ლინგვისტმა და პოლიტიკურმა მეცნიერმა ნოამ ჩომსკიმ. მას გარდა მნიშვნელოვანი გამოსვლები ჰქონდათ პრინსტონის უნივერსიტეტის წარმომადგენელსა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტ რიჩარდ ფალკს, საერთაშორისო პენ კლუბის აღმასრულებელ დირექტორს, ნორვეგიელ მწერალ იუჯინ შულგინს, ცნობილ ინდოელ სოციალურ მეცნიერს, Ell Taller International-ის თავმჯდომარეს, კორინ კუმარს, ბერკლის უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ფილიპინელ მეცნიერს, ჰერბერტ დოსენას, და დიდი ბრიტანეთის უორვიკის უნივერსიტეტის პროფესორს, მალაიზიელ მეცნიერს ჯაიან ნაჯარს. მათ გარდა კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ოლეგ პანფილოვი, აგრეთვე აზერბაიჯანის, ბულგარეთის, თურქეთის, შვეიცარიის წარმომადგენლები.

გამოხატვის თავისუფლების რიგით მეშვიდე კონფერენციამ მეტად საინტერესოდ ჩაიარა. აქ საკუთარი ხედვის წარმოჩინების საშუალება ქართულ მხარესაც მიეცა.

პირველ რიგში აღნიშნულ იქნა გამოხატვის უფლების ის დარღვევები, რომლებსაც ადგილი აქვს სხვადასხვა ქვეყნებში: რუსეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში, ეგრეტ წოდებული მესამე მსოფლიოს ქვეყნებში და თვით ლიბერალური დემოკრატიის წარმომადგენელ ქვეყნებშიაც. პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორმა ადამიანის უფლებებში, ჯუდით ჩომსკიმ ისაუბრა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ სიტუაციაზე და გამოხატვის თავისუფლების პრობლემებზე, რომელთაც გარკვეული მარგინალური ჯგუფები აწყდებიან. მაგალითად, მოყვანილ იქნა ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც საკმაოდ დიდ დისკრიმინაციას განიცდის დღევანდელ პოლიტიკურ ისტაბლიშმენტსა თუ მედიასაშუალებებში.

მთავარი საკითხი, რომელიც კონფერენციაზე გამოიკვეთა, იყო ის, თუ რამდენად კარგად ასახავს თანამედროვე ლიბერალური მედია და ბეჭდური სიტყვა მსოფლიოში არსებულ უთანასწორობასა თუ რეალურ დაპირისპირებებს. ნათლად ითქვა, რომ ცივი ომის დამთავრების შემდეგ უკვე 20 წელია, რაც რეალურმა დაპირისპირებამ დასავლეთ-აღმოსავლეთის ფრონტიდან გადაინაცვლა ჩრდილოეთ-სამხრეთის დაპირისპირებაში. Wolrd Food Organization-ის ოფიციალური ცნობით მსოფლიოში დღეს დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი ოფიციალურად შიმშილობს, ანუ ამ ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ ელემენტარულ საკვებზე. ეს ფაქტი ნაწილობრივ ხელოვნურადაც არის გამოწვეული, რადგანაც ლიბერალური ეკონომიკის წესებით უკმარისობა ხელოვნურად იქმნება მსოფლიო ბაზარზე და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები ფერმერებს სუბსიდიებს უხდიან იმისათვის, რომ მათ არ აწარმოონ საკვები. სიღატაკის ზღურბლზე დაბლა ოფიციალურად კიდევ უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს. ბოლო ხანებში საჭმლის ჰეჯ-ფონდებით ვაჭრობამაც ხელოვნურად გაამწვავა საკვების პრობლემა და გლობალური სამხრეთის დიდი ნაწილი რეალური შიმშილის ზღვრამდე მიიყვანა. თუმცა ცნობები ამის შესახებ თანამედროვე ლიბერალურ (რომ აღარაფერი ვთქვათ კონსერვატიულზე) მედიაში ძალიან იშვიათად ჩნდება და ამ ინფორმაციებს მარგინალური ხასიათი აქვს. მაშინ როდესაც კაცობრიობის ერთი მეექვსედი ოფიციალურად შიმშილით კვდება, მსოფლიო მედიის ისტაბლიშმენტი იდენტობის პოლიტიკის საკითხებს ბევრად უფრო დიდი ენთუზიაზმით იხილავს. იდენტობის პოლიტიკის როლის ასეთი ხელოვნური ზრდის საფუძველზე მსოფლიოში მოძლიერდა რეაქციული, ულტრამემარჯვენე და ქსენოფობიური მოძრაობები, რომელთაგანაც საფრთხე უკანასკნელ ხანებში უკვე ევროპასაც დაემუქრა. ქსენოფობია და ანტიიმიგრანტული განწყობები ევროპის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა. იგივე ამერიკაში ულტრამემარჯვენე და ხშირად შემთხვევაში აშკარად ქსენოფობიური „ჩაის წვეულების“ მოძრაობა აშკარად გაძლიერდა და დიდი შანსია რომ მომავალი კონგრესის არჩევნებზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს. ერთი სიტყვით,

2010 წლის დომინანტურ ნარატივად იქცა იდენტობის და რელიგიური კუთვნილების საკითხები — ნაციონალიზმი და რელიგიური ფუნდამენტალიზმი სწორედაც რომ ლიბერალური დისკურსის სისუსტემ განაპირობა.

ნოამ ჩომსკის გამოსვლაში სწორედ თანამედროვე ლიბერალური დისკურსის კრიტიკას ეთმობოდა წამყვანი ადგილი. ეს ტრადიციული ჩომსკი იყო, რომელიც მსოფლიოს ყველა შეგნებული ადამიანის მოვალეობად თვლის რომ დაუმორჩილებლობა გამოუცხადოს გაბატონებულ კორპორატიულ დისკურსს და მშვიდობიანი ბრძოლით მიაღწიოს ალტერნატიული დისკურსის გამოსვლას არენაზე. მეტად საინტერესო იყო ჰერბერტ დოსენას მოხსენება, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა ძლიერად ახდენს თანამედროვე ლიბერალური დისკურსი ჰეგემონიისა და დომინაციის მიღწევას და იმაზე, რომ გლობალურ სამხრეთს სჭირდება გამოიმუშავოს ბრძოლის უკეთესი მეთოდოლოგია, რათა აღორძინდეს ჰუმანისტური ხედვა სამყაროსი. დღევანდელ მეისტრიმ დისკურსს ახასიათებს ტრადიციულ ჰუმანიზმზე უარის თქმა და გარკვეული კორპორატისტული თუ ფუნდამენტალისტური პრინციპების წინ წამოწევა. იმისათვის რომ ეს ნარატივი შეიცვალოს, საჭიროა ახალი უნივერსალური პარადიგმის მიგნება. ალან ბადიოს წიგნი პავლე მოციქულის შესახებ ბევრმა მოიტანა მაგალითად იმისა, თუ როგორ არის საჭირო ახალი საერთო ენის გამონახვა გასხვავებული ეროვნების, რელიგიის, რასის ადამიანებს შორის. ჰერბერტ დოსენას მოხსენებაში მეტად საინტერესო სწორედ ის ხაზი იყო, რომ თანამედროვე სამხრეთს სჭირდება უფრო განსწავლული მეთოდები იმისათვის, რომ ახალ მედიასაშუალებებს (მაგალითად ფეისბუკისა და ტვიტერის მსგავს სოციალურ ქსელებს) ასევე არ დაეპატრონონ დიდი კორპორაციები და პოლიტიკური ისტაბლიშმენტის წარმომადგენლები. ჯაიან ნაჯარის მოხსენებაში მეტად საინტერესო იყო ხაზგასმა იმისა, რომ დღეს აუცილებელია გლობალური სამხრეთის მოქალაქეებს ჰქონდეთ აჯანყების უფლება, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ისინი წარმოჩენილ არიან როგორც ტერორისტები და ექსტრემისტები — მაგალითად ჩეჩნების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მთლიანად წარმოჩენილია როგორც ექსტრემისტული ჯგუფის აქტივობა, ისევე როგორც პალესტინელების ლეგიტიმური მოთხოვნები. ბევრი ჩაგრული ჯგუფი გლობალური სამხრეთიდან პირდაპირ განიცდის გენოციდს და ამ გენოციდზე ბევრი არ ლაპარაკობს. ცივი ომის დროს დაპირისპირებული მხარეები — კერძოდ დასავლეთი და რუსეთი — ახლა სულ უფრო ხშირად ერთიანდებიან გლობალური სამხრეთის წინააღმდეგ. მალაიზიელი გამომსვლელის სიტყვაში გამოიკვეთა იმის აუცილებლობა, რომ მარგინალური ჯგუფებისათვის (რომლებიც ხშირ შემთხვევაში უმცირესობას კი არა უმრავლესობას წარმოადგენენ) გარანტირებულ იქნას ჯანყის უფლება. ლინგვისტური ჯანყის უფლება — ეს მეტად საინტერესო პარადიგმაა დღევანდელი დისკურსის თეორიაში. მაგრამ როგორ შეიძლება მისი ამოქმედება მშვიდობიანად? ეს დღევანდელი მწერლობის ერთ-ერთი მთავარი დილემაა.

ქართული წინადადება იყო მრავალხმოვანი დისკურსის პარადიგმის დამკვიდრება, რომელიც ნაციონალურ დარვინიზმზე ზემოთ დადგება და ყველა სხვადასხვანაირი ჯგუფის უფლებებს თანაბრად დაიცავს, სადაც იქნება უნივერსალური თანასწორობის პრინციპი და ამავე დროს განსხვავების პატივისცემა. სადაც ევროპაცენტრულ ნარატივს არ მიენიჭება აპრიორული უპირატესობა სხვა კულტურებზე თუ მსოფლმხედველობებზე. დღეს ძალიან ძნელია კულტურული და კლასობრივი თანასწორობის მიღწევა, იმ სიტუაციაში, სადაც დომინანტური დისკურსი ცდილობს ყველანაირი განსხვავება მოსპოს, თუ ეს ბურჟუა ლიბერალურ ან კონსერვატიულ დისკურსს ეწინააღმდეგება.

ეს ძალიან მოკლე ანოტაციაა იმ პრობლემებისა, რომლებზეც საუბარი იყო კონფერენციაზე. ამ თემებზე მომავალშიაც საჭიროა მსჯელობა, სადაც გამოიკვეთება ალტერნატიული დისკურსი და ალტერნატიული ხედვა. რა არის ჩვენი პოლიფონიური ხედვა. ამაზე პასუხის გაცემა მომავალში უნდა შევძლოთ. დღეს კი მთელს მსოფლიოში მეტად რთული პერიოდია, როდესაც ქსენოფობია უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს მეინსტრიმულ დისკურსში.

აზდაკის აჩრდილი

აზდაკის გმირი ქართველი ხალხის ერთ-ერთი გამორჩეული გმირია. საინტერესოა რომ ბრეხტმა „კავკასიური ცარცის წრე“ კალიფორნიაში დაწერა 1944 წელს. სხვადასხვა ვერსიებით მან ჩინური ამბავი ქართულად სწორედ ამერიკაში გადააკეთა. ამ დროს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომი იყო. *სწორედ ბრეხტს ეკუთვნის გენიალური ქართული გამოთქმა: „ძაღლებო, მე ვიღებ“, რომელიც აზდაკის პირით გადმოგვცა.* მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, ეს პიესა ქაღალდზე დარჩებოდა, სტურუას და რამაზ ჩხიკვაძეს რომ არ გაეღვიძებინათ ეს საოცარი სახე. აზდაკი სწორედაც რომ ერთ-ერთი ყველაზე აუთენტური ქართველი მოვლენაა. სმის, სიმღერის, მხიარულების მოყვარული — დიონისური სულით სავსე მოსამართლე, რომელიც ქრთამსაც იღებს, მაგრამ ყოველთვის გაჭირვებულის მხარეზეა. მრავალი სახის მქონე ქართველი არტისტი მოსამართლე, რომელსაც არ ერიდება შეულამაზებელი სიმართლის თქმა ამ ქვეყნის ძლიერებისთვის.

დიახ, აზდაკი არის ქართული კვინტესენცია; ეს არის ყველაზე გულწრფელად დანახული სული — რომელსაც არანაირი სიყალბე არა აქვს. დიახ, მდიდრებს ქრთამსაც ართმევს და ამას არ მალავს. პოლიციელებს ძაღლებს უწოდებს და სისტემას თავის სიმღერაში სრულიად აშიშვლებს. და ყოველივე ამის მერე ყველაზე უფრო სამართლიან გადაწყვეტილებას ეს მექრთამე, ლოთი, მექალთანე, მასხარა მოსამართლე იღებს.

ბრეხტმა ამ ქართველ გმირში გადმოიტანა ის აჯანყება, რომელიც დღევანდელ ბიურგერულ სინაცრისფრეში აქვს ადამიანს. გენიოსმა მწერალმა ეს ჯერ კიდევ 1944 წელს დაინახა, მაშინ, როდესაც ნეოლიბერალიზმი ასეთი აშკარად გამოხატული გასაშუალოება არ იყო. აზდაკი იცავს უმაღლეს ადამიანურ ღირებულებას — სიკეთეს — და ამისათვის ის არანაირ სხვა კანონს არ ცნობს. რადგან ეს კანონი ნათელა აბაშვილის და მისდაგვარი ადამიანების მხარეზეა ყოველთვის. მიშელ ფუკო ძალიან კარგად წერს, რომ დღევანდელ ნეოლიბერალურ სამყაროში „კანონის უზენაესობა“ პირველ რიგში პრივილეგირებული კასტის „თამაშის წესების“ დაცვას ნიშნავს და ამ კანონს დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. „კანონი“ ნეოლიბერალური გაგებით არის მდიდრების ქონების დაცვის საშუალება — ამისათვის სახელმწიფო ქირაობს პოლიციელებს და ჯარს — და ეს შეიარაღებული ძალები ომს და მშვიდობას სწორედ მმართველი კასტის — ბრეხტის პიესაში „თავადების“ ინტერესების დასაცავად აწარმოებენ. აზდაკი თავის სიმღერაში სწორედ იმ სიმართლეს ამბობს, რომლის გაგონებაც დღეს ასე საჭიროა საქართველოსთვის. ნახევრად მთვრალი აზდაკი იარაღის გაყიდვაზეც ლაპარაკობს და სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზეც — როდესაც „თავადები“ ამ ფულს ომზე მიმართავენ და ომში თვითონ მდიდრდებიან. წაგებულ ომშიაც თავადები მდიდრდებიან — რა წინასწარმეტყველური გათვლაა — 1944 წელს სამხრეთ კალიფორნიაში დაწერილ პიესაში რა ზუსტად აისახა საქართველოს მდგომარეობა 2008 წლის ომის შემდეგ. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ სააკაშვილის მთავრობა პუტინის მთავრობასთან ერთად საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების და ახალი ფულის გაკეთების მიზნით ახალ ომს არ დაიწყებს 2012 წელს — მაშინ როცა არჩევნებია კარს მომდგარი რუსეთშიაც, საქართველოშიაც და ამერიკაშიც.

აზდაკის სიმღერა დღევანდელი დღის არა მარტო ბრძნული ანალიზია — არამედ მომავლის წინასწარმეტყველებაც არის. ცარცის წრეც რა კარგად უდგება ჩვენს რეალობას — პატარა მიხეილი (ირონიულია, რომ სააკაშვილსაც ეს სახელი ჰქვია) სწორედ საქართველოა — ნათელა იმ ადამიანებს წარმოადგენს, ვისაც მისი „დასაკუთრება“ უნდა — გრუშე კი მათ, ვისაც ის უყვარს, განურჩევლად იმისა, ის მათ ეკუთვნის თუ არა. ნეოლიბერალური ბიოპოლიტიკის მიხედვით საკუთრება ყველაზე მაღალი ღირებულებაა — ის სიცოცხლეზე ზემოთ დგას — საკუთრების ხელყოფის გულისათვის ადამიანებს კლავენ. აზდაკი კი სიცოცხლეს საკუთრებაზე ზემოთ აყენებს — და ამით ამარცხებს სისტემას. „შეიძლება მოსამართლე ვირი იყოს, მაგრამ უსათუოდ დამტკიცებული“ — სააკაშვილის სასამართლოზე რა ზუსტი ნათქვამია და რა გენიალური. კანონი აღარ იარსებებს, ძალას თუ იხმარ და მუშტებს თუ დაუშენ — დიახ, ეს ზუსტად ასეა დღევანდელ საქართველოში. აზდაკზე კარგად ამას ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ იტყვის.

ალბათ ესეც არის იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ამ ხელისუფლებას რობერტ სტურუას მოშორება უნდა — მათ ხომ ბოლო 8 წლის განმავლობაში ამხელა ქონება დააგროვეს საკუთარი ხალხის ძარცვის ხარჯზე — და მათ ყველაზე მეტად სწორედ აზდაკის აჩრდილის ეშინიათ. რამაზ ჩხიკვაძემ ეს როლი გენიალურად შეასრულა და კარგად გადმოსცა ქართული სულის ეს საოცარი ნაწილი. დიახ, როდესაც კანონი უსინდისობას და ჩაგვრას ემსახურება — ის უნდა დაარღვიო — დიახ, როდესაც პოლიციელის ერთადერთი დანიშნულებაა რომ ძალაუფლების კარი დაიცვას, მას „ძაღლი“ უნდა უწოდო. სააკაშვილის ნაცრისფერი საშუალებით გაჯერებული რეჟიმი ვერაფრით იტანს ბრეხტის გენიალურ ქმნილებას, სადაც ის ასეთ ბიუროკრატებს და „სახელმწიფოს დამცველებს“ საჭირო ირონიით უძახის: „ძაღლებო, მე ვიღებ“. დღევანდელ რეჟიმს (და არა მარტო მას, ცხადია) საზოგადოებამ სწორედ ისე უნდა მიმართოს, როგორც აზდაკი მიმართავს ნათელა აბაშვილის ადვოკატს — ირონიით და სამართლიანი ბრაზით.

აზდაკი არის სიმბოლო იმის, რომ ადამიანის სიცოცხლე ყველანაირ საკუთრებაზე ზემოთ დგას. ბრეხტის ტრანსფორმაციულ თეატრს სწორედაც რომ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ადამიანები დადგმის თანამონაწილეები გახდნენ — ქართველ ხალხს აქვს იმის ბედნიერება რომ „კავკასიური ცარცის წრე“, რომელიც ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას ასე კარგად აღწერს ახლო წარსულში დაიდგა და ბევრ ჩვენთაგანს ის კარგად ახსოვს. ჩვენ არჩევანს მუდმივად ვაკეთებთ — ყოველდღიურად — და აქედან გამომდინარე „ცარცის წრე“ ყოველთვის აქტუალურია — მაგრამ იქნებ მომავალი წელია ის წელი, როდესაც ბრეხტის ეს გენიალური პიესა მთლიანად ქართველმა ხალხმა უნდა გაათამაშოს ხელახლა — ხალხი უნდა იყოს აზდაკის როლში — მან პატარა ბავშვი ისეთ დედას უნდა მისცეს, ვისაც ის ნამდვილად უყვარს.

მადლობა ღმერთს, აზდაკის სახე დღეს ფირზეც არის შემონახული. და დღეიდან მისი აჩრდილი დადის საქართველოში. მაშინ, როდესაც რამაზ ჩხიკვაძე დაასაფლავეს და მას უკანასკნელი ღამე რობერტ სტურუასთან ერთად სულ რამოდენიმე ადამიანმა გაუთენა. მაშინ, როდესაც ახალი უსახო კარიერისტების წყება ცდილობს რომ წაშალოს ყველაფერი ის ღირებული რაც აზდაკის სულს გააჩნია, მაშინ როცა კოსტუმში გამოწყობილი სიხარბე და ძალაუფლების წყურვილი ცდილობს ყველაფერი ნიჭიერი ამოძირკვოს ქვეყნიდან — აზდაკის აჩრდილს ვერაფერს უზამენ.

აზდაკი არის ქართველის კვინტესენცია — რაც არ უნდა რთული მდგომარეობა იყოს — ის მაინც შეინარჩუნებს სამართალს — დალევს კიდეც, უაზროდ იხეტიალებს კიდეც, ნახევრად აბსურდულ ლექსებსაც იტყვის და ბოლოს შვილს იმას მისცემს ვისაც ის ნამდვილად და გულწრფელად უყვარს.

მაშინ, როდესაც სააკაშვილის ნეოლიბერალური რეჟიმი ფულს არ იშურებს იმისათვის რომ მთელს მსოფლიოში გავლენა ფულად იყიდოს — მაშინ როდესაც ისინი მარტო ვაშინგტონში 6-ზე მეტ ძვირადღირებულ ლობისტურ კომპანიას ქირაობენ — მაშინ როდესაც ხდება ახალი პრივილეგირებული კასტის თარგზე მოჭრილი „კანონის“ სახელით ადამიანების დაპატიმრება, წამება და მათგან უკანასკნელი სახსრების გამოძალვა — საქართველოს სწორედ აზდაკი სჭირდება — ის სახე რომელიც რობერტ სტურუამ და რამაზ ჩხიკვაძემ გენიალურად დაგვიტოვეს. სწორედ აზდაკის არჩევანი სწორი „წარმატებულ“ ნათელა აბაშვილსა და მარგინალიზებულ გრუშეს შორის — სიყვარული არის მთავარი ადამიანური ღირებულება.

ცხოვრება ეპიკური დრამაა, სადაც ადამიანს შეუძლია ბედის შეცვლა. ეს არის ბრეხტის მთავარი გზავნილი. არისტოტელეს ტრაგედია არ არის ერთადერთი მოცემულობა — არსებობს აგრეთვე ეპიკური დრამაც. ტრაგედიის ტრანსფორმაცია შესაძლებელია სოციალურ ცხოვრებაშიც. ეპიკური დრამის პრინციპით ადამანის ბუნება აუცილებლად ბოროტი არ არის. მას სიკეთის გაკეთებაც შეუძლია. აზდაკი სწორედ ამ ეპიკურ დრამას ასახიერებს.

ყველა კოსტუმში გამოწყობილ კარიერისტს ეშინოდეს აზდაკის აჩრდილის — ეს არის სწორედ ის რაც ერთ მშვენიერ დღეს ამოატრიალებს „წარმატების“ ნიღაბს ამოფარებულ უნიჭო საშუალოებას.

აზდაკი — ქართველი ერის უსაყვარლესი გმირია — ის არც ერთ პოლიტიკოსზე და სახელმწიფო მოღვაწეზე ნაკლები არ არის — ის გამოხატავს ქართულ სულს ყველა მათგანზე ბევრად უფრო მართლად.

აზდაკის აჩრდილი მაინც ამოატრიალებს ამ ყალბ „წარმატების“ და ძალაუფლების სამყაროს

— და ბოლოს მაინც დათვრება და იმღერებს და შვილსაც სწორედ ისეთ დედას მისცემს, ვისაც ნამდვილად უყვარს ის.

თუ ვინმე უნდა იყოს ქართველის მაგალითი დღეს — ეს სწორედ აზდაკია.

„და იმ ღამეს აზდაკი გაქრა და აღარავის უნახავს მას მერე. მაგრამ ქართველმა ხალხმა ის არ დაივიწყა. დიდხანს იხსნებდა ყველა მისი მოსამართლეობის მოკლე პერიოდს როგორც ოქროს ხანას, როდესაც სამართალი თითქმის დამყარდა.“ ბერტოლდ ბრეხტი.

მინდა ყველა კარიერისტს მივმართო — **რამაზი წავიდა, აზდაკის გეშინოდეთ!**

1. რას შეიძლება ეწოდოს კულტურული მემკვიდრეობა?
2. რა სახით მნიშვნელობს კულტურული მემკვიდრეობა დღევანდელი საქართველოს ცხოვრებაში?

გოგი გვახარია

ხსოვნა

სტუდენტებს ყოველთვის უჭირდათ ფრანგი რეჟისორის, ალენ რენეს ფილმების გაგება. მე კი ყოველთვის მიჭირდა იმის ახსნა, რომ რენეს „ჰიროსიმა, ჩემი სიყვარული“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფილმია. თანაც, არც თუ ისე რთული ფილმი. ფილმი ხსოვნაზე, ფილმი, რომლის ავტორი ამტკიცებს — როგორც კი ადამიანი ხსოვნას კარგავს, ის კარგავს ადამიანურობასაც, რადგანაც სწორედ ხსოვნა განსაზღვრავს ადამიანის არსებობას დროსა და სივრცეში, ადამიანის კავშირს წარსულთან და მომავალთან. სწორედ ხსოვნა უნარჩუნებს ადამიანს მთავარს — სინდისს და „შინაგან ხმასთან“ (რომელსაც სხვანაირად „ღმერთსაც“ ეძახიან) მუდმივი კონტაქტის უნარს.

ამას რომ ვამბობდი, სტუდენტები მეკითხებოდნენ ხოლმე, „კი მაგრამ, ხსოვნაზე „ჩამოკიდება“ ხომ ნეკროფილიის ფორმაცაა? წარსულზე დამოკიდებულება ხომ ხელს უშლის განვითარებას, აფერხებს პროგრესს?“... „მწვანეების“ მოძრაობასაც იხსენებდნენ და ცნობილ გამოთქმას: „მწვანეები პომიდორებს გვანან — დღეს მწვანეები არიან, მერე მწიფდებიან და წითლდებიან“... მიჭირდა იმის ახსნა, რომ წარსულის კონსერვაცია ყოველთვის არ ნიშნავს ნეკროფილიას; კი, ხსოვნა დიდი ტვირთია, როგორც „ჰიროსიმაში“ — ხსოვნა აქ ხელს უშლის ადამიანებს იყვნენ ბედნიერები. მაგრამ განა იქნებოდნენ ისინი ბედნიერები, და რაც მთავარია, თავისუფლები ხსოვნის გარეშე?

„ჰიროსიმა“ არ არის ფილმი ორი ადამიანის — ქალის და მამაკაცის, ფრანგი ქალის და იაპონელი მამაკაცის პირად ხსოვნაზე. ასე რომ იყოს მართლა, მივიღებდით მხოლოდ და მხოლოდ ეგზისტენციალურ დრამას, რომლის პერსონაჟებს სწორედ წარსული უშლის ხელს შეიყვარონ ერთმანეთი... ესაა ფილმი „ხსოვნაზე“, როგორც უდროობაზე, როგორც მემკვიდრეობაზე, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანია და არა დანაწევრებული.

„ჰიროსიმაში“ ორი ადამიანი იხსენებს წარსულს და ისე ღრმად „შედის“ თავის ხსოვნაში, რომ იხსენებს იმას, რაც პირადად მას არ შემთხვევია, რაც არ ყოფილა მისი ცხოვრება... სხვისი ცხოვრება — მისი ცხოვრება ხდება. დრო და სივრცე იხსნება და ფაქტობრივად, აღარც არსებობს... ეს კი მეტი არაფერია, თუ არა თვითუარყოფა. პირადად მე ამას „თავისუფლებას“ ვუწოდებ.

კულტურული მემკვიდრეობა — ყველაფერი, რაც წარსულში აშენდა, დაიხატა, გაფორმდა, ყველაფერი ფასეული და ნაკლებად ფასეული, გენიალური და კიტჩად ქცეული, ამ ხსოვნის განსახიერებაა. თუკი გვაქვს „პირადი ხსოვნის“ საზღვრების გახსნის უნარი, როგორც რენეს ფილმების გმირებს, მაშინ ყველაფერი ჩვენი საკუთრება გახდება. ცხადია, ყველაფერს ვერ შეინარჩუნებ და ყველაფერზე ერთნაირი მონდომებით ვერ იზრუნებ, მაგრამ ეს ყველაფერი რომ შენია... ამის მუდმივი შეგრძნება იმასაც კი გააცოცხლებს და სულიერს გახდის, რასაც „ძეგლი“ ქვია.

რაც თავი მახსოვს, საქართველოში უკვდავია „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილების“ თემა. უკვდავია ნაციონალ-კოლექტიური არქეტიპი, რომელიც წარსულის გაიდეალებას გულისხმობს. წლების მანძილზე ქართული საზოგადოება ცხოვრობდა წარსულის მითებით, „ხელს არ ახლებდა“ ამ მითებს და მტრად აღიქვამდა ყველას, ვინც მითის ახლებურ გააზრებას მოინდო-

მებდა. რაც თავი მახსოვს, ჩვენში დაუშვებლად მიიჩნეოდა ეროვნული მითების კრიტიკული გააზრება, თუმცა შეეძლოთ „ავტოგრაფით დაემშვენებინათ“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, გადაეკეთებინა სურვილის მიხედვით, ანდა საერთოდ, დაენგრიათ.

ძეგლის ნგრევა ქართული საზოგადოების ვნება გახდა საბჭოთა კავშირის ნგრევასთან ერთად. ადამიანებს სჯეროდათ, რომ ძეგლის აღებით ბოლოს მოუღებდნენ საბჭოთა კავშირს, ამოიშლიდნენ ხსოვნიდან... არადა ხსოვნის ეს „ნაწილი“ დიდი და უსაზღვრო ხსოვნის ნაწილი იყო... მისი ამოშლა ვერ მოხერხდებოდა, რადგან ამით დაირღვეოდა თანმიმდევრობა ისტორიულ სისტემაში, დაირღვეოდა მემკვიდრეობა... ხსოვნის სივრციდან ამოიშლებდა ჩვენი ბაბუების, ბაბუების ბაბუების სივრცე... უცნაურია, რომ ამ ძეგლების აღებასთან ერთად ქართულ კულტურაში მტკიცდებოდა და ძლიერდებოდა მითები და კვაზიტრადიციები; ეროვნული მოძრაობის აღზევება ხდებოდა ერთდროულად წარსულის გაფეტიშებით და წარსულის ძეგლების ნგრევით. წარსულიდან რჩებოდა მხოლოდ იდეა — გადაჭარბებული (გაზვიადებული), ან, უბრალოდ გამოგონილი. წარსულის ამსახველი ფაქტი კი ნადგურდებოდა.

ეს პროცესი დღემდე გრძელდება და ბოლო ხანებში უკვე კარიკატურულ ფორმას იძენს. მახსოვს, ბათუმის ყოფილი მერის რეპლიკა. ინტერვიუ რომ ავიღე და სასტუმრო „ინტურისტზე“ ვკითხე, ასეთი „რესტავრაცია“ შენობის დამახინჯებას ხომ არ განაპირობებს-მეთქი, გაკვირვებულმა შემომხედა და მითხრა: „ბატონო გოგი, თქვენ, ეტყობა, არ იცით, რომ ამ შენობის არქიტექტორი ის კაცია, ვინც ლენინის მავზოლეუმი დააპროექტა“.

ვიცოდი. ისიც ვიცოდი, რომ ამ არქიტექტორის კიდევ ერთი ქმნილება, „იმელის“ შენობა თბილისში იმხანად უკვე დაამახინჯეს და ემზადებოდნენ მისი სრული განადგურებისთვის და ისიც ვიცოდი, რომ წარსულის ასეთი განადგურება ქმნიდა სიცარიელეს — სახის, ფორმის გარეშე დარჩენილ სიცარიელეს, რომელიც მინიმუმ ერთფეროვანს და ნაცრისფერს ხდის ჩვენს ცხოვრებას, მაქსიმუმ კი გვაშორებს საყრდენს, რომელიც გვეხმარება შევინარჩუნოთ ჩვენი ადგილი სიცოცხლის სივრცეში... და რაც მთავარია — წარსულის „მოშლა“ გაუაზრებლად ტოვებს ამ წარსულს, რაც ქმნის წარსულის განმეორების საშიშროებას... შესაძლოა, კარიკატურული ფორმით. მაგრამ მაინც განმეორებისა.

მერაბ მამარდაშვილი ამ განმეორებას „ჯოჯოხეთს“ უწოდებდა.

ჩემთვის, კულტურული „ნიშნების“ გარეშე ცხოვრება, სიცარიელეში ცხოვრება არის ჯოჯოხეთი. განადგურებული ნატურა — სიცოცხლის დასასრულის ნიშანი.

პრინციპში, ამაზეა პირველ რიგში ალენ რენეს ფილმი „ჰიროსიმა, ჩემი სიყვარული“ — ფილმი ჯოჯოხეთის გადალახვასა და კულტურასთან ზიარებაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებაზე.

1. რას შეიძლება ეწოდოს კულტურული მემკვიდრეობა?

2. რა სახით მნიშვნელობს კულტურული მემკვიდრეობა დღევანდელი საქართველოს ცხოვრებაში?

ლევან გიგინეიშვილი

1. კულტურული მემკვიდრეობა არის წარსულში წინაპრების ძალისხმევით შექმნილი ჩვენამდე მოღწეული ფასეულობები. ფასეულობაცაა და ფასეულობაც. არის მარადიული, ურყევი და შეუქცევადი ფასეულობები, შეუქცევადი იმ გაგებით, რომ მისი შექცევა და შეცვლა განვითარება კი არა, დეგრადაციაა. მაგრამ არის ფასეულობები, რომლებიც არ ატარებენ ასეთ მარადიულ ნიშანს, თუმცა მაინც იმსახურებენ ყურადღებას და მოვლას, კონსერვაციას, თუნდაც იმიტომ, რომ ირიბად მაინც ეხებიან მარადიულს, ან სულაც წარსულთან დამაკავშირებელ ერთ-ერთ ხიდს წარმოადგენენ.

მოვიყვან კონკრეტულ მაგალითებს ზემოთნახსენები ორი ფასეულობის დასახასიათებლად. მაგალითად, სოკრატეს დაარსებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ფილოსოფია ორგანულად დაკავშირდა სამოქალაქო ცხოვრებასთან და საზოგადოების გაჯანსაღების ძალისხმევასთან, შეუქცევადი და მარადიული ტრადიციაა. თუ ფილოსოფია მოწყდება ამ ტრადიციას და სამოქალაქო სივრცეს ბედის ანაბარა მიატოვებს, ვფიქრობ, ეს დეგრადაცია იქნება. რენესანსისა და განმანათლებლობის ტრადიცია, რამაც ევროპული ცივილიზაცია განსაზღვრა — მარადიული, ბედის განმსაზღვრელი კულტურული რეალობაა, რომელიც თუ არ გაგრძელდა, ეს იქნება თავისუფლების ტვირთის ზიდვაზე უარის თქმა. ასევეა ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებმაც სამყაროს ხედვა გაამდიდრეს და ახლებურად წარმოადგინეს ის ფენომენები, რომლებსაც ამ ნაწარმოებებამდე არ ექცეოდა ყურადღება, ან სულაც ნიველირებული იყო. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ საქართველოში განათლებულ ქალებს და კაცებს გაუჭირდებოდათ სუფთა სინდისით ოჯახის შექმნა რამე სხვა მიზეზით (მატერიალური, წოდებრივი ა. შ.) რომანტიკული, პირად განცდაზე დაფუძნებული სიყვარულის გარეშე, არადა მანამდე ეს ჩვეულებრივი რამ იყო, რადგან ამგვარ სიყვარულს ფაქტობრივად არ აკავშირებდენ ქორწილთან (თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვი თეიმურაზის „ხილთა ქებაზე“, ვინაიდან ამ ნაწარმოებს არაფერი მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობრივი სიახლე არ მოუტანია). მარადიული და ბედის განმსაზღვრელი მემკვიდრეობაა ქრისტიანობა ზოგადად სამყაროს ცივილიზაციისთვის და კერძოდ საქართველოსთვის. ყველაფერი, სადაც ადამიანი შეეხო უსასრულოს და მარადიულს და ეს შეხება გამოხატა კონკრეტულ ფორმაში — გმირულ ქმედებაში, არქიტექტურულ თუ სკულპტურულ ნაკეთობაში, ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ ნაწარმოებში, მუსიკაში ან მეცნიერებაში — არის იმ კატეგორიაში, რასაც მე დავარქვი მარადიული და შეუქცევადი. მაგრამ არის სხვა, უფრო დაბალი რანგის მემკვიდრეობაც: მაგალითად, ყოფითი ტრადიციები, რომლებიც ზოგჯერ კარგია თუ გაუფრთხილდები და დაიცავ, მაგრამ არა ყოველთვის; რომლებიც თუ შეიცვლებიან და გაუქმდებიან, ამით ახალ თაობას ბევრი არაფერი დააკლდება. მაგალითად, არა მგონია, რომ თუ გურიაში ყოველწლიურად ლელოს აღარ ითამაშებენ, ამით ეროვნული კატასტროფა მოხდება, თუმცა, ის, რომ დღემდე თამაშობენ — მიხარია. მაგრამ ზოგი ტრადიცია შეგნებული ძალისხმევით არის მოსაცილებელი.

ერთიც: თუნდაც მარადიულთან წილნაყარი კულტურული ფასეულობები არ შეიძლება ინერტულად ატარო, მკვდარი სამკაულივით, არამედ თვით მისი ბუნება მოგიწოდებს, რომ ეს ფასეულობა ხელახლა გადაიაზრო ახალ კონტექსტში და თანამედროვე ისტორიულ რეალობაში. ამგვარად, თანამედროვე ადამიანი უნდა იყოს კულტურის არა მხოლოდ დამცველი და გამფრთხილებელი, არამედ თანამონაწილეც და თანაშემოქმედიც. მარადიულ კულტურულ ფასეულობას ღია ბოლო აქვს და ყველა ეპოქას თავისებურ, უნიკალურ შემოქმედებით გააზრებას სთხოვს. სხვანაირად ახალი თაობა უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ იამაყებს, მაგრამ არ განვითარდება.

2. ზემოთ მოკლედ შევეხე საქართველოს თემასაც. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურა ერთი მხრივ კურთხევაა, მეორე მხრივ — საფრთხე. საფრთხე იმაშია, რომ არ გავზარმაცდეთ

და არ ჩავთვალოთ, რომ ყველაფერი ღირებული უკვე წარსულში შეიქმნა და ჩვენი საქმე მხოლოდ კონსერვაციაა. წარსულის მონაპოვარი შემოქმედებითად უნდა გადავიაზროთ ყოველთვის, რომ არ დაგვემართოს ის, რაც სახარების სიტყვებშია გამოხატული: „ვისაც აქვს, მიეცემა, ვისაც არა აქვს, წაერთმევა ისიც, რას ჰგონია რომ აქვს“ — ანუ, თუ მხოლოდ ვიამაყებთ, აქაოდა სვეტიცხოველი და რუსთაველი გვაქვსო, და არცერთი არ იქნება ჩვენთვის ბიძგი საკუთარი შემოქმედებითობისთვის, გამოდის, რომ სინამდვილეში ისინი არც გვაქვს და რადგან არ გვაქვს, წაგვერთმევა კიდეც, იმ გაგებით, რომ მხოლოდ ინერტულ, უქმ ფასეულობად გვექცევა, სტერილური სიამაყის წყაროდ. მეორე უკიდურესობაა ნიჰილიზმი, თითქოს ეროვნული კულტურული მონაპოვარი არაფერს წარმოადგენს და სჯობს რაც შეიძლება ჩქარა დავივიწყოთ და, ასე ვთქვათ, tabula rasa-ზე სრულიად ახალი რამ დავწეროთ, სინამდვილეში კი გადმოვამღეროთ უცხოეთიდან. ამგვარი მიდგომა აგებულია ტყუილზე, რომ ჩვენს წარსულში თურმე არაფერი ყოფილა ისეთი, რამაც ზოგადკაცობრიულ კულტურას რამე შესძინა. ცხადია, ის მარადიული ფასეულობები, რაც საქართველოში შეიქმნა საუკუნეების მანძილზე — დიდი ქრისტიანული თავგანწირვის მაგალითები – წმინდანების ინსტიტუტი, ლიტერატურის და არქიტექტურის ძეგლები, მხატვრობა და მუსიკა — იქმნებოდა მსოფლიოს მოწინავე ცივილიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობაში, მაგრამ მათ განსაკუთრებული, განუმეორებელი სახეც მიიღეს, რადგან სხვა ცივილიზაციების მონაპოვარს ქართველები თავისუფალი შემოქმედებით ეპყრობოდნენ და არა მონურად გადმოიღებდენ. ამ ტრადიციაზე ნიჰილისტური უარის თქმა მხოლოდ აღარიბებს ადამიანს და დაბალ თვითშეფასებას უვითარებს: ფაქტია, რომ ჩვეულებრივ, ადამიანი არ აღიქვამს თავს უსახო კოსმოპოლიტად, არამედ საკუთარი ერის წარმომადგენლად და როდესაც თავის ერზე ნიჰილისტურ წარმოდგენებს ივითარებს, ამით საკუთარ თვითშეფასებასაც ადაბლებს. დიმიტრი ლიხაჩოვის სიტყვები რომ დავიმოწმო, ეს დაკომპლექსებულობის მეორე ვარიანტია, არანაკლებ ცუდი, ვიდრე მისი პირველი ვარიანტი, ანუ ეროვნული შოვინიზმი. რაც ზოგადად ვთქვი, იგივეს დავაკონკრეტებ კიდეც მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის ა.შ. მაგალითებით. თითოეულ ამ დარგში მიღწეული წარმატებები, ჩამოყალიბებული ტრადიციები გასაფრთხილებელია, რადგან ტრადიცია ცოცხალი ორგანიზმივითაა. ამას წინათ რუსულ არხზე „კულტურა“ აჩვენეს ერთი ლექცია, სადაც ლექტორი ყვებოდა სამეცნიერო ტრადიციის მნიშვნელობაზე და ასეთი ანალოგია მოიყვანა: ერთმა რუსმა მემამულემ მეცხრამეტე საუკუნეში ჰკითხა ლონდონელ მებაღეს: „როგორ ახერხებ ასეთი ხასხასა ბალახის გაზრდას, მე უამრავ ფულს ვხარჯავ რუსეთში, მაგრამ ამგვარი ბალახი მაინც არ გამომდისო?“; მებაღემ უპასუხა: „ძალიან მარტივად: ყოველ დილით უნდა გამოხვიდე და კრიჭო, და ასე ორასი წლის განმავლობაშიო“. ანუ არის სამეცნიერო (და არა მარტო სამეცნიერო) ტრადიციაში ისეთი რამ, რასაც ფულით ვერ იყიდი. მაგალითად, ჩემს დარგში, კლასიკურ ფილოლოგიაში, თითქმის საუკუნოვანი ტრადიციაა საქართველოში და მის გაუთვალისწინებლად ქართველი კლასიკოსი მხოლოდ დაკოჭლებული იქნება. სულ სხვა სფეროდანაც შემიძლია მოვიყვანო მაგალითი: რაც არ უნდა კარგი ახალი კორტები ააშენო, მათზე მალე ვერ შექმნი ისეთივე ტრადიციას, რაც ახლდა ახლა უკვე სამუდამოდ განადგურებულ „დინამოს“ კორტებს, სადაც დევისის თასის ტურნირები გამართულა და მსოფლიოს უდიდეს ჩოგრბურთელებს უთამაშიათ, რომ არაფერი ვთქვათ მწვრთნელების, ძველი და ახალი ჩოგბურთელების ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობის ტრადიციაზე. რაც არ უნდა გენიალური იყოს მეცნიერი, ვერაფერს ღირებულს ვერ გააკეთებს, თუ მანამდელი ტრადიცია არ გაითვალისწინა, ეს ტრადიცია კი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქმნება და ცოცხალი ორგანიზმივითაა. სამწუხაროდ თანამედროვე საქართველოს რეალიაში „დინამოს“ კორტების მაგალითი ერთეული არ არის: ხდება პრესტიჟულ ადგილებზე არსებული პატარა ბიბლიოთეკების (მაგ., ახლახან კოსტავას ქუჩაზე), ასევე პარკების, კულტურული ლანდშაფტების ა. შ. განადგურება რაღაც ყოველდღიური და მერკანტილური საჭიროებების გამო. მაგალითად, აკადემიის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია ადრე უჩვეულო, მართლაც აკადემიურ აურას ატარებდა თავის გაშლილი სივრცითა და ხეივნებით, ახლა კი მთელი ეს სივრცე უსახურმა კორპუსებმა შთანთქა. ცხადია, რომ ქართული კულტურა ვარდების რევოლუციით არ დაწყებულა და მნიშვნელოვანია ყველა ძველი მონაპოვრის, მათ შორის საბჭოთა კავშირის დროს შექმნილი სამეცნიერო და კულტურული ტრადიციების გაფრთხილება და შემოქმედებითი განვითარებაც.

ათრა

№18 2012

სალიტერატურო
რელიგიურ-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ჟურნალი

კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი — კავკასიური სახლი
თბილისი, გალაკტიონის ქ. №20